გურამ ფანჯიკიძე

ოქროს გუნდი

და სხვა

არტანუჯი

რედაქტორი
დავით კაკაბაძე

დამკაბადონებელი
ვიოლა ტუღუში

გარეკანის დიზაინერი
თეონა ჭანიშვილი

ISBN 978-9941-504-50-1

© მაია ფანჯიკიძე
© გამომცემლობა „არტანუჯი“
თბილისი 2023

წინათქმის მაგიერ
დავით კაკაბაძე 5

ოქროს გუნდი 9

„დინამო“, „დინამო“, „დინამო“! 143

ფეხბურთის სამშობლოში 189

მექსიკა ბურთით და უბურთოდ 243

არგენტინა, არგენტინა! 325

ფორცა, იზალია! 375

მარადონა რეი 455

წინათქმის მაგიერ

წიგნი, ახლა ხელში რომ გიჭირავთ, ნამდვილი საჩუქარია ფეხბურთის იმ ქომაგებისთვის, ვისთვისაც სპორტის ეს სახეობა მხოლოდ გატანილი და გაშვებული ბურთებით, მოგებული და წაგებული მატჩებით, კუთხურებისა და ჯარიმების რაოდენობით არ შემოიფარგლება; ანუ მათთვის, ვისთვისაც ფეხბურთი სპორტთან ერთად შემოქმედებაცაა და შორს სცდება „უსულო“ სტატისტიკის საზღვრებს.

თავად გურამ ფანჯიკიძისთვის ფეხბურთი სწორედ ასეთი ფენომენი იყო – ხელოვნებასთან ნაზიარები სპორტის სახეობა. „ხოლო სადაც ხელოვნებაა, იქ ყოველთვის იმარჯვებს აღმაფრენა, რომანტიზმი, სქემებიდან ამოვარდნილი იდეები... იმარჯვებენ პიროვნებები, ვარსკვლავები, შემოქმედებითი იმპულსებით დამუხტული ადამიანები“.

ეს სიტყვები გურამ ფანჯიკიძეს ეკუთვნის. ამის თქმის უფლება კი ცნობილ მწერალს ნამდვილად ჰქონდა: მას ხომ „ცოცხლად“, უშუალოდ სტადიონის ტრიბუნებიდან ჰყავდა ნანახი 50-იანი, 60-იანი, 70-იანი და 80-იანი წლების მსოფლიო ფეხბურთის კორიფეები: პელე და გარინჩა, პუშკაში და ბობი ჩარლტონი, კრუიფი და ბეკენბაუერი, ზიკო და მარადონა... რომ აღარაფერი ვთქვათ ქართული ფეხბურთის დიდოსტატებზე.

ბატონ გურამთან ფეხბურთზე ლაპარაკი ერთი სიამოვნება გახლდათ: არა მარტო იმიტომ, რომ გატაცებით, ემოციურად ჰყვებოდა სხვადასხვა ქვეყნის სტადიონებზე ნანახი მატჩების პერიპეტიებს (იმხანად ფეხბურთის ქომაგები, დღევანდლისგან განსხვავებით, განებივრებული არ ვიყავით საფეხბურთო ტელერეპორტაჟების სიმრავლით), არამედ იმიტომაც, რომ იშვიათი მეხსიერების წყალობით ზედმიწევნით ზუსტად „დაგიხატავდათ" მინდორზე შექმნილ ამა თუ იმ სიტუაციას.

გურამ ფანჯიკიძეს (რომელიც, სხვათა შორის, თავადაც შესანიშნავად თამაშობდა და 60-70-იანი წლების სამოყვარულო გუნდ „ჟურნალისტის" ერთ-ერთი ლიდერიც იყო) არაერთი საკლუბო თუ ნაკრები გუნდი მოსწონებია, ბევრი მოთამაშითაც აღფრთოვანებულა, მაგრამ მისი სიყვარული და, შეიძლება ითქვას, უპირობო აღტაცება, ერთ ქვეყანას, ერთ ეროვნულ ნაკრებს ეკუთვნოდა. ეს ქვეყანა ბრაზილია იყო.

„ერთადერთი ქვეყანა, რომლის ფეხბურთიც მკვეთრად განსხვავდება სხვა ქვეყნების ფეხბურთისაგან, არის ბრაზილია. აქ მარტო ვირტუოზულ ტექნიკას როდი ვგულისხმობთ, ასე მომადლებული რომ აქვთ ბრაზილიელ ფეხბურთელებს. განსხვავებულია თვით მათი ტექნიკაც, ბურთის ფლობის მანერაც, პასიც, დარტყმაც. განსხვავებულია მათი მოძრაობა და სირბილი მოედანზე. ისინი თითქოს დასიცხული პანთერებივით დაიზლაზნებიან, მაგრამ როგორი გაფიცხება, აფეთქება და კამარის შეკვრა იციან, როცა 'მსხვერპლი' ნიშანში ჰყავთ ამოღებული".

ან კიდევ:

„ბრაზილიის გუნდი ჰგავდა რამდენიმესიჩქარიან მანქანას; თამაშის დროს იმ სიჩქარეს რთავდა, რომელიც მატჩის მოსაგებად იყო საკმარისი. მე პირადად შთაბეჭდილება დამრჩა,

რომ ბრაზილიამ ისე მოიპოვა ჩემპიონობა, ბოლო სიჩქარის გამოყენება არც კი დასჭირვებია“.

ერთი ციტატაც:

„ბრაზილიელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არანაკლებ ყურადღებას უთმობენ ფეხბურთის სანახაობით, ემოციურ მხარეს, ვიდრე გამარჯვებისადმი სწრაფვას. სწორედ ამიტომაცაა, რომ მატჩი ყოველთვის დაძაბული, წარმტაცი და მიმზიდველია, როცა მოედანზე ბრაზილიელები არიან“.

დაბოლოს:

„არასოდეს არაფერი არ არის ხოლმე საკამათო და თავსამტვრევი, როცა ჩემპიონები ბრაზილიელები ხდებიან“.

როცა ბრაზილიისა და ბრაზილიელი ფეხბურთელების მიმართ გურამ ფანჯიკიძის უპირობო სიყვარულზე ვლაპარაკობთ, ცხადია, არ ვგულისხმობთ საქართველოს, თბილისის „დინამოსა“ და მის „ვარსკვლავებს“: ისინი იმ კატეგორიას ეკუთვნიან, რომელსაც სხვადასხვა სახის ფესტივალებსა თუ შეჯიბრებებზე „კონკურსგარეშეს“ უწოდებენ ხოლმე.

მართლაც, განა შეიძლება რაიმე შეედაროს იმ სიხარულს, რომელიც თბილისის „დინამოს“ სხვადასხვა თაობის ფეხბურთელებმა (1964 წლის „ოქროს ბიჭებმა“ თუ 1981 წლის თასების თასის მფლობელებმა) განაცდევინეს წიგნის ავტორს? მას ხომ ვერავითარი პელე, ვერავითარი მარადონა ვერ აგრძნობინებდა იმ ბედნიერებას, მიხეილ მესხის, სლავა მეტრეველის, დავით ყიფიანისა თუ ვლადიმერ გუცაევის ბრწყინვალე თამაშით რომ განუცდია!

ფეხბურთის ქართველი მოყვარულისთვის გურამ ფანჯიკიძის წიგნი კიდევ იმიტომ არის საჩუქარი, რომ რამდენიმე მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე დასამახსოვრებელ მომენტებთან ერთად მასში საქმის ცოდნით და, ამავე დროს, ამაღელვებლად არის მოთხრობილი ქართული ფეხბურთის უდიდესი გამარჯვებების ამბები, გადმოცემულია თბილისის

„დინამოსა“ და მისი საუკეთესო წევრების „საფეხბურთო ფილოსოფია“, აღწერილია უმნიშვნელოვანესი, დღეს ლამის უკვე დავიწყებული მატჩების ცალკეული ეპიზოდები.

ამ თვალსაზრისით ეს წიგნი, ვფიქრობ, განსაკუთრებით დააინტერესებს ახალგაზრდა თაობის გულშემატკივრებს – მათ, ვისაც ქართული ფეხბურთის დიდი გამარჯვებების შესახებ მხოლოდ მამებისა და ბაბუებისგან სმენია ან, უკეთეს შემთხვევაში, ინტერნეტით უნახავს შემორჩენილი მწირი ვიდეომასალა.

არადა, ამჟამად არსებული სურათის შესაფასებლად წარსულის ცოდნა აუცილებელია. აუცილებელია გვესმოდეს, რომ დღეს არ გვეყოლებოდა ხვიჩა კვარაცხელია, თავის დროზე რომ არ ყოფილიყვნენ ბორის პაიჭაძე და გაიოზ ჯეჯელავა, მიხეილ მესხი და სლავა მეტრეველი, შოთა იამანიძე და მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე და დავით ყიფიანი, გიორგი ქინქლაძე და შოთა არველაძე...

თუმცა, ვინ იცის... „ფეხბურთს უყვარს პარადოქსები. ამიტომაც არის იგი მომხიბვლელი, საკამათო სპორტი, სადაც არასდროს არაფერი არ არის საბოლოოდ გარკვეული და დაკანონებული“. ესეც გურამ ფანჯიკიძის სიტყვებია.

დავით კაკაბაძე

ოქროს გუნდი

საბჭოთა ფეხბურთის მთელი ისტორიის განმავლობაში მეორედ დაირღვა ტრადიცია – ქვეყნის დედაქალაქმა მეორედ დაკარგა ჩემპიონის საპატიო ტიტული. ამჯერად ოქროს მედლები და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის გარდამავალი თასი თბილისის დინამოელებმა მოიპოვეს.

ქართველი ფეხბურთელების უდიდესი გამარჯვება ელვის სისწრაფით მოედო მთელს ქვეყანას. ჯერ კიდევ ტაშკენტში, გადამწყვეტი მატჩის დამთავრების შემდეგ რამდენიმე საათსაც არ გაევლო, რომ თბილისის დინამოელთა სახელზე მოსულ მოსალოც დეპეშებს სათვალავი აღარ ჰქონდა. დეპეშები მოდიოდა საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან, საზღვარგარეთიდან...

„ლილიდან პარიზში ვბრუნდებოდით, როცა ფეხბურთში ახალი ჩემპიონის დაბადების ამბავი შევიტყვეთ. თუმცა არ ვიცით მატჩის დაწვრილებითი ამბები, მაგრამ ჩვენთვის ცნობილია, რომ გადამწყვეტმა შეხვედრამ მწვავე, ტემპერამენტიან ბრძოლაში ჩაიარა და მაყურებლებს ჭეშმარიტი სიამოვნება მოუტანა.

მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა სახელით სულითა და გულით მივესალმები ახალ ჩემპიონებს. თბილისის დინამოელთა კოლექტივი, ალბათ ისე, როგორც არავინ, დაჯერებულად მიილტვოდა ოქროს მედლებისაკენ. დინამოელთა გამარჯვება სავსებით კანონზომიერი ჩანს. მთელი სეზონის განმავლობაში ისინი მწყობრად და თანაბრად თამაშობდნენ. ვფიქრობ, ამან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მათ გამარჯვებაში“.

ამ დეპეშას მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდის დავალებით გზავნიდა მათი უფროსი მწვრთნელი, წარსულში სახელმოხვეჭილი ფეხბურთელი ნიკიტა სიმონიანი.

„უპირველეს ყოვლისა, მიხარია გამარჯვება მივულოცო გავრიილ კაჩალინს, ჩემს ძველ მეგობარსა და ახლო წარსულში მრისხანე მეტოქეს, – წერს უნგრეთის ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი, ფეხბურთის დიდი სპეციალისტი ლაიოშ ბაროტი, – ოქროს მედლები თბილისის დინამოელების დიდი ხნის ოცნება იყო. ვინ მოთვლის, რამდენი სეზონის დამთავრების შემდეგ უთქვამთ ქართველ ფეხბურთელებს: „ეჰ, ბედნიერება რა ახლოს იყო!“ და ახლა სიამოვნებით მივესალმები ამ საინტერესო გუნდის ასვლას დიდების მწვერვალზე“.

„ვფიქრობდი, რომ ოქროს მედლები, ტრადიციულად, მოსკოველებს დარჩებოდათ. მაგრამ კაჩალინმა შეძლო თავისი ბიჭები საბრძოლველად განეწყო. მათ აიტანეს უმძიმესი ტურნირის ფიზიკური და ნერვიული დაძაბულობა. გულშემატკივრები და სპეციალისტები გააოცეს შესანიშნავი, მძლავრი ფინიშით. უნდა ვიფიქროთ, რომ ამიერიდან თბილისელები ჩემპიონის რეგალიების მუდმივი მაძიებელნი იქნებიან. ამის საწინდარია 1964 წლის წარმატება“.

მოჭადრაკე მამაკაცთა უმაღლესი ტიტულის მფლობელსა და ცნობილ გულშემატკივარს ტიგრან პეტროსიანს სეზონის დასაწყისში მაინცდამაინც როდი სჯეროდა თბილისის დინამოელების გამარჯვება. გადამწყვეტი მატჩის დროს იგი სამშობლოდან დაშორებით, შორეულ ტელ-ავივში იმყოფებოდა საჭადრაკო ოლიმპიადაზე. მიუხედავად ამისა, მისალოცი დეპეშის გამოგზავნა ერთი წუთითაც არ დაუხანებია:

„ბოლოს და ბოლოს, თბილისის დინამოელებმა უმაღლესი საფეხბურთო ჯილდო – ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვეს.

გულითადად გილოცავთ, მეგობრებო!“

ქართული ფეხბურთი ყოველთვის იყო და არის შემტევი ფეხბურთი. ამიტომაც იყო, რომ თბილისის დინამოელთა წინააღმდეგ უმრავლეს მატჩში მასირებულ დაცვას მიმართავდა მეტოქე. მიუხედავად ამისა, გამარჯვების სასწორი მაინც ქართველი ფეხბურთელებისაკენ იხრებოდა. უბრალო ჭეშმარიტებაა – იმარჯვებს ის, ვისაც გოლები გააქვს. ამიტომაცაა, რომ ბევრ საბჭოთა თუ უცხოელ სპეციალისტს თბილისის დინამოელების წარმატების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად თამაშის შემტევი სტილი მიაჩნია.

„თბილისის „დინამო" – საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ჩვენთან ეს ამბავი თავდაპირველად მოულოდნელი ეჩვენათ, – წერს ჩეხოსლოვაკიის ოლიმპიური ნაკრების წევრი კარელ ნეპომუცკი, – ძალიან მივეჩვიეთ, რომ ფეხბურთის უმაღლეს ტიტულს მოსკოვის გუნდები ეუფლებოდნენ. მაგრამ არაფერია გასაკვირი. უბრალოდ გამართლდა ფეხბურთის ძველი ჭეშმარიტება – ვისაც გოლები გააქვს, ის იმარჯვებს.

1964 წლის ჩემპიონატში საბჭოთა გუნდები კარგ შედეგებს ვერ დაიკვეხნიან. ალბათ თქვენთან, ისე როგორც ჩეხოსლოვაკიაში, ზოგიერთი მწვრთნელი ზედმეტადაა გატაცებული დაცვითი ვარიანტებით. გადამწყვეტ მატჩში თანაბარ მეტოქესთან თბილისელებმა ოთხჯერ შეარხიეს ტორპედოელთა კარის ბადე. მარტო ეს ფაქტიც მათ უმაღლესი კლასის ოსტატობას მოწმობს.

ეჭვი არ მეპარება, რომ იერიშების წარმატებით განვითარებაში დიდი როლი ითამაშეს შესანიშნავმა თავდამსხმელებმა სლავა მეტრეველმა და მიხეილ მესხმა. მე არაერთხელ მინახავს მათი თამაში.

თბილისის დინამოელებს მხურვალედ ვულოცავ ამ გამარჯვებას და ვუსურვებ მათ ახალ წარმატებებს. ითამაშეთ მხოლოდ ისეთივე კარგი, შემტევი ფეხბურთი, როგორც ფინალში!"

„თბილისის დინამოელთაგან ყველაზე უკეთ ვიცნობ სლავა მეტრეველს. ჩვენ არაერთხელ შევხვედრივართ მწვანე მინდორზე ეროვნულ ნაკრებთა შემადგენლობაში, – წერს ბულგარეთის ნაკრების მოთამაშე ივან კოლევი, – იგი მუდამ გამოირჩეოდა დიდი მგზნებარებით, მეტოქე მცველთა ნებისმიერი მესრის გარღვევის უნარით, თამაშის კარგი გაგებითა და მოულოდნელი დარტყმებით. ასეთივე წარმომიდგენია თბილისელთა მთელი დღევანდელი გუნდი.

უაღრესად მოხარული ვარ, მივულოცო ქართველ ფეხბურთელებს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული“.

თბილისის „დინამოს“ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იცნობენ. ქართველ ფეხბურთელებს არა ერთსა და ორ სტადიონზე მოუხიბლავთ მაყურებელი თავიანთი ტემპერამენტიანი, ლამაზი თამაშით. მაგრამ სულ სხვაა, როცა შენს ბიოგრაფიას ჩემპიონის ტიტული ამშვენებს. დღეს თბილისელთა ავტორიტეტი საერთაშორისო სარბიელზე კიდევ უფრო გაიზარდა. უკვე ბევრმა გუნდმა გამოთქვა საბჭოთა კავშირის ახალ ჩემპიონთან შეხვედრის სურვილი.

„საბჭოთა კავშირის ახალი ჩემპიონის თამაში არ მინახავს, მაგრამ ვიცნობ ცალკეულ მოთამაშეებს. ისეთი ფეხბურთელები, როგორიც მესხი და მეტრეველია, ყველაზე ძლიერ გუნდსაც კი დაამშვენებდა“, – წერს მისალოც დეპეშაში საფრანგეთის „ვალანსიენის“ მწვრთნელი რობერ დიუმერგი.

ქართველ ფეხბურთელებთან შეხვედრის სურვილს გამოთქვამს უნგრეთის ეროვნული ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი ფლორიან ალბერტი:

„ვულოცავ თბილისელებს დიდ გამარჯვებას. ისინი ხომ პირველად გახდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები! რასაკვირველია, პირველ რიგში ვულოცავ ჩემს ძველ ნაცნობებს – მეტრეველსა და მესხს. სამწუხაროა, რომ საბჭოთა გუნდები ჯერ არ მონაწილეობენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა

თასის გათამაშებაში. მაშინ იქნებ მომავალ სეზონში შევხვედრილიყავით...“

ჩემპიონატი დიდი ხანია დამთავრდა, მაგრამ დიდხანს არ წყდებოდა მოლოცვათა ნაკადი. დეპეშები მოდიოდა მსოფლიოს ყველა კუთხიდან...

გამარჯვება მით უფრო საპატიოა, რაც უფრო დაძაბულ ბრძოლაშია მოპოვებული. დაძაბულობის მხრივ კი 1964 წლის ჩემპიონატს ვერცერთი ადრინდელი ასპარეზობა ვერ შეედრებოდა. საკმარისი იყო ერთი წაფორხილება, ერთი ქულის დაკარგვა, რომ პირველი ადგილიდან გუნდს მთელი ოთხი-ხუთი ადგილით უკან დაეხია. ამ ნერვიულ, დაძაბულ ბრძოლას ბოლომდე მხოლოდ მოსკოვის „ტორპედომ“ და თბილისის „დინამომ“ გაუძლეს.

ჯერ კიდევ მოსკოვის დინამოელებთან შეხვედრის წინ მე ვესაუბრე თბილისის „დინამოს“ კაპიტანს, შოთა იამანიძეს. მან თქვა: „ჩვენ მხოლოდ ოთხი ქულის დაკარგვის უფლებაღა დაგვრჩა, რომ ოქროს მედლები მოვიპოვოთ“. მას შემდეგ გუნდმა მხოლოდ ორი ქულა დაკარგა და ჩემპიონი მაინც არ გამოვლინდა, საჭირო გახდა დამატებითი მატჩი. პირველად საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში ჩემპიონი დამატებით მატჩს უნდა გამოევლინა. უზბეკეთის დედაქალაქი ტაშკენტი იქცა დიდი ფეხბურთის ქალაქად. აქ, 1964 წლის 18 ნოემბერს, „ფახთაქორის“ სტადიონზე დაძაბულ ორთაბრძოლას უნდა გამოევლინა ქვეყნის ახალი ჩემპიონი.

80 ათასი მაყურებლის ტაშის გრიალში მოედანზე გამოდიან მოსკოვის „ტორპედო“ და თბილისის „დინამო“...

მაგრამ, სანამ ამ შეხვედრაზე ვილაპარაკებდეთ, გავიხსენოთ ერთი მატჩი ისევ მოსკოვის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის. ეს მატჩი ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია იმ ტრადიციულად წარმტაცი, დაძაბული, დრამატული მომენტებით აღსავსე ორთაბრძოლებისა, ამ ორ გუნდს შორის რომ მიმდინარეობს.

არის მატჩები, რომელთა ყოველი წუთი, ყოველი მომენტი, ყოველი სიტუაცია სამუდამოდ აღიბეჭდება და არასოდეს წაიშლება ადამიანის მეხსიერებაში.

ასეთი მატჩების რიცხვს მიეკუთვნება ფინალური შეხვედრა საბჭოთა კავშირის თასზე თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შორის 1960 წლის 31 ოქტომბერს.

თბილისელები მეოთხედ გავიდნენ ფინალში. მანამდე სამჯერ მოეცარათ ხელი, სამჯერ იდგნენ სანუკვარი მიზნის წინაშე და სამჯერვე იმედგაცრუებულნი დაბრუნდნენ თბილისში.

ბოლოს და ბოლოს გატყდება თუ არა ნავსი?

ბოლოს და ბოლოს შეძლებენ თუ არა თასის თბილისში ჩამოტანას?

აი, რა აწუხებდათ ქართველ გულშემატკივრებს. აი, რაზე კამათობდა, რაზე იმტვრევდა თავს ასიათასობით ფეხბურთის მოყვარული.

დიდი მღელვარებით ელოდნენ ფინალის დღეს საქართველოში.

მაგრამ მარტო საქართველოში?

მიუხედავად იმისა, რომ თერმომეტრი 10 გრადუს ყინვას აჩვენებდა, მოსკოვში ოდნავაც არ შენელებულა ინტერესი ფინალური მატჩისადმი, სადაც მოსკოველ გულშემატკივართა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთმანეთს ხვდებოდნენ „ძალა“ და „ტემპერამენტი“.

– ვისაც სურს ნახოს ცოცხალი მესხი, ყველანი სტადიონზე! – ისმოდა საბილეთო სალაროებთან სვერდლოვის მოედანზე.

ეს არ იყო იაფფასიანი რეკლამა. მოსკოველებს ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ მიხეილ მესხის ბრწყინვალე გოლი ნახევარფინალურ შეხვედრაში დონეცკის „შახტიონთან“. ამიტომაც იყო, რომ კაფეებსა თუ საბილეთო სალაროებთან, მეტროში თუ კინოთეატრების ვესტიბიულებში ბევრს ლაპა-

რაკობდნენ მესხი-მედაკინის „დუელზე“. თუ ამ „დუელში“ გამარჯვებას პირველს უწინასწარმეტყველებდნენ, სამაგიეროდ, იამანიძე-ვორონინის და ბარქაია-მანოშინის ორთაბრძოლებში ყველა „ტორპედოს“ სახელგანთქმული „დუეტის“ მხარეს იჭერდა.

გულშემატკივრები სამართლიანად ფიქრობდნენ, რომ ეს იქნებოდა არა მარტო საბჭოთა ფეხბურთის ორი საუკეთესო კოლექტივის ორთაბრძოლა, არამედ ამ გუნდების ვირტუოზი სოლისტების ბრწყინვალე ტექნიკის დემონსტრაცია.

მიუხედავად ყინვისა, გაიყიდა 85 ათასი ბილეთი, რაც სარეკორდო იყო მთელს სეზონში.

ამ შეხვედრისათვის განსაკუთრებულად ემზადებოდნენ ავტოქარხნელები. ისინი წვრთნას გადიოდნენ მოსკოვიდან 100 კილომეტრით დაშორებულ საუკეთესო სპორტულ ბაზებში, ხოლო ფეხბურთელებს ისეთი მტკიცე რეჟიმი ჰქონდათ, რომ ისინი არც კი ჩამოსულან ნახევარფინალურ თამაშზე („დინამო“ თბილისი – „შახტიორი“ დონეცკი) მოსკოვში, სადაც უნდა გამოვლენილიყო მათი მომავალი მოწინააღმდეგე, და ტელეგადაცემით დაკმაყოფილდნენ.

როგორც სლავა მეტრეველმა თქვა, მათ ტელევიზორი ერთი წუთით ადრე გამოთიშეს, დარწმუნებულებმა, რომ თბილისელები განმეორებით შეხვედრას მეორე დღეს ჩაატარებდნენ და მხოლოდ უკანასკნელი ცნობების გადმოცემისას გაიგეს მესხის „ოქროს გოლის“ ამბავი.

ყოველდღე მრავალი გულშემატკივარი ჩადიოდა საქართველოდან, ისინი უპირველეს ყოვლისა, ბილეთს ყიდულობდნენ და შემდეგ მიეშურებოდნენ სასტუმრო „პეკინისაკენ“, სადაც დაბინავებული იყო თბილისის „დინამო“.

ვერავინ ბედავდა ლაპარაკით შეეწუხებინა ქართველი ფეხბურთელები, მათ მხოლოდ ღიმილით ესალმებოდნენ და სიყვარულით შესცქეროდნენ.

თამაშის წინა დღეს შემუშავდა ბრძოლის გეგმა. მწვრთნელებთან ერთად აზრი გამოთქვა ყველა მოთამაშემ, რათა არ გამორჩენოდათ უწვრილმანესი საკითხებიც კი.

გადაწყდა, თორაძეს დაეჭირა ზონალური დაცვა და დაზღვევაზე ეთამაშა სიჭინავასა და ხოჭოლავასთან სერგეევის და მეტრეველის წინააღმდეგ. ხოლო ვინაიდან გუსაროვი და ივანოვი თამაშობდნენ ორმაგ ცენტრს, ჩოხელს დაევალა შეესრულებინა მეორე ცენტრალური მცველის ფუნქციები. ზეინკლიშვილის მოვალეობას შეადგენდა თამაშიდან გამოეთიშა ბატანოვი. უკანდახეული ნახევარმცველების დანაკლისის ანაზღაურება მოედნის ცენტრში მიენდო იამანიძეს.

ეს გეგმა, რომელიც თავისი განლაგებით დაცვითი ხასიათისა იყო, საშუალებას აძლევდა ტორპედოელთა ნიჭიერ ნახევარმცველებს ვორონინს და მანოშინს დაუფლებოდნენ მოედნის ცენტრს, განსაკუთრებით სახიფათო ხდებოდა ვორონინი, რომელსაც აქვს უძლიერესი დარტყმები შორი მანძილიდან. მაგრამ აქ თბილისელები ემყარებოდნენ შემდეგ ფაქტორებს: მიუხედავად იმისა, რომ იამანიძე ითამაშებდა უკან, ვორონინი ვერ გაბედავდა მიხმარებოდა თავდასხმას, ვინაიდან მესხის დატოვება მედაკინის ამარა შეუძლებელი იყო. ამას თან დაერთვოდა იამანიძის სახიფათო რეიდები, ხოლო, რაც შეეხებოდა მანოშინს, ყველას სჯეროდა, რომ ბარქაია „მოუვლიდა" მას. ცნობილია, რომ ბარქაია მით უფრო კარგად თამაშობს, რაც უფრო ძლიერი მოწინააღმდეგე ჰყავს და თვითონაც ძალზე უყვარს „ვარსკვლავების" წინააღმდეგ თამაში.

ნერვიულობამ განსაკუთრებით ძილის წინ იმატა. სერგო კოტრიკაძემ ნემსი მოიმარჯვა და ცდილობდა კერვაში გაეყვანა დრო.

– დღეს კიდევ არაფერი, – ამბობდა იგი, – მაგრამ ტანში მაჟრჟოლებს ხვალინდელი დღის გახსენებაზე. დილიდან სა-

ღამოს ექვს საათამდე რომ გამოკეტილ ოთახში უნდა ველოდოთ თამაშის დაწყებას.

შოთა იამანიძე ხშირ-ხშირად დასჩერებოდა თავის მტკივან ფეხს. დილით ექიმებმა ტკივილის გასაყუჩებლად ნოვოკაინის ნემსები გაუკეთეს. ძნელი იყო ასე თამაში, მაგრამ რას იზამდა – ფინალში ყოველთვის როდი გადიან.

მშვიდად მხოლოდ თენგიზ მელაშვილი და ვლადიმერ ბარქაია იყვნენ, რომლებსაც საერთოდ, იშვიათად თუ აღელვებთ რამე.

– დაცვამ ოცი წუთი მაინც რომ შეაკავოს „ტორპედოს“ იერიშები, თამაშს აუცილებლად მოვიგებთ, – ამბობდა ზაურ კალოევი.

საერთოდ, ბიჭები იმდენად იყვნენ დარწმუნებულნი გამარჯვებაში, რომ თბილისში თასის ადგილსამყოფლის თაობაზე კამათიც კი მოუვიდათ.

ძილის წინ ყველამ წყალში გასადნობად ჩაყარა 400 გრამი შაქარი, რომელიც დილას უნდა დაელიათ: საჭირო იყო ყინვიან ამინდში კალორიების მიღება. რამდენჯერმე ჩაალაგეს და ამოალაგეს ჩემოდნებიდან სპორტული ფორმა, მაგრამ დრო მაინც ძალზე ნელა გადიოდა.

იმ დღეს მოსკოვში არ არსებობდა უცნობი ქართველი, ყველა შემხვედრი ერთმანეთს ესალმებოდა და აფრთხილებდა, რომ თამაშის წინ, 6 საათზე თავი მოეყარათ ლენინის ძეგლთან ლუჟნიკის სტადიონზე. ყველა ქართველმა გულშემატკივარმა აღმოსავლეთ ტრიბუნის ბილეთი შეიძინა.

გაისმა მსაჯის – ცაპოვეცკის სასტვენის ხმა. 85 ათასი მაყურებელი ტაშის გრიალით მიესალმა საბჭოთა საფეხბურთო სკოლის ორ საუკეთესო წარმომადგენელს.

აქ არ შევუდგებით თამაშის მსვლელობის დეტალურ აღწერას. მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ თამაშის წინასწარ მოფიქრებული გეგმა მთლიანად არ გამართლდა.

აშკარად იგრძნობოდა, რომ ნახევარდაცვა ვერ ეხმარებოდა თავდასხმას და იამანიძე ძალიან ხშირად უკან თამაშობდა, რომ აენაზღაურებინა ეს დანაკლისი. ასევე ხშირად ჩადიოდა ბურთის „საშოვნელად" უკან ბარქაიაც.

მართალია, ბარქაიამ და იამანიძემ წაართვეს მოედნის ცენტრი ტორპედოელებს, მაგრამ ერთი მხრივ, შუამარბებს უხდებოდათ ორი ფუნქციის შესრულება, ხოლო მეორე მხრივ, სუსტი იყო ურთიერთკავშირი. მესხი ხშირად (განსაკუთრებით პირველ ტაიმში) ძალზე შორს იყო თავისი პარტნიორებისაგან, ხოლო კალოევი და მელაშვილი აშკარად ვერ იჭერდნენ ბურთს და ჩვენი შუამარბები ხშირად ვერ ასწრებდნენ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე გადანაცვლებას და კარზე იერიშის მიტანას.

თავის მხრივ, ტორპედოელებიც საკმაოდ სცოდავდნენ. ძალზე შეუთანხმებლად მოქმედებდნენ სერგეევი და ბატანოვი, რომლებმაც ვერ მოაწყვეს ვერცერთი სრულფასოვანი იერიში მარცხენა ფრთიდან, ამავე დროს ბატანოვი უთავბოლოდ ცდილობდა ცენტრიდან შეტევას, როცა იქ გუსაროვი და ივანოვი მოქმედებდნენ. ჩვეული კავშირი არ ყოფილა ვორონინსა და მეტრეველს შორის, ხოლო ივანოვი ძირითადად გუსაროვთან თამაშით გაერთო. ტორპედოელები გადამეტებულ სიფრთხილეს იჩენდნენ მესხის მიმართ მაშინაც კი, როცა იერიში ჩვენს კარზე მიმდინარეობდა.

მიუხედავად ორმხრივი ტაქტიკური შეცდომებისა, თამაში ძალზე დაძაბული, წარმტაცი და ნამდვილად დიდოსტატური იყო.

ეს იყო ჭეშმარიტად დიდი ფეხბურთი.

მოედანზე კეთდებოდა ისეთი ტექნიკური ილეთები, სრულდებოდა ისეთი ოსტატური ჩანაფიქრები, რომ აღტაცებულ მაყურებლებს ავიწყდებოდათ სიცივეც, ყინვაც და მქუხარე ტაშით აჯილდოებდნენ ფეხბურთელებს.

ამ აპლოდისმენტების მეტად დიდი ნაწილი ეკუთვნოდა ქართველ ფეხბურთელებს.

ალბათ მოსკოველებს დიდხანს არ დაავიწყდებათ პირველ ტაიმში მესხის და იამანიძის კომბინაცია, როცა ისინი თითქმის შუა მოედნიდან აჭრილი გადაცემებით მიუახლოვდნენ ტორპედოელთა კარს. მხოლოდ უკანასკნელ მომენტში შეძლო მედაკინმა ბურთის კუთხურზე გადაგდება.

მოსკოველებს არც ბარქაიას გასვლა დაავიწყდებათ მარჯვენა ფრთიდან, როცა მან შესანიშნავი დრიბლინგით გვერდი აუარა სამ მცველს და ბურთი ჩაჭრა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე. შეშინებულმა ვორონინმა წონასწორობა დაკარგა და ბურთი უძლიერესი დარტყმით გაგზავნა... საკუთარი კარისაკენ. ტორპედოელები ბენვზე გადარჩნენ აშკარა გოლს.

ქართველი ფეხბურთელების მიერ გატანილი პირველი გოლი ულამაზესი იყო ყველა გოლს შორის. იერიში მოედნის ცენტრიდან დაიწყო. გათამაშდა სამგადაცემიანი კომბინაცია მელაშვილსა და ბარქაიას შორის ისე, რომ მელაშვილი თანდათან შემოდიოდა ცენტრში, ხოლო ბარქაია გადიოდა ფრთაზე. საბოლოოდ, როცა ყველა ელოდა, რომ ბარქაია ბურთს ჩაჭრიდა საჯარიმო მოედანზე კარის გასწვრივ, მან ძალზე ძნელი მდგომარეობიდან მოულოდნელი, შესანიშნავი ტექნიკური დარტყმით ბურთი გაახვია მოწინააღმდეგის კარის შორეულ კუთხეში.

თუ პირველ ტაიმში მესხი შედარებით გამოთიშული იყო თამაშიდან, მეორე ტაიმში და განსაკუთრებით კი დამატებით დროში მედაკინს სიმწრის ოფლი ასხამდა.

უკანასკნელ დამატებით პერიოდში მესხი სამჯერ პირისპირ დარჩა მედაკინთან, მედაკინი ელოდა, რომ მესხი ჩვეულებისამებრ ფრთიდან შეიჭრებოდა საჯარიმო მოედანზე, მაგრამ

სამჯერვე მწარედ მოტყუვდა; ქართველმა ფეხბურთელმა ცენტრიდან მიიტანა იერიში მოწინააღმდეგის კარზე.

სულ მალე ისევ განმეორდა მსგავსი მდგომარეობა. მესხი მაყურებელთა ტაშის გრიალში მიიწევდა საჯარიმო მოედნისაკენ, მედაკინმა, ამჯერად დარწმუნებულმა, რომ თბილისელთა მარცხენა გარემარბი კვლავ ცენტრიდან შეიჭრებოდა, ჯიქურ გადაუჭრა ცენტრის მხარე, მაგრამ მესხი სწორედ ამ დროს გაიჭრა ფრთიდან. მაყურებელში დარჩა შთაბეჭდილება, თითქოს წამის რაღაც ნაწილში ქართველმა ფეხბურთელმა 10-12 მეტრით ჩამოიტოვა „ტორპედოს" კაპიტანი...

თბილისელებმა დიდი აღმავლობით ჩაატარეს მთელი თამაში, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბრწყინვალედ ითამაშეს: მესხმა, იამანიძემ და განსაკუთრებით ბარქაიამ, რომელთა ლამაზ ფინტებსა და ილეთებს მოსკოველი მაყურებლები „ბრაზილიურად" ნათლავდნენ. იმდენად ბრწყინვალე იყო ბარქაია, რომ მანოშინი საერთოდ არ ჩანდა მინდორზე.

ბარქაიამ მაყურებლები მოხიბლა არა მარტო თავისი შესანიშნავი გასვლებით, მახვილგონივრული გადაცემებითა და კომბინაციური ნიჭით, არამედ თამაშის თავისუფალი მანერითა და ბრწყინვალე ტექნიკით. უკანასკნელ პერიოდში ბარქაიამ წარმოუდგენელ მდგომარეობაში ჩამოხსნა ბურთი და აკენწლა. მანოშინმა იფიქრა, ჰაერშივე გადავჭრი ბურთსო და ქართველი ფეხბურთელისაკენ გამოექანა. ბარქაიამ ბურთი თავს ზემოთ გადაუტარა „ტორპედოს" ნახევარმცველს და ისევ აკენწლა. მანოშინი მოტრიალდა და ხელმეორედ შეეცადა ბურთის წართმევას. ბარქაიამ ამჯერად მეორე მხარეს გადაუტარა თავზე ბურთი. ტრიბუნებს მოწყდა მქუხარე ტაში, ხოლო მანოშინს აღარ დაჰბადებია სურვილი კიდევ გაემეორებინა მსგავსი ოპერაცია. ეს, რასაკვირველია, ძნელი გადასატანი იყო 20 ათასი ავტოქარხნელისათვის, რომლებიც ტრიბუნებიდან ადევნებდნენ თვალყურს თავიანთ ახალ ვარს-

კვლავს. მეორე ტაიმის ბოლოს, როცა ბარქაია ოდნავ მოიღალა, მანოშინმა, როგორც იქნა, ამოისუნთქა და სახიფათოდ შეიჭრა ჩვენს საჯარიმო მოედანზე. გულშემატკივრები გამაყრუებელი ძახილით ამხნევებდნენ მას:

– მანოშკა, მოაწყვე ცირკი, მანოშკა, მოაწყვე ცირკი!

მაგრამ ეს გაგრძელდა სულ რამდენიმე წუთს, შემდეგ ბარქაია ისე იმსახურებდა მაყურებელთა ტაშს, როგორც ბალეტის მოცეკვავე სცენაზე ბრწყინვალე პირუეტების შესრულების დროს.

მეოთხე ტაიმში ჩრდილოეთის ტრიბუნაზე ამოქმედდნენ მოსკოველი „მესხისტებიც“, რომლებიც შეძახილებით „მეს-ხი! მეს-ხი!“ ამხნევებდნენ გააფთრებულ თბილისელთა მარცხენა გარემარბს.

და მაშინ, როცა მაყურებელთა უმრავლესობა დარწმუნებული იყო თბილისელთა გამარჯვებაში, ბურთი მეოთხედ გაეხვია ქართველი ფეხბურთელების კარში (4:3).

თერთმეტი ქართველი ფეხბურთელი გაქვავდა ადგილზე. თერთმეტი ტორპედოელი ჰაერში ხტუნვითა და შეძახილებით ეხვეოდა და კოცნიდა ერთმანეთს.

საფინალო სასტვენის შემდეგ ასზე მეტი ფოტოკორესპონდენტი გადაეშვა მინდორზე და ალყა შემოარტყა ბედნიერებით სახეგაბრწყინებულ ტორპედოელებს.

არცერთ რეპორტიორს აზრად არ მოსვლია ფირზე აღებეჭდა აცრემლებული ქართველი ფეხბურთელები, რომლებიც თავდახრილი, დაღვრემილი მიემართებოდნენ გასახდელისაკენ.

სწორედ ამ მომენტში თქვა საბჭოთა ფეხბურთის ვეტერანმა ვსევოლოდ ბობროვმა:

– ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო და დასამახსოვრებელი მატჩი, რომელიც მე მინახავს, საუკეთესო არა მარტო თავისი დაძაბულობით, გამარჯვებისადმი სწრაფვით, ვაჟკაცური

სულისკვეთებით, კომბინაციურობითა და თვალისმომჭრელი ტექნიკით, არამედ თავისი ტრაგიკული დასასრულითაც.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ამ ორ გუნდს შორის ტრადიცია არ დარღვეულა, ყველა მატჩი დაძაბული და მიმზიდველია. გავიხსენოთ 1961 წელი, როცა ქართველმა ფეხბურთელებმა თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე ულამაზეს ორთაბრძოლაში მოსკოველები 6:4 დაამარცხეს და თასის ფინალის სიმწარე ოდნავ მაინც გაიქარწყლეს. არანაკლებ პრინციპული იყო 1964 წლის ჩემპიონატის მეორე წრის შეხვედრა მოსკოვის ტორპედოელებთან, გათამაშების ლიდერთან, როცა ამ ორთაბრძოლაში ფაქტობრივად უნდა გამოვლენილიყო მომავალი ჩემპიონი.

მაგრამ ტაშკენტის მატჩმა ყველაფერი გააფერმკრთალა. ამ დაუვიწყარ შეხვედრამდე მთელი ერთი კვირით ადრე საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან დაიძრნენ ფეხბურთის გულშემატკივრები. თვითმფრინავებს, მატარებლებს, ავტომობილებს ყოველდღე ათასობით გულშემატკივარი ჩაჰყავდა უზბეკეთის დედაქალაქში. თბილისსა და ტაშკენტს შორის გაიდო საჰაერო ხიდი. სასტუმროები ვერ იტევდა ათასობით სტუმარს. ისინი ვესტიბიულებში, ვაგზლისა და აეროპორტის მოსაცდელ დარბაზებში ათენებდნენ ღამეებს. მთელი დატვირთვით მუშაობდა სპეციალური სალაროები, სადაც ბილეთის შეძენა მხოლოდ ჩამოსულ გულშემატკივრებს შეეძლოთ. იმ დღეებში მთელი ქალაქი თითქოს მომავალი მატჩის მოლოდინით სუნთქავდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ შეხვედრას დიდი ინტერესით მოელოდა მთელი საფეხბურთო სამყარო.

და აი, გათენდა 18 ნოემბერიც. ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე ორი საათით ადრე სტადიონზე ნემსის ჩასავარდნი ადგილიც აღარ იყო. მატჩს ესწრებოდა 80 ათასი კაცი მხოლოდ იმიტომ, რომ სტადიონზე არ იყო 200 ათასი ადგილი.

„ფახთაქორის" უზარმაზარი სტადიონის ტრიბუნები ფერად ბუშტებს აეჭრელებინა. ზოგიერთ გულშემატკივარს 40-50 ბუშტიც კი ეყიდა. თამაშის დაწყებამდე ერთი საათით ადრე ტრიბუნებზე უკვე გაირკვა გულშემატკივართა პოზიციები. გაჩაღდა პლაკატების შეჯიბრი. „ოქრო თბილისელებს!" – გამოჩნდა უზარმაზარი პლაკატი სამხრეთ ტრიბუნაზე. ქართველი ფეხბურთელების გულშემატკივრები მქუხარე ტაშით მიესალმნენ ამ პლაკატის გამოჩენას.

„ტორპედოელებო, მხოლოდ გამარჯვება!" – ახლა აღმოსავლეთ ტრიბუნაზე გამოჩნდა წითელი პლაკატი. აგუგუნდნენ ტორპედოელთა გულშემატკივრები. პლაკატებს სათვალავი აღარ ჰქონდა. თამაშამდე ჯერ მთელი საათი იყო, ტრიბუნები კი უკვე გრგვინავდა, ბობოქრობდა. განსაკუთრებით მომზადებული ჩამოსულა მოსკოველ გულშემატკივართა ერთი ჯგუფი. მათ ზედიზედ ათი პლაკატი გამოფინეს, რომლებზეც ეწერა: „ოქრო „ტორპედოს"!", „ტორპედო" იგებს 1:0!", „ბურთი გააქვს ვალენტინ ივანოვს!", „ვალერა (ვალერი ვორონინი), აბა, შენებურად!" და ა. შ.

„დინამოს" გულშემატკივრებმა შეატყვეს, რომ სასწორის პინა „ტორპედოს" გულშემატკივართა მხარეს იხრებოდა და სხვა ხერხი იხმარეს. ბუშტებს გამოაბეს უზარმაზარი პლაკატი, რომელზეც ეწერა: „თბილისელებო, მხოლოდ გამარჯვება!" და მაღლა აუშვეს. სტადიონის თავზე ზეცა ფერადმა ბუშტებმა დაფარა. რამდენიმე ათეული პლაკატი ცაში აიჭრა.

ამასობაში მოახლოვდა თამაშის დაწყების დროც. მოედანზე წინასწარი ვარჯიშის ჩასატარებლად ორივე გუნდი გამოვიდა. თბილისელებს წინ კვლავ ჯემალ ზეინკლიშვილი მიუძღოდათ, რომლის ფეხი კარგადა აქვთ დაცდილი ქართველ ფეხბურთელებს.

მოედანზე გამოჩნდა ახალგაზრდა მსაჯი რუბენისი. გუნდები ერთმანეთის პირდაპირ გამწკრივდნენ. ტრიბუნებს ტა-

ში აზანზარებდა. მოედანზე გამოდიან ბათუმელი გულშემატკივრები. მათ თბილისელთა კაპიტანს, შოთა იამანიძეს, ჩამოკიდეს უზარმაზარი დაფნის გვირგვინი, რომელზეც ოქროს მედლების მსგავსად მანდარინები დაემაგრებინათ. იამანიძემ გვირგვინი სასწრაფოდ მოიხსნა; ბრძოლა ჯერ წინ იყო და ვინ იცის... შეიძლება ნაადრევი გამომდგარიყო ბათუმელთა საჩუქარი.

თამაში დაიწყო. ტორპედოელები პირველი წუთებიდანვე ეკვეთნენ თბილისელთა კარს. მათი ამოცანა ნათელი იყო, მოსკოველები ცდილობდნენ, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, პირველი ბურთი გაეტანათ, თანაც თამაშის დასაწყისში. ეს ბურთი იქნებოდა ქართველი ფეხბურთელების ფსიქოლოგიურად დამარცხების გარანტიაც, რადგან ისინი იშვიათად იგებენ თამაშს, თუ ანგარიში მოწინააღმდეგეს მიჰყავს.

თუმცა ეს იყო უწინ.

ტორპედოელებმა მართლაც ჩაატარეს რამდენიმე სახიფათო შეტევა. ერთხელ თბილისელთა კარი ძელმაც იხსნა. ფეხბურთელები ძალიან ღელავდნენ, მათ თამაშს აკლდა სიზუსტე, დამაჯერებლობა. არ გამოდიოდა გადაცემები. ეს ბუნებრივიცაა, ამ მატჩს ხომ მომავალი ჩემპიონი უნდა გამოევლინა! წინა ღამე ფეხბურთელებმა ნერვიულობაში გაატარეს. განსაკუთრებით ქართველი ფეხბურთელები ღელავდნენ, რომლებიც სანუკვარ მიზანთან პირველად იდგნენ ასე ახლოს. მთელს გუნდს ღამის ორ საათზე გამოელვიძა. მერე ვერ იქნა და ვერ დაიძინეს. განსაკუთრებით ღელავდა ყველაზე ახალგაზრდა და გამოუცდელი ფეხბურთელი რეხვიაშვილი. ძილში ბოდავდა კიდეც. მთელი ღამის ნერვიულობას არც მოედანზე გაუვლია.

ტორპედოელთა იერიში გრძელდებოდა. ისინი ძირითადად მარცხენა ფრთიდან უტევდნენ, სადაც სერგეევი კარგად მოქ-

მედებდა. დროდადრო თბილისელები მწვავე კონტრშეტევაზე გადადიოდნენ.

პირველ ტაიმში თბილისელთა მარცხენა გარემარბი მიხეილ მესხი თამაშიდან გამოთიშული იყო. მან ბურთი სულ რამდენჯერმე მიიღო, მაგრამ გასვლა ვერ მოახერხა, იერიში ძირითადად მარჯვენა ფრთიდან წარმოებდა. იამანიძემ მესხთან კავშირი ვერ დაამყარა, რადგან იგი ვორონინთან ორთაბრძოლით იყო გართული. იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს გუნდები ცალკე თამაშობდნენ, იამანიძე და ვორონინი კი ცალკე. მე ბევრჯერ მინახავს ამ შესანიშნავი ფეხბურთელების ორთაბრძოლა. მაგრამ მინდა გაგახსენოთ მათი უკანასკნელი შეხვედრა თბილისში. მაშინაც ვორონინი პირველ ტაიმში ჯაბნიდა იამანიძეს. ტორპედოელი ნახევარმცველი იყო მრავალი იერიშის ორგანიზატორი და ერთადერთი გოლის ავტორიც. მეორე ტაიმში კი სურათი შეიცვალა, იამანიძემ სძლია მეტოქეს, ახლა იგი ჩაუდგა იერიშებს სათავეში. რამდენჯერმე სახიფათოდ გაიჭრა მოსკოველთა კარისაკენ, გაიტანა ულამაზესი გოლი.

ასე იყო ტაშკენტის მატჩშიც, თუმცა ამაზე ქვემოთ...

პირველ ტაიმში ძირითადად ტორპედოელები უტევდნენ, მაგრამ არც თბილისელთა იერიშებს აკლდა სიმწვავე. ქართველმა ფეხბურთელებმა ორი ხელსაყრელი მომენტი გაუშვეს ხელიდან. მეტრეველი მოსკოველთა საჯარიმო მოედანზე მარჯვენა ფრთიდან შეიჭრა და ბურთი კარის გასწვრივ ჩამოაწოდა. ჯერ ბარქაიამ და მერე მესხმა ვერ მოახერხეს ამ ბურთისათვის ფეხის დახვედრება. ამ მომენტში გოლის გასატანად მეტი არაფერი იყო საჭირო.

მეორედ კი, შაპოვალენკოს შეცდომის შემდეგ, ცარიელ კარში გაგზავნილი ბურთი მცველებმა მოიგერიეს.

პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა. უნდა ითქვას, რომ დროის მიხედვით უპირატესობა ტორპედოელებს ჰქონ-

დათ. თუმცა სახიფათო მომენტების მხრივ ფარდობა თანაბარი იყო.

ნერვიულობამ არც მეორე ტაიმში გაიარა, თუმცა თამაშს მეტი გეგმიანობა ეტყობოდა. მოსკოველები კვლავ მარცხენა ფრთიდან უტევდნენ. თბილისელებმა ბრძოლა გაათანაბრეს. განსაკუთრებით კარგად თამაშობდნენ კოტრიკაძე და დათუნაშვილი. მახვილგონიერი პოზიციური ბრძოლა გააჩაღა ვლადიმერ ბარქაიამ. მეტრეველის გასვლები თანდათან უფრო სახიფათო ხდებოდა. მოედნის ცენტრი ახლა უფრო თბილისელების ხელში იყო. უკეთ ათამაშდა გიორგი სიჭინავა. იამანიძემ კი ვორონინს თანდათან აგრძნობინა თავისი ძალა და ახლა მესხმაც გაშალა ფრთები.

პირველი ბურთი მაინც მოსკოველებმა გაიტანეს. რეხვიაშვილმა ბურთი თავით მოიგერია და... პირდაპირ ივანოვს დაუსვა ფეხზე. ივანოვმა იმწამსვე ბურთი შჩერბაკოვს გაუჭრა. ამ უკანასკნელმა სამი თბილისელი მცველი მოატყუა და ბურთი თბილისელთა კარის დაბალ კუთხეში გაგზავნა.

იქუხა ტაშმა. ტორპედოელები სიხარულისაგან ხტოდნენ, ერთმანეთს კოცნიდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ მოედანი დატოვა მოსკოველთა კაპიტანმა ვალენტინ ივანოვმა.

„რასაკვირველია, სწორედ მოიქცა, – ჩაილაპარაკა ჩემს გვერდით მჯდომმა მოსკოველმა გულშემატკივარმა, – თამაში უკვე მოგებულია, ნატკენი ფეხი ტყუილუბრალოდ რატომ უნდა გაიღიზიანოს".

ასე როდი ფიქრობდნენ ქართველი ფეხბურთელები. მარცხმა ისინი დაამშვიდა, ნერვიულობა სადღაც გაქრა, ამოცანა თითქოს უფრო ლოგიკური და ნათელი გახდა, საჭირო იყო რამდენიმე გოლის გატანა, საჭირო იყო შეტევა და... შეტევაც დაიწყო. თბილისელებმა მოწინააღმდეგე საკუთარ საჯარიმო მოედანს მიაჯაჭვეს. ტორპედოელები იძულებულნი გახდ-

ნენ, ბურთი ზედიზედ აუტში გადაეგდოთ. გაჭირვების მომენტში არც კუთხურის ხაზზე გადაგდებას თაკილობდნენ. ისინი ნაადრევად დაადგნენ დროის გაყვანის ტაქტიკას. დათუნაშვილმა ზედიზედ ჩამოაწოდა. დატრიალებულ ბურთებს შაპოვალენკო ხელში ვერ იჭერდა და ისევ კუთხურზე გზავნიდა.

და აი, მორიგი კუთხური. ბურთი დატრიალდა და შაპოვალენკო მას მხოლოდ მაშინ მისწვდა, როცა ბურთმა ბადე შეარხია.

ცაში აიჭრა უამრავი შუშხუნა. სტადიონი მოქმედი ვულკანის კრატერს ჰგავდა. საოცარი, დიდებული სანახაობა იყო. ქართველი ფეხბურთელები პირველ გოლს ზეიმობდნენ. ისინი სასწრაფოდ დაბრუნდნენ მოედნის საკუთარ ნახევარზე და საბრძოლოდ ანთებულები თამაშის განახლებას ელოდნენ. გაოგნებულმა ტორპედოელებმა კი ბურთი ზლაზვნით წამოიღეს მოედნის ცენტრისაკენ. მაშინ ბარქაია ბურთთან მიიჭრა, თეთრ წერტილთან მიიტანა, გაასწორა და ტორპედოელებს ხელებით მოუხმო – აბა, ახლა ვითამაშოთ, ბრძოლა ახლა იწყებაო.

ნამდვილი ბრძოლა მართლაც ახლა დაიწყო. თბილისელებმა მოედნის ცენტრი ხელთ იგდეს და მოწინააღმდეგეს შეუტიეს. მთელი ძალით ამოქმედდნენ მესხი, მეტრეველი, ბარქაია, დათუნაშვილი. იამანიძემ საბოლოოდ სძლია ვორონინს. თბილისელებმა მოწინააღმდეგეს აჯობეს არა მარტო ტექნიკურ ბრძოლაში, არამედ პოზიციურშიც. აქ ტონის მიმცემი ვლადიმერ ბარქაია იყო.

მეორე ტაიმი მიიწურა. ანგარიში არ გაზრდილა. 1:1 – ასე გავიდნენ გუნდები შესვენებაზე. ოთხმოცდაათმა წუთმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. დაინიშნა დამატებითი დრო. ახლა ფეხბურთელებზე უფრო მაყურებლები ღელავდნენ. რას მოგვიტანს დამატებითი ოცდაათი წუთი?

„ვაითუ თასის ფინალის ისტორია განმეორდეს," – ალბათ ასე გაიფიქრა ბევრმა ქართველმა გულშემატკივარმა. თბილისის „დინამოს" ქომაგებს ეჭვი სანახევროდ მაშინ გაეფანტათ, როცა ქართველი ფეხბურთელები მოედანზე მხნედ, ხალისიანად გამოვიდნენ.

დაიწყო დამატებითი დრო. პირველი წუთებიდანვე აშკარად იგრძნობოდა თბილისელთა უპირატესობა. იერიში იერიშს მოსდევდა. შოთა იამანიძემ მცველი მოატყუა და ბურთი მესხს მიაწოდა. მიშა მოწინააღმდეგის კარისკენ ზურგით იდგა, მცველი მჭიდროდ იჭერდა, შებრუნება ვერ მოახერხა და ცოტა უკან დაიხია, მერე გეზი თანდათან ცენტრისაკენ აიღო და მარჯვენა ფრთისაკენ გადაინაცვლა. მცველი ლანდივით მისდევდა. ამ დროს მან ილია დათუნაშვილი დაინახა, იგი ელვის სისწრაფით მიქროდა კარისაკენ და ბურთს ითხოვდა. მიხეილ მესხმა გადაწოდება არ დააყოვნა, მაგრამ გადაცემა ზუსტი არ გამოუვიდა. დათუნაშვილი მიხვდა, რომ მოწინააღმდეგე ბურთთან უფრო ადრე გაჩნდებოდა, მაგრამ არ შეჩერებულა და ბურთისაკენ უფრო ენერგიულად გაექანა.

მცველი თითქოს დაიბნა, თბილისელთა მარჯვენა გარემარბმა აღარ დააყოვნა. ყუმბარისებურად დარტყმული ბურთი დაჭიმულ ბადეს მოხვდა და გარეთ გამოვარდა.

„ვულკანმა" ისევ ამოხეთქა. რამდენიმე ათეულმა შუშხუნამ ზეცა გადაანათა. ტაშმა ტრიბუნები შეაზანზარა.

სარაევმა ხელი თავში იტაცა. შაპოვალენკო ადგილზე გაქვავდა. უკან ჩამოსულმა სერგეევმა ხელზე იკბინა.

თბილისელები კი დათუნაშვილს შემოეხვივნენ, მიწაზე წააქციეს და ხვევნა-კოცნით კინაღამ გაგუდეს.

როცა სიხარულმა გამიარა, უეცრად შიშმა შემიპყრო. ტორპედოელებს კონტრშეტევის გარდა აღარაფერი დარჩენოდათ. საათს მივჩერებოდი. მინდოდა, პირველი 15 წუთი მალე დამთავრებულიყო, რომ კარის შეცვლის პერიოდში აღგზნე-

ბული ბიჭები უფრო დაწყნარებულიყვნენ. ახლა საჭირო იყო მშვიდი ბრძოლა.

თამაში განახლდა და მივხვდი, საშიში არაფერი იყო. აი, ბურთი მეტრეველმა მიიღო. თბილისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა უკან ჩამოიტოვა ორი მცველი და ბურთი მარცხენა ფრთაზე წინ გაჭრილ მიხეილ მესხს გადააწოდა. მცველმა ბურთის გადაჭრა მოინდომა, მაგრამ კარგად ვერ მისწვდა და პირიქით გამოუვიდა, გარღვევაზე გასულ თბილისელთა მარცხენა გარემარბს ბურთი ისე კარგად გაუსწორა, კაცი უკეთესს ვერ ინატრებდა. მიხეილ მესხმა პატარა ვირაჟი გააკეთა და საჯარიმო მოედანზე შეიჭრა.

შაპოვალენკო დაიბნა, წინ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მაგრამ მერე შეჩერდა. აღარ იცოდა, რა ექნა, კარში დარჩენილიყო თუ ფეხებში ჩასავარდნად გასულიყო. სანამ ტორპედოელთა მეკარე ფიქრობდა, მიხეილ მესხს უკვე ყველაფერი მოფიქრებული ჰქონდა და უძლიერესი დარტყმით ბურთი დაბალ კუთხეში გაგზავნა – 3:1.

ისევ ამოქმედდა „ვულკანი“, რამდენიმე მაშხალა მოედანზეც დავარდა. მაგრამ ამას ვინღა აქცევდა ყურადღებას! როცა დაღონებულმა შაპოვალენკომ კარიდან მესამე ბურთი გამოიტანა, მივხვდი, რომ უკვე საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გავხდით.

მსაჯის სასტვენის ხმა. მოწინააღმდეგეებმა კარი შეცვალეს. თამაში კიდევ უფრო ლამაზი და მიმზიდველი ხდება. სადღაა პირველი ტაიმის ნერვიულობა და დაბნეულობა!

შოთა იამანიძემ მორიგი რეიდი წამოიწყო. წინ, მარცხენა ფრთისაკენ მხოლოდ მესხი და მისი მცველი დაინახა. მცველი დაიბნა, აღარ იცოდა მესხს გასდევნებოდა თუ იამანიძისთვის საჯარიმო მოედნისაკენ გზა გადაეჭრა. ბოლოს მან მესხი მიატოვა და შოთას უხეშად დაეჯახა. შოთამ მაინც მოახერხა და ბურთი თავისუფალ ადგილზე გასულ მარცხენა გარე-

მარბს გაუგდო. თვითონ კი ძირს დავარდა და ტკივილისაგან კრუნჩხვა დაიწყო.

მესხი ისეთ ხელსაყრელ პოზიციაში იყო, რომ ახლა თამაშის შეჩერება დანაშაული იქნებოდა. მსაჯი არ დაბნეულა, მიხეილ მესხს ხელით ანიშნა – თამაში გააგრძელეო და თვითონ თბილისელთა კაპიტანთან მივარდა. თან ძირს დაცემულს შველოდა, თან მიხეილ მესხის მოძრაობას თვალს არ აშორებდა. თბილისელთა მარცხენა გარემარბი საჯარიმო მოედნამდე მივიდა და ბურთი კარის გასწვრივ ჩააწოდა. კარისკენ ერთდროულად გაიჭრნენ მეტრეველი, ბარქაია, დათუნაშვილი.

სარაევს ისღა დარჩენოდა, რომ ბურთი ხელით გაეჩერებინა. მსაჯმა შესაფერისი განაჩენი გამოიტანა. ბურთი თეთრ წერტილზე დადეს. წინ მხოლოდ თერთმეტი მეტრი იყო. სლავა მეტრეველმა იცოდა თავისი საქმე...

ტაბლოზე აინთო 4:1.

იქუხა ტაშმა, მაშხალები კი აღარსად ჩანდა. თბილისელთა გულშემატკივრები მეოთხე ბურთს ალბათ აღარ ელოდნენ, ყველა მაშხალა მესამე ბურთმა შეიწირა.

იერიშები კი არ ცხრებოდა. ზედიზედ უტევდნენ მეტრეველი და დათუნაშვილი.

იამანიძემ ახალი რეიდი წამოიწყო, მოატყუა ორი მცველი და უძლიერესი დარტყმით ბურთი კარისაკენ გაგზავნა. „ტორპედო" მეხუთე გოლისაგან ძელმა იხსნა. ბურთთან დათუნაშვილი მიიჭრა, ისევ დარტყმა, – ბურთი ისევ ძელს მოხვდა.

თამაშის დამთავრებამდე წუთებიღა რჩებოდა. ბარქაიამ ბურთი მიიღო და კენწვლა დაიწყო, მას არც გიორგი სიჭინავა ჩამორჩა. შემდეგ მაღალი ბურთი იამანიძეს მიაწოდეს. თბილისელთა კაპიტანმა ბურთი მკერდით აათამაშა და მესხს გაუგდო. მიშამ თავისი ფინტი გააკეთა, ბურთი დაატრიალა.

მსაჯის საფინალო სასტვენის ხმა 80 ათასი კაცის გუგუნმა დაფარა. თბილისის „დინამო" საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა.

ბევრმა გულშემატკივარმა თავი ვერ შეიკავა და მოედანზე გადავიდა. ხვევნა-კოცნას დასასრული აღარ უჩანდა. სტუმართმოყვარე ტაშკენტელები გამარჯვებას გვილოცავდნენ. თითქოს ყველას უნდოდა, ეს დღე რაღაცით აღენიშნა. მასპინძლები გვთხოვდნენ, გაგვეცვალა კალმისტრები, საათები, ქართველი გულშემატკივრების ნაჩუქარი ნივთებისთვის ისეთ მადლობას იხდიდნენ, თითქოს ეს ჩვენი ფეხბურთელების, საბჭოთა კავშირის ახალი ჩემპიონების ნაჩუქარი სამახსოვრო სუვენირები ყოფილიყოს.

როგორც იქნა, მოედნიდან განდევნეს ყველა „ურჩი" გულშემატკივარი. საბჭოთა ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა ა. მოშკარკინმა შოთა იამანიძეს გადასცა დიდი ხნის ნანატრი ჯილდო – საბჭოთა კავშირის ჩემპიონის გარდამავალი თასი. პატარა ბიჭუნებმა თაიგულები და უზბეკური ქუდები მიართვეს ქართველ ფეხბურთელებს.

ტრიბუნებზე აგიზგიზდა ათიათასობით ჩირაღდანი. ახალმა ჩემპიონმა დაიწყო საპატიო წრის შემოვლა. 80 ათასი კაცი შეწყობილი ტაშით ესალმებოდა „ოქროს ბიჭებს": შოთა იამანიძეს, სერგო კოტრიკაძეს, ბორის სიჭინავას, ჯემალ ზეინკლიშვილს, გურამ ცხოვრებოვს, გიორგი სიჭინავას, ილია დათუნაშვილს, ვლადიმერ ბარქაიას, სლავა მეტრეველს, მიხეილ მესხს, გურამ პეტრიაშვილს, ალექსანდრე აფშევს. მათ წინ მიუძღვებოდნენ უფროსი მწვრთნელი გავრიილ კაჩალინი, გუნდის უფროსი ავთანდილ ღოღობერიძე და მწვრთნელი ალიოშა კოტრიკაძე.

წარმატება, რომელსაც თბილისის „დინამომ" მიაღწია, შემთხვევითი არ ყოფილა. ქართველმა ფეხბურთელებმა ბევრ-

ჯერ მოიპოვეს ვერცხლის მედლები, უფრო მეტჯერ – ბრინჯაოსი და ოთხჯერ გავიდნენ საკავშირო თასის ფინალში.

ქართული ფეხბურთი ყოველთვის იყო ტექნიკური, შემტევი, ლამაზი, დახვეწილი. თბილისის „დინამოს" არასოდეს აკლდა მაღალი კლასის ფეხბურთელები. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქის სტადიონებზე ყოველთვის დიდი ინტერესით ხვდებიან ქართველი ფეხბურთელების გამოსვლას. საბჭოთა კავშირისა და ოლიმპიური ნაკრები გუნდების ღირსებას ხშირად იცავდნენ თბილისის „დინამოს" წარგზავნილები. მათ თამაშს მაღალ შეფასებას აძლევდნენ მსოფლიო ფეხბურთის საუკეთესო სპეციალისტები.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საფეხბურთო ჯილდო კი ვერ იქნა და ვერ მოიპოვეს.

1964 წელი ყველაზე ბედნიერი გამოდგა თბილისის „დინამოს" გულშემატკივრებისათვის. თუმცა სეზონი არცთუ ისე სახარბიელოდ დაიწყო (ქულებს არ ვგულისხმობ), გუნდს პირველი დღიდანვე აკლდა გივი ჩოხელი, სერგო კოტრიკაძე, მურთაზ ხურცილავა. ავადმყოფობის გამო მთელი ძალით ვერ თამაშობდა მიხეილ მესხი. ამას დაერთო მწვრთნელის შეცვლაც. სწორედ ამ პერიოდში დაკარგა გუნდმა ყველაზე მეტი ქულა, მაგრამ გამარჯვება მაინც ქართველმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს.

თბილისელთა წარმატების მიზეზებიდან გამოვყოფ სამს:

1. თბილისის „დინამო" არის ერთ-ერთი ისეთი გუნდი, რომელმაც საუკეთესოდ აითვისა ფეხბურთელთა ახალი, ბრაზილიური განლაგება (1-4-2-4), რომელსაც სჭირდება ძალზე მაღალტექნიკური ფეხბურთელები, თორემ სხვანაირად ეს აგრესიული სისტემა დაცვით სისტემად გადაიქცევა. ამის მაგალითი ბევრია.

თბილისის „დინამოს" რიგებში არიან ისეთი მაღალტექნიკური ფეხბურთელები, რომლებიც მსოფლიოს ბევრ სახელ-

განთქმულ კლუბს დაამშვენებდნენ. ეს ძირითადად ითქმის თავდამსხმელებსა და ნახევარმცველებზე. და თუ ქართველ ფეხბურთელებს 13 მატჩში არცერთი ბურთი არ გაუშვიათ, ამაში თავდამსხმელების აგრესიულობასაც მიუძღვის დიდი წვლილი, თუმცა თბილისელთა დაცვამ მთელი სეზონი ძლიერად და თანაბრად ჩაატარა;

2. უკანასკნელ ჩემპიონატში თბილისელები ფიზიკურად საუკეთესოდ იყვნენ მომზადებულნი და სწორედ ამიტომ მეორე წრეში ქართველი ფეხბურთელები თითქმის ყველა მეორე ტაიმს იგებდნენ. ტაშკენტში აშკარად გამოჩნდა თბილისელთა მაღალი ფიზიკური მომზადება;

3. გუნდის ფსიქოლოგიური მხარე ყოველთვის იყო თბილისის „დინამოს“ აქილევსის ქუსლი. ერთი წუთითაც კი არ გვინდა ეჭვი შევიტანოთ შესანიშნავი მწვრთნელისა და ბრწყინვალე სპეციალისტის, მიხეილ იაკუშინის მეთოდებში, მაგრამ გუნდში გავრიილ კაჩალინის მოსვლამ გადაწყვიტა თბილისელთა წარმატება. კაჩალინმა შეძლო ბიჭებისათვის გამარჯვების რწმენა ჩაენერგა, ასწავლა მოწინააღმდეგეთა მოედანზე მოგება. თუ ადრე, უმრავლეს შემთხვევაში, პირველი ბურთი თბილისელთა კარში საბედისწერო იყო, წელს ორ უდიდეს საპასუხისმგებლო შეხვედრაში თბილისის დინამოელებმა მოიგეს წაგებული თამაში.

გავიხსენოთ მატჩი როსტოვის არმიელებთან იქაურ „როსტსელმაშის“ სტადიონზე. პირველმა გაშვებულმა ბურთმა როდი დააბნია ქართველი ფეხბურთელები, პირიქით, მათ ორგანიზებულად შეუტიეს მოწინააღმდეგის კარს და სასურველ გამარჯვებასაც მიაღწიეს.

თუკი თბილისის „დინამო“ ჩემპიონი გახდება, ამ მატჩის მოგებით გახდებაო, – თქვა მაშინ ბევრმა სპეციალისტმა.

სხვათა შორის, ეს იყო ერთადერთი მატჩი 1964 წლის ჩემპიონატში, როცა მასპინძელი თამაშს იგებდა, ხოლო მოედანი

დამარცხებულმა დატოვა. იყო მეორე შემთხვევაც, ეს უკვე ტაშკენტში. ამჯერადაც გამარჯვება თბილისელებს დარჩათ, ამ გამარჯვებამ კი დიდი ხნის ნანატრი ოქროს მედლები მოგვიტანა.

განა დიდი ფსიქოლოგიური მომზადებისა და გამარჯვების ღრმა რწმენაზე არ მოწმობს ტაშკენტის მატჩი? მეორე ტაიმის დამთავრებას 17 თუ 18 წუთი აკლდა. ანგარიში კი იყო 1:0 ტორპედოელთა სასარგებლოდ. მატჩის დასასრულს კი ტაბლოზე ეწერა 4:1 – გაიმარჯვეს თბილისელებმა.

აი, ძირითადად ამ სამმა მიზეზმა განაპირობა ქართველი ფეხბურთელების დიდი გამარჯვება.

გავრიილ კაჩალინი საფეხბურთო თეორიის დიდი მცოდნეა. მას არც პრაქტიკული გამოცდილება აკლია. მან არა მარტო შესანიშნავად მოამზადა გუნდი ტაქტიკურად, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად, არამედ მიაგნო შემადგენლობის საუკეთესო ვარიანტსაც.

შევადაროთ იაკუშინისეული თავდასხმის ხაზი კაჩალინის მიერ შერჩეულ თავდამსხმელებს. იაკუშინის დროს წინ იყვნენ მეტრეველი, ბარქაია, აფშევი, მესხი.

თბილისელთა თავდასხმაში იყო ორი შესანიშნავი გარემარბი და ერთიც სტრატეგი. საჭირო იყო ტარანის ტიპის თავდამსხმელი. ეს ფუნქცია დაეკისრა ალექსანდრე აფშევს.

მან თავი ვერ გაართვა ცენტრალური თავდამსხმელის მოვალეობას. აფშევი არ იყო ის ცენტრალური თავდამსხმელი, რომელიც თბილისის „დინამოს“ სჭირდებოდა, არც თამაშის მანერით და არც კლასით.

კაჩალინმა კი თავდასხმა ასე დააყენა: დათუნაშვილი, ბარქაია, მეტრეველი, მესხი.

ეს შემადგენლობა აშკარად სჯობდა იაკუშინისეულს. სლავა მეტრეველმა, ამ ნიჭიერმა, მრავალმხრივი ტალანტის ფეხბურთელმა ბრწყინვალედ შეძლო ცენტრალური თავდამსხმელის ფუნქციის შესრულება. მან თავდასხმის ცენტრში შექმნა

მეტად სახიფათო ზონა და გარემარბებს მეტი მოქმედების საშუალება მისცა. სლავა ახალ ადგილზეც ძლიერი იყო პოზიციურ ბრძოლაში, კარსაც გამუდმებით უტევდა. ტაშკენტის მატჩის ჩათვლით მან 12 ბურთი გაიტანა.

გაამართლა ილია დათუნაშვილმაც, ამ წესიერმა, თავდაჭერილმა და მონდომებულმა სპორტსმენმა. წლევანდელ სეზონში განსაკუთრებით მოსაწონი იყო მისი აგრესიულობა და კარგი ალღო. ილია დათუნაშვილმა 23 მატჩი ითამაშა, მიუხედავად ამისა, მის ანგარიშზე 12 ბურთია. ტაშკენტში კი დათუნაშვილი ნამდვილად მატჩის გმირი იყო.

დაცვაშიც მოსაწონი იყო კაჩალინის არჩევანი, თუმცა ასეთ არჩევანს ბევრი არ ელოდა. რეხვიაშვილი მატჩიდან მატჩამდე იზრდებოდა. იგი საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრების შემადგენლობაშიც კი შეიყვანეს.

რასაკვირველია, ფეხბურთელებს ყველა მატჩი თანაბარი სიძლიერით არ უთამაშიათ, მაგრამ თუ მთელი სეზონის შედეგებით ვიმსჯელებთ, თბილისის დინამოელები მართლაც რომ ქების ღირსნი არიან. კარგად ჩაატარა სეზონი სერგო კოტრიკაძემ.

მონდომებულად ითამაშა ბორის სიჭინავამ, მან გადამწყვეტ მომენტებში სამჯერ გაახვია ბურთი მოწინააღმდეგის კარის ბადეში და მცველთა შორის №1 ბომბარდირის სახელი მოიპოვა. მისაბაძი იყო ჯემალ ზეინკლიშვილი თავისი ენერგიითა და მონდომებით. მისმა თავდადებულმა თამაშმა გუნდს ბევრი სარგებლობა მოუტანა. არაერთხელ და ორჯერ დაიმსახურა ქება გურამ ცხოვრებოვის ოსტატურმა თამაშმა.

თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველები ალბათ ყველა გუნდს შეშურდება. გიორგი სიჭინავამ ძალზე აიმაღლა თამაშის კლასი. იგი საბჭოთა კავშირის ნაკრებში შეიყვანეს და დიდ წარმატებასაც მიაღწია. აი, რას წერდა მასზე იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების შეხვედრის შემდეგ ბულგარეთის გაზეთი „ნაროდენ სპორტი“: „შეუ-

დარებელი იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების მეორე წყვილი ვ. ვორონინი, გ. სიჭინავა. აი, ამ ოთხეულმა (წინ ლაპარაკი იყო მესხზე და მეტრეველზე, – გ. ფ.) გასწია ყველაზე დიდი ჯაფა".

საბჭოთა კავშირის მწვრთნელმა ნ. მოროზოვმა კი თქვა: გიორგი სიჭინავამ გაგვიმართლა იმედებიო.

შოთა იამანიძე ყოველთვის იყო იერიშების ორგანიზატორი, დაცვისა და თავდასხმის მთავარი შემაერთებელი რგოლი. თვითონაც ხუთჯერ აიძულა მოწინააღმდეგეთა მეკარეები, ბურთი ბადიდან გამოეტანათ.

კვლავ მომხიბვლელი იყო ვლადიმერ ბარქაია. მახვილგონივრული გადაცემები, ბრწყინვალე კომბინაციური ალღო განსაკუთრებით ემოციურს ხდიდა თბილისელთა ცენტრალური თავდამსხმელის თამაშს.

ოპერაციის შემდეგ მიშა მესხმა ისევ მოაგონა მცველებს თავი.

როდესაც საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა გამოაქვეყნა 1964 წლის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სია, უძლიერესთა შორის 9 ქართველი ფეხბურთელი აღმოჩნდა, ხოლო მათ შორის შოთა იამანიძე, მიხეილ მესხი და სლავა მეტრეველი თავიანთ ადგილებზე პირველ ნომრებად არიან დასახელებული.

დღეს ბევრი გუნდი დაცვითი ვარიანტით თამაშობს. მასირებული დაცვა მოდად იქცა. თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ კი თითქმის ყველა გუნდი საგანგებოდ გაძლიერებული დაცვით გამოდიოდა. ჩვენი თავდამსხმელებისა და ნახევარმცველების დიდ ტექნიკას, მონდომებასა და გამარჯვების რწმენას მაინც თავისი გაჰქონდა. ბოლოს და ბოლოს თბილისის „დინამომ" სისტემაში მოიყვანა თავისი ტალანტი. მწვრთნელისა და ფეხბურთელების მონდომებული მუშაობის შედეგად ერთმანეთს შეერწყა ტექნიკა, ტაქტიკა, ფიზიკური მომზადება, რწმენა, გამარჯვებისაკენ სწრაფვა.

თბილისის „დინამომ“ ღირსეულად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული. გუნდმა გაუძლო მარათონულ ასპარეზობას, ბოლომდე შეინარჩუნა სულიერი სიმტკიცე, გამარჯვების რწმენა. თუ თვალს გადავავლებთ ამ უძნელეს, უკანასკნელ წუთამდე დაძაბულ ჩემპიონატს, კიდევ უფრო თვალნათლივ დავრწმუნდებით, რომ ქართველმა ფეხბურთელებმა დამსახურებულად მოიპოვეს ოქროს მედლები. თბილისელებმა წააგეს მხოლოდ ოთხი მატჩი, ყველაზე ნაკლები ჩემპიონატის მონაწილე გუნდებს შორის. არცერთ გუნდთან თბილისის „დინამოს“ არა აქვს ქულათა უარყოფითი ბალანსი.

ქართველმა ფეხბურთელებმა არა მარტო გაუძლეს მარათონული ჩემპიონატის უმძიმეს დატვირთვას, არამედ პირიქით, უკანასკნელ მატჩებში მოიპოვეს საუკეთესო შედეგები. 11 აგვისტოდან მოყოლებული გუნდს არ წაუგია არცერთი შეხვედრა. ჩემპიონობის მეორე პრეტენდენტს, ვერცხლის მედლების მფლობელს მოსკოვის „ტორპედოს“ ამ ჩემპიონატში თბილისელები შეხვდნენ სამჯერ. აქედან ერთი თამაში ფრედ დაამთავრეს და ორი მოიგეს. საერთო ანგარიშია 8:3 ქართველ ფეხბურთელთა სასარგებლოდ. თბილისის დინამოელებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს შემტევი, ტექნიკური ფეხბურთის უპირატესობა.

გატყდა ნავსი, დაინგრა ფსიქოლოგიური ბარიერი. ჩემპიონის თასმა თბილისში გადმოინაცვლა. ეს ერთი და სხვა ათასი!

იყო დრო, როცა ძირითადი ფეხბურთელის ავადმყოფობისა გვეშინოდა. გუნდში შემცვლელი მოთამაშე არ გვეგულებოდა. შარშან გაგვახარეს ჩვენმა სათადარიგო ფეხბურთელებმა; ჩემპიონატში 49 ქულა მოაგროვეს, პირველი ადგილი დაისაკუთრეს და საპატიო პრიზიც მოიპოვეს. თბილისის „დინამოს“ სათადარიგო შემადგენლობაში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია. გ. ხარატიშვილი, ე. ხუციშვილი, ნ. მაისურაძე

და ვ. ჭელიძე დღესაც თავისუფლად შეიძლება ძირითად შემადგენლობაში გამოვიყვანოთ. მოწონებას იმსახურებს ნ. ლეჟავას, ო. ნარსიას, ვ. ძიძიგურის, ა. ილიადის, დ. ვეკუას, ვ. კოპინისა და თ. სახვაძის თამაში. ცალკეული ფეხბურთელები გამოირჩევიან მაღალი ტექნიკით, კომბინაციური ალღოთი, მაგრამ, რაც მთავარია, გუნდს აქვს ჩამოყალიბებული სახე, თამაშის მაღალი კულტურა. ფეხბურთელებს აქვთ ფართო მანევრირების უნარი. გუნდს შეუძლია სიტუაციის მიხედვით თამაშის გეგმის შეცვლა მატჩის მსვლელობაში. ამიტომაც იყო, რომ სათადარიგო ფეხბურთელების შეხვედრებზე სტადიონი თითქმის ივსებოდა.

თბილისის „დინამო“ 1964 წლის უკანასკნელ კალენდარულ მატჩს ატარებდა საკუთარ მოედანზე. შესვენების დროს მთავრობის ტრიბუნების წინ გამწკრივდა თბილისელთა სათადარიგო შემადგენლობა. ჩემპიონატში გამარჯვებულები დააჯილდოვეს სპეციალური პრიზით. გუნდმა შემოიარა საპატიო წრე. ტრიბუნებზე ტაშმა იგრიალა. 50 ათასი გულშემატკივარი მხურვალედ მიესალმა ქართული ფეხბურთის ხვალინდელ დღეს!

გუნდის კაპიტანი

1964 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის მესამე მატჩი ტარდებოდა. თბილისის „დინამო“ საკუთარ მოედანზე ხვდებოდა გორკის „ვოლგას“. სტადიონის ტრიბუნები ხალხით იყო გაჭედილი. თამაშის დაწყების წინ დიქტორმა მაყურებლებს აუწყა, რომ თბილისის „დინამოს“ კაპიტანი შოთა იამანიძე ატარებდა მეორასე მატჩს ქვეყნის პირველობაზე.

ორმოცი ათასი მაყურებელი მქუხარე ტაშით მიესალმა იუბილარს. ტრიბუნებზე მისასალმებელი ტაში ჯერ კიდევ

არ იყო მიმცხრალი, რომ მესხის მიერ მარცხენა ფრთიდან ჩამოწოდებული ბურთი შოთა იამანიძემ ულამაზესი თავური დარტყმით მოწინააღმდეგის კარის ბადეში გაახვია.

ტრიბუნებზე ისევ იქუხა ტაშმა. მაყურებლები წარმატებას ულოცავდნენ ქართული ფეხბურთის მესამე თაობის კაპიტანს – შოთა იამანიძეს.

I

1960 წელს თოვლი ნაადრევად მოვიდა მოსკოვში. ოქტომბრის შუა რიცხვებში ყინვები დაიჭირა. სწორედ ამ დროს თბილისის დინამოელები საბჭოთა კავშირის თასის ნახევარფინალში შეხვდნენ დონეცკის „შახტიორს". მოედანზე სუსხიანი ქარი უბერავდა. თერმომეტრი მინუს 22 გრადუსს აჩვენებდა. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის ტრიბუნებზე ოთხი ათასი კაცი თუ იქნებოდა. ეს თავზეხელაღებული გულშემატკივრები ისე იყვნენ გაბნეულნი სტადიონის უზარმაზარ ტრიბუნებზე, რომ გეგონებოდათ, მატჩს სულ რამდენიმე კაცი ესწრებაო.

არც ფეხბურთელებს ადგათ კარგი დღე. გაყინული თოვლი სახეში სცემდათ, სუსხიანი ქარი ძვალსა და რბილში ატანდა.

ორი ტაიმი მიიწურა, ანგარიში კი თანაბარი იყო. დაინიშნა დამატებითი ტაიმი. უკანასკნელი წუთები იწურებოდა, ანგარიში კი ისევ 1:1 იყო. უკვე ყველა ფიქრობდა, რომ მოწინააღმდეგენი მეორე დღეს კვლავ შეხვდებოდნენ ერთმანეთს. ამ დროს ბურთი ვიღაცამ აუტში გადააგდო. სანამ პატარა ბიჭუნა ბურთს მოიტანდა, ფეხბურთელებმა ერთი წუთით შეისვენეს. სწორედ ამ დროს ჩაულაპარაკა მიხეილ მესხს ერთმა დონეცკელმა მცველმა:

„ამ ყინვაში ხვალ რაღა გამომიყვანს მოედანზე! ჯანდაბას, თქვენ მაინც მოგეგოთ..."

მიხეილ მესხმა ეს სურვილი ზუსტად ნახევარი წუთის შემდეგ შეუსრულა „შახტიორის" ფეხბურთელს. მან ულამაზესი ბურთი გაახვია დონეცკელთა კარის ბადეში. თბილისის „დინამო" გავიდა თასის ფინალში.

დაღლილობა ყველას დაავიწყდა, გამარჯვებამ ბიჭებს ფრთები შეასხა. მატჩამდე მხოლოდ ორი დღე რჩებოდა. 31 ოქტომბერს თბილისელები უნდა შერკინებოდნენ მოსკოვის ტორპედოელებს. ახლოვდებოდა მატჩის დღე და მატულობდა მღელვარება.

გათენდა 30 ოქტომბერი. ანდრო ჟორდანიამ ბიჭები სასტუმრო „პეკინის" ეზოში ჩაიყვანა და მსუბუქად ავარჯიშა. საუზმის შემდეგ კი ყველამ მწვრთნელის ოთახში მოიყარა თავი. ეს წუთები არასოდეს დაავიწყდება შოთა იამანიძეს. გადაწყდა, მოედანზე გუნდი მას გამოეყვანა.

შოთას ადრეც ბევრჯერ შეუცვლია თბილისელთა შესანიშნავი კაპიტანი ავთანდილ ღოღობერიძე. მაგრამ წინა მატჩები ან ჩვეულებრივი, რიგითი სატურნირო მატჩები იყო, ან ამხანაგური შეხვედრები. ამჯერად კი შოთა იამანიძეს ეკისრებოდა უდიდესი პასუხისმგებლობა – იგი გუნდს სათავეში უნდა ჩასდგომოდა ყველაზე გადამწყვეტ მომენტში. ასეთ დაძაბულ მატჩში ყველაფერი დამოკიდებულია ნერვებზე, მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიურად დამარცხებაზე. სწორედ აქ უნდა იყოს კაპიტანი მაგალითის მიმცემი. მარტო ის როდი კმარა, რომ კაპიტანმა კარგად ითამაშოს. მან უნდა უხელმძღვანელოს გუნდს, შეანელოს დაძაბულობა, მეგობრებს შემატოს სიმხნევე, თამაში წარმართოს მშვიდად და გეგმიანად.

ეს მხოლოდ იმ ფეხბურთელს შეუძლია, რომელსაც გუნდი ენდობა. შოთა იამანიძეს ენდო თბილისის „დინამო" ყველაზე კრიტიკულ მომენტში. მას უნდა შეეცვალა უდიდეს ფსიქოლოგიურ ორთაბრძოლებში გამობრძმედილი ავთანდილ ღო-

ღობერიძე (თუმცა ფორმალური მიზეზების გამო იმ დღეს გუნდი უშუალოდ მას არ გაუყვანია მოედანზე, მაგრამ ბრძოლას კი თვითონ ხელმძღვანელობდა).

შოთა იამანიძემ მთელი სიღრმით მხოლოდ ახლა იგრძნო, თუ რას ნიშნავს გუნდის კაპიტნობა, იგრძნო და მღელვარებამ შეიპყრო.

ის დღეები მე ქართველ ფეხბურთელებთან გავატარე. თამაშის წინა ღამეს დასაძინებლად ყველანი ადრე დაწვნენ, მაგრამ მათ თვალებს რული არ ეკარებოდა. შოთას ფეხი სტკიოდა. წინა თამაშზე ტერფი მძიმედ დაიზიანა. არც მასაჟმა უშველა, არც წამლებმა, არც აბაზანებმა. მის ადგილზე ბევრი ფეხბურთელი ალბათ არც კი გამოვიდოდა მოედანზე. შოთამ გადაწყვიტა, თამაშის წინ ტერფში ნოვოკაინის ოთხი ნემსი გაეკეთებინა და ტკივილი გაეყუჩებინა. მან კარგად იცოდა, რა ჯოჯოხეთური ტკივილები შეიპყრობდა, როცა წამალი ძალას დაკარგავდა, მაგრამ მეტი გამოსავალი არ იყო. ყველანი ღელავდნენ, ცდილობდნენ ფეხბურთზე არ ელაპარაკათ, მაგრამ მათი გონება მხოლოდ მომავალ მატჩს დასტრიალებდა.

ანდრო ჟორდანიამ შოთას უდიდესი დავალება მისცა როგორც ფეხბურთელსაც. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო პირველი მატჩი, როცა თბილისელებმა ოთხი მცველის სისტემა გამოიყენეს. შოთა იამანიძეს მწვრთნელმა მარცხენა შუამარბის როლი მიანდო და მასვე დაევალა უკანდახეული ნახევარმცველის დანაკლისის ანაზღაურება მოედნის ცენტრში. ეს კიდევ ერთხელ მოწმობდა, რომ მწვრთნელს სწამდა შოთა იამანიძის მოქმედების ფართო დიაპაზონისა. ასეთი თამაში ხელს აძლევდა ტორპედოელთა ნიჭიერ ნახევარმცველს ვალერი ვორონინს, რომელსაც ფინალში შოთას მეურვეობა ჰქონდა დავალებული. თუ შოთა იამანიძე ძირითადად მოედნის ცენტრში იტრიალებდა, ვორონინს საშუალება ექნებოდა,

უფრო ხშირად შეეტია თბილისელთა კარისათვის. ეს გეგმა ყველაზე უფრო ზაურ კალოევს არ მოსწონდა.

– ჯობია, შენ სულ თავდასხმაში იყო და ვორონინი ჩვენს საჯარიმო მოედანს არ გააკარო, თორემ ხომ იცი მაგის შორიდან დარტყმული ბურთების ძალა! – ეუბნებოდა შოთას თბილისელთა ცენტრალური თავდამსხმელი.

ეს ამბავი შოთასაც ძალიან აფიქრებდა. მეორე დილით მან მითხრა: „თუ მიშამ კარგად ითამაშა, მაშინ ვორონინი ვერ გაბედავს წინ წასვლას, მესხს მედაკინის ამარა ვერ მიატოვებსო".

და აი, 31 ოქტომბრის საღამოს 7 საათზე მოსკოვის „ტორპედო" და თბილისის „დინამო" წარდგნენ ერთმანეთის წინაშე.

ამ მატჩზე აღარაფერს ვიტყვი. ეს დაუვიწყარი შეხვედრა ამ წიგნის პირველ წერილში მაქვს აღწერილი. თამაშის ტრაგიკული ფინალის შემდეგ შოთა იამანიძემ თვალი შეავლო ჟურნალისტებითა და ფოტორეპორტიორებით გარშემორტყმულ, სიხარულით სახეგაბრწყინებულ ტორპედოელებს და აცრემლებულ ბიჭებთან ერთად მოედნიდან გავიდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ისინი ინგლისში გაემგზავრნენ. აეროდრომზე ბევრი ვისაუბრეთ. ანდრო ჟორდანია კმაყოფილებით ამბობდა:

– შოთამ ნამდვილად გაამართლა. იგი კარგი ფეხბურთელია და კარგი კაპიტანიც იქნება.

ფინალურ შეხვედრაში დაძაბული და უსამართლო მომენტიც ბევრი იყო, ამ დროს ყველაფერი დამოკიდებული იყო ფეხბურთელის თავდაჭერილობაზე. განსაკუთრებით მაშინ, როცა მსაჯმა უსამართლოდ ჩათვალა ჩვენს კარში თამაშგარეშე მდგომარეობიდან გატანილი ბურთი. მე, ცოტა არ იყოს, მეშინოდა შოთას სიფიცხისა, მაგრამ როცა მას პროტესტი არ გაუვიდა, შურისძიებით ანთებულმა ბიჭებს ბრძოლისკენ მოუწოდა და მაგალითიც თვითონვე მისცა. ზუსტად

ერთი წუთის შემდეგ საპასუხო ბურთი „ტორპედოს" კარის ბადეში აღმოჩნდა.

ანდრო ჟორდანია არ შემცდარა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, შოთა იამანიძე დღესაც ღირსეულად უდგას გუნდს სათავეში. მან თავისი მეგობრების დიდი სიყვარული, პატივისცემა და ნდობა დაიმსახურა. თბილისის დინამოელები ყოველთვის უფრო თამამად და გაბედულად მოქმედებენ, როცა მოედანზე შოთა იამანიძეა, მაშინაც კი, როცა თბილისელთა კაპიტანი ცუდ ფორმაშია და თამაში არ გამოსდის.

შოთა იამანიძის თავდაჭერილობას, ტაქტსა და კულტურას მარტო ქართველი ფეხბურთელები როდი სცემენ პატივს. 1962 წელს საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების წევრებმა ბრაზილიაში გამგზავრების წინ კაპიტნად შოთა აირჩიეს.

ეს იყო შოთა იამანიძის საუკეთესო შეფასება როგორც სპორტსმენისა და როგორც ადამიანისა.

თბილისელთა კაპიტანი მომავალი ინჟინერია. იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის უკანასკნელ კურსზეა. მას ძალზე იტაცებს თავისი პროფესია.

„ფეხბურთს რომ თავს დავანებებ, იმავე წუთს ჩემს სპეციალობას დავუბრუნდები. ჩემი ოცნებაა თბილისში ავაშენო იმოდენა სტადიონი, რომ ყველა მატჩზე ბილეთები თავისუფლად იშოვებოდეს," – თქვა ერთხელ ღიმილით შოთამ.

II

ვარციხის ქუჩაზე არის ერთი პატარა მრგვალი ეზო. მეორე სართულზე ბინები ერთმანეთს თაღისმაგვარი ხიდებით უკავშირდება. ამ ხიდებზე გაეცნო პირველად პატარა შოთა ფეხბურთის ანბანს.

ბურთის თამაშს მხოლოდ მაშინ ანებებდა თავს, როცა ძალზე ჩამობნელდებოდა და ბურთის გარჩევა აღარ შეიძლებოდა. „მოედანიც“ ძალიან პატარა ჰქონდა, სულ რამდენიმე კვადრატული მეტრი. თამაშის დროს შოთა ცდილობდა „მოედნის“ ყოველი გოჯი „რაციონალურად“ გამოეყენებინა. პირველად სწორედ აქ შეისისხლხორცა ბურთის დამუშავების ტექნიკა.

პირველად შოთა მე-19 საშუალო სკოლაში შეიყვანეს. მისმა თამაშმა თავიდანვე მიიქცია ყველას ყურადღება. შოთას ურჩიეს 35-ე საშუალო სკოლაში გადასულიყო. რჩევა ჭკუაში დაუჯდა და სასწავლებლად 35-ე სკოლაში გადავიდა.

შოთა ძალზე ღელავდა, როცა პირველად ჩაიცვა ნამდვილი ფორმა და უკვე საკმაოდ „გამოცდილი“ ბიჭუნების გვერდით დადგა. მღელვარებამ ძალიან მალე გაუარა და პირველსავე წუთებში გამოჩნდა, რომ იგი ყველაზე უკეთ თამაშობდა.

რატომღაც ბავშვობაში შოთას მარცხენა გარემარბის ადგილი უფრო მოსწონდა. თუმცა მას თავიდანვე ეტყობოდა, რომ შუამარბის ფუნქციებს უკეთესად შეასრულებდა. მაშინაც კი, როცა გარემარბად თამაშობდა, იერიშებს თითქმის საკუთარი საჯარიმო მოედნიდან იწყებდა და ხშირად გოლით აგვირგვინებდა. იყო შემთხვევები, როცა ერთ თამაშში ხუთი-ექვსი ბურთი გაჰქონდა ხოლმე.

1953 წელს ჩატარდა საბჭოთა კავშირის პირველობა ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის. ფინალური შეხვედრა გაიმართა მინსკში. საქართველოს გუნდმა ყველა მეტოქე დაამარცხა და ფინალში გავიდა. არჩილ კიკნაძემ გადაწყვიტა, შოთა იამანიძეც თან წაეყვანა, მაგრამ ასაკით პატარა იყო და შეჯიბრების დებულების თანახმად, მოედანზე მისი გაყვანა არ შეიძლებოდა.

მწვრთნელი ბევრს ეხვეწა ექიმებსა და შეჯიბრების ორგანიზატორებს, რომ შოთასათვის თამაშის ნება დაერთოთ.

ბოლოს, როგორც იქნა, არჩილ კიკნაძემ თავისი გაიტანა. იამანიძეს ნება დართეს, მოედანზე გამოსულიყო. იგი მაშინვე გუნდის კაპიტნად აირჩიეს. შოთას კვლავ თავდასხმის მარცხენა ფრთა ჰქონდა მინდობილი. თამაში თბილისელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დამთავრდა. შოთა იამანიძეს საზეიმოდ გადასცეს გამარჯვებულის თასი.

ბევრმა გულშემატკივარმა ჯერ კიდევ მაშინ გაიგო 16 წლის ჭაბუკის სახელი და გვარი. მომდევნო წელს კი შოთამ ყველას ყურადღება მიიქცია. საქართველოს პირველობა ტარდებოდა ჭაბუკთა შორის. მას ყოველ თამაშზე რამდენიმე ბურთი გაჰქონდა და ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის სახელი მოიპოვა. იმავე ზაფხულს იგი საკავშირო პირველობაზე უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ ერთმა სასიამოვნო ამბავმა ხელი შეუშალა: ბორის პაიჭაძემ და ავთანდილ ღოღობერიძემ თბილისის „დინამოში" გამოიძახეს. უჩვეულო მღელვარებამ შეიპყრო. ოცნებას ფრთები ესხმებოდა.

იგი მოკრძალებით უგდებდა ყურს ორ დიდ ფეხბურთელს – ორ სახელოვან კაპიტანს. ბორის პაიჭაძეს, რომელსაც უკვე დამთავრებული ჰქონდა თავისი კარიერა, და ავთანდილ ღოღობერიძეს, რომელიც თავისი დიდების ზენიტში იდგა. მაშინ აზრადაც არ მოსვლია, რომ გაივლიდა რამდენიმე წელი და თვითონაც მიემატებოდა თბილისის „დინამოს" კაპიტანთა სახელოვან პლეადას.

III

გულშემატკივართა შორის ხშირად გაიგონებთ: თუ შოთა იამანიძე კარგად თამაშობს, გუნდიც კარგად თამაშობსო. ეს შეიძლება გადამეტებული იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ გულშემატკივრებს ის მიაჩნიათ დიდი დიაპაზონის ფეხბურთელად.

შოთა იამანიძე თავდაპირველად მარცხენა გარემარბად თამაშობდა, თბილისის „დინამოში“ კი მარჯვენა შუამარბის ადგილი მიუჩინეს. რამდენჯერმე ცენტრალური თავდამსხმელის ფუნქციებიც დააკისრეს. ძირითადად კი თამაშობდა ან მარცხენა შუამარბად, ან მარცხენა ნახევარმცველად.

გულშემატკივრები ხშირად კამათობდნენ, რომელი სჯობდა – იამანიძე-ნახევარმცველი თუ იამანიძე-თავდამსხმელი? ამ საკითხში ერთხანს თვითონ შოთაც კი არ იყო კარგად გარკვეული. მას ყოველთვის დიდი სურვილი ჰქონდა, წინ ეთამაშა და უკან დახევა ეძნელებოდა. მალე თვითონაც დარწმუნდა, რომ ნახევარმცველის ფუნქციებს უფრო შემოქმედებითად ართმევდა თავს, მაგრამ გული მაინც თავდასხმისაკენ მიუწევდა.

შოთა იამანიძე ბურთს უნაკლოდ ფლობს. მის მაღალ ტექნიკაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. შოთა ისეთი ტიპის ფეხბურთელია, რომელიც მანევრირების დროს დიდ სივრცეს მოითხოვს. როცა თბილისელთა კაპიტანი თავდასხმაში თამაშობს, მას მანევრირებისათვის მცირე ადგილი რჩება და იერიშებსაც სიმწვავე ეკარგება. სულ სხვაა, როცა ბურთს მოედნის ცენტრში იღებს. შოთა თითქოს სივრცეს მთლიანად ეუფლება, ერთდროულად უწევს კონტროლს ბურთს, მოედანს და პარტნიორებს.

4-2-4 სისტემამ ფეხბურთელებს ახალი ამოცანები დააკისრა. წარმოიშვა ახალი ტიპის ნახევარმცველებიც. შოთა იამანიძე სწორედ ამ სისტემისათვის დამახასიათებელი ნახევარმცველია. იგი უშუალოდ არასდროს არ თამაშობს რომელიმე ფეხბურთელის „ჩასაკეტად“. შოთა იამანიძის ამოცანაა, დაიპყროს მოედნის ცენტრი, იყოს ძირითადი დამაკავშირებელი თავდასხმასა და დაცვას შორის. როცა თბილისელთა კაპიტანი კარგ ფორმაშია და ამ ამოცანას წარმატებით ას-

რულებს, იშვიათად, რომ თბილისის „დინამოს" მოედანი დამარცხებულს დაეტოვებინოს.

შოთა იამანიძე დრიბლინგის დიდოსტატია. ჩვენს გულშემატკივრებს არაერთი შემთხვევა ახსოვთ, როცა თბილისელთა კაპიტანს ბურთი მიუღია საკუთარ საჯარიმო მოედანზე, მოუტყუებია რამდენიმე მცველი, ხშირად ხუთი კაციც კი, და შემდეგ იერიში მიუტანია მოწინააღმდეგის კარზე.

ბევრი ასეთი შემთხვევაც არ დაავიწყდებათ თბილისელ, კიეველ, ლენინგრადელ, რიგელ და მოსკოველ მაყურებლებს, როცა შოთა იამანიძეს თითქმის საკუთარი საჯარიმო მოედნიდან წაუღია ბურთი, უკან მოუტოვებია რამდენიმე მცველი და გაუტანია გოლი. მოგაგონებთ შოთა იამანიძის მიერ გატანილ ბურთებს ლენინგრადის „ზენიტთან", მოსკოვის „ლოკომოტივთან" და არმიელ ფეხბურთელებთან, კიევის „დინამოსთან", რიგის „დაუგავასთან", თურქეთის „გალატასარაისთან" და მრავალ სხვა გუნდთან. აქ მხოლოდ ის ეპიზოდები გავიხსენე, როცა შოთამ ბურთი ღრმა ზურგში მიიღო, ოსტატური დრიბლინგით გადაიარა მთელი მოედანი, გზადაგზა მოატყუა 4-5 მცველი და ბურთი გაახვია მოწინააღმდეგის კარის ბადეში.

შოთა იამანიძე ძალიან კარგად თამაშობს „კედელს", რაც ასე დამახასიათებელია თანამედროვე ფეხბურთისათვის.

თბილისელთა კაპიტანს შეუძლია ბურთი დიდხანს ატაროს. შემთხვევითი როდია, რომ როცა ჩვენი მეკარეები ბურთს მიიღებენ, იმავე წუთში მოედანზე იამანიძეს დაეძებენ. შოთას უნარი შესწევს, ბურთი დიდხანს „დაიჭიროს", საკუთარ საჯარიმო მოედანთან შექმნილი მძიმე მდგომარეობა განმუხტოს და დამცველთა მოსაშველებლად უკანდახეულ თავდამსხმელებს პოზიციების დაკავების საშუალება მისცეს.

მახსოვს, 1962 წელს კიევში შოთა იამანიძემ საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა და

ფეხი იტკინა. რამდენიმე დღის შემდეგ კი თბილისის დინამოელებს ჩვენი ქვეყნის პირველობაზე მატჩი ჰქონდათ კიეველ თანაკლუბელებთან. შოთა იამანიძე იძულებული გახდა, მოედანზე არ გამოსულიყო.

თამაში თავიდანვე კიეველების იერიშით დაიწყო. პირველივე წუთებიდან მოედნის ცენტრი კიეველებმა დაიპყრეს, თბილისელ მცველებსა და თავდამსხმელებს შორის კავშირი გაწყდა. უკრაინელი ფეხბურთელები თითქმის მთელი ორი ტაიმის განმავლობაში უტევდნენ და თუ ანგარიში მხოლოდ 1:0 იყო კიეველთა სასარგებლოდ, ამას გივი ჩოხელს უნდა ვუმადლოდეთ (მე ბევრჯერ მინახავს გივი ჩოხელის ჩინებული თამაში როგორც თბილისში, ისე საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებშიც, მაგრამ იმ დღეს თბილისელთა მცველმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა). სამწუხაროდ, მცველების მიერ მოგერიებული ბურთი თავდამსხმელებამდე ვერ აღწევდა. არ იყო ნახევარმცველი, რომელიც ბურთს რამდენიმე წამით მაინც დაიჭერდა და მოედნის ცენტრს ცოტა ხნით მაინც შეინარჩუნებდა. მოგერიებულ ბურთებს კიეველები ისევ თბილისელთა საჯარიმო მოედნისაკენ გზავნიდნენ.

მატჩის დამთავრებას 15 წუთი აკლდა, როცა შევამჩნიე, რომ შოთა იამანიძემ ტანსაცმელი გაიხადა. თბილისელთა კაპიტანი მოედანზე გამოვიდა. იგი ოდნავ კოჭლობდა, მაგრამ გამოსვლისთანავე შეუტია მოწინააღმდეგის კარს. მან რამდენიმე სახიფათო რეიდი განახორციელა, რის გამოც კიეველი ნახევარმცველები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. ამოისუნთქეს თბილისელებმა და მოედნის ცენტრს ნელ-ნელა დაეპატრონენ. მცველებს და თავდამსხმელებს შორის სიცარიელე თანდათან შეივსო. თბილისელებმა იერიში გააძლიერეს. სულ მალე შეტევა ისევ შოთამ წამოიწყო, მოატყუა ორი მცველი და ბურთი კალოევს მიაწოდა. თბილისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ანგარიში გაათანაბრა.

კიდევ ერთი შემთხვევა. 1961 წელს ლენინგრადში დავესწარი თბილისის დინამოელების შეხვედრას ლენინგრადელ თანაკლუბელებთან. მაშინ გუნდს ავთანდილ ღოღობერიძე წვრთნიდა.

მატჩს ესწრებოდა მიხეილ იაკუშინიც. თამაშის წინ მან თბილისის დინამოელებს უთხრა:

„დღეს მოედანზე იქნება იამანიძე-მოროზოვის ორთაბრძოლა. გაიმარჯვებს ამ ორთაბრძოლაში გამარჯვებულის გუნდი“.

თამაში დაიწყო და თავიდანვე ცხადი გახდა, რომ შოთა იამანიძის შეკავება შეუძლებელი იყო. იგი თამაშობდა ყველგან: ცენტრში, ფრთებზე. კართან. ერთ-ერთი იერიშის დროს მან მეტად რთული მდგომარეობიდან ულამაზესი ტექნიკური დარტყმით ბურთი ლენინგრადელთა კარის ბადეში გაახვია.

მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ, როცა ფეხბურთელებმა მოედანი დატოვეს, ანგარიში უკვე 3:0 იყო თბილისელთა სასარგებლოდ.

შოთა იამანიძის დარტყმები არ გამოირჩევა დიდი სიძლიერით, მაგრამ მათ არ აკლია სიზუსტე და ოსტატობა. თბილისელთა კაპიტანი კარგად ხმარობს ორივე ფეხს. როცა შოთა ბურთს მიიღებს და იწყებს თავის ცნობილ რეიდს, გამოუცდელი თვალიც კი კარგად შეატყობს, თუ რა ოსტატური დრიბლინგით მიიკვლევს გზას მოწინააღმდეგის კარისაკენ. თბილისელთა კაპიტნისათვის დამახასიათებელია ერთი რამ, რითაც ბევრი ფეხბურთელი ვერ დაიკვეხნის; მას უნარი შესწევს, მოწინააღმდეგე ძალზე შორიდან მოატყუოს. შოთას ისე თავისუფლად და ძალდაუტანებლად გამოსდის რთული ტექნიკური ილეთები, რომ, ერთი შეხედვით, მისი შესრულება შეიძლება ძალზე იოლიც მოგეჩვენოთ.

თბილისელ გულშემატკივრებს ალბათ კარგად ახსოვთ ერთი ულამაზესი ეპიზოდი. შვედეთის მსოფლიო ჩემპიონატი

ახალი დამთავრებული იყო, კიევის „დინამოს“ ნახევარმცველი იური ვოინოვი, რომელიც შვედეთში საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსებას იცავდა, ფეხბურთის სპეციალისტებმა და ჟურნალისტებმა მსოფლიოს უძლიერეს ფეხბურთელად აღიარეს. და აი, შვედეთის ჩემპიონატის დიდების შემდეგ იური ვოინოვი თბილისელებმა კვლავ იხილეს საკუთარ მოედანზე. ამჯერად იგი თავისი კლუბის – კიევის „დინამოს“ შემადგენლობაში გამოდიოდა. თბილისელთა რომელიღაც მცველმა ბურთი მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე ჩაკიდა. ვოინოვი ახტა და ბურთი თავით აკენწლა. იგი უკვე მესამედ აპირებდა აკენწვლას, როცა იამანიძე წინ ჩაუდგა, უფრო მაღლა ახტა, ვოინოვს ბურთი თავით წაართვა და ბურთთან ერთად მიწაზე მსუბუქად დაეშვა. მერე ბურთი მკერდზე ჩაიგორა (იგი ამ დროს ვოინოვისაკენ ზურგით იდგა) და მოულოდნელად ვოინოვს პირუკუ თავზე გადაუგდო, თვითონ სწრაფად შეტრიალდა და კიეველთა კაპიტანს მარჯვენა მხრიდან აუარა. ვოინოვს ისღა დარჩენოდა, ქართველი ფეხბურთელი ხელით გაეჩერებინა. მსაჯმა დაუსტვინა და ხელი თერთმეტმეტრიანი საჯარიმოს წერტილისაკენ გაიშვირა. შოთა იამანიძის უდიდესი ოსტატობით მოხიბლული გულშემატკივრების ტაშმა სტადიონის ტრიბუნები შეაზანზარა.

როცა შოთა იამანიძეზე ვლაპარაკობთ, უნდა აღვნიშნოთ მისი დიდი ფიზიკური ძალა და განსაკუთრებული ჯანმრთელობა. იშვიათად თუ ყოფილა შემთხვევა, რომ მას მატჩი ავადმყოფობის გამო გაეცდინოს. რამდენიმე სეზონი კი ისე დაამთავრა, რომ არცერთი თამაში არ გამოუტოვებია. ის არ არის ჭირვეული და მიზეზიანი ფეხბურთელი, არასოდეს არ არიდებს თავს მეორეხარისხოვან და უსიამოვნო მატჩებსაც კი. თბილისელთა კაპიტანი ბევრჯერ გამოსულა მოედანზე სიცხიანი და ფეხნატკენი, არასოდეს დაუზოგავს თავი, თუკი ეს გუნდისათვის საჭირო ყოფილა.

ნაკლოვანებანი, რომელიც შოთა იამანიძის თამაშს აქვს, სწორედ ამ ფეხბურთელის ხასიათიდან და თამაშის მანერიდან გამომდინარეობს. მაღალი ტექნიკა იამანიძეს საშუალებას აძლევს მოედანზე თავისუფლად იმოძრაოს. ამის გამო იგი პერიოდულად ინდივიდუალური თამაშით ერთობა, რასაც მოსდევს მთელი რიგი ტაქტიკური შეცდომები, გადაცემის დაგვიანება.

შოთა იამანიძე გუნდის დისპეტჩერის მოვალეობას ასრულებს. როგორ ზემოთაც აღვნიშნე, იგი არის მოედნის ცენტრის მფლობელი, თავდასხმისა და დაცვის დამაკავშირებელი, ახალი იერიშის ნამომწყები. ამ ფუნქციების შესრულებისას იგი ძირითადად თავის ფიზიკურ და ტექნიკურ შესაძლებლობებს ეყრდნობა. მის სტრატეგიულ ბრძოლაში და მანევრირებაში ხანდახან იგრძნობა ერთფეროვნება.

სამწუხაროდ, ეს მარტო იამანიძის ნაკლი როდია, ეს მთელი ქართული ფეხბურთის ავადმყოფობაა. თბილისის დინამოელები ყოველთვის ცდილობენ, მოწინააღმდეგე ინდივიდუალური ტექნიკის ხარჯზე დაჩაგრონ. როცა რაიმონ კოპამ რეიმსში თბილისელების თამაში ნახა, თქვა: „ქართველებმა აჩვენეს მსოფლიო კლასის ფეხბურთი, მაგრამ მათ ტაქტიკურ ჩანაფიქრს ბავშვიც კი გამოიცნობს“.

რამდენიმე წლის წინ თბილისში ჩამოვიდა ინგლისური კლუბი „შეფილდ უენსდეი“. თამაშის შემდეგ ვესაუბრე ინგლისელთა შესანიშნავ მეკარე სპრინჯეტს. მან თქვა: „რით მოგვიგეთ თქვენ? ძირითადად დრიბლინგის ხარჯზე. თქვენ შესანიშნავად ასრულებთ რთულ ტექნიკურ ილეთებს მაღალ ტემპში“.

შოთა იამანიძეს ერთ დროს უსაყვედურებდნენ, თითქოს მან ჩვენს შესანიშნავ ფეხბურთელთან, მიხეილ მესხთან ვერ გამონახა საერთო ენა. ეს საყვედური ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული.

მე მიხეილ მესხის გვერდით მინახავს ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ და არიან ღოღობერიძე, ბუბუკინი, ამბარცუმიანი, ბატანოვი და ივანოვიც კი. მაგრამ არცერთი ისე შეთამაშებული არ არის მესხთან, როგორც შოთა იამანიძე. აი, რას წერდა მოსკოვის ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის პრესბიურო 1962 წლის 22 ოქტომბერს: „თბილისის „დინამოს" ნამდვილ სახეს და ბუნებას განსაზღვრავს მდიდარი ფანტაზია და იმპროვიზაცია. მაგრამ შოთა იამანიძის დაუსრულებელი ტრავმები თბილისის „დინამოს" თავდამსხმელებს საშუალებას არ აძლევს მთლიანად გამოამჟღავნონ თავის შესაძლებლობანი (იმ წელს შ. იამანიძე ტრავმის გამო დიდხანს ვერ ჩადგა გუნდის შემადგენლობაში – გ. ფ.). არავის არ შეუძლია მესხთან თამაშში შეცვალოს თბილისელთა კაპიტანი. იამანიძე – მესხი, ეს არის საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო დუეტი. გარდა ამისა, იამანიძე, როგორც ბრწყინვალე დრიბლიორი, თბილისელთა თამაშს თვითონ აძლევს განუმეორებელ კოლორიტს".

შოთა იამანიძე მრავალი ქვეყნის სტადიონებზე გამოსულა. მისმა საფეხბურთო ტალანტმა დიდი აღიარება პოვა ინგლისსა თუ საფრანგეთში, ჩეხოსლოვაკიასა თუ კუბაში, გერმანიასა თუ ბირმაში, ბელგიასა თუ ავსტრიაში, პოლონეთსა თუ ბულგარეთში.

შოთა იამანიძის თამაშს ძალზე მაღალი შეფასება მისცეს ფრანგულმა გაზეთებმა „ეკიპმა", „ორორმა", „ლიბერასიონმა". ინგლისურმა სპორტულმა პრესამ მესხი, იამანიძე და კოტრიკაძე მსოფლიო კლასის ფეხბურთელებად აღიარა. შოტლანდიის საკლუბო გუნდის „გლაზგო რეინჯერსის" მწვრთნელმა მატჩის შემდეგ მხრები აიჩეჩა და თქვა: ძალზე მიკვირს, შოთა იამანიძე რატომ არ შეიყვანეს საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაშიო.

თბილისელ გულშემატკივრებს ალბათ არასოდეს დაავიწყდებათ ულამაზესი ეპიზოდებით სავსე მატჩი ბრაზილიის „ბაიასთან“. ქართველმა ფეხბურთელებმა ბრაზილიელთა კარში ოთხი „მშრალი“ ბურთი გაიტანეს. ძალზე დამახასიათებელი და საინტერესოა „ბაიას“ მწვრთნელის კ. ვოლანტეს ინტერვიუ, რომელიც მან თამაშის შემდეგ მისცა ჩვენი გაზეთების კორესპონდენტებს: „ორიგინალური არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ „მშრალი“ ანგარიშით წაგება მეტად არასასიამოვნოა. მე თანავუგრძნობ „ბაიას“ თავდამსხმელებს, რადგან ძნელია გაიტანო ბურთი კარში, რომელსაც იცავს შესანიშნავი მეკარე სერგო კოტრიკაძე. თბილისელთა დაცვის ხაზიდან ყველაზე უფრო მომეწონა შოთა იამანიძე, ხოლო თავდასხმიდან, რა თქმა უნდა, მესხი... თბილისელთა მარცხენა გარემარბი უდავოდ საერთაშორისო კლასის ფეხბურთელია და შეიძლება თამამად დავაყენოთ ბრაზილიის საუკეთესო თავდამსხმელთა გვერდით. თუმცა ამ მოსაზრების გაფართოებაც შეიძლება. თბილისის „დინამოს“ წარმატებით შეუძლია ებრძოლოს ფეხბურთის საუკეთესო გუნდებს. მე აქ არ მინდა ლაპარაკი ჩამოვაგდო ბრაზილიის დიდ გუნდზე, რომელმაც 1958 წელს მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა, რადგან ამგვარი შედარება, შესაძლოა, მეტად შემთხვევითად მოგვეჩვენოს, თუნდაც იმიტომ, რომ ფეხბურთს არ უყვარს დროისა და სივრცის ასეთ დაშორებულ მონაკვეთზე მკითხაობა. მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია გავიმეორო, რომ „დინამოს“ თავისი ტექნიკური და ტაქტიკური არსენალით, ამ ორი მომენტის შერწყმით შეუძლია თანაბარ ბრძოლებში ჩაებას ყველაზე საუკეთესო საკლუბო გუნდებთანაც კი“.

ბრაზილიელი მწვრთნელის სიტყვებისა არ იყოს, ფეხბურთს არ უყვარს ასეთი შორეული პარალელები და შედარებები, მაგრამ ფაქტია, რომ თბილისის „დინამოს“ სხვადასხვა დროს დაუმარცხებია პოლონეთისა და ბულგარეთის ნაკრე-

ბი გუნდები, მსოფლიოში უძლიერესად აღიარებული საკლუბო კოლექტივები: „შეფილდ უენსდეი“, „რეიმსი“, „რესინგი“, „აუსტრია“, „ნიმი“. ინგლისის უძლიერესმა საფეხბურთო კლუბმა „ვულვერჰემპტონ უონდერერსმა“, რომელმაც თავისი არსებობის განმავლობაში საკუთარ მოედანზე უცხოეთის გუნდთან ერთადერთხელ იწვნია წაგების სიმწარე (ესპანეთის „ბარსელონასთან“), მხოლოდ უკანასკნელ წუთებზე გაქვითა ანგარიში და გადაგვირჩა დამარცხებას. ინგლისის პრესამ მაღალი შეფასება მისცა ქართველი ფეხბურთელების თამაშს.

IV

მაყურებელი საფეხბურთო სანახაობის ორგანული ნაწილია. საფეხბურთო აჟიოტაჟი, გულშემატკივრებით გაჭედილი ტრიბუნები, შეძახილები და ოვაციები არა მარტო ქმნის დიდებულ და საზეიმო განწყობილებას, არა მარტო აძლიერებს, ამძაფრებს და ალამაზებს ასპარეზობის სანახაობით მხარეს, არამედ მოქმედებს ფეხბურთელებზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, მატჩის ანგარიშზეც კი. ტყუილად როდია ნათქვამი, შინ კედლებიც გეხმარებაო. ეს გამოთქმა ყველაზე უფრო ფეხბურთელებზეა ზედგამოჭრილი, რადგან აქ „კედლებს“ სტადიონის ტრიბუნები წარმოადგენენ, მხოლოდ ამ ტრიბუნებზე ათეულ ათასობით მაყურებელი ზის, რომელიც გამაყრუებელი შეძახილებით ამხნევებს თავის გუნდს.

თუ უბრალო სტატისტიკას გადავხედავთ, თითქმის ყველა გუნდი საკუთარ მოედანზე უკეთ თამაშობს, ვიდრე სტუმრად.

მოვიყვან ერთ მაგალითს: 1963 წლის ჩემპიონატში მასპინძლებმა მოაგროვეს 475 ქულა, ხოლო სტუმრებმა – 285; მასპინძლებმა გაიტანეს 523 ბურთი, სტუმრებმა კი – 339.

1964 წლის ჩემპიონატის პირველ წრეში ჩვენ შინ მოვაგროვეთ 30 ქულა. არ წაგვიგია არცერთი მატჩი, მხოლოდ

კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან“ და ალმა-ატის „კაირატთან“ შეხვედრები დამთავრდა ფრედ. მოწინააღმდეგეთა მოედანზე კი 16 ქულა შევაგროვეთ.

ფეხბურთელს აღაფრთოვანებს მაყურებლის მხარდაჭერა, დაცინვა კი აბნევს და ანერვიულებს. მაყურებლის უარყოფითი რეაქცია ყველაზე უფრო ახალბედა ფეხბურთელებზე მოქმედებს. საკმარისია მაყურებელმა მხარი არ დაუჭიროს ახალბედა ფეხბურთელს, რომ ის სამუდამოდ შეიპყროს მოედნის შიშმა, დაკარგოს რწმენა და ინიციატივა. მაყურებლის უარყოფითი რეაქცია თვით უძნელეს საფეხბურთო ასპარეზობაში გამოწრთობილ ფეხბურთელებზეც კი მოქმედებს. მოსკოვში ევროპის თასზე შვედეთის ეროვნულ ნაკრებთან შეხვედრის წინ საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ამხანაგური მატჩი გამართა ურუგვაელებთან. საბჭოთა ფეხბურთელებმა სძლიეს სამხრეთამერიკელებს, მაგრამ მათმა თამაშმა ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვა, რამაც სამართლიანად აღაშფოთა მაყურებელი. იმავე საღამოს სპორტული გადაცემისას რადიოთი გამოვიდა ნაკრების მწვრთნელი კონსტანტინე ბესკოვი. მან მაყურებლებს თხოვნით მიმართა, მომავალში ფეხბურთელების მიმართ ასე აშკარად არ გამოეხატათ დაცინვა და აღშფოთება, რადგან ისინი ძალზე ნერვიულობენ და თამაში აღარ გამოსდითო.

„ფეხბურთელებს მოედანზე სჭირდებათ მხარდაჭერა, წაქეზება და არა დაბნევა და განერვიულება“, – თქვა ბესკოვმა.

ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად საბჭოთა კავშირის ნაკრები შეხვდა თურქეთის ეროვნულ ნაკრებს. მოსკოვში გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელები თურქეთს ეწვივნენ. მატჩმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. თურქებს რევანში სწყუროდათ. ვალერი ვორონინი იგონებს: „მოედანზე გამოვედით თუ არა, მაყურებლის ღრიანცელმა გამაყრუა. როცა ორკესტრმა თურქეთის ჰიმ-

ნი შეასრულა, ხალხმა თვალები მაღლა აღაპყრო და ისეთი ვედრებითა და ფანატიზმით აღსავსე ხმით იმღერა ჰიმნი, მეგონა ტანზე ათასმა ჭიანჭველამ ერთდროულად მიკბინა. ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ მსგავსი რამ არსად არ მინახავს. თითქოს შიშმა შემიპყრო, დავიბენი და ბურანში გავეხვიე".

„მე ძალიან მომწონს და ხშირად ვიმეორებ ერთი მექსიკელი ტორეადორის სიტყვებს, – მითხრა ერთხელ შოთა იამანიძემ. – როცა კორიდაზე გამოვდივარ, მყავს ორი მტერი – ხარი და მაყურებელი. მე ვიცი, როგორ ვებრძოლო პირველს, მაგრამ არ ვიცი, რა მოვუხერხო მეორეს. რასაკვირველია, აქ გადაჭარბებულადაა ნათქვამი, მაგრამ ნაწილობრივ მაინცაა გამოხატული ფეხბურთელისა და მაყურებლის დამოკიდებულება. მაყურებელს უყვარს კარგი, გააზრებული, ლამაზი ფეხბურთი. გულშემატკივარს განსაკუთრებით სიამოვნებს, როცა გამარჯვებას მისი საყვარელი გუნდი აღწევს.

ფეხბურთელსაც უყვარს ობიექტური, ფეხბურთის ნიუანსებში გარკვეული მაყურებელი, მაყურებელი, რომელიც ტაშს უკრავს არა მარტო გატანილ ბურთზე, არამედ იმ ძირითად ფაქტორებზე, რომლებიც მიმართულებას აძლევენ და წარმართავენ მატჩს.

როცა მოედანზე გამოვდივარ და ტრიბუნებზე ცარიელ ადგილებს ვხედავ, თითქოს განწყობილება და ხალისი მეკარგება. ფეხბურთი წარმტაცი და ლამაზი სანახაობაა, რომელსაც ძალზე ავსებს და აძლიერებს მაყურებელი.

ბედნიერება მქონდა, ბრაზილიაში დავსწრებოდი რამდენიმე მატჩს. სამწუხაროდ, ფეხბურთელები იშვიათად გამოვდივართ მაყურებლის როლში. იქ განსაკუთრებულად ვიგრძენი თუ ამ დიდ სანახაობაში როგორ ერწყმის ერთმანეთს მაყურებელი და ფეხბურთელი. მხოლოდ ერთ მატჩს გავიხსენებ. რიო-დე-ჟანეიროში ერთმანეთს ხვდებოდნენ „ფლამენ-

გო“ და „ბოტაფოგო“. მატჩის დღე ბრაზილიაში ნამდვილი ფიესტაა. საფეხბურთო განწყობილება ჯერ კიდევ დილიდან დაიწყო. მაყურებლები ექვსი-შვიდი საათით ადრე გაემართნენ სტადიონისაკენ (ბრაზილიაში ყოველთვის ცდილობენ მნიშვნელოვანი მატჩები უქმე დღეებს დაამთხვიონ). „მარაკანას“ წინ იყიდება მაშხალები, სპეციალური რევოლვერები და ფუჭი ვაზნები. სტადიონის შესასვლელთან ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ მუსიკოსები: ტრიოები, კვარტეტები, კვინტეტები. მსურველებს, რომლებსაც ჯიბეში სათანადო გარანტია აქვთ, შეუძლიათ დაიქირაონ ორკესტრი და სტადიონზე გვერდით მოისვან. მათი სათაყვანებელი გუნდის მიერ გატანილი გოლი სათანადო გამოხმაურებას პოულობს მუსიკალური თვალსაზრისითაც. თქვენ წარმოიდგინეთ, სან-პაულუს ახალ სტადიონზე სამწვადე მაყალებიც კია გათვალისწინებული.

ახლოვდებოდა თამაშის დაწყების დრო. გუნდები კი არ ჩანდნენ. მოედანზე ირეოდა უამრავი ფოტოკორესპონდენტი. ისინი დარბოდნენ, აპარატებს აჩხაკუნებდნენ, მიკროფონებს ამზადებდნენ. ყველას დაგვეუფლა რაღაც სასიამოვნო მოლოდინის განწყობილება.

„ფლამენგო“ რიო-დე-ჟანეიროში დიდი სიყვარულით სარგებლობს. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ ამ გუნდში არცერთი ვარსკვლავი არ თამაშობს. ტრიბუნების ნახევარი „ფლამენგოს“ გულშემატკივრებს ეკავათ. მათ ხელში თეთრი დროშები – „ფლამენგოს“ კლუბის ალმები – ეჭირათ. ქალებს კი დროშის მსგავსი მატერიისაგან შეკერილი კაბები ეცვათ. სტადიონის მეორე ნახევარზე „ბოტაფოგოს“ გულშემატკივრები ისხდნენ. ისინი ცისფერ ალმებს აფრიალებდნენ.

მატჩის დაწყების დრო მოვიდა. ფეხბურთელები კი არ ჩანდნენ. ფოტორეპორტიორები და ჟურნალისტები კიდევ უფრო გააქტიურდნენ და გამოსასვლელთან ბუზებივით ირეოდნენ.

უცებ მოედანზე გამოჩნდა ფოტორეპორტიორებით გარშემორტყმული „ფლამენგო“. ნახევარი სტადიონი ფეხზე წამოდგა. ტრიბუნებზე იქუხა მუსიკამ. „ფლამენგოს“ გულშემატკივრები გამაყრუებელი სროლითა და ალმების ფრიალით შეხვდნენ საყვარელ გუნდს. „ბოტაფოგოს“ მომხრეებმა კი სტვენა და ყვირილი ატეხეს.

როცა მოედანზე „ბოტაფოგო“ გამოჩნდა, ყველაფერი პირიქით მოხდა.

გუნდები მოედანზე გამწკრივდნენ. დიქტორმა მათ მიკროფონით ჩამოუარა და ყველას პატარა სიტყვა ათქმევინა. ბევრი ფეხბურთელი უმოწყალოდ ტრაბახობდა. ეს მაყურებლებმაც კარგად იცოდნენ, მაგრამ მათი მომხრეები ტაშს მაინც უკრავდნენ.

დაიწყო თამაში. მაყურებელი ისე ორგანულად ჩაერთო ამ სანახაობაში, რომ რაღაც საოცრად სასიამოვნო განწყობილება დამეუფლა. მაყურებლის რეაქცია თითქოს უფრო ლამაზსა და ადვილად შესაგრძნობს ხდიდა მატჩის ყოველ ეპიზოდს.

ეს იყო რიოს შტატში უკანასკნელი თამაში. ანგარიშს მათი სატურნირო მდგომარეობისათვის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა და ფეხბურთელებსაც დიდი მონდომება არ ეტყობოდათ. მაგრამ საქმეში მაყურებლები ჩაერივნენ. წამახალისებელი შეძახილები, მუსიკა, სროლა, ალმების ფრიალი... ფეხბურთელები ეშხში შევიდნენ და ერთმანეთს თავდაუზოგავად ეკვეთნენ.

გარინჩამ ბურთი მიიღო, მოწინააღმდეგის მოედანზე შეიჭრა, მაგრამ... ბურთი წაართვეს.

ხალხმა ამოიგმინა. მათ ვერ წარმოედგინათ, რომ შეიძლება გარინჩასაც წაართვან ბურთი. მაშინ კი გაბრაზდა გარინჩა, გაბრაზდა და... მოწინააღმდეგის კარში სამი ბურთი გაიტანა.

ყოველ გატანილ გოლს ისეთი სროლა მოჰყვა, კაცს რომ თვალი დაგეხუჭა, თავი ფრონტზე გეგონებოდა.

როცა ბურთი ბადეში გაეხვევა, ფეხბურთელები მისცვივდებიან გოლის ავტორს, კოცნიან, ერთმანეთს ზურგზე ახტებიან. ზოგი მუხლებზე ემხობა. პელე ყოველი გატანილი გოლის შემდეგ ხელებს ზეცისკენ იშვერს, თითქოს ღმერთს უხდის მადლობას. ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა ათი ბურთი რომ გაიტანონ და თავიანთ კარში არცერთი არ გაუშვან, მეათე ბურთსაც კი ასეთივე ექსცენტრული მიზანსცენებით შეალამაზებენ (გამახსენდა შვედეთის მსოფლიო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი ფილმი, როცა ვავამ საბჭოთა კავშირის ნაკრების კარში მეორე გოლი გაიტანა. თანაგუნდელები ისეთი გახარებული ეძგერენ თავიანთ ცენტრალურ თავდამსხმელს, რომ კოცნით კინაღამ მოახრჩვეს და ფეხიც დაუზიანეს. ვავა იძულებული გახდა, ათი წუთით დაეტოვებინა მოედანი).

იგივე თამაში რომ ნახევრად ცარიელ სტადიონზე მენახა, ალბათ ამის მეათედი შთაბეჭდილებაც კი არ დამრჩებოდა. მაყურებლებს ხშირად შეუძლიათ წარმართონ მატჩი და, თქვენ წარმოიდგინეთ, მატჩის ანგარიშზეც კი იქონიონ დიდი ზეგავლენა. მე ბევრჯერ თვითონ ვყოფილვარ მოწმე, თუ როგორ მოგვხმარებიან თბილისელი მაყურებლები, როგორ გავუმხნევებივართ და აღვუგზნივართ საბრძოლველად.

აქვე უნდა ვთქვა, რომ ცუდია, როცა მაყურებელი ბრმად გიჭერს მხარს და ზომიერების გრძნობას კარგავს. ეს ძირითადად იმ მაყურებლებს მოსდით, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ქულებს შესტრფიან და არ აფასებენ ფეხბურთის სანახაობით მხარეს.

ჩემზე, და ალბათ ბევრს ჩემს მეგობარზე, ძირითად ზეგავლენას მაინც თბილისელი მაყურებელი ახდენს. როცა სხვის მოედანზე ვთამაშობ, უარყოფითი რეაქცია ან დაცინვა კი არ მაბნევს, უფრო მიღვიძებს ბრძოლის ჟინს. თბილისში კი სულ სხვაა. აქ განსაკუთრებით გვამხნევებს გულშემატკივართა მხარდაჭერა და ასევე განსაკუთრებით გვაბნევს მათი უკმაყოფილება – ალბათ იმიტომ, რომ ამ დროს მოედანზე სხე-

დან ჩვენი მშობლები, ძმები, მეგობრები... სწორედ ამ დროს გვჭირდება ყველაზე მეტი გამხნევება".

შოთა იამანიძის ეს სიტყვები სტოკჰოლმში გამახსენდა, როცა „რასუნდას" სტადიონზე შვედეთისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების ორთაბრძოლას ვუყურებდი ევროპის თასზე.

შვედები მეტისმეტად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ სტოკჰოლმში გამარჯვება მათ დარჩებოდათ.

„ამ მატჩზე გაიყიდა ყველა ბილეთი. უფრო მეტი, ვიდრე შვედეთის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალზე, როცა ერთმანეთს ხვდებოდნენ შვედეთისა და ბრაზილიის ეროვნული ნაკრები გუნდები. ჩვენს ფეხბურთელებს მხარში ამოუდგება 53 ათასი მაყურებელი და გამარჯვებაც ჩვენ დაგვრჩება," – მითხრა ერთმა შვედმა ჟურნალისტმა.

როგორც კი გუნდები მოედანზე გამოჩნდნენ, იმავე წუთს მენიშნა შვედი ჟურნალისტის სიტყვები. ტრიბუნების წინ დადგნენ „დირიჟორები". მათ ხელში შვედეთის ეროვნული დროშა ეჭირათ. დროშები დირიჟორის წკეპლის მოვალეობას ასრულებდა. მთელმა სტადიონმა ისე ხმაშეწყობილად დააგუგუნა რაღაც ლექსი, რომ ტანში ჟრუანტელმა დამიარა. როცა ლექსის შინაარსი ვიკითხე, მისი ტექსტი დაახლოებით ასე გადმომითარგმნეს: „თუ ხალისიან გუნებაზე ხარ, მაშინ მოედანზეც კარგი განწყობილებაა და მოგებაც უფრო იოლია. ჰეია, ჰეია, ჰეია!"

მთელი მატჩის განმავლობაში გუგუნებდა სტადიონი. დირიჟორები ხშირად იცვლებოდნენ. ახალგაზრდებს ბავშვები ცვლიდნენ, ბავშვებს – მოხუცები.

მიუხედავად ასეთი დიდი მხარდაჭერისა, შვედი მაყურებელი არასდროს არ კარგავს ობიექტურობის გრძნობას. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ფეხბურთის სანახაობით მხარეს. მქუხარე ტაშით აჯილდოებენ ყოველ ლამაზ კომ-

ბინაციას, გადაცემას, ცალკეულ ილეთს, სულ ერთია, ამას შვედები ასრულებენ თუ მეტოქენი. ყველაზე უფრო კი ერთი რამ მომეწონა: როცა სიმონსონმა ორი მიუტევებელი ბურთი ვერ გაიტანა, მაყურებლებს მაშინაც კი არ გასტეხიათ გული, არ გაულანძღავთ მოთამაშე და კვლავ მონდომებით ამხნევებდნენ საყვარელ ფეხბურთელებს. უკანასკნელ წუთებში ჰამრინის მიერ გატანილ გოლში მაყურებლებსაც მიუძღვით დიდი ღვაწლი. ჩემი შვედური შთაბეჭდილებები შოთას გავუზიარე.

„ხშირად მაყურებლებსაც ვერ გაამტყუნებ, – მითხრა მან. – ის მოედანზე მიდის გამარჯვების იმედით აღსავსე და როცა ცუდი თამაშით ხასიათს გაუფუჭებ, ძნელია აუკრძალო აღშფოთების გამოხატვა. ამასთან დაკავშირებით ხშირად მაგონდება პელეს მამის სიტყვები.

პელეს მამა ფეხბურთელი იყო. იგი ერთხელ მოწინააღმდეგე გუნდის გულშემატკივარმა ბიჭმა გალანძღა. პატარა პელემ ვერ მოითმინა და ბიჭს საჩხუბრად ეძგერა. როცა მამამისმა ეს ამბავი გაიგო, შვილს უთხრა:

„ფეხბურთი ასეთია, ერთნი რომ ტაშს გიკრავენ, მეორენი გისტვენენ. ხანდახან, თუ თამაში ვერ ააწყვე, საკუთარი გულშემატკივარიც არ დაგინდობს. განა ღირს შეეპასუხო ვინმეს? ყველაზე კარგი პასუხი მოწინააღმდეგის კარში გატანილი ბურთია“.

V

ფეხბურთისათვის მარტო ნიჭი და ფიზიკური მონაცემები როდი კმარა. საჭიროა სპორტის ამ ვაჟკაცური და წარმტაცი სახეობის დიდი სიყვარული. ძნელია გახდე დიდი მასშტაბის ფეხბურთელი ისე, რომ არ გიყვარდეს ბურთი, მწვანე მოედანი; საზეიმო და ამაღელვებელი განწყობილებით არ ელოდე ყოველ მატჩს.

ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი დიდი წერდა: „მართალია, ბრაზილიელებს ევროპელებთან შედარებით ოდნავ უფრო მეტი გრძნობა გვაქვს ბურთისა, მაგრამ მტკიცე რეჟიმისა და უდიდესი შრომის გარეშე არ შეიძლება მოიპოვო მსოფლიო ჩემპიონის ტიტული“.

„მე არ მიკვირს, რატომ გახდა ბრაზილია მსოფლიო ჩემპიონი, – მითხრა ერთხელ შოთა იამანიძემ. – მათ ყველაზე უფრო ფანატიკურად უყვართ ფეხბურთი. ბავშვობაში სულ მიკვირდა, ისეთმა პატარა ქვეყანამ, როგორიც ურუგვაია, ორჯერ რა გზით მიაღწია მსოფლიო ჩემპიონობას. როცა რიო-დე-ჟანეიროში მივფრინავდით, სტიუარდესამ გვითხრა: „ურუგვაიში მშობლები ბიჭებს 16 წლის ასაკამდე ფეხბურთს ათამაშებენ. თუ 16 წლამდე ბავშვმა არ გამოამჟღავნა ფეხბურთელის ნიჭი, ამის მერე ფიქრობენ მის მომავალ სპეციალობაზე. ურუგვაიში ფეხბურთელობა ეროვნულ მოვალეობად ითვლება, მონტევიდეოში ყველაზე უფრო დიდი პოპულარობით სარგებლობს ორი გუნდი – „ნასიონალი“ და „პენიაროლი“.

არჩევნების დროს დადებითი და უარყოფითი ხმები ხშირად იმის მიხედვით ნაწილდება, თუ რომელ გუნდს ემხრობიან პრეზიდენტობის კანდიდატები.

სტიუარდესამ ჯერ კიდევ თვითმფრინავში გაგვაფრთხილა: „თუ ბრაზილიასა და ბრაზილიელებს პატივს სცემთ, უნდა გიყვარდეთ ფეხბურთი და იცნობდეთ ამ ქვეყნის ყველა სახელგანთქმულ ფეხბურთელს“.

ამ გაფრთხილებისას მომხიბვლელმა სტიუარდესამ ისეთი დამაჯერებელი ფაქტიც მოაყოლა, რომ მისი სიტყვების სიმართლეში ეჭვიც კი აღარ შეგვპარვია. როდესაც ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში ერთმანეთს ხვდებოდნენ ჩილესა და ბრაზილიის ეროვნული ნაკრები გუნდები, მატჩის რეპორტაჟის დროს თურმე რიო-დე-ჟანეიროს მერს ტკბილად სძინებია. ეს არ გამოჰპარვიათ სენსაციის

მოყვარულ ფოტორეპორტიორებს. მეორე დღეს ბრაზილიის თითქმის ყველა გაზეთში მოუთავსებიათ ჩაძინებული მერის ფოტოსურათები. ამას მოჰყვა დიდი მითქმა-მოთქმა და აურ-ზაური. შეშინებულმა და შერცხვენილმა მერმა სპეციალურად იქირავა ფოტორეპორტიორები, ფინალის ტრანსლაციის დროს გადააღებინა ბევრი ფოტოსურათი და მრავალ გაზეთში გამოაქვეყნა თავისი მღელვარების გამომხატველი ფოტო-დოკუმენტები. მერს ხალხმა „დანაშაული“ მაინც არ აპატია და მას სამუდამოდ გაუფუჭდა ავტორიტეტი. მომავალ არჩევნებში ამომრჩეველთა ხმები რომ არ დაეკარგა, შეშინებულმა მერმა სასწრაფოდ შეიმუშავა რიო-დე-ჟანეიროში მეტროს გაყვანის პროექტი და კრედიტი სთხოვა უცხოეთის რომელიღაც სახელმწიფოს. თუ უცხოეთის ფინანსური ოლიგარქიების ჩინოვნიკებს იუმორის გრძნობა გააჩნიათ, იგი ალბათ ისევ შეინარჩუნებს მსოფლიოს ამ ულამაზესი ქალაქის მერობას“.

ფეხბურთი სპორტსმენისაგან დიდ მსხვერპლს მოითხოვს. ფეხბურთელმა მთელი თავისი კარიერის განმავლობაში ცხოვრება მკაცრ სპორტულ რეჟიმს უნდა დაუმორჩილოს. თითქმის მთელი წლის განმავლობაში ვარჯიში, დაძაბული მატჩების წინ უძილოდ გატარებული ღამეები, დრამატული მომენტებით სავსე ორთაბრძოლები, ზოგჯერ წაგების სიმწარე და სირცხვილი, გაუთავებელი ხეტიალი ქალაქიდან ქალაქში...

ერთხელ შოთა იამანიძეს ვკითხე, შენს ცხოვრებაში ყოფილა თუ არა ისეთი წუთები, როცა პროფესიული მოწყენილობა გიგრძნია-მეთქი.

„სამწუხაროდ, მქონია – მითხრა მან. – ერთხელ მოსკოვში, დონეცკსა და კიევში ზედიზედ ოთხი შეხვედრა ჩავატარეთ, შემდეგ ჩეხოსლოვაკიაში წავედით. ოცი დღე იქ დავყავით, როცა უკან დავბრუნდით, პირდაპირ ლენინგრადში გავემგზავრეთ. ისე მომბეზრდა ტრანსპორტი და სასტუმრო, ისე მომენატრა სახლში გაკეთებული საჭმელი, რომ ერთი სული მქონდა, თბილისში როდის დავბრუნდებოდი. ამას ზედ ისიც

დაერთო, რომ ბოლო თამაში წავაგეთ და თბილისში ჩამოსასვლელი პირი აღარ გვქონდა. რამდენჯერმე გავიფიქრე, ჩავალ და ფეხბურთს თავს დავანებებ-მეთქი. მაგრამ გათენდება დილა და... ერთი წუთითაც კი ვერ წარმომიდგენია, რომ ფეხბურთს აღარ ვითამაშებ.

ჩემთვის ალბათ ძალიან ძნელი გადასატანი იქნება ის დღეები, როცა ფეხბურთს სამუდამოდ გამოვეთხოვები“.

VI

მომქანცველია საწვრთნელი პროცესიც. განსაკუთრებით მათთვის, ვისაც სიმსუქნისაკენ აქვს მიდრეკილება. იძულებული ხარ წონაში დასაკლებად გაგანია სიცხეშიც კი სვიტერით გამოხვიდე. წლების განმავლობაში გემრიელად ერთხელაც ვერ მოიკლავ წყურვილს.

ჩვენი გონებიდან არასოდეს წაიშლება ბევრი მატჩი, როცა მოედანზე ჭეშმარიტი სიამოვნება გვიგრძნია, მაგრამ, სამწუხაროდ, არიან ისეთი გუნდებიც, რომლებთან თამაშიც ჭირის დღესავით გვეჯავრება. ესენი ძირითადად სუსტი გუნდები არიან. ზოგჯერ კი არ გეთამაშებიან, არამედ ცდილობენ თამაში ჩაგიშალონ. თავისი მიზნის მისაღწევად არ ერიდებიან არასპორტულ მეთოდებსაც კი. ზოგიერთი მოთამაშე ხშირად იმასაც კადრულობს, რომ უხეში სიტყვებით განერვიულებს და მოთმინებიდან გამოჰყავხარ.

ფეხბურთი სპორტსმენს ბევრ მოთხოვნას უყენებს, ბევრ მსხვერპლს სთხოვს. ყოვლად შეუძლებელია გახდე მაღალი კლასის ფეხბურთელი, თუ ბურთი და მოედანი არ გიყვარს, ფეხბურთელი არ გიყვარს და მოწინააღმდეგეს არ აფასებ. ასეთი ფეხბურთელი მოედანზე ვერასოდეს ვერ იგრძნობს სიამოვნებას. მისთვის თამაში „სამუშაოდ“ იქცევა. კარგი ფეხ-

ბურთელი არასოდეს იკადრებს, მოწინააღმდეგე მოთმინებიდან გამოიყვანოს, დაამტვრიოს, თამაში ჩაუშალოს. მოედანზე ფეხბურთელებმა ერთმანეთს ყოველთვის პატივი უნდა სცენ და ღირსეულად დააფასონ ძლიერი. ფეხბურთელის მკაცრ ცხოვრებას ვუძღვნით ჩვენი ცხოვრების ახალგაზრდულ წლებს. არ შეიძლება სპორტის ამ წარმტაც და ვაჟკაცურ სახეობას თვითონ ფეხბურთელებმა წავართვათ ის სილამაზე, რისთვისაც ასე უყვართ ფეხბურთი მთელ მსოფლიოში.

საბჭოთა კავშირში ძალიან ბევრი გუნდია ისეთი, რომელთან თამაშსაც დიდი სიამოვნებით მოველით ხოლმე. ჩვენ, როგორც ფეხბურთელები, ამ მატჩებში ყველაზე უკეთ ვგრძნობთ ფეხბურთის მთელ სილამაზეს. ასეთ გუნდებს შორის პირველ რიგში მინდა დავასახელო მოსკოვის „სპარტაკი“ და „ტორპედო“, კიევის „დინამო“.

ამ საუბრის დროს შოთა იამანიძე შეეხო ფეხბურთელის ფსიქოლოგიურ სფეროს. მე ვთხოვე ეამბა, რა ზემოქმედებას ახდენს ფსიქოლოგიური ბრძოლა მატჩის შედეგზე.

„თითქმის გადამწყვეტს, – უყოყმანოდ მიპასუხა თბილისელთა კაპიტანმა. – ნერვების სიმტკიცე თამაშის დროს ყველაფერს ნიშნავს.

თანაბარი გუნდების შეხვედრისას ხშირად მატჩის ბედი პირველსავე წუთებში წყდება. ეს ის პერიოდია, როცა მოწინააღმდეგეს თამაში ფსიქოლოგიურად უნდა მოუგო. ამ პერიოდში თუ მოწინააღმდეგეზე ადრე გაგიარა მღელვარებამ და დაეუფლე შენს თავს, უკვე შეგიძლია მას შენი თამაში მოახვიო.

ფეხბურთელებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პირველივე შებრძოლების შედეგს. მაგალითად, გარემარბმა თუ პირველსავე ცდაზე ეფექტურად მოატყუა და უკან მოიტოვა „თავისი“ მცველი, ფსიქოლოგიური ბრძოლის სასწორი უკვე მის მხარეს გადაიხრება.

მახსოვს, ერთხელ კიევში ჩემ წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის უძლიერესი ნახევარმცველი იური ვოინოვი თამაშობდა. მთელი პირველი ოცი წუთი ჩემსა და კიეველ ფეხბურთელს შორის ფსიქოლოგიური ომი წარმოებდა. მე გავურბოდი მასთან პირისპირ მისვლას და მოტყუებას, რადგან თუ ცრუ მოძრაობა არ გამომივიდოდა, მაშინ მე შიში შემიპყრობდა, მას კი რწმენა შეემატებოდა. ამიტომ ან პასს ვაწოდებდი, ან „კედელს“ ვთამაშობდი. ამავე მოსაზრებით ისიც გაურბოდა ჩემთან პირისპირ შეჯახებას. ორივე ხელსაყრელ მომენტს ველოდით. როცა მოედანს შევეგუე და თავი თავისუფლად ვიგრძენი, პირველსავე ხელსაყრელ მომენტში ვოინოვთან პირისპირ მივედი და ცრუ მოძრაობა გავუკეთე. ვოინოვი გვერდზე გადაიხარა, წინ გზა თავისუფალი იყო და... იმ დღეს მწვრთნელი ჩემი თამაშით არ დარჩენილა უკმაყოფილო“.

ესპანელები ყოველთვის ცდილობენ, მოწინააღმდეგეს პირველ ოც წუთში შეუტიონ მთელი ძალით, დააბნიონ, ფსიქოლოგიურად დაჩაგრონ და მოედნის ბატონ-პატრონები გახდნენ.

ქართველი ფეხბურთელების ძირითად ნაკლად სწორედ ნერვიულობა მიმაჩნია. იშვიათად ყოფილა შემთხვევა, რომ მოწინააღმდეგეს ჩვენს კარში პირველი ბურთი გაეტანოს და ის თამაში მოგვეგოს. მხოლოდ თბილისის „დინამოს“ შეეძლო 9:2 მოეგო გუნდისთვის და შემდეგ ასეთივე ანგარიშით წაეგო იმავე გუნდთან“.

VII

საფეხბურთო სტრატეგიამ დიდი ცვლილებები განიცადა. არცთუ ისე ბევრი წელი გვაშორებს იმ დროს, როცა მეკარე პატარა საჯარიმო მოედანზეც კი არ გამოდიოდა, ხოლო ხუთი თავდამსხმელი ერთ ხაზზე გამწკრივებული თამაშობდა.

საფეხბურთო ტაქტიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომაა, რომ გუნდის მწვრთნელზე ბევრი რამაა დამოკიდებული.

ძალზე საინტერესოა ის დამოკიდებულება, რომელიც ფეხბურთელსა და მწვრთნელს შორის არსებობს.

„მწვრთნელი გუნდის მთავარსარდალს მოგვაგონებს, – თქვა შოთამ, – არაფერია იმაზე უკეთესი, როცა გჯერა შენი მწვრთნელისა. ყოველთვის დიდი სიყვარულით ვიგონებ ანდრო ჟორდანიას. მე იგი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად მიმაჩნია. ანდრო ჟორდანია საფეხბურთო სტრატეგიის ბრწყინვალე მცოდნეა. გარდა ამისა იგი ახალგაზრდა ფეხბურთელების უბადლო აღმზრდელია. ანდრო ჟორდანია ჯერ კიდევ სულ პატარა ბავშვს კოჭებში ატყობს, რა ფეხბურთელიც დადგება. შესანიშნავი მწვრთნელია მიხეილ იაკუშინი, თუმცა ის მოთამაშეთა ფანტაზიას ცოტა ზედმეტად უმორჩილებდა გეგმას და ფეხბურთელის მოქმედებას განსაზღვრულ ჩარჩოში აქცევდა. გავრიილ კაჩალინის სახელს კარგად იცნობს მთელი მსოფლიო. მან მოსკოვში ევროპის თასი ჩამოიტანა. მისი ხელმძღვანელობით კი თბილისის „დინამომ“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მე კიდევ ბევრი მწვრთნელი მყოლია, მაგრამ ახლა მათ დახასიათებას როდი ვაპირებ. ამ რამდენიმე ხნის წინათ გაზეთში წავიკითხე ცნობილი იტალიელი მსახიობის რაფ ვალონეს წერილი მწვრთნელებზე და ფეხბურთელებზე. იგი ფეხბურთელებს მსახიობებს ადარებს, ხოლო მწვრთნელებს – რეჟისორებს, რომლებიც სცენაზე ზედმეტად ზღუდავენ მსახიობის ნიჭსა და ფანტაზიას.

ცუდად არ გამიგოთ და იტალიელი მსახიობის სიტყვები ცოტა მენიშნა. ხშირად ფეხბურთელი იძულებულია მხოლოდ და მხოლოდ მწვრთნელის მითითებით იმოქმედოს. ძალიან ცუდია, როცა მოედანზე არის ფეხბურთელი შემსრულებე-

ლი და არა ფეხბურთელი შემოქმედი. რა არის ამის მიზეზი? უყოყმანოდ ვუპასუხებ – ქულა! ფეხბურთი, უპირველეს ყოვლისა, ასპარეზობაა, სადაც მთავარი მნიშვნელობა ენიჭება გამარჯვებას, სატურნირო ცხრილში სასურველ ადგილზე ვერ აღმოჩნდები, თუ ქულები არ დააგროვე. ქულების დასაგროვებლად კი ბევრი მწვრთნელი და საფეხბურთო კოლექტივი ისეთ მეთოდებს და სტრატეგიულ ხერხებს მიმართავს, რომ მოედანზე იზღუდება ფანტაზია, იზღუდება შემოქმედება, თამაშს ეკარგება წარმტაცი სანახაობითი მხარე.

საკმარისია მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: როცა სუსტი გუნდი ხვდება ძლიერს (ზოგჯერ როცა ძლიერი სხვის მოედანზე თამაშობს, მაშინაც კი), არჩევს თანაბარ ანგარიშს, იბრძვის ფრისთვის. ფრისთვის ბრძოლა კი თავისთავად ყოვლად ლაჩრულ, არასპორტულ წესებს შეიცავს. ჩადგება 7-8 ფეხბურთელი საჯარიმო მოედანზე, უმისამართოდ იგერიებენ ბურთებს, ცდილობენ მოწინააღმდეგის თამაშის ჩაშლას, დროის გაყვანას, ტემპის დაგდებას, ფეხბურთელების წონასწორობიდან გამოყვანას და ა. შ.

სამაგიეროდ აქტივში ერთი ქულა ეწერებათ. ბიჭები ასრულებენ დავალებას და მწვრთნელიც კმაყოფილია.

ხშირად, თქვენ წარმოიდგინეთ, მაყურებელიც კი კმაყოფილია. ერთხელ, მახსოვს, თბილისში მოედანზე არ გამოვიდა ვალენტინ ივანოვი. ეს ბევრს გაუხარდა – ჩვენები მოიგებენო. რასაკვირველია, ორი ქულა კარგია, მაგრამ მას მეტი ფასი ექნებოდა, მოედანზე ივანოვიც რომ ყოფილიყო.

ზოგიერთ მწვრთნელს ძალიან უყვარს ეგრეთ წოდებული „დავალების“ ფეხბურთელები. ამ კატეგორიის მოთამაშეებს ძირითადად დაბალი კლასის ფეხბურთელები მიეკუთვნებიან. რით გამოირჩევიან ისინი? მოვიყვან ერთ მაგალითს. ფეხბურთელს ეტყვიან, შენ თამაშიდან უნდა გამოთიშო ესა და ეს ფეხბურთელიო. ისიც მთელი ორი ტაიმი ლანდივით დას-

დევს თავის მოწინააღმდეგეს, არც მას აძლევს თამაშის საშუალებას და არც თვითონ თამაშობს.

ამიტომ არის, რომ თამაშის ოლიმპიური სისტემის დროს, როგორც ეს საბჭოთა კავშირის თასისათვის ბრძოლის დროსაა დაკანონებული, ბრძოლის ასეთი მეთოდები უვარგისია. აქ ასეთი წესია: წაგებული თამაშიდან გადის, მოგებული კი გზას აგრძელებს ფინალისაკენ. მოწინააღმდეგე მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებისათვის იბრძვის. მატჩიც უფრო ცოცხალი, დაძაბული და დრამატული ეპიზოდებითაა სავსე.

რასაკვირველია, ხშირად უპირატესობის შენარჩუნება არავაჟკაცური მეთოდებითაც შეიძლება, მაგრამ თამაშის ოლიმპიური სისტემის დროს ამის ნაკლები შესაძლებლობაა.

აქვე დავძენ, ასეთი მწვრთნელების ხელში გუნდი ვერასოდეს ვერ მიაღწევს დიდ წარმატებას. ძნელია იყო კარგი მწვრთნელი. კარგი მწვრთნელის ხელში მარტო ვარჯიში და თამაში როდია სასიამოვნო, ძალიან ბევრს ნიშნავს, როცა ის იმედად და დასაყრდენად გეგულება.

ქართული ფეხბურთის უპირველესი თვისება არის შემოქმედება, იმპროვიზაცია. ყველა დამეთანხმება, არ შეიძლება მესხი, მეტრეველი და ბარქაია მწვრთნელმა რაიმე ვიწრო დავალებით შეზღუდოს და არ მისცეს თავისუფლად მოქმედების საშუალება. მაშინ ისინი ფრთებშეკვეცილ ფრინველს დაემსგავსებიან.

ძალიან ცუდია, როცა მოედანზე მარტო მწვრთნელი ჩანს. თუმცა არც ის ვარგა, როცა მთელი თამაში მხოლოდ იმპროვიზაციაზეა აგებული. პირველმა თავისი დაღი დაასვა საბჭოთა კავშირის ნაკრების გამოსვლებს ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატში. მეორემ კატასტროფამდე მიიყვანა არგენტინისა და ურუგვაის პირველხარისხოვანი ფეხბურთი.

თუ როგორ ავსებენ ერთმანეთს მწვრთნელი და სოლისტები, გეგმა და იმპროვიზაცია, ამის კლასიკური ნიმუშია ბრაზილიის ეროვნული ნაკრები.

1962 წელს სან-პაულუში დავესწარი მატჩს „სანტოსსა“ და „სან-პაულუს“ შორის. მე და ბაზილევიჩი კარის მახლობლად ვისხედით. თამაშის დაწყების წინ ჩვენ გვერდით ჩამოჯდა შუახნის მსუქანი, ჩასკვნილი კაცი. ყველანი ფეხზე წამოდგნენ და ახლად მოსულს მოწიწებით მიესალმნენ.

– ფეოლა, ფეოლა! – ჩამესმა ყურში. სიხარულმა შემიპყრო: ჩემ გვერდით ვისენტე ფეოლა იჯდა. როგორ ვინატრე, რომ იმ წუთში ესპანური ან პორტუგალიური მცოდნოდა. მინდოდა გამოვლაპარაკებოდი კაცს, რომელმაც მსოფლიო საფეხბურთო სტრატეგია თავის ფანტაზიას დაუმორჩილა, ხოლო ბრაზილიურ ფეხბურთს მსოფლიო დიდება მოუტანა.

VIII

ყველა გულშემატკივარს ჰყავს თავისი საყვარელი ფეხბურთელი, თავისი საყვარელი გუნდი. ძალიან ბევრს შეუძლია სათანადოდ შეაფასოს სპორტსმენის ღირსება-ნაკლოვანებანი, ცალკეული გუნდების დამახასიათებელი ტაქტიკური თუ ტექნიკური თავისებურებანი. ხშირად იმ გულშემატკივრებსაც კი, რომლებსაც არასოდეს უთამაშიათ ფეხბურთი, შეუძლიათ გააკეთონ მატჩის მსვლელობის არცთუ საფუძველმოკლებული ანალიზი, მაგრამ სულ სხვაა პროფესიონალის შეფასება. ცალკეული ფეხბურთელის ან მთელი გუნდის დახასიათებისას იგი ისეთ ნიუანსებს ამჩნევს, რომლებიც გამოუცდელი თვალისათვის შეიძლება სამუდამოდ ამოუცნობი დარჩეს. ამიტომაცაა, რომ გულშემატკივრებს ძალზე აინტერესებთ ფეხბურთელის აზრი ცალკეული ფეხბურთელების, საკლუბო გუნდებისა თუ სხვადასხვა ქვეყნის საფეხბურთო სკოლების შესახებ.

ბრაზილიელი ჟურნალისტი ჟასინტო დე ტორმესი იგონებს: „ერთხელ სტადიონზე შემხვდა ზიზინიო, წარსულში ბრაზილიური ფეხბურთის სიამაყე.

– თქვენ ნილტონ სანტოსზე წიგნს წერთ? – მკითხა მან.

– დიახ, იქნება რაიმე საინტერესო მომიყვეთ მასზე?

– რატომაც არა. 1957 წელს ჩვენი გუნდი არგენტინის ნაკრებს ხვდებოდა. მაშინ ნილტონ სანტოსს მოედანზე ბადალი არ ჰყავდა. მან კორბატას ფეხი არ გაანძრევინა და თან მეგობრებს ეხმარებოდა.

მე ამან როდი გამაოცა. ნილტონ სანტოსი არცერთხელ არ მოტყუებულა, მისი გადაწყდებული ბურთი მიზანს არ ასცდენია, ერთი სიტყვით, არ დაუშვია არცერთი შეცდომა.

მე მინახავს დი სტეფანოსა და ადემირის, სტენლი მეტიუზისა და პელეს, გარინჩასა და ხენტოს თამაში. მეც მქონდა ბედნიერი დღეები, როცა მოედანზე მერცხალივით ვფრინავდი, მაგრამ არ შეიძლება, რომ მთელი თამაშის განმავლობაში ერთხელ მაინც არ წაგცდეს ფეხი. ამ მატჩში კი ნილტონ სანტოსმა შეძლო შეუძლებელი. იგი არცერთხელ არ შემცდარა. 90 წუთის განმავლობაში მან მოგვხიბლა თავისი უმაღლესი არტისტული ოსტატობით. მხოლოდ ჩვენ – პროფესიონალებს შეგვიძლია გავარჩიოთ შესანიშნავი თამაში უშეცდომო თამაშისაგან".

„სამწუხაროდ, ბორის პაიჭაძის თამაში არ მახსოვს, – თქვა ერთხელ შოთამ, – ქართველ ფეხბურთელთა შორის პირველ ფეხბურთელად მიმაჩნია ავთანდილ ღოღობერიძე, ავთანდილ ჭკუასელს კი შეეძლო ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი გამხდარიყო.

როცა ფეხბურთელებზე ვლაპარაკობთ, ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ მაღალი კლასის მოთამაშეები და ნამდვილი ფეხბურთელები. პირველი კატეგორიის ფეხბურთელებს შეუძლიათ მთელი ორი ტაიმის განმავლობაში იდგნენ (ხშირად რამდენიმე თამაში ზედიზედ), მაგრამ ერთი-ორჯერ ისეთი ბურთი გაიტანონ, ისეთი გასვლა ან გადაცემა გააკეთონ, როგორიც მხოლოდ ძალზე მაღალი კლასის სპორტსმენს თუ

შეუძლია. მაგრამ მარტო მაღალი კლასი როდი კმარა. მოთამაშე ბუნებით უნდა იყოს ფეხბურთელი, თორემ მოედანზე ვერასდროს ვერ შექმნი ნამდვილ საბრძოლო განწყობილებას.

სულ სხვაა ნამდვილი ფეხბურთელი, რომელიც მთელი 90 წუთის განმავლობაში მოედანზე ქმნის საბრძოლო განწყობილებას. ასეთი ფეხბურთელები იყვნენ ავთანდილ ღოღობერიძე და ნიაზ ძიაპშიპა. ავთანდილ ღოღობერიძე მარტო მაღალი კლასის ფეხბურთელი როდი იყო, ის იყო სული და გული მთელი გუნდისა.

არ შეიძლება ნიაზ ძიაპშიპას გვერდით გეთამაშა და არ გადაგდებოდა მისი სიმხნევე, ბრძოლის წყურვილი. 1956 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე თბილისის „დინამო" ნახევარფინალში კიეველ თანაკლუბელებს ხვდებოდა. თბილისელები იგებდნენ – 2:1. კიევის დინამოელები თბილისელთა საჯარიმო მოედანზე დასახლდნენ, მაგრამ მათ წინ გალავანივით აღიმართა თბილისელთა დაცვა, რომელსაც ნიაზ ძიაპშიპა ხელმძღვანელობდა. ერთ-ერთი შეტევის დროს კიეველმა თავდამსხმელმა ბურთი ფეხებში მოიგდო თუ არა, მოულოდნელად თბილისელთა საჯარიმო მოედანზე შეიჭრა, ვლადიმერ მარღანია გარეთ გამოვარდა და უკრაინელ ფეხბურთელს ფეხებში ჩაუვარდა. ამ უკანასკნელმა შეძლო თბილისელთა მეკარის მოტყუება და ბურთი ცარიელ კარში გაგზავნა... ძიაპშიპა ამ დროს კარიდან მოშორებით იდგა. მან თითქოს წინასწარ იგრძნო, რაც მოხდებოდა, კარისკენ გაიჭრა და ისეთი ნახტომი გააკეთა, კაცს ეგონებოდა გაფრინდაო. ბურთს ზედ კართან მოუსწრო და თავური დარტყმით მოედანზე დააბრუნა, მაგრამ... თვითონ ძელს შეასკდა და გონება დაკარგა. მსაჯმა თამაში შეაჩერა, მოსკოვის ცენტრალური სტადიონის ტრიბუნებზე სიჩუმე ჩამოწვა. ექიმებმა კარს უკან გადაიყვანეს თბილისელთა ცენტრალური მცველი.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ძიაპშიპა გონს მოვიდა და ისევ მოედანს დაუბრუნდა. სტადიონზე ტაშმა იქუხა.

მეგობრის საბრძოლო განწყობილებამ კიდევ უფრო გაამხნევა თბილისელები. უკანასკნელ წუთებში ქართველმა ფეხბურთელებმა მესამე ბურთი გაიტანეს კიეველთა კარში".

თბილისელთა კაპიტანს საბჭოთა ფეხბურთელებიდან ძალიან მოსწონს მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, ვალენტინ ივანოვი და ვიქტორ პონედელნიკი.

ამ ფეხბურთელებს შოთა იამანიძე მსოფლიოს უძლიერეს თავდამსხმელებად თვლის.

– იმ ფეხბურთელებს შორის, ვინც შენ გინახავს, ვინ მიგაჩნია მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებად?

– ესპანელი სუარესის თამაში ტელევიზორში ვნახე, მაგრამ მან ჩემზე განუმეორებელი შთაბეჭდილება დატოვა. იგი მსოფლიოს უძლიერესი თავდამსხმელია, რასაკვირველია, პელე და გარინჩა კონკურსს გარეშე არიან, – მიპასუხა შოთა იამანიძემ (საინტერესოა ისიც, რომ ივანოვსაც და პონედელნიკსაც სუარესი მსოფლიოს უძლიერეს ფორვარდად მიაჩნიათ). – ჩემი საყვარელი ფეხბურთელები არიან აგრეთვე კოპა, სვენი, ბლენჩფლაუერი, მაურო, ზიტო, კუტინიო და ვავა. ბულგარეთის სპორტულმა ჟურნალმა მოახდინა მსოფლიოს ცენტრალური თავდამსხმელების კლასიფიკაცია ინდივიდუალური თვისებების მიხედვით. ვავამ პირველი ადგილი დაიკავა იმ გრაფაში, სადაც გაერთიანებული იყვნენ ყველაზე ინტუიციანი ცენტრალური თავდამსხმელები. მაგრამ ვავას მარტო ინტუიცია როდი შველის. იგი სულ თამაშშია ჩართული, ვერასოდეს ნახავთ დაბნეულს და შეშინებულს, ომახიანი შეძახილებით ამხნევებს მეგობრებს და თვითონვე იძლევა თავგანწირული თამაშის მაგალითს. მე ის სულ ერთხელ ვნახე მოედანზე. ისიც დამტვრეული, ძლივს დააბიჯებდა. ანშლაგის გულისთვის კლუბის პრეზიდენტმა მაინც აიძულა მოედანზე

გამოსულიყო. ვავა თითქმის იდგა, მაგრამ ორჯერ ისეთი დაარტყა კარში, მისი გვარიც რომ არ გცოდნოდა, ადვილად მიხვდებოდი, ვისთან გქონდა საქმე.

არ შეიძლება ვილაპარაკო ჩემს საყვარელ ფეხბურთელებზე და არაფერი გიამბოთ პელეზე. გულახდილად რომ ვთქვა, თავიდან პელეს მიმართ ცოტა სკეპტიკურადაც კი ვიყავი განწყობილი. ვფიქრობდი, „შავი მარგალიტის“ ასეთი განდიდება ჟურნალისტების ფანტაზიის ნაყოფია-მეთქი. სან-პაულუს მუნიციპალიტეტის სტადიონზე რომ მივედით, თავიდანვე მღელვარებამ შემიპყრო. სტადიონის შესასვლელთან უზარმაზარი კოლონადაა, რომელიც ექვსი სვეტისაგან შედგება. ამ სვეტებზე წერია „BRAZIL“ – თითო სვეტზე თითო ასო. შვედეთის მსოფლიო ჩემპიონატშიც ბრაზილიამ ექვსი შეხვედრა ჩაატარა. თითოეულ სვეტზე თანმიმდევრულად წერია მატჩის ანგარიში, მოწინააღმდეგე გუნდის სახელმწიფოს დასახელება და გატანილი ბურთების ავტორები. ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ამ სვეტებს ალბათ გამარჯვების მაუწყებელი ახალი წარწერები ამშვენებს.

და აი, ამ სტადიონზე, სადაც ჯერ კიდევ ცენტრალურმა შესასვლელმა შეგვახსენა ბრაზილიური ფეხბურთის დიდების ბრწყინვალე ფურცლები, ერთმანეთის წინაშე წარდგნენ „სან-პაულუ“ და „სანტოსი“.

როგორც კი პელემ ბურთი მიიღო და მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე შეიჭრა, ვიგრძენი, რომ ეს არ იყო არც კოპა, არც სუარესი და, საერთოდ, არცერთი ფეხბურთელი, რომელიც აქამდე მენახა. მის დასახასიათებლად ნამდვილად არ მეყოფა ეპითეტები. ჩამოთვალეთ, რა თვისებები უნდა ჰქონდეს იდეალურ ფეხბურთელს და დაახლოებით წარმოიდგენთ პელეს.

ანგარიში თავდაპირველად სანპაულუელებს მიჰყავდათ – 2:0, მაგრამ შემდეგ სანტოსელებმა ოთხი ბურთი გაახვიეს

მოწინააღმდეგის კარის ბადეში. ოთხივე ბურთის თანაავტორი პელე იყო. არ დამავიწყდება პელეს 40-მეტრიანი მოჭრილი გადაცემა, რითაც მან კუტინიო თავისუფალ ადგილზე გაიყვანა. მეკარესთან პირისპირ გასულ კუტიონიოს ისღა დარჩენოდა, ბურთი კარში შეეგორებინა.

თვალწინ მიდგას ერთი ეპიზოდი. პელეს ორმა მცველმა გზა გადაუღობა, მაგრამ მას სირბილი არ შეუნელებია. ფეხის წვერით ბურთი ჰაერში ააგდო, აგდებულ ბურთს მკერდით წამოეწია, თითქოს გულზე მიიწება და ორ მცველს შუა სირბილით გავიდა. სანამ გაოგნებული მცველები გონს მოვიდნენ, პელემ ბურთი ძირს დაუშვა და უძლიერესი დარტყმით მეხუთე ბურთი გაიტანა.

პელე მთელი მატჩის განმავლობაში თხუთმეტ-ოც წუთს თამაშობს. ეს აიხსნება არა პელეს თამაშის მანერით, არამედ კომერციით. გუნდის შემადგენლობა ბრაზილიაში ორი დღით ადრე ცხადდება. თუ არ თამაშობს პელე, მაყურებელთა რაოდენობა 50 პროცენტით იკლებს. ამიტომ, იძულებულია წლის განმავლობაში ასამდე მატჩში გამოვიდეს.

ამიტომ პელე მეორეხარისხოვანი მატჩების დროს თავს ძალას არ ატანს. მე ვნახე ერთი მატჩი, სადაც პელემ 90 წუთი ითამაშა, მაგრამ, სამწუხაროდ, კინოში. ეს იყო ფინალური შეხვედრა პორტუგალიის „ბენფიკასთან" საკონტინენტთაშორისო თასზე. იგი მოედანზე მთელი თამაშის განმავლობაში გრიგალივით დაქროდა.

პელემ ამ მატჩში სამი ბურთი გაიტანა.

ეს დოკუმენტური ფილმი „სანტოსთან" თამაშის წინ ვნახეთ. ფილმმა ისე იმოქმედა, რომ სერგო კოტრიკაძეს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. სერგოს შიში უსაფუძვლო როდი იყო. მეორე დღეს პელემ საბჭოთა ოლიმპიური გუნდის კარში, რომელსაც სერგო იცავდა, გადამწყვეტი ბურთი გაიტანა. მე კარს უკან ვიჯექი და პელეს მოძრაობას კარგად ვამჩნევდი.

კარის გასწვრივ დაბალი ბურთი ჩამოაწოდეს. პელემ ნახტომი გააკეთა. სერგომ კარის მარცხენა მხარე სწორად ჩაკეტა. პელე ჯერ კიდევ ჰაერში მიხვდა, რომ მეკარემ კუთხე ჩაუკეტა და წამის მონაკვეთში კარის მეორე მხარეს გახედა. შესანიშნავი თავური დარტყმა და ბურთი კარის მეორე კუთხეში გაეხვია.

იყო ასეთი შემთხვევაც. პელემ ზავიდონოვი უკან მოიტოვა და გააკეთა ცრუ მოძრაობა, თითქოს კარში არტყამდა. სერგო კოტრიკაძე მარცხნივ გადახტა, პელემ კი ბურთი ნელა გაგზავნა კარის მარჯვენა კუთხეში, თვითონ შემობრუნდა და დარწმუნებული, ბურთი გავიტანეო, აპლოდისმენტების მოლოდინში ცენტრისაკენ გაემართა. უცებ ტრიბუნებს ტაშის მაგიერ ოხვრა აღმოხდა... ბურთი ძელს მოხვდა. სერგომ წამოხტომა მოასწრო და ბურთი ხელთ იგდო.

შოთა იამანიძე უცხოეთის საფეხბურთო სკოლებს შორის მსოფლიოში ყველაზე მაღლა აყენებს ბრაზილიურ ფეხბურთს, შემდეგ კი – ინგლისურს.

– მე არ მომწონს არგენტინული, ურუგვაიული და ფრანგული ფეხბურთი, – ამბობს თბილისელთა კაპიტანი. – მათ ვირტუოზული ტექნიკა აქვთ, განსაკუთრებით არგენტინელებს და ურუგვაელებს, მაგრამ ბურთს ზედმეტად აწვალებენ. იერიშებს სწრაფად ვერ იმეორებენ, რაც ასე აუცილებელია თანამედროვე ფეხბურთისათვის. ისინი საჯარიმო მოედანზე ბურთის მისატანად 14-16 გადაცემას აკეთებენ, როცა ინგლისელები ან ბრაზილიელები ამას ერთი გარღვევით, ან გრძელი გადაცემით ახერხებენ.

ბრაზილიური ფეხბურთი ძალზე წარმტაცია. მათ აქვთ ყველაფერი – სისწრაფე, მაღალი ტექნიკა, ფანტაზია. ინგლისურ ფეხბურთს კი განუმეორებელი ათლეტური სილამაზე ახასიათებს.

მკითხველისათვის ალბათ საინტერესო იქნება, პარალელი გავავლოთ შოთა იამანიძისა და სხვა ცნობილი ფეხბურთე-

ლების შეხედულებებს შორის. ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატის წინ მე სპეციალური ანკეტები შევავსებინე საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრებს. იქ ორი ასეთი კითხვა იყო: ა) საბჭოთა ფეხბურთის გამოკლებით რომელი ქვეყნის ფეხბურთს აყენებთ ყველაზე მაღლა? ბ) იმ ფეხბურთელებს შორის, რომლებიც გინახავთ, ვის თვლით საუკეთესო მცველად, ნახევარმცველად და თავდამსხმელად?

პირველ კითხვაზე პასუხების შედეგი ასეთია: ბრაზილიურ ფეხბურთს პირველ ადგილზე აყენებენ მესხი, ბატანოვი, მეტრეველი, ნეტო, ბუბუკინი, ივანოვი და მედაკინი.

ინგლისური ფეხბურთი უძლიერესად მიაჩნიათ პონედელნიკს, მანოშინს, ვორონინს, ჩოხელს. იაშინი კი ყველაზე უფრო აფასებს დასავლეთ გერმანიის ფეხბურთს.

ინგლისურ და ესპანურ ფეხბურთს მეორე ადგილზე აყენებენ მეტრეველი, ბატანოვი და ბუბუკინი.

ბრაზილიურის შემდეგ უნგრული ფეხბურთი ყველაზე უფრო მოსწონთ ნეტოს და ჩოხელს.

აი, მეორე კითხვაზე პასუხებიც:

პელესა და გარინჩას შემდეგ უძლიერეს თავდამსხმელად დაასახელეს კოპა (ხუთი ხმა), სუარესი (სამი ხმა), ტეილორი (ერთი ხმა), ბობროვი (ერთი ხმა), ფენტხემი (ერთი ხმა), შანდორი (ერთი ხმა).

უძლიერესი ნახევარმცველების სია ასე გამოიყურება: ბოჟიკი (შვიდი ხმა), ბლენჩფლაუერი (ორი ხმა), ნეტო (ერთი ხმა), ედვარდსი (ერთი ხმა).

მცველები: ნილტონ სანტოსი (ორი ხმა), ბელინი (ორი ხმა), შიპოში (ორი ხმა), რაიტი (ორი ხმა), სვენი (ერთი ხმა), ნორმანი (ერთი ხმა), ჰოუ (ერთი ხმა).

როგორც ვხედავთ, აქაც ძირითადად ბრაზილიელი და ინგლისელი ფეხბურთელები არიან დასახელებულნი, შემდეგ უნგრელი და ესპანელი ფეხბურთელები. ეს იყო ჩილეს მსოფ-

ლიო ჩემპიონატამდე. მას შემდეგ, რაც ამაზონისპირელმა ჟონგლიორებმა მეორედ მოიპოვეს ოქროს ქალღმერთის თასი, მათი აქციები, ბუნებრივია, კიდევ უფრო გაიზრდებოდა.

თბილისელთა კაპიტანს ხშირად უთქვამს: „მე მსოფლიოს ბევრი გუნდის წინააღმდეგ მითამაშია, მაგრამ არავისთან თამაშით არ მიმიღია ისეთი სიამოვნება, როგორიც ინგლისელებთან.

არასოდეს დამავიწყდება მატჩი ინგლისის „ვულვერჰემპტონთან", მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს საკლუბო გუნდთან. ამ შეხვედრაში ჩვენს შემადგენლობაში გამოვიდა ვალერი ვორონინი.

თამაშის წინ ჟურნალისტებთან ინტერვიუში „ვულვერჰემპტონის" მწვრთნელმა სტენ კულისმა თავდაჯერებულად განაცხადა, ჩემი „მგლები" შეჭამენ ქართველებსო.

ამ განცხადებამ ჩვენ უფრო გაგვაღიზიანა და ბრძოლის ხასიათზე დაგვაყენა.

მიუხედავად იმისა, რომ გრუნტი საკმაოდ მძიმე იყო, თამაში მეტად მაღალ ტემპში დაიწყო. უკვე მეოთხე წუთზე მიხეილ მესხმა ბურთი ინგლისელთა კარის ბადეში გაახვია. ვერც კი მოვასწარით თამაშის განახლება, რომ გივი ჩოხელმა ვერ შენიშნა კარიდან გამოსული კოტრიკაძე და ბურთი გაგზავნა... საკუთარ კარში.

მაგრამ ამან როდი დაგვაბნია, მე-12 წუთზე მესხმა ბურთი საჯარიმო მოედანზე ჩაკიდა. ღოღობერიძის შესანიშნავი თავური დარტყმა და ინგლისელებმა მეორე ბურთი გამოიტანეს კარიდან. პირველი ტაიმი იწურებოდა. მოედნის ცენტრში ბურთი მივიღე, გზადაგზა ორი მცველი მოვატყუე და ბურთი ღოღობერიძეს გავუჭერი. მან მესამედ შეარხია ინგლისელთა კარის ბადე.

ინგლისელებმა მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე შეგვიტიეს, მაგრამ ბურთი მხოლოდ 20 წუთის შემდეგ გაგვიტანეს. სამი წუთიც არ იყო გასული, რომ ღოღობერიძე-ბარქაია-მელაშვი-

ლის კომბინაცია მიხეილ მესხმა დააგვირგვინა. კიდევ ორი წუთის შემდეგ მელაშვილის ჩამოწოდებული ბურთი კალოევმა ოსტატურად გაიტანა ინგლისელთა კარში. ჩვენი იერიშები არ ცხრებოდა. მალე მესხის მიერ ყუმბარისებურად დარტყმული ბურთი სახეში მოხვდა „ვულვერჰემპტონის" მეკარეს და ნოკდაუნში ჩააგდო.

ამის შემდეგ კი გაცოფდნენ „მგლები". მათი იერიშები თანდათან უფრო სახიფათო ხდებოდა. ისინი თითქმის ჩვენს საჯარიმო მოედანზე დასახლდნენ. ძალზე გეგმიანად მოქმედებდნენ ინგლისელი ნახევარმცველები. თავდამსხმელებმა კი გვიჩვენეს, თუ რას ნიშნავს ინგლისური შტურმი. „მგლებმა" ჩვენს მოედანზე საჰაერო ბრძოლა გააჩაღეს. გარემარბი რომ საჯარიმო მოედანზე ბურთს ჩამოაწოდებდა, ნახტომს ოთხი-ხუთი ინგლისელი მაინც აკეთებდა. გასახდელში ბარქაიამ თქვა: „ბურთზე თავის დასარტყმელად ხუთი კაცი რომ ერთად ამხტარი დავინახე, შიშისაგან თვალები დავხუჭეო". ინგლისელებმა ანგარიში გაათანაბრეს. 5:5, ასე დამთავრდა დაძაბული და მეტად საინტერესო ორთაბრძოლა.

მოგება უკანასკნელ წუთზე გავუშვით ხელიდან, მაგრამ ჩვენმა თამაშმა აღაფრთოვანა როგორც მაყურებლები, ისე ფეხბურთის სპეციალისტები. ინგლისური გაზეთები „ტაიმსი", „დეილი ტელეგრაფი", „დეილი მეილი" დ სხვები ხოტბას ასხამდნენ ქართველ ფეხბურთელთა ტექნიკასა და ტემპერამენტს. „თბილისელებმა გაიტანეს 6 გოლი, აქედან ერთი საკუთარ კარში", – წერდნენ გაზეთები, – „ვულვერჰემპტონ უონდერერსი" ცნობილია თავისი თავბრუდამხვევი ფინიშით, მით უმეტეს, როცა საკუთარ მოედანზე თამაშობს. მხოლოდ ამ ფინიშის წყალობით შეძლეს, ეხსნათ თავი დამარცხებისაგან".

ეს ისეთი მატჩი იყო, რომელმაც ყველას მოგვანიჭა პროფესიული სიამაყე და სიამოვნება.

თბილისის „დინამოს" კაპიტანთან ხშირად მისაუბრია საფეხბურთო ტაქტიკაზე. შოთა იამანიძე ტაქტიკას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს:

– ახლა მსოფლიოს ბევრ ქვეყანას ჰყავს პირველხარისხოვანი ფეხბურთელები, მაგრამ ყველა როდი თამაშობს პირველხარისხოვანი ტაქტიკით. მომავალ მსოფლიო ჩემპიონატშიც ის გუნდი გაიმარჯვებს, რომელიც ბრძოლას უახლესი ხერხით წარმართავს.

ამ რამდენიმე ხნის წინ წავიკითხე ფეხბურთის შესანიშნავი ფრანგი მიმომხილველის გაბრიელ ანოს წერილი. ის ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ, რაც დრო გადის, უფრო მცირდება თავდამსხმელების რიცხვი და იზრდება მცველების რაოდენობა.

მე მინდა შევედავო გაბრიელ ანოს. მართალია, შემცირდა თავდამსხმელების რიცხვი (მხედველობაში მაქვს უკანასკნელი სისტემა 1-4-2-4, 1-4-3-3), მაგრამ განა შემცირდა გატანილი ბურთების რაოდენობა? (მხედველობაში არ მყავს სუსტი გუნდები), ამ ახალი სისტემის პლუსი ის არის, რომ საშუალებას იძლევა, მოწინააღმდეგის კარს უფრო თავისუფლად შეუტიონ ნახევარმცველებმა და დროდადრო იერიშში მონაწილეობა მიიღონ განაპირა მცველებმაც. ეს სისტემა ყველაზე მეტად უდგება მასიურ თავდაცვას და მასიურ შეტევას. ახალმა სისტემამ არა მარტო გაამდიდრა გუნდების ტაქტიკური ნახაზი და უფრო მრავალფეროვანი გახადა შეტევისა და თავდაცვის ხერხები, ეს სისტემა ფეხბურთელებისაგან კიდევ უფრო მაღალ ტექნიკასა და თამაშის მრავალპლანიანობას მოითხოვს.

უნდა გამოგიტყდეთ და პირადად მე ძველებური სისტემა (1-3-2-5) უფრო მომწონს. მაშინ ფეხბურთელს მეტი გასაქანი ჰქონდა, თამაშიც უფრო ლამაზი იყო.

ფეხბურთი სწრაფი ტემპით ვითარდება და ალბათ სულ მალე რაიმე ახალი ტექნიკური ნახაზით გამდიდრება საფეხ-

ბურთო სტრატეგია. ეს ფეხბურთელებს კიდევ უფრო მეტ მოთხოვნას წაუყენებს და ახალ ამოცანებს დააყენებს მათი ტაქტიკური აზროვნებისა და ტექნიკის წინაშე, – დასძინა თბილისელთა კაპიტანმა.

1964 წლის ჩემპიონატის დამთავრებამდე ორიოდე თვით ადრე ჟურნალისტი კონსტანტინ ესენინი წერდა: „ქართული ფეხბურთის ორმა თაობამ, ბორის პაიჭაძისა და ავთანდილ ღოღობერიძისა, ვერ შეძლო ოქროს მედლების მოპოვება. ეს აუცილებლად უნდა შეძლოს მესამე თაობამ – შოთა იამანიძის თაობამ“.

ეს სიტყვები მაშინ გამახსენდა, როცა ტაშკენტში „ფახთაქორის“ სტადიონზე საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა ა. მოშკარკინმა ქვეყნის ჩემპიონის გარდამავალი თასი გადასცა თბილისის „დინამოს“ კაპიტანს – შოთა იამანიძეს.

„ფახთაქორის“ ტრიბუნებზე ჩირაღდნები აბრიალდა. ტაშმა სტადიონი შეაზანზარა, 80 ათასი მაყურებელი გამარჯვებულებს ესალმებოდა.

შოთა იამანიძე იყო პირველი ქართველი კაპიტანი, რომელიც წინ მიუძღვებოდა თბილისის „დინამოს“ – საბჭოთა კავშირის ჩემპიონს.

სლავა მეტრეველი

1961 წლის საფეხბურთო სეზონში ბევრი საინტერესო და დასამახსოვრებელი შეხვედრა მოეწყო; მათ შორის ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თურქეთის ეროვნული ნაკრებისა და საბჭოთა კავშირის ნაკრების მატჩს ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად. ეს შეხვედრა გაიმართა 1961 წლის 19 ივნისს, 24 ივნისს კი საბჭოთა კავშირის ნაკრები შეხვდა არგენტინის ეროვნულ ნაკრებს.

თითქმის არცერთ გულშემატკივარს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ საბჭოთა ფეხბურთელები ადვილად სძლევდნენ თურქებს. არგენტინელებთან მატჩმა კი ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს ბუნებრივიც არის: არგენტინულმა ფეხბურთმა დიდი ხანია უძლიერესის სახელი მოიპოვა მთელ მსოფლიოში. ჯერ კიდევ შვედეთის მსოფლიო ჩემპიონატში არგენტინა აღიარებული იყო მსოფლიო ჩემპიონობის №1 კანდიდატად. მართალია, არგენტინელებთან მატჩი ამხანაგური იყო, მაგრამ სწორედ ამ შეხვედრაში შეიძლებოდა მოგვეხაზა ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატის კონტურები.

მე წილად მხვდა ბედნიერება, ამ მატჩების წინ ვყოფილიყავი საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებთან. ისინი წვრთნას გადიოდნენ მოსკოვში, ვნუკოვოს აეროდრომის ახლოს მდებარე პატარა დასახლებულ პუნქტთან, რომელსაც „აზიორას“ ეძახდნენ. ფეხბურთელები დაბანაკებულნი იყვნენ ლამაზ ორსართულიან კოტეჯში.

სლავა მეტრეველს ადრეც ვიცნობდი. მაგრამ ამ დღეებში მას განსაკუთრებით დავუახლოვდი. სწორედ მაშინ აღმეძრა სურვილი, წიგნი დამეწერა ამ შესანიშნავი ფეხბურთელისა და სპორტსმენის ცხოვრებაზე.

სლავა მეტრეველის სახელი უკვე დიდი ხანია იციან ფეხბურთის გულშემატკივრებმა. მისმა ოსტატურმა, დახვეწილმა თამაშმა მარტო საბჭოთა გულშემატკივრები როდი მოხიბლა. მეტრეველის გამორჩეულ ნიჭზე ლაპარაკობენ ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, არგენტინაში, ჩილეში, ურუგვაიში და საერთოდ ყველგან, სადაც კი ის მწვანე მოედანზე გამოსულა. სლავა მეტრეველი რამდენჯერმე შეიყვანეს ევროპის ნაკრებში. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმ დიდი აღიარებისა, რომელიც ამ ნიჭიერმა ფეხბურთელმა მოიპოვა.

იმ სამახსოვრო დღეებში მე დავუახლოვდი შესანიშნავ ფეხბურთელებს – ლევ იაშინს, ვალერი ვორონინს, ნიკო-

ლოზ მანოშინს, ვალენტინ ივანოვს, ვიქტორ პონედელნიკს. რამდენჯერმე ვესაუბრე გავრიილ კაჩალინს, რომელიც მაშინ საბჭოთა კავშირის ნაკრებს წვრთნიდა.

შეიძლება ითქვას, რომ ის დღეები მე ვიცხოვრე ფეხბურთელის ცხოვრებით, გადავიტანე ყველა მღელვარება და მოლოდინი, რომლის გადატანაც ჩვენს ფეხბურთელებს მოუხდათ თურქეთისა და არგენტინის ნაკრებ გუნდებთან შეხვედრების წინ, ახლოს გავეცანი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფეხბურთელების „ლაბორატორიას“, მათ „სამხედრო შტაბს“, ვესწრებოდი ცალკეული თამაშების გარჩევას, ვისმენდი ფეხბურთელების გამოსვლებს, ვეცნობოდი მათ აზრებს, შეხედულებებს.

„თუქრებს ადვილად მოვუგებთ, მაგრამ არგენტინელებთან ძალზე სერიოზული შეხვედრა გველის,“ – მითხრა სლავამ.

ასეთი შიში არ იყო საფუძველს მოკლებული. არგენტინელები თორმეტჯერ იყვნენ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონები, ეს მაშინ, როცა მსოფლიო ჩემპიონებმა – ბრაზილიელებმა – მხოლოდ ოთხჯერ მოიპოვეს ეს საპატიო ტიტული.

საბჭოთა ფეხბურთელები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საფეხბურთო სტრატეგიას. თეორიულ მეცადინეობას ყოველდღიურად ეთმობოდა სამი-ოთხი საათი. „ლუჟნიკიში“, ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე, არის ერთი პატარა ოთახი, უფრო სწორად, პატარა კინოდარბაზი. ძირითადად ამ კინოდარბაზში ტარდებოდა თეორიული მეცადინეობა. საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოველი ვარჯიში, საწვრთნელი თუ ოფიციალური მატჩი გადაღებულია კინოფირზე. თითოეული თამაში ეკრანზე სამ-ოთხ საათს მაინც მიმდინარეობს, რადგან თამაშები გადაღებულია როგორც მსხვილი, ისე შორი პლანით. რასაკვირველია, ამ კინოსურათებს არა აქვთ ე. წ. კინომონტაჟი, თვით ეპიზოდების თანმიმდევრობაც კი არეულია. მაგრამ ფილმის მსვლელობისას ეპიზოდების თანმიმდევრობას როდი ექცეოდა მთავა-

რი ყურადღება. აქ საქმე ის იყო, რომ ყოველ ფეხბურთელს დაენახა თავისი თამაში, თავისი ტექნიკური და ტაქტიკური შეცდომები.

ამ დოკუმენტური ფილმების დემონსტრირება შემდეგნაირად ხდებოდა. წინ ყოველთვის ჯდებოდა გავრიილ კაჩალინი, უკან კი ფეხბურთელები. იწყებოდა ფილმი. პირველად აჩვენებდნენ შორიდან გადაღებულ ეპიზოდებს.

აქ არცთუ მთლად გარკვევით მოჩანდა ფეხბურთელის ინდივიდუალური თამაში, მაგრამ მისი ტაქტიკური შეცდომები აშკარად ჩანდა.

უფროსი მწვრთნელი მისჩერებოდა ეკრანს და კომენტარს უკეთებდა ყველა კომბინაციას. ყველა ფეხბურთელს შეეძლო თვალნათლივ დაენახა და დარწმუნებულიყო თავის შეცდომაში.

„სამხედრო შტაბში“ აჩვენებდნენ, აგრეთვე, მრავალი ქვეყნის ცნობილი საფეხბურთო კლუბების მატჩებს.

სწორედ იმ ხანებში თურქმა ფეხბურთელებმა მატჩი გამართეს საბჭოთა კავშირის მომავალ მოწინააღმდეგესთან – დანიის ეროვნულ ნაკრებთან. ეს თამაში ერთი კვირის შემდეგ უკვე ვნახეთ ამ პატარა კინოდარბაზის ეკრანზე. მწვრთნელსაც და ფეხბურთელებსაც საშუალება ჰქონდათ, ეკრანზე ენახათ თავიანთი მომავალი მოწინააღმდეგეები – თურქები და დანიელები, შეედგინათ მომავალი მატჩების გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა ცალკეული ფეხბურთელების ინდივიდუალური თავისებურებანი.

როდესაც დამთავრდებოდა მატჩის შორი პლანიდან ჩვენება, შემდეგ იწყებოდა მსხვილი პლანით გადაღებული ეპიზოდების დემონსტრირება. ამ შემთხვევაში ეკრანზე მხოლოდ ის ფეხბურთელი ჩანდა, რომელსაც ბურთი ჰქონდა. ყოველ ფეხბურთელს საშუალება ეძლეოდა დაჰკვირვებოდა თავის

მოძრაობას, გარღვევას, დრიბლინგს, ფინტს, ბურთის მიღებას, დამუშავებას, დარტყმას.

ამ დღეებში მე ვნახე რამდენიმე ფილმი, მათ შორის ექვსი ისეთი, რომელშიც სლავა მეტრეველი მონაწილეობდა.

ვუცქერდი ეკრანს და სიამოვნების გრძნობა მეუფლებოდა, როცა მესმოდა გავრიილ კაჩალინისა და ანდრეი სტაროსტინის სიტყვები: „შეხედეთ სლავას, აი, როგორ უნდა გადაცემა, აი, როგორ უნდა გასვლა!"

ფაქტს ვერსად გაექცეოდი, ჩვენ მოწმენი ვიყავით სლავას დიდი ტექნიკის დემონსტრირებისა, მისი ტაქტიკური მახვილგონიერებისა და სწრაფი აზროვნებისა, რასაც უდიდესი ადგილი უჭირავს თანამედროვე ფეხბურთში.

ამ ფილმების ჩვენების დროს იშვიათი იყო შემთხვევა, როცა მწვრთნელს სლავა მეტრეველის ტაქტიკური შეცდომა აღენიშნოს.

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ თანამედროვე ფეხბურთში მოთამაშეთა ტაქტიკურ მომზადებასა და ბრძოლის გეგმიანად წარმართვის კულტურას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

დღეს მარტო ვარსკვლავები თამაშებს ვეღარ იგებენ. დიდი მასშტაბის ბრძოლებში გამარჯვებულები სწორედ ის გუნდები გამოდიან, რომელთა საბრძოლო ხელოვნებაც უაღრესად თანამედროვე სტრატეგიითაა აღჭურვილი.

ამის მაგალითია მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი – ბრაზილიის ნაკრები. ბრაზილიას წინათ როდი ჰყავდა ნაკლები კლასის ფეხბურთელები, რომელთა ჟონგლიორობამდე და არტისტიზმამდე მისული ტექნიკა ხიბლავდა და აჯადოებდა ყველა ქვეყნის გულშემატკივარს. მაგრამ, სანამ ბრაზილიელებმა თავიანთი ბრწყინვალე იმპროვიზაცია მკაცრ საფეხბურთო ლოგიკას არ დაუმორჩილეს, ვერ იქნა და ვერ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა.

ბრაზილიელთა გამარჯვებას მარტო იმან როდი შეუწყო ხელი, რომ ჰყავდათ მსოფლიო კლასის ვარსკვლავები: პელე, დიდი, გარინჩა, ვავა და სხვები. მათ წარმატებაში უდიდესი როლი ითამაშა სრულიად ახალმა საფეხბურთო ტაქტიკამ და სქემებმა, რომელთა შემქმნელებიც თვითონ ბრაზილიელები არიან. ამ სისტემამ საფუძვლიანად შეცვალა ბრძოლის წარმართვის ადრინდელი ხერხები და მეთოდები, ხოლო ცალკეული ფეხბურთელების ფუნქციები მნიშვნელოვნად გაზარდა და გაამდიდრა.

მწვრთნელს თანამედროვე ფეხბურთში უდიდესი და, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სლავა მეტრეველი ამბობს: „მწვრთნელი არის გუნდის ტვინი, გუნდის წარმატების სამოცი პროცენტი“.

როცა თბილისელთა გარემარბი ამ სიტყვებს ამბობს, კომენტარი აღარ არის იმისათვის საჭირო, თუ როგორ აფასებს ის საფეხბურთო სტრატეგიას.

გარინჩას ტალანტზე დღეს აღარავინ დავობს. მაგრამ იყო დრო, როცა მას არ თვლიდნენ მაღალი კლასის ფეხბურთელად. „ბოტაფოგოს“ მწვრთნელმა ზეზე მორეირამ მას გუნდიდან გაგდებაც კი დაუპირა. ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მარცხენა მცველი და გარინჩას თანაკლუბელი ნილტონ სანტოსი იგონებს:

„გარინჩა მხოლოდ იმიტომ არ გააგდეს, რომ მასზე უკეთესი არავინ ჰყავდათ“.

ეს ის პერიოდი იყო, როცა, ერთი რიოდეჟანეიროელი ჟურნალისტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ბრაზილიური ფეხბურთი აბსოლუტური ანარქიიდან გადავიდა აბსოლუტურ მორჩილებაზე“.

გარინჩას საყვედურობდნენ, რომ მწვრთნელს არ ემორჩილებოდა და არღვევდა გუნდის საერთო საბრძოლო გეგმას. უკანასკნელ ჩემპიონატზე კი მან დაამტკიცა, რომ ის არა მარტო ფენომენალური ტექნიკის მქონე ფეხბურთელია,

არამედ დიდი ტაქტიკოსიცაა. პელეს დამტვრევის შემდეგ, სწორედ ამ თვისებების გამო თავდასხმის ორგანიზაცია გარინჩამ აიღო ხელში.

სლავა მეტრეველს აქვს თანამედროვე ფეხბურთელისათვის დამახასიათებელი ის აუცილებელი თვისება, რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ და რასაც ტაქტიკური აზროვნება ეწოდება. თბილისელთა მარჯვენა გარემარბი მოედანს შესანიშნავად ხედავს და ბურთის ტარების ძალზე მაღალი ტექნიკა საშუალებას აძლევს, თავაწეულმა ითამაშოს. იგი კარგად გრძნობს როგორც უახლოეს პარტნიორს, ისე მოედნის შორეულ კუთხეში მყოფ ფეხბურთელებსაც.

იშვიათი ინტუიციის წყალობით, სლავა ძალზე კარგად ერკვევა ურთულეს სიტუაციებში. მეტრეველს შეუძლია სწრაფად აუღოს ალღო მდგომარეობას და თვითონ წამოიწყოს კომბინაცია. მაგრამ ის სხვისი კომბინაციის ბრწყინვალე გამგრძელებელიცაა. სლავა მეტრეველი ადვილად ხვდება მეგობრის ჩანაფიქრს, იშვიათად, რომ პარტნიორს ვერ გაუგოს. როცა თბილისელთა მარჯვენა გარემარბი იწყებს ან აგრძელებს კომბინაციას, ყოველთვის საუკეთესოს და ლოგიკურს ირჩევს იმ მრავალ ვარიანტს შორის, რომელიც ამა თუ იმ სიტუაციაში არსებობს.

სლავა მეტრეველს აქვს ტაქტიკური ჩანაფიქრის განხორციელების აუცილებელი იარაღი – ბურთის უნაკლო გადაცემა. სლავა მეტრეველის მიერ გადაცემული ბურთი ყოველთვის თავისი მისამართით მიდის.

მაგრამ გადაცემას ფასი აღარ აქვს, თუ წამით მაინც დაგვიანდა. რამდენჯერ გვინახავს სლავა მეტრეველის თამაში და ალბათ ვერც კი გავიხსენებთ შემთხვევას, მას რომ ბურთის გადაცემა დაეგვიანებინოს.

გადაცემის სისწრაფე ძირითადად ორ რამეზეა დამოკიდებული.

პირველია ტექნიკა. ფეხბურთელს ადვილად უნდა შეეძლოს ბურთის მიღება და დამუშავება, ან თუ საჭიროა, შეუჩერებლივ მიწოდება პარტნიორისათვის. ეს კი ფეხბურთელისაგან ბურთის უნაკლოდ ფლობას მოითხოვს.

მეორეა სწრაფი აზროვნება, სიტუაციის დროული შეფასება და მოედნის ხედვა.

სლავა მეტრეველი ორივე თვისებით არის დაჯილდოებული და ამიტომაცაა, რომ გულშემატკივრები აღტაცებაში მოდიან მისი როგორც ტექნიკურად უნაკლოდ შესრულებული, ისე ტაქტიკურად მახვილგონივრული და დროული გადაცემებით. ხშირად სლავა მეტრეველის გადაცემა მოწინააღმდეგისათვის შენიღბულია, ეს მაშინ, როცა პარტნიორს ამ გადაცემით კარნახობს თავის ტაქტიკურ ჩანაფიქრს.

„იმაზე საშინელი და ნერვების მომშლელი არაფერია, როცა პარტნიორი ვერ გაგიგებს, – მითხრა ერთხელ სლავამ. – მირჩევნია მოწინააღმდეგემ წამართვას ბურთი და ჩამიშალოს კომბინაცია, ვიდრე პარტნიორმა ვერ გამიგოს, ან დამიგვიანოს გადაცემა“.

სლავას თავის საუკეთესო პარტნიორად ყოფილი თანაგუნდელი ვალენტინ ივანოვი მიაჩნია.

„მასთან მე თავს ძალზე თავისუფლად ვგრძნობდი, საქმე ის კი არ არის, რომ ივანოვი ძალზე მაღალტექნიკური ფეხბურთელია. იგი თითქოს წინასწარ გრძნობს, რას ფიქრობ შენ, რას აპირებ, რა გიჭირს, სად მოგეშველოს. ვალენტინ ივანოვი არასოდეს დაგელოდება, სად მიაწოდებ ბურთს, თვითონ ირჩევს ყველაზე სწორ პოზიციას და აზროვნებას გიადვილებს, როცა თვალს ივანოვს მოვკრავდი, შემეძლო ბურთი დაუფიქრებლად მიმეწოდებინა, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ის სწორ პოზიციაში იყო, – მითხრა სლავა მეტრეველმა. – პირადად მე ბრაზილიელთა გამარჯვების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ისიც მიმაჩნია, რომ ერთმანეთს ჩანაფიქრს ისე უგებდნენ, თითქოს ერთმანეთის გულებში

ისხდნენ. ბრაზილიის ეროვნული ნაკრები ჰგავს რთულ მექანიზმს, სადაც ყველა დეტალი ისე მუშაობს, რომ ჰარმონია არ ირღვევა. მომავალ ჩემპიონატზე ბრაზილიელებმა შეიძლება კიდევ უფრო უკეთესი ვარსკვლავები გამოიყვანონ, მაგრამ შექმნიან კი ისეთ სინქრონულ მექანიზმს, რომ მისი მუშაობის ჰარმონია არ დაირღვევა?"

მე ვიცი, რომ სლავა მეტრეველი მსოფლიოში ყველაზე მაღლა ბრაზილიურ ფეხბურთს აყენებს და მათი თამაშის მანერაზე ჩემი შეხედულება გავაცანი. აი, რა მითხრა მან:

„ფეხბურთელთა ურთიერთშეთანხმება ყველაზე დიდი ხელოვნებაა. სწორედ აქ ჩანს მწვრთნელის ტალანტი. ფეხბურთელებს ერთმანეთის უნდა ესმოდეთ და თავისი დანიშნულებაც უნდა იცოდნენ. ფუნქციათა სწორი განაწილება გუნდის წარმატების საწინდარია. თვით ისეთი ფეხბურთელიც კი, როგორიც ბრაზილიელი ვალდირ პერეირა დიდია, მადრიდის „რეალში" სათადარიგოთა სკამზე დასვეს, რადგან დირიჟორის მოვალეობას იქ დი სტეფანო ასრულებდა. რასაკვირველია, ორკესტრს მხოლოდ ერთი დირიჟორი სჭირდება. ტაქტიკურად იდეალური ჰქვია იმ გუნდს, სადაც ყველა ფეხბურთელი თავის ფუნქციას ასრულებს.

ფეხბურთელებს ერთმანეთის უსიტყვოდ უნდა ესმოდეთ. როცა ბურთი შენ გაქვს, პარტნიორის შემდგომ პოზიციაზე გასვლას კი არ უნდა ელოდო, ის იქ უნდა დაგხვდეს.

მაგონდება, ერთხელ კაჩალინი მოგვიყვა: „ბურთი ზაგალომ მიიღო და იმავე წუთში წინა ხაზზე მდგომმა პელეს გადააწოდა. თვითონ კი საჯარიმო მოედანზე შეიჭრა. ერთი სიტყვით, გაითამაშა „კედელი". ბურთი მაღლა იყო და პელე თავის დასარტყმელად ახტა. ამ დროს ზაგალო უკვე საჯარიმო მოედანზე კარისკენ მიქროდა. მოწინააღმდეგენი დარწმუნდნენ, რომ პელე ბურთს ზაგალოს გადააწოდებდა და მისკენ გადაინაცვლეს. პელემ კი ბურთი თავით შეაჩერა და უკნიდან გამოქანებულ ვავას წინ დაუგდო. ამას აღარავინ

ელოდა და ვავას დარტყმული ბურთი ბადეში გაეხვია. აქ ტექნიკური თვალსაზრისით რთული არაფერია, მთავარი ის იყო, რომ ვავამ და პელემ ერთმანეთს უსიტყვოდ გაუგეს".

თვითონ სლავა მეტრეველი ეკუთვნის ისეთი ფეხბურთელების რიცხვს, რომლებიც პარტნიორებს უსიტყვოდ უგებენ.

თბილისელთა მარჯვენა გარემარბი არანაკლებ აფასებს და უგებს თავის მოწინააღმდეგეს. იგი სრულიად უცნობ ფეხბურთელებთანაც კი, რომელთა თამაშიც არასოდეს უნახავს, არ იბნევა.

საკმარისია, სამჯერ მაინც მოსინჯოს მოწინააღმდეგე, რომ ხელად აუღოს ალღო, მცველი რაში მოისუსტებს, რომელ ფეხს ვერ ხმარობს, დრიბლინგი მარჯვნიდან სჯობია თუ მარცხნიდან, შორიდან ეთამაშოს თუ ახლოდან.

„ბუენოს-აირესში, როცა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ამხანაგური შეხვედრა გამართა არგენტინის ეროვნულ ნაკრებთან, – იგონებს სლავა მეტრეველი, – ჩემ წინააღმდეგ გამოიყვანეს ფიზიკურად ძლიერი მცველი ვიდალი. მაგრამ პირველსავე წუთებში შევატყვე, რომ სისწრაფეში ჩამომივარდებოდა. ეს მოქმედებას მიადვილებდა. ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ფინტით ვიდალი რამდენჯერმე უკან მოვიტოვე. არგენტინელი ამან ძალზე გაანერვიულა.

ერთხელ, როცა ვორონინისაგან ბურთი მივიღე, ფლანგისაკენ დავიძარი. ახლომახლო არავინ იყო. პარტნიორებს დაველოდე და ნელ-ნელა უკან დავიხიე. ვიდალი წინ მედგა, მაგრამ თავდასხმას ვერ ბედავდა. მე რომ ის მომეტყუებინა, გარღვევისათვის თავისუფალი ადგილი მრჩებოდა. ეტყობოდა, რომ ვიღაცას დაზღვევაზე ელოდა. მაგრამ მომხმარე არ ჩანდა. მაშინ მე მოძრაობა დავიწყე. არგენტინელები დარწმუნდნენ. რომ გადაცემას არ ვაპირებდი. სწორედ ამ დროს საჩიმ ვალენტინ ივანოვი მიატოვა და მეგობრის დასახმარებლად ჩემკენ გადმოინაცვლა. ამავე დროს, ისიც შევამჩნიე,

რომ პონედელნიკი საჯარიმო მოედანზე შეიჭრა, მაგრამ მას ფეხდაფეხ დელგადო მიჰყვა. დადგა გადაცემის მომენტი. მე მაინც ვარჩიე ბურთი თავისუფლად მდგომი ივანოვისთვის გადამეცა. მაგრამ პონედელნიკი ოსტატურად ამოტრიალდა და აკრობატული ნახტომით ბურთი ბადეში გაახვია.

ზუსტად რამდენიმე წუთის შემდეგ ამ ფანდზე ისევ წამოვაგე არგენტინელები. თავისუფლად ისევ ივანოვი დარჩა და ბურთის ჩაწოდება არ დამიყოვნებია. მაგრამ საბჭოთა ფეხბურთელის დარტყმული ბურთი არგენტინელთა მეკარე რომამ თავგანწირული ნახტომით მოიგერია".

სლავა მეტრეველი უნაკლოა ტაქტიკურ ბრძოლაში. ეს არაერთხელ აღუნიშნავთ ფეხბურთის სპეციალისტებს. მისი ინტუიცია, მოედნის ხედვა და სწრაფი აზროვნება მსოფლიოს ყველაზე გამოჩენილ ფეხბურთელებსაც დაამშვენებდა. მაგრამ საფეხბურთო ტაქტიკის გენიოსიც იყო, არაფერი გამოგივა, თუ არა გაქვს ბრწყინვალე ტექნიკა, უდიდესი ფიზიკური მონაცემები, თუ ბურთს არ ფლობ ისე, როგორც შენს ორგანულ ნაწილს.

სლავა მეტრეველი რომ ძალზე მაღალტექნიკური ფეხბურთელია, ეს არავისთვის ახალ ამბავს არ წარმოადგენს. ბურთს იოლად იღებს და ამუშავებს. უნაკლოდ ასრულებს გადაცემას ძალზე რთული მდგომარეობიდანაც კი. თბილისელთა მარჯვენა გარემარბი შესანიშნავად ფლობს ცრუ მოძრაობას. ჩვენი მაყურებელი არაერთხელ ყოფილა მოწმე, როცა მეტრეველს ხშირად სამი მცველიც თავისუფლად მოუტყუებია.

სლავა მოწინააღმდეგის კარს ძირითადად ფლანგიდან უტევს, მაგრამ არც ცენტრიდან შესვლა უჭირს. სხვათა შორის, სლავა მეტრეველი თავდაპირველად ცენტრალურ თავდამსხმელად თამაშობდა. ხშირად მარჯვენა შუამარბის როლშიც გამოდიოდა. როცა იგი „ტორპედოში" ჩაირიცხა, პირველად მაშინ გამოიყვანეს მარჯვენა გარემარბად. სლავას ძალზე უყვარდა

ცენტრში თამაში. მაგრამ იგი, თვითონაც მალე დარწმუნდა, რომ მისი მონაცემები გარემარბის ფუნქციებს უფრო შეეფერებოდა.

თუმცა, როცა საჭირო გახდა, სლავა მეტრეველმა თბილისის „დინამოშიც“ დაიკავა ცენტრალური თავდამსხმელის პოსტი, ძალზე კარგად გაართვა თავი ახალ მოვალეობას. სლავა მეტრეველის ბრწყინვალე ტექნიკა, სისწრაფე და ალღო მოწინააღმდეგეთა მცველებში დიდ დაბნეულობას იწვევდა. ის არა მარტო კარგად ხელმძღვანელობდა თბილისელთა თავდასხმას, არამედ თვითონ გახდა 1964 წლის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი.

სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს სლავა მეტრეველის, როგორც ცენტრალური თავდამსხმელის თამაშს. „დირიჟორობს სლავა მეტრეველი“ – ამ სათაურით გამოქვეყნდა ერთ-ერთი სტატია „სოვეტსკი სპორტის“ ფურცლებზე. ნიკოლოზ მოროზოვმა სლავა მეტრეველს საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც მიანდო ცენტრალური თავდამსხმელის როლი. მან შეცვალა ვიქტორ პონედელნიკი, რომელსაც უკანასკნელ ჩემპიონატში თამაში მაინცდამაინც არ გამოსდიოდა. შესანიშნავმა ქართველმა ფეხბურთელმა ნაკრებშიც გაამართლა მოლოდინი. იუგოსლავიის ეროვნულ ნაკრებთან შეხვედრის შემდეგ მოროზოვმა თქვა: „მოედანზე საუკეთესო იყო მეტრეველი“.

იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის მატჩს ბულგარელი სპეციალისტებიც დაესწრნენ. სპორტულმა მიმომხილველმა გვოზდენოვიჩმა გაზეთ „ნაროდენ სპორტის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა წერილი სათაურით – „უძლიერესი დუეტი: მეტრეველი-მესხი“.

„განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მეტრეველისა და მესხის თამაშმა. ისინი უდავოდ უძლიერესნი იყვნენ მინდორზე... მესხის მიმართ ხშირად იყენებდნენ დაუშ-

ვებელ ხერხებს, რის გამოც ის ზოგჯერ გაურბოდა ბრძოლას. სხვანაირად მისი შეკავება, ისევე როგორც მეტრეველისა, შეუძლებელი იყო," – წერს იგი.

იუგოსლავიის „ფუტბალში" გამოქვეყნდა ამ გაზეთის სპორტული მიმომხილველის, იოვანოვიჩის სტატია, სადაც იგი მეტრეველს მატჩის უძლიერეს ფეხბურთელად მიიჩნევდა. იგი წერდა: „იუგოსლავიელ მეკარე შკორიჩთან მისი ორთაბრძოლა ასპარეზობის მთავარი ატრაქციონი იყო".

მიმომხილველი მეტრეველს ადარებს ტურინში გამართულ საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებს – იუგოსლავიელ, ესპანელ და იტალიელ ფეხბურთელებს. წერილის ავტორი მეტრეველს დელ სოლზე, სტაკინიზე და მენიკელზე მაღლა აყენებს.

მიმომხილველი ხაზს უსვამს მეტრეველის უაღრეს კორექტულობას მინდორზე წარმოქმნილი ინციდენტების დროს და დასძენს: „ვაშა სპორტსმენს შორეული საქართველოდან!"

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მოწმობს სლავა მეტრეველის ტალანტის მრავალფეროვნებას. თუმცა, თავისი მონაცემებით, ის მაინც გარემარბია.

სლავას სიმაღლეა 172 სანტიმეტრი, წონა – 67-68 კილოგრამი. საკმაოდ მსუბუქია, მაგრამ ძალზე ღონიერი და მაგარი მუხლი აქვს. როცა სლავა მოედანზე დარბის, შორიდანაც იგრძნობა, თუ როგორ მსუბუქად დააბიჯებს და დახტის. მეტად მოქნილია და სხარტი. სლავა სიმაღლეზე ხტომაში აღწევს ფეხბურთელისათვის სარეკორდო ზღვარს. თავისუფლად ევლება თამასას 170-175 სანტიმეტრის სიმაღლეზე. სიგრძეზე ხტომაში სლავას ვერავინ ეცილება პირველობას – ექვს მეტრზე ხტება.

მეტრეველი ძალზე სწრაფი ფეხბურთელია. დიდი სისწრაფის გარეშე დღეს არ არსებობს მაღალი კლასის ფეხბურთელი, მით უმეტეს – გარემარბი. 100 მეტრის გასარბენად

სლავას 11,2 წამი სჭირდება. ძალზე მაღალ შედეგებს აჩვენებს მოკლე დისტანციებზე: 60 მეტრს გარბის 6,8 წამში, 30 მეტრს – 3,9 წამში. ასეთია მისი მაჩვენებლები ჩვეულებრივი მძლეოსნური ვარჯიშის დროს. მაგრამ სულ სხვაა სისწრაფე ფეხბურთის თამაშის პროცესში. აქ ფეხბურთელს ემატება ბურთი, მას გზას უღობავს მცველი, სირბილის დროს თავის ყურადღებას ბევრ რამეზე ანაწილებს, რაც ფეხბურთის რთული ბუნებითაა გამოწვეული. სლავა მეტრეველისათვის თითქოს არ არსებობს ეს დაბრკოლებები, ის მოედანზე ქარივით დანავარდობს, თავისუფლად და ძალდაუტანებლად არეგულირებს საკუთარ სიჩქარეს, ძალზე სწრაფია მოკლე დისტანციებზე და აქვს შესანიშნავი ვირაჟი.

„სისწრაფეს თანამედროვე ფეხბურთში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს, თუ გარემარბი ხარ, – ამბობს სლავა მეტრეველი. – არა გაქვს სისწრაფე, არა ხარ გარემარბი“.

„მეტრეველი სირბილის დროსაც კი ცბიერია, – მითხრა ერთხელ სლავას ყოფილმა თანაგუნდელმა ლეონიდ ოსტროვსკიმ. – სლავა ჩემი თანაგუნდელია და მის წინააღმდეგ მარტო საწვრთნელი ვარჯიშების დროს მითამაშია, მაგრამ მაინც ბევრი სიმწარე მახსოვს მისგან. სლავას ყოველთვის ახლოდან ვეთამაშებოდი. ერთხელ მან უკან დაიხია და მეც მოედნის ცენტრამდე ჩავყევი. უეცრად ბურთი მიიღო და უდიდესი სისწრაფით ჩვენი საჯარიმო მოედნისაკენ გაიჭრა. იმავე წუთში უკან დავედევნე. ის ბურთით მიქროდა, მე კი უბურთოდ. უპირატესობა ჩემს მხარეს იყო და სლავას საჯარიმო ხაზის მახლობლად წამოვეწიე. როგორც კი გავუსწორდი, ბურთის წასართმევად მოვემზადე. სლავა თითქოს ამ მომენტს ელოდებოდა, მოულოდნელად „ჩართო“ თავისი უკანასკნელი სიჩქარე და მთელი ოთხი მეტრით მომიტოვა უკან“.

სლავა მეტრეველი მრისხანე მოწინააღმდეგეა მსოფლიოში უძლიერესად აღიარებული მცველებისა. ეს მან არაერთხელ დაამტკიცა ინგლისისა თუ საფრანგეთის, არგენტინისა თუ ურუგვაის, ჩილესა თუ ჩეხოსლოვაკიის სახელგანთქმული ფეხბურთელების წინააღმდეგ თამაშის დროს.

ჩვენ არაერთხელ ვყოფილვართ მოწმე, თუ რა არასპორტული მეთოდებით ცდილობენ სლავა მეტრეველის შეჩერებას, როცა ველარ უმკლავდებიან მის თავბრუდამხვევ იერიშებს. ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატში იუგოსლავიელი მცველები, როცა ველარაფერი გააწყვეს სლავას წინააღმდეგ, მუშტი-კრივზე გადავიდნენ და თვალი დაუზიანეს.

„მონტევიდეოში საპასუხო ვიზიტით როცა ჩავედით, – იგონებს სლავა მეტრეველი, – ურუგვაელებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, რადაც უნდა დასჯდომოდათ, რევანში აეღოთ მოსკოვში დამარცხებისათვის. მე პირველი წუთებიდანვე გამიჭირდა, ჩემი „დარაჯი" დე სოუზა გვერდიდან არ მშორდებოდა და ძალიან უხეშად მეთამაშებოდა. მიუხედავად ამისა, მაინც იოლად ვატყუებდი. მეორე ტაიმში სურათი არ შეცვლილა. ერთ-ერთი იერიშის დროს ბურთი მივიღე. მცველი მოვატყუე და საჯარიმო მოედანზე შევიჭერი. დე სოუზა უკნიდან წამომეწია და ისე მაგრად მკრა ზურგში ხელი, რომ მიწაზე დავენარცხე. საშინელი ტკივილი ვიგრძენი, მერე ექიმიც შევამჩნიე. იძულებული გავხდი, მოედანი დამეტოვებინა".

ერთხელ სლავას ვკითხე, ჰქონია თუ არა ისეთი მომენტები, როცა უგრძნია პროფესიული მოწყენილობა.

„არასდროს, – მიპასუხა მან, – ფეხბურთელის ცხოვრება ძალზე მძიმეა... მთელი სიჭაბუკის პერიოდში, მაშინ, როდესაც ახალგაზრდას ყველაზე უფრო უჭირს ნებისყოფის დამორჩილება, ფეხბურთელმა თავისი ცხოვრება მკაცრ რეჟიმს უნდა დაუქვემდებაროს. ჩვენ ნახევარჯერ სახლში არა ვართ. ძალზე მომაბეზრებელია სისტემატური მოგზაურობა, თვით-

მფრინავის აფრენის მოლოდინში გატარებული საათები და ხშირად დღეებიც, სასტუმროებში მყუდროებას მოკლებული ცხოვრება და რესტორნის სტანდარტული სადილები, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილა არცერთი წუთი, როცა მეგრძნოს, რომ მომწყინდა ფეხბურთელობა.

უფეხბურთოდ სიცოცხლე ვერც კი წარმომიდგენია. რაც დრო გადის, თანდათან უფრო ვგრძნობ, თუ რა ძნელია ფეხბურთთან გამოთხოვება. როგორც კი თამაშს ვეღარ შევძლებ, აუცილებლად მწვრთნელობას მივყოფ ხელს...

მახსოვს, სულ პატარა ბავშვი ვიყავი, სოჭის მეექვსე ქართულ სკოლაში ვსწავლობდი, როცა მამამ ბურთი მიყიდა. ბურთს ხელი დავავლე და ეზოში გავიქეცი. მთელი დღე ფეხბურთს ვთამაშობდი, გვიან, როცა დაბნელდა და სახლში დავბრუნდი, ვახშმისთვის მაგიდას მივუჯექი, ბურთი კალთაში მედო. დასაძინებლად რომ დავწექი, მტვრიანი ბურთი ლოგინში ჩავიწვინე. მას შემდეგ ჩვენი მეგობრობა სულ იზრდება და იზრდება...

ბავშვობაში ჩემი სათაყვანებელი ფეხბურთელი იყო დემენტიევი. სახლი სავსე მქონდა მისი სურათებით. ვოცნებობდი გავმხდარიყავი ისეთი ფეხბურთელი, როგორიც დემენტიევი იყო".

სლავა მეტრეველი ყველაზე მაღლა აყენებს ბრაზილიურ და ინგლისურ ფეხბურთს. ფეხბურთელთა შორის კი უძლიერესებად მიაჩნია პელე და გარინჩა. თუ რა დიდი აზრისაა თბილისელთა მარჯვენა გარემარბი პელეზე, მისი შემდეგი სიტყვებიდან ჩანს: ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატში, მას შემდეგ, რაც პელე დაიმტვრა, ოქროს ქალღმერთი ესპანელების კუთვნილება უნდა გამხდარიყოო.

მე სლავას ვთხოვე, შეედგინა სამყაროს ნაკრები 1963 წლისათვის. აი, როგორ გამოიყურება ეს იდეალური ნაკრები:

მეკარე – იაშინი (სსრკ); მცველები – არმფილდი, ნორმანი (ორივე – ინგლისი), მალდინი (იტალია), შნელინგერი (გერმანია); ნახევარმცველები – მასოპუსტი და პლუსკალი (ორივე – ჩეხოსლოვაკია); თავდამსხმელები – გარინჩა (ბრაზილია), ლოუ (შოტლანდია), პელე (ბრაზილია), ხენტო (ესპანეთი).

იმ მცველებს შორის, რომელთა წინააღმდეგაც სლავა მეტრეველს უთამაშია, ყველაზე ღირსეულად მას იუგოსლაველი იუსუფი მიაჩნია. ამჟამად საბჭოთა ფეხბურთელთა შორის უძლიერესებად თვლის ვიქტორ პონედელნიკს, ვალერი ვორონინსა და გივი ჩოხელს. ვიქტორ პონედელნიკი მას მიაჩნია მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ფეხბურთელად. აქვე მინდა მოვიგონო ერთი შემთხვევა. მე დავესწარი მატჩს სტოკჰოლმში შვედეთისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის ევროპის თასზე. ეს შეხვედრა, როგორც ცნობილია, დამთავრდა ფრედ – 1:1. შვედებმა ჩვენზე მეტად დიდი შთაბეჭდილება დატოვეს. საბჭოთა გულშემატკივრებს შორის, რომლებსაც ბედნიერება გვქონდა გვენახა ეს მატჩი, გარკვევით ვერავინ ვამბობდით, მოსკოვში ვის დარჩებოდა გამარჯვება. თამაშის მერე ვესაუბრე ჩვენს ფეხბურთელებს – ვორონინს, ივანოვს, ჩისლენკოსა და მალოფეევს.

„მოსკოვში აუცილებლად მოვიგებთ, – დაბეჯითებით თქვა ვორონინმა, – ვიქტორ პონედელნიკი უკვე გამოჯანმრთელდა და ისევ დაიკავებს თავის ადგილს".

ვორონინს ყველანი დაეთანხმნენ. მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როგორ სჯეროდათ მეგობრებს პონედელნიკისა.

მოსკოვში თამაშის წინ, როცა შვედების მწვრთნელმა ნიმანმა, მოედანზე პონედელნიკი დაინახა, თქვა: „თამაში წავაგეთ!"

მართლაც, პონედელნიკმა ორი ბურთი გაახვია შვედების კარის ბადეში.

მოწინააღმდეგესთან შეხვედრის წინ გუნდში ტარდება კრება. მწვრთნელი ფეხბურთელებს რიგრიგობით ახასიათე-

ბინებს თავის პირად მოწინააღმდეგეს (რასაკვირველია, როცა ნაცნობ გუნდს ეთამაშებიან). ფეხბურთელი ვალდებულია ილაპარაკოს თავისი მოწინააღმდეგის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, შემდეგ კი მწვრთნელს გააცნოს მომავალი ბრძოლის გეგმა.

როდესაც სლავა მეტრეველის რიგი დგება, ის თავს მაინცდამაინც არ იწუხებს მოწინააღმდეგის დახასიათებით. თბილისელთა მარჯვენა გარემარბი თავის სათქმელს მოკლედ მოჭრის ხოლმე:

– მაგაზე ნუ გედარდებათ. ჩემი მცველისა მე ვიცი.

საერთოდ, სლავას საუბარი ან კითხვებზე გაცემული პასუხები მისი თამაშის მანერას ჩამოჰგავს.

მკითხველებს ალბათ დააინტერესებს მეტრეველის პასუხები ჩემ მიერ დასმულ რამდენიმე კითხვაზე:

კითხვა: რომელი დღე იყო ყველაზე ბედნიერი თქვენს ცხოვრებაში?

პასუხი: როდესაც შემეძინა ბიჭი.

კითხვა: რა გავლენას ახდენს ფეხბურთი ოჯახურ მდგომარეობაზე?

პასუხი: უმჯობესია, ეს ჩვენს მეუღლეებს ჰკითხოთ.

კითხვა: გქონიათ თუ არა მომენტი, როცა მოგწყენიათ ფეხბურთელობა?

პასუხი: არა და ათასგზის არა!

კითხვა: ხომ არაფერს გვიამბობთ თქვენი მეგობრების კურიოზულ შემთხვევებზე?

პასუხი: ერთხელ ჯემალ ზეინკლიშვილმა მოკლა ბუ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბუ დიდი ხნის მკვდარი ყოფილა.

კითხვა: როგორ თამაშობდით თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ?

პასუხი: ყოველთვის უხალისოდ.

კითხვა: როგორ მოგეწონათ იტალიის ნაკრების თამაში, რომელთა წინააღმდეგაც თქვენც მოგიხდათ გამოსვლა?

პასუხი: იტალიელები ისე თამაშობენ, თითქოს გიტარას უკრავენ.

კითხვა: რა მიგაჩნიათ თქვენი თამაშის ძირითად ნაკლად?

პასუხი: ეგ იქნებ თქვენ მითხრათ, ფეხბურთელის ნაკლი სტადიონის ტრიბუნიდან უკეთ ჩანს.

კითხვა: ფეხბურთის გარდა, რა პროფესია გიტაცებთ ყველაზე მეტად?

პასუხი: ხენტო ტორეადორობამ გაიტაცა, მე კოსმონავტობას ვირჩევდი.

კითხვა: ყველაზე უფრო რა დაგამახსოვრდათ ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატში?

პასუხი: კრივი ურუგვაელებთან და იუგოსლავიელებთან, სადაც დამილურჯეს თვალი და კინაღამ მომტეხეს ფეხი.

კითხვა: რა განსხვავებაა დღევანდელ და თხუთმეტი წლის წინანდელ ფეხბურთს შორის?

პასუხი: იგივე, რაც „ტუ-104“-სა და „უ-23“-ს შორის.

ამ კითხვაზე თბილისელთა მარჯვენა გარემარბმა ვრცელი პასუხი გამცა:

„რა თქმა უნდა, ვხუმრობ, მაგრამ განსხვავება ძალიან დიდია, ამას თავისი მიზეზი აქვს. ფეხბურთი ერთ ადგილზე როდი დგას. იგი ვითარდება, ვითარდება მრავალმხრივ. ძალზე ამაღლდა საერთო ტექნიკური დონე, ტაქტიკაზე რომ აღარაფერი ვთქვა. საკმარისია გადავიკითხოთ საბჭოთა ფეხბურთის შესანიშნავი ოსტატის, გრიგოლ ფედოტოვის ჩანაწერები, რომ თვალწინ დაგვიდგება ფეხბურთის ტაქტიკური არსენალის უდიდესი წინსვლისა და განვითარების ნათელი სურათი.

ფედოტოვი იგონებს, თუ როგორ გამდიდრდა და შეიცვალა ფეხბურთის ტაქტიკური ბრძოლის საშუალებანი, როცა შემოვიდა „დუბლ-ვეს“ სისტემა. შემდგომში ამ სისტემამ კიდევ თავისებური ევოლუცია განიცადა. გამდიდრდა დაცვისა და თავდასხმის ტაქტიკური ხერხები. ახალმა სისტემამ ახალი

ტექნიკური ამოცანები დააყენა ფეხბურთელის წინაშე. ბევრი ისეთი ტექნიკური ილეთი, რაზეც უწინ ტაშს უკრავდნენ, დღეს ფეხბურთელის ტექნიკური არსენალის მინიმუმში შედის.

უკვე აღარ ვლაპარაკობთ იმ რთულ საფეხბურთო ტაქტიკაზე, რომელსაც დღეს ფლობენ მსოფლიოს საუკეთესო გუნდები. გაივლის წლები და დღევანდელი საფეხბურთო სტრატეგიაც მოძველდება. ახალი ტაქტიკა ფეხბურთელების წინაშე კიდევ უფრო დიდ ამოცანებს დააყენებს. საჭირო გახდება სისწრაფის გაზრდა. მეტი ფიზიკური გამძლეობა. მთელს მოედანზე სწრაფი მანევრირება და, რა თქმა უნდა, ბურთის უნაკლოდ დამუშავება უდიდესი სისწრაფის დროს.

თუ გადავხედავთ 15-16 წლის წინანდელ ფეხბურთს, დავინახავთ, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულისათვის, თასისა და საპრიზო ადგილებისათვის ძირითადად ერთი და იგივე გუნდები იბრძოდნენ. ხოლო განსხვავება ამ გუნდებსა და დანარჩენ გუნდებს შორის კატასტროფულად დიდი იყო. დღეს კი „ა" ჯგუფში ჩვიდმეტი გუნდია და ისეთი ძლიერი გუნდებიც კი, როგორებიც არიან მოსკოვის „სპარტაკი", „დინამო", „ტორპედო" – გარანტირებულნი არ არიან, რომ გაიმარჯვებენ მეორე ეშელონიდან ახლად გადმოსულ გუნდებთანაც კი.

ერთ საგულისხმო ფაქტსაც გავიხსენებ. ქართველ გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ, რა გამანადგურებელი ანგარიშებით უგებდა „თბილისის ოფიცერთა სახლი" შუა აზიის რესპუბლიკების გუნდებს. ხშირად თითო თამაშზე ათი ბურთი გაჰქონდათ მოწინააღმდეგის კარში.

დღეს კი... ამავე გუნდებთან თბილისის „დინამო" ყოველთვის როდი აღწევს სასურველ შედეგს.

ამით იმის თქმა როდი მინდა, რომ უწინ ნაკლები ტალანტის ფეხბურთელები იყვნენ. აქ ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ფეხბურთელების ტალანტი და ფეხბურთის საერთო დონე.

შეიძლება ვარსკვლავები მაშინ უფრო მეტიც იყვნენ. განა ვინმეს დაავიწყდება პაიჭაძის, ფედოტოვის, ბობროვის, ტროფიმოვის, სემიჩასტნისა და სხვათა სახელები? მაგრამ ჩვენ ვარსკვლავებზე არ ვლაპარაკობთ. ფეხბურთში ვარსკვლავები ცალკე მოვლენაა. მე მხედველობაში მაქვს საშუალო ფეხბურთელი. დღევანდელი საშუალო ფეხბურთელი გაცილებით მაღლა დგას მაშინდელ საშუალო ფეხბურთელზე, როგორც ტექნიკურად, ასევე ტაქტიკურადაც. ამიტომაცაა, რომ დღევანდელი საშუალო საფეხბურთო გუნდები არც ისე ხელწამოსაკრავნი არიან. ვთქვი და ყოველთვის გავიმეორებ, რომ მეორე ეშელონიდან ახალგადმოსული გუნდები არაერთ საუკეთესო კოლექტივს გაამწარებენ".

სლავა მეტრეველი თავდამსხმელია, თანაც ისეთი თავდამსხმელი, რომელსაც მოწინააღმდეგის ყოველი მწვრთნელი საგანგებოდ ითვალისწინებს სამოქმედო ტაქტიკური გეგმის შემუშავების დროს. მცველს ძირითადად ავალებენ, რადაც უნდა დაუჯდეს, თამაშიდან გამოთიშოს ეს უძლიერესი ფეხბურთელი. ამ ამოცანის შესასრულებლად მას მეორე კაცსაც ახმარენ ხოლმე.

„ხშირად მე, და არა მარტო მე, ყველა ფეხბურთელს ძლიერ მოწინააღმდეგესთან უკეთესი თამაში გამოგვდის, – თქვა სლავა მეტრეველმა. – ეს პარადოქსი არ გეგონოთ. განა თბილისის „დინამოს" თავისი საუკეთესო მატჩები უძლიერეს გუნდებთან არ ჩაუტარებია? ეს იყო მოსკოვის „სპარტაკი" თუ „დინამო", „ტორპედო" თუ კიევის „დინამო", „რესინგი" თუ „შეფილდ უენსდეი", „ვულვერჰემპტონ უონდერერსი" თუ „ბაია".

სუსტი მცველი ყოველთვის ცდილობს, თამაში არასპორტული მეთოდებით ჩაგიშალოს. როცა ასეთ მცველს ვეთამაშები და ბურთით წინ მივიწევ, უსიამოვნო გრძნობა მეუფლება.

სულ მეჩვენება, აი, ახლა ეს მცველი ან უხეშად დამეჯახება, ან ფეხს მატკენს, ან ხელს მაისურში ჩამავლებს.

განა იერიშის დროს ამაზე უნდა ფიქრობდე? ცრუ მოძრაობის დროს მთელი ყურადღება მხოლოდ ბურთზე უნდა გქონდეს გადატანილი. ერთი წუთით ყურადღების დაკარგვა ბურთის დაკარგვას ნიშნავს.

კარგი ფეხბურთელი კი არასოდეს იკადრებს ამგვარ საქციელს. თუ კაცს ფეხბურთი გიყვარს და თამაშში სიამოვნებას პოულობ, არ შეიძლება ფეხბურთელს უდიერად მოექცე".

მსოფლიოს სხვადასხვა გუნდები დაცვის სხვადასხვა პრინციპებს იყენებენ. ზოგს პერსონალური დაცვა მოსწონს, ზოგს – ზონური. ზოგ თავდამსხმელს ურჩევნია, მოწინააღმდეგემ პერსონალურად დაიჭიროს, ზოგი კი ზონური დაცვის წინააღმდეგ თამაშს ამჯობინებს. თბილისის დინამოელებს ყოველთვის ურჩევნიათ ზონური დაცვის წინააღმდეგ ითამაშონ. ეს არაერთხელ უთქვამთ ჩემთვის მიხეილ მესხს, შოთა იამანიძეს, ვლადიმერ ბარქაიას. ქართული ფეხბურთის ძირითადი იარაღი დრიბლინგია, ხოლო ზონური დაცვა თავდამსხმელს მეტ თავისუფლებას აძლევსო.

ბევრი მატჩი მინახავს, როცა მეტოქეს ზონური დაცვით უთამაშია. ასეთი სისტემის დროს მცველთა თამაშს მეტი შემოქმედებითი გასაქანი აქვს. თამაშიც უფრო ლამაზი გამოდის. პერსონალური დაცვის დროს კი მცველები თითქოს თვითონ კი არ თამაშობენ, ხელს უშლიან მოწინააღმდეგის თამაშს. ზონური დაცვის დროს უფრო ნაკლებად მოსალოდნელია რომელიმე ცალკეული მცველის დაჩაგვრა, ხოლო მცველებს მეტი საშუალება ეძლევათ, შეუტიონ მოწინააღმდეგის კარს. ერთი სიტყვით, ზონური დაცვა უფრო შემოქმედებითი მეჩვენება.

ჩემი აზრი სლავა მეტრეველს გავუზიარე. აი, რა მითხრა მან:

„რასაკვირველია, ზონური დაცვა გაცილებით ლამაზია და შემოქმედებითი. საკმარისია გავიხსენოთ, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ბრაზილიის ეროვნული ნაკრები დაცვის ზონურ სისტემას იყენებს. ვინაიდან ეს სისტემა უფრო შემოქმედებითია, იმიტომაც არის, რომ ბრაზილიელი მცველები თვითონვე იწყებენ კომბინაციას და იშვიათად კარგავენ ბურთს.

ზონური დაცვის დროს ისინი ხელს კი არ უშლიან მოწინააღმდეგეს, არამედ ეთამაშებიან.

მაგრამ ზონურ დაცვას ერთი „ნაკლი" აქვს – იგი ძალზე მაღალტექნიკურ ფეხბურთელებს მოითხოვს. მცველებს, რომლებიც ამ სისტემას იყენებენ, უნდა ჰქონდეთ ძალზე მაღალი ტექნიკა და სწრაფი ტაქტიკური მანევრირების უნარი.

პერსონალურმა დაცვამ, რასაკვირველია, მეტი მიმდევარი მოიპოვა. საშუალო კლასის მცველს ურჩევნია მჭიდროდ აიყვანოს თავისი თავდამსხმელი და რადაც უნდა დაუჯდეს, არ მისცეს თამაშის საშუალება. მაგრამ ეს ტაქტიკა ყოველთვის როდი ამართლებს. ბრაზილიელებს არასდროს არ ეშინიათ პერსონალური დაცვის წინააღმდეგ თამაში. მაღალი კლასის ფეხბურთელის დაჭერა ასე იოლი არაა.

სამხრეთ ამერიკაში ტურნეს დროს ძალზე მაღალი კლასის ფეხბურთელების წინააღმდეგ მოგვიხდა თამაში. საბჭოთა ფეხბურთელები, საერთოდ, პერსონალურ დაცვით სისტემას იყნებენ, და არცთუ ისე ცუდად. ჩვენი მცველები ცდილობდნენ, მჭიდროდ აეყვანათ სამხრეთამერიკელები, განსაკუთრებით ურუგვაელები, და მათთვის არ მიეცათ ბურთის მიღების საშუალება. ამ დროს ურუგვაელებმა ასეთი ხერხი გამოიყენეს: ისინი მცველისკენ ყოველთვის ზურგით იდგნენ. ბურთს პირდაპირ ფეხებში იღებდნენ და მოწინააღმდეგისაგან კორპუსით იცავდნენ. ამის მერე მათ მაღალი ტექნიკა საშუალე-

ბას აძლევდა შებრუნებულიყვნენ პირით მცველისკენ და იწყებდნენ ცრუ მოძრაობით გასვლას. ასე რომ, პერსონალური დაცვის ძირითადი პრინციპი – მეტოქეს თავს დაესხა ბურთის მიღების მომენტში – გაბათილდა. ამის დიდოსტატად შეიძლება ლუის კუბილა ჩაითვალოს".

გივი ჩოხელმა სამხრეთ ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ „ფუტბოლში" თავისი შთაბეჭდილებები გამოაქვეყნა. ის წერდა:

„პირველი ტაიმის განმავლობაში სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი და კარგად ვხედავდი სახელგანთქმული კუბილას თამაშს. ის ლეონიდ ოსტროვსკის წინააღმდეგ იბრძოდა და წარმატებითაც. გუნდი ძირითადად კუბილაზე თამაშობდა და მისი საშუალებით ცდილობდნენ კარზე იერიშის მიტანას. კუბილამ სულ მალე გოლიც გაიტანა.

შესვენების შემდეგ ოსტროვსკი მე შევცვალე. გამოგიტყდებით, ძალზე ვნერვიულობდი. ეჭვიც არ მეპარება, რომ ლუის კუბილა უძლიერესი გარემარბია მათ შორის, ვის წინააღმდეგაც მითამაშია. კუბილა ბურთს სრულყოფილად ფლობს, აქვს მანევრირებისა და ადგილის შერჩევის კარგი უნარი, შესანიშნავად არის შეთამაშებული მთელ კოლექტივთან. ძალიან სწრაფია და აგრესიული. ხშირად ინაცვლებს ცენტრისაკენ და ისე უტევს მოწინააღმდეგის კარს. მე ვცდილობდი, ურუგვაელს სირბილში არ დავეჯაბნე. რამდენჯერმე ბურთიც წავართვი, მაგრამ აუტში გავგზავნე. თანდათან ბურთის გადაწოდებაც მოვახერხე. ორივენი ძალზე დაძაბული ვთამაშობდით. ურუგვაელები იერიშებს ისევ მარჯვენა ფრთიდან აწყობდნენ, მაინც ჰქონდათ კუბილას იმედი. ის მეტად მრავალფეროვნად მოქმედებდა. სამჯერ ისე დავკარგე მხედველობიდან, არც ვიცოდი, სად მიიმალა. ურუგვაელი გარემარბი სწრაფად იცვლიდა პოზიციებს და უეცრად

აღმოჩნდებოდა ხოლმე ჩვენს საჯარიმო მოედანზე. იაშინმა მოიგერია კუბილას უძლიერესი დარტყმები და გამარჯვებაც ჩვენ დაგვრჩა".

„ძნელია იმის თქმა, საბოლოოდ დაცვის რომელი სისტემა სჯობია, – გააგრძელა სლავა მეტრეველმა. – თვით ბრაზილიელებიც კი კლუბების შეხვედრისას პელეს და გარინჩას წინააღმდეგ დაცვის პერსონალურ სისტემას იყენებენ. ერთი კაცი ყოველთვის დასდევს მათ და ხელს უშლის თამაშში.

პირადად მე ლამაზი ფეხბურთი მიყვარს. ალბათ ამიტომ ჩემი სიმპათია უფრო ზონური დაცვის მხარეს იხრება".

არის მატჩები, რომლებიც არასოდეს წაიშლება ფეხბურთელის გონებიდან. სლავა მეტრეველს მსოფლიოს ბევრ სტადიონზე უთამაშია, ბევრი გულშემატკივარი მოუხიბლავს თავისი ვირტუოზული ტექნიკით. მაგრამ, ბუნებრივია, ფეხბურთელს ყველაზე უფრო ის მატჩი დაამახსოვრდება, სადაც ყველაზე დიდი გამარჯვება მოიპოვა.

„არასოდეს დამავიწყდება ევროპის თასის ფინალი პარიზში. ჩვენი მოწინააღმდეგენი იუგოსლავიელი ფეხბურთელები იყვნენ. მოედანზე ლამაზი და ვაჟკაცური ბრძოლა გაჩაღდა. გამარჯვებული დამატებით დროში გამოვლინდა. თასი საბჭოთა ფეხბურთელებმა მოვიპოვეთ. მე განსაკუთრებით გახარებული ვიყავი, ჩვენი გატანილი ორი ბურთიდან, ერთის ავტორი მე გახლდით.

განა შეიძლება იმ სიხარულის აღწერა, რომელსაც ჩვენ განვიცდიდით, როცა ევროპის თასით ხელში წრე შემოვიარეთ პარიზის უდიდეს სტადიონზე?

ტაშკენტში განცდილი კი ალბათ სიკვდილამდე არ დამავიწყდება. ვინ იცის, ამ დღეს რამდენჯერ გავიხსენებ, როცა ფეხბურთის თამაში აღარ შემეძლება, როცა მეც მაყურებელი ვიქნები!"

სლავა მეტრეველის სახელი გაიგო მთელმა მსოფლიომ. სპეციალისტებმა და ფეხბურთის გულშემატკივრებმა ის პლანეტის ერთ-ერთ უძლიერეს ფეხბურთელად აღიარეს.

1963 წელს პოლონური სპორტული ჟურნალის, „სპორტოვეცის“ კონკურსზე სლავა მეტრეველი ევროპაში უძლიერეს მარჯვენა გარემარბად აღიარეს რაიმონ კოპას შემდეგ.

1962 წელს ჩეხურმა სპორტულმა ჟურნალმა „კოპანამ“ მოაწყო კონკურსი სათაურით – „ვის თვლით ყველაზე ძლიერ ფეხბურთელად ჩეხოსლოვაკიაში და საზღვარგარეთ?“

რედაქციამ ათასობით სხვადასხვა პროფესიის გულშემატკივრის პასუხები მიიღო. მარჯვენა ფრთაზე 516 ქულით დასახელებულია სპორტის დამსახურებული ოსტატი სლავა მეტრეველი. 480 ქულით მეორე ადგილზე გავიდა რ. სანჩესი; ეს უკვე უდიდესი აღიარებაა სლავა მეტრეველის საფეხბურთო ტალანტისა.

პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების შეხვედრის შემდეგ პოლონელთა მწვრთნელმა ტადეუშ ფორიშმა განაცხადა: „მოედანზე საუკეთესონი იყვნენ მეტრეველი, მესხი, ივანოვი და იაშინი. მე ვიტყოდი, პირველი ტაიმი მოიგო მეტრეველმა, მეორე – მესხმა“.

ევროპის თასის ფინალის შემდეგ იუგოსლავიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ალექსანდარ ტირნანიჩმა „ფრანს პრესის“ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: „მეტრეველს, მესხსა და შეკულარაცს მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულში შევიყვანდიო“.

სლავა მეტრეველი უძლიერეს ფეხბურთელად აღიარეს არგენტინაში, ჩილესა და ურუგვაიში – ფეხბურთის ვარსკვლავების ქვეყანაში.

აი, რას წერს გერმანელი სპორტული მიმომხილველი ჰაკი, რომელიც სპეციალურად დაესწრო ამ ქვეყნებში საბჭოთა ფეხბურთელების მატჩებს:

„არგენტინისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შეხვედრა იყო ტექნიკურად ყველაზე უკეთესი თამაში ამ უკანასკნელ წლებში სამხრეთ ამერიკაში ჩატარებული შეხვედრებიდან, ამავე დროს, იშვიათი კორექტულობითაც გამოირჩეოდა. როდესაც იაშინმა ტრავმის გამო ასპარეზობის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე მოედანი დატოვა, 100 ათასმა მაყურებელმა იგი მქუხარე ტაშით გააცილა. მატჩის დამთავრების შემდეგ კი, ხელოვნური დაბრკოლების მიუხედავად, მოედანზე ხალხი გადავიდა და გამარჯვებულ ფეხბურთელებს შემოეხვია.

აღფრთოვანებული მაყურებელი ზვავივით დაიძრა მეტრეველისა და მესხისაკენ, ისინი თვალის დახამხამების უმალ დაატყვევეს და მაისურები გახადეს, ნაფლეთები კი სუვენირებად დაინაწილეს.

მესხმა გონებამახვილური ფინტებით თავი დააღწია სუვენირებზე მონადირეებს".

შემდეგ ჰაკი ორივე გარემარბს „აბსოლუტური საერთაშორისო კლასის მოთამაშეებს" უწოდებს.

სლავა მეტრეველს საერთოდ ვერც კი წარმოუდგენია უფეხბურთოდ სიცოცხლე.

„როგორც კი თამაშს ვეღარ შევძლებ, თბილისში მწვრთნელად ვიმუშავებ," – კიდევ ერთხელ მითხრა მან.

მწვრთნელობამდე ჯერ ძალიან ადრეა. მანამ კი, დაე, მსოფლიოს უდიდეს სტადიონებზე კიდევ ბევრჯერ დაენაწილებინოთ სუვენირებად სლავა მეტრეველის მაისურის ნაფლეთები.

მეტოქეთა რისხვა

შვედეთის მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებისთანავე ინგლისელებმა ლონდონში მიიწვიეს საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. მანამდე საბჭოთა და ინგლისის ნაკრები გუნდები სამჯერ წარდგნენ ერთმანეთის პირისპირ. პირველად მოსკოვში, შვედეთის მსოფლიო ჩემპიონატის წინ, ეს ამხანაგური შეხვედრა ფრედ (1:1) დამთავრდა. შემდეგ კი ეს ორი გუნდი მსოფლიო ჩემპიონატში შეხვდა ერთმანეთს. ანგარიში თანაბარი იყო. ქვეჯგუფში საბჭოთა და ინგლისელმა ფეხბურთელებმა ქულათა ერთნაირი რაოდენობა დააგროვეს. დაინიშნა დამატებითი მატჩი. საბჭოთა ფეხბურთელებმა მძიმე ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვეს.

ფეხბურთის სამშობლოში ინგლისელთა წარუმატებლობამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ინგლისელებმა გადაწყვიტეს, აღედგინათ შელახული რეპუტაცია და მთელი იმედები გადაიტანეს საბჭოთა ფეხბურთელების საპასუხო ვიზიტზე.

და აი, ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე გამოვიდნენ საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები.

ინგლისელები ამ მატჩისათვის მეტად სერიოზულად მოემზადნენ. ნაკრების შემადგენლობა თითქმის მთლიანად გადაახალისეს. რაც მთავარია, გაითვალისწინეს შვედეთის შეცდომები და შემადგენლობიდან გაიყვანეს ცენტრალური თავდამსხმელი დერეკ კევანი.

ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონატის დროს შესანიშნავმა ინგლისელმა ფეხბურთელმა ბილ რაიტმა განაცხადა: „საბჭოთა კავშირის ნაკრებთან თამაში კევანის უთავბოლო გარღვევებმა წაგვაგებინაო“. ამჯერად ცენტრალური თავდამსხმელის პოსტი მიანდვეს ცნობილ სტრატეგს და პოზიციურ მოთამაშეს, მაგრამ უკვე ხანშიშესულ ფეხბურთელს – ლოფტჰაუსს.

საბჭოთა კავშირის ნაკრები გაცილებით უფრო სუსტად გამოიყურებოდა, ვიდრე შვედეთის მსოფლიო ჩემპიონატში. მოედანზე არ გამოსულა გუნდის სული და გული ლევ იაშინი. არ ჩანდა კრიჟევსკიც, რომელმაც ადრე მეტად ძლიერად ითამაშა ინგლისელთა წინააღმდეგ.

თამაში თავიდანვე ინგლისელთა იერიშებით დაიწყო. დუგლასი, ჩარლტონი, ლოფტჰაუსი, ჰაინსი და ფინი პირველივე წუთებიდან ეკვეთნენ ჩვენს კარს. მათ დიდ დახმარებას უწევდნენ ნახევარმცველები კლეიტონი და სლეიტერი. მაშინ ბრაზილიური სისტემა 4-2-4 ჯერ კიდევ ახალი ხილი იყო და გუნდები „დუბლ-ვეს" კლასიკური სისტემით თამაშობდნენ. ბოლოს და ბოლოს ინგლისელებმა აიღეს რევანში. ანგარიში გამანადგურებელი იყო – 5:0.

ამ დროს საბჭოთა ნაკრების სათადარიგოთა სკამზე იჯდა ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი მიხეილ მესხი. იგი ადგილზე ცმუკავდა, ვერ ისვენებდა. მღელვარება განსაკუთრებით მეოთხე ბურთის შემდეგ დაეუფლა. მოედანზე გასვლა სწყუროდა.

თამაში დამთავრდა. მას შემდეგ მიხეილ მესხი შეიპყრო საშინელმა სურვილმა – ეთამაშა ინგლისის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ. ეთამაშა სწორედ იქ, ფეხბურთის სამშობლოში, ლონდონის ცნობილი სტადიონის, „უემბლის" მწვანე მინდორზე.

რა იცოდა მაშინ სრულიად ახალგაზრდა ფეხბურთელმა, რომ გაივლიდა რამდენიმე წელი და მას, როგორც ჩვენი პლანეტის ერთ-ერთ უძლიერეს გარემარბს, მსოფლიოს სხვა ვარსკვლავებთან ერთად მიიწვევდნენ ლონდონში ფეხბურთის 100 წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო მატჩზე ინგლისის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ სათამაშოდ.

რაღაც მიზეზების გამო მიხეილ მესხმა სურვილი მაინც ვერ შეისრულა.

თბილისის „დინამოს" მარცხენა გარემარბმა თავისი ძალა და ოსტატობა ბევრჯერ მოსინჯა საუკეთესო ინგლისურ კლუბებთან: „შეფილდ უენსდეისთან", „ვულვერჰემპტონ უონდერერსთან", „ტოტენჰემ ჰოტსპურთან"... ამ გუნდებთან თამაშის შემდეგ მიხეილ მესხმა აალაპარაკა ფეხბურთის სამშობლო.

ერთხელ, როცა მიშას თავისი ადრინდელი სურვილი შევახსენე, მითხრა: „ძველს ახალი სურვილიც დაემატა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სანტიაგოში ვნახე ბრაზილიის ეროვნული ნაკრების თამაში, ჩემი ოცნებაა გამოვიდე მათ წინააღმდეგ".

1966 წელს ფეხბურთის სამშობლოში ტარდება მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატი. ვინ იცის, იქნებ მიხეილ მესხის ამ ორ ოცნებას ფრთა იქ შეესხას...

I

მიხეილ მესხი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა თბილისის „დინამოს" სათადარიგო გუნდში მიიღეს. პატარა მიშამ თავიდანვე მიიქცია გულშემატკივართა ყურადღება. სათადარიგოთა მატჩებზე იმატა მაყურებელთა რიცხვმა. ყველას აინტერესებდა ენახა სრულიად ახალგაზრდა ფეხბურთელის ლამაზი თამაში, ოსტატური გასვლები, გასაოცარი ფინტები.

საქართველოში უკვე ლაპარაკობდნენ ახალ ტალანტზე, თბილისის „დინამოს" მომავალ უძლიერეს გარემარბზე.

ასეთი წარმატება მიხეილ მესხს თითქოს თავიდანვე იოლ კარიერას უქადდა, მაგრამ საყოველთაო აღიარება იოლად არ მოსულა. მიხეილ მესხი დიდხანს იყო სათადარიგოთა შემადგენლობაში, ერთ პერიოდში, როცა ხანდახან გამოჰყავდათ ძირითად შემადგენლობაში, გულშემატკივართა საკმაოდ დიდ ნაწილს გულიც კი გაუცივდა თბილისელთა მარცხენა

გარემარბზე. ზოგიერთებმა საეჭვოდაც კი მიიჩნიეს მიხეილ მესხის ტალანტი.

მიხეილის ადგილზე ბევრს შეიძლება გულიც გასტეხოდა, მაგრამ თბილისელთა მარცხენა გარემარბი მტკიცე ნებისყოფიანი ჭაბუკი გახლდათ. მას სჯეროდა თავისი ტალანტისა, სჯეროდა ფეხბურთის სპეციალისტების აზრის.

გავიდა დრო და გაიმარჯვა ნებისყოფამ, გაიმარჯვა დიდმა შრომამ. მიხეილ მესხმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მარტო ნიჭი ბევრს არაფერს ნიშნავს, რომ დაუღალავი, ენერგიული შრომის გარეშე არ შეიძლება ფეხბურთელმა საერთო აღიარება მოიპოვოს. წარმატებაც თანდათან მოდიოდა. 1955 წელს მიხეილ მესხი პირველად გამოვიდა ძირითად შემადგენლობაში. მაშინ ჩვენი დინამოელები კიეველ თანაკლუბელებს ხვდებოდნენ უკრაინის დედაქალაქში. მე ბედნიერება მქონდა, ძალზე მცირერიცხოვან ქართველ გულშემატკივრებთან ერთად ამ მატჩს დავსწრებოდი. პირველი ბურთი კიეველთა კარში ავთანდილ ღოღობერიძემ გაიტანა. მეორე ტაიმში უკრაინელმა ფეხბურთელებმა მაგრად შემოგვიტიეს. მათ თავდასხმას ანდრო ზაზროევი უნარიანად ხელმძღვანელობდა. კიეველებმა ჩვენს კარში ორი ბურთი გაიტანეს, რამაც თამაშის ბედიც გადაწყვიტა.

მაშინ მიხეილ მესხს თამაში ნამდვილად არ გამოუვიდა. მან რამდენჯერმე სცადა მარცხენა ფრთიდან გასულიყო, მაგრამ მცველს ორთაბრძოლა ვერ მოუგო. ეს მისი პირველი თამაში იყო და ალბათ ძალზე ღელავდა. როცა მიშამ რამდენჯერმე დაკარგა იერიშის მიტანის შესაძლებლობა, პარტნიორებმა იგი თითქოს მთლიანად დაივიწყეს და ბრძოლაში ეპიზოდურად თუ ჩართავდნენ ხოლმე.

თამაშის შემდეგ თბილისელებს სასტუმროში ანდრო ზაზროევი ეწვია. გაიმართა საუბარი. ბიჭებს უკვე მონელებული ჰქონდათ წაგების სიმწარე და ხუმრობდნენ კიდეც. საუბარში მხოლოდ მიხეილ მესხი არ ებმებოდა. იგი შორიახლოს მოკრ-

ძალებით იდგა და უფროს მეგობრებს თითქოს დამნაშავესავით მისჩერებოდა.

იმ წელს მიხეილი კიდევ ერთხელ გამოვიდა ძირითად შემადგენლობაში. ამჯერად თბილისში, მოსკოვის „სპარტაკის" წინააღმდეგ. მესხი ამ მატჩში ისე გაბედულად მოქმედებდა, თითქოს გამოცდილი ფეხბურთელი ყოფილიყოს. მისმა ოსტატურმა თამაშმა მოხიბლა თბილისელი გულშემატკივრები. საკავშირო პრესაში პირველი მერცხლებივით გამოჩნდა თბილისელთა მარცხენა გარემარბის შესამკობი სტრიქონები.

1956 წელს მიხეილ მესხმა თითქმის სეზონის ნახევარზე მეტ მატჩებში მიიღო მონაწილეობა. ითამაშა საერთაშორისო მატჩებიც. კარგად მახსოვს რიო-დე-ჟანეიროს საკლუბო გუნდის, „ატლეტიკა პორტუგეზას" ერთ-ერთი ფეხბურთელის ინტერვიუ თბილისის დინამოელებთან მატჩის შემდეგ. მან თქვა: „მე ყველაზე უფრო მომეწონა ფეხბურთელი №7 (ავთანდილ ჭკუასელი, – გ. ფ.) განსაკუთრებით კი – №11". ეს მეთერთმეტე ნომერი მიხეილ მესხი გახლდათ.

1958 წელს მიხეილ მესხს მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება; შეიყვანეს საბჭოთა კავშირის ნაკრებში, 1959 წლიდან კი ის მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის მარცხენა ფრთაზე.

მიხეილ მესხის სახელი მოედო მთელს მსოფლიოს. იგი გამოვიდა ჩვენი პლანეტის მრავალ სტადიონზე. ფეხბურთის სპეციალისტებმა ქართველი მარცხენა გარემარბი აღიარეს მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ფეხბურთელად. იგი შეიყვანეს პლანეტის იდეალური ნაკრების შემადგენლობაში...

მიხეილ მესხი ტიპური მარცხენა გარემარბია. მას აქვს ყველა ის თვისება, რომელსაც თანამედროვე მსოფლიო კლასის ფეხბურთი მოითხოვს მარცხენა გარემარბისგან. მიხეილ მესხი უდიდესი ტექნიკის მქონე ფეხბურთელია, ბურთს საოცრად კარგად ფლობს და ძალზე დიდი სისწრაფის დროსაც არ კარგავს მასზე კონტროლს. მესხის მოძრაობა იმდენად

დახვეწილია, რომ ერთ კვადრატულ მეტრზეც კი შეუძლია ცრუ მოძრაობათა მთელი სერია ჩაატაროს.

როცა ჩვენ გვინდა მიხეილ მესხის თამაშის მანერა დავახასიათოთ, პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისელთა გარემარბი ორთაბრძოლის დიდოსტატია. მიხეილ მესხი მსოფლიოს მრავალ სტადიონზე გამოსულა. მის წინააღმდეგ უთამაშიათ მთელს საფეხბურთო სამყაროში აღიარებულ მცველებს. პირადად მე მიხეილ მესხის თამაში მინახავს პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, თურქეთის, არგენტინის, ურუგვაის ნაკრები გუნდების წინააღმდეგ. აღარ ჩამოვთვლი მის გამოსვლებს მსოფლიოს უძლიერესი გუნდების წინააღმდეგ. იშვიათად მინახავს მცველი, რომელიც მიხეილ მესხს ორთაბრძოლაში არ დაეჩაგროს. თუმცა... აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ის მცველები, რომლებიც ასე თუ ისე უმკლავდებოდნენ მიხეილ მესხის დრიბლინგსა და ფინტებს, სხვა ფეხბურთელების დახმარებით აღწევდნენ ამას.

მესხი ერთდროულად ადვილად ატყუებს სამ მცველსაც კი. ამიტომ იშვიათია შემთხვევა, როცა მესხს ერთი კაცის ანაბარად ტოვებენ. მესხი ორივე ფეხს კარგად ხმარობს. აქვს უძლიერესი დარტყმა.

მიხეილ მესხის ერთ-ერთი მთავარი იარაღია დიდი სისწრაფე. ფეხბურთში კი არსებობს რამდენიმე სახის სისწრაფე. ცნობილი არგენტინელი მწვრთნელი ელენიო ერერა საფეხბურთო სისწრაფეს ასე ჰყოფს: „სისწრაფე სირბილისა, მანევრირებისა, გადაცემისა და აზროვნებისა“.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მიხეილ მესხს ახასიათებს საფეხბურთო სისწრაფის ეს ოთხივე სახესხვაობა. მიხეილ მესხი ძალზე სწრაფად დარბის, განსაკუთრებით კი „საგარემარბო“ დისტანციებზე, ანუ მოკლე დისტანციებზე. აქვს ბრწყინვალე სტარტი, ადგილიდანვე დიდ სისწრაფეს ავითარებს. განსაკუთრებით ძლიერია მისი ვირაჟი, სადაც

სისწრაფესთან ერთად ბურთის კორპუსით დაფარვაში და მეტოქისათვის მხრით ჩადგომაში ძალიან შველის დიდი ღონე და მაგარი მუხლი. (ნუ დაგვავიწყება, რომ თბილისელთა მარცხენა გარემარბი ძველი მოჭიდავეა. მის მწვრთნელს, ვარძელაშვილს, იგი დიდი მომავლის მოჭიდავედ მიაჩნდა.)

მიხეილ მესხს აქვს ძალზე სწრაფი აზროვნება, სიტუაციების სწრაფად შეფასების საოცარი უნარი. ძალზე ზუსტი, მახვილგონიერი და დროული გადაცემები. თუმცა ხანდახან მოწინააღმდეგესთან ორთაბრძოლით ზედმეტად ერთობა.

მიხეილ მესხი შესანიშნავად თამაშობს თავით. აქვს ლამაზი, ტექნიკური დარტყმები, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში, დაბალი ტანის გამო, ვერ ებმება საჰაერო ბრძოლებში (მისი სიმაღლეა 169 სმ).

როცა ვლაპარაკობთ მიხეილ მესხის თამაშის მანერაზე, სტილზე, თვისებებზე, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ თბილისელთა მარცხენა გარემარბის თამაშისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი – სანახაობრივი, ემოციური მხარე. მსოფლიოს ბევრი სახელმოხვეჭილი ფეხბურთელი მინახავს, მაგრამ იშვიათად თუ ვინმეს ახასიათებდა მცველთა შორის ისეთი ლამაზი გასვლა, როგორიც მიხეილ მესხს. როცა ის ოსტატური დრიბლინგით გზას მიიკვლევს მოწინააღმდეგის მცველთა შორის, გიტაცებს და გხიბლავს მისი დახვეწილი მოძრაობა, ორიენტაციის საოცარი უნარი, ფენომენალური ინტუიცია. გულშემატკივრებმა თბილისელთა მარცხენა გარემარბის ფინტების ერთობლიობას „მესხის ვარიაციები“ შეარქვეს.

მესხის თამაშს თვით მოწინააღმდეგენიც კი არაერთხელ მოუხიბლავს. ქართველ გულშემატკივრებს ალბათ კარგად ახსოვთ თბილისის „დინამოს“ მატჩი ბრაზილიის საკლუბო გუნდ „ბაიასთან“. მიხეილ მესხის ულამაზესი გასვლით მოხიბლულმა ბრაზილიელთა ცენტრალურმა მცველმა თბილისელთა მარცხენა გარემარბი ხელით გააჩერა და მოედანზე გადაკოცნა.

ყველა ფეხბურთელს ახასიათებს თამაშის თავისებური ნაკლი. მიხეილ მესხის ნაკლად პირადად მე მიმაჩნია ერთი რამ: იგი უბურთოდ ცოტას თამაშობს. ჯერ კიდევ თბილისის „დინამოს“ ინგლისში გამოსვლის დროს წერდნენ ლონდონის ერთ-ერთ გაზეთში: „მესხი ძალზე საშიშია მაშინ, როცა ბურთს მიიღებს“. აქ ინგლისელები გულისხმობდნენ, რომ მიხეილ მესხი უბურთოდ მანევრირებით მოწინააღმდეგე მცველის წინაშე არ აყენებს ტაქტიკურ ამოცანებს.

დაახლოებით ამასვე წერს ვსევოლოდ ბობროვი: „თბილისის „დინამოს“ მარცხენა გარემარბი მიხეილ მესხი დღევანდელი საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურაა. მისი სადრიბლინგო ხელოვნება საერთო აღტაცებას იმსახურებს. რაც უფრო კარგად გამოსდის ფინტები, მით უფრო ძლიერად და მწვავედ თამაშობს მიხეილ მესხი. მაშინ მის უძლიერეს გასვლებს და ხანჯალივით ბასრ გადაცემებს დაძაბული ჰყავს მოწინააღმდეგეც და მთელი სტადიონიც.

მაგრამ საკმარისია მოწინააღმდეგე მცველს გაუმართლოს, მესხის ფინტებზე არ წამოეგოს, წინ აღუდგეს თბილისელთა მარცხენა გარემარბის ძალზე მაღალტექნიკურ ინდივიდუალურ თამაშს, რომ მესხი წყვეტს ბრძოლას და თითქმის გარეშე მეთვალყურის როლში გამოდის“.

ერთი სიტყვით, ბობროვი გულისხმობს მიხეილ მესხის პოზიციური ბრძოლის ერთფეროვნებას.

მართალია, მიხეილ მესხის წინააღმდეგ მცველებს იშვიათად გამოსდით კარგი თამაში, მაგრამ საბჭოთა ფეხბურთის ვეტერანის სიტყვები სიმართლეს როდია მოკლებული.

სასიხარულოა, რომ უკანასკნელ პერიოდში მიხეილ მესხი ძალზე მრავალფეროვნად მოქმედებს. ხშირად იცვლის ადგილებს, უტევს ცენტრიდან, მარჯვენა ფრთიდან. ტაშკენტში სწორედ ცენტრიდან ერთ-ერთი შეტევისას მიაწოდა დათუნაშვილს ბურთი, რომელმაც მეორედ შეარხია „ტორპედოს“ კარის ბადე.

როცა ვლაპარაკობთ მიხეილ მესხზე, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მისი კიდევ ერთი საუკეთესო თვისება – იგი შესანიშნავი სპორტსმენია. იშვიათია გუნდში ისეთი კაცი, რომელიც რეჟიმს მიხეილ მესხივით იცავდეს. ის საქმეს მთელი გულისყურით და სერიოზულობით ეკიდება. მისაბაძია მიხეილ მესხის მტკიცე ნებისყოფა, სპორტული შეუპოვრობა და სიჯიუტე, თავმდაბლობა და გულისხმიერება. ამ თვისებებმა კი ნიჭიერ სპორტსმენს დიდად შეუწყო ხელი, მთელი ძალით გამოევლინა თავისი ტალანტი.

II

მიხეილ მესხს ბევრი ქვეყნის გულშემატკივარი მოუხიბლავს თავისი უდიდესი ოსტატობით. თბილისელმა მარცხენა გარემარბმა დაუფიქრებლად შეიძლება ერთბაშად ვერც კი ჩამოგითვალოთ, მსოფლიოს რამდენი ქვეყნის სტადიონზე გამოსულა.

ჩემს კითხვაზე, თუ თავისი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში რომელ ქალაქებში ჩატარებულმა მატჩებმა მიანიჭა ყველაზე დიდი სიხარული, მიხეილ მესხმა დაუფიქრებლად მიპასუხა: „ტაშკენტში და პარიზში ჩატარებულმა მატჩებმა. პარიზი ჩემი მეხსიერებიდან არასდროს ამოიშლება. ევროპის თასის ფინალამდე ჩვენ მძიმე ბრძოლები გადავიტანეთ. დავამარცხეთ ევროპის უძლიერესი გუნდები, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ნაკრებები. ფინალში შევხვდით იუგოსლავიელ ფეხბურთელებს. ოთხმოცდაათწუთიანმა ბრძოლამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. დამატებით დროში, 111-ე თუ 112-ე წუთზე ბურთი ვოინოვმა მომაწოდა, მე შეუჩერებლად ცენტრში ჩავკიდე. პონედელნიკის თავური დარტყმა და... ჩვენ გავხდით ევროპის თასის პირველი მფლობელები. საოცარ სიხარულს ვგრძნობდი, როცა ეი-

ფელის კოშკის რესტორანში გამართულ საზეიმო წვეულებაზე ევროპის თასის მფლობელის ოქროს მედალი გადმომცეს.

ეს სიხარული კი ოდნავადაც ვერ შეედრებოდა იმ დიდ განცდას, იმ დიდ სიხარულს, რომელიც ტაშკენტში გამარჯვების შემდეგ დამეუფლა. ბოლოს და ბოლოს ჩვენ გავამართლეთ ქართველი გულშემატკივრების იმედი...“

მიხეილ მესხი დაფიქრდა, მერე გაიღიმა და თქვა: „ძალიან ბევრი მატჩი მახსოვს, მაგრამ ბუენოს-აირესში გამოსვლას ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვიგონებ“.

მიხეილ მესხი თავმდაბალი კაცია და მეტი აღარაფერი უთქვამს. მე შევეცდები, გავშიფრო ტკბილი მოგონებით გამოწვეული მისი ღიმილის მიზეზი.

ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატის წინ საბჭოთა კავშირის ნაკრები სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრა. პირველი შეხვედრა ფეხბურთელებს არგენტინის ეროვნულ ნაკრებთან ჰქონდათ. რამდენიმე თვით ადრე არგენტინელი ფეხბურთელები მოსკოვში შეხვდნენ საბჭოთა კავშირის ნაკრებს. თამაში 0:0 დამთავრდა, მაგრამ არგენტინელების უპირატესობა აშკარა იყო. მე ძალიან მომეწონა მაღალტექნიკური არგენტინელი ფეხბურთელები, ტყავის ბურთის ნამდვილი ვირტუოზები, რომელთა შორისაც განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ სანფილიპო, საჩი, სოსა.

ბოლოს და ბოლოს ვნახე მსოფლიოს ყველაზე პარადოქსული გუნდი. თითქმის ყოველ მსოფლიო ჩემპიონატში არგენტინა ჩემპიონობის №1 პრეტენდენტად ითვლება. თითქმის ყოველ მსოფლიო ჩემპიონატში არგენტინა განიცდის კატასტროფულ მარცხს. სამაგიეროდ, არგენტინის ეროვნული ნაკრებია ერთადერთი გუნდი, რომელიც სისხლს უშრობს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს – ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებს. ეს განსაკუთრებით იგრძნობა, თუ თვალს გადავავლებთ პანამერიკული თამაშების ისტორიას.

და აი, მთელი არგენტინული და საბჭოთა საფეხბურთო ისტორიების განმავლობაში ამ ორი ქვეყნის გუნდები ერთმანეთის წინაშე მეორედ წარდგნენ ბუენოს-აირესის უზარმაზარ „რივერ პლეიტის" სტადიონზე.

საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის შემდეგ გენადი გუსაროვი წერდა: „თამაშის წინა დღეს წავიკითხეთ სან-ფილიპოს ინტერვიუ. იგი უყოყმანოდ აცხადებდა – „მოვიგებთ ანგარიშით 4:1". კოლეგის განაცხადი ძალზე სწყინს არგენტინელ მცველს სიმეონეს (ეს ის სიმეონე გახლდათ, რომელმაც მოსკოვშიც და ბუენოს-აირესშიც მესხის წინააღმდეგ ითამაშა, – გ. ფ.). მას უთქვამს, ჩვენ ბურთის გაშვებას არ ვაპირებთ, ასე რომ, ანგარიში 4:0 იქნებაო.

როცა ეს ინტერვიუ წავიკითხეთ, მიხეილ მესხს არაფერი უთქვამს. დასაძინებლად ადრე დაწვა. რა იცოდა საბრალო არგენტინელმა მცველმა, ეს ამაყი ქართველი ჭაბუკი ხვალ რა დღეს დააყრიდა".

მართლაც და, რა დღეც მიხეილ მესხმა სიმეონეს დააყარა, კარგად ჩანს ნაკრების მწვრთნელის, ნიკოლოზ გულიაევის სიტყვებიდან: „ჩვენს მოწინააღმდეგეებს სჯეროდათ, რომ გაიმარჯვებდნენ. ამაში მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი. სან-ფილიპომ ისიც კი განაცხადა, 4:1-ს მოვიგებთო. ერთერთ მცველს ეს ანგარიში შეუსწორებია, ჩვენ ბურთის გაშვებას არ ვაპირებთ, ე. ი. 4:0-ს მოვიგებთო.

ეს ძალიან თამამი განცხადება იყო.

...პირველი წუთები. გვიტევენ მასპინძლები. მაყურებლები ფიქრობდნენ, რომ ყველაფერი ისე იქნებოდა, როგორც არგენტინელმა ფეხბურთელებმა იწინასწარმეტყველეს. მაგრამ ამ დროს მესხი და მეტრეველი რამდენჯერმე სახიფათოდ გავიდნენ ფლანგებზე. ვითარება დაიძაბა. ჩვენმა მარცხენა გარემარბმა თავისი საკოზირო ფინტით თავიდანვე მოხიბლა მაყურებელი. სიმეონე ცდილობდა მიხეილ მესხი ორთაბრძო-

ლაში დაეჩაგრა. თავდაპირველად ის წესების მიხედვით მოქმედებდა. შემდეგ კი... როცა დარწმუნდა, რომ პატიოსანი ბრძოლით ვერაფერს გახდებოდა, უხეშობაზე გადავიდა. მსაჯმა რობელსმა თამაში რამდენჯერმე გააჩერა.

აი, მესხმა მოატყუა ორი მცველი. იგი მოცელეს. დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. მიხეილ მესხმა პონედელნიკისაკენ დაბალი ბურთი გაგზავნა. მან კი ბურთი მოწინააღმდეგის კარის ბადეში გაახვია.

...ჩილელი მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ, – წერს დასასრულს გულიაევი, – მაყურებლები მოედანზე გადმოვიდნენ და ჩვენს ფეხბურთელებს თბილად მიესალმნენ. „რივერ პლეიტიდან" ავტობუსით გავემგზავრეთ. სასტუმრომდე 10 კილომეტრი გვაშორებდა. მთელს გზაზე, სტადიონიდან პალერმოს პარკამდე, ხალხი ტაშით გვაცილებდა. ისმოდა შეძახილები: „ბრავო, მესხი!", „ბრავო, იაშინ!" „ბრავო, მეტრეველი!"

სიმეონემ თამაშის შემდეგ განაცხადა: „მიხეილ მესხი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გარემარბია. მე განსაკუთრებით მაშინ გავოცდი, როცა მან თავის თავს პასი მიაწოდაო (იგულისხმება მესხის ფინტი, როცა იგი ბურთს მცველს საწინააღმდეგო მხრიდან უტრიალებს – გ. ფ.)".

მიხეილ მესხი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ წერდა: „ბუენოს-აირესში ჩვენი გამარჯვების შემდეგ, რამაც სამხრეთ ამერიკაში სენსაცია გამოიწვია, მონტევიდეოსა და სანტიაგოში ორი და ხშირად სამი კაციც მდარაჯობდა. მაგრამ უბედურება ეს როდი იყო. ისინი უხეშად მეთამაშებოდნენ და ხშირად ხელით მიჭერდნენ. ერთხელ, როცა თამაშის გარჩევისას უფროსმა მწვრთნელმა გავრიილ კაჩალინმა მკითხა, რა დამახასიათებელი თვისება აქვთ სამხრეთამერიკელ მცველებსო, მე ვუპასუხე – ხელებით თამაში-მეთქი".

ფეხბურთის კონტინენტზე ასეთი დიდი წარმატებით გამოსვლამ მიხეილ მესხს მსოფლიო სახელი მოუხვეჭა. აი, რას წერდა სამხრეთამერიკული ფეხბურთის ბრწყინვალე მცოდნე, გერმანელი ჟურნალისტი ფრიც ჰაკი ციურიხის გაზეთ „შპორტში“:

„აქამდე ბუენოს-აირესში არცერთ ევროპულ გუნდს არ მოუგია. ეს ასპარეზობა საუკეთესო იყო იმ შეხვედრათა შორის, რომელიც რუსებმა სამხრეთ ამერიკაში გამართეს. ამ მატჩის ნამდვილი გმირები კი მესხი, მეტრეველი და იაშინი იყვნენ, რომელთა ბრწყინვალე ოსტატობამ და მაღალმა ტექნიკამ დაიპყრო მაყურებელთა გულები“.

თავისი წერილის ერთ ნაწილში ჰაკი წერს: „რაც მომცრო ტანის მიხეილ მესხმა არგენტინის უძლიერეს მცველს სიმეონეს დღე დააყარა, ამას ვერცერთი გარინჩა ვერ გააკეთებდა. მკვირცხლი მეტრეველი კი ისე დაქროდა, როგორც ჰელმუტ რანი თავის საუკეთესო დღეებში“.

1963 წლის ოქტომბერში ფეხბურთის სამშობლომ, ინგლისმა, იზეიმა ეროვნული ფეხბურთის 100 წლისთავი. ფიფას დადგენილებით ეს საიუბილეო თარიღი აღნიშნა მთელმა მსოფლიომ. ფიფას გადაწყვეტილებით დაინიშნა საზეიმო მატჩი ინგლისის ეროვნულ ნაკრებსა და მთელი პლანეტის იდეალურ ნაკრებს შორის. ეს მატჩი ჟურნალისტებმა „საუკუნის მატჩად“ მონათლეს.

ასეთი შეხვედრა მანამდე ორჯერ ჩატარდა. პირველად ეს მოხდა ინგლისის ფეხბურთის 75 წლისთავზე. მაშინ კუნძულელმა ფეხბურთელებმა მატჩი ძლიერად ჩაატარეს და ლონდონის „არსენალის“ სტადიონზე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს – 3:0.

მეორე მატჩი ინგლისისა და ფიფას ნაკრებ გუნდებს შორის შედგა 1953 წელს ინგლისის ფეხბურთის 90 წლისთავი-

სადმი მიძღვნილ საიუბილეო დღეს. მატჩი ძალზე დაძაბული და მიმზიდველი გამოდგა და დამთავრდა ფრედ – 4:4.

ფეხბურთის 100 წლისთავზე კი ამ მატჩისადმი ინტერესი ძალიან გაიზარდა.

თუ თვალს გადავავლებთ ინგლისური ფეხბურთის ისტორიას, იუბილეს ეროვნული ნაკრები ასეთი შედეგებით ხვდებოდა: ინგლისელებმა ჩაატარეს 363 მატჩი, აქედან 213 თამაში მოიგეს, 69-ჯერ ფრედ ითამაშეს, ხოლო 81-ჯერ მოედანი დამარცხებულებმა დატოვეს. ამ შეხვედრებში ინგლისელებმა 1025 გოლი გაიტანეს, თვითონ კი 492-ჯერ დაიწყეს თამაში ცენტრიდან.

პირველი საერთაშორისო შეხვედრა ინგლისელებმა 1872 წელს ჩაატარეს შოტლანდიის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ. მატჩი დამთავრდა ფრედ – 0:0. ამ დღიდან მოყოლებული ისინი ერთმანეთს 80-ჯერ შეხვდნენ. ინგლისელებმა მოიგეს 28 მატჩი, ხოლო 33-ჯერ დამარცხდნენ. გატანილი და მიღებული ბურთების თანაფარდობა ასეთია – 144:143 შოტლანდიელთა სასარგებლოდ.

ინგლისელებს ყველაზე უარესი ბალანსი აქვთ უნგრელებთან. ექვსი შეხვედრიდან ხუთჯერ იწვნიეს მარცხის სიმწარე.

არც იუგოსლავიელებთან სწყალობთ ბედი ფეხბურთის პიონერებს. ექვსი შეხვედრიდან ინგლისელებმა სამჯერ წააგეს და მხოლოდ ერთხელ იზეიმეს გამარჯვება.

ურუგვაის ნაკრებმა ორი შეხვედრიდან ინგლისის ნაკრები ორივეჯერ დაამარცხა.

ინგლისელებს უარყოფითი ბალანსი აქვთ შვედებთან და ბრაზილიელებთანაც.

სამაგიეროდ, ინგლისელები ხშირად გამოდიან გამარჯვებულები ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის, იტალიის, უელსისა და ირლანდიის ნაკრებ გუნდებთან ორთაბრძოლაში. ყველაზე მეტად კი ინგლისელებმა მაინც ფრანგები დაჩაგრეს, რომლებსაც 16 შეხვედრიდან 11-ჯერ დააყრევინეს ფარ-ხმალი და

მხოლოდ სამჯერ მიულოცეს გამარჯვება. მათი შერკინების საერთო ანგარიშია 50:24 ინგლისელთა სასარგებლოდ.

საბჭოთა ფეხბურთელებთან ინგლისელებს ჯერჯერობით თანაბარი ანგარიში აქვთ.

როგორც ვხედავთ, ინგლისური ფეხბურთი არცთუ ისე დიდი წარმატებით ხვდებოდა თავის იუბილეს. ფეხბურთის სამშობლომ ვერ იქნა და ვერ მოიპოვა მსოფლიოში უძლიერესის სახელი.

მიხეილ მესხი ინგლისურ ფეხბურთს კარგად იცნობს. მას არაერთხელ უთამაშია საუკეთესო ინგლისური კლუბების წინააღმდეგ. აი, რას წერდა „დეილი ჰერალდი" თბილისელთა მარცხენა გარემარბზე „ვულვერჰემპტონ უონდერერსთან" მატჩის შემდეგ: „მგლების" კაპიტან ედი სტიუარტს მოუხდა ცხრაწუთიანი კოშმარის გადატანა იმის გამო, რომ ელვასავით სწრაფი მესხის წინააღმდეგ თამაშობდა".

ერთხელ მიხეილ მესხს ვკითხე, რა არის მიზეზი, რომ ინგლისურმა ფეხბურთმა ვერ მოიპოვა დიდი მასშტაბის წარმატება-მეთქი.

„ინგლისელებს მსოფლიოში საუკეთესო კლუბები და საუკეთესო ფეხბურთელები ჰყავთ, – მიპასუხა მესხმა, – თანაც მათი რიცხვი არცთუ ისე მცირეა. თითქოს ვერც ნაკრებს დასდებ წუნს. დიდი წარმატება კი მაინც არ ჩანს. ზოგი ამის მიზეზს ინგლისელი ფეხბურთელების კონსერვატიულობაში ხედავს. ჩემი აზრით, ინგლისელები ბურთს ძალიან ცოტას ატარებენ და არ შეუძლიათ თამაშის ტემპის რეგულირება. ყოველ შემთხვევაში, ძნელია სხვა მიზეზები გამონახო. მე ინგლისელები მაინც მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ფეხბურთელებად მიმაჩნია".

და აი, ინგლისელებმა გადაწყვიტეს მსოფლიოსათვის დაემტკიცებინათ ინგლისური ფეხბურთის სიძლიერე. ისინი საუკუნის მატჩისათვის მთელი მონდომებით ემზადებოდნენ.

ფიფამ დიდი ხნით ადრე დაიწყო მსოფლიოს ნაკრების კანდიდატების შერჩევა. თბილისელთა მარცხენა გარემარბი მიხეილ მესხი მოხვდა მსოფლიოს რჩეულთა სიაში.

სწორედ ამ პერიოდში გაზეთ „ჩესკოსლოვენსკი სპორტში“ გამოქვეყნდა ცნობილი ჩეხი სპორტული მიმომხილველის ბედრჟიხ შტაინერის სტატია სათაურით „მიხეილ მესხი – მეტოქის რისხვა“. შტაინერი წერდა:

„როცა საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი მოედანზე გამოდის, როგორც მწყობრში, ისე მაისურზე დაწერილი ნომრითაც, მიხეილ მესხი მე-11 ფეხბურთელია. ეს ქერათმიანი, თმახუჭუჭა ახალგაზრდა გულშემატკივართა საყვარელი და სათაყვანო ფეხბურთელია, მოწინააღმდეგის ამოუხსნელი ამოცანა და ყველაზე საშიში მეტოქე“.

მესხი წლების განმავლობაში კეთილსინდისიერად იცავს საბჭოთა ფეხბურთის ღირსებას და ამიტომაც სამართლიანად პოვა საერთაშორისო აღიარება.

უკანასკნელ წლებში მიხეილ მესხმა სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია. სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთის ფურცლებზე მრავალი აზრი გამოითქვა ამ ნიჭიერი ფეხბურთელის თამაშის სტილზე, მაგრამ როცა მიხეილ მესხზე ვწერ და მის თამაშს ვაფასებ, მე ძირითადად ყოველთვის წარმოდგენილი მაქვს ჩემი თვალით ნანახი მატჩები. კერძოდ, მატჩები საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს შორის; ევროპის თასის ფინალი პარიზში.

ჩეხოსლოვაკიელებთან შეხვედრისას მიხეილ მესხი გოლების გატანის მხრივ არ ყოფილა მატჩის გმირი, მაგრამ საბჭოთა გუნდის გამარჯვების პირველწყარო, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთავარი ღერძი, სწორედ ის იყო. თვით ჩვენი ნაკრების მცველის, მიხეილ მესხის დარაჯის ი. შაფრანეკის სიტყვებით რომ ვთქვათ, მესხმა ის სასტიკად დაჩაგრა. დაჩაგრა

ისე მწარედ, რომ ჩვენი კარი მუდმივი საფრთხის წინაშე იდგა. აკი ძვირადაც დაგვიჯდა ეს საფრთხე".

აქ, რასაკვირველია, განგებ არ ვახსენებ სლავა მეტრეველის, ვალენტინ ივანოვისა და სხვათა ბრწყინვალე თამაშს, რადგან ამ წერილში მე მხოლოდ მიხეილ მესხზე მინდა ვილაპარაკო.

რაც შეეხება პარიზში ჩატარებულ ევროპის თასის ფინალს, აქ მიხეილ მესხი თამაშის გმირი კი არა, მისი სული და გული იყო. მან მოგვხიბლა გააზრებული, ვირტუოზული თამაშით. სწორედ მაშინ ჩვენი ნაკრები გუნდის მწვრთნელმა რუდოლფ ვიტლაჩილმა, დამარცხების სიმწარის მიუხედავად, აღტაცებით თქვა, მიხეილ მესხი ყველაზე საშიში ფეხბურთელია, იგი მეტოქის რისხვაა. სწორედ მისი სიტყვები გამოვიყენე დღევანდელი ჩემი წერილის სათაურად, – განაგრძობს ჩეხი ჟურნალისტი, – ჩეხოსლოვაკიის სპორტული საზოგადოებრიობა აღფრთოვანებული შეხვდა იმ საინტერესო ფაქტს, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის გადაწყვეტილებით, მსოფლიო ნაკრები გუნდის კანდიდატთა შემადგენლობაში შეიყვანეს მიხეილ მესხი (სხვათა შორის, 1962 წელს ჩეხურმა სპორტულმა ჟურნალმა „კოპანამ" გამოაცხადა კონკურსი. მარცხენა გარემარბის ადგილზე 604 ქულით გაიმარჯვა მიხეილ მესხმა. მეორე ადგილზე 306 ხმით გავიდა ესპანელი ხენტო). თუმცა, ჯერ დაზუსტებული არაა, რომელი გამოვა ფიფას ნაკრების მარცხენა ფრთაზე – მესხი თუ ხენტო. უცხოეთის უკვე ბევრმა სპორტულმა მიმომხილველმა გამოთქვა თავისი აზრი პრესის ფურცლებზე და სამართლიანად შეაფასა ორივე ფეხბურთელის თამაშის სტილი, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ნათლად შეიმჩნევა, რომ ე. წ. „უარყოფითი თვისებები" მათ ძალზე ცოტა აქვთ. ისიც ირკვევა, რომ ფინტების მრავალფეროვნების მხრივ მიხეილ მესხს პირველ ადგილზე აყენებენ. ჯერ-

ჯერობით დუმან მსოფლიო ნაკრების მწვრთნელები გუტმანი, ჰერბერგერი, კევანი, და ამ დუმილს კარგად ხსნის ცნობილი ფრანგი ჟურნალისტი და სპორტული მიმომხილველი გაბრიელ ანო. იგი ამბობს: „მარცხენა ფრთა დიდებულია! ორივე ფეხბურთელის თამაშს კარგად ვიცნობ. უფრო მეტად კი მიხეილ მესხისას. საბჭოთა ფეხბურთელის სხვა თამაშებზე რომ არაფერი ვთქვა, ჩემს შთაბეჭდილებას მხოლოდ პარიზში გამართული ევროპის თასის ფინალიც ეყოფოდა.

...მიხეილ მესხი და ფრანსისკო ხენტო დიდი ფეხბურთელები არიან. მათ ჯერ კიდევ საკმაო დრო აქვთ და დაუღალავად, სრული დატვირთვით უნდა ითამაშონ. ჩემი დაკვირვებით, მარცხენა ფრთაზე მიხეილ მესხს გამოვიყვანდი. თუმცა ძირითად როლს უკანასკნელ, გადამწყვეტ ფაზაში ითამაშებს მხოლოდ ერთი გარემოება: რომელი ფეხბურთელი იქნება უკეთეს სპორტულ ფორმაში“.

მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ მესხს საუკუნის მატჩში მონაწილეობა არ მიუღია, ეს მისი დიდი საფეხბურთო ტალანტის საყოველთაო აღიარება იყო. ეს იყო დიდი სპორტსმენის სახელოვანი სპორტული გზა ქუჩის გუნდიდან სამყაროს იდეალურ ნაკრებამდე.

III

შვედეთის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ საბჭოთა ფეხბურთში ძირეული ძვრები მოხდა. აქ საქმე მარტო თამაშის ტაქტიკური სქემის, ბრძოლის ახალი მეთოდების ცვლილებებში როდი იყო. მანამდე საბჭოთა ფეხბურთში შეინიშნებოდა აშკარა მიდრეკილება ძალისმიერი ფეხბურთისაკენ. ასეთი ტენდენციები იყო ქართულ ფეხბურთშიც.

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ყველგან წინა პლანზე გამოვიდა ტექნიკური ფეხბურთი. საბჭოთა მწვრთნელები

და სპეციალისტები დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა ფეხბურთელები ტექნიკურად საკმაოდ ჩამორჩებოდნენ მსოფლიოს უძლიერეს ფეხბურთელებს. ბრაზილიელთა ფილიგრანულმა ტექნიკამ აალაპარაკა და მოხიბლა მთელი მსოფლიო.

კარგად მახსოვს, ერთ-ერთ ჟურნალში ასეთი ამბავი ნავიკითხე: სპორტის დამსახურებული ოსტატი, წარსულში ბრწყინვალე ფეხბურთელი კონსტანტინე ბესკოვი შვედეთში თვალყურს იმ ქვეჯგუფს ადევნებდა, სადაც ბრაზილია თამაშობდა. როგორც კი ნახა ბრაზილიელების თამაში, იმავე დღეს თავისი აზრი გაუზიარა საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელობას.

„თასს აუცილებლად ბრაზილიელები მოიპოვებენ", – ასეთი იყო ბესკოვის დასკვნა პირველსავე დღეს. იგი მოხიბლა ბრაზილიელთა მაღალმა ინდივიდუალურმა ტექნიკამ, მათმა სტრატეგიულმა აზროვნებამ.

მაგრამ როცა ბესკოვს საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელობა დაევალა, ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს აზრი შეიცვალა და თავის ადრინდელ შეხედულებებს უღალატა.

სხვანაირად ვერ ამიხსნია, რატომ არ შეიყვანა მეტრეველი და მესხი საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში!

1964 წლის გაზაფხულზე ევროპის თასზე თამაშის წინ სტოკჰოლმში „როსუნდას" სახელგანთქმულ სტადიონზე დავესწარი ჩვენი ფეხბურთელების წვრთნას. სწორედ ამ სტადიონზე ერთხელ კიდევ დარწმუნდა მსოფლიო, რომ დიდი ტექნიკის გარეშე არ არსებობს დიდი ფეხბურთი.

1958 წელს ნაკრების შემადგენლობაში არ იყვნენ მეტრეველი და მესხი. აქ საქმე ის კი არ არის, რომ იმ პერიოდში მესხი ავადმყოფობის გამო ცუდ ფორმაში იყო. საქმე მწვრთნელის პრინციპს ეხებოდა. წვრთნას თვალყურს ადევნებდნენ მოსკოველი სპორტული მიმომხილველები და ფეხბურთის სპეციალისტები.

მკითხველებს ალბათ აინტერესებთ ბესკოვის აზრი მიხეილ მესხზე.

მე მირჩევნია ფეხბურთელმა, თუნდაც იგი იყოს გაცილებით დაბალი კლასის მოთამაშე, ყოველი მატჩი ითამაშოს „სამიანზე“, ვიდრე ვარსკვლავმა ერთი მატჩი ითამაშოს „ხუთიანზე“, ხოლო მომდევნო „ორიანზეო“ – დაახლოებით ასეთი იყო ბესკოვის პოზიცია.

მაშინ საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელს, წარსულში სახელგანთქმულ ფეხბურთელს, ალექსეი პარამონოვს ვკითხე, თქვენ თუ ეთანხმებით ბესკოვსმეთქი.

მან გაიცინა და მითხრა: მე არც ბესკოვი ვარ და არც საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელიო.

მინდა შევეკამათო კონსტანტინ ბესკოვს. მიხეილ მესხს და სლავა მეტრეველს „ხუთიანზე“ ძალიან ბევრი მატჩი უთამაშიათ საბჭოთა კავშირის ნაკრებში, „სამიანზე“ დაბლა კი არა მგონია, როდისმე ეთამაშოთ.

ბესკოვის მწვრთნელობის პერიოდში საბჭოთა ფეხბურთმა უკან გადადგა ნაბიჯი.

არ მინდა მკითხველებმა ისე გაიგონ, თითქოს ბესკოვს მარტო იმაში ვადანაშაულებდე, რომ ნაკრების შემადგენლობიდან მესხი და მეტრეველი გამოიყვანა. არა, ეს მხოლოდ ერთი პუნქტია იმ მცდარი გზისა, რომელიც მწვრთნელმა აირჩია. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ბესკოვმა რატომღაც უგულებელყო ფეხბურთელის მაღალი ინდივიდუალური ოსტატობა და მთელი გეგმა 90-წუთიან შეუსვენებელ სირბილზე გადაიტანა.

ბესკოვის დროს ნაკრებს არ ჰქონდა თავისი სტილი, თავისი სახე. გუნდის შემადგენლობა ხშირად იცვლებოდა. თამაშის წინ თითქოს მხოლოდ ერთი ამოცანა იდგა – რადაც უნდა დაგვიჯდეს, ეს თამაში მოვიგოთო. ასე მიაღწია ნაკრებ-

მა ევროპის თასის ფინალამდე. თავისთავად ევროპაში მეორე ადგილი არ არის ცუდი შედეგი, მაგრამ ერთი კვირის განმავლობაში ყველაფერი საპნის ბუშტივით გასკდა. დაიკარგა ევროპის თასი, ხოლო ოლიმპიურმა ნაკრებმა ტოკიოს საგზურიც კი ვერ მოიპოვა.

თითქოს მაშინ გამოჩნდა ის, რაც ადრეც ნათელი უნდა ყოფილიყო, – ცალკეულ გამარჯვებებს შეეწირა გუნდის ტრადიცია, სტილი, მანერა, სახე.

საბჭოთა კავშირის ნაკრებს არ ჰქონდა ისეთი მონოლითური, ისეთი ჩამოყალიბებული ხელწერა, როგორიც ევროპის თასის პირველ გათამაშებაში იგრძნობოდა.

ამჟამად საბჭოთა კავშირის ნაკრები სიძნელეების წინაშე დგას; თითქმის ყველაფერი თავიდანაა დასაწყები. მუშაობა უკვე გაჩაღდა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქვეყნის რჩეული გუნდი ისევ იქცევა ერთ მძლავრ, მთლიან ორგანიზმად.

მიხეილ მესხმა ნაკრებიდან გამოყვანა ძალიან განიცადა. თუმცა ეს არც შეუმჩნევია და არც ფარ-ხმალი დაუყრია. ოპერაციის შემდეგ მთელი ძალით შეუდგა წვრთნას. დაუღალავმა შრომამ, მტკიცე ნებისყოფამ თავისი გაიტანა. ის კვლავ ჩადგა საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში და ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცა ტექნიკური ფეხბურთის უპირატესობა.

ტაშკენტში გამარჯვების შემდეგ მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი და გიორგი სიჭინავა გასახდელიდან „ტორპედოს“ ავტობუსში ავიდნენ და მძიმე ნერვიულ ორთაბრძოლაში დაღლილები პირდაპირ იუგოსლავიაში გაემგზავრნენ.

როცა საბჭოთა კავშირის ნაკრები იუგოსლავიის ეროვნული ნაკრების პირისპირ წარდგა, მესხი მღელვარებამ შეიპყრო. იგი ასე მაშინაც არ აღელვებულა, როცა პირველად ჩაიცვა ნაკრები გუნდის წითელი მაისური, თითქმის წელიწად-ნახევრის შესვენების შემდეგ მას ისევ მიანდვეს საბჭოთა კავ-

შირის ნაკრების მარცხენა ფრთა. ამ ორთაბრძოლაში კვლავ უნდა დაემტკიცებინა უძლიერესი ფეხბურთელის სახელი.

როგორ ითამაშა მიხეილ მესხმა? უმჯობესია მკითხველებს გავაცნოთ ცნობილი იუგოსლავიელი სპორტული მიმომხილველის, პავლე იოვანოვიჩის წერილი სათაურით „საბჭოთა ფეხბურთს ორი დიდი M", რომელიც გამოქვეყნდა ბელგრადის გაზეთ „ფუტბალში": „ჩვენი საესტრადო მუსიკისაგან განსხვავებით, რომელსაც ჰყავს ცნობილი ვოკალური კვარტეტი „ოთხი M", საბჭოთა ფეხბურთში არის სახელოვანი დუეტი – „ორი M". ლაპარაკია იმ ათ თავდამსხმელს შორის უძლიერესებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და იუოსლავიის ნაკრები გუნდების შეხვედრისას თამაშობდნენ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდის" სტადიონზე: მიხეილ მესხსა და სლავა მეტრეველზე. ... თუ კვარტეტ „ოთხ M"-ზე შეიძლება ვილაპარაკოთ, როგორც ოთხ კარგ მომღერალზე, საფეხბურთო დუეტი „ორი M" გადაუჭარბებლად უდრის ნაკრების ოთხ და ექვს მოთამაშესაც კი".

მიმომხილველი იგონებს 1960 წლის ევროპის თასის გათამაშებას და იმოწმებს ბუდაპეშტის „ნეპშპორტს", რომელმაც მაშინ მესხი და მეტრეველი ევროპის უძლიერეს გარემარბებად მიიჩნია. ამასთან, უნგრელი მიმომხილველი „ნეპშპორტში" წერდა, რომ მესხი ფენომენალური დრიბლიორია, მეტრეველს კი ისეთი ილეთები აქვს, რომ მისი შეჩერება შეუძლებელია. უნგრელი მიმომხილველის აზრით, მეტრეველი შანდორს სჯობდა.

„მესხმა მოხიბლა ბელგრადელები" – ასე ასათაურებს იოვანოვიჩი თავისი წერილის ერთ ნაწილს. მიმომხილველი ქართველ ფეხბურთელს ადარებს ომამდელი პერიოდის პოპულარულ იუგოსლავიელ გარემარბ დობრივოე ზეჩევიჩს, და ასკვნის, რომ მესხმა დაამტკიცა თავისი ძველი რეპუტაცია.

იოვანოვიჩი იმასაც აღნიშნავს, რომ მესხი ახლა სხვაგვარად თამაშობს, ვიდრე ოთხი წლის წინათ პარიზში თამაშობდა, და რომ მისმა მანერამ გარკვეული ევოლუცია განიცადა.

მიშა მესხმა თავისი დაამტკიცა. მოედანზე ისევ ძველებურად დაქრის, მუხლიც ძველებურად ერჩის, ბურთიც ძველებურად ემორჩილება. ამ რამდენიმე თვის წინ ავსტრიის მეორე ნაკრებთან თამაშის შემდეგ იგორ ნეტო „სოვეტსკი სპორტში" წერდა: „მიხეილ მესხმა გუშინდელ მატჩში დაამტკიცა, რომ ის არა მარტო უძლიერესი იყო უწინ, არამედ უძლიერესი მარცხენა გარემარბია დღესაც".

მესხი ჯერ ახალგაზრდაა, მის მუხლსა და მკლავს ჯერ ძალა არ მოჰკლებია. წინ დიდი გზაა გასავლელი, ბევრი წარმტაცი და დაძაბული ბრძოლაა მოსალოდნელი, წინაა 1966 წლის ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატი, რომელთანაც დაკავშირებულია მიხეილ მესხის პირველი ოცნება და სურვილები მსოფლიო ფეხბურთის დიდ გზაზე.

ფეხბურთის სტრატეგი

ძნელია გულშემატკივრებს რამე მოუთხრო ფეხბურთელზე, რომელიც მათ თვალწინ გაიზარდა და დავაჟკაცდა, რომლის ცხოვრების თუ საფეხბურთო კარიერის ყოველი წვრილმანი მათთვის ახლობელი და ცნობილია.

ვლადიმერ ბარქაიას ცხოვრების ეპიზოდები არ არის დატვირთული საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გამოსვლებით, ევროპის თასზე თუ მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობით. მას თავისი ნიჭი და ღონე არ მოუსინჯავს მსოფლიოს უძლიერესი საფეხბურთო ქვეყნების ნაკრებ გუნდებთან მატჩებში. მიუხედავად ამისა, თბილისელთა ცენტრალური თავდამსხმელი არის ქართველი გულშემატკივრების ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ფეხბურთელი, რომელიც მათ

ყოველთვის მიაჩნდათ და მიაჩნიათ ქვეყნის რჩეული გუნდის ღირსეულ კანდიდატად.

ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატის წინ საბჭოთა კავშირის ნაკრებ ფეხბურთელთა გუნდი წვრთნას თბილისში გადიოდა. ჩვენი დედაქალაქის საზოგადოებრიობამ რამდენიმე შეხვედრა მოუწყო საბჭოთა კავშირის რჩეულ ფეხბურთელთა გუნდს და მის ხელმძღვანელობას. იმ უამრავ შეკითხვას შორის, რომელიც სტუმრებს მისდიოდათ, დიდი ნაწილი ვლადიმერ ბარქაიას ეხებოდა. „რატომ არ შეიყვანეთ ბარქაია ნაკრების შემადგენლობაში?“ – აი, რა აწუხებდა ქართველ გულშემატკივარს.

თავისთავად მარტო ესეც კი ბარქაიას საფეხბურთო ტალანტის დიდი და თავისებური შეფასება იყო.

ვლადიმერ ბარქაიამ საფეხბურთო ანბანი გაგრაში ისწავლა. ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა შეიყვარა ფეხბურთი. პატარა ბიჭი შავი ზღვის სანაპიროზე სეზონის წინ სავარჯიშოდ ჩასული საბჭოთა კავშირის რჩეული გუნდების თითქმის ყოველ წვრთნას ესწრებოდა და სწორედ იქ შეიცნო ფეხბურთის რთული ხელოვნების საიდუმლო.

ბარქაიამ თბილისში პირველი გამოსვლისთანავე მიიქცია მაყურებელთა ყურადღება. მართალია, მისი ინდივიდუალური ტექნიკა დახვეწას მოითხოვდა, მაგრამ ტაქტიკურად, პოზიციურ ბრძოლაში, იგი თითქმის თავიდანვე სრულფასოვან ფეხბურთელად გამოიყურებოდა. გაოცებას იწვევდა სრულიად გამოუცდელი ბიჭის იშვიათი ალღო და ურთულესი სიტუაციების შეფასების უნარი.

მიუხედავად ამისა, მან რთული და ძნელი გზა გაიარა, ვიდრე ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრებდა ადგილს.

როდესაც ვლადიმერ ბარქაიას თამაშს ვუყურებთ, არ შეიძლება არ მოგვხიბლოს მისმა დახვეწილმა მოძრაობამ, საფეხბურთო ილეთების ზუსტმა, კლასიკურმა შესრულე-

ბამ. ბარქაია შესანიშნავად ფლობს ბურთს. მას შესწევს უნარი, ბურთი ურთულეს მდგომარეობაშიც კი მიიღოს და დაამუშაოს. ბარქაია ძნელი ტექნიკური ოპერაციის ჩატარებას მოედნის სრულიად პატარა მონაკვეთზეც შესანიშნავად ახერხებს. ამაში მას ხელს უწყობს მაღალი ტექნიკა და ბურთის გრძნობა. ბარქაიას აქვს შესანიშნავი დრიბლინგი. მინდა მკითხველებს შევახსენო მისი ბრწყინვალე შეჭრა „შეფილდ უენსდეის“ საჯარიმო მოედანზე, როცა რეტდასხმული ინგლისელი უძლიერესი მცველები იძულებულნი გახდნენ თერთმეტმეტრიანი საჯარიმოს ფასად შეეჩერებინათ სახიფათო იერიში.

ვლადიმერ ბარქაიას ყოველი მოძრაობა არა მარტო დახვეწილი და ოსტატურია, არამედ არტისტულიცაა და ლამაზიც.

მისი დარტყმები არ გამოირჩევა განსაკუთრებული სიძლიერით, სამაგიეროდ მას აქვს ძალზე ტექნიკური და მოულოდნელი დარტყმებიც. შეიძლება იმიტომაცაა, რომ თბილისელთა ცენტრალური თავდამსხმელის მიერ გატანილი ბურთები ყოველთვის დიდი სილამაზით გამოირჩევა. თუმცა ამაში მარტო დარტყმის სილამაზე როდი თამაშობს გადამწყვეტ როლს, აქ მისი, როგორც ცენტრალური თავდამსხმელის თამაშის მანერაც ალამაზებს ყოველ გატანილ ბურთს.

ძველი, „დუბლი-ვეს“ კლასიკური სისტემის დროს ვლადიმერ ბარქაია ტიპური მარჯვენა შუამარბი იყო. ძირითადად, იგი გამთამაშებლის როლს ასრულებდა, როგორც შესანიშნავი პოზიციური ფეხბურთელი.

ბრაზილიური სისტემის (4-2-4) შემოღებისას ბარქაიას ცენტრალური თავდამსხმელის როლი დაეკისრა. ამ ახალი განლაგებით თამაშისას ძალზე გაიზარდა მისი შედეგიანობა. თუმცა ის მაინც პოზიციურ ბრძოლას განაგრძობს.

ვლადიმერ ბარქაია, როგორც უკვე ვთქვით, არ არის ტარანის ტიპის თავდამსხმელი. მაგალითად, როგორც კევანი,

კრასნიცკი ან კაზაკოვი. მას არც შეუძლია იყოს ასეთი ტიპის ფეხბურთელი თუნდაც იმიტომ, რომ არა აქვს შეჭრის მაღალი სისწრაფე და დიდი ფიზიკური ძალა. ეს კი აუცილებლად სჭირდება ტარანის ტიპის თავდამსხმელს.

მოწინააღმდეგის კარისაკენ ბარქაია რთული ტექნიკური ბრძოლით და მახვილგონიერი ტაქტიკური მანევრით მიიწევს. სწორედ ამიტომაა ლამაზი და ამაღელვებელი თბილისელთა ცენტრალური თავდამსხმელის მიერ გატანილი გოლების უმრავლესობა.

როდესაც ვლაპარაკობთ ბარქაიას საფეხბურთო ტალანტზე, პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ მისი დიდი კომბინაციური ნიჭი. ფეხბურთის სპეციალისტები და სპორტული მიმომხილველები ტყუილად როდი უწოდებენ მას „ბრწყინვალე სტრატეგს"! ბარქაიას აქვს პოზიციური ბრძოლის შესანიშნავი ალღო და უნარი; ბრწყინვალედ ხედავს მოედანს, ძალზე სწრაფად აფასებს შექმნილ მდგომარეობას, მისი გადაცემები ყოველთვის ზუსტი და დროულია, ხოლო ბრძოლის გაგრძელების მის მიერ ამორჩეული ვარიანტი ყოველთვის საუკეთესოა. ბარქაიას აქვს პარტნიორისა და დისტანციის გასაოცარი გრძნობა.

გავრიილ კაჩალინმა ოფიციალურად განაცხადა: ბარქაია არის ერთადერთი ფეხბურთელი, რომელსაც დავალებას არ ვაძლევ, რადგან მას ყოველთვის შესწევს უნარი, ბრძოლას ალღო აუღოს და ურთულეს სიტუაციებშიც გაერკვესო.

მინდა გავიხსენო ტაშკენტის „ოქროს მატჩი". თბილისის „დინამოს" უფროსმა მწვრთნელმა გავრიილ კაჩალინმა მაშინ ძალზე მაღალი შეფასება მისცა ბარქაიას თამაშს. თბილისელთა ცენტრალური თავდამსხმელი იმ დღეს როდი გამოირჩეოდა ინდივიდუალური თამაშით, ცალკეული გარღვევებით თუ ოსტატური გასვლებით. პირიქით, ბურთის გატანის ერთი ძალზე ხელსაყრელი მომენტი ვერც კი გამოიყენა, როცა სლა-

ვა მეტრეველის მიერ ჩაწოდებულ ბურთს ზედ კარის ხაზთან ფეხის დახვედრებაღა უნდოდა.

საქმე შემდეგში იყო: „ტორპედომ“ პირველივე წუთებიდან შემოგვიტია. თითქმის ყველა ფეხბურთელი თავის მოწინააღმდეგესთან ინდივიდუალურ ბრძოლაში გაერთო. ყველა ცდილობდა, თავისი პირადი მეურვე დაეჩაგრა, პირველივე წუთებში მოეგო მისთვის ფსიქოლოგიური ორთაბრძოლა.

სწორედ ამ მომენტში თამაშს ჰქონდა ყველაზე ქაოსური სახე. თითქოს არ არსებობდა ბრძოლის წარმართვის არავითარი გეგმა. ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც ასეთ რთულ სიტუაციაში პოზიციურ ბრძოლას აწარმოებდა და გუნდის თამაშს გარკვეულ მიზანდასახულობასა და მიმართულებას აძლევდა, ვლადიმერ ბარქაია იყო.

ერთხელ ბულგარეთის რომელიღაც სპორტულმა ჟურნალმა შეადგინა მსოფლიოს ცენტრალური თავდამსხმელების კლასიფიკაცია. ყველაზე ინტუიციანი ფეხბურთელის გრაფაში პირველ ნომრად ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი ვავა ეწერა. ჩემი აზრით, ვლადიმერ ბარქაია, როგორც ცენტრალური თავდამსხმელი, ამ განყოფილებაშია შესატანი. ვავასაგან ის მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ბრაზილიელი ფეხბურთელი ძირითადად სხვის პოზიციურ ბრძოლას უღებს საოცარ ალღოს, წინასწარ ხვდება მეგობრების ჩანაფიქრს. ვლადიმერ ბარქაია კი თავისი ინტუიციით თვითონ აწარმოებს სწორ პოზიციურ ბრძოლას.

სამაგიეროდ, ბარქაიას ერთი საერთო თვისება აქვს ვავასთან. იგი ძალზე ვაჟკაცური და გაბედული ფეხბურთელია. როგორც პელე იგონებს, ვავას აქვს ერთი ჩვეულება. როგორც კი თამაშის დაწყების მაუწყებელი სასტვენის ხმა გაისმის, ბრაზილიელთა ცენტრალური თავდამსხმელი ომახიანად შესძახებს: – „აბა, გაბედულად!“ – და თვითონ პირველი იწყებს მოწინააღმდეგის კარის შტურმს.

სწორედ ეს სიტყვები გამახსენდა, როცა ტაშკენტში ანგარიშის გაქვითვის შემდეგ ბარქაიამ ბურთი ცენტრში თვითონ მიიტანა და დაღონებულ ტორპედოელებს ხელით ანიშნა, ბრძოლა ახლა იწყებაო! შემდეგ კი თამაშის განახლებისთანავე ეკვეთა მოწინააღმდეგის კარს.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბარქაიას სპორტული ბიოგრაფია სულ რამდენიმე მატჩისგან შედგებოდა, ქართველ ფეხბურთელს არასოდეს ჰქონია ვარსკვლავების შიში. ერთხელ ძალზე საპასუხისმგებლო თამაშის წინ ბარქაიას კიევში ვკითხე, ხომ არ გეშინია-მეთქი.

მან გაიცინა და მითხრა, შიშის გრძნობა ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ დავკარგეო.

ბარქაიასთვის არ არსებობენ ავტორიტეტები – რაც უფრო ძლიერი მოწინააღმდეგე ჰყავს, მით უკეთესად თამაშობს. ერთხელ ამის მიზეზი ვკითხე, მან კი აი, რა მიპასუხა: „ეს ბუნებრივია: რაც უფრო ძლიერია ფეხბურთელი, მით უფრო პატიოსანი საშუალებებით გებრძვის. მეც არ მეშინია, რომ ღირსეული მოწინააღმდეგე ფეხს მომტეხავს, ან ნეკნებს ჩამიმტვრევს“.

ყველაზე უკეთ ბარქაიას რატომღაც მოსკოვში გამოსდის თამაში. ამიტომაც თანაგუნდელებმა მას „სტალიჩნი“ შეარქვეს. მოსკოველი გულშემატკივრების მეხსიერებიდან ალბათ არასოდეს წაიშლება 1959 წელს გამართული მატჩი მოსკოვის „სპარტაკსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის. ქართველი ფეხბურთელები თამაშს აგებდნენ ანგარიშით 1:3, მაგრამ არ დაბნეულან. მოწინააღმდეგის კარს გამუდმებით უტევდნენ, სპარტაკელებს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ. ამ იერიშების ორგანიზატორი იყო ვლადიმერ ბარქაია, რომელმაც სპარტაკელთა კარში 3 ბურთი გაიტანა. თამაში თბილისელებმა მოიგეს. 5:4 – ასეთი იყო ამ დაძაბული და დაუვიწყარი ორთაბრძოლის ანგარიში!

ვისაც ვლადიმერ ბარქაიას თამაში არ უნახავს 1960 წელს საბჭოთა კავშირის თასის ფინალში მოსკოვის „ტორპედოს" წინააღმდეგ, შემიძლია თამამად ვუთხრა, რომ ამ შესანიშნავ ფეხბურთელზე სრული წარმოდგენა არა აქვს. აქ აღარ შევუდგები ფინალური მატჩის იმ ეპიზოდების აღწერას, რომლებზეც წიგნის პირველ ნაწილში ვილაპარაკე.

თავისთავად ისმის კითხვა: თუ ვლადიმერ ბარქაია ასეთი ნიჭიერი და ფართო დიაპაზონის ფეხბურთელია, მაშინ ამდენი ხნის განმავლობაში რატომ არ მოხვდა საბჭოთა კავშირის რჩეულ ფეხბურთელთა შორის?

ეს კითხვა არაერთხელ დაუსვამთ ქართველ თუ სხვა საბჭოთა გულშემატკივრებს.

არსებობს ერთი მიზეზი – ბარქაიას ფიზიკური სისუსტე. სამწუხაროდ, ეს ნიჭიერი ფეხბურთელი ფიზიკურად სუსტი იყო. არ შეეძლო ორი ტაიმის განმავლობაში მთელი ძალით ბრძოლა. სეზონსაც მეტად არათანაბრად ატარებდა. გადაღლის შემთხვევაში ბარქაია კარგავს თავის საუკეთესო თვისებებს.

საბჭოთა კავშირის ნაკრების ხელმძღვანელობამაც მაშინ სწორედ ასეთი აზრი გამოთქვა. ნაკრების მატჩებში ფეხბურთელი თითქმის ერთნახევარჯერ მეტად იტვირთება, ვიდრე რიგით საჩემპიონატო შეხვედრებში და ბარქაია ამ დატვირთვას ვერ გაუძლებსო. ყოველ შემთხვევაში, თუ ერთ მატჩს გაუძლო, სატურნირო ბრძოლაში მონაწილეობის მიღება გაუჭირდებაო.

მე კარგად მახსოვს ის სეზონი, როცა ჩვენმა სახელგანთქმულმა ავთანდილ ღოღობერიძემ საბოლოოდ დატოვა მწვანე მოედანი. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე რამდენიმე ხნით ადრე ვესაუბრე გუნდის ღვაწლმოსილ კაპიტანს და თბილისელთა მაშინდელ მწვრთნელს ანდრო ჟორდანიას.

– თქვენ შემდეგ ვინ იქნება მოედანზე ბრძოლის ხელმძღვანელი? – ვკითხე ღოღობერიძეს.

– რასაკვირველია, შოთა იამანიძე, – მიპასუხა ორივემ.

– ბარქაია ვერ შეძლებს თავდასხმის ხელმძღვანელობას?

– ბარქაია კარგი სტრატეგია, მაგრამ მას შეუძლია უხელმძღვანელოს თავდასხმის გარკვეულ უბანს, უკეთეს შემთხვევაში მთელ თავდასხმას. მთლიანად ბრძოლას კი ვერ წარმართავს, რადგან ფიზიკური შესაძლებლობა საშუალებას არ აძლევს, იმოქმედოს ფართო დიაპაზონით, ითამაშოს 90-წუთიანი დატვირთვით.

აი, ეს მიზეზი წლების განმავლობაში არ აძლევდა საშუალებას ვლადიმერ ბარქაიას, საერთაშორისო სარბიელზე გასულიყო.

თავად ბარქაიასგანაც ხშირად მსმენია, ძალზე მომქანცველია თამაშის ბრაზილიური სისტემაო. მას აშკარად უჭირდა 90-წუთიანი ამოუსუნთქავი ბრძოლა.

სასიხარულოა, რომ უკანასკნელ ხანს, განსაკუთრებით კი 1964 წლის ჩემპიონატში, ბარქაიამ საგრძნობლად გაიკაჟა ორგანიზმი. აშკარა გახდა მისი ხანგრძლივი ბრძოლისუნარიანობა და თბილისელთა ცენტრალური თავდამსხმელი, როგორც იქნა, შეიყვანეს საბჭოთა კავშირის რჩეულთა გუნდში.

ბარქაიას საუკეთესო თამაშები კლასით, სტილით, ინდივიდუალური ტექნიკით, სტრატეგიული მოქმედებით, არ ჩამოუვარდება საბჭოთა ფეხბურთის საუკეთესო წარმომადგენლებისას.

არის შემთხვევები, როცა ფეხბურთელი მატჩის გმირი ხდება, შეაქვს გარდატეხა ბრძოლაში და, ფაქტობრივად, იგებს კიდეც თამაშს. მაგრამ სულ სხვაა, როცა მისი თამაში, მისი მოძრაობა, მისი მანევრირება და აზროვნება თანამედროვე მსოფლიო ფეხბურთის დონეს უტოლდება.

ვლადიმერ ბარქაია მეტად საინტერესო პიროვნებაა – ენამოსწრებული და გონებამახვილი.

„მე და გარინჩა მარტო გოგონების გაჩენაში ვგავართ ერთმანეთს", – იხუმრა ერთხელ (ბარქაია ორი ქალიშვილის

მამაა). სულითა და გულით უნდოდა, ბიჭი შესძენოდა, მაგრამ გული არ გასტეხია, ეს საკითხი თავისი საფეხბურთო კარიერის დამთავრებისათვის გადადო.

კაცი ჩემპიონობას მოვესწარი და ბიჭს როგორ ვერ მოვესწრებიო – ამბობს ხოლმე იმედიანად.

ვფიქრობ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება თბილისის „დინამოს" მე-9 ნომრის აზრი თავის კოლეგებზე. აი, მისი ზოგიერთი გამონათქვამი ქართველ ფეხბურთელებზე.

„სერგო კოტრიკაძე საერთაშორისო კლასის მეკარეა. მოიპოვო სეზონის საუკეთესო მეკარის სახელი იმ ქვეყანაში, სადაც ლევ იაშინი თამაშობს, უკვე თავისთავად ბევრზე მეტყველებს. მას ახასიათებს ვაჟკაცური და ლამაზი თამაში. აქვს ყველაზე უკეთესი რეაქცია იმ მეკარეებს შორის, რომლებიც მინახავს. მახსოვს, „შეფილდ უენსდეის" რომელიღაც თავდამსხმელმა ხუთი მეტრიდან ბურთი ტყვიასავით გაგზავნა ჩვენს კარში. სერგომ ბურთი ფანტასტიკური ნახტომით აიღო. გაოცებულმა და აღტაცებულმა ინგლისელმა თავზე წაივლო ხელები.

სერგოს აქვს შემთხვევებიც, როცა ჩვენც შემოგვირტყამს თავში ხელი...

გივი ჩოხელი: ჟურნალ „ფიზკულტურა ი სპორტის" ყდაზე ვნახე გივი ჩოხელისა და მიხეილ მესხის სურათი, რომელსაც ასეთი წარწერა ამშვენებდა: „საბჭოთა კავშირის ნაკრების ფარი და მახვილი".

ამას ვერაფერს დავუმატებ. თუმცა, მესხის თამაშს რომ ვუყურებ, სულ მგონია, რომ თბილისელთა მარცხენა გარემარბი ტორეადორია, მცველი კი – ხარი...

შოთა იამანიძე: ჰგავს გულს. ყველა ძარღვს სისხლი მასთან მიაქვს და ყველა ძარღვში სისხლი მისგან მიდის.

გიორგი სიჭინავა: გიორგის დახასიათება ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ შეიძლება.

სლავა მეტრეველი: სლავა მოედანზე ისე დაფრინავს, თითქოს მასზე არ მოქმედებდეს დედამიწის მიზიდულობის კანონი. აქვს მტკიცე ნერვები. რასაც მას ფეხებში ურტყამენ, მე იმის მეათედსაც ვერ მოვითმენდი".

წერილის დასასრულს თვითონ მინდა დავახასიათო ვლადიმერ ბარქაია უცხოელი სპეციალისტების სიტყვებით.

ინგლისი, ფეხბურთის სამშობლო, მსოფლიო კლასის ფეხბურთელებით განებივრებული ქვეყანაა. იქ ძალიან უყვართ ფეხბურთელებისათვის მეტსახელების შერქმევა. სტენლი მეტიუზი „ფინტების მეფედ" მონათლეს; ჯონ ჩარლზს „მწვანე მინდვრის ჯენტლმენს" ეძახიან, ვლადიმერ ბარქაიას კი ინგლისელმა სპორტულმა მიმომხილველმა „ელეგანტური ფეხბურთელი" შეარქვა.

ამ ერთი სიტყვით თითქმის მთლიანადაა დახასიათებული თბილისის „დინამოს" ცენტრალური თავდამსხმელის ვლადიმერ ბარქაიას სპორტული ტალანტი.

1964

„დინამო“,
„დინამო“,
„დინამო“!

1981 წლის 13 მაისი.

დიუსელდორფი, „რაინშტადიონი“.

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალისათვის უჩვეულო სიტუაცია – თითქმის ცარიელი ტრიბუნები.

იქნებ ფინალური მატჩის მონაწილეთა დაბალმა კლასმა განაპირობა მხოლოდ 9 ათასი მაყურებელი?

არავითარ შემთხვევაში!

მატჩისადმი ინტერესი უჩვეულოდ დიდი იყო. ტელევიზიით მისი პირდაპირი გადაცემის უფლება იყიდა მსოფლიოს 22-მა ქვეყანამ. ხოლო მეორე დღით გადაცემის უფლება – 33-მა ქვეყანამ. მათ შორის ისეთმა სახელმწიფოებმა, როგორებიც არიან: აზორის კუნძულები, დუბაი, სპილოს ძვლის ნაპირი...

მაშ რა მოხდა? რატომ არ მოვიდა დასავლეთგერმანელი მაყურებელი სტადიონზე?

მიზეზი აშკარა იყო – მატჩს არ გაუწიეს არავითარი რეკლამა. მას შემდეგ, რაც დიუსელდორფის „ფორტუნა“ ტურნირს გამოეთიშა, გერმანელებს საერთოდ მიავიწყდათ, რომ ფინალი დიუსელდორფში უნდა შემდგარიყო.

არც არავის მოსვლია აზრად, ხალხისათვის ფინალური მატჩი შეეხსენებინა სრულიად იოლად ასახსნელი მიზეზის გამო – მათ არც საბჭოთა კავშირი ეხატებათ გულზე და არც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

დიუსელდორფში პარალელურად საერთაშორისო ბაზრობა-გამოფენა გაიხსნა. სასტუმროშიც და დიუსელდორფის ქუჩებშიც თითქმის ყველას ამ ბაზრობაზე ჩამოსული კომერსანტები ვეგონეთ.

აჰა, დადგა ის სანეტარო წუთიც, როცა იტალიელი მსაჯის რიკარდო ლატანცის სასტვენის ხმაზე თბილისის „დინამო“ და იენის „კარლ ცაისი“ მოედანზე გამოჩნდნენ.

მოწინააღმდეგენი პირისპირ გამწკრივდნენ და ერთმანეთი დაკვირვებით შეათვალიერეს.

„კარლ ცაისმა“ ფინალამდე დაამარცხა ოთხი გუნდი. მათ შორის სამი ისეთი, თბილისის „დინამოს“ რომ ჩამოჰგავენ თამაშის მანერითა და ფეხბურთისადმი დამოკიდებულებით: „რომა“, „ვალენსია“ და „ბენფიკა“.

თბილისის „დინამომაც“, შესაბამისად, ფინალამდე დაამარცხა ოთხი გუნდი. მათ შორის სამი ისეთი, „კარლ ცაისს“ რომ ჩამოჰგავენ თამაშის მანერითაც და ხასიათითაც: „უოტერფორდი“, „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ და „ფეიენოორდი“.

მკითხველი უკვე მიხვდება, რომ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მოპოვების გარდა ამ ორთაბრძოლას სხვა პრინციპული მნიშვნელობაც ჰქონდა.

გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა...

გზა ფინალამდე

თბილისის „დინამოს“ მრავალჯერ მიუღია მონაწილეობა ევროპულ ტურნირებში, მაგრამ საკმაოდ უშედეგოდ.

ექვსჯერ მოგვეცარა ხელი ამ მეტად პოპულარულ და საინტერესო ტურნირებში. თუმცა ცალკეულ მატჩებში მილანის „ინტერნაციონალესთან“ (1977) და ინგლისის „ლივერპულთან“ (1979 წელს) სამუდამოდ დასამახსოვრებელი გამარჯვებები მოვიპოვეთ.

ჩვენი ფსიქოლოგია თითქოს შეეგუა კიდეც, რომ ამ ტურნირებში გამარჯვება არ გვეწერა.

ალბათ ამიტომაც იყო, რომ თასების მფლობელთა თასის 1980-1981 წლის ტურნირში თბილისის „დინამოს“ იოლ გამარჯვებას საბერძნეთის „კასტორიასთან“ (0:0, 2:0) და კიდევ უფრო იოლ გამარჯვებას ირლანდიის „უოტერფორდთან“ (1:0, 4:0) მაინცდამაინც არ აღუუსივართ იმედებით. მთავარი მატჩები წინ იყო. და როცა წილისყრამ ჩვენი შემდგომი მოწინააღმდეგე, ინგლისის „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ გამოავლინა, გულშემატკივართა უმავლესობამ უიმედოდ ჩაიქნია ხელი.

და აი, როცა „დინამომ“ ლონდონში, „აპტონ პარკზეც“ სენსაციური ანგარიშით (4:1) დაამარცხა ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი, მაშინ კი ახალი ძალით იფეთქა იმედმა, რომ თბილისის „დინამო“ ბოლოს და ბოლოს მოიპოვებდა სანუკვარ თასს.

მთავარი მარტო ანგარიში როდი იყო, თბილისელებმა გულშემატკივრები მოხიბლეს მძლავრი და მაღალტექნიკური თამაშით, ბრძოლის წარმართვის დიდი კულტურით.

აი, რას წერდნენ მრავლისმნახველი ინგლისელი სპორტული ჟურნალისტები:

„ტაიმსი“, 5 მარტი.

თბილისელები, რომლებიც „უოტერფორდთან“ და „ლივერპულთან“ გამარჯვებების შემდეგ მხოლოდ გრძელი გვარებით ვიცოდით, მოჩვენებათა ფიგურებად წარმოგვესახნენ.

„ვესტ ჰემი“ თითქოს გააოცაო უბრწყინვალეს კინოვარსკვლავებთან შეხვედრამ, მაგრამ მათ შორის მართლაც იყო ერთი ტანადი, ულვაშებიანი და თმაშეთხელებული ვაჟკაცი, რომელიც ჭეშმარიტად იმსახურებდა ასეთ რეპუტაციას. ეს გახლდათ ყიფიანი, რომელიც თავისი მოხდენილი გრძელი ფეხებით „აპტონ პარკზე“ ისე დააბიჯებდა, როგორც სკოლის დირექტორი საკუთარ სამფლობელოში, თავის თეთრ-ლურჯ ფორმაში გამოწყობილ პარტნიორებთან ერთად...

„ვესტ ჰემმა“ ყურად არ იღო გაფრთხილება, რომ ჩივაძეს ძალზე ძლიერი და ზუსტი დარტყმა აქვს, თორემ აბა, ნებას ვინ მისცემდა გადაესერა მთელი მინდორი და 25 იარდის მანძილიდან ყუმბარასავით გაეგზავნა ბურთი პარქსის კარში.

„ტაიმსი“, 6 მარტი.

„ვესტ ჰემს“ ახლა აქვს თბილისელებთან განვლილი მატჩის ვიდეოჩანაწერი. გუნდის მენეჯერმა ჯონ ლაიოლმა ამ ფილმს ასე უწოდა: „აი, როგორ უნდა ფეხბურთის თამაში“. „ვესტ ჰემისათვის“, ალბათ, ამ ფილმის ყურება ძნელი და მტკივნეული იქნება, განსაკუთრებით თავისი დაცვის ხაზისა. უთუოდ ღირს ყიფიანის, აგრეთვე სსრ კავშირის 1980 წლის საუკეთესო ფეხბურთელის, ჩივაძის თამაშის კიდევ ერთხელ ნახვა.

„დეილი ექსპრესი“, 5 მარტი.

სათაური: დადენთილნი!
ქვესათაური: „ჩაქუჩები“ დაამუხრუჭეს

„სანი“, 5 მარტი.

სათაური: სუპერმენები ლაიოლს სუნთქვაშეკრულს ტოვებენ

ანშლაგი:

ლაიოლი: კონტინენტზე ბევრი გუნდი მინახავს, მაგრამ „დინამოზე“ უკეთესი – არა!

ლაიოლი: კონტინენტზე მე ბევრი კარგი გუნდი მინახავს, მაგრამ ისინი თბილისელებს არ სჯობიან. ეს მხოლოდ და მხოლოდ ტრაგედიაა, რომ თბილისელებივით მოთამაშე ფეხბურთელებს ბევრს ვერ ვნახავთ. მათ აქვთ ყველაფერი, რაც აღგაფრთოვანებთ, გონიერება, ტექნიკა... ამ დღეს ჩვენ რაღაც ვისწავლეთ, და ეს უნდა გამოვიყენოთ.

„დეილი ექსპრესი“, 5 მარტი.

სათაური: ელექტრული „დინამო“.

ქვესათაური: საბჭოელების ძლიერი თამაშით შოკირებული „ვესტ ჰემი“.

სპორტული „აპტონ პარკი“ ფეხზე წამოშლილი ემოციურად მიესალმა თბილისელ ოსტატებს, რომლებმაც „ვესტ ჰემს“ ფეხბურთის გაკვეთილი ჩაუტარეს.

„დინამო“ ცეკვავდა ვალსს, ქსოვდა სასწაულებრივ მოძრაობებს. დინამოელებმა დაამსხვრიეს „ვესტ ჰემის“ ოცნება.

„ვესტ ჰემის“ მენეჯერმა თქვა:

თუ შეჯიბრებას გამოვეთიშებით, მოხარული მაინც ვიქნები, რომ დავმარცხდით ისეთი მაღალი კლასის გუნდთან, როგორიც თბილისის „დინამოა“. ეს დიდებული გუნდია, შეწონასწორებული, დიდი გამოცდილების მქონე.

„დეილი მეილი“, 5 მარტი.

ამ დამარცხებაში „ვესტ ჰემს“ ვერ დაადანაშაულებ. თბილისელებს, რომლებმაც შარშან „ლივერპული“ დაამარცხეს, ჰყავთ ისეთი უმაღლესი კლასის ფეხბურთელი, როგორიც ალექსანდრე ჩივაძეა. ის ბურთს ისე ფლობს და ათამაშებს, როგორც ბეკენბაუერის კლასს შეეფერება; ანდა ტანმაღალი ნახევარმცველი დავით ყიფიანი, რომლის გამოცდილებამ დაჩრდილა ტრევორ ბრუკინგი.

საბრალო ფილი პარქსი... მას ისღა დარჩენოდა, რომ ბურთი გამოეტანა ხოლმე კარიდან...

ინგლისელთა საპასუხო მატჩი თბილისში კიდევ ერთი დადასტურება იყო გამარჯვების იმედისა. მართალია, წავაგეთ 0:1, მაგრამ პოზიციური და ტექნიკური უპირატესობა აშკარად თბილისელთა მხარეს იყო. თუ მატჩის პერიპეტიების

მიხედვით ვიმსჯელებთ, „დინამოს“ ოთხი გოლი მაინც უნდა გაეტანა „ვესტ ჰემის“ კარში. ბედი აშკარად ინგლისელებს სწყალობდა. და ის ერთადერთი გოლი, რომელსაც მხოლოდ პრესტიჟის მნიშვნელობაღა ჰქონდა, უკანასკნელ წუთებში გავიდა თბილისელთა კარში მცველების უყურადღებობის გამო. ამ უყურადღებობასაც ჰქონდა თავისი ახსნა, ნახევარფინალის საგზური უკვე მოპოვებული გვქონდა.

ვინ იქნება შემდეგი მოწინააღმდეგე: „ფეიენოორდი“, „ბენფიკა“ თუ „კარლ ცაისი“?

კენჭისყრამ მორიგ მოწინააღმდეგედ ჰოლანდიის „ფეიენოორდი“ გვარგუნა.

როტერდამისაკენ

ქართველი გულშემატკივრები სულმოუთქმელად ელოდნენ როტერდამის „ფეიენოორდის“ ჩამოსვლას. ამ მატჩს უნდა დაემტკიცებინა, „ვესტ ჰემთან“ გამარჯვება ეპიზოდი იყო თუ თბილისის „დინამოს“ შესაძლებლობების ეკვივალენტური გამოხატულება.

„ფეიენოორდმა“, რომელსაც არ აკლია ევროპული ჩემპიონატების რეგალიები, თბილისში აშკარად დათმო პოზიციები დინამოელებთან. ქართველ ფეხბურთელებს ყველაფერი გამოუვიდათ: ძალისმიერი ორთაბრძოლაც და ტექნიკური უპირატესობის დადასტურებაც, ტაქტიკური მანევრირების უნარიც და სტრატეგიული მიზანდასახულობაც.

ულამაზესი ბურთები გაიტანეს სულაქველიძემ (2) და გუცაევმა. ტიტულიან მოწინააღმდეგესთან ასეთი დიდი ანგარიშით მოგებას თითქმის არავინ ვარაუდობდა. ბოლო თხუთმეტ წუთში გამოაჩინეს „ბრჭყალები“ „ფეიენოორდის“ მოთამაშეებმა, მაგრამ ბურთი მაინც ვერ გაიტანეს.

თბილისში მატჩს ჰოლანდიელი სპორტული ჟურნალისტები ესწრებოდნენ. აი, რა დაწერა ერთმა მათგანმა, კერძოდ, ვან კოილენბერგმა თავის სამშობლოში: „ფეიენოორდს" სამად სამი ფეხბურთელი ჰყავს (ვაინსტეკერსი, პეტერსი და ფერმოილენი), რომელთა შედარება კლასის მიხედვით შეიძლება თბილისის დინამოელებთან.

3:0 – ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავდა, მაგრამ არა „ფეიენოორდთან". დამშვიდების უფლება არავის ჰქონდა, არც მწვრთნელებს და არც ფეხბურთელებს.

ვინ იცის, ასე მკაფიოდ კიდევ როდის მოიხაზებოდა ფინალში გასვლის კონტურები.

ჰოლანდიაში საპასუხო მატჩზე დასასწრებად გამგზავრება თბილისის დინამოელებთან ერთად მომიწია.

როგორც კი შერემეტიევოს აეროპორტიდან კურსი ამსტერდამისაკენ ავიღეთ, იმავე წუთში ხელში უბის წიგნაკი და კალამი მოვიმარჯვე და დავით ყიფიანს მივუჯექი. თვითმფრინავის გუგუნს ხელი არ შეუშლია. საუბარი გულწრფელი გამოგვივიდა. დრო საკმაოდ ბევრი გვქონდა – სამი საათი. დათო კარგ გუნებაზე იყო. ეს ჩემთვის, როგორც თბილისის „დინამოს" გულშემატკივრისათვის, ძალიან ბევრს ნიშნავდა. თუმცა, გულახდილად რომ ვთქვათ, წინასწარვე მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული, რომ ფინალამდე მხოლოდ 90 წუთი გვრჩებოდა.

გთავაზობთ ამ დიალოგს:

– დავით, ჩემი უფროსი შვილი იენის უნივერსიტეტში სწავლობს. იმ იენისა, რომლის „კარლ ცაისს" ახლა ფინალში გასვლის გაცილებით მეტი შანსი აქვს, ვიდრე სახელგანთქმულ „ბენფიკას". ჰოლანდიაში წამოსვლის წინ შვილს ტელეფონით ველაპარაკე. მან მითხრა, რომ თქვენი თამაში „ფეიენოორდთან" სამჯერ გადაუციათ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ერთხელ პირდაპირი ტრანსლაცია

ყოფილა, მეორედ – სპორტულ გადაცემაში უჩვენებიათ მთლიანი ვიდეოჩანაწერი, მესამედ კი მატჩი გადმოუციათ არგენტინელთა მწვრთნელის, მენოტის კომენტარით. ვთხოვე, ზუსტად ეკარნახა მენოტის სიტყვები. აი, ეს სიტყვებიც: „ახლა „კარლ ცაისს" გაცილებით მეტი შანსი აქვს გავიდეს ფინალში, ვიდრე „ბენფიკას", რადგან 0:2-ით წაგებული მატჩი ბევრს ნიშნავს. ხოლო ფინალს მოიგებს ევროპის უძლიერესი გუნდი თბილისის „დინამო".

როგორც ხედავთ, მენოტის არამცთუ თქვენი ფინალში გასვლა არ ეეჭვება, თბილისელთა საბოლოო გამარჯვებაშიც დარწმუნებულია.

– მენოტი იშვიათად ცდება. ღმერთმა ქნას, არც ახლა შემცდარიყოს!

– გერმანულმა სპორტულმა გაზეთმა „დი ნოიე ფუსბალ-ვოხემ" გამოაქვეყნა წერილი სათაურით „ქართული ღვინოსავით დადუღებული". ძალზე საინტერესოა სტატიის ქვესათაურიც: „ფეიენოორდთან" 3:0 გამარჯვებამ „ლივერპულთან" 3:0 მოგებული მატჩი დაგვავიწყა".

სტატიაში მოკლედ არის მიმოხილული ევროპულ ტურნირებზე თბილისის „დინამოს" თამაშის ისტორია, აღნიშნავენ თბილისელთა დღევანდელ წარმატებას და დაასკვნიან: „ფეიენოორდთან" თბილისელთა თამაში ისევე იყო დადუღებული, როგორც მშვენიერი ქართული ღვინო". სტატია მთავრდება ჰოლანდიელთა მწრთნელის, ვაცლავ იეჟეკის სიტყვებით, სადაც ის ძალზე მაღალ შეფასებას აძლევს თქვენს თამაშს. კერძოდ, ამბობს: „3:0-ის შემდეგ თითქმის ვერ ვხედავ ფინალში გასვლის შანსს. დღეს ჩვენ არ გვყავს ისეთი რეჟისორი, როგორიც დავით ყიფიანია".

– როტერდამში ძნელი თამაში მოგველის. ვაითუ მატჩის რეჟისურისათვის ვერ მოვიცალო.

– თბილისის „დინამომ" ნოდარ ახალკაცის ხელმძღვანელობით დიდ წარმატებებს მიაღწია. ამ წარმატებებს ახლა არ ჩამოვთვლი ერთი უბრალო მიზეზის გამო – ისინი ფეხბურთის ყველა გულშემატკივარმა ზეპირად იცის. რა აზრისა ხართ ახალკაცზე, როგორც მწვრთნელზე და როგორც ადამიანზე?

– ნოდარ ახალკაცში ორი რამ არის შერწყმული: დიდი პროფესიონალიზმი და თავისი საქმის ფანატიკური სიყვარული. ის ყველას – უფროსებსაც და, მით უმეტეს, უმცროსებსაც აძლევს თავდადების, საქმისადმი სერიოზული, პატიოსანი მიდგომის მაგალითს.

– ხშირად გაიგონებთ, კარგი მწვრთნელი მეორე ტაიმს იგებსო. ამის თაობაზე ჩვენთან საუბარში ერთხელ გიგა ნორაკიძემ თქვა: „ტაიმსა და ტაიმს შუა მწვრთნელს სალაპარაკოდ რჩება ხუთი წუთი. სასაცილოა ვიწამო მწვრთნელის ჯადოსნური ძალა, ამ ხუთწუთიანი საუბრით მოიგოს მეორე ტაიმი. რასაკვირველია, ფეხბურთელის გონივრული შეცვლით ან დარიგებით მწვრთნელს შეუძლია შეიტანოს თამაშში მცირეოდენი კორექტივი, მაგრამ შესვენებაზე გუნდისათვის მიცემული ყოველგვარი ახსნა-განმარტება, თუ იგი საწვრთნელი და თეორიული ვარჯიშის დროს არ არის გაანალიზებული და ათვისებული, ფეხბურთელისათვის მაინც „ჩინურად" დარჩება".

თქვენ რა აზრის ხართ ამის თაობაზე?

– გიგა ნორაკიძე სანახევროდ მართალია, მაგრამ აკი თვითონვე ამბობს, მწვრთნელს ფეხბურთელის გონივრული შეცვლით ან დარიგებით თამაშში მცირეოდენი კორექტივის შეტანა მაინც შეუძლიაო. მე უამრავ მაგალითს მოვიყვანდი, როცა თამაშის პირველი ტაიმის გონივრულმა გარჩევამ და ფეხბურთელის ასევე გონივრულმა შეცვლამ გამარჯვება უზრუნველყო. პირიქითაც ხშირად ყოფილა. რასაკვირ-

ველია, თუ ფეხბურთელი როგორც პრაქტიკულად, ასევე თეორიულად გარკვეული დროის მანძილზე კარგად არ არის მომზადებული, მხოლოდ ინტუიციით ვერ აუღებს ალღოს მოედანზე შექმნილ რთულ სიტუაციას. მახსოვს, ერთხელ, ჩემი ჭკუით, დაცვას რომ ვეხმარებოდი, ჩემი დამჭერი ორი ფეხბურთელიც თან ჩამოვიყვანე საკუთარ საჯარიმო მოედანზე და ამით ცენტრალურ მცველებს საქმე გავურთულე. მწვრთნელმა შესვენებაზე ჩუმად მითხრა ყურში, წინ წადი, შეუტიე და შენი ხალხი მაინც მოაშორე მცველებსო.

– თუ არ გეუხერხულებათ, ხომ არ დაგვიხასიათებდით თქვენს თანამებრძოლებს?

– დიდი სიამოვნებით.

– მაშ ოთარ გაბელიათი დავიწყოთ.

– საქართველოში ახლა არა გვყავს უკეთესი მეკარე. მისი მთავარი თვისებაა რეაქცია. შედარებით სუსტია საჯარიმო მოედანზე გამოსვლისას. ვიცი, ზოგიერთს აღიზიანებს მისი თამაშის ნერვიული მანერა. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ორი წელია უცვლელად დგას კარში (მგონი, ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ერთი თამაში თუ ერთი ტაიმი გამოტოვა). მეკარე კი, დანარჩენი ფეხბურთელებისაგან განსხვავებით, მთელი 90 წუთია თამაშში ჩაბმული და ნერვები დაწყვეტამდე აქვს დაჭიმული. მეკარის შეცდომა გოლია. დანარჩენი ფეხბურთელის შეცდომას კი ასეთი ღირებულებითი გამოხატულება არ მოჰყვება და ამიტომ შეცდომასაც იოლად აპატიებენ ხოლმე.

– თამაზ კოსტავას მე ჯერ კიდევ ქუთაისის „ტორპედოდან" ვიცნობ. როცა „განთიადს" ვრედაქტორობდი, ზაფხულში ბიჭებთან ერთად ვცხოვრობდი „ტორპედოს" ბაზაში. იქვე გავიცანი სულაქველიძე, შენგელია, გაბელია, სვანაძე და სხვანი. მათი ჯერიც დადგება, ახლა კვლავ კოსტავას მივუბრუნდეთ. მე ძალზე მჯეროდა მისი დიდი მომავლისა. ვფიქრობ,

სერიოზულმა ტრავმებმა მისი თამაშის კლასს გარკვეული ზიანი მოუტანა.

– თამაზ კოსტავა, რასაკვირველია, გააწვალა ტრავმებმა, მაგრამ ახლა ძალზე კარგად თამაშობს, საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უძლიერესი მცველია. საქებია და მისაბაძი, რომ გული არ გაუტეხავს, პირიქით, სწორი რეჟიმი შეადგინა და ნამდვილ პროფესიონალიზმს მიაღწია.

– თამაზ კოსტავას შესანიშნავი გასვლები აქვს ფლანგიდან, მაგრამ ბოლო სტადიაში მის ჩაწოდებებს სიმწვავე აკლია ხოლმე, რის გამოც კოსტავას ჩაწოდება ძალზე იშვიათად დაგვირგვინებულა გოლით...

– მართალი ხართ, ბოლო მომენტში სიმწვავეს კარგავს, მაგრამ მაინც დიდ საქმეს აკეთებს. მოედანზე გასვლით არღვევს გარკვეულ წონასწორობებს, დეზორგანიზაცია შეაქვს მოწინააღმდეგის რიგებში, თან ზრდის თავდამსხმელთა რიცხვს. ალბათ, მალე ბოლო სტადიაშიც უფრო მწვავე გახდება მისი მოქმედება.

– ბევრი ძლიერი ფეხბურთელი მინახავს, რომლებიც ვერ დაიკვეხნიან თამაშის სილამაზით. ვფიქრობ, ეს ერთგვარი ნაკლია ფეხბურთელისა. ალექსანდრე ჩივაძე ამ მხრივაც გამოირჩევა. მისი თამაშის მანერა არისტოკრატიულია. დახვეწილი პლასტიკა და მოძრაობის სილაღე – აი, რა ახასიათებს ამ ძლიერ ფეხბურთელს.

– კონსტანტინ ბესკოვმა სამართლიანად თქვა ჩივაძეზე – არგენტინელთა ნაკრების კაპიტან პასარელას არ ჩამოუვარდებაო. მე პირადად ამჟამად უკეთეს მცველს არ ვიცნობ.

– იენაში ყოფნისას ერთი-ორჯერ ვუყურე „კარლ ცაისის" თამაშს. მათი უმთავრესი იარაღია (ფიზიკურ ძალასთან ერთად) მაღალი ბურთის ჩაწოდება საჯარიმო მოედანზე და თავით თამაში. ვფიქრობ, ხინჩაგაშვილი და ჩივაძე სერიოზულ ძალას წარმოადგენენ ასეთ გუნდთან შეხვედრის დროს.

– მართალი ბრძანდებით, შოთა ნამდვილი ბებერი ლომია. როცა იგი მოედანზეა, გაცილებით იმედიანად ვარ ხოლმე. ეტყობა, წლების განმავლობაში ერთად ჩატარებულმა მატჩებმა ძალზე შეგვაჩვია ერთმანეთს (სამწუხაროდ, ხინჩაგაშვილმა „ფეიენოორდთან" თამაშისას მეორე ყვითელი ბარათი დაიმსახურა და „კარლ ცაისთან" ავტომატურად გამოტოვა თამაში).

– ნოდარ ხიზანიშვილზე რას იტყვით?

– ძალზე თავდადებული და ფიზიკურად ძლიერი ფეხბურთელია. კარგად თამაშობს თავით.

– გია თავაძე?

– თავგანწირული თამაში იცის. აქვს კარგი დარტყმები. უპრეტენზიოდ თამაშობს. აქვს ნაკლიც, რომლის გამოსწორება, რასაკვირველია, შეიძლება. შეტევისა და წინსვლის შემდეგ უკან ნელა ბრუნდება. ამის უფლება კი დღევანდელ ფეხბურთში არა აქვს მაღალი კლასის სპორტსმენს. სასიხარულოა, რომ ბოლო დროს მისი გამოსვლების ხარისხი სტაბილურია.

– მახსოვს, როცა შარშან ზაურ სვანაძე თბილისის „დინამოში" გადმოჰყავდათ, დაუფარავად ვთქვი, შეცდომაა-მეთქი. დარწმუნებული ვიყავი და ახლაც მჯერა, რომ შარშან ფიზიკურად არ იყო მზად თბილისის „დინამოში" თამაშისათვის. წელს, ვფიქრობ, მშვენივრად შეერწყა გუნდს.

– დროდადრო წელსაც ვატყობთ ხოლმე გადაღლას. არაფერია, მალე შეეგუება ახალ დატვირთვას. ძალზე კარგი ფეხბურთელია, მაგრამ უფრო თამამად უნდა იმოქმედოს. დროა მიხვდეს, რომ სტუმარი აღარ არის თბილისის „დინამოში". ხშირად თვითონაც უნდა გაუძღვეს თამაშს. ზაურს სათანადო მონაცემები აქვს.

– ვიტალი დარასელიამ უკვე კარგა ხანია მოიხვეჭა ძლიერი ფეხბურთელის სახელი.

– ვიტალი მრავალმხრივი ფეხბურთელია. აქვს ტექნიკური დარტყმები, კარგად გადის ცრუ მოძრაობით და მშვენივრად ერკვევა მოედანზე შექმნილ სიტუაციებში. როდესაც ვიტალი არ თამაშობს, მაშინ უფრო ვგრძნობთ ხოლმე, რამოდენა სამუშაოს ასრულებს მინდორზე.

– თენგიზ სულაქველიძე ქუთაისის „ტორპედოში“ ცენტრალური მცველის ფუნქციებს ასრულებდა. ჩემი აზრით, ნოდარ ახალკაცისათვის ალღოს არ უმტყუნია, როცა ის ნახევარმცველად დააყენა. თბილიის „დინამოს“ თითქმის ყოველთვის აკლდა ძლიერი და სწრაფი ფეხბურთელები, ისეთები, როგორიც სულაქველიძეა.

– გეთანხმებით. თენგიზ სულაქველიძე გერმანული ტიპის ფეხბურთელია, თამაშობს სადად და ლამაზად. მისი ყოველი მოძრაობა მძლავრია და გამიზნული. მთავარი კი ის არის, რომ სულაქველიძე, როგორც ფეხბურთელი, ჯერ კიდევ იზრდება, ხოლო მისი თამაშის მანერა სულ უფრო იხვეწება.

– ჯერი თავდასხმაზე მიდგა. ვლადიმერ გუცაევზე რას გვეტყვით?

– უზარმაზარი მონაცემების ფეხბურთელია. გუნდისათვის დიდი ძალაა, მაგრამ მას ძალზე უხეშად ეთამაშებიან. ერთი კია, შეტევის დროს ნაკლებად უნდა ფიქრობდეს, მომცელავენო, თორემ კარგავს ძვირფას წამებს და შეტევასაც აკლდება სიმწვავე. მეორე მხრივ, მოდი და ნუ იფიქრებ, როცა ფეხში ასე უხეშად გირტყამენ.

– ჩემი აზრით, ამ ბოლო დროს რამაზ შენგელიამ ძალზე მოუმატა თამაშს...

– რამაზ შენგელიაზე ძალზე მაღალი აზრისა ვარ. აქვს შესანიშნავი ინტუიცია. რომ იცოდეთ, როგორ ესმის ხოლმე ჩემი, მაშინვე ხვდება, რას ვაპირებ!

– გეთანხმებით. ერთხელ რამაზს ვუთხარი, როგორც კი ყიფიანი ბურთს მიიღებს, შენ იმავე წუთში გაიხსენი, დათოს-

კენ ნურც გაიხედავ, მხოლოდ პოზიცია შეარჩიე, ბურთი აუცილებლად შენთან აღმოჩნდება-მეთქი.

– გახსნაც არის და გახსნაც. მთავარია, რამდენად აქტიურ პოზიციას ამოირჩევს. რამაზს კი ეს არ ეშლება. მე მჯერა, რომ კიდევ მოუმატებს თამაშს. ახლა ასე მიზანდასახული ცენტრალური თავდამსხმელი სხვა არ მეგულება. როგორც კი საჯარიმო მოედანზე ბურთს მივიღებ, იმავე წუთში პარტნიორებს გავხედავ, იქნებ ვინმე უფრო ხელსაყრელ პოზიციაში დგას-მეთქი დასარტყმელად. რამაზი კი, როცა საჯარიმოზე ბურთს მიიღებს, მხოლოდ მოწინააღმდეგის კარს ხედავს, სხვას ვეღარავის ამჩნევს. ეს იქნებ ერთგვარი ნაკლია, მაგრამ მე, პირადად, მომწონს კარის აღების შენგელიასეული ჟინი. ყოველი ბურთის გატანა მისთვის უზარმაზარი ბედნიერებაა.

– სავსებით გეთანხმებით რამაზ შენგელიას შეფასებაში. ვფიქრობ, მისი ნაკლია სუსტი ვირაჟი. უმრავლეს შემთხვევაში ბურთი მოწინააღმდეგის მცველს რჩება ხოლმე, როცა შენგელია ვირაჟით შედის მეტოქის საჯარიმო მოედანზე. მისი სისწრაფე ამ შემთხვევაში ვერ არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს.

– ვერ დაგეთანხმებით. შენგელიას ვირაჟი, სისწრაფის თვალსაზრისით, ნორმალური აქვს, მაგრამ ერთი კია, მოწინააღმდეგეს მხარს ვერ უდგამს და ბურთს ვერ ფარავს. ეს უფრო მისი ფიზიკური სისუსტის ბრალია, ვიდრე სისწრაფისა.

– ახლა ახალგაზრდებზე მიდგა ჯერი.

– ახალგაზრდებამდე კიდევ დაგვრჩა ერთი ფეხბურთელი – რევაზ ჩელებაძე. მართალია, დღეს ის თვითმფრინავში არ არის, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. უკანასკნელ ორ წელიწადს ჩელებაძე დიდხანს ავადმყოფობდა. ამიტომაც ვერ გამოავლინა თავისი ძალა. ახლა გამოჯანსაღდა და ინტენსიურად ვარჯიშობს. მტკიცედ მჯერა, რევაზი იტყვის თა-

ვის სიტყვას! მან ბევრ მატჩში ძალზე ოსტატურად ითამაშა. ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება. ბოლოს კი დავძენ, რომ მომდევნო თაობიდან, უწინარესად, უნდა დავასახელოთ კაკილაშვილი, ჟვანია, ჟორდანია და მინაშვილი. ამ უკანასკნელმა მენისკის ოპერაციის შემდეგ უკვე დაიწყო ვარჯიში.

– ვინაიდან დავით ყიფიანს გაუჭირდება დაახასიათოს დავით ყიფიანი, მე თვითონ ვიკისრებ ამ საქმეს.

– საინტერესოა!

– დავით ყიფიანი ერთმა ინგლისელმა ჟურნალისტმა ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობის" გმირს შეადარა. ალბათ, ანდრეი ბოლკონსკის თუ გულისხმობდა. მე ფეხბურთელებს შევადარებ. ალბათ, იგი ყველაზე უფრო მაინც კრუიფს მოგვაგონებს. თანამედროვე ფეხბურთის ვარსკვლავისათვის აღარ კმარა, მარტო ეპიზოდებში გაიბრწყინოს. დღეს ფეხბურთელი ფასდება იმით, თუ მოედნის რამოდენა ტერიტორიაზე და რამდენი ხნის განმავლობაში ახდენს თამაშზე გავლენას. დავით ყიფიანი, როცა იგი საუკეთესო ფორმაშია, თამაშზე ზეგავლენას ახდენს მოედნის სამ მეოთხედზე თითქმის მთელი ორი ტაიმის განმავლობაში. კარგად ხმარობს ორივე ფეხს, კარგად თამაშობს თავით, აქვს ბრწყინვალე დრიბლინგი, სრულყოფილად ფლობს ბურთს და, რაც მთავარია, უბადლოდ ხედავს მოედანს, არის თამაშის კონსტრუქტორი. შეუდარებელია მისი, როგორც ახლო და საშუალო, ისე გრძელი პასი, შეუდარებელია არა მარტო სიზუსტით, არამედ გადაცემის დროულობით და პოზიციის ზუსტი შეფასებით. მოედნის საკუთარი ნახევრიდან ან ცენტრიდან მისი გრძელი გადაცემები ყოველთვის შეიცავს იდეას. ხომ არაფერი დავაკელით?

– პირიქით, მეტიც მოგივიდათ.

– გულშემატკივართაგან ცოტა როდი ამბობს, რომ შოთა იამანიძის თაობის „დინამო" გაცილებით ძლიერი იყო დღე-

ვანდელზე. არგუმენტებიც საკმაოდ ანგარიშგასაწევი მოაქვთ. ერთდროულად გუნდში თამაშობდნენ ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ მესხი, მეტრეველი, ხურცილავა, იამანიძე, ბარქაია, კალოევი, კოტრიკაძე და სხვანი. მკითხველს, ალბათ, დააინტერესებს, თქვენც იზიარებთ თუ არა ამ მოსაზრებას.

– გეთანხმებით. ვარსკვლავი, ალბათ, მაშინ უფრო მეტი იყო თბილისის „დინამოში". დაჰკვირვებიხართ, ჩვენ სამჯერ გავედით ფინალში და თასი ორჯერ მოვიპოვეთ. მანამდე თბილისელები (ბუნებრივია, სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები) ხუთჯერ გავიდნენ ფინალში, თასი კი ვერცერთხელ ვერ მოიპოვეს. ეს, ჩემი ღრმა რწმენით, არასწორი რეჟიმისა და, თუ საწყენად არ დამირჩება, ნაკლები პროფესიონალიზმის შედეგი იყო. გარდა ამისა, თბილისის „დინამო" ახლა ძალზე მეგობრული, მონოლითური გუნდია. იქნებ ვცდები?

– თქვენი მოსაზრება საინტერესოა. ბარემ იქნებ მეორე შეკითხვაზეც მიპასუხოთ. ზოგიერთი გულშემატკივარი იმასაც ამტკიცებს, დღეს ევროპაშიც და ჩვენშიც ფეხბურთის დონე დაეცაო. პირადად მე არ ვიზიარებ ამ მოსაზრებას. დღეს ფეხბურთის დონე, პირიქით, ყველგან ამაღლდა. ამას თვით ცხოვრების წინსვლა განაპირობებს. მაგრამ იქნებ მართლა იგრძნობა ვარსკვლავების ნაკლებობა?

– ვინც ამტკიცებს, ევროპაში ფეხბურთის დონე დაეცაო, კარგად არ იცნობს ევროპულ გუნდებს. ზერელედ და ემოციურად ლაპარაკი, მეტი რომ არა ვთქვათ, არასერიოზულია. თქვენ მართალი ხართ, ფეხბურთის დონემ ყველგან აიწია. ახლა თითქმის აღარ არიან სუსტი გუნდები. ვარსკვლავების ნაკლებობა იგრძნობაო. იქნებ სწორიც იყოს, არ ვდავობ. მაგრამ ვარსკვლავებს დიდი ტურნირები გამოაჩენს ხოლმე მთელი სიკაშკაშით. განა არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატზე არ გაიბრწყინა კემპესის, ლუკეს, ბერტონის, ბეტეგას, როსის, ტრეზორის, დირსეუს, არდილესის, რენსენბრინკისა და სხვა-

თა სახელებმა? იქნებ მარადონაცა და რუმენიგეც გაგვეხსენებინა? აი, გაისად ესპანეთში მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება და, მერწმუნეთ, ბევრი ახალი ტალანტის აღმოჩენის მოწმენი გავხდებით.

– ჩემი მხრივ, ერთს დავუმატებდი თქვენს სწორ მოსაზრებას. როცა ფეხბურთის დონე განუხრელად მაღლდება, კარგი ფეხბურთელების თამაშის დონეც თანდათან უახლოვდება ვარსკვლავებისას. ასე რომ, ვარსკვლავები და კარგი ფეხბურთელები დღეს ისე მკვეთრად აღარ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც ეს უწინ იყო. ჩემი მოსაზრების დასასაბუთებლად მოვიშველიებ პელეს ავტორიტეტს. არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ პელემ თქვა: თანამედროვე ფეხბურთში სათამაშო სივრცეები ისე საგრძნობლად შეიზღუდა, ახლა თამაში თვით გარინჩასა და ჟაირზინიოსაც კი გაუჭირდებოდათო.

– დღევანდელ ფეხბურთში ძალზე გაიზარდა ფიზიკური დატვირთვა. სეზონისათვის მზადების პერიოდში ხუთ დღეში სამ დღეს ვვარჯიშობთ. თანაც დღეში ორჯერ საათნახევარ-საათნახევრის მანძილზე; ე. ი. სამ საათს. მხოლოდ ფიზიკურ ვარჯიშს ვგულისხმობ, თეორიული მეცადინეობები ცალკე ეწყობა. რაც მთავარია, ვარჯიში იმდენად ინტენსიური გახდა, რომ ახლა ერთი საათის ვარჯიში, ალბათ, რამდენიმე წლის წინანდელ ორსაათიან ვარჯიშს უდრის. დასკვნა თვითონ გამოიტანეთ.

– რა აზრისა ხართ ტოტალურ ფეხბურთზე?

– მწამს, რომ მომავალ ჩემპიონატში გაიმარჯვებენ არგენტინელები ან ბრაზილიელები. ვფიქრობ, ამ პასუხიდან ჩანს ჩემი დამოკიდებულება ტოტალური ფეხბურთისადმი. ოღონდ ერთს დავძენ: თუ ბრაზილიელებს სერიოზულად სურთ ესპანეთში გაიმარჯვონ, უფრო აგრესიული თავდამსხმელები უნდა მოძებნონ და მოწინააღმდეგესაც მეტი სიმწვავით უნდა შეუტიონ.

დიდი შანსი აქვთ არგენტინელებსაც. მათ ჰყავთ კარგი მწვრთნელი, კარგი ფეხბურთელები. თანაც ისინი ესპანეთში თითქმის მშობლიურ გარემოში იქნებიან.

– დავით, ამ რამდენიმე წლის წინათ ფეხბურთის ერთ ცნობილ სპეციალისტს ვკითხე, რას იტყვით ქართულ ფეხბურთზე-მეთქი? მან მიპასუხა: „ტერმინი „ქართული ფეხბურთი" ყოველთვის მაღიზიანებს. იგი ისე როდი გამოირჩევა სხვა ქვეყნების ფეხბურთისაგან, როგორც, ვთქვათ, ქართული ლიტერატურა, მუსიკა, მხატვრობა ან ქორეოგრაფია გამოარჩევს სხვა ქვეყნების შესაბამისი დარგებისაგან. პირადად მე ფეხბურთს სამ ჯგუფად დავყოფდი: ანგლო-საქსური, სამხრეთ-ევროპული და სამხრეთ-ამერიკული. და თუ მაინც ფეხბურთში ეს „ეროვნულობა" არსებობს, ის ძირითადად ფეხბურთელის თამაშის მანერით გამოიხატება. მაგრამ დღეს თანამედროვე ფეხბურთში არის ერთი დიდი ინტერნაციონალური თვისება, რომელსაც ჰქვია თამაშის ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციის გარეშე შეუძლებელია კაცმა იოცნებოს მსოფლიო მნიშვნელობის მიღწევებზე".

თქვენ რას იტყოდით ამის თაობაზე?

– საინტერესო აზრია. ის სპეციალისტი სიმართლესაც ამბობს და ბევრ რამეში ცდება კიდეც, ჩემი აზრით. აკი თვითონვე აღიარებს, თუ ფეხბურთში „ეროვნულობა" არსებობს, ძირითადად თამაშის მანერით გამოიხატებაო. სწორედ თამაშის მანერით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სხვადასხვა ქვეყნის ფეხბურთელები. მანერა, ვფიქრობ, ფეხბურთელისათვის იგივეა, რაც მწერლისათვის სტილი. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფეხბურთი მარტო ფინტი, დრიბლინგი ან პასი როდია. ფეხბურთი ხასიათების, პიროვნებათა ბრძოლაა. ხასიათები კი თავისი არსით ეროვნულია. თუ დაჰკვირვებიხართ, ჩვენ არ შეგვიძლია დროის გაყვანა. ასე რომ, ფეხბურთს ძირითად ინტერნაციონალურ თვისებებთან ერ-

თად (არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის მაინც იმპორტულია), ეროვნული ნიშნებიც საკმაოდ აქვს.

– მახსოვს, როცა „განთიადში“ ვმუშაობდი, ერთმა ჟურნალისტმა ფეხბურთზე სტატია მომიტანა. ერთი სრულიად მარტივი შეკითხვა დავუსვი: იქნებ მითხრათ, თბილისის „დინამოში“ რომელი ფეხბურთელი თამაშობს მარჯვენა ფეხით და რომელი მარცხენით-მეთქი. ვერ მიპასუხა. თანაც თითოეული თქვენგანის თამაში სულ ცოტა ოცდაათჯერ მაინც ჰქონდა ნანახი. ასეთი შეკითხვა იმიტომ დამებადა, რომ მთელი სტატია ზოგადი ფრაზებით იყო გატენილი: „თანამედროვე ფეხბურთი მოითხოვს დიდ უნივერსალიზმს“, „აზროვნებისა და მანევრირების სისწრაფეს“, „მთავარია, მოწინააღმდეგეს თავს მოახვიო საკუთარი სტილი“, „საუკეთესო დაცვა თავდამსხმაა“ და ა. შ.

ასეთები გამონაკლისები არ არიან, მაგრამ კარგი სპორტული ჟურნალისტებიც ხომ გვყავს. ემთხვევა თუ არა მათ რეცენზიებში გამოთქმული შენიშვნები მწვრთნელისა და გუნდის მიერ ნათამაშევი მატჩის გარჩევისას გამოტანილ დასკვნებს და შენიშვნებს?

– სამწუხაროდ, იშვიათად. მაგრამ, ალბათ, ეს იმის ბრალიც არის, რომ ჟურნალისტს მატჩის შემდეგ არც დრო აქვს ვრცელი სტატიის დასაწერად და არც გაზეთი უთმობს დიდ ადგილს, რომ განვლილი ორთაბრძოლა საფუძვლიანად შეაფასოს. მაგრამ მთლად ისეც არ არის საქმე, ბევრი კარგი წერილიც გვახსოვს!

ტიტების ქვეყანაში

უკვე მეოთხედ ვარ ჰოლანდიის საერთაშორისო აეროპორტ „სხიპჰოლში“. იგი ამსტერდამის მახლობლად მდებარეობს და წელიწადში 9 მილიონამდე მგზავრს ემსახურება. დიდი სიამოვნებით დავაბიჯებ ამ უმშვენიერეს და ტექნიკურად სრულყოფილი აეროპორტის ნაცნობ დარბაზებში, თან ვღელავ. აქამდე ვერცერთხელ ვერ მოვახერხე მის კედლებს იქით გამებიჯებინა, ახლა კი სულ საათ-ნახევარში ამსტერდამში ვიქნებით.

– ჰოლანდია ერთოთახიან კომფორტულად მოწყობილ ბინასა ჰგავს, – მითხრა მოსკოვში მეგობარმა პოეტმა.

როცა ერთოთახიან ბინას შეადარა, რასაკვირველია, ჰოლანდიის პატარა ტერიტორია ჰქონდა მხედველობაში. პატარა, მაგრამ მართლაც შესანიშნავად მოვლილი და მოწყობილი.

– არ მიყვარს ჰოლანდია, იქ ყველაფერი ხელოვნურია, – დასძინა მანვე.

შემდგომში მართლაც დავრწმუნდი, რომ ჰოლანდიაში ვერ იპოვით ერთ კვადრატულ მეტრსაც კი, თავისი პირველყოფილი იერი რომ შეენარჩუნებინოს. მე გამაოცა ჰოლანდიელების შრომისმოყვარეობამ. მათ ხომ ხმელეთის ერთი მესამედი ზღვას გამოსტაცეს. აქ ზღვა ხმელეთზე 4-5 მეტრით მაღალია. ამსტერდამის საერთაშორისო აეროპორტი ზღვის დონეზე 4 მეტრით დაბლა მდებარეობს. შრომატევადია ბეტონის დამბებით ზღვასთან ბრძოლა და შემდეგ ბეტონის კედლებში მომწყვდეული წყლის უკან, ჩრდილოეთის ზღვაში გადაქაჩვა, მაგრამ გაცილებით შრომატევადია ზღვის ფსკერის მარილებისაგან გაწმენდა და მისი სოფლის მეურნეობის სამსახურში ჩაყენება. ამ რთულ, დაძაბულ პროცესს სამი წელიწადი მაინც სჭირდება.

დამბებით, კაშხლებით, არხებითა და შლიუზებით არის დაფარული მთელი ჰოლანდია. ამას დაუმატეთ უმშვენიე-

რესი გზები და ესტაკადები, ყოველ ფეხის ნაბიჯზე პატარა დასახლებანი, რომელთა შუაგულში გარეგნულად კულტურის სასახლეების ან სპორტდარბაზების მსგავსი ფაბრიკა-ქარხნები წამომართულან და დაახლოებით წარმოიდგენთ ჰოლანდიის ურბანულ სურათს.

მაგრამ ამ დასახლებათა შორის უეცრად გაიელვებს ხოლმე სოფლის წყნარი პეიზაჟები. სექტორებად დაყოფილ მინდვრებში მშვიდად ძოვენ ჯიშიანი შავ-თეთრი ძროხები და ცხვრები. ალაგ-ალაგ კი გადაჭიმულია ტიტების პლანტაციები. მობიბინე ყვავილები ფერების მიხედვითაა ზოლებად დარგული. წარმოიდგინეთ ორი კილომეტრი სიგრძისა და 50 მეტრი სიგანის წითელი ტიტის პლანტაცია. მას პარალელურად მისდევს ყვითელი, მუქი მელნისფერი (მოშავო) ტიტების ზოლები, შემდეგ ფერები ისევ თანამიმდევრულად მეორდება და მნახველის თვალწინ უზარმაზარი ფანტასტიკური ხალიჩა იშლება.

ჰოლანდიას სამართლიანად ეძახიან ყვავილების ქვეყანას. ყვავილების ექსპორტს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჰოლანდიელთა ეროვნულ შემოსავალში. ტიტები, მიხაკები, გლადიოლუსები, ასტრები, სუმბულები – აი, ძირითადად ის ყვავილები, რომელთა მრავალი სახეობა გამოიყვანეს მსოფლიოში სახელგანთქმულმა ჰოლანდიელმა მეყვავილეებმა. ნიდერლანდის ყვავილების სამეფოს წარმოადგენს ყოფილი „ჰარლემის ზღვის" ფსკერი, რომელიც ზღვას ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გამოსტაცეს.

ალბათ არაფერი ისე არ ფასობს ჰოლანდიაში, როგორც მიწა, თუნდაც ერთი მტკაველი. ამიტომაცაა, რომ ჰოლანდიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით კი ამსტერდამის არხებში, ნახავთ ბევრ ბარჟა-სახლს, სადაც უამრავი ოჯახი ცხოვრობს. ამ ბარჟა-სახლებს „ვონბოტებს" ეძახიან.

სხვათა შორის, ერთ-ერთ ასეთ, მაგრამ საკუთარ პატარა ვონბოტზე ცხოვრობს მსოფლიო ჰიპების „ბელადი" თავისი ოთხი ცოლით. სამწუხაროდ, როცა ამსტერდამის არხებში კატერით სეირნობისას მის ყვავილების ბაღებით დამშვენებულ ეგზოტიკურ ვონბოტს ჩავუარეთ, ჰიპების მეფე თავისი მეუღლეებით შინ არ ბრძანდებოდა და არ მოგვეცა „ბედნიერება" მისი ნახვისა.

ერთ-ერთი ბარჟა მთლიანად ქალაქის უპატრონო კატების სამფლობელოა. ამსტერდამის ქუჩებში ვინც კი უპატრონო კატას იპოვის, იმავე წუთში ამ ბარჟაზე წაიყვანს. იქ მობინადრე ათასამდე კატას ქალაქი ინახავს.

არ დამავიწყდება ერთი დეტალი: პატარა მაღაზიის წინ პატრონს გრანიტის ქვაფენილიდან ერთი ქვა ამოეღო და იქ სასოებით ვარდი დაერგა.

მიწის პრობლემა მთელს ევროპაში იგრძნობა მთელი სიმწვავით. სამიოდე კვირის შემდეგ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, რაინის ხეობაში ვნახე გერმანელთა სახელგანთქმული ვენახები. გამაოცა იმ დიდმა, უფრო მეტიც, ტიტანურმა შრომამ, რის ფასადაც გერმანელები უვლიან ამ ვენახებს. ისინი ძირითადად ტერასებადაა გაშენებული ძალზე დაქანებულ კლდოვან ფერდობებზე. ვნახეთ ვენახები, რომელთა ფართობია... 5 კვადრატული მეტრი. არ არსებობს გამოსადეგი მიწის ნაგლეჯი, რომ იგი საგანგებოდ მოვლილი და ნალოლიავები არ იყოს.

უნებურად მაგონდება რაჭისა და ლეჩხუმის ხეობები, საქართველოში მოუსავლიან, მწირ სავარგულებად რომ ითვლება.

ასეთ ხეობებზე ვერც კი იოცნებებენ იქაური მევენახეები.

მაინის ფრანკფურტის აეროპორტში დავინახე, მიწას იღებდნენ და მანქანებით სადღაც ეზიდებოდნენ. ვიკითხე, რას აკეთებენ-მეთქი. თურმე ახალ დასაფრენ ზოლს აშენებდნენ.

ხოლო მოსავლისათვის ვარგისი მიწა (ჰუმუსი) ბეტონს ქვეშ რომ არ მოჰყოლოდა, ჭრიდნენ და მანქანებით ეზიდებოდნენ. ალბათ, რომელიღაც კლდეთა შორის გაკეთებულ ტერასებს ავსებდნენ ამ მიწით.

სტუმართმოყვარედ შეგვეგება ჰოლანდია. ჩვენი ჩასვლის დღეს მათმა ცენტრალურმა სატელევიზიო კომპანიამ ოთხსაათიანი გადაცემა მიუძღვნა საქართველოს, ქართველ ხალხს, ტექსელის აჯანყებას. ამ დღისათვის იყო დანიშნული ტექსელში „ქართველთა აჯანყების მუზეუმის" (სწორედ ასე ჰქვია ამ მუზეუმს) საზეიმო გახსნაც.

მუზეუმი მოათავსეს ერთ ახლად აღდგენილ ქარის წისქვილში. ეს ძალზე დიდი პატივია, რადგან ჰოლანდიაში ქარის წისქვილი ქვეყნის სიმბოლოს წარმოადგენს და ყოველგვარ საცნობარო ბუკლეტში საგანგებოდ არის მითითებული, რომელ ქალაქში რამდენი ქარის წისქვილია და სად მდებარეობს.

ტექსელის დათვალიერებას მთელი დღე მივუძღვენით. ჯერ ახალგახსნილ მუზეუმში მიგვიწვიეს. ძნელი იყო აუღელვებლად დაგვეთვალიერებინა ქართველი მეომრების პირადი ნივთები, წერილები, წარწერები ფრონტულ ქვაბუნებზე. ბევრი მათგანის შინაარსი უცნობი იყო მუზეუმის ხელმძღვანელობისთვის. რევაზ ჯაფარიძემ, ჯანსუღ ჩარკვიანმა, მორის ფოცხიშვლმა და დელეგაციის ხელმძღვანელმა ომარ სიამაშვილმა მუზეუმს საჩუქრები გადასცეს და თან ექსპოზიციის ავტორს ქართველ ჯარისკაცთაგან შემორჩენილი ყველა ტექსტი უთარგმნეს.

დავათვალიერეთ ორი სასაფლაო. პირველზე 380 ქართველია დაკრძალული, მეორეზე კი ის ჰოლანდიელები, რომლებიც გერმანელმა ფაშისტებმა ქართველთა დახმარებისათვის დახვრიტეს ან მათთან ერთად ბრძოლაში დაიღუპნენ.

ძნელია, თვალზე ცრემლი არ მოგადგეს, ამ იდეალურად მოვლილ საფლავებს რომ ჩამოუვლი. წარმოუდგენელია არ

გაგახსენდეს გიორგი ლეონიძის სტრიქონი „სად ლპება შენი ქოჩორი...“

გვაჩვენეს ის ადგილებიც, სადაც ყველაზე გააფთრებული ბრძოლები გამართულა.

კუნძულის ბურგომისტრმა საგანგებო სადილი გაგვიმართა. საღამოს კი მიგვიღო ქართველ პარტიზანთა ლეგენდარულმა დედამ – დედა კორნელიამ.

ის სოფლის კლუბში ყავითა და ტკბილეულით გაგვიმასპინძლდა. შეუძლოდ იყო, მაგრამ მაინც გაიხსენა თავისი ქართველი „შვილები“.

ერთი სასიამოვნო სიურპრიზი ალბათ არასოდეს დაგვავიწყდება. სოფლის მოედანზე შევჩერდით და ავტობუსიდან გადმოვედით. იქვე მანქანა იდგა. მძღოლს მაგნიტოფონი ჩაერთო და იქაურობას ქართული მელოდიები ეფინებოდა.

უცებ მანქანიდან გადმოვიდა შავულვაშებიანი ახალგაზრდა კაცი თავის პატარა შვილთან ერთად და ჩვენკენ გამოემართა. ჰოლანდიელი ქართველი აღმოჩნდა, ქართველი პარტიზანის შვილი, თემურ ნატროშვილი.

მთელი დღე გვერდიდან არ მოგვშორებია. თავისი საქორწინო სურათი გვიჩვენა. თვითონ ჩოხა ეცვა, ხოლო დედოფალს, ჰოლანდიელ ქალიშვილს – ქართული კაბა.

ბოლოს, როცა ტექსელი დავტოვეთ და გიგანტური ბორანი ნელ-ნელა დაშორდა „ჯვარცმული კუნძულის“ ნაპირს, ვიგრძენით, გული როგორ შეგვეკუმშა, იქ მოუშუშებელ იარასავით დარჩა ქართველი კაცის დიდი სევდა და გულისტკივილი.

ტურისტულ ბუკლეტებში ჰოლანდიელები პირველსავე აბზაცებში წერენ, რომ ჰოლანდია არის ქვეყანა, რომელმაც მსოფლიოს მისცა სპინოზა, ერაზმ როტერდამელი, რემბრანდტი, ვან გოგი და სხვები... კარლ მარქსის სიტყვებსაც არ ივიწყებენ, ჰოლანდიას მან მეჩვიდმეტე საუკუნის სანიმუშო კაპიტალისტური ქვეყანა უწოდაო.

იმ მრავალრიცხოვან მუზეუმებს შორის, რომლებითაც ასევე ამაყობს ჰოლანდია, ჩვენ მხოლოდ სამს ვესტუმრეთ – რაიკსმუზემსა და ვან გოგის მუზეუმს ამსტერდამში, ხოლო ვოიმანს ვან ბაინინგენის მუზეუმს როტერდამში, სადაც ვნახეთ უბრწყინვალესი ფერწერული ნამუშევრები რენესანსიდან მოყოლებული და დღევანდელი ავანგარდისტული ნაწარმოებებით დამთავრებული.

მაგრამ არის ჰოლანდიის ქალაქებში სხვა „ღირსშესანიშნავი" ადგილებიც. ისინი არცერთ ტურისტულ ბუკლეტში არ არის მოხსენიებული, თუმცა ყველა ტურისტი მაინც „ახერხებს", მოხვდეს ამ ეგზოტიკურ კვარტლებში.

ამსტერდამი ამ მხრივ ყველა ქალაქს შორის გამოირჩევა. გამოირჩევა არა მარტო ჰოლანდიაში, მთელს მსოფლიოშიც კი.

ესაა ერთი უმშვენიერესი არხის პირას გაშენებული ქუჩა, რომელსაც პრინც ჰენდრიკის სანაპირო ეწოდება. თვით ამ სამეფო გვარის წარმომადგენელსაც კი გაუჩენია საყვარელი მეზღვაურთა მეძავების „სამეფოში". ხალხმა თურმე ამიტომაც შეარქვა პრინცის სახელი ამსტერდამის ყველაზე პორნოგრაფიულ ქუჩას. რას არ ნახავთ აქ, ვიტრინებში ჩამწკრივებულან თითქმის სრულიად შიშველი ქალები (სიტყვა „თითქმის" შეიძლებოდა, არც კი მეხმარა), ფეხიფეხზე გადადებულნი სიგარეტს რომ ეწევიან და თან ღიმილით გეპატიჟებიან ხალიჩებით მორთულ პაწია ოთახში.

მათი სხეულის დაწაფების მსურველნი ჩამოივლიან ამ ცოცხალი გამოფენის წინ და დინჯად, აუღელვებლად შეარჩევენ თავისი გემოვნების შესაფერ ბანოვანს. მიუხედავად სილამაზისა და ასაკისა, ფასი ყველას ერთი აქვს – 50 გულდენი (1 მანეთი დაახლოებით სამი გულდენია), ყოველგვარი შევაჭრება გამორიცხულია.

ერთხელ გაოცებისაგან ლამის შევყვირეთ. ერთ ასეთ ქალბატონს თავისი მეგობარი შეემჩნია ქუჩაში და მასთან სასაუბროდ მთლად შიშველი გამოსულიყო გარეთ...

ჩვენი მკითხველისათვის ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ სხეულით მოვაჭრენი თურმე ამაყობენ კიდეც თავიანთი პროფესიით და ახლა დიდი პოლიტიკური მოძრაობაც გაუშლიათ საკუთარი პროფკავშირების ჩამოსაყალიბებლად.

ამავე ქუჩაზე და მის ირგვლივ კვარტლებში შეხვდებით „სექს-თეატრებს", სადაც ნატურალურად უჩვენებენ ყველაფერს. აქვე ნახავთ პორნოგრაფიული ფილმებისათვის განკუთვნილ პატარა კინოთეატრებს. მაღაზიებიც უხვადაა, სადაც გასაბერი რეზინის ქალებიდან მოყოლებული იყიდება ყველაფერი. იქვე დგას ვიდეომაგნიტოფონები, იქვე გიჩვენებენ პორნოგრაფიულ ვიდეოჩანაწერებს. თუ რომელიმე მოგეწონა, ორასი გულდენი და... შეგიძლიათ ოჯახი „გაახაროთ" უახლესი პორნოფილმებით.

90 წუთი ფინალამდე

„ფეიენოორდის" სტადიონი მოქმედ ვულკანს ჰგავდა. უზარმაზარი ტრიბუნები მაყურებლებს სანახევროდ გაევსოთ (თამაშს 40 ათასი მაყურებელი ესწრებოდა), მაგრამ ყურთასმენა აღარ იყო. ჩრდილოეთის კარს უკან „ფეიენოორდის" ტანსაცმლით, ყელსახვევებით და ქუდებით გამოწყობილი 5 ათასი ბავშვი იჯდა. თუმცა კი არ ისხდნენ, ადგილზე ტოკავდნენ. ტაშით სხვადასხვა და საკმაოდ რთულ რიტმებს გამოსცემდნენ, ხმაშეწყობილად მღეროდნენ. „ფეიენოორდის" კლუბის ხელმძღვანელობა მათ თურმე უბილეთოდ უშვებს სტადიონზე. ბილეთი საკმაოდ ძვირი ღირდა – 35 გულდენი (დაახლოებით

12 მანეთი), სანაცვლოდ ისინი ვალდებულნი არიან მთელი ძალით იღრიალონ, იმღერონ, სტადიონის დანარჩენი ტრიბუნებიც აიყოლიონ, რათა საყვარელი გუნდი ბრძოლის ჟინით აღანთონ. უსამართლობა იქნებოდა არ მეთქვა, რომ ისინი ამ მოვალეობას დიდი ენთუზიაზმით ასრულებენ.

ქართველი გულშემატკივრების მცირერიცხოვანმა ჯგუფმა (27 კაცი) იმავე წუთში მიიქცია მთელი სტადიონის ყურადღება. ჩვენთვის გამოყოფილ სექტორში გაშლილი ტრანსპარანტით და „დინამოს“ საკლუბო დროშების ფრიალით შევედით. „დინამო, დინამო!“ ვაჟკაცურად დავძახეთ, მაგრამ ჩვენი ხმა უმალვე ჩაახშო როტერდამელთა მძლავრმა გუგუნმა.

ფარ-ხმალი მაინც არ დაგვიყრია, თამაშამდე და თამაშის პერიოდშიც, როგორც კი ოდნავ ჩამოვარდებოდა სიჩუმე, უმალვე ვიწყებდით „დინამო“, „დინამოს“...

იმავე წუთში კვლავ მძლავრი გუგუნი ნთქავდა ჩვენს შეძახილებს. თან ლუდიც საკმაოდ გადმოგვასხეს თავზე ზედა რიგებიდან და რამდენიმე საჯდომი ბალიშიც გვესროლეს. ჩვენ ირგვლივ მსხდომი ბევრი ჰოლანდიელი იხდიდა ბოდიშს ახალგაზრდა თანამემამულეთა ყოველგვარ ზღვარს გადასული უტაქტობის გამო, მაგრამ მათი ბოდიში საქმეს ვერ შველოდა.

იქვე, გვერდით, იუგოსლავიელები ისხდნენ, ჩვენსავით შავგვრემანნი. ჰოლანდიელებმა ისინიც ქართველებად მიიღეს და საჯდომი ბალიშები და ლუდის ლითონის კოლოფები არც მათთვის დაუშურებიათ.

ასეთმა განწყობილებამ, ეტყობა, ჩვენც ძალზე გაგვაღიზიანა და გამარჯვების დაუოკებელი ჟინით აღგვავსო. ქართველ გულშემატკივართა ნერვიულობას მსაჯის არაობიექტურობა კიდევ უფრო აძლიერებდა. მახსოვს, თამაში რომ დამთავრდა, ვცდილობდი გონებაში ორთაბრძოლის პერიპეტიები აღმედგინა, მაგრამ დაძაბულობისაგან გამოფიტულს თითქმის აღარაფერი მახსოვდა.

მხოლოდ მეორე დღეს დალაგდა ყველაფერი თავის ადგილზე. ქართველი ფეხბურთელების მიერ გატანილი სამი გოლიდან პირველი და მესამე იოტისოდენა ეჭვსაც არ იწვევდა. მახსოვს, მესამე გოლის შემდეგ ფეხზე წამოვიჭერი, უკან მივბრუნდი და ჰოლანდიელ გულშემატკივრებს დამცინავი ღიმილით შევხედე. თითქმის ყველამ ამარიდა თვალი.

არც ორი ნაღდი პენალტი დავივიწყოთ!

ასეთი ტენდენციური მსაჯობა არც მინახავს და არც გამიგონია.

მივხვდი, საშველი მარტო დროში იყო!

უნდა გაგვეძლო კიდევ ოცი წუთი, ათი წუთი... დარჩა უკანასკნელი ხუთი წუთიც და უკვე მტკიცედ მჯეროდა, რომ ფინალში გავედით.

ესე იგი გავიმარჯვეთ.

თანაც, როგორ გავიმარჯვეთ!

მეორე დღეს ჩემთვის ორთაბრძოლის ეპიზოდებს ვიგონებდი და ვაანალიზებდი. ამ დაძაბულ და რთულ მატჩში თბილისელებს არ უჩვენებიათ თავიანთი ტექნიკური არსენალი, რითაც ასე მოხიბლეს ლონდონელი მაყურებელი. მაგრამ უპირველესი, რასაც მათი თამაშიდან გამოვყოფდი, იყო დიდი თავდაჭერა, აუღელვებელი მოქმედება, მიუხედავად მსაჯის ასეთი არაობიექტურობისა და ჰოლანდიელთა უხეშობისა, 90 წუთის განმავლობაში არ ყოფილა წამი, რომ თბილისის დინამოელები შემდრკალიყვნენ, პანიკა დაუფლებოდათ. ეს უკვე ნიშნავდა, რომ ქართველმა ფეხბურთელებმა შეიძინეს საერთაშორისო ტურნირებში თამაშის გამოცდილება, ირწმუნეს საკუთარი ძალა!

და კიდევ მეორე (რაც, თავისთავად გუნდის მაღალ პროფესიონალიზმზე მეტყველებს) – მწვრთნელის მიერ მიცემული დავალების შესრულება! თამაში ქართველ ფეხბურთელებს კონტრშეტევებზე უნდა აეგოთ.

სტრატეგიული ჩანაფიქრი მთლიანად შესრულდა. გუნდმა სამი გოლი გაიტანა და ორი პენალტის დარტყმის უფლებაც მოიპოვა. და თუ მსაჯმა თავის სინდისს მიაფურთხა, ამაში ბრალს სრულიადაც ვერ დავდებთ ჩვენს ბიჭებს.

მსაჯს რომ შენგელიას პირველი გოლი ჩაეთვალა, ეს უკვე თბილისელთა საბოლოო გამარჯვება იქნებოდა. დარწმუნებული ვარ, წაგებას შეგუებული ჰოლანდიელები სულ სხვანაირად, გაცილებით მშვიდად განაგრძობდნენ ბრძოლას და მაყურებელსაც საშუალება მიეცემოდა მოხიბლულიყო ქართველი ფეხბურთელების მაღალტექნიკური თამაშით.

თვით იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირველი ტაიმი 0:0 დამთავრდებოდა, მატჩს მხოლოდ სასწაული გადაარჩენდა, ამიტომაც იყო, ტაიმის მიწურულს ბევრმა მაყურებელმა უკმაყოფილოდ დატოვა სტადიონის ტრიბუნები. მაგრამ უკანასკნელ წუთზე გატანილმა გოლმა ჰოლანდიელები გამოაცოცხლა, გამარჯვების იმედი ჩაუსახა. შემდეგ კი ყველაფერი იკადრეს (სიმულაციისა და პროვოკაციების ჩათვლით), ოღონდ გამარჯვებისათვის მიეღწიათ.

არ გამოუვიდათ.

და თუ მაინც მოვხაზავთ მატჩის ძირითად კონტურებს, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ჰოლანდიელთა მწვრთნელის იეჟეკის მიერ დავით ყიფიანის თამაშიდან გამოთიშვის ცდა. მან თბილისელ ფეხბურთელს მთელი 90 წუთის განმავლობაში „მიამაგრა" ვან ტილი, რომლის თამაშს თბილისელები არ იცნობდნენ. თანაც, ალბათ, ასეთი დარიგებაც მიაყოლა – რა ხერხებითაც არ უნდა დაგიჯდეს, ყიფიანს თამაშის საშუალება არ უნდა მისცეო. მწვრთნელის დავალება და ფეხბურთელის მიერ ამ დავალების გულმოდგინედ შესრულება განსაკუთრებით კარგად „აღიბეჭდა" ყიფიანის ჩალურჯებულ წვივებზე.

იეჟეკმა ასევე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო გუცაევს და შენგელიას, რომლებსაც პერსონალური მეურვეო-

ბის გარდა ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს ნოტენი და ბრარდი.

მაგრამ მაინც ვერ დაძლიეს ფსიქოლოგიური ბარიერი. თბილისში წაგებულმა მატჩმა ფაქტობრივად ყოველგვარი იმედი გადაუწურა ჰოლანდიელებს. ახლა მათ თამაში უნდა მოეგოთ ან 4:0 ან 5:1. იყო კიდევ ერთი რეალური ვარიანტი – 3:0 და შემდეგ დამატებითი ორი ტაიმი საკუთარ სტადიონზე.

ამიტომაც აღიარა ჰოლანდიელთა მწვრთნელმა როტერდამის მატჩის შემდეგ: „ფინალში გასვლის შესაძლებლობა 14 დღის წინ დავკარგეთ თბილისში“.

„ფეიენოორდის“ ფეხბურთელები ჩქარობდნენ. სამ ბურთს გაქვითვა უნდოდა, მოგებაზე კი შემდეგ უნდა ეფიქრათ. ამიტომ მათ შეტევას უფრო აზარტული ხასიათი ჰქონდა, ვიდრე გეგმაზომიერი. ბურთს ძირითადად ფლანგებიდან აწოდებდნენ და ბრძოლის მოგებას „მეორე სართულზე“ აპირებდნენ. შეუცდომლად მოქმედებდნენ ჩივაძე და ხინჩაგაშვილი. თუმცა პირველი ტაიმის დასასრულს კუთხურიდან ჩამოწოდებული მაღალი ბურთი მაინც გავიდა თბილისელთა კარში. გაბელია უყურადღებოდ გამოვიდა საჯარიმო მოედანზე, ბურთი თავში მოხვდა (დიახ, მოხვდა ამ სიტყვის სრული გაგებით) ბოუენსს და თბილისელთა კარის ბადეში გაეხვია.

გატანილმა ბურთმა აღაფრთოვანა ჰოლანდიელები, მეორე ტაიმიც თავბრუდამხვევი ტემპით დაიწყეს, თან მე-12 წუთზე ძალზე საეჭვო პენალტიც გაიტანეს, მაგრამ თბილისელები კვლავ აუღელვებლად მოქმედებდნენ. ორივე ტაიმის მანძილზე 11 კონტრშეტევას სამი გოლი მოჰყვა (შენგელია 2, გუცაევი 1), მაგრამ გოლები სრულიად გაუგებარი (იქნებ სრულიად გასაგები) მიზეზების გამო არ ჩაითვალა. ბოლო 20 წუთში განსაკუთრებით კარგად ითამაშა რამაზ შენგელიამ. მან მთელი დაცვა ისე შებოჭა, რომ თავდამსხმელთა მისაშველებლად წასვლას ნახევარმცველებიც კი ვერ ბედავდნენ.

მატჩის შემდეგ ყველანი გასახდელში ჩავედით. ბიჭებს საბოლოო გამარჯვება მივულოცეთ. „ცისფერმა ტრიომ" მრავალჟამიერი დააგუგუნა. ყველას ენით გამოუთქმელი სიხარული დაგვეუფლა. ვინ იცის, იქნებ ჩვეულებრივ გამარჯვებას არც კი მოეტანა ამდენი სიხარული. ჩვენს ემოციებს ის კოშმარული სიტუაცია აძლიერებდა, 90 წუთის განმავლობაში რომ მეფობდა მწვანე მინდორზე.

უმალვე ნოდარ ახალკაცს მივვარდი. „ნუთუ პროტესტს არ განაცხადებთ?" – ვკითხე მე. ნოდარმა ხელი ჩაიქნია: „ვის განვუცხადო პროტესტი? მატჩის კომისარი თამაშის წინაც კი არ შემოსულა ჩვენთან, არ მოგვსალმებია. მატჩის დამთავრებისთანავე დაუყოვნებლივ დატოვა სტადიონი. არ ვიცი, იქნებ უეფას შტაბბინაში იმსჯელონ კიდეც მსაჯის არნახული არაობიექტურობის თაობაზე".

ვუყურებდი დავით ყიფიანის დასისხლიანებულ ფეხებს და გული მეკუმშებოდა. აშკარა იყო, მის პერსონალურ მეურვეს, ვან ტილს, შესაშური გულმოდგინებით შეუსრულებია მწვრთნელის დავალება. დავით ყიფიანმა სევდანარევი ღიმილით მითხრა: მოგეხსენებათ, მსაჯი შეხვედრის წინ, როგორც წესი, შემოდის ხოლმე გასახდელში და ბუცებს გვიმოწმებს. რატომღაც დღეს არ გამოჩნდა, ეტყობა, ჩვენთან კონტაქტს თავიდანვე მოერიდაო.

გუნდის ექიმს ზაქრო თელიას ამოსუნთქვის საშუალება აღარ ჰქონდა. ხან შოთა ხინჩაგაშვილის გახეთქილ საფეთქელს ადებდა საფენებს, ხან დანარჩენი ფეხბურთელების დალურჯებულ წვივებს დასტრიალებდა.

* * *

დავით ყიფიანთან ერთად როტერდამის სასტუმრო „ატლანტის" ჰოლში ვსხედვართ და პრესას ვეცნობით. ჩვენ ხელთაა ცენტრალური გაზეთები: „დე ტელეგრააფი", „დე ფოლკსკრანტი" და ჰოლანდიელი კომუნისტების გაზეთი „დე ვარჰაიდ ენ დე გიფონი". ყველგან თავშეკავებული რეცენზიებია გამოქვეყნებული: ბუნებრივია, ორი მატჩის ჯამში წაგებული ნახევარფინალის გამო სათქმელი არაფერი ჰქონდათ. პირად საუბარში ბევრი ჰოლანდიელი გრძნობდა თავს უხერხულად მსაჯის არაობიექტურობის გამო. გამოქვეყნებულ სტატიებშიც ჟონავდა დარცხვენილ რეპორტიორთა მორიდებული, ნეიტრალური ტონი. ორივე ცენტრალური გაზეთი წერდა, ქართველებმა სამი ბურთი გაიტანეს, თუმცა მსაჯმა არ ჩათვალაო. მაგრამ რატომ არ ჩათვალა? სამართლიანი იყო მსაჯის გადაწყვეტილება თუ უსამართლო? ამაზე არაფერი იყო ნათქვამი. მხოლოდ კომუნისტური გაზეთი წერდა: პირდაპირ გასაოცარია, მსაჯმა თბილისელთა მიერ გატანილი ორი გოლი მაინც რატომ არ ჩათვალაო. ხოლო პენალტი თბილისელთა კარში ჰოლანდიელი თავდამსხმელის პროვოკაციული საქციელის შედეგად დაინიშნაო.

უცებ ვესტიბიულში „ფეიენოორდის" წარმომადგენელი გამოჩნდა; ღიმილით მიესალმა დავით ყიფიანს და სამახსოვროდ „ფეიენოორდის" სტადიონის ფერადი ფოტო აჩუქა. როცა ჰოლანდიელი სტუმარი გაბრუნდა, დათომ ფოტოს არც დახედა, ისე გადადო გვერდზე – არც ამ სტადიონის და არც გუშინდელი თამაშის გახსენება არ მინდაო.

ბუნებრივია, ამის შემხედვარეს გუშინდელი მატჩის თაობაზე აღარაფერი მიკითხავს. სამად სამი შეკითხვით ამოიწურა ჩვენი ინტერვიუ.

– რამდენადაც ვიცი, გუშინ თქვენთან ფრანგი მენეჯერები იყვნენ. რა უნდოდათ?

– „სენტ-ეტიენში" გადასვლა შემომთავაზეს რამდენიმე წლით. ყველანაირ პირობებზე თანახმა ვართ, ოღონდ ხელშეკრულება ახლავე გავაფორმოთო. მე მგონი, არ გაგიჭირდებათ გამოიცნოთ, რა პასუხს გავცემდი.

– კმაყოფილი ხართ, „კარლ ცაისი" რომ გავიდა ფინალში, თუ „ბენფიკა" გერჩივნათ?

– თუ მხოლოდ ფინალში გამარჯვებას ვგულისხმობთ, მაშინ „კარლ ცაისთან" მეტი შანსი გვაქვს მოგებისა. თუ გამარჯვებაა, ისეთ სახელოვან გუნდთან ჯობია გამარჯვება, როგორიც „ბენფიკაა". და, თქვენ წარმოიდგინეთ, მასთან დამარცხებაც უფრო საპატიოა.

– იცნობთ მომავალ მოწინააღმდეგეს?

– შორიდან, ტელევიზიით. ფაქტი ერთია, ისინი ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობენ. ძალზე დიდი დანაკლისია გუნდისათვის, შოთა ხინჩაგაშვილი რომ არ ითამაშებს. ახლა ნოდარ ხიზანიშვილმა უნდა აჯობოს თავის თავს. თავდასხმასაც მეტი აქტიურობა უნდა მოვთხოვოთ. ისეთი გუნდი, როგორიც „კარლ ცაისია", აკი თქვენ თვითონ ბრძანეთ, ვერ ეგუება ფინტსა და დრიბლინგს. ვლადიმერ გუცაევს მეტი სიმწვავე და სითამამე მართებს. რამაზ შენგელიამ კი ისე უნდა ითამაშოს, როგორც გუშინ ითამაშა. ბოლო ოცი წუთის მანძილზე თუ მაინც გავტეხეთ მოწინააღმდეგე, ეს რამაზის დიდი დამსახურება იყო. მისმა აქტიურმა და მაღალტექნიკურმა ფეხბურთმა, სწრაფმა და სწორმა მანევრირებამ არ მისცა ჰოლანდიელებს ამოსუნთქვის საშუალება.

– დიუსელდორფამდე მეტს აღარ შეგაწუხებთ, გისურვებთ, დიუსელდორფის სტადიონის სურათი გაგულისებულს გვერდზე კი არ გადაგედოთ, არამედ საგანძურად შეგენახოთ, როგორც თქვენი ბიოგრაფიის ერთ-ერთი სანუკვარი რელიკვია!

დაუვიწყარი ფინალი

„რაინშტადიონის" ტრიბუნებზე თამაშის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე გაჩაღდა შეჯიბრი ქართველ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსულ გულშემატკივრებს შორის.

გერმანელთა რიცხობრივი უპირატესობა აშკარა იყო. ისინი ათას ოცდაათნი იყვნენ. სამოც ქართველ გულშემატკივარს შემოუერთდა თბილისის უნივერსიტეტის მოცეკვავეთა ოცკაციანი ჯგუფი, აგრეთვე ისრაელიდან, იტალიიდან, ავსტრიიდან და თვითონ გფრ-ის სხვა ქალაქებიდან თამაშზე სპეციალურად ჩამოსული ოცდაათამდე ქართველი ებრაელი.

თამაშის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ტრიბუნაზე გამოჩნდა საარბრიუკენის პატარა დელეგაცია ქართველი ხალხისათვის კარგად ცნობილი რეჟისორის, ჰერმან ვედეკინდის ხელმძღვანელობით. მათ დიდი ტრანსპარანტი მოჰქონდათ ასეთი წარწერით – „თასი თბილისის „დინამოს"!"

მართალია, ცოტანი ვიყავით, მაგრამ, სამაგიეროდ, ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე ჩვენმა მოცეკვავეებმა ისეთი მრავალფეროვანი რიტმები „გაახურეს" დოლ-გარმონზე, ისე აგვიყოლიეს და აღგვაგზნეს, რომ ქართველ ქომაგთა პატარა ჯგუფმა თანდათანობით და საბოლოოდ აჯობა „კარლ ცაისის" მომხრეებს.

და აი, თბილისის „დინამო" და „კარლ ცაისი" ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ.

ამ დაუვიწყარ ფინალში ისინი შემდეგი შემადგენლობით გამოვიდნენ:

„კარლ ცაისი": გრაპენტინი, შნუპჰაზე, ბრაუერი, კურბიუვაიტი, შილინგი, ჰოპე (იოვერმანი), კრაუზე, ლინდემანი, ბილაუ (ტიოპფერი), რააბი, ფოგელი.

„დინამო": გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, სვანაძე (კაკილაშვილი), სულაქველიძე, დარასელია, შენგელია, ყიფიანი, გუცაევი.

მატჩი ორივე გუნდმა თავიდანვე აგრესიულად დაიწყო. ტემპიც მაღალი იყო. გაიხსენეთ ჩვენი დიალოგი დავით ყიფიანთან, სადაც გამოითქვა აზრი, „კარლ ცაისთან" გადამწყვეტი სიტყვა დრიბლიორებმა უნდა თქვანო, რადგან ფიზიკურად მძლავრი და მაღალი ფეხბურთელები ვერ ეგუებიან ფინტსა და დრიბლინგს. ჩვენი ვარაუდი სავსებით სწორი გამოდგა.

გავიხსენოთ გუცაევის ბრწყინვალე გასვლა მარცხენა ფრთიდან, როცა მან ოსტატური და ელვისებური ფინტებით ორი გერმანელი მცველი ისე მოატყუა, რომ ისინი პირაღმა გაიშხლართნენ მიწაზე.

გერმანელები ძირითადად ერთფეროვანი გრძელი გადაცემებით და ფიზიკური გამძლეობით ცდილობდნენ უპირატესობის მოპოვებას. ისინი ორი ან სამი გადაცემით უტევდნენ კარს, ამიტომაც მათ მოქმედებაში მოულოდნელობები არ იყო. არავითარი შენიღბული მანევრი არ იგრძნობოდა. მაშინ, როცა ყიფიანისა და მისი პარტნიორების მრავალგადაცემიანი კომბინაციები ყოველთვის იძლეოდა საშუალებას შეტევა მოედნის რამდენიმე წერტილიდან, რამდენიმე პოზიციიდან გაგრძელებულიყო. ამიტომაც გერმანელები ვერ ახერხებდნენ დამატებითი ძალები გადაესროლათ რომელიმე გარკვეული მიმართულებით, რადგან არ იცოდნენ, შეტევა საიდან განვითარდებოდა.

„დაბლა სართულზე" უპირატესობა აშკარად დინამოელთა მხარეს იყო. მოკლე მანძილებზე სისწრაფეში გუცაევმა და დარასელიამ აშკარად დაჯაბნეს მოწინააღმდეგეები. ასევე პატარა ფართობზე ბურთის დამუშავებაში გერმანელები აშკარად ჩამორჩებოდნენ ქართველებს.

ვფიქრობ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება, გუნდების საბრძოლო გეგმებს როგორი ანალიზი გაუკეთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთ „დი ნოიე ფუსბალ-

ვოხეს“ კორესპონდენტმა გიუნტერ ზიმონმა, და რამდენად თანხვდება იგი ჩვენს წარმოდგენებს.

„ტემპერამენტითა და აზროვნების თავისებურებებით ქართული და ჩვენი ფეხბურთი ერთმანეთისაგან მრავალი თვალსაზრისით განსხვავდება. მათი ერთმანეთთან შედარება არავითარ შედეგს არ მოგვცემს. მაინც სასარგებლოა, თვალი გადავავლოთ შესადარებელ მოვლენებს.

ავიღოთ თამაშის რიტმი: ჩვენ გვჩვევია საჯარიმო მოედნიდან გრძელი გადაცემით თავიდან ავიცილოთ სიძნელეები საკუთარ მოედანზე და მაშინვე შევუტიოთ მოწინააღმდეგის კარს. ეს რომ მხოლოდ დეტალი იყოს, კიდევ არა უშავდა რა, მაგრამ იგი ხომ უსაფრთხოების პრინციპიდან გამომდინარეობს, თანაც თამაშის აგებას, კონსტრუქციულობასაც ითვალისწინებს. მაგრამ საკუთარი დაცვის ხაზიდან მოწინააღმდეგისაკენ ასე შორს გაგზავნილი ყოველი მეორე ბურთი ხომ მოწინააღმდეგის ლუკმა ხდება, ე. ი. მათ ჩვენ თვითონვე ვაძლევთ უპირატესობას.

თბილისის „დინამო“ დიუსელდორფში სხვა გზას დაადგა. გუნდმა ჯერ შენიღბა გაბელიას სისუსტეები (შეცდომები ბურთის ხელში დაჭერისას, დისტანციაზე ბრძოლის სისუსტე), ყოველ ხელსაყრელ მომენტში მცველები მას ბურთს უკან აწვდიდნენ და მშვენივრად დაუწყნარეს კიდეც ნერვები.

როცა შეტევას თბილისელები იწყებდნენ, ბურთი დასეირნობდა ქართველ ფეხბურთელთა შორის მოკლე და გრძელი პასებით. ამ დროის გამყვანი სტილის ღრმა აზრი იმაში იყო, რომ დინამოელებს შეტევის ერთი კი არა, რამდენიმე კერა ჰქონოდათ. ყიფიანი და დარასელია პირდაპირ ტკბებოდნენ უზუსტესი პასებით, ასეთი დაბნეულობა რომ შეჰქონდა იენელთა რიგებში, რადგან გუცაევი და შენგელია დაუჯერებელი სისწრაფით კვლავ და კვლავ ირჩევდნენ თავისუფალ პოზიციებს. ვინც ამ ტაქტიკას დამაბნეველს უწოდებს, მართალიც იქნება.

ან დავაკვირდეთ თავისუფალ დარტყმებს: იენას ნამდვილად შეეძლო ლინდემანის, კურბიუვაიტისა და ფოგელის დარტყმებით დუელში გამოეწვია „დინამო“, მაგრამ დინამოელები საჯარიმო დარტყმებსაც იენელებზე ბევრად მრავალფეროვნად, ეშმაკურად და დახვეწილად ასრულებდნენ. ყველაფერი დაიწყო ყიფიანის მიერ ახლო კუთხეში ელვისებური სისწრაფით გაგზავნილი ბურთით (მე-3 წუთი). მერე მანვე მახვილი კუთხიდან პირდაპირ კარში დაარტყა, მაშინ, როცა ყველა ჩაწოდებას ელოდა (კურბიუვაიტმა ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი, 30-ე წუთი). გუცაევის საჯარიმოდან დარტყმული ბურთები ხმელი ფოთოლივით დაფრინავდა, რაც მეტოქეს თავგზას უბნევდა. სულაქველიძის დარტყმის მოგერიება გრაპენტინმა ფეხითღა შეძლო (37-ე წუთი). ყველაზე უკეთესი მაინც ყიფიანის დარტყმული ბურთი იყო, რომელმაც ცოცხალ კედელს გადაუარა და გრაპენტინი რომ არა, ანგარიში უკვე 51-ე წუთზე გაიხსნებოდა. სტანდარტული სიტუაციების ასეთ მრავალვეროფან გამოყენებას არაფერი აქვს საერთო ტემპერამენტთან და ხასიათთან. ამის სწავლა ყველას შეუძლია და ჩვენც უნდა ვისწავლოთ“.

დამეთანხმებით, გერმანელმა ჟურნალისტმა კარგად შენიშნა თბილისელთა თავისებურებანი.

სახიფათო მომენტები პირველი წუთებიდანვე შეიქმნა ორივე კართან. ჯერ ფოგელის დარტყმა რაღაც სანტიმეტრებით ასცდა კარს. შემდეგ ყიფიანის ოსტატურმა დარტყმამ ლამის მიაღწია მიზანს. მე-7 წუთზე გაბელიამ მოიგერია ლინდემანის მიერ სახიფათოდ ჩამოწოდებული კუთხური. სულ მალე ჩივაძის თავური დარტყმა ძლივს მოიგერია გრაპენტინმა, შემდეგ კი თავაძე და სულაქველიძე იყვნენ ახლოს მიზანთან.

თუ პირველი ტაიმის პირველი ნახევარი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მეორე ნახევარში თბილი-

სელებმა თანდათან იგდეს ხელში თამაშის სადავეები, თანდათან და ნათლად გამოიკვეთა არა მარტო მათი ტექნიკური უპირატესობა, არამედ შეტევის მრავალფეროვნება, მოულოდნელობა და იმპროვიზაციის უნარი. პირველი ტაიმი მაინც უგოლოდ დამთავრდა – 0:0.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე ბილაუს მიერ ჩამოწოდებული ბურთი რააბმა თავით გაგზავნა თბილისელთა კარისაკენ. ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს. სულ მალე შნუპჰაზეს უძლიერესი დარტყმა... ბურთი კვლავ მცირე მანძილით ასცდა კარს.

რა იყო ეს? იქნებ თბილისელებმა დათმეს უპირატესობა?

არავითარ შემთხვევაში! ქართველ ფეხბურთელთა თამაში იმდენად გააზრებული და დამაჯერებელი იყო, რომ ეს ორი მომენტი შემთხვევითი ეპიზოდების შთაბეჭდილებას უფრო ტოვებდა. თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რას ნიშნავს შემთხვევითობა ფეხბურთში.

თბილისელთა შეტევები უფრო და უფრო ლოგიკური და დამაჯერებელი ხდებოდა. თითქოს გამარჯვებას წინ აღარაფერი ედგა, მაგრამ უეცრად გათამაშდა „კარლ ცაისისათვის“ დამახასიათებელი სწრაფი კომბინაცია და ჰოპემ ბურთი თბილისელთა კარის ბადეში მოათავსა.

გატანილმა გოლმა როდი დააბნია თბილისელები. ეტყობა, შემდგომ ბრძოლაში თავისი სიტყვა თქვა დინამოელთა საერთაშორისო ტურნირებში მიღებულმა გამოცდილებამ, რაც ჯერ კიდევ როტერდამში გამოჩნდა „ფეიენოორდთან“ ორთაბრძოლისას. ამ ორმა დაძაბულმა მატჩმა აშკარად დაამტკიცა, რომ თბილისის „დინამო“ მარტო მაღალტექნიკური გუნდი როდია, რომელსაც შეუძლია მხოლოდ ეპიზოდურად გამოამჟღავნოს შესაძლებლობანი, არამედ მას შესწევს უნარი კრიტიკულ მომენტში ძალთა მობილიზებისა, სიმშვიდისა და გამარჯვების რწმენის შენარჩუნებისა, აგრეთვე გააზრებული (და არა

აზარტული) ბრძოლისა. სწორედ საკუთარ კარში გასული ბურთის შემდგომ პერიოდში გამოჩნდა დინამოელთა ნატიფი ხელოვნება. გუნდმა უფრო მაღალი სიჩქარე „ჩართო", თუმცა სწრაფი თამაში სულაც არ უშლიდა ხელს გადაცემები ზუსტი გამოსულიყო და კომბინაციებსაც იდეა შეენარჩუნებინა.

ორივე გოლი სოლო ხასიათისა იყო. სულ მალე გუცაევი ელვისებურად, ოსტატურად გავიდა მარჯვენა ფრთიდან... ულამაზესი დარტყმა და ანგარიში გათანაბრდა.

მატჩის დამთავრებას რამდენიმე წუთი აკლდა, როცა დავით ყიფიანმა უზუსტესი და მახვილგონივრული პასი მისცა ვიტალი დარასელიას. მიუხედავად ასეთი უზადო გადაცემისა, დარასელიას გოლი, პირადად მე, მაინც სოლო გოლად მიმაჩნია, ვინაიდან ბურთის მიღების შემდეგ მან ულამაზესი და ურთულესი „სლალომით" გაიარა სამ გერმანელ ფეხბურთელს შორის და მარცხენა ფეხით მეორედ გაახვია ბურთი „კარლ ცაისის" კარის ბადეში.

ამ გოლმა თბილისის „დინამოს" მოუტანა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი.

განა შეიძლება აღწერო, საფინალო სასტვენის შემდეგ რა დღეში ვიყავით ქართველი გულშემატკივრები ჯერ სტადიონის ტრიბუნებზე და შემდეგ ფეხბურთელთა გასახდელის წინ?

სიმღერას სიმღერა ცვლიდა, ცეკვას – ცეკვა. თასი ხელიდან ხელში გადადიოდა. ყველა ცდილობდა, სურათი გადაეღო სანუკვარი ნადავლით ხელში.

ალბათ ამიტომაც იყო, რომ მეორე დღეს გაზეთები სტატიებში თითქმის თამაშის ანალიზისოდენა ადგილს გვითმობდნენ ქართველ გულშემატკივრებს. ერთი გაზეთი იმასაც კი წერდა, ქართველებმა ჯერ ტრიბუნაზე, ხოლო შემდეგ გასახდელთან, ნამდვილი ფოლკლორული ფესტივალი მოაწყვესო.

ეტყობა, ერთ-ერთი გაზეთის კორესპონდენტი სასტუმროშიც გამოგვყოლია და ჩვენი საზეიმო ბანკეტისათვისაც უთვალთვალია. აი, რას წერდა ის მეორე დღეს:

„როცა უეფას პრეზიდენტმა, დოქტორმა არტემიო ფრანკიმ მიულოცა მათ ეს გამარჯვება და თასიც გადასცა, ფეხბურთელთა 48 თანამემამულემ, დიუსელდორფში შორეული საქართველოდან რომ ჩამოვიდა, ტრიბუნებზე გამარჯვების ფერხული გამართა. ეს ხალხი კახური ღვინის გარეშეც არ ფარავდა უდიდეს ბედნიერებას, მუყაოს ჭიქებიდან „კოკა-კოლას“ მიირთმევდა და შესანიშნავი დირიჟორის – დავით ყიფიანისა და არანაკლები რეჟისორის – ნოდარ ახალკაცის სადღეგრძელოებს წარმოთქვამდა. ზეიმი სასტუმროში დილამდე გაგრძელდა.

თასს დამსახურებული მფლობელი ჰყავს.

ევროპის თასს!“

კიდევ ერთი ნაწყვეტი გდრ-ის გაზეთ „იუნგე ველტიდან“:

„ხალხურ ცეკვებში ქართველები უდიდესი კმაყოფილების ნიშნად მთელ თავიანთ ტემპერამენტს აქსოვენ, ამის მოწმენი გავხდით ოთხშაბათს დიუსელდორფის „რაინშტადიონზე“. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალში თბილისის „დინამოს“ გამარჯვებისას ქართველმა გულშემატკივრებმა შეკრეს წრე, ყველა მღეროდა, ცეკვავდა... ბავშვებივით აღტყინებულნი იყვნენ. კიდევ მეტი: უეცრად მათ ხელში აღმოჩნდა ვერცხლის ნადავლი, რომელიც ის-ის იყო, უეფას პრეზიდენტმა, დოქტორმა არტემიო ფრანკიმ გადასცა დინამოელთა კაპიტანს, ალექსანდრე ჩივაძეს.

საბჭოელთა უპირატესობა ცხადზე ცხადი გახლდათ და მათ დამსახურებულადაც იზეიმეს იგი“.

თბილისის დინამოელთა გამარჯვება მარტო ქართული ფეხბურთის წარმატება როდი იყო. მთელი თავისი არსებობის განმავლობაში საბჭოთა საკლუბო ფეხბურთმა მეორედ მიაღწია ევროპული მასშტაბის გამარჯვებას (პირველად – კიევის „დინამომ“ 1975 წელს).

ქართული ფეხბურთის წარმატებას მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გაზეთები გამოეხმაურა. ალბათ კმაყოფილი იქნება

არგენტინელთა მწვრთნელი სესარ ლუის მენოტიც. ხომ ახდა მისი წინასწარმეტყველება, ფინალში ევროპის უძლიერესი გუნდი, თბილისის „დინამო“, გაიმარჯვებსო!

აქ მხოლოდ მოწინააღმდეგეთა გაზეთებიდან ამოკრეფილ მცირეოდენ ციტატებს მოვიყვან. ვფიქრობ, ყოველთვის საინტერესოა იცოდე, როგორ შეაფასა შენი გამარჯვება იმედგაცრუებულმა მეტოქემ.

„დოიჩეს შპორტეხო“ (15/16.5.81), გიუნტერ ზიმონი: „აშკარა იყო „დინამოს“ უპირატესობა ტექნიკაში, ბურთის ფლობასა და თამაშის აგებაში. როცა ისინი განუმეორებელი ყიფიანის მეშვეობით მინდორზე ჭადრაკის თამაშს იწყებდნენ, „კარლ ცაისს“ ისღა რჩებოდა, თავი დაეცვა“.

„დოიჩეს შპორტეხო“ (15/16.5.81), რაინერ ნახტიგალი: „რაოდენ წინააღმდეგობრივადაც უნდა ჟღერდეს, იენელთა წაგების მიზეზი მათ მიერ გატანილი გოლიც იყო...

თბილისის „დინამომ“ სავსებით დამსახურებულად მოიპოვა თასი, ვინაიდან ტექნიკურად უფრო სრულყოფილი გუნდია და მის შემადგენლობაში უფრო ძლიერი ინდივიდუალისტები თამაშობენ“.

კარგი ფინალი იყო, განაცხადა უეფას ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ჩეხოსლოვაკიელმა დოქტორმა ირამ. ეს აზრი ბევრმა გაიზიარა. და „კარლ ცაისმა“ უნდა იამაყოს იმით, რომ ეს შეფასება მისმა თამაშმაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა“.

„დი ნოიე ფუსბალვოხე“ (18.5.81), სათაური: „სოლისტების ბრწყინვალე გოლები“: „კარლ ცაისის“ მოგების შანსი შემდეგ გეგმას ემყარებოდა: იენელებს მეტოქე ფეხბურთელებისათვის თავდაუზოგავად უნდა შეეშალათ ხელი თამაშის აწყობაში, ყოველნაირად შეეზღუდათ მათი შემტევი მოქმედება, გაებათილებინათ მათი კონსტრუქციული (ყიფიანი, დარასელია, სულაქველიძე) და აგრესიული ძალები. გუცაევმა და შენგელიამ უმაღლეს საერთაშორისო დონეზე ითამაშეს!..

კრაუზესა და ყიფიანის დუელში დიდი ხნის განმავლობაში „თანაბარი ანგარიში" იყო, მაგრამ 30 წლის დიპლომიანმა იურისტმა თანდათან თავი დააღწია უშუალო მეტოქის მარწუხებს და ისეთი არტისტული ფეხბურთი ითამაშა, მხოლოდ მას რომ ახასიათებს...

„კარლ ცაისმა" უკეთეს გუნდთან წააგო, რომელსაც ბევრად მრავალფეროვანი ტექნიკური არსენალი აღმოაჩნდა. ეს შესანიშნავად გამოჩნდა გუცაევისა და დარასელიას გოლებშიც..."

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა დიდი სპორტული მიღწევებისათვის – ფეხბურთში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამარჯვებისათვის ამ ტურნირის მატჩებში გამოჩენილი ოსტატობის, ნებისყოფისა და ვაჟკაცობისათვის საპატიო წოდებები მიანიჭა თბილისის „დინამოს" უფროს მწვრთნელსა და მოთამაშეებს.

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა ნოდარ ახალკაცს.

სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდებები მიენიჭათ: ოთარ გაბელიას, თამაზ კოსტავას, ალექსანდრე ჩივაძეს, ნოდარ ხიზანიშვილს, შოთა ხინჩაგაშვილს, ვიტალი დარასელიას, თენგიზ სულაქველიძეს, დავით ყიფიანს, ვლადიმერ გუცაევს, რამაზ შენგელიას.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები გახდნენ:

გიორგი თავაძე, ზაურ სვანაძე, ნუგზარ კაკილაშვილი, ვაჟა ჟვანია, გიორგი ჭილაია.

მაგრამ აი, ჯერ კიდევ არ გაუვლია თბილისის დინამოელთა გამარჯვებით გამოწვეულ ვნებათა ღელვას, რომ კვლავ იწყება ახალი ევროპული ტურნირები, თბილისელები კვლავ თასის მფლობელთა თასის მოსაპოვებელ შეჯიბრში გამოვლენ. უეფას შტაბბინაში ჩატარებულმა წილისყრამ გამოავლინა ჩვენი პირველი მეტოქე – ავსტრიის „გრაცი".

თბილისის „დინამოს" ახლა სულ სხვა წონა და სახელი აქვს ევროპაში. აი, რას წერს ავსტრიის გაზეთი „ფოლკს-შტიმე" 1981 წლის 15 ივლისის ნომერში:

„დინამოელები, რომლებმაც 1980-81 წლების სეზონში კიეველი თანაკლუბელების შემდეგ (1975 წ.) სსრ კავშირში მეორედ ჩაიტანეს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი, თამაშის ყაიდით სამხრეთამერიკელ ბურთის ჯადოქრებს მოგვაგონებენ. ამაში ფეხბურთის ის გულშემატკივრებიც დარწმუნდებოდნენ, რომლებმაც ტელევიზიით იხილეს, თუ როგორ სძლიეს თბილისელებმა დიუსელდორფის ფინალში იენის „კარლ ცაისს". უაღრესად დახვეწილი ტექნიკა, ფინტები, იმპროვიზაცია, კომბინაციები და სამხრეთული ტემპერამენტი – აი, რა ახასიათებს ქართველთა თამაშის სტილს".

ეს პატარა ამონაწერი მოწმობს, როგორ აფასებენ დღეს ევროპაში თბილისის „დინამოს".

მაგრამ, მოდით, მაინც გავიხსენოთ ელემენტარული და ტრივიალური ჭეშმარიტება – სახელის მოპოვებაა ძნელი, დაკარგვა ძალზე ადვილია.

ფეხბურთს მრავალი ამაღელვებელი თვისების გვერდით ერთი უხერხული თვისება აქვს – საზეიმო განწყობილებას მხოლოდ მისი დღევანდელი და ხვალინდელი დღე ქმნის.

ჩვენ გამოუსწორებელი ოპტიმისტები ვართ და მტკიცედ გვჯერა ქართული ფეხბურთის უფრო დიდი ხვალინდელი დღისა!

1981

ფეხბურთის სამშობლოში

„ნისლიანი“ ინგლისისთვის ტრადიციული ეპითეტია. თითქოს სხვანაირად ვერც კი წარმოგვიდგენია – ნისლიანი ინგლისი, ნისლიანი ლონდონი. ასეთი გვახსოვს ინგლისი დიკენსის, გოლზუორთის და სხვათა ნაწარმოებებიდან, ათასგვარი ჟურნალისტური ჩანაწერებიდან თუ ტურისტული შთაბეჭდილებებიდან.

და აი, სამსაათნახევრიანი ფრენის შემდეგ ჩვენმა თვითმფრინავმა ლონდონს მიაღწია. მრგვალ ილუმინატორებში უხვად იღვრებოდა მზის სხივები. ჩვენ ქვემოთ გრანდიოზული ლონდონია, ხოლო ლონდონის თავზე – კაშკაშა მზე. არათუ ნისლი, ღრუბლის პატარა ნაგლეჯიც კი არსად ჩანს.

ხარბად დავცქერით თორმეტმილიონიან ქალაქს. თვალში გვხვდება ჩრდილოეთისათვის დამახასიათებელი რუხი ფერი და ალაგ-ალაგ ცაში აჭრილი ცისფერი ცათამბჯენები. უზარმაზარი მწვანე პარკები და წითელი ინგლისური ავტობუსები. ასეთია ლონდონის პალიტრა ზემოდან.

თვითმფრინავიდან გადმოვდივართ: აეროდრომზე ტევა არ არის. ყოველ წუთს ჯდება ახალი თვითმფრინავი. ერთმანეთს ენაცვლებიან უზარმაზარი „ბოინგები“, პანამერიკული ლაინერები, „დუგლასები“ და ულამაზესი „კარაველები“. აეროპორტის ხალხმრავალი შენობა ტურისტებითაა სავსე: ერთმანეთში ირევიან ბრაზილიელები, იტალიელები, ჩილელები, ინდოელი დიდებულები, აზიელები, აფრიკელები...

საბუთების უკანასკნელი შემოწმება და გავდივართ ბარიერს იქით. წინ ქერა ჭაბუკი შემოგვეგება და საკმაოდ სუფთა რუსულით მოგვესალმა. მომცრო ტანისაა, ღრმად

ჩამჯდარი ცისფერი თვალები აქვს და ოდნავ ხუჭუჭი, ქერა ბაკენბარდები. ეს ჩვენი თარჯიმანია, მისტერ დევისი.

ავტობუსისაკენ გაგვიძღვა.

ინგლისში მოძრაობა მარცხენა მხარესაა და ახალბედები გადასასვლელზე დაფეთებული აქეთ-იქით აწყდებოდნენ. მე და რამდენიმე ჩვენგანს უკვე საკმაო გამოცდილება გვაქვს შვედეთიდან, სადაც აგრეთვე მარცხენა მოძრაობაა და მანქანების ორომტრიალში გამოცდილი ინგლისელებივით დავაბიჯებთ.

ავტობუსმა, როგორც იქნა, თავი დააღწია მანქანების მორევს და ფართო ავტოსტრადაზე გავიდა.

– ჩვენ ახლა მივემართებით ვიქტორიას სახელობის სადგურისაკენ, საიდანაც პირველივე მატარებლით სანდერლენდს გავემგზავრებით! – გვიცხადებს მიკროფონით მისტერ დევისი.

დიდი ვერაფერი ნუგეშია! ექვს საათში „უემბლიზე" იხსნება მსოფლიო ჩემპიონატი, ჩვენ კი ამ დროს ალბათ მატარებელში ვისხდებით. მისტერ დევისი გვამშვიდებს, თუ პირველი საათის მატარებლით გავემგზავრეთ, თამაშის ნახვას ტელევიზორით მოვასწრებთო.

ბევრმა ტრანზისტორი აამუშავა. ავტობუსის ნათელ სალონს მოეფინა სასიამოვნო ჯაზური მელოდიები. რადიოში არც კი იგრძნობა, რომ სულ რამდენიმე საათში საზეიმოდ უნდა გაიხსნას ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი. უკვე გამოჩნდა ლონდონი. ავტობუსი შეუერთდა მანქანების უზარმაზარ ნაკადს. საერთოდ დავკარგე იმედი: არათუ პირველ მატარებელს ვერ მივუსწრებთ, ალბათ, საერთოდ ვერ მივაღწევთ ვიქტორიას სადგურამდე-მეთქი.

ავტობუსი ნელა მიჰყვება მანქანების მდინარეს. ვაკვირდები ქუჩებს; შეიძლება უნებურად გაიფიქრო კიდეც, სხვა ქალაქში ხომ არ მოვხვდიო. უკვე ერთი საათია, ლონდონის

ქუჩებში ვმოძრაობთ და ვერსად დავინახეთ ერთი პლაკატი, სუვენირი ან რეკლამა, რომელიც კაცს გაახსენებდა, რომ დღეს აქ უნდა აღიმართოს მსოფლიო ჩემპიონატის ალამი.

შორიდან კი ყველაფერი როგორ გვეჩვენებოდა... ლონდონში დაქრიან გერმანელი, იტალიელი, ფრანგი, ესპანელი, ბრაზილიელი ტურისტების მანქანები. სასტუმროების ფანჯრებზე ფრიალებს ჩემპიონატში მონაწილე ქვეყნების ეროვნული დროშები. მაღაზიები სავსეა სუვენირებით, ქუჩებს ამშვენებს „ვილის" უზარმაზარი სურათები. სასტუმროები ველარ იტევენ ტურისტებს, ბევრი ღამეს მანქანაში ათევს. ერთი წუთითაც არ ცხრებიან ჟურნალისტები, ტელეტაიპები მთელი ოცდაოთხი საათის განმავლობაში გადასცემენ საფეხბურთო ცნობებს...

სინამდვილეში, როგორც შემდეგ დავრწმუნდით, ეს ყველაფერი ასეც იყო, მაგრამ ინგლისის უზარმაზარმა დედაქალაქმა შთანთქა ყველაფერი. ამდენი ადამიანი და ამხელა აჟიოტაჟი ლონდონმა ისე შეისრუტა, როგორც გვალვისაგან დახეთქილი მიწა შეიწოვს წყალს.

მაშინ ეს ჩვენ არ ვიცოდით და ვცდილობდით აგვეხსნა, რა იყო ამის მიზეზი. მაგრამ როგორ? ჯერ ორი საათიც კი არ იქნება, რაც ინგლისის მიწაზე დავეშვით, მას შემდეგ კი სულ ავტობუსში ვსხედვართ. განა ასე შეიძლება სრულიად უცხო ქვეყანაზე რაიმე დასკვნა გააკეთო ან რამე გამოიცნო? ბოლოს და ბოლოს, რა ვიცით ჩვენ ინგლისელებზე?

ტრადიციულად, ბავშვობიდან, ინგლისსა და ინგლისელებზე ასეთი შეხედულება მქონდა: ინგლისი ნისლიანი ქვეყანაა. ინგლისელები ძალიან ამაყი და ცივი ხალხია. მთელს მსოფლიოშია განთქმული მათი სიდინჯე. ქუჩაში მანქანები რომ ერთმანეთს შეასკდნენ, არცერთი ინგლისელი იქით არ გაიხედავს, ერთი წუთითაც არ შეჩერდება. ინგლისელები დიდ ყურადღებას აქცევენ ჩაცმას. არათუ საზოგადოებრივ

ადგილებში და ქუჩაში, ეზოშიც კი ვერავინ გაბედავს, ხალვათად ჩაცმული გამოვიდეს.

ჩვეულებრივ, დაახლოებით ასეთი წარმოდგენა აქვს ინგლისსა და ინგლისელებზე იმ ადამიანს, რომელიც არასდროს ყოფილა დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე. ასეთივე წარმოდგენისა ვიყავი მეც. ამიტომ საზღვარი არ ჰქონდა ჩემს გაკვირვებას, როცა ავტობუსის ფანჯრებიდან ვხედავდი ცნობისმოყვარე და მოღიმარ ინგლისელებს. ისინი მანქანებიდან გვეკითხებოდნენ, რომელი ქვეყნიდან ხართო. არც ჩაცმულობაზე ეტყობოდათ რაიმე განსაკუთრებული.

მერეც, როცა ინგლისელებს უფრო ახლოს გავეცანით, სულაც არ აღმოჩნდნენ ცივები და მიუკარებლები. პირიქით, ინგლისელები ძალზე გულისხმიერი და ყურადღებიანი ხალხი ყოფილა.

სადაც უნდა იყოთ, სტუმრად თუ მაღაზიაში, მიღებაზე თუ სკოლაში, მასპინძლები თვალებში მოგჩერებიან, ცდილობენ გამოიცნონ, რა გაწუხებთ, რა გსურთ, ხომ არაფერი გეწყინათ, თავს უხერხულად ხომ არ გრძნობთ.

ერთხელ ქალაქ პეტერლეში კარტოფილის ფაბრიკის მეპატრონემ მიგვიწვია. ამ ქარხნის სიმბოლოა მეფე ჰენრი VIII და მისი ექვსი ცოლი. როდესაც ჩვენი ავტობუსი ფაბრიკის მწვანე ეზოში შევიდა, პატარა, ძველებურ ფარდულში უცნაური სანახაობა წარმოგვიდგა – დიდებულ ტანსაცმელში გამოწყობილი მეფე და ექვსი დედოფალი. ავტობუსიდან გადმოვედით თუ არა, „მეფე" და მისი „ცოლები" მხიარულად შემოგვეგებნენ. მისალმების შემდეგ გამოვთქვით სურვილი, მეფესა და მის ცოლებთან სურათი გადაგვეღო. ყველანი ირგვლივ შემოვერტყით. ფაბრიკის მეპატრონე შორიახლოს იდგა და ღიმილით მოგვჩერებოდა. სურათის გადაღების დროს ერთმა ჩვენგანმა დააგვიანა. გულდაწყვეტილი სრულიად გამოგვეყო, შეუმჩნეველად განზე გადგა, ფაბრიკის თა-

ნამშრომლებს შეერია და რაღაც სტენდს დაუწყო თვალიერება. ეს არ გამოჰპარვია ფაბრიკის მეპატრონეს. როცა სურათი გადავიღეთ და დავიშალეთ, მასთან მივიდა და თავაზიანად სთხოვა, თუ შეიძლება თქვენთან ერთად სამახსოვრო სურათს გადავიღებო. ისიც სიხარულით დაეთანხმა. ფაბრიკის პატრონმა იხმო მეფე და მისი ცოლები, ფოტოგრაფი და ყველაფერი ისე მოაგვარა, თითქოს მართლა სურდა სტუმართან სურათის გადაღება.

ინგლისში ყველა ისე იცვამს, როგორც სურს. ამას არავინ აქცევს ყურადღებას. ეს პირველსავე წუთებში შევნიშნეთ, როცა ავტობუსის ფანჯრებიდან დავინახეთ ლამაზ შარვლებში გამოწყობილი ახალგაზრდა თუ ხანში შესული ქალები. ქუჩაში უმთავრესად სპორტულ ყაიდაზე აცვიათ: ნაქსოვი პიჯაკები, ჯემპრები, სვიტრები, კოვბოური შარვლები, ტყავის ქურთუკები.

ინგლისში აქვთ ერთი პრინციპი: უნდა ჩაიცვა ისე, რომ არავისგან გამოირჩეოდე, ყურადღება არ უნდა მიიქციო. რაც შეეხება ტრადიციულ კოსტიუმებს, ისინი მხოლოდ მიღებაზეა სავალდებულო და, როგორც მისტერ დევისმა გვითხრა, სასურველია მუქი ფერისა იყოს.

თუმცა არისტოკრატები და მდიდარი საქმოსნები მაინც ვერ ელევიან ძველებურ ელეგანტურ კოსტიუმებსა და ცილინდრებს.

ლონდონის ქუჩებში დაქრიან ათასგვარი მარკის მანქანები: მდიდრული „იმპერიალები“, ამერიკული „ლინკოლნები“ და „კონტინენტალები“, გერმანული „მერსედესები“, ინგლისური ულტრათანამედროვე ფორმის ორადგილიანი „იაგუარები“... შეხვდებით ძველებურ, ტრადიციულ „როლს-როისებსაც“.

დღესაც ვერ გამიგია, რა მოსწონთ ინგლისელებს ამ უზარმაზარი და უშნო მანქანისა, რომელიც უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ამერიკული „ლინკოლნი“.

„როლს-როისები" განსაკუთრებით არისტოკრატებს და მილიონერებს უყვართ. იგი ხომ სუფთა ინგლისური მოვლენაა, ე. ი. უკვე ტრადიციაა. ინგლისელები კი ტრადიციას აფასებენ! თუმცა, ამაზე ქვემოთ.

ჩვენი წარმოდგენები ინგლისსა და ინგლისელებზე სულ ერთი საათის განმავლობაში დაიმსხვრა. ამას კიდევ ერთი უმთავრესი რამ დაემატა – უკანასკნელ წლებში ნისლი ინგლისის ძალზე იშვიათი სტუმარი გამხდარა. ხანდახან სამი წელი ისე გაივლის, რომ ნისლი თურმე ერთხელაც არ ჩამოწვება ლონდონის ქუჩებში.

ავტობუსი ვიქტორიას სახელობის ვაგზალზე მივიდა. მატარებელმა, რასაკვირველია, გაგვასწრო. შემდეგი მატარებლის მოლოდინში პერონზე მოთავსებულ პატარა მაღაზიებს ვათვალიერებთ. აქ უკვე ბევრი სუვენირი ვნახეთ, რომელზეც „ვილი" იყო ამოტვიფრული. იყიდებოდა უამრავი ხილი. საკმარისია თვალი გადაავლო მაღაზიის ვიტრინებს, რომ მაშინვე იგრძნობ: უძველეს და უძლიერეს კოლონიურ სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თავისი ძალა. რომელი ქვეყნის ნაყოფს არ შეხვდები აქ: ავსტრალიური ანანასები და აფრიკული ბანანები, სამხრეთამერიკული ყურძენი და ინდური ხურმა, ნესვი და ფორთოხალი, ვაშლი და ქოქოსის კაკალი.

ფულის გადახურდავებას მხოლოდ მეორე დღისთვის დაგვპირდნენ. ვაგზლის მაღაზიებში რომ დავდიოდით, თავი მუზეუმში გვეგონა, სადაც არაფრისათვის არ შეიძლება ხელის ხლება, მხოლოდ უნდა შეხედო, თვალი შეავლო. გამყიდველები გვიღიმოდნენ, ათასგვარ საქონელს გვთავაზობდნენ. პასუხად ჩვენც ვიღიმებოდით... ოღონდ უხერხულობისაგან.

ბოლოს მატარებელი ჩამოდგა.

ბედად იმ ვაგონში მოვხვდი, სადაც ბუფეტი იყო. ბედად-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ჩემი ფანჯარა პირდაპირ ბუფეტს გაჰყურებდა და შემეძლო დავკვირვებოდი ინგლი-

სელებს. ისიც კი მოვახერხე, რომ მისტერ დევისი გვერდით მოვისვი.

მებუფეტე ძალზე მაღალი, გრძელფეხება ჭაბუკი იყო; ძალზე თეთრი პირის კანი და შავი თმა ჰქონდა.

ეს ბიჭი სრულებით არა ჰგავს ინგლისელს-მეთქი, ვუთხარი მისტერ დევისს.

– პირიქით, – მიპასუხა მან, – მე სწორედ ასეთებად წარმომიდგენია ძველი ინგლისელი არისტოკრატები.

გამიკვირდა, მაგრამ ხმა არ ამომიღია. შემდეგ სულ ვაკვირდებოდი ინგლისელ მამაკაცებს, მაგრამ დღესაც ვერ მივმხვდარვარ, რატომ იყო ის ბიჭი ძველი ინგლისელი არისტოკრატის ტიპი.

ბუფეტში ძირითადად ახალგაზრდა ბიჭები შემოვიდნენ და კედელზე მიმაგრებულ თაროებთან ჩამწკრივდნენ. თითოეულ მათგანს წინ ხუთი-ათი მრგვალი ფერადი კოლოფი მაინც ედგა. ამ კოლოფებზე შორიდანაც შეიძლებოდა გაგერჩია მკვეთრი ფერის წარწერები – „ლუდი“, „კოკა-კოლა“, „პეპსი-კოლა“. მხოლოდ სვამდნენ და სიგარეტს ეწეოდნენ. კოლოფებიდან სასმელს პატარა ლერწმის ღერებით წრუპავდნენ. ზოგიერთი მთვრალი იყო. მათ შორის ერთი მომცრო ტანის ბიჭი ყველაზე მეტს ლაპარაკობდა. გამიკვირდა: ვიცოდი, რომ ინგლისში 18 წლის ასაკამდე ახალგაზრდებს მაგარ სასმელებს არ აძლევენ. თუმცა, ღმერთმა იცის, რამდენი წლისა იყო. შეუჩვეველ ადამიანს გაუჭირდება ინგლისელის ასაკის გარკვევა.

დროდადრო ფანჯარაში ვიცქირები, მატარებელი საშინელი სისწრაფით მიქრის. ნაცრისფერი ქუჩები ძველებურად მოჩანს. ვეღარ გავარკვიე, ბოლოს და ბოლოს, გავცდით ამ უზარმაზარ ლონდონს, უკვე სხვა ქალაქში ვართ თუ არა.

ბუფეტის თაროებზე კი ლითონის კოლოფები მატულობდა, ბიჭებმაც უფრო ხმამაღლა დაიწყეს ლაპარაკი. ალკოჰოლი ნელა, მაგრამ მაინც აკეთებდა თავის საქმეს.

მისტერ დევისს მივუბრუნდი. სიტყვა ლიტერატურაზე ჩამოვუგდე. მას კემბრიჯის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული, რუსული ლიტერატურის განხრით. ვთხოვე, მოეთხრო რამე თანამედროვე ინგლისურ ლიტერატურაზე, ახალგაზრდა მწერლებზე. ბოდიში მომიხადა და მითხრა, ვერაფერს გეტყვი, თანამედროვე ინგლისურ ლიტერატურას ძალიან ცუდად ვიცნობო. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გავიგე, რომ მას საერთოდ არ გაეგონა, ვინ იყვნენ გრემ გრინი და სომერსეტ მოემი.

– კარგად ვიცნობ პუშკინს, ლერმონტოვს, ტურგენევს. ეს ჩემი სპეციალობაა. დანარჩენი მწერლები კი არ მჭირდება, – მიპასუხა, როცა ჩემს სახეზე გაოცება ამოიკითხა.

ეს დიალოგი შემთხვევით არ მომიტანია, ინგლისში ასეთი ლოგიკა იგრძნობა ყველგან და ყოველგვარ საქმიანობაში.

მატარებელი კი მიქრის და მიქრის. ფანჯრიდან მოჩანს პურის ყანები და კარტოფილის პლანტაციები, შემდეგ პატარა ქალაქები თუ სოფლები. ისინი საოცრად ჰგვანან ერთმანეთს და... ლონდონს. გეგონება, ლონდონი უბნებად დაუშლიათ და აქ გადმოუტანიათო.

მალე ჩვენ თვალწინ გადაიშალა დიდი, რუხი ქალაქი და უზარმაზარი სარკინიგზო ხიდები.

– ნიუკასლი! – თქვა მისტერ დევისმა და ფეხზე წამოდგა. – აქ სხვა მატარებელში გადავსხდებით. ერთ საათში სანდერლენდში ვიქნებით.

* * *

ივლისის გრილი დილაა. რესტორანში ვსხედვართ და საუზმის მოლოდინში ფანჯრიდან ვიცქირებით. რესტორანი მეოთხე სართულზეა. აქედან თითქმის მთელი სანდერლენდი მოჩანს. გადაღმა შენობის თავზე ფრიალებს ინგლისის, საფრანგეთისა

და აშშ-ის ეროვნული დროშები. იქ თურმე ამ სამი სახელმწიფოს საკონდიტრო ნაწარმის გამოფენა ყოფილა.

რესტორანი ეკუთვნის ფირმა „ბინსს“. სანდერლენდში თითქმის ყველა მაღაზია ამ ფირმას ეკუთვნის, თვით ეს შენობა კი წარმოადგენს ამ საფირმო ქსელის მთავარ ობიექტს. პირველი სამი სართული მხოლოდ სავაჭროდაა განკუთვნილი. მეოთხე სართული უზარმაზარი დარბაზია. ამ დარბაზის ნახევარი რესტორანს უჭირავს, ნახევარზე კი ისევ სავაჭრო დახლებია განლაგებული. იქვე ჰყავთ მოხდენილი მანეკენები, დროდადრო მაგიდებს შორის დადიან და მოსადილე ხალხს ახალ ტანსაცმელს აჩვენებენ.

სანდერლენდი პატარა ქალაქია და აქ უფრო იგრძნობა მსოფლიოს ჩემპიონატის სუნთქვა. ქუჩები სავსეა უცხოელი ტურისტებით და გულშემატკივრებით... ყველას მაინც იტალიელები სჭარბობენ. ხუთი ათასამდე „ტიფოზი“ დაბანაკდა სანდერლენდსა და მის გარეუბნებში.

იტალიელ გოგონებს ტანზე სამფერი კაბები ეცვათ. კაბის ფერები იტალიის ეროვნული დროშის ფერებს შეესაბამებოდა. ისინი ქუჩებში აწყობდნენ დემონსტრაციებს, მოჰქონდათ დროშები, პლაკატები, ტრანსპარანტები. ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდნენ „ფორცა, იტალია!“ („წინ, იტალია!“). რეკავდნენ ხელის ზარებს, აღრიალებდნენ რაღაც უცნაურ საყვირებს, რომლებიც დაწნეხილი ჰაერით სავსე პატარა ბალონებთან იყო მიერთებული. შეძახილებიც ისეთი რიტმული და მელოდიური ჰქონდათ, იტალიელებს რომ შეჰფერით.

უცხო სტადიონზე გულშემატკივარი ძალიან ბევრს ნიშნავს. იმ დღეს, როცა ჩვენი ფეხბურთელები სანდერლენდიდან ლივერპულში გადაფრინდნენ გფრ-ის ნაკრებთან შესახვედრად, ჩვენ ლონდონში გავემგზავრეთ. საბჭოთა სპორტსმენები აშკარად გამოხატავდნენ შეშფოთებას, ლივერპულში ძველებურად ვეღარ გაგვამხნევებს საბჭოთა გულშემატკივრების შეძახილებიო.

ჩემპიონატის დაწყებამდე იტალიელთა მწვრთნელი ფაბრი უმოწყალოდ ტრაბახობდა, ოქროს ქალღმერთს სამუდამო ბინას იტალიაში მივუჩენო. მას დიდი იმედი ჰქონდა იტალიელი „ტიფოზებისა“. ხუთი ათასი ექსპანსიური იტალიელი ხუმრობა არ გეგონოთ, – ამბობდა იგი, – თავს ისე ვიგრძნობთ, თითქოს მშობლიურ იტალიაში ვთამაშობდეთო.

ალბათ, ფაბრი მარტო იტალიელი „ტიფოზების“ იმედით იყო ჩამოსული. „ტიფოზებმა“ გააკეთეს ყველაფერი, რაც შეეძლოთ. ამას ვერ ვიტყვით „სკუადრა აძურაზე“, რომელიც ასე სამარცხვინოდ გამოეთიშა ჩემპიონატს.

იმ დღეებში შეიძლებოდა ინგლისში თავისებური მსოფლიო ჩემპიონატიც კი მოგეწყოთ გულშემატკივართა შორის.

ვის არ ნახავდით ინგლისში: აქ იყვნენ იტალიელი „ტიფოზები“, ესპანელი „აფისონადოსები“, ბრაზილიელი „ინჩასები“... თავდაპირველად ყველაზე მეტნი იტალიიდან და ბრაზილიიდან ჩამოვიდნენ. თანდათანობით იმატა გერმანელთა რიცხვმა, ფინალურ მატჩზე „უემბლის“ ტრიბუნებზე 15 ათასი გერმანელი იჯდა.

სპორტულ პრესაში ხშირად წერენ ექსპანსიურ, ტემპერამენტიან სამხრეთელ გელშემატკივრებზე. ეს ასეცაა, მაგრამ რაც უნდა გასაოცრად მოგვეჩვენოს, მე მაინც მიმაჩნია, რომ ჩრდილოელი გულშემატკივრები გაცილებით უფრო ენერგიულნი და „ბრძოლისუნარიანნი“ არიან.

ამაში ჯერ კიდევ შვედეთში დავრწმუნდი, „როსუნდას“ სტადიონზე. ყოველი ტრიბუნის წინ იდგა „დირიჟორი“. ისინი შვედეთის ეროვნული დროშით ხელმძღვანელობდნენ ტრიბუნებს. გულშემატკივრები ერთხმად გაჰყვიროდნენ ფეხბურთელების გასამხნევებლად საგანგებოდ შეთხზულ ლექსს, რასაც მოაყოლებდნენ ხოლმე თავიანთ ცნობილ „ჰეია, ჰეია, ჰეიას“. ტრიბუნა ტრიბუნას ენაცვლებოდა და ასე შეუნელებლად ყვიროდნენ მთელი მატჩის განმავლობაში.

ინგლისელებმა კი, როგორც იტყვიან, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს. მუსიკალურად საკმაოდ რთულ რიტმზე გაჰყვიროდნენ: „ინგლანდ!"

თითქმის ყველას ხელში ეჭირა დიდი ბრიტანეთის დროშა. მათ არც გერმანელები ჩამორჩებოდნენ. ყვირილი დაიწყო ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე. შეძახილები თანდათან უფრო ძლიერდებოდა. შიგადაშიგ ყვირილს სიმღერა ენაცვლებოდა. ინგლისელები მღეროდნენ ამერიკელი შავკანიანების მელოდიას „როცა სულები შედიან სამოთხეში". მთელი სტადიონი რაღაც ფანატიკური გატაცებით ასრულებდა სიმღერას. მერე ვინმე ერთი ისევ იწყებდა ცნობილ რიტმს დოლზე, ისევ ისმოდა ტაშის რიტმული ქუხილი და ომახიანი „ინგლანდ!"

იტალიელი გულშემატკივრები ტიპური სამხრეთული ხასიათის გულშემატკივრები არიან. ისინი მხოლოდ მაშინ ამხნევებენ თავიანთ გუნდს, როცა ის კარგად თამაშობს, მხოლოდ მაშინ იფეთქებენ, როცა მათი სათაყვანო ფეხბურთელები უტევენ. პირველსავე მარცხზე ჩუმდებიან და ყურებს ჩამოყრიან ხოლმე.

ინგლისელებს უფრო შესძლებიათ თავიანთი გუნდის მხარდაჭერა-მეთქი, ვუთხარი ჩვენს თარჯიმანს, მისტერ დევისს. მან გაიცინა და მითხრა: „აბა გლაზგოში, „ჰემპდენ პარკზე" დაესწარით თამაშს. შოტლანდიელების ღრიალთან შედარებით ეს ყვირილი მოცარტის ნანად მოგეჩვენებათ".

შოტლანდიელი გულშემატკივრები ძირითადად ორ ნაწილად იყოფიან – კათოლიკეებად და პროტესტანტებად. ყველაზე დიდი სეირი თურმე მაშინ იმართება, როცა ერთმანეთს მათი სათაყვანებელი გუნდები ხვდებიან. სტადიონზე ბილეთებს პროტესტანტებისათვის ცალკე ყიდიან, კათოლიკეებისთვის – ცალკე. მაგრამ ცემა-ტყეპის გარეშე მაინც არცერთი თამაში არ ჩაივლის და ტრიბუნებზე დაწყებული მერე ქუჩებშიც გრძელდება. აქ თურმე არც ტრამვაისა და მატარებლების გადაბრუნება ყოფილა უჩვეულო ამბავი.

დღეს იტალიელი ტიფოზები „ისვენებენ“. საბჭოთა გულშემატკივრებს კი მიდლსბროს „ეირსომ პარკის“ სტადიონის ტრიბუნებზე დიდი „ბრძოლა“ გვაქვს გადასატანი.

მისტერ დევისი გაზეთებში გუშინდელი მატჩის მიმოხილვას გვიკითხავს. ინგლისმა წაიფორხილა. ურუგვაისთან საყაიმო ანგარიშმა ყველას გუნება გაუფუჭა და იმედი დაუკარგა.

გააფთრებული ჟურნალისტები თავს ესხმოდნენ ინგლისელთა მწვრთნელს ალფ რამსეის. უხეში სიტყვებით ლანძღავდნენ – „პროფანს“, „შტერსა“ და „გამოთაყვანებულსაც“ კი უწოდებდნენ. მწარედ მოთქვამდნენ, დაიღუპა ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შანსიო. გაზეთის ამავე გვერდზე მოეთავსებინათ ბრაზილიელთა მწვრთნელის, ვისენტე ფეოლასა და იტალიელთა დამრიგებლის, ედმონდო ფაბრის უზარმაზარი, მოღიმარი პორტრეტები და მათი ინტერვიუები. სწორედ მაშინ გამახსენდა ნაპოლეონის სიტყვები – დიადიდან სასაცილომდე მხოლოდ ერთი ნაბიჯიაო. ვინ იფიქრებდა, რომ სულ რამდენიმე დღის შემდეგ...

გუშინ მატარებელმა მაინც კარგ დროს ჩამოგვიყვანა სანდერლენდში, ვაგზლიდან პირდაპირ სატელევიზიო დარბაზში აღმოვჩნდით.

ინგლისელთა თამაშმა არც ჩვენზე დატოვა ისეთი შთაბეჭდილება, მომავალ მსოფლიო ჩემპიონებს რომ შეეფერებოდათ. ურუგვაელებმა არა მარტო გაუძლეს ინგლისელთა იერიშებს, არამედ დროდადრო ნამდვილი ვირტუოზული ტრიუკებითაც ხიბლავდნენ მაყურებლებს, მათი მისამართით ხშირად გაისმოდა აღტაცებულ გულშემატკივართა ტაში.

სატელევიზიო გადაცემა ინგლისში ნამდვილად უმაღლეს დონეზე დგას. თითოეულ თამაშს სამჯერ-ოთხჯერ გვიჩვენებდნენ, ყველა მთავარ მომენტს კი შენელებულადაც გადმოსცემდნენ. ფეხბურთის მატჩებს კომენტარს უკეთებდნენ ინგლისის ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი უოლ-

ტერ უინტერბოტომი და წარსულში სახელგანთქმული ინგლისელი ფეხბურთელები – ბილ რაიტი, დენი ბლენჩფლაუერი და ტომ ფინი. გადაცემები და შეხვედრები იმდენად ოსტატურად მიჰყავდათ ინგლისელ კომენტატორებს, რომ აღტაცებას ჩვენი კოტე მახარაძეც ვერ მალავდა.

ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ მადამ ტიუსოს ცვილის ქანდაკებათა ცნობილ მუზეუმში მთელი განყოფილება უჭირავთ ბი-ბი-სის დიქტორებსა და თანამშრომლებს; ისინი მიკროფონით ხელში არიან გამოძერწილნი. მოპირდაპირე მხარეს, სპორტულ განყოფილებაში კი მოჩანს პელეს, ჯიმი გრივსის, სტენლი მეტიუზის, ტომ ფინის, კასიუს კლეისა და სხვა სახელმოხვეჭილ სპორტსმენთა ფიგურები. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ამ ფიგურებს ალბათ ცოტა შეავიწროვებენ: ფიქრობენ, რომ მათ მხარს დაუმშვენებს ბობი მურის, ბობი ჩარლტონისა და ეუსებიოს ცვილის ქანდაკებები.

ინგლისელთა ფრე ურუგვაელებთან ჩემპიონატის პირველი სენსაცია იყო.

დღეს კიდევ სამი მატჩი შედგება. შეფილდში ერთმანეთს ხვდებიან გფრ და შვეიცარია, ლივერპულში – ბრაზილია და ბულგარეთი, მიდლსბროში – კორეა და სსრკ.

ამ სამი ქალაქიდან სად იყო მოსალოდნელი ჩემპიონატის მორიგი სენსაცია?

ყველა სპორტული მიმომხილველის, სპეციალისტისა და გულშემატკივრის თვალი მიპყრობილი იყო მიდლსბროსაკენ, სადაც სულ რამდენიმე საათის შემდეგ უნდა ამოხსნილიყო „კორეის ამოცანა“.

სწორედ იქ, „ეირსომ-პარკის“ მწვანე მოედანზე ელოდნენ „სენსაცია №2“-ის დაბადებას.

სანდერლენდსა და მიდლსბროს შორის არის ერთი პატარა საუნივერსიტეტო ქალაქი დარემი. ჩემპიონატის წინ სწორედ იქ დაბანაკდნენ სსრ კავშირის, იტალიისა და ჩილეს ეროვ-

ნული გუნდები. ისინი ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ და ვარჯიშობდნენ. ერთმანეთს არაფერს უმალავდნენ, ან რა უნდა დაემალათ? მათ ხომ ძველი ნაცნობობა აკავშირებდათ. მაგრამ სად იყო ამ ქვეჯგუფის მეოთხე გუნდი – კორეის ნაკრები?

კაციშვილმა არაფერი იცოდა. თვით ყველაზე ალღოიანმა ჟურნალისტებმაც კი ვერ გაიგეს კორეელთა ასავალ-დასავალი. ისინი უკანასკნელ წუთებამდე საიდუმლოდ ვარჯიშობდნენ. ცნობისმოყვარეობას ვერ მალავდნენ გულშემატკივრები და ფეხბურთის სპეციალისტები. ღელავდნენ ფეხბურთელები, განსაკუთრებით კი საბჭოთა სპორტსმენები, რომლებსაც პირველებს უნდა ამოეხსნათ „კორეის ამოცანა“. და აი, 12 ივლისს, მიდლსბროს „ეირსომ პარკის“ სტადიონზე ყველას თვალი მიპყრობილი იყო ვიწრო გასასვლელისაკენ, სადაც წუთი წუთზე უნდა გამოჩენილიყვნენ კორეელი ფეხბურთელები.

ორკესტრმა უკვე დატოვა მოედანი. მინდორზე პირველნი საბჭოთა სპორტსმენები გამოვიდნენ და მოთელვა დაიწყეს. დროდადრო ისინიც იმ ვიწრო კარისაკენ იცქირებოდნენ, საიდანაც საიდუმლოებით მოცული თერთმეტი ფეხბურთელი უნდა გამოსულიყო. ბოლოს და ბოლოს დადგა ეს წუთიც. აწრიალდნენ ფოტორეპორტიორები, აჩხაკუნდა აპარატები. გამოჩნდნენ ტანმორჩილი, მაგრამ მოძრავი და მოქნილი კორეელი ფეხბურთელები. საბჭოთა სპორტსმენებმა ვარჯიში სანახევროდ შეწყვიტეს და მოწინააღმდეგენი შეათვალიერეს. მაგრამ მათ არც სახით იცნობდნენ, არც გვარებით, და ნომრებით ხომ სულ ვერაფერს გაიგებდნენ (ნომრები ჩემპიონატში ფეხბურთელებს წინასწარ წარდგენილი სიის მიხედვით აწერიათ). თითქოს ახლა სჭირდებოდათ ჩვენს სპორტსმენებს გამხნევება და საბჭოთა გულშემატკივრებმაც ომახიანად შემოსძახეს: „Ни пуха, ни пуха, ни пуха, ни пера!“

თამაშის შემდეგ ფეხბურთელებმა თქვეს, ამ შეძახილებმა საოცრად გაგვამხნევა, თითქოს მხრებიდან რაღაც მძიმე ტვირთი მოგვხსნესო.

დაიწყო თამაში და... კორეა სრულებითაც არ აღმოჩნდა ხელწამოსაკრავი გუნდი. მართალია, თამაში საბჭოთა ნაკრებმა მოიგო (3:0), მაგრამ სულ ადვილად შეიძლებოდა ანგარიში სხვაგვარი ყოფილიყო. კორეელები იბრძოდნენ ფანატიკური თავგანწირვით, მონდომებით და... გაბოროტებით. საკმარისი იყო მოწინააღმდეგე წასჯახებოდათ, რომ მაშინვე მიწაზე პროვოკაციულად გაგორებულიყვნენ. შემდეგ იფურთხებოდნენ და გასარტყმელადაც კი იწევდნენ. კორეელთა ერთ-ერთი შეტევის დროს მურთაზ ხურცილავამ მოედნის ცენტრში უხეშად ითამაშა და ნააქცია მათი ფეხბურთელი. აზარტში შესული მურთაზი უმალ გამოერკვა და მოწინააღმდეგეს წამოსაყენებლად მივარდა. წაქცეულმა კორეელმა მას მუშტი შეაგება. ასეთი შეტაკებები, რასაკვირველია, არ გამოჰპარვიათ საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილ ჟურნალისტებს. მეორე დღეს ერთ-ერთი გაზეთი წერდა: „ვინც ამბობდა, საბჭოთა ნაკრები გუნდი ძლიერი არ არისო, ძალიან ცდებოდა. იგი ძალიან ძლიერია, უფრო მეტიც, წარმოუდგენლად ძლიერია, თუმცა ამას თვითონვე მიხვდებით, როცა მათ შემადგენლობას ჩამოგითვლით: მეკარე კავაზაშვილი. დანარჩენები ჯო ლუისი, ფლოიდ პატერსონი, სონი ლისტონი, კასიუს კლეი და მათ შორის ყველაზე სახიფათო როკი მარჩიანო – იგივე მურთაზ ხურცილავა".

ასე რომ, ჩვენი ათი ფეხბურთელი ინგლისელებმა მსოფლიოს ათ აბსოლუტურ ჩემპიონს შეადარეს კრივში.

თუმცა შემდეგ თამაშზე, როცა საბჭოთა ფეხბურთელებმა სძლიეს იტალიის ნაკრებს, გაზეთებმაც ცოტა შეცვალეს ტონი: მურთაზ ხურცილავამ ფეხის გაქნევის საშუალება არ მისცა იტალიელთა სახელგანთქმულ ცენტრფორვარდს სან-

დრო მაცოლას. იგივე გაზეთი წერდა: „ხურცილავა ისე დაჰკანკალებდა და უფრთხილდებოდა მაცოლას, თითქოს ყველა აქცია მასზე ჰქონოდა დაბანდებული“. მეორე გაზეთი კი მურთაზს ასეთი ეპითეტით ამკობდა: მთვლემარე დათვში პანტერამ გაიღვიძაო.

კოტე მახარაძე ყოველი თამაშის შემდეგ ოცდაორ საბჭოთა ჟურნალისტსა და ფეხბურთის სპეციალისტს სთხოვდა, ნიშნებით შეეფასებინათ საბჭოთა ნაკრების თითოეული ფეხბურთელის თამაში. ერთადერთი სპორტსმენი, რომელსაც ყველამ ხუთიანი დაუწერა, მურთაზ ხურცილავა იყო.

კორეელებთან რომ ხუმრობა არ შეიძლებოდა, ეს შემდგომ მატჩებშიც გამოჩნდა. მათ ფრედ დაამთავრეს შეხვედრა ჩილელებთან და გადამწყვეტ ორთაბრძოლაში სძლიეს ჩემპიონობის რეალურ პრეტენდენტად მიჩნეულ იტალიის „ცისფერ გუნდს“. სხვათა შორის, ყოველი მატჩის წინ ჟურნალისტები ადგენდნენ საპროგნოზო ანგარიშებს. იტალია-კორეის შეხვედრის წინ საბჭოთა სპეციალისტებს შორის ერთადერთი კაცი იყო ბორის პაიჭაძე, რომელმაც თქვა, კორეა მოიგებსო, და ანგარიშიც კი გამოიცნო – 1:0.

ყურები ჩამოყარა ხუთი ათასმა ექსპანსიურმა იტალიელმა გულშემატკივარმა. სანდერლენდის ქუჩებში აღარ ისმოდა ზარების რეკვა, საყვირების ყურის წამღები ღრიალი. აღარსად ჩანდა იტალიის დროშებითა და ფერადი წარწერებით მორთული ავტომანქანები. აღარ ისმოდა მათი ყვირილი – „ფორცა, იტალია!“ იმედებით აღსავსე მოლოდინი და „ცისფერი გუნდის“ მწვრთნელის ფაბრის დაპირება – ოქროს ქალღმერთს საბოლოოდ შევინარჩუნებთო, საპნის ბუშტივით გასკდა. გაცოფებულმა იტალიელმა ჟურნალისტებმა და სპეციალისტებმა ფაბრის სთხოვეს, სასწრაფოდ მოეწყო პრესკონფერენცია. პრესკონფერენციამ საიდუმლოდ ჩაიარა და მას მხოლოდ იტალიელები დაასწრეს. საბჭოთა დელეგაციი-

დან პრესკონფერენციაზე მაინც შეიპარა ჟურნალისტი ალექსანდრე კიკნაძე. იგი იტალიელს ჩამოჰგავს და ეჭვი არავის აუღია, რომ ამ საიდუმლო თავყრილობაზე უცხოელს ისწრებდნენ.

იტალიელმა ჟურნალისტებმა ფაბრი არ დაინდვეს და შეურაცხმყოფელი კითხვები დააყარეს. საშა კიკნაძე აღტაცებული იყო ფაბრის რაინდული თავდაჭერილობით და დიდი ტაქტით, რომელსაც იგი ყველაზე კრიტიკულ მომენტში იჩენდა.

კიკნაძე, ალბათ, მართალია, როცა ფაბრის ასე ახასიათებს, მაგრამ, როგორც მწვრთნელმა, მან ელემენტარულადაც ვერ დაგვანახვა თავისი ღირსებანი. იტალიის ნაკრების ფიასკო სანდერლენდში ყველაზე სამარცხვინო იყო „ცისფერი გუნდის" არსებობის მთელი ისტორიის განმავლობაში. იტალიელთა თამაში ადრეც მინახავს, მოვხიბლულვარ მათი ვირტუოზული ტექნიკით. ახლა თითქმის არ შეიძლებოდა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული ფაკეტის ცნობა, ძალზე სუსტად გამოიყურებოდა სამივე მატჩში. ცუდად თამაშობდნენ რივერა და მაცოლა, პასკუტი და ბულგარელი. რა იყო ამის მიზეზი? ახლა ძნელია ამაზე ლაპარაკი. იტალიაში ჩასვლისას ფეხბურთელებმა ყველაფერი ექიმს დააბრალეს, რაღაც წამლებს გვასმევდა თამაშის წინ, ენერგიის მოზღვავების ნაცვლად ვმძიმდებოდით და გუნება გვიფუჭდებოდაო.

დღეს უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება ფაკეტის განცხადება, მე ერერა სხვანაირ თამაშს მასწავლიდა, ფაბრი კი ინგლისში მაიძულებდა, სულ სხვანაირად მეთამაშაო.

ფაბრი ჩემპიონატის დღეებში ძალზე ღელავდა: ვერ გადაეწყვიტა, რომელ მატჩში ვინ გამოეყვანა. ფეხბურთელებიც დაბნეულები ჩანდნენ. წინასწარ არცერთმა არ იცოდა, ვის მოუწევდა თამაში. მწვრთნელის მღელვარება მათაც გადაედოთ. დაკარგეს სიმშვიდე, საკუთარი თავის რწმენა. მოედანზე ვეღარ იცნობდით თანამედროვე ფეხბურთის

ვარსკვლავებს. მიუხედავად იტალიელთა ასეთი მარცხისა, მე მაინც მიმაჩნია, რომ იტალიის ნაკრები ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია მსოფლიოში. ყველა გააოცა ჩილელთა უგერგილო თამაშმაც: თითქოს მოვალეობის მოსახდელად ჩამოსულიყვნენ ინგლისში. მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი, ჩილელთა კაპიტანი სანჩესი იტალიასთან მატჩში თითქმის მთელი ორი ტაიმი იდგა და რეზინს ღეჭავდა. როგორც გაზეთ „ფუტბოლში" მოსწრებულად დაწერა ვსევოლოდ ბლინკოვმა, ის თითქოს იმიტომ იყო გუნდში, რომ საჯარიმოები დაერტყა. საჯარიმოებს კი მართლაც დიდებულად ურტყამდა. ანზორ კავაზაშვილი ვერც კი ბედავდა ტყვიასავით წამოსული მბრუნავი ბურთის ხელში დაჭერას და მუშტით იგერიებდა.

ქვეჯგუფში გამარჯვება საბჭოთა გუნდმა იოლად გაინაღდა. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს იყო ძლიერ ბრძოლებში მოპოვებული წარმატება. მათმა თამაშმა ჩილეს ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ ერთგვარად გულიც კი გაგვიტეხა. დასამშვიდებლად ისღა დაგვრჩენოდა, რომ ამ მატჩში თითქმის მთლიანად მეორე შემადგენლობა იყო გამოყვანილი.

და აი, უნგრეთის ნაკრებთან თამაშის წინ, ანდრეი სტაროსტინმა განაცხადა:

– სატურნირო ბრძოლა გათავდა. იქ კიდევ შეიძლებოდა ეშმაკობა, ფრეზე თამაში და რაღაც-რაღაცების გათვალისწინება. ნამდვილი ჩემპიონატი ახლა იწყება, რადგან ამ ეტაპზე უკვე აღარ არსებობს უკან დასახევი გზა. ღმერთმა ქნას, ჩვენებმა მოიგონ, მაგრამ... – და სტაროსტინმა მხრები აიწურა.

არა მარტო სტაროსტინს, ბევრს და მათ შორის ამ სტრიქონების ავტორსაც, არ ჰქონდა ნაკრების გამარჯვების იმედი. ანდა რა იმედი უნდა გვქონოდა, როცა მეტისმეტად სუსტად გამოიყურებოდნენ ბანიშევსკი და მალოფეევი – ნაკრების მთავარი არტილერია. რაც შეეხება მარცხენა გარემარბს, ის ხომ გუნდში საერთოდ არ არსებობდა.

და მაინც, უნგრეთს მოვუგეთ. ამ წარმატებას ჩვენ ისევ მცველებისა და მეკარის შესანიშნავ თამაშს უნდა ვუმადლოდეთ. ბოლოს და ბოლოს, საბჭოთა ნაკრებმა გადალახა ის ზღუდე, რომელიც წინა ორ ჩემპიონატში ვერ დაძლია.

უნგრელები რატომღაც თავიდანვე შეშინებულები გამოვიდნენ მოედანზე. ჯერ კიდევ თამაშის წინ ინტერვიუში განაცხადეს, გვირჩევნია, ისევ ბრაზილიას ვხვდებოდეთ, ვიდრე საბჭოთა კავშირსო.

მართლაც, თუ გადავხედავთ მათ ორთაბრძოლებს წარსულში, იქ საბჭოთა ფეხბურთელებს დამაჯერებელი უპირატესობა აქვთ: სამი მოგება, ორი ფრე და ერთი წაგება. ბურთების სხვაობა – 9:6.

უნგრელები აშკარად ღელავდნენ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მათ მატჩი ჯერ კიდევ დაწყებამდე წააგეს.

მოთელვის დროს ბორის პაიჭაძემ გვითხრა, დააკვირდით, ალბერტი კოჭლობსო. იმ დღეს ალბერტმა მართლაც ვერ ითამაშა ისე, როგორც საერთოდ სჩვევია, ბურთის ტარებას ერიდებოდა, ეტყობოდა, ფეხი აწუხებდა. ამ მღელვარებას ისიც დაემატა, რომ მატჩის დებიუტში უნგრელთა მეკარეს ბურთი ხელიდან გაუვარდა და ჩისლენკომ ანგარიში გახსნა.

მეორე ტაიმის დასაწყისში, როცა ჩვენებმა ანგარიში გაზარდეს, უნგრელები თითქოს დამშვიდდნენ. დაიწყო ხანგრძლივი შტურმი. საბჭოთა ფეხბურთელები საკუთარ საჯარიმო მოედანს მიაჯაჭვეს. უნგრელებმა აჩვენეს შესანიშნავი, გააზრებული და მაღალტექნიკური ფეხბურთი. გაიტანეს ერთი საპასუხო ბურთი. იყო მომენტი, როცა ანგარიშის გათანაბრებას წინ თითქოს აღარაფერი ედგა, მაგრამ... რაკოშიმ მოახერხა ისეთი ბურთის გაფუჭება, რომლის მსგავსს მდიდარი ფანტაზიის პატრონიც ვერ წარმოიდგენდა.

როგორც იტყვიან, გამარჯვებულს არ ასამართლებენ. საბჭოთა ნაკრებმა დიდ წარმატებას მიაღწია საერთაშორისო ასპარეზზე. მეოთხე ადგილი ბევრი გუნდის ოცნება იყო.

მახსოვს, იტალიის ნაკრებთან თამაშის შემდეგ, როცა კოტე მახარაძემ, ჩვეულებისამებრ, სპეციალისტებს ნიშნებით შეაფასებინა საბჭოთა კავშირის ფეხბურთელების თამაში, მარტინ მერჟანოვმა ვორონინს ხუთიანი დაუწერა, თუმცა ვორონინს იმ დღეს მაინცდამაინც კარგად არ უთამაშია.

– კი მაგრამ, – ვკითხეთ ჩვენ, – ვორონინს ერგებოდა დღევანდელი თამაშისათვის ხუთიანი?

– იცით რა, მეგობრებო? ვორონინმა დღეს ვერ ითამაშა ხუთიანზე, მაგრამ, როცა მას ვუყურებდი, მიხაროდა, რომ მოედანზე იყო ერთი მაღალი კლასის ფეხბურთელი. სლავა მეტრეველი რომ გამოეყვანათ, მაშინ იქნებოდა ორი მაღალი კლასის ფეხბურთელი, თუ მათ მიხეილ მესხიც დაემატებოდა, მაშინ უკვე სამი მაღალი კლასის ფეხბურთელი და, თქვენ იცით, რას ნიშნავს, როცა მოედანზე სამი მაღალი კლასის ფეხბურთელია?

მერჟანოვი არ ტყუოდა. სულ სხვაა შედეგი, სულ სხვაა კლასი. რა თქმა უნდა, იმაზე უკეთესი არაფერია, როცა შედეგი კლასის შესაფერ დონეზე დგას (ძირითადად ეს ასე ხდება), მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრმა გუნდმა, რომელმაც ცხრილში ჩვენ ქვემოთ დაიკავა ადგილი, მაყურებელთა უფრო დიდი სიმპათია დაიმსახურა, ვიდრე საბჭოთა ნაკრებმა. ამის მაგალითია ბრაზილია, უნგრეთი, არგენტინა.

სწორედ აქ იჩინა თავი ცალკეული ფეხბურთელებისა თუ მთლიანად ნაკრების კლასის ამბავმა და თამაშის კულტურამ.

ცნობილმა მსაჯმა ნიკოლაი ლატიშევმა თვითმფრინავში თქვა და, მგონი, შემდეგ ოფიციალურადაც განაცხადა: ჩვენს გუნდს, მიუხედავად კარგი შეფასებისა, ინგლისში აშკარად აკლდა გულშემატკივართა სიმპათია (ფეხბურთის სანახაობრივი მხარისა და თამაშის კლასის თვალსაზრისით). შეიძლება მოედანზე მიხეილ მესხის გამოყვანას ბევრი არაფერი შეემატებინა ჩვენი ნაკრების შედეგისათვის, მაგრამ მისი

ფინტები და საოცრად ლამაზი თამაში სწორედ იმ სიმპათიას შეგვმატებდა, რომელიც ასე სჭირდებოდა ჩვენს გუნდსო.

ლატიშევი სრულ სიმართლეს ამბობდა! ახლა, როცა მსოფლიო ჩემპიონატი დიდი ხანია დამთავრდა, ბევრი რამის გაანალიზება შეიძლება. გუნდის წვრთნაში აშკარად იყო დაშვებული შეცდომები. მწვრთნელის ხელი არ ეტყობოდა საბჭოთა ფეხბურთელებს, მათ ტექნიკურ აზროვნებას, ცალკეულ სპორტსმენთა შორის ფუნქციების განაწილებას. ეს იგრძნობოდა თითქმის ყველა მატჩში და, განსაკუთრებით, პორტუგალიის ნაკრებთან თამაშის დროს; მაგრამ ჩვენ ახლა არ ვაპირებთ ჩემპიონატის შედეგების დაწვრილებით ანალიზს.

საბჭოთა ნაკრებმა თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია და მტკიცედ გავიდა საერთაშორისო ფეხბურთის დიდ ასპარეზზე. ჩვენს ფეხბურთელებს ახლა ყველა სერიოზულ ძალად მიიჩნევს და აფასებს. არ დამავიწყდება, უნგრეთთან თამაშის წინ სასტუმროს ვესტიბიულში შეგვხვდა მსოფლიოში სახელგანთქმული მწვრთნელი, არგენტინელი ელენიო ერერა.

ჩვენ მას ვუთხარით, უთუოდ ფიქრობთ, რომ უნგრეთი მოიგებს-თქო. მან პროტესტის ნიშნად თავი გააქნია და თქვა: „ნოო, რუსია!“ და ანგარიში 2:1 ხელის თითებით გვანიშნა. მისი წინასწარმეტყველება ახდა. მოგეხსენებათ, ერერას არ უყვარს ჰაერზე ლაპარაკი.

ჩემპიონატის „სენსაცია №2“ კი სწორედ იქ მოხდა, სადაც თითქმის არავინ ელოდა. ბრაზილიელთა უძლეველობის მითი ლივერპულის „გუდისონ პარკის“ სტადიონზე, უნგრელებთან მატჩში დაიმსხვრა, პორტუგალიელებთან ორთაბრძოლაში კი – საბოლოოდ გაცამტვერდა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და უკანასკნელი საფეხბურთო ტაქტიკის კანონმდებელი კორეის სუსტ გუნდზე უკან აღმოჩნდა.

უხერხულიც კია, კაცმა აქ ლოგიკის რაიმე ნიშანწყალს დაუწყო ძებნა. პირველსავე ეტაპზე ჩემპიონატს გამოეთიშნენ

ბრაზილია, ესპანეთი, იტალია, ჩილე, საფრანგეთი. კაცმა რომ თქვას, თავისუფლად შეიძლებოდა ამ გუნდებს ჩაეტარებინათ მცირე მსოფლიო ჩემპიონატი, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატის კანონი ულმობელია (უსამართლოც და უხეიროც რომ არის, ამას უკვე დიდი ხანია ამბობენ, მაგრამ პროტესტის ხმა ჯერ-ჯერობით რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა).

1965 წელს, ბრაზილია – სსრკ-ის მატჩის წინ, მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზე დავესწარი ბრაზილიელთა ვარჯიშს. მაშინვე ვესაუბრე ბრაზილიელთა მწვრთნელს, ვისენტე ფეოლასა და მასაჟისტს, მარიო ამერიგოს.

– რას ფიქრობთ ინგლისის ჩემპიონატზე? – ვკითხე ვერცხლის წყალივით მოძრავ მასაჟისტს.

– ალბათ მომიწევს მესამე ბურთის მოპარვაც! – მომიგო სხარტად.

მან ხომ ორჯერ უკვე მოიპარა ბურთი ფინალური მატჩების შემდეგ, როცა ბრაზილიამ ჯერ მოიპოვა, შემდეგ კი შეინარჩუნა მსოფლიოს ჩემპიონობა.

ბრაზილიელები არაფერს იშურებდნენ, რომ მესამედ მოეპოვებინათ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. სურვილს არ მალავდნენ და საკმაოდ ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი.

განა მარტო ბრაზილიელებს სჯეროდათ საკუთარი გუნდის გამარჯვებისა! ყველა ქვეყნის ფეხბურთის სპეციალისტთა და ჟურნალისტთა დიდ უმრავლესობას სწამდა, რომ ოქროს ქალღმერთი უკანასკნელად გადასერავდა ატლანტის ოკეანეს და საბოლოოდ აღმოჩნდებოდა ბრაზილიელთა ტყვეობაში.

ბრაზილიელებმა ისიც იცოდნენ, ინგლისი ყველა ღონეს იხმარდა, რომ მსოფლიო ჩემპიონობა ხელიდან არ გაეშვა. საკუთარი კედლები, გულშემატკივართა არმია, ფეხბურთში მეთორმეტე თავისუფალი მოთამაშეა და მსოფლიო ჩემპიონებმა თავიდანვე მოინდომეს ამ მეთორმეტე მოთამაშის კეთილგანწყობა მოეპოვებინათ. ინგლისელ გულშემატკივარ-

თა გულის მოსაგებად ბრაზილიელებმა ასეთი წინადადება წამოაყენეს: თუ რომელიმე გუნდი შეძლებდა „ოქროს ქალღმერთის“ საბოლოოდ შენარჩუნებას, ახალ თასს დარქმეოდა უინსტონ ჩერჩილის სახელი.

მხოლოდ სამ გუნდს ჰქონდა ამის შანსი: იტალიას, ურუგვაისა და ბრაზილიას. ამ სამ გუნდს შორის ბრაზილიელთა უპირატესობა აშკარა იყო.

ინგლისელები მსოფლიო ჩემპიონების წინადადებას დუმილით შეხვდნენ. იქნებ სტენლი როუზი, ძველი დიპლომატიური ქვეყნის შვილი, არ ჩქარობდა პასუხის გაცემას? ან იქნებ მას ყველაფერი წინასწარ ჰქონდა განჭვრეტილი?

პელემ თაფლობის თვე ევროპაში გაატარა და ინგლისსაც ესტუმრა. მან ჟურნალისტებს განუცხადა: „ინგლისის გუნდი ძლიერია, თუმცა აკლია ერთი რამ, რაც მე ვიცი, მაგრამ არ იცის რამსეიმ. მე რამსეის არ ვეტყვი ამ საიდუმლოს. ფინალში შევხვდებით ჩვენ და ინგლისი. გამარჯვებას ისევ ბრაზილიელები მოვიპოვებთ“.

პელემ ეს სიტყვები მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე თქვა. მის განცხადებაში მაშინ ალბათ მარტო ნიჰილისტებს თუ შეეპარათ ეჭვი. ლივერპულში კი მოხდა ისეთი რამ, რასაც ამ ორი თვის წინ ვერცერთი გულშემატკივარი ვერ წარმოიდგენდა – ბრაზილია ქვეჯგუფიდანაც ვერ გავიდა, ორჯერ დამარცხდა, ორჯერვე ერთი და იმავე ანგარიშით – 1:3. მსოფლიო ჩემპიონებს სძლიეს უნგრელებმა და პორტუგალიელებმა.

როცა მსოფლიო ჩემპიონები საბოლოოდ დამარცხდნენ, გაზეთებში გამოქვეყნდა წერილები უზარმაზარი სათაურებით: „რიო-დე-ჟანეირო ითხოვს ფეოლას თავს“, „მღელვარება ბრაზილიაში“, „ბრაზილიელებმა დაარბიეს პორტუგალიელთა მაღაზიები და კლუბები“. შემდეგ კი გამოქვეყნდა პატარა ინფორმაციაც, რომელმაც ძალზე ააღელვა ფეხბურთის ქომაგე-

ბი. ბრაზილიელებმა სთხოვეს დანიის მთავრობას, მათთვის დაერთოთ ნება, ორი კვირა გაეტარებინათ დანიის კუთვნილ რომელიმე პატარა კუნძულზე, სადაც თავს გაარიდებდნენ აბეზარ ჟურნალისტებსა და ფოტორეპორტიორებს. ისინი ვერ ბედავდნენ სამშობლოში დაბრუნებას და იმედი ჰქონდათ, რომ ბრაზილიის მოსახლეობა ამ ორი კვირის განმავლობაში შეურიგდებოდა ლივერპულის უბედურებას და ცოტათი მაინც დაშოშმინდებოდა.

„დეილი მირორმა“ გამოაქვეყნა ერთი ფოტოსურათი, რომელიც ლივერპულის აეროდრომზე გადაეღოთ. ბრაზილიელთა მწვრთნელი ვისენტე ფეოლა დაღონებული და გულზე ხელებგადაჭდობილი, ლონდონში გამგზავრების წინ, საცოდავად დაჰყურებს თავის ჩემოდანს.

დიახ, ლივერპული იყო ბრაზილიელთა ვატერლოო.

– დამარცხების მიზეზი ბევრია, – განუცხადა ჟურნალისტებს ფეოლამ, – ფეხბურთელებს კი ყველაზე მეტად უნებისყოფობას ვუსაყვედურებ. ეტყობა, ამ მხრივ არ იყვნენ სათანადოდ მომზადებულნი. გარდა ამისა, ჩვენ ყველა უხეშად გვეთამაშება. ჯერ კიდევ ჩემპიონატამდე გამოვიდნენ მწყობრიდან ჩვენი უძლიერესი ფეხბურთელები. ქვეჯგუფშიც ბულგარელები და პორტუგალიელები ძალზე უხეშად გვეთამაშნენ. მხოლოდ უნგრელების თამაშით ვარ კმაყოფილი, ისინი ვაჟკაცურად და ათლეტურად იბრძოდნენ. შეცდომები კი გვქონდა, ნამდვილად გვქონდა.

ფეოლამ აღარ ისურვა ელაპარაკა თავის შეცდომებზე, შეცდომა კი მართლაც ბევრი ჰქონდა ბრაზილიელთა სახელგანთქმულ მწვრთნელს, მაგრამ ამაზე ქვემოთ. ერთი კი არის: ამ სამი ჩემპიონატის განმავლობაში ბრაზილიელი ფეხბურთელები ითვლებოდნენ და ითვლებიან ყველაზე კორექტულ, სუფთა და თავაზიან მოთამაშეებად. ბრაზილიელი ფორვარდები მაშინაც კი, როცა მოწინააღმდეგის უხეშობის გამო

იძულებული არიან, მოედანი დატოვონ, არ კარგავენ ტაქტის გრძნობას და მხოლოდ იღიმებიან, თითქოს დამნაშავეს ამშვიდებენო.

ბრაზილიელებს რომ უხეშად ეთამაშებოდნენ, ამაში ბრალი მარტო მოწინააღმდეგეებს როდი მიუძღვით! მსაჯებიც ბევრს სცოდავდნენ. ისეთი სურათი შეიქმნა, თითქოს ყველაფერს წინასწარ მოფიქრებულად აკეთებდნენ, თითქოს მათ ხელს აძლევდა ბრაზილიელი ვარსკვლავების დამტვრევა, მსოფლიო ჩემპიონების მატჩებს ხომ ინგლისელი მსაჯები სჯიდნენ... მაგრამ ამაზეც ქვემოთ ვილაპარაკებთ. აქ ეს ამბავი მხოლოდ იმიტომ გავიხსენეთ, რომ მიუხედავად დიდი უკმაყოფილებისა, ბრაზილიელებმა ბოლომდე შეინარჩუნეს თავაზიანობა და რაინდებად დარჩნენ. მათ არ დავიწყებიათ, გამარჯვება მიელოცათ პორტუგალიელი ფეხბურთელებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდათ საბაბი, მტრულად დაშორებოდნენ მეტოქეს. მაისურებიც კი გაცვალეს, ხოლო ბრაზილიაში დაბრუნებისას პელემ სპორტულ ჟურნალისტებს განუცხადა, ეუსებიოს მსგავსი ფეხბურთელი ალბათ საუკუნეში ერთხელ იბადებაო.

ბრაზილიელები მსაჯობით და ჩემპიონატის ორგანიზაციით ძალზე უკმაყოფილონი იყვნენ, მაგრამ მაინც ყველაზე თავშეკავებულად გამოხატავდნენ თავიანთ გულისწყრომას. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ოფიციალურად არც კი განუცხადებიათ რაიმე პროტესტი; უკმაყოფილება ცალკეულ წინადადებებში და ქვეტექსტებში თუ იგრძნობოდა. არც ის იქნება სამართლიანი, თუ ვიტყვით, რომ ასეთი დუმილი მხოლოდ თავაზიანობის შედეგი ყოფილიყოს. ბრაზილიელი ფეხბურთელები და მწვრთნელები მიხვდნენ, რომ ინგლისში ისე ვერ ჩამოვიდნენ, როგორც საჭირო იყო. მოსკოვში ფეოლამ განაცხადა, ასაკის გამო ნაკრებს ბევრი ფეხბურთელი გამოეთხოვა. ყველას შემცვლელს ვიპოვი, ოღონდ დიდის შემ-

ცვლელი არავინ მეგულებაო... ფაქტობრივად კი აღმოჩნდა, რომ ფეოლას არა მარტო დიდის, არამედ არც ნილტონ სანტოსის, ვავასა და სხვათა შემცვლელები ჰყავდა ნაპოვნი.

ასრულდა ცნობილი მწვრთნელის, ელენიო ერერას სიტყვები – თუ ბრაზილიელებს მხოლოდ პელეს იმედი აქვთ, ისინი მსოფლიო ჩემპიონობას ვერ შეინარჩუნებენ, ხოლო თუ გარინჩა ძველებურ ფორმაშია და მათ კიდევ ამარილდო დაემატება, ბრაზილიელებს წინ ვეღარავინ დაუდგებაო. ამარილდო ჯერ კიდევ ჩემპიონატამდე დაიმტვრა, გარინჩა კი ლანდი იყო თავისი ძველი დიდებისა.

მიუხედავად ამისა, ბრაზილიის ეროვნული ნაკრები არც ისე სუსტი გუნდი იყო, იგი ღირსეული მოწინააღმდეგე იქნებოდა ნებისმიერი ეროვნული ნაკრებისა. ბედმაც ითამაშა თავისი როლი. პორტუგალიის წინააღმდეგ სათამაშოდ ბრაზილიელები გამარჯვების რწმენით აღსავსენი გამოვიდნენ მინდორზე. თუმცა არც კი გააჩნდათ ამის საბაბი. მატჩი მათ სამი ბურთის განსხვავებით უნდა მოეგოთ, პორტუგალიელებს კი უფლება ჰქონდათ, წაეგოთ ანგარიშით 0:2, 1:3 და ა. შ. მაგრამ თამაშის დასაწყისშივე მეკარე მანგამ მიუტევებელი შეცდომა დაუშვა და ანგარიში 1:0 გახდა პორტუგალიელთა სასარგებლოდ. შემდეგ კი დაამტვრიეს პელე! რასაკვირველია, მოგებაზე ფიქრი უკვე ზედმეტი იყო, თუმცა ათმა ბრაზილიელმა მაინც აჩვენა ლამაზი და ტექნიკური ფეხბურთი.

ფაქტია: ბრაზილიის ნაკრები არ იყო ისეთი, როგორსაც ელოდნენ გულშემატკივრები. ბევრმა ვარსკვლავმა დატოვა გუნდის რიგები. ახლები კი ვერ აღმოჩნდნენ წინამორბედთა ღირსეული შემცვლელები. ხოლო ვეტერანები, რომლებიც კიდევ დარჩნენ გუნდში, ასაკის გამო აშკარად სუსტად გამოიყურებოდნენ, დაკარგული ჰქონდათ სისწრაფე და რეაქცია. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა უნგრელებთან შეხვედრისას, როცა ტალახიან მოედანზე უნგრელებმა ისინი

სისწრაფეში დაჩაგრეს. ფეოლა ადრე წერდა, გარინჩამ კარგადაც რომ ველარ ითამაშოს, მოედანზე მარტო მისი გამოჩენაც თავზარს დასცემს მოწინააღმდეგის მცველებსო.

ფეოლა ამაშიც მწარედ მოტყუვდა.

ბრაზილიელები ძალზე თავდაჯერებულები ჩამოვიდნენ ინგლისში. მსოფლიო ჩემპიონებმა გაითვალისწინეს ყოველგვარი წვრილმანი (ტემპერატურა, კლიმატი, ამინდი, კბილის ექიმი... მზარეულიც კი არ დავიწყებიათ), მაგრამ გამორჩათ მთავარი – ველარ იანგარიშეს, რომ მათი „ბატონობის" პერიოდში ფეხბურთი წინ წავიდა, ტაქტიკა უფრო მოქნილი და მახვილგონივრული გახდა. ბურთმა სულ სხვა ბილიკები მონახა მოწინააღმდეგის კარისაკენ. ძველი, ნაცნობი და გატკეპნილი გზები საიმედოდ აღმოჩნდა ჩაკეტილი.

რვაწლიანი ბატონობის შემდეგ ბრაზილიამ ფარ-ხმალი დაყარა.

უინსტონ ჩერჩილმა ბევრ რამეში მოსინჯა თავისი ნიჭი და ძალა – პოლიტიკით დაწყებული, მწერლობით, მხატვრობით და კინოთი დამთავრებული. ფეხბურთში კი ძალზე ხანმოკლე და უღიმღამო აღმოჩნდა მისი კარიერა, ჩერჩილის სახელობის საფეხბურთო თასს დაარსება არ ეწერა, ბრაზილიელთა დიპლომატიური წინადადება წინადადებად დარჩა...

* * *

უზარმაზარ კაფე-სასადილოში ვსხედვართ. საღამოა. რამდენიმე საათის შემდეგ დავტოვებთ სანდერლენდს და, ვინ იცის, იქნებ ვერასოდეს ველარ ვნახოთ ეს პატარა ქალაქი, რომლის შეყვარებაც მოვასწარით ამ ორი კვირის განმავლობაში.

წინა დღით გვეჩქარებოდა ლონდონში გამგზავრება. ახლა კი, როცა გამგზავრების დრო დადგა, გულში სინანული შეგვეპარა. სანდერლენდის ქუჩებში ცხოვრება უკვე ჩვეულებ-

რივ მიდიოდა, აღარსად ჩანდნენ იტალიელი „ტიფოზები“, ჩილელი, კორეელი და უნგრელი გულშემატკივრები. უცხოელებიდან მხოლოდ ფეხბურთის სპეციალისტები და ჟურნალისტებიღა შემორჩნენ.

ლონდონში გამგზავრების წინ თითქოს საგანგებოდ ყველამ აქ მოვიყარეთ თავი. ისმოდა იტალიელი ჟურნალისტების გაცხარებული კამათი. ხშირად გაიგონებდით სახელებს: ფაბრი, პასკუტი, რივერა. გაზეთებიდან ვიცოდით, რომ იტალიელებმა ვერაფრით ვერ აპატიებს ფაბრის საბჭოთა გუნდის წინააღმდეგ პასკუტის გამოყვანა.

ერთ მაგიდასთან დავინახეთ დანაღვლიანებული ფერენც პუშკაშიც.

სამშობლოდან გადახვეწილს გულმა მაინც ვერ გაუძლო და მშობლიური გუნდის სანახავად ჩამოვიდა. არ გაუმართლა. კაფეში ამაყად გაიარა ელენიო ერერამ. მან არა მარტო გამოიცნო დღევანდელ მატჩში გამარჯვებული, არამედ ზუსტად იწინასწარმეტყველა ანგარიშიც.

ყველაზე მხიარულად საბჭოთა გულშემატკივრები გამოიყურებოდნენ, ხუმრობდნენ, იცინოდნენ. აქ იყვნენ ლევ კასილი, იური ტრიფონოვი, ანატოლი საფრონოვი, ძმები სტაროსტინები, მარტინ მერჟანოვი, ნიკოლაი ოზეროვი, ბორის პაიჭაძე, მიხაილ იაკუშინი.

11 საათზე ვაგზალზე გავედით. დილის 5 საათზე უკვე ლონდონში ვიქნებით. ჩასვლისთანავე, სასტუმროში დაბინავებისა და საუზმის შემდეგ, კემბრიჯში გამგზავრება და უნივერსიტეტის დათვალიერება გვაქვს გეგმაში. ვცდილობ დავიძინო, არაფერი გამომდის. გარეთ ვიცქირები. საკმაოდ ცივა, ფანჯრები ბოლომდეა დაკეტილი. მატარებელი თავბრუდამხვევი სისწრაფით მიქრის, მაგრამ ერთ საათს მაინც ვაგვიანებთ. როგორც ბევრი სხვა რამ, ზღაპარი აღმოჩნდა ისიც, თითქოს დაგვიანების შემთხვევაში, ინგლისის რკინიგზა

ყოველ დაგვიანებულ წუთზე გეომეტრიული პროგრესიით იხდის ჯარიმას.

ვაგონში ყრუდ აღწევს მატარებლის რიტმული ხმაური. გარეთ ბნელა, მხოლოდ ამ რიტმით შეიძლება განსაზღვრო, რა საშინელი სისწრაფით მივქრივართ სამხრეთისაკენ.

* * *

„ვისაც ლონდონში მოეწყინება, მას საერთოდ მოსწყენია სიცოცხლე". ეს სიტყვები ეკუთვნის დიდ ინგლისელ კრიტიკოსს, სემუელ ჯონსონს.

ლონდონში ჩასულს არ შეიძლება ეჭვი შეეპაროს ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში. ლონდონი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი ქალაქია. ერთი სიცოცხლეა საჭირო, რომ ეს ქალაქი გაიცნო, მის ყველა თავისებურებაში და საიდუმლოებაში ჩაიხედო.

მეგონა, წიგნებიდან კარგად მქონდა შესწავლილი ლონდონი და საკმაოდ ნაცნობ ქალაქში ჩავიდოდი. მაგრამ, როცა კაცი ლონდონის დაუსრულებელი ქუჩების ლაბირინთში მოხვდება, შეიძლება ცოტა შეშინდეს კიდეც.

ქუჩები მანქანებითაა სავსე და თითქოს სული გეხუთება. ამხელა ქალაქში არსად არის ნაცნობი ადგილი, ნაცნობი ქუჩა, რომ სული მოითქვა, დამშვიდდე და ცოტა დაფიქრების საშუალება მოგეცეს. საითაც გაიხედავ, დაუსრულებლად მიედინება მანქანათა უზარმაზარი მდინარეები.

– რამდენი ავტომობილია ინგლისში? – ვეკითხები მისტერ დევისს. იგი მოკლედ მპასუხობს:

– ინგლისის გზებზე დღეში 21 კაცი იღუპება ავტოკატასტროფებში. თქვენ უკვე თორმეტი დღეა, რაც ინგლისში ხართ, არა? ე. ი. თქვენს აქ ყოფნაში დაიღუპა 252 კაცი.

მისტერ დევისს მადლობას ვუხდი ასეთი მრავლისმეტყველი პასუხისათვის და გონებაში ვთვლი, ამ საავტომობილო ციებ-ცხელებაში რამდენი კაცი ესალმება სიცოცხლეს დიდი ბრიტანეთის გზებზე ერთი წლის განმავლობაში. 7665 – უზარმაზარი ციფრია, თუმცა ძალზე მოკრძალებით გამოიყურება ამერიკისა და იაპონიის ავტოკატასტროფათა მსხვერპლთან შედარებით (ამ ქვეყნებში დღეში საშუალოდ 124 კაცი იღუპება). ინგლისი, რასაკვირველია, დიდად ჩამორჩება მოსახლეობის მხრივ ამერიკას და იაპონიას, მაგრამ მსხვერპლთა ასეთ „მცირე" რიცხვს მაინც ინგლისელი შოფრების თავდაჭერილობით ხსნიან. ისინი თითქმის იდეალურად იცავენ მოძრაობის წესებს. ყოველი ინგლისელი, რომელიც მანქანის საჭესთან ზის (ასეთსავე სურათს ხშირად ნახავთ შვედეთის, ფინეთისა და ჩრდილოეთის სხვა ქვეყნების ქუჩებში), თავს ვალდებულად თვლის, მანქანა გააჩეროს და ჯერ ფეხით მოსიარულე გაატაროს (რასაკვირველია, მხედველობაში არა გვაქვს ძირითადი მაგისტრალები).

– მისტერ დევის, რომელი საავტომობილო ფირმაა ყველაზე ძლიერი ინგლისში? – ვეკითხები ისევ.

– „ბრიტიშ მოტორი". მისი წლიური სუფთა მოგება შეადგენს თორმეტ მილიონ გირვანქა-სტერლინგს.

მე მომწონს თარჯიმნის ლაკონიური პასუხები და აღარ ვეშვები.

– ვინ არის ყველაზე მდიდარი კაცი ინგლისში?

– გიულბენკიანი, სომეხი. მისი უდიდებულესობა დედოფალი ელისაბედი მხოლოდ მეცხრე თუ მეთერთმეტე ადგილზეა.

ავტობუსის ფანჯრებიდან ვხედავთ ქუჩაში ამაყად მოსეირნე შოტლანდიელებს, მათ თავიანთი ეროვნული სამოსი აცვიათ. მარჯვენა ფეხის პაიჭიდან მოუჩანთ დანის მოსევადებული თავი. ქუჩაში ისეთი დაბღვერილები დადიან, თითქოს ინგლისელებს აფრთხილებენ, არაფერი შეგეშალოთო.

– მისტერ დევის, მაინც რა განსხვავებაა ინგლისელებსა და შოტლანდიელებს შორის? – ეკითხება ვიღაც.

– ძირითადად ერთი: ინგლისელებს ლუდი უყვართ, შოტლანდიელებს კი – ვისკი!

გაოცებულმა მისტერ დევისს შევხედე. ჩვენი ნაცნობობის მეთორმეტე დღეს აღმოვაჩინე, რომ მას ჰქონია იუმორის გრძნობა.

ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა ინგლისის პარლამენტის დიდებული შენობა. აქ უკვე აღარ გვჭირდება მისტერ დევისი. უმალ ვიცანით ვესტმინსტერის სააბატო, რიჩარდ ლომგულის ძეგლი. უფრო მაღლა, ტრაფალგარ-სკვერი და ნელსონის ცაში აჭრილი ქანდაკება. კიდევ ცოტა იქით პიკადილი, რეკლამებით ყველაზე გაჩირაღდნებული უბანი. პიკადილის შუაგულში მოჩანს კუპიდონის სკულპტურა, მის ირგვლივ ყოველ საღამოს სხდებიან ჩამოსულები და ტკბებიან ლონდონის სილამაზით. პიკადილიზე და ტრაფალგარ-სკვერზე ხვდებიან ლონდონელები ახალ წელს. არავინ იცის, როგორ წარმოიშვა ეს ტრადიცია. ახლა კი სხვანაირად ვერ წარმოუდგენიათ.

ლონდონში ხომ ძალიან ხშირად იბადება ტრადიციები. ინგლისელებს კი, როგორც უკვე ვთქვით, უყვართ ტრადიციები და აფასებენ მათ. ეს იგრძნობა ყველგან: ქალაქსა თუ სოფელში, ეკლესიებსა თუ კემბრიჯის უნივერსიტეტში, სადაც სტუდენტები ძველებური მანტიებით დადიან, ხოლო სწავლა და წირვა-ლოცვა ისევე მიმდინარეობს, როგორც რამდენიმე საუკუნის წინ.

ვესტმინსტერის სააბატოსა და ინგლისის ყველა ცნობილ ეკლესიაზე დღესაც შეამჩნევთ ინგლისელი ლორდების საგვარეულო გერბებით დამშვენებულ დროშებს, ბუკინგემისა და უინძორის სასახლის დამცველი რაზმები ისევ ისე არიან ჩაცმულნი, როგორც მრავალი საუკუნის წინათ: წითელი მუნ-

დირები, მაღალი ბეწვის ქუდები, საზეიმო ცერემონიალი ყარაულის შეცვლის დროს, თუმცა... არც ისე დიდი დაკვირვებაა საჭირო, რომ შენიშნოთ ამ ტრადიციულ ტანსაცმელში და აღჭურვილობაში შეპარული სიახლე – უკანასკნელი მარკის ნახევრად ავტომატური კარაბინები.

ტრადიციის გამო უყვართ ინგლისელებს თავიანთი დედოფალიც, რომელიც, ფაქტობრივად, არავითარ როლს არ ასრულებს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ისინი არ მოგიწონებენ დედოფლის აუგად ხსენებას. პრემიერ-მინისტრი უილსონი კი რამდენიც გინდათ, იმდენი ლანძღეთ, სიამოვნებით მხარსაც აგიბამენ. ფინალური მატჩის დროს გულით გვინდოდა ინგლისელ ფეხბურთელებს გაემარჯვათ. სტუმარ-მასპინძლობას რომ თავი დავანებოთ, გვაინტერესებდა, ინგლისელთა გამარჯვებას როგორი ტრადიციული ცერემონიალი მოჰყვებოდა. მაგრამ, როცა ინგლისელებმა გადამწყვეტი მატჩი მოიგეს და მსოფლიო ჩემპიონის ჯილდო მოიპოვეს, თავად სტადიონზე არავითარი განსაკუთრებული ცერემონიალი არ გვინახავს. თუმცა... ეს არც იყო გასაკვირი: ინგლისელები ხომ პირველად გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები, მათ ხომ მანამდე არ გააჩნდათ ამის ტრადიცია...

პიკადილიდან იწყება სოჰოს ცნობილი რაიონი. ეს არის სტრიპტიზებისა და საეჭვო დაწესებულებების უბანი. ვიღაცას იტალიელები ვგონივართ და ტემპერამენტიანად, იტალიურ სტილში გვთავაზობს მშვენიერ „სინიორიტას“ სულ რაღაც ერთ გირვანქა-სტერლინგად. ბუნებრივია, მაგონდება ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“. ვიტრინებში მოჩანს ტიტველი ქალების სურათები. „სექს ფილმ!“ – ჩამესმის ვიღაცის შეშინებული ხმა ყურში. აქ შეგიძლიათ ნახოთ პორნოგრაფიული ფილმები, რომელთა ჩვენება აკრძალულია ინგლისში.

როგორ არ უხდება ეს რაიონი ლონდონს, როგორ არ შეჰფერით ყველაფერი ეს თავდაჭერილ ინგლისელებს!

აქედანვე იწყება ლონდონის უდიდესი სავაჭრო მაგისტრალი ოქსფორდ-სტრიტი. აქ შეგიძლიათ იყიდოთ ყველაფერი, რასაც კი მოისურვებთ. თანაც ერთსა და იმავე ნივთში „სპენსერის“ მაღაზიაში შეგიძლიათ გადაიხადოთ შედარებით მცირე საფასური, გვერდით მაღაზიაში კი, თუ ამის სურვილი გაქვთ, სამჯერ მეტი, ხოლო მაღაზიაში, სადაც თვით დედოფალი ყიდულობს ტანსაცმელს თუ ნივთებს (ასეთი მაღაზია მთელს ინგლისში მხოლოდ ერთია), ყველაფერი გაცილებით ძვირი ღირს. იქ მხოლოდ ძლიერნი ამა ქვეყნისა თუ შეაბიჯებენ.

ლონდონში იშვიათად როდი შეხვდებით მაღაზიებს, რომლებსაც სამეფო გერბი ამშვენებს. ეს მაღაზიები ამარაგებენ მისი უდიდებულესობის ოჯახს. აი, ჰაიდ-პარკი. მზეზე ლაპლაპებს შესანიშნავი აკლდამისმაგვარი არქიტექტურული ნაგებობა. იგი დედოფალმა ვიქტორიამ მიუძღვნა თავის გარდაცვლილ მეუღლეს, პრინც ალბერტს. გადაღმა მოჩანს ველინგტონის შავი ქანდაკება.

მე უკვე ლონდონში ვიყავი. ის უფრო გრანდიოზული და დიდებული მეჩვენა, ვიდრე მქონდა წარმოდგენილი, თუმცა ამ უზარმაზარ ქალაქს აკლდა ის რომანტიკა და სურნელება, რომლებიც წიგნის ფურცლებიდან გადადის ადამიანში.

საუკუნეების განმავლობაში ლონდონი მატულობდა სიგანეში, ახლა იგი მიიწევს ცაში. აქ ცოტას როდი ნახავთ ცათამბჯენებს. პარლამენტის გვერდით თვალს იტაცებს 45-სართულიანი ულტრათანამედროვე შენობა – „ვიკერს ბილდინგი“. ფსევდოგოტიკური არქიტექტურის გვერდით იგი არამცთუ არ გამოიყოფა, არამედ ისეთ მთლიანობას, ისეთ ჰარმონიას ქმნის, რომ ტემზის სანაპიროსთან პარლამენტის მოედნის პეიზაჟი კაცს სხვანაირად ვერც კი წარმოუდგენია.

დავაბიჯებთ პარლამენტში. ლორდთა პალატა, თემთა პალატა. აქ ყველაფერი ისევ ძველებურად არის მოწყობილი.

მხოლოდ ორი სიახლე შეპარულა ამ თავისებურ მუზეუმში – ელექტრონი და მიკროფონები.

აი, ის სკამიც, სადაც ბობოქრობდა უინსტონ ჩერჩილი. გვანახეს ის მოკრძალებული კუთხეც, სადაც ჩერჩილი ჯდებოდა 1955 წლის შემდეგ, როცა სამუდამოდ დაემშვიდობა პრემიერ-მინისტრის პოსტს. ბევრს ეგონა, ჩერჩილი კვლავ აქტიურად ჩაებმებოდა პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ ის მხოლოდ პარლამენტის წევრად დარჩა და რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო იშვიათად იკავებდა თავის მოკრძალებულ ადგილს კუთხეში. ირგვლივ დუღდა დიდი პოლიტიკური ვნებები, ჩერჩილი კი ჩუმად იჯდა და ხმას არ იღებდა. მისი პოზიცია მხოლოდ კენჭისყრის დროს შეიძლებოდა განგესაზღვრათ.

მხოლოდ ერთხელ დაარღვია სიჩუმე. ეს იყო 1956 წელს, როცა პრემიერ-მინისტრ ენტონი იდენს გამოექომაგა და გაამართლა მისი უკანონო ომი ეგვიპტეში. თუმცა, იდენი ვერ იხსნა მისი მასწავლებლის ავტორიტეტმა.

ლონდონისა და, საერთოდ, ინგლისის პარკები ცალკე თემაა. ამ უზარმაზარი ქუჩებიდან გადააბიჯებ პარკში და თითქმის უღრან ტყეში აღმოჩნდები. საოცარ სიჩუმეს მხოლოდ შაშვების გალობა და ცხენების ჭიხვინი თუ არღვევს. ახალგაზრდა ჟოკეები დააჯირითებენ წმინდა სისხლის ინგლისურ ულაყებს. აქვეა კეგლისა და გოლფის სათამაშო მინდვრები. ვერსად შეხვდებით წარწერას – „გაზონებში გადასვლა არ შეიძლება“. რამდენიც გნებავთ, იმდენი იკოტრიალეთ იდეალურად მოვლილ მწვანე მინდორზე. ბევრ პარკში ირმებიც კია გაშვებული. ისინი ისე არიან გაწუწკებული, ტკბილეულის მოლოდინში პირდაპირ მანქანებში ყოფენ თავს. ამ უზარმაზარ პარკებს ლონდონის ფილტვებს ეძახიან. კენსინგტონი, ჰაიდ-პარკი, გრინ-პარკი და, ვინ იცის, კიდევ რამდენი მწვანე ოაზისი ამშვენებს ლონდონს, პატარა პარკებს და სკვერებს ხომ სათვალავი აღარ აქვს.

ინგლისელებს ძალიან უყვართ ძაღლები. თითქმის ყოველი მეოთხე კაცი ძაღლით მოსეირნობს ქუჩაში. მანქანიდან ხანდახან ოთხ-ოთხ ძაღლს ერთად აქვს თავი გამოყოფილი. რა ჯიშის ძაღლები გინდათ, აქ რომ არ ნახოთ, დაწყებული ჯიბის ძაღლებით, დამთავრებული წმინდა სისხლის ინგლისური დოგებით.

მაღაზიის მეპატრონეებს გათვალისწინებული აქვთ ინგლისელთა ეს თვისება, – თითქმის ყოველ მაღაზიასთან იპოვით ძაღლის გამოსაბმელ კაუჭებს.

ინგლისელებს, საერთოდ, უყვართ ყველაფრის გათვალისწინება. მშენებლობებზე პატარა მოედნებსაც კი აკეთებენ, რომ ცნობისმოყვარეებს მიეცეთ მშენებლობის დათვალიერების საშუალება (როგორც ჩანს, ინგლისელებიც არ არიან ცნობისმოყვარეობას მოკლებულნი).

კინოქრონიკის ერთმა კომპანიამ ოცი წლით ადრე გაითვალისწინა, რამოდენა ცერემონიალი მოჰყვებოდა ჩერჩილის სიკვდილს და შეადგინა ოპერატორთა ჯგუფი ხუთი კაცის შემადგენლობით, რომელსაც ეს ცერემონიალი უნდა გადაეღო. სამწუხაროდ... იმ ხუთი ოპერატორიდან სამმა ჩერჩილის გარდაცვალებამდე მიაბარა უფალს სული.

ინგლისელებს არ უყვართ, როცა მათ საქმეებში ერევიან. ერთხელ შეხვედრა მოგვიწყვეს სანდერლენდის სატელეფონო ქარხანაში. ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა საამქროებში 12-14 წლის ბავშვებიც ვნახეთ. მათი შრომის ანაზღაურება, ისევე როგორც ქალების შრომის ანაზღაურება, გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მამაკაცებისა. დაახლოებით ასეთი თანაფარდობაა: თუ მამაკაცი იღებს კვირაში 18 გირვანქა სტერლინგს, ზუსტად ამავე სამუშაოში ქალს 7 გირვანქა სტერლინგს უხდიან.

– იქნებ აგვიხსნათ ამის მიზეზი? – ვკითხეთ პრესკონფერენციაზე ქარხნის მეპატრონეს.

მოკლედ მოგვიგო:

– ამ კანონს ინგლისში დიდი ხნის ისტორია აქვს და ალბათ კიდევ დიდხანს იარსებებს.

არც კი მოისურვა ჩვენთვის რაიმე ახსნა-განმარტება მოეცა.

იყო დრო, როცა ინგლისში საჯაროდ კოცნა უხერხულობას იწვევდა. ახლა კი მოალერსე წყვილს განსაკუთრებული ყურადღება თუ მიაქციე, შეიძლება პოლიციელმა დაგაჯარიმოს კიდეც. მიუხედავად ამისა, ლონდონში მაინც იშვიათად შეხვდები ქუჩაში ხელიხელგადახვეულ ახალგაზრდებს.

ლონდონელები საღამოს ლუდხანებში – ცნობილ ინგლისურ „პაბებში" ატარებენ, თუმცა უკანასკნელ წლებში ბევრი გახსნილა იტალიური ტიპის იაფი კაფეც.

შეგიძლიათ შებრძანდეთ ჩინურ ან იაპონურ პატარა რესტორნებშიც, რომლებიც საღამოს განმავლობაში სულ რამდენიმე ადამიანს ემსახურება, ან ლონდონის ტელეგრაფის უზარმაზარი კოშკის თავზე მოთავსებულ მბრუნავ რესტორანში, რასაკვირველია, თუ ჯიბეში მისი შესატყვისი ფინანსური რესურსი მოგეპოვებათ. ლონდონში არსებობს ისეთი რესტორნებიც, სადაც ვერ შეაბიჯებს არათუ უბრალო, მდიდარი ინგლისელიც კი. მილიონერებს აქვთ საკუთარი კლუბები, რომელთა წლიური საწევრო გადასახადი 50 ათას გირვანქა სტერლინგს შეადგენს („ვოლგის" მსგავსი მანქანა 500 გირვანქა ღირს). ისინი ყოველ წელს იხდიან ამ კოლოსალურ თანხას, თუმცა შეიძლება ერთხელაც არ შეიხედონ კლუბში. სამაგიეროდ, ამით გაგრძნობინებენ, როგორი ადგილი უჭირავთ ინგლისის იერარქიულ კიბეზე.

ლონდონის ქუჩებში თითქმის ყველა შენობა ისტორიულია, ბრიტანეთის მუზეუმი თუ ბუკინგემის სასახლე, ნაციონალური გალერეა თუ წმინდა პავლეს ტაძარი, ტაუერი თუ ტეიტის გალერეა, სადაც ნახავთ აბსტრაქტული სკულპტურისა

და ფერწერის საუკეთესო წარმომადგენელთა ნამუშევრებს. უდავოდ ნიჭიერი მხატვრების მიერ შექმნილი ტილოების გვერდით იხილავთ კანალიზაციის დაგრეხილ მილს და ქანდაკებას, რომელსაც ელექტრომოტორი ამოძრავებს. ამ საინტერესო მუზეუმის დათვალიერებისას დავრწმუნდი, რომ ყველაზე უკეთ აბსტრაქტულ ხელოვნებაში ინიღბება უნიჭობა.

მეტად საინტერესო იყო ერთი რამ... არ ვიცი, რა დავარქვა, დანადგარი თუ ქანდაკება. უზარმაზარი ამოზნექილი სარკე შემალულია შავ სიღრმეში. მას ანათებს ძლიერი შუქი, რომელიც დამალული ნათურებიდან იფრქვევა. შორიდან ვერ ამჩნევ ვერც სარკეს და ვერც შუქს. ხედავ მხოლოდ საოცრად ლამაზ, ფანტასტიკურ ფერად ფიგურებს. ისინი თითქოს ერთმანეთში შედიან და გამოდიან, იზრდებიან, გრძელდებიან, პატარავდებიან, თქვენ თვალწინ იშლება ახალ-ახალი, ჯადოსნური ფერებისა და ფიგურების სამყარო. ახლოს რომ მივედი, მაშინღა შევამჩნიე განათებული ამოზნექილი სარკე და მის წინ ხუთ ძაფზე ჩამოკიდებული ფერადი ქაღალდები, რომლებსაც პატარა მოტორი ამოძრავებდა. ქაღალდები ოდნავ ირწევიან და მათი ანარეკლი საოცრებად იქცევა ამოზნექილ სარკეში. სანახაობა მართლაც თვალწარმტაცი იყო, თუმცა ძნელია მასში ეძებო ხელოვნების ელემენტები.

ლონდონი ამოუწურავი ქალაქია თავისი მუზეუმებით თუ მონასტრებით, ციხე-დარბაზებითა თუ სასწავლებლებით, მაგრამ იმ დღეებში ვერცერთი მათგანი ვერ გაუწევდა კონკურენციას „უემბლის“ სახელგანთქმულ სტადიონს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ეს იყო უპირველესი ისტორიული ძეგლი, რომელიც ლონდონის გაცნობის მსურველ ყველა ტურისტს აუცილებლად უნდა ენახა. სტადიონის მახლობლად აეშენებინათ სუვენირების გასაყიდი პატარა კიოსკები. აქ ყველაფერი იყიდებოდა, „ვილის“ სამკერდე ნიშნებით დაწყებული, „ტელემაგნიტოფონებით“ დამთავრე-

ბული, რომლებსაც თან ერთვოდა ფირზე გადაღებული მატჩები.

ჩვენ საშუალება მოგვცეს, გადავსულიყავით მწვანე მოედანზე და საკუთარ ფეხქვეშ გვეგრძნო მსოფლიოს საუკეთესო მინდორი. იქ ბალახი ისეა დავარცხნილი, რომ საჭადრაკო დაფას მოგაგონებთ. ეს მარტო სილამაზისათვის როდია: მაყურებელს უადვილებს ზუსტად განსაზღვროს ფეხბურთელთა მოძრაობის სისწრაფე და ცალკეული ოპერაციის ჩატარების მანძილი. მოედნის ზედაპირი წარმოუდგენლად სწორია, თითქმის იდეალურია. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ ინგლისში წვიმა ჩვეულებრივი, ყოველდღიური ამბავია. ასეთი მინდვრის შენარჩუნება კი კოლოსალურ შრომასა და საქმის ფანატიკურ სიყვარულს მოითხოვს.

ახლა ტრიბუნები ცარიელია. სამეფო ლოჟის თავზე არ ფრიალებს დედოფლის ალამი. ტრიბუნაზე არ გრიალებს ომახიანი „ინგლანდ!" მოედანზე არ ჩანს ტრადიციული სამეფო საზღვაო ორკესტრი, რომლის წევრებსაც ტანთ ძველებური მუნდირები აცვიათ, ხოლო დოლზე დამკვრელთ ვეფხვის ტყავებიც ამშვენებთ. თამაშის წინ და შესვენების დროს ისინი ტრადიციული მარშით სერავენ მოედანს. შემდეგ იშლებიან, ისევ ერთდებიან და უფრო პატარა ჯგუფებად იყოფიან. იწყება ნელი სვლის ცერემონიალი. ხელმძღვანელს ხელში ვერცხლისთავიანი დიდი კვერთხი უჭირავს, ოსტატურად ატრიალებს მას და წინ მიუძღვის ათასფრად აელვარებულ ორკესტრს.

ინგლისის ყველა სტადიონზე ნახავთ ასეთ ორკესტრებს, მაგრამ „უემბლი" ამაშიც შეუდარებელია.

ვტოვებთ მოედანს, სადაც ეს-ეს იყო იწყებოდა გადამწყვეტი ბრძოლები და სადაც მსოფლიოს ახალი ჩემპიონი უნდა დაბადებულიყო.

* * *

ძნელია აღწერო ის ამბავი, რაც ლონდონში ფინალური მატჩის შემდეგ ხდებოდა. მგონი, აქ ჯობია, თვითონ ინგლისელების შედარება მოვიშველიოთ. მეორე დღეს „ტაიმსის“ პირველ გვერდს უზარმაზარი ასოებით აწყობილი სათაური ამშვენებდა – „ლონდონი ჭკუიდან შეიშალა“. მართლაც, იმ საღამოს ლონდონის ქუჩებში წარმოუდგენელი ამბავი ხდებოდა. სიდინჯით განთქმული ინგლისელები პატარა ბავშვებს ჰგავდნენ. კრომველ-სტრიტზე და ოქსფორდ-სტრიტზე ტევა აღარ იყო. ისმოდა მანქანების საყვირების გაბმული და გამაყრუებელი ხმა. „ინგლანდ!“ – ყვიროდნენ ხმაჩახლეჩილი გულშემატკივრები. ეს სტიქიური საზეიმო დემონსტრაცია იწყებოდა სასტუმრო „როიალ გარდენის“ ფეშენებელური შენობიდან, სადაც გამარჯვებულთა პატივსაცემად ბანკეტი გადაიხადეს, და გრძელდებოდა პიკადილიმდე და ტრაფალგარ-სკვერამდე. უამრავი ხალხი მოაწყდა „როიალ გარდენს“. ორმეტრიანი პოლიციელების ცოცხალი კედელი ძლივს იგერიებდა სიხარულისაგან გონებადაკარგულ გულშემატკივრებს. „რამსეი“, „ბობი ჩარლტონ“, „ბობი მურ!“ – ყვიროდნენ ისინი. და აი, აივანზე გამოჩნდნენ ახალი მსოფლიო ჩემპიონები, პრემიერ-მინისტრი უილსონი, ფეხბურთელების ცოლები და ჩემპიონატის გმირი – პატარა თეთრი ძაღლი, რომელმაც შეშინებული ქურდის მიერ ბაღში გადაგდებული „ოქროს ქალღმერთი“ იპოვა. ხელიდან ხელში გადადიოდა დიდი ხნის ნანატრი ჯილდო, ჟიულ რიმეს თასი.

გამოჩნდა მოკრძალებული რამსეიც, ინგლისელთა მწვრთნელი და მხედართმთავარი.

„რამსეი, რამსეი, რამსეი!“ – დასჭექა ხალხმა.

ის კი უხერხულად იღიმებოდა და იშმუშნებოდა. მე შორიდან ისიც კი მომეჩვენა, თითქოს ტირილს ძლივს იკავებდა.

რამსეი ცნობილია, როგორც მორიდებული, მორცხვი კაცი. ვინ იცის, იქნებ სულაც არ არის ისეთი მორცხვი, როგორიც ახლა გვეჩვენებოდა. სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ხალხი მის სახელს გაიძახოდა. ალბათ მსოფლიოს არცერთი მწვრთნელი არ ულანძღიათ იმდენი, რამდენიც ალფ რამსეი ლანძღეს. ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე ოცი დღით ადრე ინგლისის პრესა ძალზე უნდობლად შეჰყურებდა ინგლისის ეროვნული ნაკრების გამარჯვების პერსპექტივას. ურუგვაისთან საყაიმო ანგარიშის შემდეგ კი რამსეის ლანძღვა-გინებას ბოლო არ უჩანდა. ბევრი გაზეთი მას „ფანატიკოსს“ და „უვიცსაც“ კი უწოდებდა. მისი განცხადება, ინგლისი მსოფლიო ჩემპიონი გახდებაო, იმ დღეებში თითქოს სასაცილოდ ჟღერდა და გაცოფებული ჟურნალისტების საკბილოდ იქცა.

„ვისაც ურუგვაისთან ფრის შემდეგ ინგლისის გამარჯვებაში ეჭვი ეპარება, მას ფეხბურთი არ ესმის“, – ოფიციალურად განაცხადა რამსეიმ.

და, აი, ახლა იგი იდგა ჰაიდ პარკის განაპირას ჩადგმულ ულამაზეს „როიალ გარდენის“ აივანზე. იდგა ბედნიერი და გამარჯვებული; ზემოდან დასცქეროდა ილუმინაციით, ვიტრინებისა და რეკლამების შუქით გაჩირაღდნებულ, ხალხით გაჭედილ ქუჩას. გულშემატკივრები ხმაშეწყობილად გაჰყვიროდნენ მის სახელს და აფრიალებდნენ ინგლისის დროშებს.

როცა ფეხბურთელებმა აივანი დატოვეს, ჩვენ ტრაფალგარ-სკვერისაკენ გავემართეთ. ამ დროს ტაშმა იქუხა. უკან მოვიხედეთ და საოცარი სანახაობის მოწმენი გავხდით. მანქანების ორომტრიალში ძლივს მოიკვლევდა გზას გერმანელი გულშემატკივრების ავტოკოლონა. ყველა მანქანაზე დასავლეთ გერმანიის დროშა იყო დამაგრებული. საყვირებს გაბმულად აყვირებდნენ და რაღაცას გაიძახოდნენ. მეწინავე მანქანას ორი უზარმაზარი წარწერა ამშვენებდა – „ინგლი-

სი ღირსეული ჩემპიონია, მაგრამ ინგლისი ვერასოდეს დაამარცხებს გერმანიას!"

ლონდონელები კითხულობდნენ ამ წარწერას. ბევრ მათგანს კარგად ახსოვდა 1938 წელი, როცა ბერლინში გერმანელებმა ინგლისის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები აიძულეს გერმანიის ჰიმნზე გაჭიმულიყვნენ და სვასტიკისაკენ ნაცისტური მანერით აეწიათ ხელი.

ინგლისელებს ახლაც თვალწინ აქვთ გერმანელების ბომბით ჩამონგრეული პარლამენტის თაღი, რომელიც ჩერჩილის წინადადებით შეუკეთებელი დატოვეს მეორე მსოფლიო ომის მოსაგონრად.

გერმანელების ავტოკოლონა ინგლისელებმა მაინც ტაშით გააცილეს. ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდათ, რომ მასპინძლები იყვნენ, რომ გამარჯვებულები იყვნენ, რომ ინგლისელები იყვნენ.

პატარა, ვიწრო ქუჩაზე გადავუხვიეთ. ვიცოდით, ასეთ ჭედვაში ტრაფალგარ-სკვერს დილამდე ვერ მივაღწევდით. ქუჩაზე ახალგაზრდები მორბოდნენ და ინგლისის უზარმაზარ დროშას მოაფრიალებდნენ. დროშას ტარი არ ჰქონდა. ექვსნი იყვნენ. ოთხ მათგანს დროშისათვის კუთხეებში ჩაევლო ხელი და თავს ზემოთ აეტაცა. ორნი შუაში იდგნენ.

„ინგლანდ!" – ყვიროდნენ.

მიხვდნენ, უცხოელები ვიყავით.

– იტალიანო? – დაგვიძახა ერთმა.

– ნო, ჯორჯია! – უპასუხა კოტე მახარაძემ.

– ჯორჯია! ჯორჯია! – დასჭექა ექვსივემ და გზა სირბილით გააგრძელეს.

როგორც იქნა, მივაღწიეთ ტრაფალგარ-სკვერს. ხალხი მღეროდა, ცეკვავდა, აუზებში ტანსაცმლიანად ბანაობდა. პოლიციელები ფრთხილობდნენ, თუმცა ხალხს არაფერს უშლიდნენ.

მოედნის შუაში კი იდგა ადმირალ ნელსონის ცაში ატყორცნილი ქანდაკება, რომლის ირგვლივ განლაგებული ოთხი უზარმაზარი ლომი თითქმის აღარ მოჩანდა. გულშემატკივრები ლომებს ზურგზე მოჰქცეოდნენ და ხმის ჩახლეჩადე ყვიროდნენ – „ინგლანდ!"

დიახ, ინგლისი გამარჯვებას ზეიმობდა, გამარჯვებას, რომელიც ამ წუთში არაფრით ჩამოუვარდებოდა ტრაფალგარის ცნობილ ბრძოლაში მოპოვებულ გამარჯვებას.

„ამდენი ეკონომიკური გართულების შემდეგ ძლივს გაიხარა ინგლისელმა ხალხმა", – წერდა ერთი გაზეთი მეორე დღეს. მთავრობის მძიმე ეკონომიკური რეფორმებით განაწყენებულმა ავტორმა ეს საფეხბურთო სტატიაც გამოიყენა, რომ პრემიერ-მინისტრ უილსონისათვის გაეკრა კბილი. უილსონი კი აშკარად ვერ მალავდა სიხარულს. ფინალის დღეს ვაშინგტონიდან ჩამოფრინდა. მხოლოდ სადილობა მოასწრო და პირდაპირ „უემბლიზე" გაემგზავრა. ბანკეტზე მან თავის პატარა სიტყვაში თქვა: მე ვიწინასწარმეტყველე, რომ თამაში 2:1 დამთავრდებოდა ინგლისელების სასარგებლოდ, მაგრამ რას იზამ, მხოლოდ ნახევარ წუთში მოვტყუვდიო.

გულშემატკივრებს ალბათ ახსოვთ, რომ გერმანელებმა უკანასკნელ წამებში გაქვითეს ანგარიში.

საზეიმოდ იყო გაჩირაღდნებული ბუკინგემის სასახლე, ინგლისის დედოფლის რეზიდენცია.

მთელი ინგლისი გამარჯვებას ზეიმობდა. ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთის სამშობლო გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, ხოლო მისი კაპიტანი ოცდაოთხი წლის ბობი მური, რომელიც უკანასკნელ დღეებამდე არც კი შეჰყავდათ ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში, ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მასვე გადაეცა რომელიღაც ფირმის თუ გაზეთის ჯილდო – ბაჯაღლო ოქროს თასი. ინგლისელთა კაპიტანმა განაცხადა, ახლა კი მომიწევს გაძლიერებული

დაცვის დაქირავება, რომ არ მომპარონ ეს ძვირფასი ჯილდოო.

ამ ირონიაში ცოტა როდი იყო სიმართლე. როდესაც დედოფალმა ბობი მურს ოქროს ქალღმერთი გადასცა, მის გვერდით ერთბაშად გაჩნდა ოთხი უზარმაზარი მამაკაცი. ისინი გადაცმული პოლიციელები იყვნენ. ფეხბურთელები სამეფო ლოჟიდან ისევ მოედანზე დაბრუნდნენ. პოლიციელები მათ ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ. ყველანი ერთმანეთს ჰკოცნიდნენ, ზურგზე ახტებოდნენ, ირგვლივ ფოტორეპორტიორების უზარმაზარი ბრბო ირეოდა. ყველა ფეხბურთელი ცდილობდა, ხელში ოქროს ქალღმერთით გადაეღო სურათი. საოცნებო თასი ხელიდან ხელში გადადიოდა. ოთხი მოსული პოლიციელი კი ყოველთვის იქ აღიმართებოდა, სადაც თასი იმყოფებოდა. ბოლოს დაუკრეს ინგლისის ჰიმნი. ყველა იქ გაქვავდა, სადაც ჰიმნის პირველმა აკორდმა მიუსწრო. მხოლოდ ოთხმა პოლიციელმა გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, ისინი უფრო მოხერხებულად განლაგდნენ ბობი ჩარლტონის ირგვლივ, რომელსაც იმ მომენტში ოქროს ქალღმერთი ეჭირა ხელში.

პოლიციელებს სიფხიზლე არც მაშინ დაუკარგავთ, როცა ნანატრი ჯილდო პრემიერ-მინისტრ უილსონს ეჭირა „როიალ გარდენის“ აივანზე. მეტი რა გზა ჰქონდათ, ინგლისის პოლიციამ ერთხელ უკვე იწვნია თასის გატაცებით გამოწვეული სირცხვილი და სიმწარე. ახლა განსაკუთრებით ფრთხილად უნდა ყოფილიყვნენ – თასი ხომ ოთხი წლის განმავლობაში მათ ეკუთვნოდათ.

– ჩემმა ბიჭებმა გაიმარჯვეს იმიტომ, რომ ყველაზე სწრაფები და ძლიერები იყვნენ, – განაცხადა ალფ რამსეიმ მეორე დღეს. სამწუხაროდ, ასე როდი ფიქრობდა და ფიქრობს ყველა ჟურნალისტი და სპეციალისტი. ჩვენმა მკითხველებმა კარგად იციან ის საპროტესტო გამოსვლები, განცხადებები და საჩივრები, რაც არგენტინელმა და ბევრი სხვა ქვეყნის ნაკრებთა ხელმძღვანელებმა გააკეთეს.

– ჩემპიონატი ძალზე კარგად იყო ორგანიზებული, უფრო მეტიც, იგი მეტისმეტად კარგად იყო ორგანიზებული! – ირონიულად განაცხადა ერთმა იტალიელმა ჟურნალისტმა. ამ „მეტისმეტად“ კარგ ორგანიზაციაში ის ბევრ რამეს გულისხმობდა. ჰქონდათ თუ არა ჟურნალისტებსა და სპეციალისტებს ამ პროტესტისა და ირონიის უფლება? დიახ, ჰქონდათ და, აი, რატომ:

ინგლისის ეროვნულმა ნაკრებმა ყველა თამაში „უმბლიზე“ ჩაატარა, მათი შეხვედრების კალენდარს ყველაზე გეგმაზომიერი სახე ჰქონდა. ეს უკვე დიდ უპირატესობას ნიშნავდა. თავიდანვე იგრძნობოდა, რომ ინგლისელებს ძალზე ეშინოდათ სამხრეთამერიკელი ფეხბურთელებისა. ალბათ, შემთხვევითი არ იყო, რომ ბრაზილიის ყველა თამაშს უმთავრესად ინგლისელი მსაჯები სჯიდნენ.

სამხრეთამერიკელებთან გამართული ორივე მატჩი (ურუგვაისთან და არგენტინასთან) ინგლისელებმა მართლაც ძალზე სუსტად ჩაატარეს.

ამ ყველაფრის დაგვირგვინება იყო არგენტინელთა კაპიტნის, ანტონიო რატინის გაძევება მოედნიდან ინგლისელებთან მატჩის დროს. როცა შეხვედრის შემდეგ არგენტინელი ფეხბურთელის დასჯის მიზეზი ჰკითხეს, მსაჯმა თქვა, შემაგინაო. მაგრამ იმწამსვე გაირკვა, რომ მსაჯს ერთი სიტყვაც არ ესმოდა ესპანური (გერმანელი იყო). დაბნეულმა თავი იმართლა, რატინის სახის გამომეტყველებაზე ვატყობდი, რომ მაგინებდაო.

კიდევ უფრო საეჭვოდ ჟღერს ცოტა მოგვიანებით ფიფას გამოთქმული ბოდიში და არგენტინელთა კაპიტნის რეაბილიტაცია (მას სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია ჰქონდა მიღებული).

ეს ამბები მსოფლიოს პრესას მართლაც აძლევდა და აძლევს დაეჭვების საბაბს.

მიუხედავად ამისა, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ინგლისის ეროვნული ნაკრები ღირსეული ჩემპიონია. მარტო ის რად ღირს, რომ ტურნირის განმავლობაში ინგლისელები სულ უფრო აუმჯობესებდნენ თამაშს, ხოლო ნახევარფინალსა და ფინალში გვიჩვენეს დაუვიწყარი, ჭეშმარიტად დიდი ფეხბურთი. თუ გავიხსენებთ ინგლისში ჩატარებულ მატჩებს, ერთ რამეს შევამჩნევთ: ყველაზე ლამაზი ორთაბრძოლები იმართებოდა მაშინ, როცა შეხვედრაში მონაწილეობდნენ ბრაზილიელები და ინგლისელები. გავიხსენოთ ოთხი დიდებული შეხვედრა: ბრაზილია – უნგრეთი, ბრაზილია – პორტუგალია, ინგლისი – პორტუგალია, ინგლისი – გფრ. ჩემპიონატის საუკეთესო მატჩად აღიარებულია ბრაზილიისა და უნგრეთის შეხვედრა. ეს იყო ულამაზესი, დრამატული მომენტებითა და ბრწყინვალე ტექნიკური ოსტატობით აღსავსე მატჩი, რომელიც გულშემატკივართა მეხსიერებაში დარჩა, როგორც ფეხბურთელთა უმაღლესი ოსტატობის დემონსტრაცია.

მაგრამ ყველაზე დაუვიწყარი მატჩი მაინც ინგლისი – გფრ იყო.

სწორედ ეს შეხვედრა განსაზღვრავდა ყველაზე მეტად ინგლისის ჩემპიონატის სახეს, სწორედ ამ მატჩში ჩანდა ყველაზე მეტად ის ტაქტიკური სიახლენი და წინსვლა, რაც უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში განიცადა ფეხბურთმა.

ალფ რამსეიმ თქვა: „ჩვენს ფეხბურთელებს არა აქვთ ისეთი დახვეწილი ტექნიკა, როგორიც სამხრეთამერიკელ ფეხბურთელებს. შეიძლება არც არასდროს ჰქონდეთ. მაგრამ ინგლისელ ფეხბურთელებს აქვთ სხვა რამ“.

აი, სწორედ ეს „სხვა რამ“ კარგად ვიგრძენით ჯერ კიდევ ინგლისელებისა და პორტუგალიელების შეხვედრის დროს. მომავალ მსოფლიო ჩემპიონებთან ორთაბრძოლაში ვარსკვლავებით სავსე პორტუგალიის ნაკრების თამაში ტაქტიკურად შედარებით ღარიბი გამოჩნდა და ოდნავ ძველი ყაიდის

ფეხბურთის ელფერი დაჰკრავდა. თუმცა ეს იყო ულამაზესი მატჩი, რომელმაც მაყურებელს უდიდესი სიამოვნება და სიხარული მიანიჭა. მოედანზე იყვნენ ნამდვილი ფეხბურთელები. ისინი თამაშობდნენ მთელი სულით და გულით. მსაჯის სასტვენის ხმა პირველად მეოცე წუთზე გაისმა. შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებთან ინტერვიუში მსაჯმა განაცხადა: შემეშინდა, ფეხბურთელებს არ დავიწყებოდათ, რომ მოედანზე მეც ვიყავი და იმიტომ დავუსტვინეო.

ფინალი კი მართლაც დაგვირგვინება იყო ამ დიდი საფეხბურთო ბატალიისა. ყველაზე მეტად სწორედ ფინალი გვაძლევს საშუალებას, ვიმსჯელოთ თანამედროვე ფეხბურთის დონეზე, მის ტაქტიკურ არსენალზე, ინგლისელებისა და გერმანელების თამაშს შეიძლება ვუწოდოთ „ლოგიკის ფეხბურთი".

მე (ალბათ არც სხვებს) ჯერ არ მინახავს ასეთი დახვეწილი, რაციონალური ფეხბურთი.

ფეხბურთელის ტექნიკა ხშირად მარტო ბურთის გაჩერება, ტარება და დრიბლინგი ჰგონიათ.

განა უდიდესი ტექნიკა არ არის, როცა ხაზთან მომწყვდეული ბობი მური ან კარლ-ჰაინც შნელინგერი პირუკუ უზუსტეს პასებს აწვდიან მოედნის შორეულ კუთხეში მდგომ თანაგუნდელებს?

განა უდიდესი ტექნიკა და მოედნის ხედვა არ სჭირდება ფეხბურთელს, რომელიც ბურთის მიღებამდე წამის რაღაც მეათედებში აფასებს მომენტს, ამჩნევს სწორ გაგრძელებას და ბურთს ძირს დაუშვებლად, ყოველგვარი დამუშავებისა და ზედმეტი დაყოვნების გარეშე, ზუსტად გზავნის პარტნიორისაკენ? დღევანდელი ფეხბურთი ძალზე გამოირჩევა თამაშის ორგანიზაციით, მანევრირების სისწრაფითა და მახვილგონიერებით. დღევანდელ ფეხბურთში დაიკარგა მოთამაშეთა ვიწრო სპეციალიზაცია. ამის შესანიშნავ მაგალითს გვიჩვენე-

ბენ ბოლი, მური და ბობი ჩარლტონი, შნელინგერი და ბეკენბაუერი, ფაკეტი და კოლუნა. ფინალმა დაგვარწმუნა, რომ განლაგება 1-4-3-3 ნაწილობრივ პირობითი იყო. თითქმის არ შემიმჩნევია ისეთი ეპიზოდი, როცა დაცვაში და თავდასხმაში შვიდი-რვა ფეხბურთელი არ მონაწილეობდა.

ფინალში ვგრძნობდით, რომ ყოველ არაზუსტ, დაკარგულ გადაცემას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ზუსტ, თითქმის იდეალურ გადაცემებს კი ვირტუოზული ტექნიკა სჭირდება. ინგლისელებს ამჯერად ჰქონდათ ასეთი ტექნიკა. მაღალტექნიკურები იყვნენ გერმანელებიც. თუმცა არც ინგლისელ და არც გერმანელ ფეხბურთელებს არ ახასიათებთ სამხრეთული ტრიუკები, ვინაიდან მათი ტექნიკა ემორჩილება მკაცრ ლოგიკას და იერიშის ორგანიზაციას, ემორჩილება დროს და იგი იმდენად უფრო სრულყოფილია, რამდენადაც სწრაფად სრულდება ესა თუ ის ოპერაცია. ინგლისელთა და გერმანელთა ტექნიკას შეიძლება მანევრირების ტექნიკა ვუწოდოთ, მაშინ როცა ურუგვაელი ფეხბურთელების ტექნიკა უფრო ინდივიდუალური და ვირტუოზულია. ინგლისელთა უპირატესობა იმაშია, რომ მათი ტექნიკა ემსახურება მიზანს, ურუგვაელთა თამაშის დროს კი ხშირად მიზანი ეწირება ტექნიკას. არ ვიცი, რამდენად ზუსტი იქნება ეს შედარება, მაგრამ ურუგვაელი ფეხბურთელები ისე განსხვავდებიან ინგლისელებისაგან, როგორც ბაროკოს სტილის არქიტექტურა თანამედროვე ლოგიკური და ნათელი არქიტექტურისაგან. ინგლისი არა მარტო მსოფლიო ჩემპიონი გახდა, მან ბევრი რამ ახალიც შესძინა მსოფლიო საფეხბურთო ტაქტიკას.

ერთი რამ კი შეიძლება ითქვას: წინა ორ ჩემპიონატში, როცა უმაღლესი ჯილდო ბრაზილიელებმა მოიპოვეს, არავის გასჩენია აზრი, ოქროს ქალღმერთის ღირსი შეიძლება სხვა რომელიმე გუნდიც ყოფილიყოო. ბრაზილიელები მაშინ მთელი ორი თავით იდგნენ ყველაზე მაღლა. ინგლისელები

ასეთი უპირატესობით არ გამხდარან მსოფლიო ჩემპიონები. სრულიად თავისუფლად შეიძლებოდა ეს სანუკვარი ტიტული მოეპოვებინათ გერმანელებს, არგენტინელებს, პორტუგალიელებს, უნგრელებს და იმავე ბრაზილიელებს. ეს გუნდები თანაბარი ძალისანი იყვნენ და მათ წარმატებას განაპირობებდა ნაწილობრივ ის ფორმა, რომელშიაც ჩამოთვლილი გუნდები ჩემპიონატის დღეებში იმყოფებოდნენ და ნაწილობრივ... ბედიც.

პირადად ჩემი აზრით, ყველაზე საინტერესო ფინალი იქნებოდა ბრაზილია – ინგლისი. თუნდაც იმიტომ, რომ ეს იქნებოდა არა მარტო ორი საუკეთესო გუნდის, არამედ ორი სხვადასხვა საფეხბურთო სკოლის წარმომადგენელთა ორთაბრძოლა.

ინგლისის ჩემპიონატში ძირითადად მაინც ორი საფეხბურთო მიმართულება იბრძოდა – სამხრეთამერიკული და ინგლისური. სამხრეთამერიკული ფეხბურთის წარმომადგენლები იყვნენ არგენტინელები, ურუგვაელები და ნაწილობრივ პორტუგალიელები, მსოფლიოს ექსჩემპიონების – ბრაზილიელების მეთაურობით.

ამ სკოლამ მარცხი განიცადა. პირველი ორი ადგილი ინგლისური სტილის ფეხბურთის წარმომადგენლებმა: ინგლისელებმა და გერმანელებმა მოიპოვეს.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ ამ ორ გუნდს ძალზე გაუჭირდა თამაში ურუგვაისთან და არგენტინასთან. ინგლისმა ურუგვაის ვერ მოუგო, არგენტინასთან კი მხოლოდ ერთი ბურთი გაიტანა (ორ თამაშში სულ ერთი ბურთი), თანაც ყველას გვახსოვს, მატჩი რა პირობებში მიმდინარეობდა. გერმანიამ ვერაფერი დააკლო არგენტინას, ხოლო ურუგვაის მას შემდეგ სძლია, რაც მოედნიდან ორი ურუგვაელი ფეხბურთელი გააძევეს. როგორ ითამაშებდნენ ინგლისელები და გერმანელები ბრაზილიელთა წინააღმდეგ?

ბრაზილიისა და ინგლისის შეხვედრა კიდევ იმიტომ იქნებოდა საინტერესო, რომ თვალნათლივ გამოაჩენდა, რაში ჩამორჩა ბრაზილიური ფეხბურთი და რაში გამოიხატება ინგლისელთა უპირატესობა, რასაკვირველია, თუ ეს უპირატესობა მართლაც არსებობდა. პარალელებითა და ცალკეული შეხვედრებით მსჯელობა ძალიან ძნელია. მათი ორთაბრძოლა ბევრ საკამათო მხარეს მოჰფენდა ნათელს.

* * *

და აი, ჩვენ უკვე აეროდრომზე ვართ. ნაცნობი დარბაზები, ასაფრენი ბილიკების ნაცნობი ხედი.

თითქოს ახლა გვაგონდება, რომ ფეხბურთის გარდა ინგლისში ბევრი რამ გვქონდა სანახავი. გონებაში გადავფურცლე საექსკურსიო გეგმა. 23 დღის განმავლობაში რაც შეიძლებოდა, თანაც საფეხბურთო ციებ-ცხელების დღეებში, ყველაფერი გვაჩვენეს. ჩვენს მასპინძელ ფირმაზე სამდურავი არ გვეთქმოდა. ვიყავით შოტლანდიაში, ვნახეთ ევროპის ულამაზესი ქალაქი ედინბურგი, მოვიარეთ ინგლისის მთის კურორტები, ეგრეთ წოდებული ტბათა მხარე, ვესტუმრეთ კემბრიჯს, უინძორს, ჰასტინგსს.

პროგრამის უკანასკნელი პუნქტიც ამოვწურეთ, ახლა ველოდებით თვითმფრინავს, რომელიც ამსტერდამში გადაგვაფრენს. თითქოს ამით მთავრდება ჩვენი შეხვედრები მსოფლიო ჩემპიონატის დონეზე, მაგრამ არა...

უეცრად მინის კარს იქით ნაცნობი, მსხვილი მამაკაცი დავინახეთ. ის დარბაზში შემოვიდა. საეჭვო არაფერი იყო. ჩვენ წინ ვისენტე ფეოლა იდგა.

ბრაზილიელთა მწვრთნელი იტალიაში მიემგზავრებოდა. ყველანი ირგვლივ შემოვეხვიეთ. ფეოლა დამარცხებულ და ტყვედ ჩავარდნილ სარდალს ჰგავდა, მაგრამ თავი ღირსეუ-

ლად და ამაყად ეჭირა. მსუქან სახეში ჩამჯდარი თვალებიდან სევდა იღვრებოდა. მწვრთნელი, რომელმაც თავის ფანტაზიას დაუმორჩილა მსოფლიო საფეხბურთო ტაქტიკა, მწვრთნელი, რომელმაც ბრაზილიის ეროვნული ნაკრები ზედიზედ ორჯერ აიყვანა დიდების ოლიმპზე, ბრძოლის ველიდან გამოპარულს ჰგავდა. სადღა იყო მისი ბრწყინვალე ამალა: პელე და გარინჩა, სანტოსი და ჟილმარი, ბელინი და ჟაირზინიო?

ვისენტე ფეოლა მათ სამუდამოდ გამოემშვიდობა. ახლა იტალიაში მიეშურებოდა, მამის საფლავისა და მცირეოდენი მემკვიდრეობის საქმეები ჰქონდა მოსაგვარებელი. გრძნობდა, უკანასკნელად რომ იყო საფეხბურთო მსოფლიოს ყურადღების შუაგულში და სევდიანი, ოდნავ ირონიული ღიმილიც ალბათ ამიტომ დასთამაშებდა სახეზე.

ყოველ მსოფლიო ჩემპიონატზე ჟურნალისტებს უყვართ ხოლმე საკითხის ასე დაყენება – ევროპა თუ სამხრეთი ამერიკა? რიცხობრივი უპირატესობა, რასაკვირველია, ყოველთვის ევროპის მხარესაა, რადგან იქ უფრო მეტია ძლიერი საფეხბურთო სახელმწიფო – ესპანეთი, იტალია, უნგრეთი, გერმანია, ინგლისი, შოტლანდია, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, სსრ კავშირი, საფრანგეთი, პორტუგალია... სამხრეთ ამერიკაში კი მხოლოდ სამი ქვეყანა შეიძლება ჩაითვალოს ჩემპიონობის რეალურ პრეტენდენტად: ბრაზილია, არგენტინა და ურუგვაი. მიუხედავად ამისა, ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატამდე უპირატესობა სამხრეთ ამერიკის მხარეზე იყო – 4:3. ახლა კი ანგარიში გათანაბრდა 4:4. ამ ჩემპიონატში სამხრეთ ამერიკის გუნდი ოთხეულშიც კი ვერ მოხვდა.

გავრიილ კაჩალინმა ასეთი შეკითხვა დაუსვა ბრაზილიელთა მწვრთნელს: „მიგაჩნიათ თუ არა, რომ ინგლისის ჩემპიონატში ევროპულმა ფეხბურთმა დაამარცხა სამხრეთ ამერიკის ფეხბურთი?“

პასუხად ფეოლამ ხმამაღლა გაიცინა.

კიდევ ოთხი წლით გადაიდო პასუხი ამ კითხვაზე. ბოლომდე მაინც ვერაფერი გაარკვიეს და დაადგინეს ფეხბურთის სპეციალისტებმა, ჟურნალისტებმა და გულშემატკივრებმა.

იქნებ ფეხბურთი იმიტომაც არის მიმზიდველი, რომ მის ირგვლივ მუდამ გაუთავებელი კამათი და აზრთა ჭიდილია?

იქნებ ამიტომ არის ყველაზე საინტერესო და ემოციური სანახაობა, რომ აქ არ შეიძლება ჭეშმარიტებისა და პრობლემების მათემატიკური სიზუსტით დადგენა?

იქნებ იმიტომაც იპყრობს მილიონობით ადამიანთა გულებს, რომ ასეთი ამოუწურავია და მოულოდნელობებით აღსავსე? ყოველი ჩემპიონატის წინ მძაფრდება კამათი. მოკამათენი მსოფლიო ჩემპიონატს ელიან, როგორც უმაღლეს სამსჯავროს, სადაც ყველა საკამათო პრობლემას ნათელი უნდა მოეფინოს, მაგრამ მთავრდება მსოფლიო ჩემპიონატი და ყველაფერი თავიდან იწყება.

ასე იყო ინგლისშიც. ამ ჩემპიონატმა საფეხბურთო პრობლემათა უმრავლესობა კიდევ უფრო საკამათო გახადა, ვიდრე ნათელი მოჰფინა.

და, აი, ამ კამათში გამარჯვებულებმაც და დამარცხებულებმაც ყურადღება უკვე მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე გადაიტანეს. მაგრამ მაშინ კი გაირკვევა რამე?

მაშინ ხომ ფეხბურთი ფეხბურთი აღარ იქნება, მაშინ ხომ იგი დაკარგავს იმ საიდუმლო, მიმზიდველ ძალას, რომლითაც ასე იპყრობს და იმორჩილებს ადამიანთა გულებს.

ასეა თუ ისე, ამჯერად ოქროს ქალღმერთმა ფეხბურთის სამშობლოში დარჩენა ინება.

1966

მექსიკა
ბურთით და უბურთოდ

1

გათენდა 1970 წლის 21 ივნისი.
მეხიკომ ჩვეულებრივზე ორი საათით ადრე გაიღვიძა.
დილის ექვს საათზე ქუჩებში უკვე ისმოდა გულშემატკივართა შეძახილები – „მე-ხი-კო, რა-რა-რა!“ მექსიკელი „აფისონადოსები“, იტალიელი „ტიფოზები“ და ბრაზილიელი „ინჩასები“ ყველაზე ადრე დაიძრნენ „აცტეკასაკენ“.

სახელდახელოდ ვისაუზმეთ და ქუჩაში გავცვივდით. როგორც იქნა, ტაქსი დავიჭირეთ. ჩვენი ყვითელი „შევროლე“ უმალვე შეუერთდა მანქანების უზარმაზარ, მდორე დინებას.

დილის რძისფერ ნისლში შორიდანვე გამოჩნდა დიდებული „აცტეკა“. სტადიონის მისადგომებთან ზღვა ხალხი ირეოდა.

ათასფერად ელავდნენ სტადიონის ირგვლივ საგანგებო მოედნებზე დაყენებული მანქანები.

ჯერ კიდევ ძალიან ადრე იყო. მხოლოდ 9 საათზე გახსნიდნენ ალაყაფის კარს. ისმოდა სუვენირებით მოვაჭრეთა გაგრძელებული, სიმღერისმაგვარი შეძახილები.

იტალიელებმა საყვირებითა და დაფდაფებით აიკლეს იქაურობა.

ზუსტად ცხრა საათზე ერთდროულად გაიხსნა სტადიონის ყველა ჭიშკარი. 15 წუთის შემდეგ კი ტრიბუნებზე ტევა აღარ იყო. ათასფერი ტანსაცმელი და რეკლამა ელავდა, 115 ათასი კაცის შეძახილები აზანზარებდა მძიმე ბეტონის კედლებს.

უცებ ჩვენს მოპირდაპირე ტრიბუნაზე გაჭიმეს 20 მეტრის სიგრძის მწვანე დროშა – ბრაზილიის ეროვნული ალამი. დროშას ერთდროულად ასობით ხელი ეპოტინებოდა, იგი

ნელა, მაგრამ ძლევამოსილად დაიძრა მზის მიმართულებით. ამ საზეიმო მსვლელობას თან სდევდა ისტერიული შეძახილები „ბრა-ზილ, ბრა-ზილ!" და სროლის გამაყრუებელი ხმა. ეს ბრაზილიელი გულშემატკივრები ისროდნენ ფუჭ ვაზნებს სპეციალური პისტოლეტებიდან.

დროშა ხელიდან ხელში გადადიოდა. იტალიელებმა მხოლოდ ერთხელ სცადეს შეეჩერებინათ მისი ძლევამოსილი სვლა, მაგრამ მაყურებელთა გრგვინვამ უმალვე ჩაახშო მათი სურვილი. მხოლოდ ოცი წუთი დასჭირდა მწვანე დროშას, რომ ტრიუმფით შემოევლო გრანდიოზული „აცტეკა".

დრო სწრაფად გადიოდა, ტრიბუნებზე საოცარი საზეიმო განწყობილება სუფევდა. სულ ორიოდე საათი და აქ, ამ მწვანე, ლამაზად დავარცხნილ მოედანზე გაიმართებოდა ფეხბურთის ისტორიაში მეცხრე უდიდესი ორთაბრძოლა, მსოფლიო პირველობის მეცხრე ფინალური მატჩი, სადაც საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო ოქროს ქალღმერთის ბედი. სულ ორიოდე საათში აქ უნდა დაბადებულიყო მსოფლიოს ახალი ჩემპიონი.

11 საათზე დაიწყო საზეიმო ცერემონია. მუსიკის გრიალში ცისკენ აფრინდა უზარმაზარი ბუშტები.

უცებ ახალი ძალით იქუხა ტაშმა, ტრიბუნები შეაზანზარა გულშემატკივართა შეძახილებმა, მოედანზე გამოჩნდნენ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები – იტალიელები და ბრაზილიელები. სტადიონი გრგვინავდა, ყურთასმენა აღარ იყო.

ჰიმნების შესრულების შემდეგ სტადიონი წამიერად გაირინდა, გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა...

2

ჯერ კიდევ მექსიკის ჩემპიონატის დაწყებამდე ცხრა დღით ადრე გავემგზავრეთ მოსკოვიდან. ბრიუსელში, ამსტერდამის გავლით, საბჭოთა თვითმფრინავით ჩავედით. ბრიუსელის

აეროპორტში დაგვხვდნენ ბელგიის ავიაკომპანია „საბენას“ წარმომადგენლები. „საბენას“, ხელშეკრულების თანახმად, უნდა უზრუნველეყო ჩვენი მექსიკაში გამგზავრება მარშრუტით ბრიუსელი – მონრეალი (კანადა) – მეხიკო, შემდეგ კი უკან, ბელგიამდე დაბრუნება მარშრუტით მეხიკო – ნიუ-ორლეანი (აშშ) – მონრეალი – ბრიუსელი. ბელგიიდან მოსკოვში კი კვლავ საბჭოთა თვითმფრინავით დავბრუნდებოდით.

იმ შთაბეჭდილებათა გადმოცემა, რაც ოკეანეზე ფრენისას თუ კანადაში მივიღეთ, არ შეადგენს ჩვენი წიგნის მიზანს, ამიტომ მკითხველს თავს აღარ შევაწყენთ. მეხიკოში შუაღამისას ჩავფრინდით, ჩვენ ქვემოთ გადაიშალა უზარმაზარი, გაჩირაღდნებული ქალაქი. რეკლამების კოცონში ზურმუხტის თვლებივით ციმციმებდა მწვანე კაფელით ამოგებული და სინათლით გაჩირაღდნებული ათასგვარი ფორმის საცურაო აუზები. მალე მეხიკო თვალს მიეფარა და აეროდრომზე დავეშვით. „ბოინგი“ მძიმედ მიუახლოვდა აეროპორტის მთავარ შენობას. ღამის ორ საათზე ზარ-ზეიმით შეხვედრას არ ველოდით. წინასწარ ვიცოდით, რომ მხოლოდ ჩვენი მასპინძელი ფირმის წარმომადგენლები დაგვხვდებოდნენ. უცებ ამ მცირერიცხოვან დამხვდურებს შორის ნაცნობ სახეებს მოვკარით თვალი. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: შორიდან გვიღიმოდნენ კაჩალინი, პარამონოვი და მურთაზ ხურცილავა.

– რატომ არ გძინავს? – ეს იყო პირველი შეკითხვა, რომელიც მურთაზს დავუსვით მისალმების შემდეგ.

– პირველ თამაშზე ვერ გამოვალ! – ნაღვლიანად გვიპასუხა მან და მტკივან ფეხს დახედა, – ჯერ კიდევ მაწუხებს, მაგრამ არაფერია, ბელგიელების წინააღმდეგ აუცილებლად ვითამაშებ.

საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელებს შეკითხვები სეტყვასავით დავაყარეთ, უიმედობა არ ეტყობოდათ, პი-

რიქით, მომეჩვენა, რომ წარმატების იმედიც ჰქონდათ. მაგრამ მურთაზ ხურცილავას ძუნწი მინიშნებებიდან მაინც მივხვდი, გუნდში ყველაფერი რიგზე ვერ იყო. სამწუხაროდ, თბილისელი ფეხბურთელი მართალი აღმოჩნდა.

ოტელი „ვიეირასი“, სადაც მოგვათავსეს, ქალაქის ცენტრში მდებარეობს. სანამ ოთახებში გაგვანაწილეს, ირიჟრაჟა კიდეც. ბარგი სახელდახელოდ მივყარეთ და იმავე წუთს ქუჩებს მივაშურეთ. რვამილიონიანი ქალაქი იღვიძებდა. რეკლამები უკვე გაფერმკრთალებულიყვნენ. ქუჩები ერთბაშად აივსო მანქანებით. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ისმოდა საყვირზე შესრულებული მექსიკური მელოდიების დასაწყისები... ეს ავტომობილების მუსიკალური სიგნალები იყო, რაც ძალზე უყვართ მექსიკაში.

უზარმაზარი ქალაქის ყოველ კუნჭულში იგრძნობოდა გამოცოცხლება, მომავალი დიდი ასპარეზობის მოლოდინი. გამახსენდა 1966 წლის ლონდონი ჩემპიონატის გახსნის წინ. დიდი ბრიტანეთის დედაქალაქს არც კი ეტყობოდა, რომ სულ რამდენიმე საათში იქ უნდა დაწყებულიყო მსოფლიოში ყველაზე მიმზიდველი და პოპულარული ასპარეზობა. მეხიკოში კი ყოველი ქუჩა, ვიტრინა თუ სკვერი მოახლოებული ჩემპიონატის სუნთქვას გაგრძნობინებდა. მაღაზიის ვიტრინები მორთული იყო სხვადასხვა ზომის ბურთებით, პლაკატებით. ხელსაყრელ მომენტს არ კარგავდნენ არც საავტომობილო მაღაზიების მფლობელები. უზარმაზარ ვიტრინებს სახელდახელოდ მისცეს საფეხბურთო მოედნის სახე, სადაც ნატურალური სიდიდის კარის ბადეში ბურთის ნაცვლად გახვეული იყო ამერიკული „მუსტანგები“.

მთელს მსოფლიოშია სახელგანთქმული მექსიკური ტორტები. დიამეტრით ორმეტრიან უზარმაზარ ნამცხვრებს ფერადი კრემისა და შაქარყინულის ათასგვარი ფიგურები ამშვენებს. განსაკუთრებით პოპულარულია კრემის მარმაშა-

კაბებიანი ბალერინები, რომლებიც უზარმაზარი შაქარყინულის კიბეზე ჩამომწკრივებულან, ზოგნიც საცეკვაო მოედანზე განლაგებულან ცეკვის მოლოდინში. ბუნებრივია, მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში საფეხბურთო თემები დიდ გასავალში იყო მეხიკოს საკონდიტროებშიც.

მექსიკელ გულშემატკივრებს უკვე დიდი ხანია დაწყებული ჰქონდათ სამზადისი. ამ სამზადისში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მექსიკის რადიო და ტელევიზია. სწორედ ისინი აზეპირებინებდნენ ხალხს სხვადასხვა შეძახილებს. მოვიყვან ერთი საკმაოდ გრძელი შეძახილის უკანასკნელ ნაწილს: „...ალავიო, ალავაო, ალავ-ბიმ-ბომ-ბამ, მეხიკო, მეხიკო, რა-რა-რა!" მთელ ამ შეძახილში ერთადერთი სიტყვა მეხიკოა გასაგები, დანარჩენები კი არაფრის გამომხატველი ბგერათშეთანხმებაა, რომელთა წარმოთქმასაც გარკვეული მუსიკალური ნიჭი სჭირდება.

რეპეტიციები უშუალოდ „აცტეკაზე" ტარდებოდა. დირიჟორებად საგანგებოდ იყვნენ შერჩეული ყველაზე ფანატიკოსი, ჯანმაგარი და ენერგიული გულშემატკივრები. დამუშავებული ჰქონდათ სასიგნალო ნიშნები, რომელთა მიხედვითაც უნდა დაეგუგუნებინათ სხვადასხვა შეძახილი.

მექსიკელები განსაკუთრებით ანტაგონისტურად იყვნენ განწყობილნი მსოფლიო ჩემპიონების – ინგლისელების მიმართ. ეტყობა, თავის დროზე მექსიკის და, საერთოდ, ლათინური ამერიკის პრესამ ძალზე მუქი ფერებით გააშუქა ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც მსაჯებმა და ჩემპიონატის ორგანიზაციამაც საფუძვლიანი ეჭვისა და კრიტიკის საბაბი მისცა მთელ სპორტულ სამყაროს. მექსიკის ფოლკლორის თეატრში პირველ ნომრად გვიჩვენეს სპორტული კომპოზიცია „მეხიკო-70". ჩემპიონატის მონაწილე ქვეყნების ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ ქალიშვილებს სათანადო მუსიკის თანხლებით სცენაზე გამოჰქონდათ თავიანთი ეროვნული

ალმები. დარბაზში გამაყრუებელი სტვენა და ფეხების ბაკუნი ატყდა, როცა სცენაზე ინგლისის დროშა გამოიტანეს. მექსიკელები განსაკუთრებით უჭერდნენ მხარს დასავლეთგერმანელ ფეხბურთელებსაც, ვინაიდან ფიქრობდნენ, რომ ისინიც უსამართლოდ დაჩაგრეს ინგლისის ჩემპიონატში.

ერთი სიტყვით, მთელი მექსიკა მსოფლიო ჩემპიონატისათვის ემზადებოდა. გამალებული ემზადებოდა მექსიკის პოლიციაც. იმ სასტუმროებს, სადაც ფეხბურთელები იყვნენ დაბანაკებულნი, დიდი ყურადღებით სდარაჯობდნენ პოლიციელები და საპოლიციო მანქანები. ფეხბურთელებთან მოხვედრა გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ჩვენ სათანადო ნებართვის აღება დაგვჭირდა, რომ ნებისმიერ დროს დაუბრკოლებლად შევსულიყავით საბჭოთა ფეხბურთელებთან. ასეთი სიფხიზლე მარტო იმით როდი იყო გამოწვეული, რომ აბეზარ ჟურნალისტებს ან გულშემატკივრებს ფეხბურთელთათვის მყუდროება ან სპორტული რეჟიმი არ დაერღვიათ; მექსიკის მთავრობას ეშინოდა, რომელიმე ფარული პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენლებს ფეხბურთელები არ გაეტაცათ. ლათინურ ამერიკაში დიდად გავრცელებული ხერხია ცნობილი პირების გატაცება და მათ სანაცვლოდ პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლების მოთხოვნა. სულ რამდენიმე თვის წინ გვატემალაში გაიტაცეს დასავლეთ გერმანიის ელჩი და მის სანაცვლოდ მოითხოვეს ოცდაათი თუ ორმოცი პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლება. როცა გვატემალის მთავრობამ წაყენებულ პირობებზე უარი განაცხადა, დასავლეთ გერმანიის ელჩი მოკლეს. მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში ბრაზილიაში გაიტაცეს კვლავ დასავლეთ გერმანიის ელჩი და მის სანაცვლოდ მოითხოვეს 40 პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლება. გვატემალის ამბებით შეშინებულმა ბრაზილიის მთავრობამ იმავე წუთში განაცხადა თანხმობა და ის ორმოცი პატიმარი,

წაყენებული პირობის თანახმად, მაროკოში ნაიყვანეს გასათავისუფლებლად. ჩვენმა მკითხველმა წარმოიდგინოს, რამდენი პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლება გახდებოდა საჭირო, პელე ან ჟაირზინიო რომ გაეტაცათ. ჩვენ რამდენჯერმე ვიყავით საბჭოთა ფეხბურთელებთან ერთად კინოში, ავტობუსებს ყოველთვის წინ მიუძღოდნენ მოტოციკლისტი პოლიციელები, უკან კი გზას კეტავდა ორი საპოლიციო მანქანა.

გარდა ამისა, მექსიკის მთავრობამ კარგად გაითვალისწინა ორი წლის წინანდელი გაკვეთილები, როცა მეხიკოში ოლიმპიური თამაშების გახსნის წინ მომხდარ სისხლისმღვრელ შეტაკებაში დაიღუპა 273 ადამიანი. მაშინ დაშავდა ორი ათასი კაცი, ხოლო რამდენიმე ათეული სტუდენტი დღესაც ციხეში ზის. მექსიკის მთავრობას ეშინოდა, მისი პოლიტიკით უკმაყოფილო სტუდენტებს მსოფლიო ჩემპიონატის გახსნა ახალი მანიფესტაციებისათვის არ გამოეყენებინათ და სპეციალური საწვრთნელი ვარჯიშები ჩაატარეს: თვით მეხიკოში შეარჩიეს 500 ტანმოსული პოლიციელი. ეს არც ისე იოლი საქმე იყო, რადგან მექსიკელები, საერთოდ, ტანმორჩილნი არიან. პოლიციის განკარგულებაში იყო 600-მდე ავტომანქანა და რამდენიმე ათეული ჯავშნოსანი, რომლებსაც სტუდენტებმა კუბოები შეარქვეს; ერთი სიტყვით, ამ ღონისძიების ჩატარებით კმაყოფილი მეხიკოს მერი ალფონსო კორონა დელ როსალი საკმაოდ მშვიდად გრძნობდა თავს.

და აი, დადგა ჩემპიონატის გახსნის დღეც. „აცტეკა" მზად იყო საფეხბურთო დღესასწაულისათვის. მსოფლიოს საუკეთესო სტადიონი გულშემატკივრებს ელოდა. მისი პროექტი ეკუთვნის სახელგანთქმულ არქიტექტორს პედრო რამირეს ვასკესს.. სტადიონი კონსტრუქციულად ისეა გადაწყვეტილი, რომ ძალზე მალე იცლება. გიგანტურ ნაგებობას ირგვლივ აკრავს ესტაკადები, რომლებიც ავტოსტრადებს და მანქანების სადგომ მოედნებს უერთდება. სტადიონის ირგვლივ გან-

ლაგებულ სპეციალურ მოედნებზე 50 ათასი ავტომობილი და ავტობუსი ეტევა. სტადიონის შუა სარტყელში მოთავსებულია 700-ზე მეტი ლოჟა. თითოეული ექვს- ან ცხრაადგილიანია. ლოჟებს აქვს საკუთარი ოთახი, აბაზანა, მაცივარი, ტელევიზორი. ლოჟებს ირგვლივ შემორტყმული აქვს საკუთარი ესტაკადა, რომელიც ორ ადგილას უერთდება ავტოსტრადას. ამ ესტაკადაზე მიმავალი მანქანა არ გადაჰკვეთს იმ ადგილებს, დანარჩენი გულშემატკივრებისათვის რომაა განკუთვნილი. მანქანებს სადგომიც იქვე, ლოჟის პირდაპირ აქვთ გამოყოფილი... ასე რომ, მათი პატრონები ყოველგვარი დაბრკოლების ან შეფერხების გარეშე პირდაპირ ლოჟასთან მიდიან მანქანით. ლოჟები გაყიდულია 99 წლით. ადვილი მისახვედრია, რა სქელი ჯიბის პატრონები იქნებიან ამ ლოჟების მფლობელები. „აცტეკაზე" არცთუ ისე ხშირად იმართება მიმზიდველი ასპარეზობები, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ იქ ერთი ლოჟა შენს სახელზეა ჩაკეტილი, ძალზე ბევრს ნიშნავს მექსიკელ მილიონერთათვის.

ჩემპიონატის გახსნის დღეს „აცტეკას" მისადგომები საფუძვლიანად დაეკავებინათ სუვენირებით მოვაჭრეებს, მაგრამ მათთვის არავის ეცალა. სტადიონზე ორი საათით ადრე მივედით. უზარმაზარი ნაგებობა ვულკანის კრატერივით გუგუნებდა. სულმოუთქმელად ავირბინე ფართო ესტაკადა და ტრიბუნაზე გავედი. ჩემ წინ დიდებული, გრანდიოზული სანახაობა გადაიშალა: ფერადი რეკლამებით მორთული და სხვადასხვაფრად შეღებილი ტრიბუნები, ფერადი დროშების ტყე და ასაფრენად გამზადებული ათასობით ფერადი ბუშტი, ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი 115 ათასი კაცი, მწვანედ აბიბინებული, დიდებული მოედანი, გულშემატკივართა ომახიანი შეძახილები, საყვირების გრიალი და დოლების გუგუნი... დიდებული, დაუვიწყარი სანახაობა იყო, არც კი გაგვიგია, დრო როდის გაიპარა და აი, საზეიმო ტანსაცმელში

გამოწყობილი უზარმაზარი სამხედრო ორკესტრი ასრულებს მექსიკის ჰიმნს. მთელი სტადიონი ფეხზე დგება. ასი ათასი კაცის სიმღერამ სტადიონის ტრიბუნები შეაზანზარა. მღელვარებისაგან გული ყელში მოგვებჯინა, ზოგიერთებს თვალზე ცრემლიც კი ჩამოუგორდა.

3

მეხიკო უზარმაზარი და თვალწარმტაცი ქალაქია. იგი თავისუფლად შევა მსოფლიოს ულამაზეს ქალაქთა ათეულში. თვალისმომჭრელი და დიდებულია მექსიკის დედაქალაქის არქიტექტურა, შენობათა და ქუჩათა მასშტაბურობა, თანამედროვე, მინისა და უჟანგავი ფოლადის შენობები, ეგრეთ წოდებული კოლონიური არქიტექტურა და აცტეკური არქიტექტურის ელემენტებით აგებული უზარმაზარი შენობები ერთ მთლიან, დაუვიწყარ სურათს ქმნის.

მეხიკოში ორი მთავარი პროსპექტია – რეფორმა და ინსურხენტესი. თითოეული მათგანის სიგრძე 30 კილომეტრზე მეტია. ადამიანის ფანტაზიას გაუჭირდება წარმოიდგინოს უფრო ლამაზი პროსპექტები, სადაც თანამედროვე არქიტექტურით ნაგები შენობები საოცრად ინარჩუნებენ ინდივიდუალობასა და იმ საერთო, დასამახსოვრებელ თავისებურებას, რაც მთლიანობაში მეხიკოს დამახასიათებელ ხუროთმოძღვრულ პანორამას იძლევა.

მეხიკოს სახელგანთქმულ პარკ „ჩაპულტეპეკიდან“ იწყება მდიდრების უბანი, რომელსაც ლომასი ჰქვია. აქ მოხვედრილ კაცს თავი ზღაპარში ეგონება. მე მინახავს მდიდრული ვილები ლონდონსა თუ ბეირთუში, სტოკჰოლმსა თუ დამასკში, ამსტერდამსა თუ მონრეალში, ბრიუსელსა თუ ედინბურგში, ჰელსინკისა თუ სიმდიდრით განთქმულ ელ-კუვეიტში, მაგრამ მეხიკომ ყველას გადააჭარბა. ჯერ კიდევ ოცი-ოცდაათიოდე

წლის უკან აგებულ მდიდრულ, ფეშენებელურ სასახლეებს გადაება უაღრესად თანამედროვე ყაიდაზე ნაგები ვილები. დადიხარ მყუდრო, კაქტუსებითა და ოლეანდრებით, ათასგვარი ტროპიკული მცენარეებითა და ყვავილებით დამშვენებულ ვიწრო ქუჩებში, სადაც ნიჭიერ მექსიკელ ხუროთმოძღვრებს მაქსიმალურად შეუნარჩუნებიათ სოფლური მყუდროება, კოლორიტი, იდილია და თავი კურორტზე გგონია. აქ გიჭირს გამოარჩიო რომელიმე ვილა, გიჭირს ერთი ამჯობინო მეორეს.

აქ, მეხიკოს ამ ზღაპრულ უბანში, ცხოვრობენ მექსიკელი მილიონერები. მათ სასახლეებს პოლიცია იცავს, მათი გაკრიალებული „ლინკოლნები" და „მუსტანგები" მოტოციკლების ესკორტის თანხლებით გადიან ქალაქში. უზადო გემოვნებით მორთულ ეზოებში ათი ძაღლი მაინც დასეირნობს, ხოლო მწვანე კაფელით ამოშენებული სხვადასხვა ფორმის საცურაო აუზები ზურმუხტისფრად ლივლივებენ კაშკაშა მზის შუქზე.

არცერთ სახელგანთქმულ ინგლისურ პარკს არ ჩამოუვარდება „ჩაპულტეპეკი". მართალია, იგი უფრო დეკორაციული პარკის შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე ლონდონის ჰაიდ-პარკი, ან გრინ-პარკი, მაგრამ მისი შადრევნები შეუდარებელია. აქ არის მსოფლიოში ყველაზე გრძელი შადრევანი. აქვეა სპორტული, ეგრეთ წოდებული ოლიმპიური შადრევნები. თვალს ხიბლავს დევის თუ გველეშაპის შადრევანი, რომლის ფიგურა და მოზაიკა ნამდვილად დიდი ხელოვნების ნაწარმოებია. მაგრამ „ჩაპულტეპეკში" შეუდარებელია მთავარი შადრევანი, რომელიც შუაგულ ტბაშია ჩადგმული. გიგანტური ბეტონის თეფშზე ტბიდან წყალი უთვალავ ნაკადად ჩადის. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს შადრევანს ირგვლივ წყლის კედელი აკრავს. წყალი სცემს ორმოცი მეტრის სიმაღლეზე. როგორც გიდმა გვითხრა, ეს ყოფილა მსოფლიოში ყველაზე მაღალი შადრევანი. მაგრამ ეს როდია მთავარი, შადრევანს აქვს ათი პროგრამა. თითოეული პრო-

გრამა, რომელსაც თავისი შესაფერისი განათება ახლავს, ხუთ წუთს გრძელდება. შემდეგ წყლის ვარდნის ფიგურა იცვლება, ხან გაშლილია, ხან შეკრული, ხან მრავალტოტა, ხან გვირგვინის მსგავსი, დროდადრო ვულკანის ამოფრქვევას მოგვაგონებს, დროდადრო კი საარტილერიო სალუტს. შეუძლებელია ადამიანმა მისი სილამაზე აღწეროს.

ეს მით უფრო გასაოცარია, რომ მეხიკო მსოფლიოში ლამის ერთადერთი დედაქალაქია, სადაც მდინარე არ ჩამოდის. აქ წყალს მიწიდან ქაჩავენ, რის გამოც მიწა თანდათან იფიტება და ქალაქს ელის „დაჯდომის“ საშიშროება. ეს პრობლემა ძალიან აწუხებთ მექსიკის მესვეურთ.

იქვე, შადრევნის მახლობლად მდებარეობს დაბალი, თითქმის შეუმჩნეველი შენობა. ეს გახლავთ რესტორანი „ლაგო“. ამ რესტორანში უბრალო მექსიკელები ვერ შეაბიჯებენ, ეს მექსიკაში ყველაზე ძვირად ღირებული რესტორანია, შესვლაშიც კი უზარმაზარი თანხა უნდა გადაიხადოთ.

ვნახეთ მეხიკოს „ნაძალადევი“. იქ ერთ ღამეში უკანონოდ ჩასახლებულებს „პარაშუტისტებს“ ეძახიან.

უყურებ მეხიკოს უბნებს და ტკბები მექსიკელი არქიტექტორების ამოუწურავი ფანტაზიით. ერთმანეთს ენაცვლება ოლიმპიური სოფელი და საუნივერსიტეტო ქალაქი, გხიბლავს უზადო მოზაიკები და ქანდაკებები, დიეგო რივერასა და სიკეიროსის მონუმენტური ფრესკები. არანაკლებ წარმტაცია მეხიკოს ძველი ცენტრი – „ცოკოლის“ მოედანი, სადაც კოლონიური სტილით ნაგები ეკლესია, პალასიო ნასიონალის შენობა და სხვა ნაგებობანი შუასაუკუნეობრივი ესპანური არქიტექტურის განწყობილებითაა გაჟღენთილი.

მთავარ ქუჩებზე და მეხიკოს სავაჭრო ცენტრში – „ცოკოლის“ ირგვლივ – მომხიბვლელად გამოიყურებიან ძვირფასი საქონლით სავსე ვიტრინები. აქვეა ოქროულობისა და პატიოსანი თვლების მაღაზიები. ერთიმეორის გვერდით ჩამწკრივე-

ბულან რესტორნები და კაფეები. ვიწრო ქუჩებში კი ერთმანეთზეა გადაბმული პატარა, იაფფასიანი დუქნები, საიდანაც ყოველთვის გამოდის შემწვარი ხორცის სუნი. იქ, პირდაპირ ვიტრინებში, მბრუნავ შამფურებზე ერთდროულად იწვება რამდენიმე ათეული ქათამი. იქვე ამზადებენ ათასგვარ საჭმელს საქონლის ჯიგრისა და ყურებისაგან. იყიდება ანანასისა და ფორთოხლის წვენი, ნესვი, საზამთრო, ტროპიკული ხილი. იქვე შეგიძლიათ დალიოთ „კოკა-კოლა“ და მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული ლუდები „კორონა“, „სერვესა მეხიკანა“, „სუპერ სერვესა“, „ბოემა“ და სხვანი.

მექსიკელებს უყვართ მწნილი, ტყემლისა თუ პომიდვრის წვენი. იქაური აჯიკა ცოტათი განსხვავდება აფხაზურისაგან. მწნილი კი ნამდვილად მექსიკური სჯობია ჩვენებურს.

ეს პატარა დუქნები მთელი დღე-ღამე ვაჭრობენ. ამ დუქნებში მეხიკოს ღარიბი ადამიანები შედიან ხოლმე ან ეგზოტიკის მაძიებელი ტურისტები.

შეუძლებელია მეხიკოზე ილაპარაკო და არ გაიხსენო გარიბალდის მოედანი, სადაც თავს იყრიან მექსიკელი სახალხო მომღერლები – „მარიაჩი“. საღამოს 8 საათიდან 10 საათამდე ამ მოედანზე დგანან სომბრეროებსა და მექსიკურ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მომღერლები. მათ ვერცხლის სამკაულებით გაწყობილი ტრადიციული შავი ტანსაცმელი აცვიათ. ჭრელი, ნაქსოვი, მანტიისმაგვარი მექსიკური მოსასხამი მხარზე აქვთ მოგდებული.

მოედანზე ერთდროულად ორმოცდაათი ორკესტრი მაინც დგას. თითოეულ ორკესტრში შვიდი მუსიკოს-მომღერალია (ორი გიტარა, ორი ვიოლინო, ორი საყვირი, ერთი კონტრაბასის მაგვარი გიტარა). თითოეულ ორკესტრს სულ რაღაც 15 პესოდ შეგიძლია შეუკვეთო შენი საყვარელი სიმღერა.

მთელი ღამე გრგვინავს გარიბალდის მოედანი. ყოველი კუთხიდან ჩაგესმის მომხიბვლელი მექსიკური სიმღე-

რები. ხშირად შევსწრებივართ ასეთ სურათს – მექსიკელი მოაგრიალებს თავის „მუსტანგს“, გადმოიყვანს სატრფოს, შესვამს მანქანის თავზე, თვითონ გახსნის ვისკის ბოთლს, შეუკვეთს სიმღერას და თვითონაც უმღერის შეყვარებულს.

ყველაზე სათუთად ორ კოცნას ვინახავ, ლიორონა,
დედაჩემის უკანასკნელ და შენს პირველ კოცნას, ლიორონა...

თავისუფალი ორკესტრები ჩასაფრებული არიან მოედნის მისადგომებთან. ისინი მანქანებს გზას უღობავენ, ლამის ქვეშ უვარდებიან, ოღონდ კი მსმენელები იშოვონ.

მეხიკოს გარეუბანში მდებარეობს მექსიკის ვენეცია – სოჩიმილიკო. ეს არის ეგრეთ წოდებული ყვავილების რაიონი, რომელიც მეხიკოს თვალწარმტაც ყვავილების ბაზრებს ამარაგებს გირლიანდებით და თაიგულებით.

ათასგვარი ფერადი, მაგრამ გემოვნებით შეღებილი და ყვავილების გირლიანდებით მორთული გონდოლები ტურისტებს ელიან. იქვეა სუვენირების ბაზარი, სადაც იყიდება სომბრეროები, მექსიკური ტანსაცმელი, ჭრელი, ნაქსოვი მოსასხამები, ოქროულობა, დიდი ხელოვნებით ნაკეთები ვერცხლის სამკაულები, ათასგვარი სუვენირი.

არხის გაღმა-გამოღმა გაშენებულია ინდიელთა „სოფლები“. გონდოლა არხში გავა თუ არა, უმალვე წამოეწევა ინდიელის მორა ნავი. ინდიელი ქალი ღიმილით გთავაზობს ყვავილებს. სულ ცოტა ხნის შემდეგ რომელიმე გვერდითა არხიდან წამოგეპარება სუვენირებით დატვირთული ნავი. წინ შეამჩნევთ ნავზე ჩასაფრებულ ფოტოგრაფს და იქვე იგრძნობთ შემწვარი ტაროს სუნს – ეს თურმე სხვა ნავი წამოგწევია არხების თვალიერებით გართულს. ფიცხი მექსიკელები გულითადად გთავაზობენ იქვე, ნავზე შემწვარ ტაროებს, ჩაციებულ ლუდსა და „კოკა-კოლას“. მერე წინ გზას ქსილო-

ფონისტები გიჭრიან, ქსილოფონისტებს ცელის ტრადიციული მექსიკური მეგიტარეების ტრიო. თქვენ გვერდით მოცურავენ და რაღაც ხუთიოდე პესოდ გიმღერიან მშვენიერ სიმღერებს.

არასდროს დამავიწყდება ქალაქის ცენტრალური მოედანი ტოლუკაში – ირგვლივ კოლონიური სტილით ნაგები ეკლესია და შენობები, გვერდით საკვირაო ბაზარი. მოედნის შუაგულში ქანდაკების კვარცხლბეკზე ორკესტრის წევრები ჩამომსხდარან. გაისმის ტკბილი, მელოდიური საცეკვაო მუსიკა. მექსიკელი გლეხების თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი მოცეკვავეები ორ რიგად მოეწყვნენ. ყველას, ტურისტსაც და ადგილობრივ მცხოვრებსაც, სასიამოვნო განწყობილება დაეუფლა. მოედნის მეორე მხარეს ჩამწკრივებული ტურისტული ავტობუსი რომ არა (მოედანზე მანქანებს არ უშვებდნენ), თავი მე-18 საუკუნეში გეგონებოდათ.

ასეთი მოედანი ყველა მექსიკური ქალაქისათვისაა დამახასიათებელი.

თვითონ მეხიკო ძალზე დიდი და ხმაურიანი ქალაქია. მექსიკის დედაქალაქი ძალიან ადრე იღვიძებს. სასტუმროში მძინარეს დილის ექვსი საათიდანვე ჩაგესმის მანქანების გუგუნი. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს რაღაც უზარმაზარი ძრავა ამუშავდა და ქალაქი ერთბაშად დაიძრაო. მეხიკოში და, საერთოდ, მექსიკაში საყვირის მიცემა აკრძალული არ არის. დიდ გასავალშია მუსიკალური საყვირები. „კუკარაჩადან“ მოყოლებული, ათასგვარ მელოდიას გაიგონებთ მეხიკოს ქუჩებში.

მექსიკელებზე, სანამ იქ ჩავიდოდი, ცოტა სხვანაირი წარმოდგენა მქონდა. ეს წარმოდგენა ალბათ მექსიკურმა ფილმებმა შეგვიქმნა. პირველი, რაც მექსიკაში თვალში მოგვხვდა, მით უმეტეს კანადის შემდეგ, ეს იყო ტანდაბალი ადამიანები. როგორც გვითხრეს, ამაში ბრალი თურმე წყალს მიუძღვის. საუკუნეების განმავლობაში მექსიკელები სვამდნენ ბაქ-

ტერიებით სავსე ჭაობის წყლებს, რაც გამანადგურებლად მოქმედებდა მათ ორგანიზმზე. დღესდღეობით მექსიკელები სვამენ ქიმიურად გაწმენდილ ან ელექტრონგატარებულ წყალს. ამჟამად დიდ გასავალშია „კოკა-კოლა“, მექსიკელები ძირითადად „კოკა-კოლათი“ იკლავენ წყურვილს.

მეხიკოს ქუჩებში იშვიათად შეხვდები სომბრეროსა და ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ დინჯად მოსეირნე მექსიკელებს. თანამედროვე ცხოვრების რიტმი დიდ ქალაქში თავის სრბოლაში ითრევს ადამიანებს. დიდი, ნერვული ქალაქების ცხოვრების რიტმს აყოლილი ადამიანები ნელ-ნელა კარგავენ თავიანთ დამახასიათებელ სიარულს, მიხრა-მოხრას, ერთმანეთს ემსგავსებიან.

ჯერ კიდევ მოსკოვში გაგვაფრთხილეს და მერე იგივე გაფრთხილება საელჩოში მოვისმინეთ: პირველ მატჩზე, როცა საბჭოთა ფეხბურთელები მექსიკელებს შეხვდებიან, ფრთხილად იყავით, ძალიან ნუ იაქტიურებთ, კარგად გახსოვდეთ, ყველა მექსიკელს ჯიბეში რევოლვერი უდევსო. გარიბალდის მოედანზე რამდენჯერმე შევესწარი კიდეც, მუსიკის ეშხში შესულმა მექსიკელმა რევოლვერი რომ იძრო. მაგრამ რაიმე განსაკუთრებული ექსცესები არც სტადიონზე და არც ქუჩებში მე არ მინახავს.

საერთოდ, მექსიკაში ყოველგვარი იარაღი თავისუფლად იყიდება. მეხიკოში უამრავი მაღაზიაა, სადაც შეგიძლიათ შეიძინოთ ნებისმიერი ფორმისა და ზომის რევოლვერი თუ პისტოლეტი. იარაღის ტარება მექსიკელების ეროვნული თვისებაა. რევოლვერი საკმაოდ ძვირი ღირს – 40 დოლარიდან 400 დოლარამდე, 400 დოლარად კი მცირელიტრაჟიანი მსუბუქი მანქანის ყიდვაც შეიძლება. იოლად მიხვდებით, რომ 400-დოლარიანი რევოლვერები ინდივიდუალური გამოშვებისაა.

„მექსიკელმა შეიძლება დათმოს ყველაფერი, მაგრამ რევოლვერს აუცილებლად იყიდის“ – გვითხრეს საელჩოში.

არავინ აკონტროლებს იარაღის გაყიდვას და არც არავითარი აღრიცხვა არაა შეძენილი იარაღისა. პირიქით, ასეთი კურიოზული ამბის მოწმეც კი გავხდი. მეხიკოს ქუჩებში ათასგვარი ლატარიის ბილეთები იყიდება. მათ შორის ჩემი ყურადღება მიიქცია პოლიციის ლატარიამ. თურმე ამ ლატარიის თანხით პოლიცია ეხმარება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულ პოლიციელთა ოჯახებს. ამ ლატარიის მთავარი პრიზი კი არის... საუკეთესო მარკის რევოლვერი!

მექსიკელები ძალზე მხიარული, სტუმართმოყვარე და შინაურული ხალხია. გაცნობისთანავე მიგიპატიჟებენ შინ ან მთელ მეხიკოს შემოგატარებენ მანქანით. ქართველებისა არ იყოს, რესტორანში მექსიკელებსაც უყვართ სასმელების გაგზავნა მეგობრის, ან ნაცნობის სუფრაზე. მექსიკელები სასმელებს გარდა ერთმანეთს ორკესტრებსაც უგზავნიან ხოლმე. ისინი წინასწარ იხდიან ფულს და უკვეთენ მეგობრის საყვარელ სიმღერებს.

მექსიკელები გაბმულად ლაპარაკობენ, თითქოს მღერიანო. განსაკუთრებით ბოლო ხმოვანს აგრძელებენ. დღესაც ყურში მიდგას მათი „ხუანიტო სინკო პესოოოს!“

მექსიკელები ძალზე მორწმუნენი არიან. ეკლესიებში ნახავთ მუხლებზე დაჩოქილ კაცსა და ქალს, მოხუცსა და ახალგაზრდას.

მექსიკელებში ხშირია მრავალშვილიანობა. ხშირად დაინახავთ ასეთ სურათს: ქუჩაში მიდის მექსიკელი ქალი, ირგვლივ შვიდი შვილი ახვევია, თვითონ კი ისევ ორსულადაა.

მრავალშვილიანობას მექსიკაში ეროვნულ მნიშვნელობას ანიჭებენ. ჩემპიონატის დღეებს დაემთხვა არჩევნებისათვის მზადების პერიოდი. მეხიკოს ქუჩებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებოდით პრეზიდენტობის კანდიდატის (ახლა უკვე

პრეზიდენტის), ლუის ეჩევერიას სურათს თავის ათ შვილთან ერთად. ეს თავისთავად უკვე რეკლამა იყო.

მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი გამოთქმა – „არსებობს ორი ამერიკა", „არსებობს ორი იტალია". ბანალობამდე მისულ ამ გამოთქმას ვერც მე ავუვლი გვერდს და ვიტყვი, რომ არსებობს ორი მექსიკა – მდიდრების მექსიკა და ღარიბების მექსიკა. არსად მინახავს ისეთი სიღარიბე, როგორიც მექსიკაში ვნახე. არასოდეს დამავიწყდება ღარიბ-ღატაკი გლეხების ფაცხები, ჩამოხეულ-ჩამოძონძილი ბავშვები. ძალიან ბევრი მექსიკელის წლიურ შემოსავალს მხოლოდ 200 პესო (17 დოლარი) შეადგენს. ბევრ მექსიკელს, როგორც თვითონ გვითხრეს, ცხოვრებაში ერთხელაც არ უჭამია ხორცი.

ვნახე დაბეჩავებული, ღატაკი გლეხები. გზის პირას ტურისტების ავტობუსებს ელოდებოდნენ; იქვე გაკოჭილი ჰყავდათ ხვლიკისმაგვარი, ერთი მეტრის სიგრძის ამაზრზენი ცხოველები – ლეგუანები, რომლებსაც საგანგებო ხაფანგებით ცოცხლად იჭერენ და შემდეგ ცდილობენ ტურისტებს შეასაღონ.

შემთხვევითი არ არის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში რვა მილიონი მექსიკელი ცხოვრობს. ისინი იძულებულნი არიან, სამშობლოს გარეთ ეძიონ სამუშაო. ამერიკელები ლამის მუქთად ამუშავებენ ღვთით მოვლენილ სარფიან მუშებს.

მექსიკაში ჯერ კიდევ არის ინდიელთა რამდენიმე სოფელი, სადაც ძალზე უფრთხიან ტურისტების შეყვანას. მათ არ უყვართ ტურისტები, მით უფრო, მათი ფოტოაპარატები. ინდიელთა სოფლებში ჯოჯოხეთური შრომისა და ბაქტერიებით სავსე წყლისაგან ქალები მალე იხოცებიან.

მექსიკელებმა ბავშვობიდანვე იციან, რას ნიშნავს ლუკმა პურისათვის ბრძოლა. ოცი წლის ასაკამდე მუდმივი სამუშაოს ძებნაში უკვე გამოცვლილი აქვთ რამდენიმე პროფესია. მეხიკოელი უმუშევრები ხშირად შოფრებად მუშაობენ

ავტოსადგომებზე. მეხიკოში ბევრი ავტოსადგომი მრავალსართულიანია. მანქანები ლიფტით ააქვთ მაღლა, მექსიკელები ავტოსადგომის წინ აჩერებენ მანქანას და გასაღებს იქვე მომუშავე შოფრებს აძლევენ. ისინი ვირტუოზულად უძებნიან მანქანას სადგომს. ხშირად ერთი მანქანის გამოსაყვანად ან დასაყენებლად ათეული მანქანის გადაადგილება სჭირდებათ. ამიტომაც ავტოსადგომებზე მხოლოდ ძალზე მაღალი კვალიფიკაციის შოფრები მუშაობენ. ამ რთული პროცედურის გასამრჯელოდ კი მხოლოდ ორ პესოს იღებენ მანქანის პატრონისაგან (12 პესო უდრის ერთ დოლარს). ავტოსადგომის მეპატრონე მათ კაპიკს არ აძლევს. ისინი იმითაც კმაყოფილნი უნდა იყვნენ, რომ მეპატრონე ნებას რთავს, მის კუთვნილ ავტოსადგომებზე იმუშაონ.

მექსიკაში, ისევე როგორც მთელ ლათინურ ამერიკაში, მეფობს ოჯახის კულტი. მექსიკურ ოჯახში დედა დიდ პატივშია. „ჩვენი ოჯახის ქვაკუთხედი დედაა, – მითხრა ერთმა მექსიკელმა, – და თუ ეს თვისება ოდესმე დავკარგეთ, მაშინ ცუდად იქნება ჩვენი საქმე".

იმ ოცდაექვსი დღის განმავლობაში, რაც მექსიკაში დავყავით, საშუალება გვქონდა შევხვედროდით კინორეჟისორებს, ჟურნალისტებს. პირველი, რაც მექსიკაში თვალს მოგტაცებთ, არის მშვენიერი არქიტექტურა, მხატვრობა, ხალხური მუსიკა. თითქოს მთელი ერის ნიჭი ამ მიმართულებით წასულა. როგორც იქ გვითხრეს, მსოფლიოში ერთ-ერთი უპირველესი ყოფილა მექსიკის სამედიცინო სკოლაც.

ძალზე უბრალო ჩანს მექსიკური პოეზია. პოეტები ჩვენთან ცოტანი არიან და, საერთოდ, პოეზიას დიდი გასავალი არა აქვსო. ეს მითხრა კაცმა, რომელმაც თვითონ ზეპირად იცოდა მთელი გარსია ლორკა.

მექსიკელებს ჰყოლიათ კარგი პროზაიკოსები. მათ შორის ბევრი ახალგაზრდა ყოფილა.

მექსიკაში პოეზია ძირითადად სიმღერებს ემსახურება. სასიმღერო ლექსები თურმე საკმაოდ მაღალ დონეზე იწერება.

ჩვენ საშუალება გვქონდა, საფუძვლიანად დაგვეთვალიერებინა მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული მხატვრების დიეგო რივერასა და დავიდ ალფარო სიკეიროსის მონუმენტური ტილოები. მართლაც რომ ეპოქალური შედევრები ვნახეთ! განსაკუთრებით გატყვევებს და გაოცებს ურთულესი და გაბედული კომპოზიციები. შთამაგონებელია დიეგო რივერას მონუმენტური ტილოები პალასიო ნასიონალის შენობაში, სადაც მექსიკის ისტორია სიუჟეტურად არის გადმოცემული.

სიკეიროსი პირადადაც ბევრჯერ ვნახეთ ინსურხენტესზე, სადაც იგი ერთი ფრიად ორიგინალური შენობის კედლების მოხატვაზე მუშაობდა. იქვე შენდება ორმოცდაათსართულიანი სასტუმრო, საბოლოოდ ეს იქნება ერთი მთლიანი არქიტექტურული კომპლექსი.

მეხიკოში უამრავი ქანდაკება დგას. ისინი მნახველს ხიბლავენ თავისი მხატვრული დონით და მასშტაბურობით. ძალზე ბევრი შენობა ულამაზესი მოზაიკითაა დამშვენებული. პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ მეხიკოს უნივერსიტეტის სიკეიროსისეული ნამუშევრები, ოლიმპიური სტადიონის სამკაულები, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, სატელევიზიო კორპორაცია და ვინ მოთვლის კიდევ რა.

მექსიკას ბევრი სასიცოცხლო პრობლემა აქვს გადასაჭრელი, მთავრობას კი საამისო ძალა არ შესწევს, რადგან მექსიკაში ძალაუფლება, ფაქტობრივად, ერთი მუჭა მილიონერების ხელშია, ხოლო მთავრობის ბედი ბევრადაა დამოკიდებული მათ ნება-სურვილზე.

ჯერ კიდევ ჩემპიონატის გახსნის დღეს დავრწმუნდი, როგორ სძულდათ მექსიკელებს თავიანთი მაშინდელი პრეზიდენტი. როგორც კი „აცტეკაზე“ ადგილობრივმა რადიომ გამოაცხადა, პრეზიდენტმა დიასმა თავისი ლოჟა დაიჭირაო,

ასი ათასმა კაცმა გამაყრუებელი სტვენა ატეხა. ეს იყო პროტესტი ბევრი რამის მიმართ. უსტვენდნენ შრომისმოყვარე, ღარიბი მექსიკელები, უსტვენდნენ იმ დახოცილი სტუდენტებისა და ახალგაზრდებისათვის, ორი წლის წინ დიასის ბრძანებით ტყვია რომ დაუშინეს.

მექსიკელები დიდ იმედებს ამყარებენ ახალ პრეზიდენტზე. იმედი აქვთ, რომ ლუის ეჩევერია სიღარიბისგან იხსნის ქვეყანას.

– ეჩევერია დღეში 14 საათს მუშაობს. მისი გონება მხოლოდ მშრომელებზე ფიქრითაა სავსე! – მითხრა ერთმა მექსიკელმა.

არ ვიცი, ეს დიდი აგიტაციისა და რეკლამის შედეგი იყო, თუ ეჩევერიას მართლაც აწუხებს მშრომელთა ბედი. ერთი კი მაინც მინდა გავიხსენო: თვით ეჩევერია იყო დიასის მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრი, როცა გაფიცულ ახალგაზრდებს ცეცხლი დაუშინეს.

იმ დღეებში ჩვენ ბევრჯერ შევესწარით როგორც ეჩევერიას, ისე მისი მოწინააღმდეგის – ეროვნული მოძრაობის მემარჯვენე პარტიის კანდიდატის, ხოსე გონსალეს მორფინის სასარგებლოდ მოწყობილ ავტოდემონსტრაციებს. ამ საზეიმო მსვლელობაში, კედლებზე წარწერებსა და ვიტრინებში გამოფენილი ფოტოების სიმრავლით აშკარად იგრძნობოდა, რომ მორფინს წარმატება არ ეწერა, ეჩევერიას გამარჯვება კი გარდაუვალი იყო.

მართლაც, 2 ივლისს, ძალზე დიდი უპირატესობით გაიმარჯვა კონსტიტუციურ-რევოლუციური პარტიის კანდიდატმა ლუის ეჩევერია ალვარესმა.

„მე ჯერ არ შემიძლია ვილაპარაკო ჩემს გამარჯვებაზე. ამაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ 6 წლის შემდეგ (მექსიკაში პრეზიდენტს ირჩევენ 6 წლის ვადით – გ. ფ.), როცა ახალი მთავრობა შეუდგება თავის მოღვაწეობას. მე მაშინ მივხვდე-

ბი, რომ რაღაც გამიკეთებია მექსიკელი ხალხისათვის", – გაანაცხადა ეჩევერიამ პირველსავე პრესკონფერენციაზე გამარჯვების შემდეგ.

ვნახოთ, გამართლდება თუ არა გაჭირვებული მექსიკელების იმედი. მექსიკის მთავრობა ძალზე ეშმაკურ პროპაგანდას ეწევა. მექსიკაში სიტყვა „რევოლუცია" წმიდათაწმიდა სიტყვაა. იქ ოფიციალურად არ იკრძალება არავითარ რევოლუციაზე ლაპარაკი. პირიქით, სიკეიროსისა თუ რივერას ტილოებში, რომლებიც პალასიო ნასიონალის შენობასა და მექსიკის ეროვნულ მუზეუმებს ამშვენებს, ჩახატულნი არიან ლენინი, სტალინი და მარქსი თავისი „კაპიტალის" ტომით ხელში. გარეგნულად თითქოს ყველაფერი ნებადართულია, თუმცა, მექსიკის მთავრობა ცდილობს, მაქსიმალურად შეზღუდოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან თუ სოციალისტურ ქვეყნებთან.

ეს, რა თქმა უნდა, შეერთებული შტატების გავლენაა, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

4

...ათასობით ფერადი ბუშტი ისევ სტადიონის თავზე ტრიალებდა, როცა დასავლეთგერმანელმა მსაჯმა კურტ ჩენჩერმა სასტვენს ჩაჰბერა. 115 ათასი ბედნიერი გულშემატკივარი გაინაბა „აცტეკას" ტრიბუნებზე. 700 მილიონ ტელემაყურებელს მოლოდინით აუჩქროლდა გული. ანატოლი ბიშოვეცი ბურთს შეეხო და... გაიხსნა მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონატი.

დაიწყო თამაში – მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის პირველი მატჩი. საბჭოთა ფეხბურთელები აშკარად ღელავდნენ. და ეს ბუნებრივიც იყო. ის, რაც ტრიბუნებზე ხდებოდა, უნდა ნახოს კაცმა, მისი აღწერა შეუძლებელია, მსგავსი რამ არც გამეგონა და ვერც წარმომედგინა. ხანდახან მინდოდა

მეგობარს გადავლაპარაკებოდი, მაგრამ გულშემატკივართა გუგუნისა და ყვირილის გამო ლაპარაკი შეუძლებელი იყო. მოგებას ვინ დაეძებდა, ფრეც კი წარმოუდგენელი გვეგონა. მატჩი 0:0 დამთავრდა. როცა დავმშვიდდით და ყველაფერი ავწონ-დავწონეთ, მივხვდით, ამ მატჩის მოგება სულ თავისუფლად შეიძლებოდა. მექსიკის გუნდი ძლიერებას ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ, თუ რას ნიშნავს საკუთარი კედლები, ეს ჩვენ, მაყურებლებმაც, კარგად ვნახეთ.

იმ დღეს მხოლოდ ეს ერთი მატჩი გაიმართა. თამაშს თითქმის ყველა ქვეჯგუფში მონაწილე გუნდების მწვრთნელები ან მეთვალყურეები დაესწრნენ. საბჭოთა ფეხბურთელებს პირველი ფრე „აცტეკაზე" ყველამ გმირობად ჩაუთვალა. მათ დაძლიეს ფსიქოლოგიური ბარიერი და მოიპოვეს ქულა. ამიტომაც გვითხრა ერთმა გერმანელმა ჟურნალისტმა, დღეს მექსიკამ ერთი ქულა დაკარგა, საბჭოთა ნაკრებმა კი ამდენივე მოიპოვაო. სამწუხაროდ, უკვე ვიცით, რომ ეს გმირობა არ აღმოჩნდა საკმარისი.

თვით მექსიკელი ფეხბურთელები არ იყვნენ უკმაყოფილონი, რადგან, როგორც მათ, ისე სხვა ქვეყნების სპეციალისტებსაც საბჭოთა ნაკრები პირველობის ერთ-ერთ ფავორიტად მიაჩნდათ.

– კმაყოფილი ვარ ჩემი გუნდის თამაშით, მაგრამ არ შემიძლია კმაყოფილი ვიყო მატჩის შედეგით. ფეხბურთელებმა თითქმის მთლიანად შეასრულეს დასახული ამოცანა, მაგრამ ვერ მივაღწიეთ მთავარს, ვერ გავიტანეთ ბურთი, – განაცხადა პრესკონფერენციაზე მექსიკის ნაკრების მწვრთნელმა რაულ კარდენასმა. – საბჭოთა ფეხბურთელებმა, ისე როგორც მექსიკელებმა, ჩემი აზრით, ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ. მათ შორის საუკეთესონი იყვნენ შესტერნიოვი და ასათიანი, ხოლო, საერთოდ, ყველამ კარგად ითამაშა.

– ჩვენ ბევრი რამ მოვიგეთ ამ მატჩში, მაგრამ წავაგეთ ერთი ქულა, – თქვა კარდენასის შემდეგ სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გავრიილ კაჩალინმა. – მექსიკის გუნდი ახლა კარგ ფორმაშია და მას ჰქონდა ერთი უდავო უპირატესობა: თამაშობდა შინ.

– რუსებს აქვთ ბევრი პლუსი, მაგრამ აქვთ ბევრი მინუსიც. მათ შეიძლება მოუგო. – ეს ბელგიელთა მწვრთნელმა რაიმონ გუტალსმა განაცხადა.

არც მაყურებელი დარჩენილა უკმაყოფილო. საღამოს მეხიკოს მთავარ ქუჩებში, რეფორმასა და ინსურხენტესზე, ისეთი სანახაობის მოწმე გავხდით, მსგავსი რომ ვერც წარმომედგინა. თითქმის ორი მილიონი მექსიკელი მონაწილეობდა ამ სტიქიურ ზეიმში. თითოეული მანქანის თავზე ხუთი-ათი კაცი მაინც იჯდა. ისინი ყვიროდნენ, აბრახუნებდნენ, მექსიკის ეროვნულ დროშას აფრიალებდნენ. ძნელი დასადგენი იყო, შოფერი საიდან იხედებოდა. ერთმანეთში ირეოდა მანქანების, საყვირების, დოლების, ტაშტების, ქვაბის თავსახურების, სირენებისა და ადამიანების ხმა. „მეხიკო – რა-რა-რა!“ – ყვიროდა ორი მილიონი კაცი, ყვიროდა ახალგაზრდა და მოხუცი, ბავშვი, ქალი და კაცი. ქუჩებში ტევა აღარ იყო. როგორც კი შეგვატყობდნენ, უცხოელები ვიყავით, იმავე წუთს წრედ შემოგვერტყმებოდნენ და იწყებოდა გაუთავებელი „ალავიო – ალავაო...“ იძულებული ვხდებოდით, ჩვენი ხმაც შეგვეერთებინა ამ საერთო ზრიალისა და გუგუნისთვის.

რაც უფრო წინ მიიწევდა მექსიკის ნაკრები, მით უფრო მატულობდა გულშემატკივრების სიგიჟე, და არ ვიცი, ქალაქში რა მოხდებოდა, იტალიელებს რომ ზღვარი არ დაედოთ მათი წარმატებისათვის. ყოველი ასეთი აღლუმის შემდეგ გაზეთები აქვეყნებდნენ ცნობებს, თუ რამდენი ადამიანი დაიხოცა და დაშავდა ამ უთავბოლო, სიგიჟემდე მისული ზეიმის გამო. ციფრები საკმაოდ დამაფიქრებელი იყო. საბო-

ლოო ცნობით, როგორც ჩემმა თარჯიმანმა წამიკითხა, 40 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა მექსიკის ნაკრების გამარჯვებებს. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რამდენი კაცი დაშავდა და რამდენი ავტომანქანა დაილეწა.

ჩემპიონატის წინა დღეებში მეხიკოს მსოფლიოს მრავალი ფირმის დელეგაციები ეწვია, გამოცდილმა კომერსანტებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ ჩემპიონატის დღეებში, როცა მთელი მსოფლიოს ყურადღება მექსიკისკენ იყო მიპყრობილი, დიდი რეკლამისა და ბიზნესის გაკეთება შეიძლებოდა.

უწინარეს ყოვლისა, აქ ჩამოვიდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტული ფირმების, „ადიდასისა" და „პუმის" წარმომადგენლები. ამ ფირმების მფლობელნი ღვიძლი ძმები არიან, მაგრამ კარგა ხანია სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ ერთმანეთს. მთელი მსოფლიოს სპორტულ მოედნებზე ძირითადად ამ ფირმების სპორტული საქონელია გაბატონებული. ფირმის აგენტები ხელშეკრულებას დებენ ცალკეულ ფეხბურთელებთან და უხდიან დიდძალ ფულს, რომ მოედანზე მათი ბუცებით გამოვიდნენ. რაც უფრო წინ მიიწევს, მით უფრო მეტად ექცევა გუნდი სპორტული სამყაროს ყურადღების არეში და მატულობს გასამრჯელოც.

საერთოდ, „ადიდასი" ყოველთვის გამარჯვებული გამოდის „პუმასთან" ბრძოლაში, მაგრამ მექსიკაში „პუმამ" დაჩაგრა ძლიერი მეტოქე – ფეხბურთის მეფე პელე ფინალურ მატჩში „პუმის" ბუცებით გამოვიდა მინდორზე. ამის სანაცვლოდ ბრაზილიის გუნდის ლიდერმა 5000 დოლარი მოითხოვა.

როგორც უკვე ვთქვით, ფირმის აგენტები ფეხბურთელებს უხდიან დიდძალ ფულს, ხელშეკრულება კი მხოლოდ ერთ მუხლს ითვალისწინებს – ფეხბურთელმა უნდა ჩაიცვას ამ ფირმის ბუცები და ფორმა, არც მეტი, არც ნაკლები. მათ ისიც ჰყოფნით, თუ მთელი სპორტული სამყარო ტელევიზორის ეკრანებზე ან ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ ფოტოსურათებზე ფირმის საქონელს ამოიცნობს.

ერთი შეხედვით, ადამიანს შეიძლება სიგიჟედ მოეჩვენოს ამდენი ფულის გადაყრა თითქოსდა არაფრის მომტან რეკლამაში. აბა, წარმოიდგინეთ, რამდენი ფული დაიხარჯა ჩემპიონატის 32 მატჩში. რამდენი წყვილი ბუცი, სპორტული ტანსაცმელი და ხელჩანთა დარიგდა საჩუქრად! მაგრამ ფირმამ იცის თავისი საქმე. რეკლამა მაინც აკეთებს თავისას. ადამიანთა გონებაში თანდათანობით, მაგრამ საიმედოდ ჩაიბეჭდება ამ ფირმათა სახელები. შემდეგ კი ყოველთვის ეჭვით შესცქერიან სხვა ფირმის საქონელს.

„ადიდასი“ და „პუმა“ არ ერიდებიან ფულის ხარჯვას. ამით მარტო საფეხბურთო საქონელს როდი უკეთებენ რეკლამას. ისინი უშვებენ სპორტულ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს თუ იარაღებს სპორტის ყოველგვარი სახეობისათვის. გაშმაგებულები ამიტომაც იბრძვიან მსოფლიოს სპორტულ ბაზარზე გასაბატონებლად. ყველა მნიშვნელოვან შეჯიბრზე დაძრწიან ფირმათა გაქნილი, მოხერხებული აგენტები. ისინი ყოველგვარი ხერხით ცდილობენ მეტოქე ფირმის დაჩაგვრას, არ ერიდებიან უამრავი ფულის ხარჯვას, ოღონდაც მთელი სპორტული სამყაროს შეგნებაში ღრმად ჩაჭედონ მხოლოდ თავიანთი ფირმის სახელი.

ჩემპიონატის დღეებში მეხიკოს ესტუმრნენ დასავლეთ გერმანიის საავტომობილო ფირმის, „მერსედეს-ბენცის“ წარმომადგენლებიც.

ფრანგულ „სიტროენთან“ ერთად „მერსედეს-ბენცმა“ დიდი კონკურენცია გაუწია ამერიკულ მანქანებს ევროპაში. აღარაფერს ვამბობთ გერმანულ ფირმა „ფოლკსვაგენზე“, რომლის უზარმაზარი ქარხანა მექსიკაშიც კი ვნახეთ, პუებლას გარეუბანში.

„მერსედეს-ბენცის“ მესვეურები ევროპას აღარ სჯერდებიან. ახლა ისინი ცდილობენ ამერიკაშიც გაბატონდნენ. ამისათვის სათანადო რეკლამა იყო საჭირო და ეს შემთხვევაც მიეცათ; ფინალური მატჩის შემდეგ ფირმის წარმომადგენლე-

ბმა მსოფლიო ჩემპიონებს – ბრაზილიელებს – უკანასკნელი მარკის „მერსედესები" შესთავაზეს, ოღონდ ერთი „მძიმე" პირობით – 1970 წლის განმავლობაში სამშობლოში ისინი მხოლოდ ნაჩუქარი „მერსედეს-ბენცის" საჭეს უნდა მიუსხდნენ.

როცა 100-მილიონიან ბრაზილიაში „მერსედესის" საჭეს პელე უზის, ყველაზე მოდური მანქანა იქ სწორედ „მერსედესია".

ათასმა ფირმამ მოითბო ხელი მექსიკის ჩემპიონატზე, მაგრამ „კოკა-კოლამ", როგორც იტყვიან, ყოველგვარი რეკორდი მოხსნა. ფირმის მესვეურებს არცერთი შემთხვევა არ გაუშვიათ ხელიდან, რომ რეკლამა არ გაეკეთებინათ, ასეულ ათასობით დაიბეჭდა და სტადიონებზე უფასოდ დარიგდა ჩემპიონატის ცხრილები, გრაფიკები. რასაკვირველია, თავში ყოველთვის დიდი ასოებით იყო დაბეჭდილი: „სვით მხოლოდ კოკა-კოლა!".

მეხიკოში ექვსი სატელევიზიო არხი მუშაობს. აქედან ოთხი ერთი მილიონერის საკუთრებაა. სწორედ მან შეისყიდა ჩემპიონატის ყველა მატჩის გადაცემის უფლებაც. სწორედ მისი მეორე და მეოთხე პროგრამები მთლიანად ფეხბურთს ჰქონდა დათმობილი (ჩემპიონატის ყველა მატჩი ჩაწერილი იყო და პერიოდულად იმეორებდნენ).

ეტყობა, „კოკა-კოლის" ფირმამ ტელევიზიის პატრონს უამრავი ფული გადაუხადა, რადგან მატჩების გადმოცემისას ყოველ დაძაბულ მომენტში ეკრანზე ჩნდებოდა წარწერა – „სვით კოკა-კოლა!" წარწერას თან მოსდევდა დიქტორის სათანადო შეძახილი.

ჩაწერილი მატჩების გადმოცემის დროს ხომ საშველი აღარ იყო. ყოველი გატანილი გოლის წინ აუცილებლად უნდა გაეშვათ სხვადასხვა ფირმის სამწუთიანი სარეკლამო ფილმები.

იმ ოცდაექვსი დღის განმავლობაში, რაც ჩვენ მექსიკაში დავყავით, მხოლოდ ათამდე ასეთი სარეკლამო ფილმი მეორდებოდა. და ჩვენ გვქონდა „ბედნიერება", თითოეული მათ-

განი ორასჯერ მაინც გვენახა. სანიმუშოდ მოგიყვანთ ერთი მათგანის შინაარსს: ამაოდ წვალობს დაბალი ვაჟი, ფეხის წვერებზე დგება, მაგრამ ვერა და ვერ სწვდება საკოცნელად მაღალ, ქერა გოგოს. „აბა თუ მისწვდები, აბა თუ მისწვდები!" – ისმის დიქტორის ხმა. ეს ხმა თანდათან მატულობს, სასოწარკვეთილებაში გადადის, მაგრამ ვაჟი მაინც ვერ სწვდება გოგოს ბაგეებს. უცებ დიქტორის ხმას საზეიმო კილო შეეპარება. ვაჟი ზემოდან დასჩერებია ქალიშვილს და მშვიდად იხრება საკოცნელად. კინოობიექტივი დაბლა ეშვება და მსხვილი პლანით მოჩანს კანადური მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი. ისმის დიქტორის შეძახილი: „ესტუმრეთ ფირმა „კანადას!"

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს შედარებით ყველაზე „ნიჭიერად" გადაღებული სარეკლამო ფილმი იყო იმ ათიოდე ფილმს შორის, რომელსაც ყოველდღიურად გვიჩვენებდნენ. არ ვიცი, ტემპერამენტიანი მექსიკელები როგორ უძლებენ ამ სადისტურ სარეკლამო ბიზნესს, ჩვენ კი დაწყვეტაზე გვქონდა ნერვები.

თვით „პლასა დელ ტოროსზეც" კი, კორიდის დაწყების წინ, არენის შუაგულში დგას სამი მეტრის სიმაღლის „კოკა-კოლის" ბოთლი. საზეიმო ცერემონიის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ბოთლი ადგილიდან დაიძვრება, არენას გარს შემოუვლის და უზარმაზარ კარში გაუჩინარდება.

აღარაფერს მოგახსენებთ იმ მართლაცდა დიდებულ რეკლამებზე, რომლებიც ქალაქს ამშვენებს ღამღამობით.

საავტომობილო მაგისტრალებზე ხომ ვერ შეხვდებით ვერცერთ უზარმაზარ ქვას თუ ფრიალო კლდის ქიმს, რომ არ ეწეროს, „სვით კოკა-კოლა!"

ჩვენს შეგნებაში „კოკა-კოლა" რატომღაც, ირაკლი აბაშიძის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ერთგვარ ბურჟუაზიულ სასმელად ჩაინერგა. უნებურად ღიმილი მერეოდა და უჩვეუ-

ლოდ მეჩვენებოდა, ინდიელების მივარდნილ, ღარიბ-ღატაკ სოფელში, ჭუჭყში ამოსვრილ, ჩამოძენძილ ბიჭუნას ხელში ჩაციებულ „კოკა-კოლის“ ბოთლს რომ დავუნახავდი ხოლმე.

არც გაზეთების მეპატრონეები ისხდნენ გულხელდაკრეფილნი. ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი სარეკლამო შეკვეთა მიეღოთ. თანაც თავს არ იზოგავდნენ, რომ ძალზე ოპერატიული ყოფილიყვნენ და ფირმების გულისწყრომა არ გამოეწვიათ.

გაზეთები მართლაც საოცარი ოპერატიულობით გამოდიოდა. „აცტეკადან“ სასტუმროში მისვლას საათსა და ოც წუთს ვუნდებოდით, ვესტიბიულსა თუ ლიფტში კი უკვე გასაყიდად იყო გამოფენილი გაზეთები, სადაც მთელი 5-6 გვერდი ეძღვნებოდა თამაშს, რომელსაც ეს-ეს არის ვუყურეთ, აგრეთვე იმ მატჩებს, პარალელურად რომ ტარდებოდა გვადალახარაში, ლეონსა თუ პუებლაში. სტატიები უხვად იყო ილუსტრირებული ფოტომასალით. მართალია, შიგადაშიგ შეცდომებიც ეპარებოდათ, მაგრამ ასეთი ოპერატიულობა მაინც ძალზე გასაოცარი და უჩვეულო იყო.

ერთი სიტყვით, ყველა თავისებურად ცდილობდა, ხელი მოეთბო ამ ჩემპიონატზე.

საფეხბურთო ფიესტა კი ჯერ მხოლოდ იწყებოდა!

5

მექსიკელებთან მატჩის შემდეგ ჩვენს ფეხბურთელებს ვესტუმრე. ისინი დაბინავებული იყვნენ ძალზე მყუდრო და კოპწია სასტუმრო „ესკარგოტში“. მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატი კარგად დაიწყეს, უმრავლესობას (მე ვგულისხმობ ქართველ ფეხბურთელებს) არ ჰქონდა წარმატების იმედი. ამას ყველაზე აშკარად მურთაზ ხურცილავა გამოხატავდა, რისთვისაც ერთხელ მწვრთნელებმა უსაყვედურეს

კიდეც. ხურცილავას სკეპტიციზმს ჰქონდა ნიადაგი. უკვე ჩატარდა ჩემპიონატის პირველი მატჩი და გუნდის შემადგენლობა საბოლოოდ არც კი იყო გარკვეული. მხოლოდ ერთი რამ იყო მტკიცედ „გადაჭრილი“ და „დადგენილი“ – ის, რომ მეტრეველი არ ითამაშებდა. ის არცერთ მატჩზე სათადარიგო შემადგენლობაშიც კი არ შეუყვანიათ. ასეთივე ბედი ეწია პორკუიანსაც, თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, მას მაინც ჰქონია გარკვეული ფუნქცია ნაკრების შემადგენლობაში.

გავრიილ კაჩალინი მიმართავდა ყოველ ფეხბურთელს, რასაკვირველია, საიდუმლოდ, რომ შეედგინა თავისი ნაკრები. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატის დასაწყისში ყველაზე ნაკლები ხმა მიიღეს შესტერნიოვმა და ბიშოვეცმა, ფაქტობრივად იმ ფეხბურთელებმა, რომლებმაც ჩემპიონატი კარგად ჩაატარეს. გაცილებით დიდი იმედი ჰქონდათ ლოგოფეტისა და პუზაჩისა, მათ კი პირიქით, უხეიროდ ითამაშეს.

გივი ნოდია პირველ მატჩზე ფეხმტკივანი გამოვიდა, თანაც მისთვის უჩვეულო, მარჯვენა გარემარბის ადგილზე. თუ დავუმატებთ იმასაც, რომ პირველი თამაში საერთოდ დაბალ დონეზე ჩატარდა, ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ თბილისელი ფეხბურთელისათვის საბოლოოდ უნდობლობა გამოეცხადებინათ. ურუგვაისთან მატჩის დროს გივი ნოდია სათადარიგოთა სკამზე იჯდა. როცა მურთაზ ხურცილავა გამოცვალეს, გასახდელადაც კი მოემზადა. ეს ბუნებრივიც იყო – თამაშის ბოლო წუთებში, როცა თანაბარი ანგარიში ხელს არ გვაძლევდა, მცველის მაგივრად მწვრთნელებს თავდამსხმელი უნდა შეეყვანათ, მაგრამ ნოდიას იმედი გაუცრუვდა, სტაროსტინმა ლოგოფეტს გადასძახა, მოემზადეო. ეს ყოვლად უაზრო შეცვლა და ასევე რამდენიმე წუთით ადრე კისელიოვით კახი ასათიანის ყოვლად გაუგებარი შეცვლა, დღესაც აუხსნელი რჩება ჩემთვის. თუმცა, კაცმა რომ თქვას, აქ თავსამტვრე-

ვი არაფერია. საბჭოთა მწვრთნელებს თავიდანვე დაეუფლათ პანიკური შიში და სწორედ ამ შიშის გამო იყო, რომ კაჩალინმა ნელ-ნელა დათმო თავისი ერთპიროვნული პოზიცია. მწვრთნელებმა ყველა თამაში დაცვაზე ააგეს, თითქოს მხოლოდ ასეთი გეგმა ჰქონდათ: ოღონდ ჩვენს კარში ბურთი არ გავიდეს, წინ კი იქნებ ბიშოვეცმა ან ხმელნიცკიმ როგორმე ერთი ბურთი გაიტანონო. საკმარისი იყო, რომელიმე მცველი წინ წასულიყო, იმავე წუთს ესმოდა მწვრთნელთა პანიკური შეძახილები, ახლავე უკან დაბრუნდიო.

როდესაც საბჭოთა ფეხბურთელებმა გამანადგურებელი ანგარიშით (4:1) დაამარცხეს ბელგიის გუნდი, მეხიკოში ასეთი აზრიც კი გავრცელდა, საბჭოთა ფეხბურთელებმა მასპინძლებს პატივი გვცეს და თამაში არ მოგვიგესო. ამ მატჩზე მე ცნობილ ფეხბურთელთან, ვალენტინ ივანოვთან ერთად ვიჯექი. მიუხედავად ასეთი დიდი ანგარიშით მოგებისა, ივანოვი თამაშით მაინც უკმაყოფილო იყო. რა უნდა გქონდეს სასაყვედურო გუნდთან, რომელმაც ოთხი ულამაზესი ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში?

მართლაც უცნაური სპორტია ფეხბურთი: ხანდახან კარში 30-ჯერ მაინც დაარტყამ და არცერთი ბურთი არ გავა. ხანდახან კი ოთხჯერ დაარტყამ და ოთხივეჯერ გაეხვევა ბადეში.

– ხმელნიცკის ათჯერ ჩავაყენებ მსგავს სიტუაციაში და ვნახოთ, ერთხელ მაინც თუ გაიტანს ასეთ ბურთს! – თქვა ივანოვმა, როცა ხმელნიცკიმ ჰაერში კამარა შეკრა და ულამაზესი ბურთი გაახვია ბელგიელთა კარის ბადეში.

ეს რომ მართლაც ასე იყო, ნათლად გამოჩნდა სალვადორის უსუსტეს გუნდთან თამაშის დროს. საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელობას და ფეხბურთელებსაც ძალიან უნდოდათ ურუგვაელებს შეხვედროდნენ. იმედი ჰქონდათ, ურუგვაის ნაკრებს ტრადიციულად მოვუგებთო. გარდა ამისა, თუ ურუგვაელებთან მოუხდებოდათ თამაში, ისევ მეხიკოში რჩე-

ბოდნენ. ამისათვის კი საჭირო იყო, სულ ცოტა სამი ბურთით მოგება. ეს სალვადორთან არც უნდა გასჭირვებოდათ, მაგრამ რატომღაც ისევ შიში, ისევ დაცვითი ვარიანტი, წინ ისევ ორი თავდამსხმელი. უცხოელი ჟურნალისტები და სპეციალისტები გაოცებულნი იყვნენ საბჭოთა ფეხბურთელების უღიმღამო თამაშით. მატჩი ძლივს მოიგეს ორი ბურთით, დასახული ამოცანა ვერ გადაჭრეს და მთელი იმედები პორკუიანის იღბლიან ხელზე გადაიტანეს... კენჭისყრისას პორკუიანმა მართლაც სასურველი კენჭი ამოიღო და გუნდი კვლავ მეხიკოში დარჩა ურუგვაის ნაკრებთან შესახვედრად. სამწუხაროდ, სიხარული ნაადრევი გამოდგა – მეხიკოში დარჩენამ დამარცხებისაგან ვერ გვიხსნა...

ურუგვაისთან რაც მოხდა, ყველაფერი ძალზე ლოგიკური იყო. ახლა ბევრს ლაპარაკობენ ურუგვაელთა მიერ ჩვენს კარში გატანილ ბურთზე. თავი დავანებოთ იმას, გადაკვეთა თუ არა ბურთმა მოედნის ხაზი. ვთქვათ, მსაჯს ის ბურთი არ ჩაეთვალა, მერე? განა ამით რაიმე შეიცვლებოდა? განა მარტო პორკუიანის იღბლიან ხელზე იყო აგებული ტაქტიკა?

სანუგეშოდ ისღა დაგვრჩა, რომ ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტმა მერი კრისტინ ანჯელოსმა სიმპათიურ ფეხბურთელთა მსოფლიო ნაკრებში კახი ასათიანი და ანატოლი ბიშოვეცი შეიყვანა.

ამ მატჩის შემდეგ ერთი რამ კი თქვა სწორი საბჭოთა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვალენტინ გრანატკინმა: სამწუხაროა, რომ ასეთი ბურთი გავიდა ჩვენს კარში, ახლა მხოლოდ ამ ბურთს დააბრალებენ ჩვენს წარუმატებლობას და არ გაირკვევა ის ნამდვილი მიზეზები, რომელმაც დამარცხებამდე მიგვიყვანაო.

მართლაცდა, ვთქვათ, მწვრთნელებს არ მოსვლოდათ ეს შეცდომები, ვთქვათ, ყველაფერი ისე წასულიყო, როგორც საჭირო იყო, უნდა გვქონოდა თუ არა წარმატების იმედი?

არავითარ შემთხვევაში!

ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ, რომ მექსიკაში საბჭოთა გუნდი ვერ გამოვიდა ისე, როგორც საჭირო იყო. მას შეეძლო გაცილებით უკეთ ეთამაშა. მაგრამ ესეც არ იკმარებდა დიდი წარმატების მისაღწევად. საქმე ისაა, რომ საბჭოთა ნაკრები მსოფლიოს უძლიერეს გუნდებს საგრძნობლად ჩამორჩება როგორც ტექნიკურად, ისე ტაქტიკურად.

ჩვენში ბევრს წერენ ტექნიკურ ფეხბურთზე. ყოველ სტატიაში თუ ინფორმაციაში ხოტბას ასხამენ ლამაზ, მაღალტექნიკურ ფეხბურთს, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, მოედანზე ისევ ძალისმიერი ფეხბურთელების გამოყვანას ამჯობინებენ ხოლმე. ასე იყო წინათ, ასეა ახლაც.

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ საბჭოთა პრესაში ისევ გაჩაღდა კამათი. ისევ ბევრი ქომაგი და მოტრფიალე გამოუჩნდა ტექნიკურ, ლამაზ ფეხბურთს, მაგრამ საქმეს მანამდე არაფერი ეშველება, სანამ მსაჯები გულცივად უყურებენ, როგორ უსწორდებიან მაღალტექნიკურ ფეხბურთელებს ყოვლად პრიმიტიული, მაგრამ ჯანმაგარი ანტიფეხბურთელები.

აქვე მინდა დავძინო კიდევ ერთი რამ. როდესაც მექსიკიდან დავბრუნდი, მთელი სპორტული პრესა გადავათვალიერე, სადაც გაშუქებული იყო მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონატი. გაოცებული დავრჩი იმ გაზვიადებული ფაქტებით, ზოგიერთი საბჭოთა ჟურნალისტის წერილებსა და ინფორმაციებში რომ წავიკითხე. ზოგიერთ სტატიაში იგრძნობოდა რაღაც პანიკური ტონი „საშინელი მექსიკური სიცხის“, აკლიმატიზაციისა და სიმაღლის მიმართ. არავითარი განსაკუთრებული სიცხე მექსიკაში არ გვიგრძნია. სტადიონზე ხშირად პიჯაკიც კი გვეცვა. შედარებით ცხელოდა იმ მატჩებზე, დღის 12 საათზე რომ იწყებოდა 28° ჩრდილში, მაგრამ არაფერი იმაზე უჩვეულო არ ყოფილა, რაც თბილისში, ბაქოსა თუ ტაშკენტში გვინახავს.

არც ამ ყბადაღებულ სიმაღლეს მოუხდენია რაიმე საშინელი გავლენა ჩემპიონატზე. მატჩების აბსოლუტური უმრავლესობა იყო სწრაფი, აზარტული, სპორტულად საინტერესო. ფაქტია, რომ არც „საშინელ სიცხეს", არც „თავბრუდამხვევ სიმაღლეს" ხელი არ შეუშლია მექსიკის ჩემპიონატისათვის, ყოფილიყო ყველაზე წარმტაცი და დაძაბული ოქროს ქალღმერთის მოსაპოვებლად ჩატარებულ ყველა ჩემპიონატს შორის.

ზოგიერთი ჟურნალისტი, კერძოდ, საკდესის კორეპონდენტი კაჩალოვი, შეშფოთებული წერდა, ურუგვაის ნაკრებს წინა აქვს ექვსასკილომეტრიანი მომქანცველი მოგზაურობაო (იგულისხმება მანძილი მეხიკოდან გვადალახარამდე, სადაც ურუგვაელი ფეხბურთელები ბრაზილიელებთან შესახვედრად გაემგზავრნენ). ზოგი იმასაც ამტკიცებდა, მექსიკის მოედნებზე ჰაერი გაიშვიათებულია, ბურთი უფრო სწრაფად მოძრაობს და ფეხბურთელებს თამაში უჭირთო.

ამ სტატიის ავტორები რატომ მაშინ არ არიან ასეთი მგრძნობიარენი მეტეოროლოგიური, გეოგრაფიული თუ კლიმატური პირობების მიმართ, როცა სხვა პირველობა, თუნდაც საბჭოთა კავშირის პირველობა ტარდება? რატომ მაშინ არ აგონდებათ, რომ საბჭოთა ფეხბურთელები ყოველი მატჩის წინ არათუ ექვსას, ორი ათას და უფრო მეტ კილომეტრს ფრენენ? რატომ მაშინ არ ითვალისწინებენ კლიმატურ და გეოგრაფიულ პირობებს, როცა სამხრეთელი ფეხბურთელები ჩრდილოეთში, ყინვასა და ქარბუქში თამაშობენ მოყინულ მოედნებზე, ან პირიქით?

პრესას, ობიექტურ, საქმიან წერილებსა და სტატიებს საკმაოდ დიდი წვლილი შეაქვს ფეხბურთის განვითარების საქმეში. ჯობია, ნაკლზე გულახდილად ვილაპარაკოთ და სინამდვილეს თვალი გავუსწოროთ. ჩვენს წარუმატებლობას კი მექსიკის გაიშვიათებულ ჰაერს ნუ დავაბრალებთ.

6

მექსიკას მივიწყებული ცივილიზაციების ქვეყანას ეძახიან. ხშირად მას ათასი საიდუმლოების მხარედაც ნათლავენ. მართლაც, ძნელია მსოფლიოში იპოვო მეორე ისეთი ქვეყანა, რომლის ისტორია საკვირველებათა და საოცრებათა ბურუსში ისე იყოს გახვეული, როგორც მექსიკა.

ჩვენი ავტობუსი მიქრის შესანიშნავ გზატკეცილზე. სულ რამდენიმე ათეული კილომეტრი გვაშორებს იმ საოცარ ქალაქს, რომელსაც აცტეკების ცივილიზაციამდე ტეოტიუაკანი ერქვა. ეს იყო ცენტრალური ამერიკის ცივილიზაციის უდიდესი ცენტრი.

ტეოტიუაკანის ცივილიზაციამ იარსება შვიდ საუკუნეს და დაიღუპა მე-7 საუკუნეში ჩრდილოეთიდან ბარბაროსული ტომების შემოსევის შედეგად. ტეოტიუაკანის ცივილიზაციის ნანგრევებზე შეიქმნა ჯერ ტოლტეკების, შემდეგ კი აცტეკების ცივილიზაციები. აცტეკების ცივილიზაცია იყო უკანასკნელი ცივილიზაცია, ხოლო დღევანდელი მექსიკელები თავს აცტეკების შთამომავლებად თვლიან.

ავტობუსი სამხრეთისაკენ იღებს კურსს. აქეთ-იქით სოფლებია ჩამწკრივებული. შემდეგ მოშიშვლებული, სიცხისაგან გადახრუკული ველი. გზის გასწვრივ უხვად გვხვდება სხვადასხვა ჯიშის კაქტუსი.

მალე ჰორიზონტზე მწვანედ შეფერილი მთები წამოიმართა, ხოლო ამ მწვანე ფონზე თანდათან გამოიკვეთა პირამიდების ნაცრისფერი კონტურები.

აი, უკვე გარკვევით მოჩანს ორი უზარმაზარი პირამიდა.

– პირდაპირ მთვარის პირამიდაა, – გვიხსნის გიდი, – მარჯვნივ კი – მზის პირამიდა. ვინც მზის პირამიდაზე ავა, ღმერთად იქცევა. მე მგონი, არცერთი თქვენგანი ხელიდან არ გაუშვებს ამ შესაძლებლობას.

საშინელი სიცხეა, მაგრამ მე უკვე შევუდექი პირამიდის დამრეც კედელს. ერთი სული მაქვს, ზემოდან როდის გადმოვიხედავ, დროდადრო ვჩერდები, ღვარად მომსკდარ ოფლს ვიწმენდ და ვგრძნობ, ამ დაქანებულ კიბეზე ჩქარი სიარულისაგან როგორ მიკანკალებს მუხლები. თვალი ქვემოთ გამირბის, მინდა დავინახო, რა სიმაღლეზე ამოვედი. მინდა ზემოდან გადმოვხედო უძველესი ქალაქის ნანგრევებს. ქვემოთ თვალწარმტაცი სანახაობა იშლება, მაგრამ თვალს ვარიდებ. არ მინდა ნელ-ნელა შევეჩვიო მის მშვენიერებას. სურვილი მკლავს, სულ მაღლა ავიდე, პირამიდის სამსხვერპლოზე და ერთბაშად დავინახო მთელი ეს სილამაზე.

და აი, უკვე პირამიდის თავზე ვარ. გრილი ნიავისაგან პერანგი სასიამოვნოდ იბერება. სული მოვითქვი და ქვემოთ გადმოვიხედე. ჩემ წინ საოცრება გადაიშალა.

გრანდიოზული მოედანი ტაძრებითა და შენობებითაა შემოფარგლული. ერთ თავში მთვარის პირამიდა დგას, ხოლო მარჯვნივ – მზის პირამიდა, რომლის თავზეც მე ვიმყოფები. ეს ნაგებობანი ერთ მთლიან დიდებულ არქიტექტურულ ანსამბლს ქმნის. პირამიდები თვითმიზნურად როდია აგებული, ან მათი სიმაღლეები ნებისმიერად როდია შერჩეული. ყოვლად შეუძლებელია ვერ შენიშნო ის საოცარი ხუროთმოძღვრული ჰარმონია და მასშტაბურობა, ძველი ტეოტიუაკანის ნანგრევებში რომ იგრძნობა.

ჩვენ ღმერთების სამსხვერპლოზე ვიდექით, სამსხვერპლოზე, სადაც ადამიანთა სისხლი ნაკადულებად მიედინებოდა. ახლა აქ უცხოელი ტურისტების სიცილი, აღტაცების შეძახილები და ფოტოაპარატების ჩხაკუნი ისმოდა. ყველა ცდილობდა სურათი იქ გადაეღო, სადაც ქურუმებს მსხვერპლისათვის გული უნდა ამოეგლიჯათ.

მსხვერპლად ადამიანის შეწირვა ძველთაგანვე იცოდნენ მეხიკოს პლატოზე მცხოვრებმა ტომებმა. განსაკუთრებით ულმობელნი იყვნენ აცტეკები.

უდიდესი ამერიკელი მეცნიერი, არქეოლოგი და ლინგვისტი სილვანუს მორლი ასე აგვიწერს ადამიანის მსხვერპლად შეწირვის რიტუალს: „ამორჩეულ მსხვერპლს გააშიშვლებდნენ, ცისფრად შეღებავდნენ, თავზე საგანგებო წოწოლა საბურველს დაახურავდნენ და სამსხვერპლოზე მიიყვანდნენ. სამსხვერპლო ან ტაძრის ეზოში იყო, ან პირამიდის თავზე. იქიდან, უპირველეს ყოვლისა, ავ სულებს განდევნიდნენ. შემდეგ ღვთაებრივი ცისფერი საღებავით საკურთხეველს – ამობურცულ ქვასაც შეღებავდნენ და მსხვერპლს ზედ გულაღმა დააწვენდნენ. ოთხი ჩაკაცი (ქურუმი) ტანს ცისფრად შეიღებავდა და მსხვერპლს ხელ-ფეხს გაუკავებდა. შემდეგ წინ გამოვიდოდა სხვა ქურუმი – ნაკომი, ხელში სამსხვერპლო დანა ეჭირა. იგი მსხვერპლს დანას ნეკნებში, პირდაპირ მარცხენა ძუძუსთან გაურჭობდა, თითებს ჭრილობაში ჩაუყოფდა, მკერდიდან ჯერ კიდევ მოფართხალე გულს ამოიღებდა და უპირველეს ქურუმს გადასცემდა. გულის სისხლს იმ კერპს წასცხებდნენ, ვის სადიდებლადაც სწირავდნენ მსხვერპლს. თუ მსხვერპლს პირამიდის თავზე კლავდნენ, მაშინ ჩაკაცები გვამს ძირს, ტაძრის ეზოში ისროდნენ. იქ უფრო დაბალი რანგის ქურუმნი მსხვერპლს ტყავს გააძრობდნენ. იმ ტყავით ჩილანი შეიმოსებოდა და მაყურებელთან ერთად სარიტუალო ცეკვას ასრულებდა. გვამს მხოლოდ ტერფებსა და ხელისგულებზე არ აძრობდნენ ტყავს. გულს ქურუმები ჭამდნენ. თუ მსხვერპლად შეწირული მამაცი მეომარი იყო, მის სხეულს ხანდახან დიდებულები და სხვა მაყურებლები ინაწილებდნენ და ჭამდნენ. ამ შემთხვევაში ხელები და ფეხის ტერფები ჩილანს ერგებოდა. თუ მსხვერპლად შეწირული სამხედრო ტყვე იყო, მაშინ მისი დამატყვევებელი მეომარი გამარჯვების ნიშნად მსხვერპლად შეწირულის რამდენიმე ძვალს ატარებდა ხოლმე. ქალებსა და ბავშვებსაც ისევე ხშირად სწირავდნენ მსხვერპლად, როგორც მამაკაცებს“.

მაიას ტომები ყველაზე ლმობიერნი იყვნენ. მაიას ტომებთან შედარებით ტოლტეკებს უფრო მკაცრი დისციპლინა ჰქონდათ. ისინი თავს სისხლის მოსურნე ღმერთების მეომრებად თვლიდნენ. აცტეკები, როგორც უკვე ვთქვით, ულმობელნი იყვნენ. ომის ღმერთს ისინი მსხვერპლად სწირავდნენ ტანმოსულ ჭაბუკებს, ცეცხლის ღმერთს – სამხედრო ტყვეებს. პირდაპირ ცეცხლში ყრიდნენ შებორკილ ტყვეებს. ნაყოფიერების ქალღმერთს მსხვერპლად ქალიშვილებს სწირავდნენ, ხოლო ადამიანთა მფარველი ღმერთის პატივსაცემად ქურუმები ყმაწვილებს ცოცხლად აძრობდნენ ტყავს. ჩვეულებრივი ამბავი იყო ბავშვების შეწირვაც. ბავშვებს უფრო ხშირად წვიმის ღმერთს სწირავდნენ. ეს ძირითადად გვალვის დროს ხდებოდა, ბავშვებს მაშინაც სჭრიდნენ თავებს, როცა სიმინდი ტანს აიყრიდა. ხოლო სიმინდის მომწიფების პერიოდში ქურუმები რამდენიმე ბავშვს სარდაფში ჩაკეტავდნენ და შიმშილით ხოცავდნენ.

მე-16 საუკუნის ცნობილი სასულიერო პირი, ფრანცისკანული ეკლესიის ეპისკოპოსი დიეგო დე ლანდა მსხვერპლად შეწირვის კიდევ ერთ წესს აგვიწერს: „მსხვერპლად შესაწირ ადამიანს ჯერ ისრით განგმირავდნენ, გააშიშვლებდნენ, ცისფრად შეღებავდნენ დ თავზე წონოლა საბურველს დაახურავდნენ. შემდეგ სამსხვერპლო ბოძს ცეკვა-ცეკვით გარს უვლიდნენ და მსხვერპლს ხეს მიაკრავდნენ. სარიტუალო ტანსაცმლით შემოსილი ქურუმი მსხვერპლს (ქალი იქნებოდა თუ კაცი) დანას მუცლის ქვედა ნაწილში გაუყრიდა და სისხლს გამოუშვებდა. შემდეგ სისხლს კერპს წასცხებდა და მოცეკვავეებს ნიშანს აძლევდა. ისინი მსხვერპლს ცეკვა-ცეკვით ჩაუვლიდნენ და მკერდზე წინასწარ თეთრად შემოხაზულ წრეში რიგრიგობით არჭობდნენ ისრებს. ამგვარად მსხვერპლის მკერდი ისრებით დახუნძლულ სანიშნე ფარს ემსგავსებოდა“.

ყველაზე ბარბაროსული მაინც ტყვეების ცეცხლში შეყრა იყო. საცოდავები ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, სარებზე რომ წამოაგებდნენ, ცეკვა-ცეკვით კოცონს გარს შემოუვლიდნენ და შემდეგ მოუსწრაფებდნენ სიცოცხლეს.

მეცნიერებმა იანგარიშეს, რამდენი ადამიანის სიცოცხლე ეწირებოდა წლიურად გაუმაძღარ ღმერთებს. აღმოჩნდა, რომ ყოველწლიურად 30 ათასი ადამიანის სისხლი ინთხეოდა აცტეკების იმპერიაში. როგორც ცნობილია, მსხვერპლად ძირითადად სამხედრო ტყვეებს სწირავდნენ. ამის გამო მეზობელი ტომები არასდროს არ ეშურებოდნენ ერთმანეთთან მეგობრობას, მაშინ ხომ დაეხშობოდათ ტყვეების მოპოვების წყარო.

შეიძლება უცნაურობად მოგვეჩვენოს, მაგრამ იმხანად ხშირი იყო უიარაღო ომებიც. ასეთი ომის მიზანი იყო ტყვეების ხელში ჩაგდება. დაპირისპირებულნი ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ, ეჭიდავებოდნენ, რომ როგორმე არაქათგამოცლილი მეომარი შეებოჭათ და მერე ტყვედ აეყვანათ. მეტი რა გზა იყო, სისხლიანი ღმერთები მსხვერპლს ითხოვდნენ.

თვით მონტესუმას დროსაც კი, აცტეკების იმპერიის უკანასკნელ წლებში, შვილების სამსხვერპლოდ გაჩენა ბევრმა მშობელმა გაიხადა შემოსავლის წყაროდ. ისინი შვილებს აჩენდნენ და შემდეგ ქურუმებთან მიჰყავდათ გასაყიდად.

მაგრამ მაიას და მათ მეზობელ ტომებს ჰყავდათ კეთილი ღმერთიც. მას კეცალკოატლი ერქვა.

„კეცალკოატლმა შექმნა სამყარო," – ამბობდნენ ძველი ტოლტეკებიც. როგორც გადმოცემებიდან ჩანს, კეცალკოატლი ტოლტეკების მშვენიერი ქალაქის, ტოლანის გამგებელი იყო. იგი ძალზე ჭკვიანი და გულუხვი ადამიანი ყოფილა. ამიტომაც გამხდარა უპირველესი ტოლტეკების ღმერთებს შორის.

კეცალკოატლი აღმოსავლეთიდან მოსულა. მას ხელში აუღია მთელი ძალაუფლება და თურმე ცდილობდა ადამიან-

თა გონება და საქმიანობა მხოლოდ სასიკეთოდ წარემართა. მას შემოუღია კანონები და დაუნერგავს ჭეშმარიტი რწმენა, რათა შეეზღუდა ადამიანთა მიწიერი ლტოლვანი.

ტოლტეკები მრგვალ ტაძრებს აგებდნენ კეცალკოატლის სადიდებლად, სჯეროდათ, რომ სწორედ მან შექმნა პირველი ადამიანი. ტოლტეკებს მტკიცედ სწამდათ, რომ კეცალკოატლი ერთადერთი ღმერთი იყო, რომელსაც ადამიანის სხეული ჰქონდა, დანარჩენი ღმერთები უხორცონი იყვნენ.

კეცალკოატლის კულტი შემდგომში ტოლტეკების კულტურის გეოგრაფიულ და ქრონოლოგიურ მიჯნებს ძალიან შორს გასცდა, ხოლო მისი ემბლემა „ფრთოსანი გველი" მთელს მექსიკაში გახდა ცნობილი (ჩარლზ გალენკამპი).

ბოლოს კეცალკოატლი შურიანმა ომის ღმერთებმა განდევნეს მექსიკის ველიდან. წასვლის წინ დაუბარებია, ოდესმე დავბრუნდები, მაშინ ყველა მიიღებს ჩემს მოძღვრებას და ჩემი შვილები დაეპატრონებიან იმ მიწებს, რომელთა გამოც თქვენ და თქვენი შთამომავალნი ბევრ ჭირსა და ვარამს გადაიტანთო.

ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ კეცალკოატლი იმავე გზით წასულა და გაუჩინარებულა, საიდანაც თავდაპირველად გამოჩენილა. ზოგიერთი თქმულებით იგი დღევანდელი ვერა-კრუსის მახლობლად, ზღვაში გამქრალა. ზოგი თქმულება კი ამბობს, კეცალკოატლი ცაში აიჭრა და ცისკრის ვარსკვლავად იქცაო.

კეცალკოატლის განდევნის შემდეგ ტოლტეკებში საშინელი შიმშილობა დაწყებულა, არც კაციჭამიობა ყოფილა მათთვის უცხო. მდიდრები აშკარად ასუქებდნენ დასაკლავ მონებს. ხშირად დასუქებული მონებით ვაჭრობდნენ კიდეც.

მას შემდეგ გავიდა საუკუნეები, დაიღუპა ტოლტეკების საოცარი ცივილიზაციაც და მის ნანგრევებზე აღმოცენდა აცტეკების ახალი ცივილიზაცია, მაგრამ თქმულება კეცალ-

კოატლის განდევნისა და მისი მეორედ მოსვლის თაობაზე დავიწყებას როდი მიეცა. აცტეკებს სჯეროდათ, რომ გავიდოდა დრო და კეცალკოატლი ისევ მოვიდოდა მექსიკის პლატოზე.

და აი, 1517 წლის 3 მარტს, თითქმის ცხრა საუკუნის შემდეგ, იუკატანის ნახევარკუნძულის სანაპიროზე მოდარაჯე ინდიელებმა ჰორიზონტზე შენიშნეს პატარა შავი წერტილები. სულ მალე წერტილები უზარმაზარ მცურავ სახლებად იქცა, ხოლო გემბანზე გარკვევით გაარჩიეს ადამიანები.

ალბათ ყველას გონებაში ერთბაშად აღდგა ძველი თქმულება კეცალკოატლის მეორედ მოსვლის თაობაზე.

მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, ეს არ იყო კეთილი ბელადი და ღმერთი კეცალკოატლი. გემები, რომელთაც ერნანდეს დე კორდობა მეთაურობდა, მონებზე სანადიროდ იყო გამოგზავნილი კუბის გუბერნატორის, ველასკესის მიერ. მათ კურსი აღებული ჰქონდათ გუენახასის კუნძულისაკენ, მაგრამ ძლიერმა ტროპიკულმა შტორმმა ძალიან შორს გაიტაცა გემები. უცებ მათ სრულიად უცნობი მიწა დაინახეს. ესპანელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, თანდათან უახლოვდებოდნენ ნაპირს და თვალს არ უჯერებდნენ. მათ წინ აღიმართა პირამიდები და სასახლეები. ახალი მიწის აღმოჩენა არ ყოფილა ისე გასაოცებელი მათთვის, როგორც ამ დიდებული ქალაქის დანახვა. მანამდე ხომ ისინი მხოლოდ ნახევრად შიშველ ველურ ტომებს ხვდებოდნენ.

ინდიელები დაუპატიჟებელ სტუმრებს სიხარულით როდი შეხვდნენ. მეორე დღეს კორდობა მიიპატიჟეს კიდეც ნაპირზე, მაგრამ გულში სულ სხვა გეგმები ჰქონდათ. კორდობას სულმა წასძლია და ესპანელები ორი ნავით სანაპიროზე გავიდნენ. ინდიელებმა სტუმრები მოედანზე მიიწვიეს. ესპანელების თვალწინ გადაიშალა საოცარი სასახლეები, რომლებიც დამშვენებული იყო გველების, დრაკონებისა და იაგუარების ქანდაკებებით. უეცრად ატყდა ყვირილი და ინდიელებმა გადამ-

თიელებს ისრები დაუშინეს. ესპანელებმა თოფებით უპასუხეს. რამდენიმე ათეულმა ინდიელმა იმავე წუთში განუტევა სული. ინდიელები შედრკნენ, ასეთი რამ მათ ადრე არასოდეს არც ენახათ და არც გაეგოთ. პირი იბრუნეს და გაიქცნენ. ესპანელებმა დროებით ერთ-ერთ ტაძარს შეაფარეს თავი. მათ წინ დიდებული სანახაობა გადაიშალა. მონუსხული იდგნენ და შესჩერებოდნენ უძვირფასეს ქანდაკებებს, სრულიად უცნობ წარწერებს, აურაცხელ სიმდიდრეს. მაგრამ ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ინდიელების თავდასხმა და სასწრაფოდ გემებს მიაშურეს. თუმცა კორდობა არ ჩქარობდა, ცდილობდა კარგად შეესწავლა უცნობი ხმელეთის სანაპირო. იგი 15 დღის განმავლობაში ცურავდა იუკატანის სანაპიროზე. ბოლოს, როცა წყალი შემოაკლდათ, ღუზა ჩაუშვეს კიდევ ერთი უცნობი დიდებული ქალაქის მახლობლად და მეზღვაურები ნაპირზე გადასხეს. გაიმართა სისხლისმღვრელი ომი. მაიას ლეგიონებმა სძლიეს კორდობას მეზღვაურებს. კორდობა იძულებული გახდა იქაურობას გასცლოდა და გეზი კუბისაკენ აეღო. უკან დაბრუნებულებმა კუბაში ზღაპრული ამბები ჩაიტანეს. ისრით დაჭრილი კორდობა მალე გარდაიცვალა. კუბის გუბერნატორმა სასწრაფოდ გაგზავნა გემები უცნობი ხმელეთისაკენ ხუან დე გრიხალვას მეთაურობით.

გრიხალვა პირველად მიადგა კუნძულ კოსუმელს, იუკატანის აღმოსავლეთ სანაპიროს. ესპანელებს ყველგან ხვდებოდა მაღალი ცივილიზაციის კვალი და ეს უმთავრესად არქიტექტურაში იჩენდა თავს. უზარმაზარი ქალაქიდან, ეტყობოდა, სულ ცოტა ხნის წინ აყრილიყო ხალხი. ისინი საიდუმლოდ უთვალთვალებდნენ გადამთიელებს.

ქალაქ ჩამპოტონში ესპანელები გაოცებულნი ათვალიერებდნენ კირის ხსნარით შედუღებული ლოდებისაგან ნაგებ სასახლეებს, ქანდაკებებით შემკულ ტაძრებს, უზარმაზარ ქვის ჯვრებს. საოცარია, რომ ჯვრის გამოსახულება ქრის-

ტიანობამდე გაცილებით ადრე სცოდნიათ ეგვიპტელებსაც და მაიას ტომებსაც. ინდიელებს სჯეროდათ, რომ ჯვარზე მზის უმაღლესი კაცი მოკვდა (!).

ჩამპოტონიდან დასავლეთით გრიხალვას ექსპედიცია მიადგა მდინარე ტაბასკოს შესართავს, იქიდან კი ორი პატარა ხომალდით აღმა აუყვნენ და სულ მალე ინდიელების რკალში აღმოჩნდნენ. ესპანელებმა დამხვდურებს შუშის მძივები და იმპერატორ დონ კარლოსის მორჩილება შესთავაზეს. ინდიელებმა უცნობ იმპერატორზე უარი თქვეს და მძივების სანაცვლოდ ესპანელებს შემწვარი თევზი, შინაური ფრინველი და მოსულთათვის უცნობი სიმინდისაგან გამომცხვარი მჭადები მიართვეს. შემდეგ ჭილოფზე იშვიათი ხელოვნებით ნაკეთები ოქროს სამკაულები დააწყვეს. ინდიელები ესპანელებს ეუბნებოდნენ, შორს, ქვეყნის შუაგულში ბევრი ოქრო არისო და თან იმეორებდნენ: „კოლუა, კოლუა, მეხიკო, მეხიკო“. ესპანელებს მანამდე არც კი გაეგონათ ეს სახელები.

დაქანცულმა გრიხალვამ ვერ გაბედა მექსიკაზე გალაშქრება. აცტეკების იმპერიის განადგურება ისტორიამ ავანტიურისტ ერნანდო კორტესს არგუნა.

1519 წელს კორტესი დაიძრა აცტეკების იმპერიის შუაგულისაკენ. აცტეკების მბრძანებელი მონტესუმა უკვე ელოდა ამ შემოტევას. ქურუმებმა გადამთიელების გამოჩენა მას ადრევე უწინასწარმეტყველეს. მონტესუმამ დაიჯერა, ინდიელთა საყვარელი ღმერთი კეცალკოატლი დაბრუნდაო და ტახტიდან გადადგომაც კი გადაწყვიტა.

ეს კი ის მონტესუმა იყო, თავისი გამეფების დღესასწაულზე 12 ათასი კაცი რომ შესწირა მსხვერპლად. იგი დღეში ოთხჯერ იცვლიდა ტანსაცმელს, ერთხელ ჩაცმულს კი მეორედ არასოდეს გაეკარებოდა. მონტესუმას ყოველი სადილი 300 თავი კერძისაგან შედგებოდა. ჭირვეული მბრძანებელი მათგან ორიოდეს თუ მოისურვებდა.

კორტესი სწორედ აღმოსავლეთიდან მოვიდა, როგორც ამას ქურუმები წინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ის არ იყო ინდიელთა სანატრელი ღმერთი კეცალკოატლი. ეს იყო ერნანდო კორტესი, რომელმაც სისხლში ჩაახშო აცტეკების ძლევამოსილი იმპერია.

აი, სწორედ ამ იმპერიის ნანგრევებს დავცქეროდით ზემოდან. რა ძალამ შექმნა, რა ხელმა ააგო ეს საოცარი ქალაქი? მაგრამ აქ განა მხოლოდ ეს არის საოცარი? პირამიდები ბევრგანაა. მე მინახავს რომაელთა მიერ უფრო ადრე აშენებული და უფრო მშვენიერი ქალაქები, როგორიცაა პალმირა და ბაალბეკი. მექსიკის მივიწყებულ ცივილიზაციებში სხვა საიდუმლოებანი გვიზიდავს, საიდუმლოებანი, რომელთა ახსნა მეცნიერებას დღემდე ვერ მოუხერხებია.

ისტორიამ აღარაფერი შემოგვინახა სამხრეთ ამერიკაში ინკების, ცენტრალურ ამერიკაში კი მაიას, ტეოტიუაკანის, ტოლტეკებისა და აცტეკების ცივილიზაციებზე.

ესპანელთა მონობამ და ჩაგვრამ ნელ-ნელა შთანთქა ამერიკელი ინდიელების ცივილიზაციაც და ისტორიული წყაროებიც.

ყველაზე დიდი ბარბაროსობა ჩაიდინა ესპანელმა ეპისკოპოსმა, ახალგაზრდა ფრანცისკანელმა ბერმა დიეგო დე ლანდამ. იგი 1549 წელს ჩავიდა იუკატანში და, სადაც კი გასწვდა, ყველგან მოსპო წარმართული კულტურის დამწერლობა. ხოლო ქალაქ მანში ერთ-ერთ ტაძარში აღმოჩენილი უამრავი ხელნაწერი მოედანზე გამოატანინა და ცეცხლი წაუკიდა.

ოცი წლის შემდეგ ლანდამ სინდისის ქენჯნა იგრძნო და გადაწყვიტა, თვითონ დაეწერა მაიას ისტორია. უზარმაზარი შრომის შედეგად მართლაც დაწერა მონუმენტური გამოკვლევა, მაგრამ ეს ნაშრომი, ცხადია, ვერ შეცვლიდა უძვირფასეს ხელნაწერებს.

იქნებ ინკების ხელნაწერები მაინც დაგვხმარებოდა ამერიკის მივიწყებული ცივილიზაციების გამოკვლევაში, მაგრამ

თითქოს ისტორიამ მოინდომა კაცობრიობისათვის საიდუმლოდ დაეტოვებინა ამ საოცარი ხალხების ბედი. ერთხელ თურმე ინკების იმპერიას საშინელი ეპიდემია მოედო. ერთ-ერთმა ორაკულმა იწინასწარმეტყველა, ეს საშინელი სენი მანამ არ დაგვეხსნება, სანამ ყველა ხელნაწერს არ მოვსპობთო. ასე განადგურდა ინკების დამწერლობაც.

1572 წელს ესპანელებმა მაინც იგდეს ხელთ მზის ტაძარში დაცული რამდენიმე ხელნაწერი, რომლებიც იქ საიდუმლოდ ინახებოდა, მაგრამ ხელნაწერებმა მაინც ვერ ჩააღწია ესპანეთში. ეტყობა, გემი ზღვაში დაიღუპა.

ამჟამად კაცობრიობას სამი ხელნაწერიღა შემორჩა ინდიელთა ცივილიზაციებისა.

მაიას ტომები ფლობდნენ უზარმაზარ ასტრონომიულ და მათემატიკურ ცოდნას. საოცრებაა მაიას კალენდარი, რომელიც წლების მილიონიანი ციკლებისაგან შედგება.

მაიას ქურუმებმა იცოდნენ, რომ დედამიწა და სხვა ციური სხეულები სფეროებს წარმოადგენენ. ისინი პლანეტებს გამოსახავდნენ ბურთებად, რომლებსაც ღმერთები ათამაშებდნენ.

მაიას ასტრონომებმა გამოიანგარიშეს, რომ წელიწადი, ე. ი. დედამიწის წრიული ბრუნვის ხანგრძლივობა 365, 242 129 დღეა. შევადაროთ ეს ციფრი დღევანდელ უზუსტეს გათვლებს – 365, 242 198 დღე, ცთომილება მხოლოდ ერთ წამზე ცოტა მეტია წელიწადში!

მაიას ტომის სამი ხელნაწერიდან ერთ-ერთი დრეზდენის მუზეუმში ინახება. მას მაიას კოდექსს უწოდებენ. სწორედ ამ ხელნაწერებშია მოცემული პლანეტა ვენერას ფაზების პერიოდულობა.

მაიას ასტრონომებმა დაადგინეს ამ ფაზების განმეორების დრო – 583 935 დღე. თუ ამ რიცხვს შევადარებთ დღევანდელი უზუსტესი გამოთვლით მიღებულ რიცხვს, აღმოჩნდება,

რომ მაიას ქურუმები სულ რამდენიმე საათით შემცდარან (0,015 დღით).

ეს მით უფრო გასაოცარია, რომ ქურუმებს არავითარი ასტრონომიული ხელსაწყო არ გააჩნდათ.

ეს ყველაფერი მაიას ტომებმა იცოდნენ პირველ საუკუნეში, მაშინ, როცა, საბჭოთა მეცნიერის ალექსანდრ გორბოვსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ევროპული ასტრონომია გრძელი და ტანჯული გზებით მიდიოდა მეცნიერულ ჭეშმარიტებათა შეცნობისაკენ. ეს გზა საუკუნეობრივ ცთომილებათა და ინკვიზიციის კოცონთა წიაღში მიემართებოდა. ამასთან, ჯორდანო ბრუნომ, გალილეიმ და სხვებმა ისეთ ჭეშმარიტებებს მიაკვლიეს, რომლებიც დიდი ხნის წინათ ჩვენთვის უცნობი წყაროებიდან იცოდნენ ინდოელებმა, ეგვიპტელებმა და ამერიკელმა ქურუმებმა“.

ვიდექი სამსხვერპლოზე, სადაც ალბათ ასეულ ათასობით ცოცხალ ადამიანს ამოჰკვეთეს გული და უცნაური ძრწოლა მიპყრობდა: როგორ შეიძლებოდა ერთმანეთის გვერდით ყოფილიყო ასეთი საოცარი ცოდნა და არაადამიანური სისასტიკე? როგორ შეიძლებოდა ჰქონოდათ მათ ძველი სამყაროს კალენდართა შორის ყველაზე რთული და უზუსტესი კალენდარი, ამავე დროს კი არ სცოდნოდათ ცივილიზაციისაკენ მიმავალი კიბის ხუთი საფეხურიდან სამი: ბორბალი, ლითონის იარაღები და გამწევი ძალა? (იცოდნენ მხოლოდ მიწათმოქმედება და ცეცხლის გაჩენა.)

ვინ იცის, რამდენ საიდუმლოს ინახავს ამერიკელი ინდიელების მივიწყებული ცივილიზაციები. ალბათ ამიტომაც ეძახიან მექსიკას ათასი საიდუმლოების ქვეყანას.

7

...ახლა, როცა ვნებათაღელვა უკვე დაცხრა, როცა გონებაში ყველაფერი გადაიხარშა და დადგინდა, ინტერესს მოკლებული არ იქნება დავიხიოთ რამდენიმე თვით უკან და გავიხსენოთ, როგორი იყო პროგნოზები ჩემპიონატის დაწყებამდე. ამ პროგნოზების სინამდვილესთან შედარება ჩვენს წარმოდგენაში ნათლად აღადგენს ჩემპიონატისწინა დღეების სურათს, თანმიმდევრულად შეგვახსენებს, რას ვფიქრობდით მექსიკის ჩემპიონატის წინ და რას ვფიქრობთ ახლა, თვალნათლივ დაგვანახვებს, ოცდაერთდღიანმა მექსიკურმა ბატალიებმა როგორ შეცვალა ინგლისის ჩემპიონატის შემდგომი ვარაუდები და წარმოდგენები. მექსიკის ჩემპიონატის 32-მა მატჩმა ხომ საბოლოოდ შეაჯამა უკანასკნელი საფეხბურთო ოთხწლედის შედეგები.

აი, ეს პროგნოზებიც:

სახელგანთქმულ ფეხბურთელს და წარსულში ბრაზილიის ნაკრების წევრს, გარინჩას მტკიცედ სჯეროდა, რომ მისი თანამემამულეები მექსიკაში ვერაფრით ვერ დაიბრუნებდნენ წარსულ დიდებას. ამავე აზრისა იყო მისივე თანაგუნდელი და იმჟამად პერუს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ვალდირ პერეირა დიდი. მანაც განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში, ბრაზილიელებს ძალზე გაუჭირდებათ ჩემპიონობის მოპოვებაო.

ახლა გავიხსენოთ, რა განაცხადეს მექსიკის ჩემპიონატის მონაწილე გუნდების მწვრთნელებმა. გავრიილ კაჩალინი ფიქრობდა, რომ მედლებს მოიპოვებდნენ ინგლისელები, ბრაზილიელები და იტალიელები (თანმიმდევრობა ყველგან დაცულია, – გ. ფ.). მექსიკის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა, რაულ კარდენასმა განაცხადა: „მე გამოვყოფდი ინგლისის, გერმანიის, იტალიის და ბრაზილიის გუნდებს, მათ დიდი ფეხ-

ბურთელები ჰყავთ. სალვადორელთა მწვრთნელი კარასკო ვივანკო ვარაუდობდა, რომ ადგილები ასე განაწილდებოდა: ინგლისი, ბრაზილია, იტალია. აი, რა განაცხადა ურუგვაელთა მწვრთნელმა, ედუარდო ხუან ომბერგმა: „ვფიქრობ, ოქროს მედლების მოპოვების ყველაზე დიდი შანსი აქვთ ინგლისელებს, ბრაზილიელებს, გერმანელებს და ჩეხოსლოვაკიელებს. ისრაელის ეროვნული ნაკრების მწვრთნელს, ემანუელ შეფერს სჯეროდა, რომ ჩემპიონი გახდებოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, მომდევნო ადგილებს კი დაიჭერდნენ საბჭოთა კავშირისა და ინგლისის გუნდები. იტალიელთა მწვრთნელმა ფერუჩო ვალკარეჯიმ ჩემპიონობის პრეტენდენტებად დაასახელა ინგლისის, ბრაზილიის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, საბჭოთა კავშირისა და იტალიის გუნდები. რუმინელთა მწვრთნელი ანჯელო ნიკულესკუ ჩემპიონატის ფავორიტებად მიიჩნევდა საბჭოთა კავშირის, ურუგვაის, ბრაზილიისა და იტალიის გუნდებს.

ჩეხოსლოვაკიელთა მწვრთნელმა იოჟეფ მარკომ განაცხადა: „ყველაზე ძლიერ ევროპულ გუნდებად მიმაჩნია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იტალიის გუნდები; ამერიკიდან – ბრაზილიელები და მექსიკელები. კარგად უნდა ითამაშონ რუმინელებმაც. მათი ნაკრები უდავოდ ძლიერია. ჩვენ კი ქვეჯგუფში დავამარცხებთ ინგლისელებსაც და ბრაზილიელებსაც“. ბულგარელთა მწვრთნელს, სტეფან ბოჟკოვს სჯეროდა, რომ ადგილები ასე განაწილდებოდა: ინგლისი, ბრაზილია, იტალია.

მხოლოდ სამმა მწვრთნელმა დაასახელა ბრაზილიის ეროვნული ნაკრები ჩემპიონობის პირველ პრეტენდენტად. მათ შორის თვით ბრაზილიელთა მწვრთნელმა მარიო ზაგალომ, რომელმაც განაცხადა: პირველი სამეული ასეთი იქნება – ბრაზილია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ინგლისი. ბელგიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა რაიმონ გუტალს-

მა კი თქვა: „ყველაზე ძლიერებად უნდა მივიჩნიოთ ბრაზილიის, ინგლისისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდები. ბრაზილია, ისევე როგორც ადრე, კვლავ რჩება ფეხბურთის სახელმწიფოდ". აი, როგორი აზრი გამოთქვა შვედეთის ნაკრების მწვრთნელმა ოვარ ბერგმარკმა: „მე ახლავე შემიძლია დავასახელო ფინალური მატჩის ერთი მონაწილე – ბრაზილიის ეროვნული ნაკრები. ვინ იქნება მეორე?"

განსაკუთრებით საინტერესოა მსოფლიო ჩემპიონების – ინგლისელების მწვრთნელის, ალფ რამსეისა და მომავალი ჩემპიონების ლიდერის, პელეს პროგნოზები.

რამსეი თავდაპირველად უფრო ზოგადი პროგნოზით დაკმაყოფილდა: „ამერიკის კონტინენტის გუნდებიდან საუკეთესო შანსი აქვთ ბრაზილიელებს და ურუგვაელებს, ევროპიდან – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიის, ბელგიის, ინგლისის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს".

მეორე ინტერვიუში კი ინგლისელთა მწვრთნელმა ძალზე ოპტიმისტური აზრები გამოთქვა: „თუ საერთაშორისო მატჩებით ვიმსჯელებთ, როგორც ევროპაში, ასევე ოკეანის გაღმა ჩვენი ტოლი გუნდი ჯერ კიდევ არ არის. 1958 წელს შვედეთში ბრაზილიელებმა ჩაიტანეს ახალი ტაქტიკა და ჩვენც განზრახული გვაქვს გავაოცოთ მეტოქეები. რით? ამ საიდუმლოს გავამხელთ, როცა ფინალურ მატჩზე გამოვალთ".

ბრაზილიელთა გუნდის ლიდერმა, პელემ კი განაცხადა: „მე დავბრუნდი ეროვნულ ნაკრებში და ჩემს კოლეგებთან ერთად გავაკეთებ ყველაფერს, რათა ბრაზილია კვლავ გახდეს ოქროს ქალღმერთის მფლობელი. მექსიკის ჩემპიონატისათვის ჩვენი ნაკრები საუკეთესო სპორტულ ფორმაში იქნება. მე კი იმ დროისათვის გავიტან ჩემს მეათასე გოლს. მეორე ათასეულს გავხსნი „აცტეკას" სტადიონზე, სადაც 1970 წლის 21 ივნისს გაიმართება IX მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი".

დამეთანხმებით, ჩემპიონატის წინ და ჩემპიონატის შემდეგ სხვადასხვანაირად ჟღერს ეს სიტყვები.

აქ მინდა მოვიყვანო კიდევ ერთი კაცის პროგნოზი. თუმცა მისი ნათქვამი პროგნოზს კი არა, კატეგორიულ განცხადებას უფრო ჰგავდა. ეს კაცი არც ფეხბურთელია, არც მწვრთნელი და არც სპორტული ჟურნალისტი. იგი ბრაზილიის ელჩია მექსიკაში – ჟუან ბაპტისტა პინიეირუ. მან ჩემპიონატის პირველსავე დღეს თავის კაბინეტში დადგა მაგიდა, ზედ ძვირფასი მაუდი გადააფარა და ჟურნალისტებს განუცხადა, 21 ივნისს აქ დაიდგმება ოქროს ქალღმერთიო.

ბრაზილიელთა პირველივე მატჩის შემდეგ, როცა პელემ და მისმა თანაგუნდელებმა დიდი ანგარიშით (4:1) დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიის ძლიერი გუნდი, როცა მაყურებლები მოხიბლეს ვირტუოზული ტექნიკითა და მახვილგონიერული ტაქტიკით, სკეპტიკოსებს თუღა ეპარებოდათ ეჭვი ბრაზილიის ელჩის სიმართლეში.

8

ოტელ „ვიეირასში“ მხოლოდ უცხოელები ვცხოვრობდით, ძირითადად ამერიკელები, ურუგვაელები, ისრაელი და საბჭოთა ტურისტები. საუზმესა თუ ვახშამზე ყოველთვის ვხვდებოდით ერთმანეთს სასტუმროს მყუდრო რესტორანში.

ჩვენი ყურადღება თავიდანვე მიიპყრო ერთმა საშუალო ტანის შავგვრემანმა კაცმა. თავდაპირველად ორმოცდაათი წლისა მაინც მეგონა, თუ მეტის არა. როგორც შემდეგ თვითონ გვითხრა, ორმოცდაორი წლისა ყოფილა, სახეზე ერთთავად ნაღველი და სევდა ჰქონდა აღბეჭდილი, თითქმის არასდროს არ ლაპარაკობდა. მასთან ერთად მაგიდას ყოველთვის უსხდა ორი კაცი მაინც. ხშირად ისინი არც კი სადილობდნენ, „კოკა-კოლას“ თუ შეუკვეთდნენ, ეს იყო და ეს. ერთმანეთს

ათასში ერთხელ თუ გადაულაპარაკებდნენ. ჩუმად ისხდნენ და ელოდნენ, ის შავგვრემანი კაცი ჭამას როდის დაამთავრებდა. მერე რესტორნიდანაც ერთად გადიოდნენ, ვესტიბიულშიც ერთად ისხდნენ, ლიფტშიც კი ერთად შედიოდნენ.

ერთ დღეს შევნიშნე, რომ მის მაგიდასთან ვიღაც ოთხი ახალი კაცი იჯდა. ისინი გაცხარებულები საუბრობდნენ და რაღაცას იწერდნენ. იქვე იყო შავგვრემნის ორი განუყრელი მეგობარიც. ოღონდ სუფრის განაპირას ისხდნენ და, ჩვეულებისამებრ, ხმას არ იღებდნენ.

– ვინ არის ის კაცი? – ვკითხე ოფიციანტს.

დაბალმა შავგვრემანმა მექსიკელმა იმ მაგიდას გახედა, საითაც მე მივანიშნე. უმალვე მიხვდა, ვისზეც ვეკითხებოდი, დაიხარა და ხმადაბლა თქვა:

– ეგ სენიორი ანტონიო არგედასია.

ოფიციანტი ისევ გაიმართა და მრავალმნიშვნელოვნად შემოგვხედა, მაგრამ მიხვდა, რომ ამ სახელმა და გვარმა ჩვენზე დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება მოახდინა და ისევ დაიხარა.

– როგორ, განა არ იცით, ვინ არის ანტონიო არგედასი? შეუძლებელია! მაგან მოკლა მაიორი ჩე გევარა.

ახლა კი შეგვატყო ოფიციანტმა გამოცოცხლება, მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და გაგვშორდა.

თავდაპირველად სასაცილოც კი მომეჩვენა ოფიციანტის ნათქვამი, მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა, მის სიტყვებში ცოტა როდი იყო სიმართლე.

ის, რაც ვერ გვითხრა ოფიციანტმა, ფერნანდო ლოპესმა გვიამბო. 36 წლის ფერნანდო მექსიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მაიორია. მასაც ხშირად ვხედავდით იმ ნაღვლიანი კაცის გვერდით, ოფიციანტმა ჩე გევარას მკვლელი რომ უწოდა. მესამე და მეოთხე შეხვედრისას ფერნანდო მოგვესალმა. იმავე დღეს ვახშმობისას კი უცერემონიოდ ჩამოგვართვა ხელი და ლუდზე მიგვიპატიჟა. რასაკვირველია,

ჩვენც არ დაგვიყოვნებია და ქართული კონიაკი შევთავაზეთ. ზემოთ უკვე ვთქვი, მექსიკელები ადვილად დასამეგობრებელი ხალხია-მეთქი. ფერნანდო იმავე წუთში გაგვიშინაურდა, მუსიკოსები იხმო და სიმღერები შეუკვეთა.

– რა ეროვნებისა ბრძანდებით? – მკითხა მე, – რუსს არ ჰგავხართ.

ვუთხარი, ვინცა ვარ და ჩვენი თარჯიმნის, იგორ ივანოვის (ნახევრად ქართველის, დედა საღირაშვილის ქალი ჰყავს) საშუალებით შეძლებისდაგვარად ვუამბე ქართულ-ბასკურ-ესპანური ნათესაობის მოკლე ისტორია.

– თქვენ როგორ თვლით თქვენს თავს, მექსიკელად თუ ესპანელად?

– რასაკვირველია, მექსიკელად. მით უმეტეს, რომ დედა ინდიელი მყავს.

სახეზე ფერნანდოს არაფერი ეცხო ინდიელისა, წმინდა ესპანელს ჩამოჰგავდა. საშუალო სიმაღლის, თხელი, ნერვიული ტიპი იყო, ხელზე ოქროს დიდი, თვლიანი ბეჭედი ეკეთა, გულზე კი ჯვარი ეკიდა. მსხვილი იაპონური საათი ძალზე შეესაბამებოდა მის ტემპერამენტიან, ენერგიულ გამოხედვას.

– იმ ლიტერატურას, რაც ესპანურ ენაზე იწერება, თუ თვლით თქვენს ლიტერატურად?

– რასაკვირველია, გარკვეული თვალსაზრისით იგი ყველას გვეკუთვნის, ვინც ესპანურ ენაზე ვლაპარაკობთ.

– გინდათ, ერთი საინტერესო პიროვნება გაგაცნოთ? – გვითხრა მეორე თუ მესამე დღეს ფერნანდომ.

რასაკვირველია, მივხვდით, ვისაც გულისხმობდა და თანხმობა განვუცხადეთ.

– ის კაცი ბოლივიის შინაგან საქმეთა მინისტრია, უფრო სწორად, ყოფილი მინისტრი. მისი სახელი და გვარია ანტონიო არგედასი.

– ახლა სტუმრად არის მეხიკოში? – ვკითხე მე.

– არა, პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა. ვფიქრობთ, დაგაინტერესებთ. სხვათა შორის, ახლა დიდი სიმპათიითაა გამსჭვალული სოციალისტური ქვეყნების მიმართ. ანტონიო არგედასი ჭკვიანი, გამჭრიახი კაცია, თუმცა, მე შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს, რომ მისი დაცვის უფროსი ვარ. თავის სამშობლოში ამერიკელების აგენტი და ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომელი იყო. ახლა კი აქ ზის და ცოდვებს ინანიებს.

– ამერიკელები არ გიყვართ? – ვკითხე ფერნანდოს.

ფერნანდომ ჩაიცინა და ჭიქა შეავსო.

ამერიკელებისადმი ზიზღი მექსიკაში იგრძნობა ყველგან და ყოველ ფეხის ნაბიჯზე.

მეორე დღეს, ვახშამზე, ფერნანდომ მიგვიპატიჟა და ანტონიო არგედასი გაგვაცნო. მან კეთილად გაგვიღიმა და სკამები შემოგვთავაზა. ერთი საათი მაინც დავყავით მათთან. ყოფილ მინისტრს ჩვენთვის არცერთი შეკითხვა არ დაუსვამს, თუმცა წინასწარ იცოდა, ვინ ვიყავით. რამდენჯერმე ჩვენთან ერთად დალია ვისკი და ყოველთვის თავაზიანად მიგვითითებდა, ბოლომდე გამოცალეთ, ახალგაზრდები ხართ, მე რას მიყურებთო.

ყურადღებით შევცქეროდი ამ „ჭკვიან", „გამჭრიახ" კაცს. ანტონიო არგედასს თვალებში სევდა ჩასდგომოდა. სევდა, რომელიც მისი რთული ბიოგრაფიის შედეგი იყო.

1967 წლის 8 ოქტომბერს ბოლივიაში გაანადგურეს პარტიზანთა რაზმი, რომელსაც ხელმძღვანელობდა გამოჩენილი სამხრეთამერიკელი რევოლუციონერი, მაიორი ერნესტო ჩე გევარა. იგი რამდენიმე მებრძოლთან ერთად დაჭრილი ჩაიგდეს ხელთ, მეორე დღეს კი სკოლის შენობაში მხეცური წამებით მოკლეს. დიდი რევოლუციონერი მოკვლისთანავე გაძარცვეს, მისი დღიურები ბოლივიის თავდაცვის მინისტრის სეიფში ჩაკეტეს, ფოტოპირი კი ვაშინგტონში გაგზავნეს.

მაგრამ, მოულოდნელად, მაიორ ჩე გევარას დღიურები სათაურით „ჩეს დღიურები ბოლივიაში“ 1968 წლის ივნისში გამოვიდა კუბაში. იქ დაწვრილებით იყო აღწერილი დიდი რევოლუციონერის თერთმეტთვიანი პარტიზანული ბრძოლების ყოველი ეპიზოდი და დეტალი.

1968 წლის 18 ივლისს ბოლივიის საზღვარი გადაკვეთა ამერიკულმა ჯიპმა და ჩილეში გადავიდა. მანქანაში მჯდომმა კაცმა მესაზღვრეებს განუცხადა: „მე ბოლივიის შინაგან საქმეთა მინისტრი არგედასი ვარ. აქამდე ამერიკის ცენტრალური სადაზვერვოს აგენტი ვიყავი. ამ რამდენიმე ხნის წინ კი პირადად გავუგზავნე ფიდელ კასტროს მაიორ ჩე გევარას დღიურები. მინდა საბოლოოდ გავწყვიტო კავშირი ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან, ამ უბოროტეს ბანდასთან, რომელიც მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ ანყობს შეთქმულებას“.

ამ სიტყვებმა ელვასავით შემოირბინა მთელი მსოფლიო.

სანტიაგოში ჩაიყვანეს თუ არა, ანტონიო არგედასი ჩილეს პოლიტიკური პოლიციისა და ამერიკის შეერთებული შტატების აგენტების ხელში აღმოჩნდა. ათი დღის განმავლობაში აიძულებდნენ, გადაეთქვა თავისი სიტყვები და კრინტი არ დაეძრა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საქმიანობაზე. შემდეგ წაიყვანეს ლონდონში, მერე ნიუ-იორკში და ბოლოს – ლიმაში.

ლონდონში მას კონტროლს უწევდა ამერიკელი აგენტი. შემდეგ ნიუ-იორკში მის დაკითხვასა და „დამუშავებას“ უკვე სამნი აწარმოებდნენ. ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ ბოლივიის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, რომ ის ვერასდროს ველარ დაიჭერდა რევოლუციურ პოზიციას, რომ მისი გავლენა და ბრძოლისუნარიანობა უკვე სალაპარაკოდ აღარ ღირდა.

თავის მხრივ, ანტონიო არგედასმა დაარწმუნა ისინი, დავიღალე და აღარ მაინტერესებს არავითარი პოლიტიკური

ცხოვრება და შეხლა-შემოხლაო. ყოფილ მინისტრს ნება დართეს, სამშობლოში დაბრუნებულიყო.

არგედასი სულ მალე წარდგა სამხედრო ტრიბუნალის წინაშე. სასამართლო საიდუმლოდ მიმდინარეობდა, მაგრამ მისი მასალები ხელთ იგდო ერთმა ბოლივიელმა ჟურნალისტმა და გამოაქვეყნა კიდეც („ანტონიო არგედასის საქმის" შემოკლებული ვარიანტი „ლიტერატურნაია გაზეტმაც" დაბეჭდა 1970 წლის 25-26 ნომრებში).

სასამართლოზე, ისევე როგორც ადრე, არგედასი სინდისმა შეაწუხა. ის არ შემდრკალა და დაკითხვაზე თუ პრესკონფერენციაზე უშიშრად ამხილა ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საქმიანობა. სასამართლოს წინაშე საშინელი სურათი გადაიშალა. ეს არ იყო მარტო ბოლივიის ტრაგედია, ეს იყო ტიპური სურათი იმისა, თუ რა დღეშია მთელი ლათინური ამერიკა, როგორ ყოფს ცხვირს ამერიკა მათ შინაურ ცხოვრებაში, როგორ არიან ამ ქვეყნებში გაბატონებული ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები.

ანტონიო არგედასმა აღიარა, რომ მარტო თვითონ კი არა, სხვებიც, ვისაც ადრე ეჭირა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი, დაკავშირებულნი იყვნენ ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან.

არგედასმა 1967 წლის 8 სექტემბერს მიიღო ცნობა მთავრობის ჯარებისა და ჩე გევარას პარტიზანული რაზმების შეტაკების თაობაზე. ბოლივიის შინაგან საქმეთა მინისტრი ვერტმფრენით გადაფრინდა იგერაში, ხოლო იქიდან იუროს ხეობაში, რათა უშუალოდ ჩაბმულიყო ჩე გევარას წინააღმდეგ ბრძოლაში. იგერაში მასთან მივიდა ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტი, კაპიტანი ფელიქს რამოსი და სთხოვა, თან წამიყვანეო, ჩე გევერას პირადად

ვიცნობ და მის მოძებნასა და დაკითხვაში დაგეხმარებითო. არგედასმა თან წაიყვანა ამერიკელი აგენტი.

იგერაში ანტონიო არგედასს მოახსენეს, ხუთი დაჭრილი პარტიზანი გვყავს დაკავებული, მათ შორის ერთი ერნესტო ჩე გევარა არისო.

არგედასი ამტკიცებს, რომ მას არ უნახავს ჩე გევარა. ხეობაში ჯერ კიდევ მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძოლები და დაუყოვნებლივ იქ გავემართეო.

როდესაც ბოლივიის შინაგან საქმეთა მინისტრი უკან დაბრუნდა, დაინახა, რომ ამერიკელს წინ რაღაც წითელი ნიგნაკი ედო და ყოველი გვერდის ფოტოპირს იღებდა. შემდეგ არგედასმა სკოლის შენობაში ნახა დახოცილ პარტიზანთა გვამები. მათ შორის იყო დიდი რევოლუციონერი ერნესტო ჩე გევარაც.

მალე ბოლივიის შინაგან საქმეთა მინისტრს მისცეს ჩე გევარას კარაბინი და ის წითელი წიგნაკიც, იმ დღეს ფელიქს რამოსს რომ დაუნახა ხელში. სწორედ ამ წიგნაკში აღმოჩნდა ჩაწერილი ჩე გევარას ცნობილი დღიურები.

ანტონიო არგედასი სასწრაფოდ დაბრუნდა უკან და დღიურები თავდაცვის მინისტრს ჩააბარა, მაგრამ უკვე გვიან იყო, ვაშინგტონში ხელთ ჰქონდათ დღიურის ფოტოპირები.

არგედასი თანდათან დარწმუნდა, რომ ბოლივიაში განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდათ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტებს. იმასაც მიხვდა, ამერიკელები გაცილებით უკეთ იყვნენ ინფორმირებულნი, ვიდრე თვით შინაგან საქმეთა სამინისტრო. არგედასს ხელში ჩაუვარდა ერთი დოკუმენტი, რითაც მისთვის ნათელი გახდა, რომ ამერიკელებმა მთელი 34 დღით ადრე იცოდნენ ჩე გევარას რაზმის ამბები, ვიდრე ამის თაობაზე პირველი ცნობა მიიღო თვით მინისტრმა.

ჩე გევარას მკვლელობიდან 30-40 დღის შემდეგ ამერიკის საელჩოს წარმომადგენელმა, იეგო მერიმ ანტონიო არგედასს ჩააბარა დიდი რევოლუციონერის დღიურის ასლი. არგედასს იგი ამერიკელი აგენტისათვის უნდა გადაეცა.

მინისტრი გაერკვა ამერიკელთა საქმიანობაში; მიხვდა, რომ ამერიკელებს სურდათ ყოველგვარი კვალი მოესპოთ ჩე გევარას ნამდვილი დღიურისა, ხოლო მის ნაცვლად გადმოეცათ პოპულარული რევოლუციონერის სრულიად ყალბი ან ძალზე შეცვლილი დღიური, სადაც ამერიკელთათვის სასარგებლო კუთხით იქნებოდა გაშუქებული კუბის რევოლუციისა და ბოლივიის პარტიზანთა მოძრაობის მიზნები და ზრახვები.

ანტონიო არგედასი დარწმუნდა ბოლივიის რესპუბლიკის მთავრობის ფიქციურობაში, დარწმუნდა, თუ როგორ თელავდა ამერიკის შეერთებული შტატები ლათინური ამერიკის ქვეყნების სუვერენიტეტს. მის თვალწინ იყო საშინელი სურათი ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საქმიანობისა.

ბოლივიის შინაგან საქმეთა მინისტრი შეაწუხა სინდისმა, ეროვნული ღირსების გრძნობამ და გადაწყვიტა, საქმე აღარ დაეჭირა ამერიკელებთან, რათა საშუალება არ მიეცა მათთვის, განეხორციელებინათ თავიანთი ზრახვები. ანტონიო არგედასმა გადაიღო დღიურის მეორე ასლი და სრულიად საიდუმლოდ გადაგზავნა ჰავანაში ფიდელ კასტროს სახელზე.

რამდენიმე ხნის შემდეგ კი კუბაში ცალკე წიგნად გამოვიდა მაიორ ერნესტო ჩე გევარას დღიურები. დაუყოვნებლივ დაიწყო გამოძიება, ვინ უნდა ყოფილიყო ფიდელ კასტროს მოკავშირე.

პირველი, ვინც მიხვდა, ვისი ნამოქმედარი იქნებოდა ეს, გახლდათ თვით ანტონიო არგედასის საუკეთესო მეგობარი, ბოლივიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ფოტოლაბორატორიის უფროსი რიკარდო ანეიკა. მან თავისი ეჭვი პრეზიდენტს

გაუზიარა. პრეზიდენტს უსაფუძვლოდ მოეჩვენა მისი ნათქვამი, თუმცა მაინც ბრძანა, არგედასი მომიყვანეთო.

რიკარდო ანეიკა სამინისტროში წავიდა მინისტრის მოსაძებნად. არგედასი იქვე დახვდა, სამინისტროს ეზოში, გასაქცევად გამზადებული. თურმე მანამდე ამერიკელმა აგენტებმაც დაურეკეს და სთხოვეს, ხიდთან მოდიო. მინისტრი მიხვდა, ამერიკელებმა უკვე ყველაფერი იცოდნენ და სიკვდილი არ ასცდებოდა. გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ ჩილეში გაქცეულიყო.

„მე მივდივარ, – უთხრა მეგობარს, – ამერიკელი აგენტები აუცილებლად მომკლავენ, შეასრულე შენი მოვალეობა“.

ანტონიო არგედასმა თავისი მხილება კვლავ გაიმეორა სამხედრო ტრიბუნალზე.

„ვიყავი რა მთავრობის წევრი, კარგად გავიგე, რომ ძალაუფლება, რომელიც ეკუთვნის ბოლივიელებს, ფიქციაა. კოლონიური პოლიტიკა ამახინჯებს ხალხთა განვითარების ისტორიულ პროცესს და ყოველგვარ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ადმინისტრაციულ უფლებებს უმორჩილებს მსოფლიო ბატონობის პოლიტიკას, რომელსაც ატარებენ ჩრდილოეთ ამერიკის იმპერიალიზმის ყველაზე აგრესიული წრეები“.

„მიიღე თუ არა რაიმე გასამრჯელო ჩე გევარას დღიურის ჰავანაში გადაგზავნისათვის?“ – აი, ის შეურაცხმყოფელი შეკითხვაც, რითაც მას მიმართეს სასამართლოზე.

„არ მიმიღია არავითარი მატერიალური ჯილდო, – განაცხადა ანტონიო არგედასმა, – ჩემი ერთადერთი ჯილდო იყო საკუთარი ღირსების აღდგენა, აგრეთვე შესაძლებლობა, დამემტკიცებინა ხალხისათვის, ვინ არის მიზეზი მისი სიღარიბისა და ჩამორჩენილობისა, ვინ ართმევს სამშობლოს... არავითარი კავშირი არ მქონია არც კომუნისტებთან და არც რომელიმე სოციალისტურ ქვეყანასთან... მე გავხდი მსხვერპლი მსოფლიოში ყველაზე დიდი პროპაგანდისტული მანქა-

ნის ცილისწამებისა და ჩემი ადამიანური ღირსების დასაცავად კვლავაც განვაგრძობ ბრძოლას, ამერიკის შეერთებული შტატების კოლონიური პოლიტიკის მხილებას, რომელსაც ენით აუწერელი ზიანი მოაქვს როგორც ჩემი სამშობლოსათვის, ასევე მთელი ლათინური ამერიკისათვის".

ამერიკელები არ მოელოდნენ საქმის ასე შებრუნებას; ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ანტონიო არგედასი საბოლოოდ ჩამოშორდებოდა პოლიტიკურ საქმიანობას.

ბოლივიის შინაგან საქმეთა მინისტრის საქმეს დიდი გამოხმაურება მოჰყვა მთელ მსოფლიოში. სასამართლომ დროებით გაათავისუფლა არგედასი, მაგრამ მისი სიცოცხლე ყოველ წუთს ბეწვზე ეკიდა. სულ მოკლე დროში მას სამჯერ დაესხნენ თავს. მესამედ კი ტყვიამფრქვევით დაჭრეს ლა-პასში. ესროლეს მანქანიდან, რომელიც უმალვე გაუჩინარდა. ანტონიო არგედასი სასწაულით გადაურჩა სიკვდილს. ჰოსპიტლიდან გამოწერის შემდეგ მან მექსიკის საელჩოს სთხოვა პოლიტიკური თავშესაფარი. დიდი წვალების შემდეგ, 1970 წლის აპრილში, არგედასს ნება დართეს, მექსიკაში გამგზავრებულიყო. ბინაც სწორედ ოტელ „ვიეირასში" მისცეს, სადაც მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში ჩვენ ვცხოვრობდით.

მას დღედაღამ სდარაჯობდნენ, ერთი წუთითაც არ ტოვებდნენ მარტო, მხოლოდ ერთხელ გაბედა მცველებთან ერთად ღამით გასულიყო ქალაქში, ისიც მაშინ, როცა მექსიკელმა გულშემატკივრებმა მთელი მეხიკო აიკლეს.

თავისთავად ესეც დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ თვით მექსიკაშიც კი ყველაფერი ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელშია.

არგედასის გასამართლების დროს ბევრი მნიშვნელოვანი რამ მოხდა ბოლივიის ცხოვრებაში. ახალმა პრეზიდენტმა ალფრედო ივანდომ (ძველი პრეზიდენტი საავიაციო კატასტროფაში დაიღუპა) მტკიცედ აიღო ხელში სახელმწიფოს

მართვის სადავეები და გადაწყვიტა, ბოლო მოეღო ქვეყნის შინაურ საქმეებში ამერიკელების ჩარევისათვის. მან, პირველ რიგში, იერიში მიიტანა ამერიკის სანავთობო მონოპოლიის მფლობელ „შელ ოილ კორპორეიშენზე". რვათვიანი ბრძოლა წარმატებით დამთავრდა და როგორც ახლახან შევიტყვეთ საკდესის ცნობით, ბოლივიამ მიაღწია ფირმის ნაციონალიზაციას 78 მილიონი დოლარის საფასურად, რაც ბოლივიელმა ხალხმა ოცი წლის განმავლობაში უნდა გადაიხადოს.

„არგედასის საქმემ" დიდი აღშფოთება გამოიწვია ხალხში. ამერიკის ახალი ელჩი, ერნსტ სირაკუზა ბოლივიაში ჩასვლისთანავე გამოაცხადეს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტად. პროფკავშირებისა და სტუდენტების თაოსნობით მოეწყო საპროტესტო დემონსტრაციები. ისინი მოითხოვდნენ ამერიკის ელჩის გაძევებას.

მექსიკის ჟურნალის, „სემპრეს" ცნობით, ანტონიო არგედასმა ახალ პრეზიდენტს უზარმაზარი სია გადასცა იმ პირებისა, ვისაც ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან ჰქონდა კავშირი.

ბუნებრივია, მისი სიცოცხლე სრულებითაც არ აძლევდა ხელს ამერიკელებს.

ამის შემდეგ ჩვენ კიდევ ბევრჯერ შევხვდით არგედასს. ეს ძირითადად სადილობისას ან ვახშმობისას ხდებოდა. ყოფილმა მინისტრმა დიდი აღტაცება გამოთქვა ქართული კონიაკის მიმართ. სხვა საკითხით არასდროს არ დაინტერესებულა. სულ ჩუმად იყო. ხანდახან თუ გაგვიღიმებდა. ეს იყო და ეს. მისი ცხოვრების ეპიზოდებზე მხოლოდ ფერნანდო ლოპესი გვიყვებოდა ხოლმე. თავად არგედასი თანხმობის ნიშნად კვერს უკრავდა. რასაკვირველია, მისი სურვილის გარეშე ფერნანდო ვერ მიგვიპატიჟებდა სუფრასთან. მით უმეტეს, ანტონიო არგედასის თანდასწრებით ვერ გაბედავდა მისი თავგადასა-

ვლის მოყოლას. რა იყო ეს, უბრალო ცნობისმოყვარეობა თუ სიმპათია?

ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ძალაში ჩვენც დავრწმუნდით. მექსიკელები ტყუილად როდი უფრთხილდებოდნენ ასე ანტონიო არგედასს. რისი შიში უნდა ჰქონოდათ მექსიკის მესვეურთ? განა თვითონ არ მისცეს მას პოლიტიკური თავშესაფარი? ვინ უნდა დასხმოდა თავს ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს? რასაკვირველია, მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები. მათ წინააღმდეგ ბრძოლაში კი უმწეონი არიან მექსიკის ხელისუფალნი.

არც ჩვენ დავვიწყებივართ ამერიკის ცსს-ს აგენტებს. საკმარისი იყო მეხიკოდან ექსკურსიაზე წავსულიყავით რომელიმე ქალაქში, რომ უკან დაბრუნებულებს მაგიდაზე საგანგებოდ დაგვხვედროდა სინიავსკის, დანიელისა და სხვათა ნაწარმოებები, რასაკვირველია, რუსულ ენაზე და სანიმუშო პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული.

ოტელის მესვეურებმა საკმაოდ აშკარა ქვეტექსტებით გვაგრძნობინეს, ვისი ნამოქმედარიც იყო ეს ყველაფერი.

ბუნებრივია, გაგახსენდებათ მექსიკაში ფრიად პოპულარული გამოთქმა – „ეჰ, მექსიკავ, მექსიკავ, რა შორს არის შენგან ღმერთი და რა ახლოს არის ამერიკის შეერთებული შტატები!“

9

...დღეს აღარაა საკამათო, რომ მექსიკის ჩემპიონატი იყო ნამდვილი მაღალტექნიკური და მაღალტაქტიკური ფეხბურთის ტრიუმფი. მექსიკის ჩემპიონატზე სიურპრიზები და სენსაციები არ ყოფილა. არც ინგლისელთა მარცხი უნდა მივიჩნიოთ სენსაციურ მოვლენად. რასაკვირველია, შეიძლე-

ბოდა სხვანაირადაც მომხდარიყო, მაგრამ ის, რაც მოხდა, შემთხვევითობით კი არ იყო გამოწვეული, ყველაფერს ჰქონდა თავისი შინაგანი მიზეზები და საფუძვლები.

ბრაზილიამ მესამედ და საბოლოოდ მოიპოვა ოქროს ქალღმერთი, მაგრამ სანამ მსოფლიო ჩემპიონებზე ვილაპარაკებდე, მინდა ერთი საგულისხმო დეტალი გავიხსენო. თითქმის ყველა ჩემპიონატის შემდეგ იმართება ხოლმე ცხარე კამათი ახალი ჩემპიონის ირგვლივ. ბევრს მიაჩნია, რომ მან უდიდესი საფეხბურთო ტიტული დამსახურებულად მოიპოვა. უფრო მეტნი კი უპირატესობას სხვა გუნდებს აძლევენ. ასე იყო, მაგალითად, თვით ბრაზილიაში, როცა ბრაზილიელებმა 1950 წელს საკუთარ მოედანზე ნააგეს ურუგვაელებთან და ჩაეშალათ წინასწარ გამზადებული საზეიმო ცერემონიალი. ასე იყო შვეიცარიაში, სადაც ფინალურ ორთაბრძოლაში გერმანელებმა სძლიეს უნგრელების „დიდ გუნდს“ და ჩემპიონობა თვალსა და ხელს შუა გამოსტაცეს მათ. მაშინ გულშემატკივრების, ჟურნალისტებისა და სპეციალისტების აზრით, ჩემპიონის გვირგვინი უნგრეთის უძლიერეს გუნდს უფრო ეკუთვნოდა.

ასევე იყო ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატზეც. მაშინ ხომ მთელი მსოფლიო წერდა ფიფას პრეზიდენტის, სტენლი როუზის მაქინაციებზე, იმაზე, რომ როუზმა აკრძალული ილეთებით გაუკაფა გამარჯვებისკენ მიმავალი გზა თანამემამულეებს. დიახ, ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ დიდი კამათი გაიმართა გამარჯვებულის ირგვლივ და, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ინგლისის გუნდი ძალზე ძლიერი საფეხბურთო ნაკრები იყო, ამ კამათსა და ეჭვებს ჰქონდა საფუძველი.

მაგრამ არასოდეს არაფერი არ არის ხოლმე საკამათო და თავსამტვრევი, როცა ჩემპიონები ბრაზილიელები ხდებიან. ჯერ კიდევ შვედეთის ჩემპიონატზე აღიარეს, რომ ბრაზილიელები მთელი თავით მაღლა იდგნენ ყველა მოწინააღმდეგეზე. იგივე აზრი იყო გაბატონებული ჩილეს მსოფლიო

ჩემპიონატზე და იგივე ერთსულოვანი აზრი გამეფდა მექსიკაშიც. ყველას, ვინც კი ნახა ბრაზილიელთა პირველი თამაში ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ჩემპიონის ტიტულს ისინი მოიპოვებდნენ.

დიახ, მექსიკაში საკამათო და თავსამტვრევი არაფერი ყოფილა. ბრაზილიელმა ვარსკვლავებმა მოხიბლეს ფეხბურთის ჭეშმარიტი მოყვარულები. ისინი კი არ თამაშობდნენ, თითქოს ცეკვავდნენ მოედანზე. პელეს, ჟაირზინიოს, რიველინოს, ტოსტაოს, ჟერსონის, კარლოს ალბერტოს და, საერთოდ, ყოველ ბრაზილიელ ფეხბურთელს ვერასოდეს ვერ დაივიწყებს მაყურებელი. ტრიბუნებზე თითქოს მონუსხული ვისხედით და ისე შევცქეროდით ფეხბურთის ჯადოქრებს.

ზედმეტია, ვილაპარაკოთ ბრაზილიელთა ტექნიკაზე. მაგრამ როგორი ტაქტიკური ხედვა აქვს თითოეულ ფეხბურთელს, როგორ აფასებენ ყოველ სიტუაციას! მახსოვს, ვალენტინ ივანოვმა ერთი მახვილგონივრული კომბინაციის დროს წამოიყვირა, ამათ მწვრთნელი რად უნდათო! გუნდში იყოს ამდენი ვარსკვლავი, ამდენი ინდივიდუალისტი ვირტუოზი და მაინც თამაშობდნენ საოცრად კოლექტიურად! თითქოს წარმოუდგენელიც კი არის, სწორედ ბრაზილიური ფეხბურთია ყველაზე გუნდური მსოფლიოში. ხოლო ამ კოლექტივიზმის სულისჩამდგმელი და თავდასხმის მთავარი კონსტრუქტორი გახლდათ პელე, ეს გაუხუნარი ფეხბურთელი.

მსოფლიო ფეხბურთის მრავალ ვარსკვლავს ჰქონდა თავისი აყვავების ხანა, საუკეთესო წლები. ეს ოქროს ხანა სამი-ოთხი წლით თუ განისაზღვრება ხოლმე.

პელე ამ შემთხვევაშიც შეუდარებელია. 1958 წელს ჩვიდმეტი წლისა იყო, როცა ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი გახდა შვედეთის მსოფლიო ჩემპიონატისა. მას შემდეგ გამუდმებით პირველი ფეხბურთელია მსოფლიოსი. როგორც მექსიკაში

ერთმა ჟურნალისტმა თქვა, აქამდე პელე იყო ფეხბურთის მეფე, ახლა ის ფეხბურთის ღმერთიაო.

ბრაზილიის გუნდი ჰგავდა რამდენიმესიჩქარიან მანქანას; თამაშის დროს იმ სიჩქარეს რთავდა, რომელიც მატჩის მოსაგებად იყო საკმარისი, მე პირადად შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ბრაზილიამ ისე მოიპოვა ჩემპიონობა, ბოლო სიჩქარის გამოყენება არც კი დასჭირვებია.

არცერთ მატჩში ბრაზილიას არ ჰქონია წასაგები მდგომარეობა. არცერთი მატჩი ბრაზილიას არ ჰქონია გადასარჩენი. ბრაზილიელებმა მოიგეს 6 მატჩი და გაიტანეს 19 ბურთი. მექსიკის ჩემპიონატში მათ დაამარცხეს ყველანაირი სტილის გუნდები (ევროპული – ინგლისი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, ლათინურ-ევროპული – იტალია, ლათინურ-ამერიკული – პერუ, ურუგვაი).

რატომღაც გამეფებული იყო აზრი, ბრაზილიის ნაკრებში დაცვა მოისუსტებსო. ეს მტკნარი სიცრუეა. ან იქნებ იმიტომ ცდებიან, რომ ბრაზილიელთათვის პრობლემას არ წარმოადგენს საკუთარ კარში გატანილი გოლი? ბრაზილიელებს არასდროს დაუსახავთ მიზნად, მოდი, ჩვენს კარში ბურთი არ გავუშვათ, წინ კი პელემ ან ტოსტაომ იქნებ როგორმე ერთი ბურთი გაიტანონო. ბრაზილიელები თამაშობენ ლაღად, უშიშრად თავაწეულნი, პირველი წუთებიდანვე ბურთი მათი მონა-მორჩილი ხდება.

განა თავისთავად საგულისხმო არ არის ის ფაქტი, რომ ბრაზილიელებმა უკანასკნელ ოთხ ჩემპიონატში სამჯერ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა? და ამ სამი გამარჯვებული ჩემპიონატის განმავლობაში მხოლოდ ორი მატჩი დაამთავრეს ფრედ?

ერთი სიტყვით, მეხიკოში საკამათო და სადავო არაფერი ყოფილა. აქ სულ სხვა რამეზე გაიმართა კამათი – ვინ უნდა გამხდარიყო ვერცხლის მედლების მფლობელი? აი, რა აღელვებდათ ჟურნალისტებს, სპეციალისტებს, ფეხბურთის მილიო-

ნობით გულშემატკივარს. ძალიან ბევრი მომხრე ჰყავდა იტალიას, უფრო მეტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდს, არანაკლები – ექსჩემპიონებს, ინგლისელ ფეხბურთელებს. ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი გაიჩინეს პერუელებმა, რომლებიც ბრაზილიელთა მსგავსად შემტევ, ლამაზ და უაღრესად ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ. ფინალური მატჩის ღირსეულ პრეტენდენტად თვლიდნენ ურუგვაელებს და თქვენ წარმოიდგინეთ, ჩეხოსლოვაკიის ნაკრებსაც კი, რომელმაც სამივე თამაში წააგო.

რა დაემართათ ინგლისელ ჩემპიონებს? იყო თუ არა მათი მარცხი კანონზომიერი?

ვფიქრობ, რომ იყო. დღესაც მიმაჩნია, რომ ინგლისის ნაკრები ძალზე ძლიერია და შეიძლება უკეთესი ადგილიც აეღო, ფინალშიც კი გასულიყო. მაგრამ აქ ყველაფერი დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, თუ დაახლოებით თანაბარ გუნდებს შორის ვინ უფრო გამოიყენებდა თავის ოდნავ შესამჩნევ უპირატესობას, ან ვის გაულიმებდა ბედი. მაგრამ ეს ოდნავ შესამჩნევი უპირატესობა სულაც არ არის საკმარისი, რომ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ახვიდე.

ინგლისელები თამაშობდნენ გარემარბების გარეშე, მათი ცენტრში ჩაწოდებული მაღალი ბურთები ერთფეროვანი და მოსაწყენი გახდა. პირველ სამ თამაშში მსოფლიო ჩემპიონებმა გაიტანეს მხოლოდ ერთი ბურთი (რუმინეთის ნაკრებთან). მათი მეორე ბურთი, ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან, თანაც ძალზე საეჭვო პენალტით გატანილი, ჩასათვლელიც არ არის.

ეს ძალიან ცოტაა მსოფლიო ჩემპიონისათვის, მით უმეტეს მაშინ, თუ კვლავ ჩემპიონობას უმიზნებს.

გერმანიის ნაკრებთან თამაშს ინგლისელები იგებდნენ ორი ბურთით, წააგეს 2:3. წაგებას ვერ დააბრალებენ მეკარეს. გუნდს, რომელსაც ჰყავს უძლიერესი დაცვა და აპირებს, შეინარჩუნოს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, მოგებული მატჩის წაგება მაინც არ ეპატიება.

რასაკვირველია, ამჟამად ინგლისი კვლავ რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერესი გუნდად, და მხოლოდ!

ხშირად, როცა ერთი საფეხბურთო სკოლის წარმომადგენელი იმარჯვებს, გამარჯვებას მის ტაქტიკურ სქემას მიაწერენ. სამწუხაროდ, ამავე აზრისა არიან ხოლმე ფეხბურთის სპეციალისტებიც. თუმცა მათაც კი მართებთ, უფრო ღრმად ჩახედონ საქმის ნამდვილ ვითარებას.

განა ინგლისელები იმავე ტაქტიკით არ თამაშობდნენ, რითაც ინგლისში მოიპოვეს ჩემპიონობა?

ან განა ბრაზილიელები მექსიკაში იმავე ტაქტიკით არ თამაშობდნენ, რითაც ინგლისში დამარცხდნენ?

რატომღაც ასეთი კამათის დროს უგულებელყოფენ ხოლმე ვარსკვლავების როლს. მათი როლი კი განუსაზღვრელად დიდია, ან, როგორც დი სტეფანომ თქვა, დიდი ვარსკვლავის გარეშე გუნდი ვერ მოიპოვებს მსოფლიო დონის ტიტულებს.

ბრაზილიელებს გუნდში ამდენი ვარსკვლავი რომ არ ჰყოლოდათ, ჩემპიონები ვერ გახდებოდნენ. მაგრამ ვერც მაშინ ვიტყოდით, რომ არ ვარგა ფეხბურთის ბრაზილიური სკოლა. ჩვენ ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ სკოლა და ის, თუ როგორი წარმომადგენლები ჰყავს მოცემულ პერიოდში ამ სკოლას.

მაგრამ მთავარი ეს როდია, მთავარია ფეხბურთთან დამოკიდებულების საკითხი. შეიძლება სხვა დროს ბრაზილიელებმა ვერ შეძლონ ყველაზე ძლიერი ნაკრების გამოყვანა, მაგრამ მათი დამოკიდებულება ფეხბურთისადმი მაინც უფრო სწორი იქნება. საგულისხმოა ბრაზილიელთა ყოფილი მწვრთნელის, ჟოაო სალდანიას სიტყვები, რომელიც მექსიკის გაზეთებმა გამოაქვეყნეს: „ყველას უნდა მეოთხედფინალში გასვლა, მაგრამ ბრაზილიელთა გარდა არავინ ზრუნავს თამაშის ხარისხზე“. ბრაზილიელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არანაკლებ ყურადღებას უთმობენ ფეხბურთის სანახაობით, ემოციურ მხარეს, ვიდრე გამარჯვებისადმი

სწრაფვას. სწორედ ამიტომაცაა, რომ მატჩი ყოველთვის დაძაბული, წარმტაცი და მიმზიდველია, როცა მოედანზე ბრაზილიელები არიან. ისინი თვითონაც ლამაზად თამაშობენ და მოწინააღმდეგესაც აძლევენ თამაშის საშუალებას. ასევე იყო ინგლისშიც. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელებმა იქ ვერ ჩაიყვანეს კარგი გუნდი და იყო კიდევ მრავალი მიზეზი, რამაც მათი დამარცხება განაპირობა, მაყურებელთა მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩა ბრაზილიელთა მატჩები. გავიხსენოთ თუნდაც მათი შეხვედრა უნგრელებთან და პორტუგალიელებთან. ეს ორთაბრძოლები, ინგლისის ჩემპიონატის ნამდვილი მშვენება, დიდხანს დარჩება ჩვენს მეხსიერებაში, მაშინ, როდესაც შეიძლება ამ ჩემპიონატის ბევრი მატჩი საერთოდ ვერ გავიხსენოთ.

დიახ, მექსიკის ჩემპიონატი იყო ნამდვილი მაღალტექნიკური და მაღალტაქტიკური ფეხბურთის ტრიუმფი. მაყურებელს არასდროს დაავიწყდება მსოფლიო ფეხბურთის ის თანავარსკვლავედი, რომელმაც მეხიკოს, ლეონის, ტოლუკას, პუებლასა თუ გვადალახარას მოედნებზე გვიჩვენა თავისი ოსტატობა. ბრაზილიელებზე აღარაფერს ვიტყვით, ისევ ბრწყინავდნენ დაუბერებელი უვე ზეელერი, ოვერატი და შნელინგერი. ხოლო ბეკენბაუერმა დაამტკიცა, რომ ის მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელია. ყოვლად შეუძლებელია დაგავიწყდეს მისი ლაღი, თავისუფალი თამაში. შესანიშნავი ფეხბურთი გვიჩვენა პერუელთა მთელმა თავდასხმამ. კვლავ ბრწყინავდნენ ინგლისელები: მური, კუპერი, ნიუტონი და ბენქსი, იტალიელი რივა, ურუგვაელი კუბილა და მრავალი სხვა.

მექსიკის ულამაზესმა ჩემპიონატმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, თუ რა უნიადაგო, უღიმღამო და მოსაწყენია დაცვითი ფეხბურთი. რა საცოდავები არიან ისინი, ვინც ცდილობს ფეხბურთს დაუკარგოს სილამაზე და თვითმიზნურ ამოცანებს შესწიროს მთელი მისი არსი და ბუნება.

მხოლოდ ნამდვილ, ტექნიკურ და ლამაზ ფეხბურთს მოაქვს ის ჭეშმარიტი სილამაზე და სიხარული, რომელიც ასე ხიბლავს მთელ პლანეტას და რომელმაც სპორტის მეფედ აქცია ეს წარმტაცი სანახაობა.

10

ძალიან ბევრი რამ აგაღელვებს და გაგაოცებს მექსიკაში, მაგრამ სულ სხვაა ხარებთან ბრძოლა. მექსიკა მინახავსო, ვერ იტყვი, თუ არ ყოფილხარ კორიდაზე, ხალხით გაჭედილ „პლასა დელ ტოროსზე“.

კორიდამ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა აქვე ისიც უნდა დავძინო, რომ კორიდა კაცს ან ძალიან მოეწონება ან სულ არ მოეწონება. ბევრმა უცხოელმა ტურისტმა და მათ შორის ჩვენი დელეგაციის წევრებმაც მეორე შერკინებისთანავე მიატოვეს ტრიბუნები. ზოგში სანახაობამ ხარისადმი სიბრალული გამოიწვია, ზოგში ზიზღი. ბევრმა ვერ გაუძლო მშვენიერი, გააფთრებული შავი ხარის ზურგზე ამოხეთქილი სისხლის ცქერას.

მაგრამ ვინც ამ ორთაბრძოლაში სხვა სილამაზე, სიკვდილ-სიცოცხლის თამაში და დახვეწილი მოძრაობები შეიგრძნო, მას სამუდამოდ შეუყვარდება კორიდა, სიკვდილშეზავებული წარმტაცი სანახაობა.

„კორიდა არ არის მხოლოდ სანახაობა, როგორც, მაგალითად, ფეხბურთი, ან ავტორბოლა, – წერს ჟან კო, – იგი განსაკუთრებული ემოციურობით დატვირთულ ადამიანებს მოითხოვს. ეს მუხტი ბავშვობიდანვე ისახება, მისთვის განსაკუთრებით მგრძნობიარე სტრუქტურაა საჭირო. განა ჩემი ბრალია, თუ ბასკი ელზასელისაგან განსხვავდება, ბრაზილიელი შვედისაგან, ხოლო ტულუზელი – ლივერპულელისაგან?

როცა ორდონიესის მულეტი საოცრად ელეგანტურ ხლართში გაახვევს ხარს... როცა ოსტოსი ბილბაოს არენაზე

ორ კვადრატულ მეტრ ფართობზე ათობით გამჭვირვალე ნატურალიას გამოსახავს... როცა ბარსელონაში პაკო კამინოსის ხელით სასიკვდილოდ დაკოდილი ტორო მიდის, მიდის მულეტგაშლილი მატადორითა და ოქროსფერი და ვარდისფერი მოსასხამებით „შეიარაღებული“ პეონებით გარშემორტყმული... ჯერ კიდევ ჰყოფნის ძალა, მიდის, მძიმე-მძიმედ ადგამს ნაბიჯებს... და აჰა, ენარცხება მიწაზე გატანჯული, საკუთარ სისხლში ამოსვრილი... და კვდება ზედ იმ ჭიშკართან, საიდანაც კორიდის წინ გამოვარდა რქებათამაშებული, ლაღი და სიმამაცით აღტყინებული... არა, თუ ესპანური სისხლი არ გიდუღს ძარღვებში, ამას ალბათ ვერ შეიგრძნობ“.

კორიდა მეხიკოში კვირაობით იმართება, მაგრამ ჩემპიონატის დღეებში მოხდა ისე, რომ ახალი პრეზიდენტის არჩევნების კამპანიის გამო კორიდა არ ჩატარდა. ამ პერიოდში ცნობილი მექსიკელი ტორეადორებიც ესპანეთში იყვნენ გასტროლებზე წასული.

დაგვრჩა მხოლოდ უკანასკნელი კვირა და აი, როგორც იქნა, ესპანეთიდან დაბრუნდნენ ცნობილი მატადორები მარტინესი და რივერა. კორიდა დაინიშნა ფინალური მატჩის დღეს, საღამოს 5 საათზე (მატჩი შედგა 12 საათზე). „აცტეკადან“ იმ დიდებული, დაუვიწყარი სანახაობის შემდეგ პირდაპირ „პლასა დელ ტოროსზე“ წავედით. ათასგვარი შთაბეჭდილებით აღტაცებულს აღარ მეგონა, თუ იმ საზეიმო საფეხბურთო სანახაობიდან ორიოდე საათის შემდეგ მომეწონებოდა რამე.

ერთი სიტყვით, კორიდა ნამდვილად შეუფერებელ დროს ვნახეთ. მიუხედავად ამისა, როგორც უკვე ვთქვი, მან ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

დამეთანხმებით, ძნელია კორიდაზე რაიმე მოუთხრო მკითხველს, როცა მხოლოდ ერთხელ დასწრებიხარ ამ დიდებულ სანახაობას, თუნდაც ექვს ხართან შეჭიდებას. კორიდა ბავშვობიდანვე უნდა შეისისხლხორცო, რომ კარგად ერკვეოდე ყოველგვარ ილეთში, მოძრაობის სინატიფეში,

კარგად გრძნობდე ტორეროს „აფისონს“ ან თეატრალობას, ტემპერამენტს ან მოჩვენებით გაღიზიანებას.

მეშინია, ცუდად არ გამომივიდეს, მაგრამ ჩვენ ნამდვილად გაგვიმართლა. ექვს ხართან შეჭიდებისას ვნახეთ თითქმის ყველაფერი, რაც არენაზე ხდება ხოლმე – დახვეწილი ნატურალიებით დაწყებული და რქებზე ტორეადორის წამოგებით დამთავრებული. ვნახეთ გამარჯვება და ტრიუმფი, მარცხი და მკვლელობა.

„პლასა დელ ტოროსი“ უდიდესია მსოფლიოში. მის ტრიბუნებზე 60 ათასი კაცი ეტევა. და აი, ორკესტრმა დაუკრა მისასალმებელი მარში, 60 ათასი კაცი ტაშითა და ღრიალით ეგებება კუადრილიოს. რივერამ და მარტინესმა ქუდები მოიხადეს, ჯერ შეჯიბრების პრეზიდენტს მიესალმნენ, შემდეგ კი მაყურებლებს. თითოეულ მათგანს სამი ხარი უნდა მოეკლა. არენაზე პირველი რივერა დარჩა.

იღება კარი. არენაზე შემორბის გაშმაგებული შავი ბუღა. ხერხემალში ფერადლენტგამობმული მახათი აქვს ჩარჭობილი, გააფთრებული დასდევს პეონებს, რომლებიც ვარდისფერ მოსასხამებს აფრიალებენ და თან ხის საფარებში იმალებიან. აი, ახლა მეორე მხრიდან აუფრიალებენ მოსასხამს. გახელებული ბუღა მძლავრი მკერდით მიაპობს ჰაერს და რქებით ეჯახება ხის საფარს.

ბოლოს რომელიმე პეონი მაინც ბედავს და არენის შუაგულში გამოდის. ხარი უმალ მას მიაშურებს. პირველი დახვეწილი მოძრაობა და 60 ათას „აფისონადოსს“ ერთი კაცივით აღმოხდება – „ოლე!“

ყველაზე არაესთეტიკურია პიკადორების გამოსვლა. ისინი სქელი ლეიბებით დაფარულ ცხენებზე სხედან და ამაზრზენად არჭობენ ხარს ზურგში შუბს. ხარი იბრძვის, ლეიბებში გახვეულ ცხენს მხედრიანად ისვრის ჰაერში, მაგრამ პიკადორს მაინც ვერაფერს აკლებს. ლამაზი, აპრიალებული შავი ზურგი სისხლით წითლად ეღებება. ამ საზიზღარი პროცე-

დურის შემდეგ არენაზე გამოდიან ბანდერილიეროები. ისევ ლაღი, რისკიანი და დახვეწილი ილეთები, ისევ სიკვდილშეზავებული სილამაზე. ბანდერილიეროს მაღლა აპყრობილ ხელებში ბაფთიანი პატარა შუბები – ბანდერილიები უჭირავს და ისე უახლოვდება ხარს. მისი მოძრაობა დახვეწილია, დაბლა დახრილი შუბის წვერები ნელ-ნელა უახლოვდება ხარის ზურგს. უცებ სწრაფი მოძრაობა, ბანდერილიერო თითქმის რქებშუაა მოქცეული, გგონია ხარი ეს-ესაა ცაში ასტყორცნისო, მაგრამ ლაღი ნახტომი და ბანდერილიები უკვე ხარის ზურგშია ჩარჭობილი. ვაი იმ ბანდერილიეროს ბრალი, ვინც შეშინდება და გვერდიდან შეუტევს ხარს, ან ვისაც შუბი აუსხლტება და მიწაზე დაუვარდება. „აფისონადოსებმა“ დანდობა არ იციან. ასი ლამაზი მოძრაობა რომ გააკეთო, ასი „ოლე!“ რომ მოსწყდეს „პლასა დელ ტოროს“ ტრიბუნებს, ასმეერთე შეცდომას არ გაპატიებენ და დაგისტვენენ.

და აი, ტრიბუნაზე ისმის მუსიკა. ტორეადორი არენაზე გამოდის, თავს ხრის და ბრძოლის დაწყების თანხმობას ელის. პრეზიდენტი თანხმობის ნიშნად სომბრეროს შეათამაშებს. ტორეადორი შებრუნდება და ლამაზი, თეატრალური ნაბიჯებით მიემართება ხარისკენ. აი, მათ შორის სულ ორი ნაბიჯია. ტორეადორი მულეტს ააფრიალებს, წელში გაიმართება, ფეხს მიწაზე დაჰკრავს და განაბულ ტრიბუნებზე გარკვევით მოისმის მისი გამომწვევი – „ტორო!“

წარმოუდგენელი სილამაზეა, როცა ტორერო უნაკლოდ ასრულებს ნატიფ ილეთებს – ვეროიკას, ნატურალიას. მართალია, იგი ოდნავ რქებმოხერხილ ხარს – აფეიტადოს ებრძვის, მაგრამ, სამაგიეროდ, ახლანდელი ტორეროები ძალიან ახლოს იბრძვიან ხართან, იბრძვიან ხარის ტერიტორიაზე. ეს ძალზე სახიფათოა. ხარი რქებით ეხება ტორეადორის ბარძაყებს, სხვანაირად ვერ მოიგებ დღევანდელი მაყურებლის გულს... რქებდახერხილი ხარი (ხერხავენ 1 სანტიმეტრს) არანაკლებ საშიშია, მაგრამ რქების მოხერხვას სულ სხვა მიზანი აქვს. ამ

დროს ხარი კარგავს ორიენტაციის გრძნობას და ტორეადორი ხდება დისტანციის ბატონ-პატრონი.

ჩემი აზრით, ყველაზე ლამაზი ილეთია, როცა ტორეადორი ხუთ ნატურალიას მაინც ჩაატარებს უნაკლოდ, ტრიბუნებს ხუთჯერ მოსწყვეტს „ოლე!"-ს, მერე მახვილს ხარისკენ გაიშვერს, ბულას თვალებში ჩახედავს, ადგილზე გააშეშებს, თვითონ ლამაზად შემობრუნდება და წელში გაჭიმული, გრძელი ნაბიჯებით გაემართება ტრიბუნისკენ. ტანს ლაღად მიარწევს და ისე მიდის, თითქოს ცეკვავსო. ისმის ტაში და შეძახილები. მაყურებლები ქედს იხრიან მამაცი ტორეროს წინაშე. ყოველ წუთს მოსალოდნელია, რომ ხარი გამოერკვეს, ტორეადორს უკნიდან წამოეწიოს და რქებზე ააგოს. მაგრამ ვაი ტორეადორის ბრალი, ერთხელ მაინც თუ გაექცა თვალი უკან.

და აი, უცებ მაყურებლებიდან ვიღაც ჭაბუკი გადაეშვა არენაზე და აღგზნებული, შიშველი ხელებით მიიჭრა ხართან. მასთან იმავე წუთს გაჩნდნენ პეონები და თავზეხელაღებული ჭაბუკი უმალ გაიყვანეს არენიდან. მის შემდეგ კიდევ ორი მამაცი ჭაბუკი გადახტა არენაზე. ისინი თურმე დამწყები ტორეადორები არიან და ყოველნაირად ცდილობენ, თავიანთი სიმამაცით მიიქციონ მენეჯერების ყურადღება, რომ როგორმე მოიპოვონ ნოვილიეროს – ახალბედა ტორეადორის სახელი.

მეორე ბრძოლაში რივერას არ გაუმართლა, საჭირო მანძილზე ვერ გაატარა ხარი. შავმა ბუღამ ტორერო ჯერ ჰაერში აისროლა, მერე მიწაზე დანარცხებულს მივარდა და რქებზე წამოაგო. წითლად შეიღება მოსირმული ტანსაცმელი. პეონებმა მულეტების ფრიალით უმალვე გაიტყუეს გააფთრებული ხარი. რივერა ფეხზე წამოაყენეს. მამაცმა ტორეადორმა მოისურვა არენიდან თავისი ფეხით გასულიყო, მაგრამ ორი ნაბიჯიც ვერ გადადგა, რომ მუცელგამოფატრული იქვე ჩაიკეცა (საღამოს გაზეთებიდან გავიგეთ, რომ დროული ოპერაციით რივერა სიკვდილს ხელიდან გამოჰგლიჯეს).

არენაზე გამოვიდა მანოლო მარტინესი. დარჩენილი ხუთი ხარი ახლა მხოლოდ მას უნდა განეგმირა. განსაკუთრებით უზადო იყო მისი ბოლოსწინა ბრძოლა. ხარი ტორეროს მულეტის მონა გახდა. ტრიბუნებზე გრგვინავდა „ოლე!"

როცა ხარი საბოლოოდ მოიქანცა, მანოლო მარტინესმა მულეტი მხარზე გადაიგდო, მახვილი შემართა და პრეზიდენტს შეხედა. პრეზიდენტმა ნება დართო ხარის განგმირვისა. ტორერო დინჯად დაიძრა და მახვილი გაოგნებულ ბუღას მხრებს შორის დაუმიზნა.

ეს იყო ყველაზე ეფექტური დარტყმა, თითქმის რესბირი, როცა ხარი თვითონ ეგება მახვილზე. პირველსავე დარტყმაზე მახვილი ხარის ბეჭებს შორის გაუჩინარდა. საბრალო შავი ხარი უცნაურად აცახცახდა და ჩაიკეცა. პუანტილერომ ბუღას მაშინვე ყელში დანა ჩასცა და სიცოცხლეს გამოასალმა.

მარტინესმა ქუდი მოიხადა და პრეზიდენტს შეხედა. ტრიბუნაზე ორკესტრმა დასჭექა, პრეზიდენტმა ტორეროს ნება დართო, არენაზე საპატიო წრე შემოევლო. მარტინესი დინჯი, გრაციოზული ნაბიჯებით დაიძრა, მას უკან მიჰყვებოდა მთელი კუადრილიო. ოქროსფრად მოსირმულ მხრებზე წითელ მულეტგადაფენილი ამაყად მიაბიჯებდა, მარჯვენა ხელში ქუდი ეჭირა და ხალხს ესალმებოდა. აღტაცებისაგან გაგიჟებული „აფისონადოსები" პიჯაკებს იხდიდნენ და ტორეროს ესროდნენ. მოფრინავდა სომბრეროები, ხელჩანთები, თავის მხრივ, კუადრილიო მათ ისევ ტრიბუნებზე აბრუნებდა. მართლაც რომ ტრიუმფალური მსვლელობა იყო!

და აი, დაიწყო ბოლო ბრძოლა. უეცრად წამოვიდა საშინელი წვიმა. არენაზე ნახერხი დაყარეს, მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა. ფეხი ცურავდა. ხიფათი ყოველ წამს იყო მოსალოდნელი. ტორეადორი შორიდან ებრძოდა ხარს. ახლა იგი მხოლოდ „თავის ტერიტორიაზე" მოქმედებდა. ეს ჩვენთვის, ახალბედა „აფისონადოსებისათვისაც" კი აშკარა იყო.

აღშფოთებულმა მაყურებლებმა სტვენა ატეხეს და საჯდომი ბალიშები დააყარეს ტორეადორს. ყველამ იცოდა, სველ არენაზე რა საფრთხე ელოდა მატადორს, მაგრამ სიბრალულისთვის არავის ეცალა. გაშმაგებულ მაყურებლებს ისიც კი გადაავიწყდა, რომ სულ რაღაც ერთი საათის წინ მათი საყვარელი კერპი რივერა მუცელგამოფატრული გაიყვანეს და ჯერ კიდევ არ იცოდნენ, გადარჩა თუ არა სიკვდილს. არენა ბალიშებით გაივსო, რამდენიმე მათგანი ტორეადორსაც მოხვდა.

სილამაზე და სიდიადე ერთბაშად შეცვალა საცოდაობამ და მკვლელობამ. დიახ, დიდებული სანახაობა თანდათან მკვლელობაში გადაიზარდა. მატადორმა ილეთები დააჩქარა, მაგრამ მოსიპულ არენაზე ფეხი ვერაფრით მოიკიდა. არც მახვილის დარტყმა გამოუვიდა, მახვილი ასხლტა და გადატყდა. მაშინ, წესების თანახმად, გადაწყვიტა შუბისმაგვარი დანა ხარისათვის კეფაში ჩაერტყა სასიცოცხლო ნერვთან. მახვილის კეფაში ჩარტყმისთანავე ხარი განგმირული ვარდება ძირს, მაგრამ ასეთი დასასრული ნაკლებად ეფექტურად ითვლება, ვიდრე მახვილის ბეჭებშუა გატარება. არც ეს გამოუვიდა. პეონებმა მულეტებით ხარი ბარიერთან მიიმწყვდიეს და ტორერომ, როგორც იქნა, განგმირა იგი. შემდეგ ქუდი მოიხადა, პრეზიდენტს მიესალმა და მაყურებლების გამაყრუებელ სტვენაში თავჩაქინდრულმა დატოვა არენა.

დიდებული სანახაობა, სიკვდილ-სიცოცხლის გრაციოზული თამაში, ტორეროს დახვეწილი ილეთების ფოიერვერკი, არენაზე გამეფებული სიკვდილშეზავებული დიდებულება იქცა გულისამრევ, საყასბო მკვლელობად.

11

...თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთი რჩებოდა. რიველინომ უკან მოიტოვა ორი იტალიელი მცველი და საჯარიმო მოედანზე შეიჭრა. იქ მესამე მცველმა ფეხი დაუდო. თითქოს საეჭვო არაფერია, ყველას ჰგონია, რომ მსაჯი პენალტს დანიშნავს, მაგრამ თამაში გრძელდება. ანგარიში ისედაც 4:1-ია. თვით რიველინოც არაფერს ამბობს და ღიმილით დგება ფეხზე.

მაყურებლები საათს შესჩერებიან: სამი, ორი, ერთი წუთიც და დაიბადება მსოფლიოს ახალი ჩემპიონი.

და აი, მსაჯმა უკანასკნელად ჩაჰბერა სასტვენს. ათასობით ფოტორეპორტიორი, ჟურნალისტი და თავზეხელაღებული გულშემატკივარი გადაიჭრა მოედანზე, სუვენირების მოტრფიალეებმა ფეხბურთელებს სასწრაფოდ გააძვრეს ტრუსები, მაისურები, ბუცები და წინდებიც კი.

ტოსტაო ამაოდ ემუდარებოდა გულშემატკივრებს, ტრუსი მაინც დამიტოვეთო.

საღამოს ტელევიზიით გამოიყვანეს ის ორი ბედნიერი გულშემატკივარი, რომლებმაც ხელთ იგდეს პელესა და ჟაირზინიოს ბუცები.

მართლაც რომ დიდებული იყო ჩემპიონატის დახურვის ცერემონია. მოედნის ოთხივე მხარეს განლაგდნენ ნაირფერ ტანსაცმელში გამოწყობილი მუსიკოსები, რომელთა შორის მაინც გამოირჩეოდა ბავშვთა და მეზღვაურთა ორკესტრები... მოედანზე აფრიალდა ფიფაში გაერთიანებული ქვეყნების ალმები, ხოლო მოედნის შუაგულში გაიტანეს თექვსმეტი ფინალისტი სახელმწიფოს ეროვნული დროშები. მოედანს თავზე გადმოაფრქვიეს ფერადი ქაღალდების წვიმა. მექსიკის პრეზიდენტმა ბრაზილიელთა კაპიტანს გადასცა ოქროს ქალღმერთი. 115 ათასი კაცი მხურვალედ მიესალმა მსოფლიო ჩემპიონებს. გრგვინავდა მუსიკა, სტადიონი ზანზარებდა შე-

ძახილებისაგან, სროლისა და ტაშისაგან. შეუძლებელია ამ სურათის დავიწყება!

„აცტეკას“ დიდებულ სტადიონზე დამთავრდა ოქროს ქალღმერთის ისტორია. მექსიკის ჩემპიონატი იყო ჟიულ რიმეს თასის დასასრული.

1970

P. S.: ეს წიგნი უკვე დამთავრებული მქონდა, როდესაც „სტროიტელნაია გაზეტას“ გასული წლის 122-ე ნომერში წავიკითხე სპორტის ოსტატ ალექსეი ლეონტიევის სტატია. თავის მიმოხილვაში საბჭოთა ნაკრების მარცხს და წარუმატებლობას მექსიკის ჩემპიონატში ლეონტიევი სრულიად უსამართლოდ აბრალებს თბილისის დინამოელებს. ლეონტიევის ამ დაუსაბუთებელი დებულების საპასუხოდ მე დავწერე სტატია „ევრიკა! თბილისის დინამოელები“, რომელიც გამოვაქვეყნე გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1970 წლის 6 ნოემბრის ნომერში. ამჟამად კი მიზანშეწონილად მივიჩნიე ამ მცირე სტატიის წიგნში შეტანა, რაკიღა იგი მექსიკის ჩემპიონატის გამოძახილია.

ევრიკა! თბილისის დინამოელები

– ევრიკა! – აღმოხდა დიდ არქიმედეს, როცა თავისი უკვდავი კანონი აღმოაჩინა.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ცნობილი არ არის, რა აღმოხდა ა. ლეონტიევს, როცა მექსიკაში საბჭოთა ნაკრების მარცხის საიდუმლოებას ახადა ფარდა.

თურმე ტყუილად არ იმტვრევდნენ თავს ჩვენი სპეციალისტები, ფეხბურთელები და ჟურნალისტები! თურმე ამაოდ

არ ცდილობდნენ გამოეძიათ საბჭოთა ნაკრების მარცხის მიზეზები!

კარგი არ იქნებოდა, სპორტის ოსტატს ა. ლეონტიევს ეს მექსიკის ჩემპიონატის დაწყებამდე თუნდაც ორი დღით ადრე აღმოეჩინა?

მაინც რა აღმოაჩინა ასეთი? – იკითხავს გაოცებული მკითხველი.

„თანდათან ვრწმუნდები, – წერს ა. ლეონტიევი „სტროიტელნია გაზეტაში" (№122, 1970), – რომ თბილისელთა თამაშმა ფარდა ახადა საბჭოთა კავშირის ნაკრების წარუმატებლობას მექსიკაში. გ. კაჩალინმა ნაკრებში მიიწვია ხუთი თბილისელი, მაგრამ ერთი რამ ვერ გაითვალისწინა – თბილისელებს არ შეუძლიათ კარგად, შემართებით იბრძოლონ სხვის მოედანზე: თბილისელებს ხომ არცერთი შეხვედრა არ მოუგიათ მოწინააღმდეგის მინდორზე. რეკორდია, არა? დიახ! მაგრამ სამწუხარო".

ხედავთ, სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული? აი, სად უნდა გვეძებნა საბჭოთა ნაკრების წარუმატებლობის საიდუმლოება!

ზოგიერთები კი გამომდგარან და ამტკიცებენ, ჩვენი ფეხბურთი ჩამორჩება საერთაშორისო დონესო; ტექნიკურად და ტაქტიკურად ჩვენ გაცილებით სუსტნი ვართ, ვიდრე მსოფლიოს მოწინავე გუნდებიო.

თურმე არაფერი მსგავსი! საბჭოთა ფეხბურთში ყველაფერი რიგზე ყოფილა. ოღონდ ეგ არის, თბილისელი ფეხბურთელები უშლიან ხელს. ამის გამოსწორებაზე ადვილი კი აბა, რა არის! გავიყვანოთ თბილისელები ნაკრების შემადგენლობიდან და – ჰა და ჰა, პირველი თუ არა, მეორე ადგილი მაინც გვექნება განაღდებული!

ვაი, რომ ისტორიის ჩარხს უკან ვეღარ დაატრიალებ, ვაი, რომ ტყუილად დაგვიკარგავს ოქროს ქალღმერთი!

აქამდე უნდა მიგვებაძა ბრაზილიელებისათვის. მათ შემადგენლობაში ხომ არცერთი თბილისელი არ თამაშობდა და შედეგიც მშვენიერი აქვთ – უკანასკნელ ოთხ ჩემპიონატში სამჯერ მოიპოვეს ოქროს მედლები. მაგრამ, ამხ. ლეონტიევო, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქვეყანაზე ბევრია შარიანი და ინტრიგანი კაცი. გამოჩნდებიან ისეთები, რომლებიც ეჭვს შეიტანენ აქსიომამდე დაყვანილი თქვენი დებულების სიმართლეში. ზოგიერთმა შეიძლება ძალიან შორიდანაც კი დაიწყოს და ძველისძველი ამბებიც გაიხსენოს, თუ როგორ თამაშობდნენ თბილისის დინამოელები ნაკრების შემადგენლობაში. ზოგიერთი ავყია, ალბათ, არგენტინელი ჟურნალისტის სიტყვებს მოიშველიებს: რაც მიხეილ მესხმა გააკეთა, იმას ვერცერთი გარინჩა ვერ გააკეთებდაო. ზოგიერთი მეტი-ჩარა იმასაც გეტყვის: გახსოვს, მურთაზ ხურცილავას მთელი ჩეხოსლოვაკიის ნაკრები უკან რომ დასდევდაო. შეიძლება ისიც დასძინონ: თბილისის დინამოელებსაც მიუძღვით ღვაწლი მექსიკის საგზურის მოპოვებაშიო. ალბათ გახსოვთ ერთი ფრაზა თურქული გაზეთიდან – „გუშინ თამაშობდნენ თურქეთის ნაკრები და კახი ასათიანი“.

მაგრამ ეს არაფერია, წარსულის დავიწყებაზე ადვილი აბა, რა არის. მთავარი ისაა, უბრალო მათემატიკაში გამოგედევნებიან და მზად უნდა იყოთ.

– რის ხუთი თბილისელი, რა ხუთი თბილისელი! – შეიცხადებს ვილაც არამკითხე.

ჩვენში დარჩეს და, ცოტა კი იქნება მართალი. ს. მეტრეველი ხომ ერთხელაც არ დაუსახელებიათ სათადარიგო შემადგენლობაშიც კი (ჩვენდა ბედად, ა. კავაზაშვილი დროულად გაქცეულა თბილისის „დინამოდან“). ასე რომ, დაგვრჩა ოთხი თბილისელი. ამ ოთხიდან კი ორ მატჩში – მექსიკასთან და სალვადორთან – მხოლოდ ორ-ორმა თბილისელმა ითამაშა. დანარჩენები სწორედ ის ფეხბურთელები იყვნენ, „ლომები-

ვით რომ ბრდღვინავდნენ" მოწინააღმდეგის მოედანზე, მაგრამ მაინც ვერაფერი გააკეთეს. სამმა თბილისელმა ითამაშა ურუგვაის ნაკრების წინააღმდეგ და მოედანზე მხოლოდ ერთი თბილისელი დარჩა (მოგეხსენებათ, წესდების თანახმად მარტო ორი ფეხბურთელის გამოცვლა შეიძლება). თამაში სწორედ მას შემდეგ წავაგეთ.

მხოლოდ ბელგიელების წინააღმდეგ ითამაშა სამმა თბილისელმა ბოლომდე და მატჩიც დიდი ანგარიშით (4:1) მოვიგეთ. სხვათა შორის, მე მაშინ მეხიკოში გახლდით და, თუ მეხსიერება არ მღალატობს, მეორე ბურთი სწორედ თბილისელმა გაიტანა.

ასე, რომ, ამხ. ლეონტიევო, თქვენს მოდავეებს საკმაო არგუმენტები კი აქვთ, მაგრამ არ შედრკეთ, უკან არ დაიხიოთ, რაც მთავარია, თქვენ ხომ გჯერათ, რომ ჭეშმარიტება თქვენ მხარესაა! მოგეხსენებათ, ნეტარ არიან მორწმუნენი, რამეთუ სწამთ...

მინაწერი ოთხი წლის შემდეგ

სულ რამდენიმე თვის წინ დავბრუნდი ახალი მოგზაურობიდან (კუბა – მაროკო – საფრანგეთი), მაგრამ ამ მინაწერში ჩემი ახალი შთაბეჭდილებანი როდი მინდა გაგიზიაროთ. მინდა მხოლოდ ერთგვარად შევავსო და დავამთავრო ის ამბავი, რომელიც დიდ სამხრეთამერიკელ რევოლუციონერ ერნესტო ჩე გევარაზე მოგითხრეთ ნარკვევის ერთ-ერთ თავში.

ბოლივიის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ანტონიო არგედასი მეხიკოდან სამშობლოში ჩვენს გამომგზავრებამდე ერთი კვირით ადრე გადააფრინეს ჰავანაში, შემდეგ კი პრესიდან გავიგეთ, რომ ანტონიო არგედასმა ჰავანაში ჩაიტანა... ჩე გევარას მოკვეთილი ხელის მტევნები და მიცვალებულის

ნიღაბი. თურმე მეხიკოში, ოტელ „ვიეირასში“, ჩემ გვერდით ოთახში საიდუმლოდ იყო შენახული დიდი რევოლუციონერის ხელები!

ფარდა აეხადა საშინელ საიდუმლოებას: ჩე გევარას ვერაგული მკვლელობის შემდეგ ამერიკელმა აგენტებმა აიღეს მისი სახის ნიღაბი, მიცვალებულს მოჰკვეთეს ხელის მტევნები და სპირტში შეინახეს, სხეული კი სადღაც გადამალეს.

ხელები და ნიღაბი მათ სჭირდებოდათ, როგორც ნივთმტკიცება, რომ ჩე გევარა ნამდვილად იყო მოკლული. ეშინოდათ, რომ ხალხი არ დაიჯერებდა იმ დიდი რევოლუციონერის სიკვდილს, რომლის სახელიც ლეგენდად იქცა ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში.

1970 წელს ფიდელ კასტრომ ერთ-ერთ მიტინგზე კუბელ ხალხს აუწყა ჩე გევარასთვის ხელის მტევნების მოკვეთის ამბავი.

„...ჩვენი ერის ტრადიციები ცნობილია, – თქვა ფიდელ კასტრომ, – იგი ასაფლავებს თავის შვილებს. მასეო და მარტი დასაფლავებულნი არიან. ასე მოვიქცევით ყოველთვის, მაგრამ მე გეკითხებით თქვენ, რა ვუყოთ ჩეს ხელებს? ესაა ერთადერთი რამ, რაც ჩე გევარასაგან დაგვრჩა. შევძლებთ კი ოდესმე ვიპოვოთ მისი სხეული? მაგრამ გვაქვს მისი ხელები, რომლებიც კარგადაა შენახული. ამიტომაც გვინდა ხალხს შევეკითხოთ, რა ვუყოთ ამ ხელებს?“

„შევინახოთ, შევინახოთ!“ – შეაზანზარა ქალაქი მილიონი ადამიანის შეძახილმა.

რევოლუციურმა კუბამ შეინახა ჩეს ხელები. ახლა ჰავანაში შენდება ჩე გევარას მემორიალი, სადაც გადაიტანენ ყოველ ნივთს, რომელიც ჩე გევარასთან არის დაკავშირებული. მანამდე კი მისი მოკვეთილი ხელის მტევნები ინახება კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში.

ჰავანაში რომ ჩავფრინდი, სსრკ-ის საელჩოს თანამშრომლების დახმარებით ვესტუმრე კუბის რევოლუციურ კო-

მიტეტს. იქ ძალზე გულთბილად მიმიღეს. მომცეს წიგნები და ახალი მასალები ჩე გევარას ცხოვრებაზე. მაჩუქეს დიდი რევოლუციონერის მშვენიერი პორტრეტი. ხოლო როცა შემომთავაზეს, მენახა მისი ხელები... უმალვე უარი განვაცხადე. არ მინდოდა მენახა სპირტში ჩადებული ხელები იმ ადამიანისა, რომელიც იქცა ვაჟკაცობისა და პატიოსნების, შემართებისა და უსამართლობასთან შეურიგებლობის სიმბოლოდ.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მინახავს ჭაბუკები და ქალიშვილები, რომლებსაც მკერდს ჩე გევარას სურათი უმშვენებს. მომისმენია სიმღერები, სადაც ხოტბას ასხამენ მის საგმირო საქმეებს. კუბა ამ მხრივაც გამოირჩევა და ეს გასაგებიცაა. ჰავანაში თითქმის ყოველ ნაბიჯზე დაგჩერებიათ მოლიმარი ვაჟკაცის პორტრეტი, რომლის გვერდით შეუძლებელია ისე ჩაიარო, თვალზე მოწოლილი ცრემლი არ შეიგრძნო...

1974

არგენტინა,
არგენტინა!

ჩვეულებრივ, გვიან იძინებს ბუენოს-აირესი. მთელი ღამის განმავლობაში დუღს ცხოვრება არგენტინის რვამილიონიან დედაქალაქში.

24 ივნისის ღამე უჩვეულო იყო ყველა ღამეთა შორის. საღამოს ცხრა საათზე ქუჩებში კანტიკუნტად დაინახავდით მანქანებს ან ფეხით მოსიარულეებს. ისინიც შინისაკენ მიიჩქაროდნენ. დაიხურა რესტორნები, კაფეები, ლუდის ბარები. მოწყენილი გამოიყურებოდა ჩვეულებრივ ხალხმრავალი სავაჭრო ცენტრი. სიცოცხლე ჩამკვდარიყო ფლორიდასა და კორიენტესზე – ამ ორ უზარმაზარ, მაღაზიების ვიტრინებით და რეკლამებით გაჩირაღდნებულ ქუჩაზე.

მთელი ქალაქი ისვენებდა, რადგან არგენტინის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალის დღე თენდებოდა. საოცარ მოლოდინს შეეპყრო არგენტინა.

ქალაქში გამეფებული სიჩუმე არ იყო ის სიჩუმე, ადამიანს რომ ამშვიდებს ხოლმე. ეს იყო დაძაბული, ნერვულად დამუხტული სიჩუმე.

ეს დაძაბულობა მეც გადამედო და ალბათ ამიტომ იყო, თვალი ძლივს მივლულე.

დილის ექვს საათზე ფეხზე ვიდექი. გადავხედე მონტევიდეოს ქუჩას, სადაც ჩვენი სასტუმრო მდებარეობდა. ქუჩაში კაცი არ ჭაჭანებდა, ჩამიჩუმი არ ისმოდა. რვამილიონიანი ქალაქისათვის უჩვეულო, თითქმის დაუჯერებელი დუმილი სუფევდა. მაგრამ ამ დუმილში, როგორც საეჭვოდ გარინდულმა ოკეანემ იცის ხოლმე, მოახლოებული ქარიშხლის ნიშნები იგრძნობოდა.

ქარიშხალიც ერთბაშად ამოვარდა. ავტომანქანის ერთი გაბმული სიგნალი იყო საჭირო, რომ მთელი ქალაქი ფეხზე დამდგარიყო. ქუჩები გაიცსო ლითონის მდინარეებით. ყურს აყრუებდა ომახიანი, ხმაშეწყობილი შეძახილები: „არგენტინა წინ!“, „არგენტინა მსოფლიო ჩემპიონია!“

დიდებული სანახავი იყო ბუენოს-აირესი. შენობებზე ფრიალებდა უზარმაზარი ლურჯ-თეთრი ეროვნული დროშები. ყოველ მეორე-მესამე გამვლელს ხელში ასევე არგენტინის ალამი ეჭირა, მანქანებზეც თავიდან ბოლომდე არგენტინის დროშები იყო გადაჭიმული. მძღოლებს მხოლოდ მცირეოდენი სამზერი ჰქონდათ დატოვებული. ქალებს არგენტინის დროშებისაგან შეკერილი კაბები ეცვათ, კაცებს – მაისურები. მთელი ბუენოს-აირესი ლურჯ-თეთრად ლივლივებდა.

ქუჩებში უკვე იყიდებოდა არგენტინის ნაკრების უზარმაზარი სურათები წარწერით „არგენტინა – მსოფლიო ჩემპიონი“. იყიდებოდა ფირფიტებიც იმავე წარწერით. ეს ფირფიტები ყველა მუსიკალურ მაღაზიაში ბრუნავდა განუწყვეტლივ. ისმოდა არგენტინის უპოპულარესი კომენტატორის, მეტსახელად „სენიორ გოლის“, ხოსე მარია გუნიოსის ხმა. ფირფიტაზე ყველა გოლი იყო ჩაწერილი, რომლებიც არგენტინელებმა გაიტანეს ფინალურ ორთაბრძოლამდე. გოლსა და გოლს შორის კი სჭექდა სიმღერა – „არგენტინავ, შენ მსოფლიო ჩემპიონი უნდა გახდე“.

ხალხი ადრიანად დაიძრა „რივერ პლეიტისკენ“.

ყველაზე დაგვიანებული გულშემატკივარიც კი სამი საათით ადრე მივიდა სტადიონზე.

ტრიბუნებზე 80 ათასი დროშა ფრიალებდა. ლურჯი და თეთრი ფერი ერთმანეთში იღვრებოდა. ტრიბუნებზე ცეკვას სიმღერა ენაცვლებოდა, სიმღერას – ხმაშეწყობილი შეძახილები: „არგენტინა, არგენტინა!“

მოედანზე ტრადიციული მარშ-ცერემონიალით მიმოდიოდა ექვსი სასულე ორკესტრი. ტრიბუნების ლურჯ-თეთრ ფონზე საამოდ ელავდა მათი ნაირფერი ტანსაცმელი.

უნებურად ვფიქრობ, რა მოხდება, რა ამბავი დატრიალდება აქ, არგენტინამ რომ ვერ გაიმარჯვოს?

და აჰა, დადგა გუნდების მოედანზე გამოსვლის დროც. ორკესტრები ტოვებენ მოედანს, ახლა მხოლოდ ტრიბუნების შეძახილები აყრუებს იქაურობას. 80 ათასი კაცი ადგილზე ხტუნავს და როკავს. ამ საერთო ორომტრიალში მხოლოდ ჩვენი პრესლოჟა წარმოადგენს გამონაკლისს. ჩვენ მხოლოდ გაოცებული და აღტაცებული შევჩერებივართ მოცეკვავე ტრიბუნებს.

მოედანზე პირველნი გამოდიან ჰოლანდიელები. თვალი ყველას იმ გამოსასვლელისაკენ აქვს მიპყრობილი, საიდანაც არგენტინელები უნდა გამოჩნდნენ. გავიდა თითქმის ათი წუთი, არგენტინელები კი არ ჩანან, რაც კიდევ უფრო მუხტავს მოლოდინს. იქნებ ეს შეგვიანებაც ამ დიდებული სანახაობის სცენარის მიხედვითაა გათვალისწინებული?

და აჰა, გამოჩნდნენ არგენტინელებიც. იქაურობა გააყრუა გულშემატკივართა შეძახილებმა. ტრიბუნებიდან ისვრიან 30-40 მეტრის სიგრძის ქაღალდის გრაგნილებს, დრაკონებს. წამოვიდა ლურჯ-თეთრი ქაღალდების წვიმა. 80 ათასი დროშა შეწყობილად მოძრაობს ერთ რიტმში.

ვერ გამიგია, ჩვენი ტელევიზია ხუთი წუთით ადრე მაინც რატომ არ იწყებს ხოლმე ტელერეპორტაჟებს ასეთი მნიშვნელოვანი მატჩებისა?! ან მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური თამაშის დამთავრებისთანავე შეიძლება შევწყვიტოთ გადაცემა?! განა შეიძლება ტელემაყურებლებს არ ვანახვოთ ის განსაცვიფრებელი ვნებათა ღელვა, რაც მატჩის შემდეგ სუფევს ტრიბუნებზე თუ ხალხით ავსებულ მოედანზე? განა შეიძლება, ნორჩ სპორტსმენებს არ ვანახვოთ გამარჯვების

აპოთეოზი, ტრიუმფი, რომელიც მათ მომავალი ბრძოლების ჟინით აღავსებს? მთელი ეს აღტყინება ხომ განუყრელი და ორგანული ნაწილია მსოფლიო მასშტაბის საფეხბურთო დღესასწაულისა!

და აი, მსაჯმა ჩაჰბერა სასტვენს. იწყება გადამწყვეტი ორთაბრძოლა. ამ ორთაბრძოლამ უნდა გაარკვიოს, ვინ იქნება მეთერთმეტე მსოფლიო ჩემპიონატის თასის მფლობელი.

მაგრამ ამ ჩემპიონატმა უნდა გაარკვიოს კიდევ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი საკითხი: როგორი ფეხბურთი გაიმარჯვებს – ტოტალური თუ სქემებს გარეთ გასული, შემტევი და რომანტიკული?

ასეთი პრობლემა არ მდგარა წინა ჩემპიონატზე, როცა ერთმანეთის პირისპირ იდგნენ თვისებრივად ტყუპებივით მსგავსი გერმანიისა და ჰოლანდიის ნაკრები გუნდები, ტოტალური ფეხბურთის ლიდერები და დამამკვიდრებელნი.

ფინალამდე სასწორი ნელ-ნელა, მაგრამ თანმიმდევრულად იხრებოდა შემტევი და ტექნიკური ფეხბურთის სასარგებლოდ. მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა მაინც უკანასკნელ ორთაბრძოლას უნდა ეთქვა.

პირადად ჩემი სიმპათიები ყოველთვის შემტევ, საფეხბურთო მოედანზე მოულოდნელი იდეებით აღსავსე ფეხბურთს ეკუთვნოდა.

მინდა ერთი პატარა ნაწყვეტი გავიხსენო ჩემი წერილიდან, რომელიც 1976 წლის მარტში გამოვაქვეყნე ჟურნალ „განთიადის“ მე-2 ნომერში. იმ წელს საბჭოთა კავშირის ნაკრების ბირთვს თითქმის მთლიანად კიევის დინამოელები შეადგენდნენ – ჩვენს ქვეყანაში ტოტალური ფეხბურთის პიონერები და დამამკვიდრებელნი. საბჭოთა ნაკრებმა მაშინ 0:1 წააგო კიევში არგენტინის ნაკრებთან და ამ ერთადერთი გოლის ავტორი მარიო კემპესი გახლდათ, მაშინ 21 წლის ჭაბუკი, არგენტინის ჩემპიონატის მომავალი გმირი. აი, ეს ნაწყვეტიც: „არგენტინის

ნაკრების გამარჯვებამ საბჭოთა ნაკრებთან, ვფიქრობ, უნდა დააფიქროს გუნდის ხელმძღვანელები. ხომ არ გამოაჩინეს არგენტინელებმა ტოტალური ფეხბურთის სუსტი მხარეები? ... როცა მსოფლიოში ბრაზილიური ფეხბურთი ბატონობდა, პლანეტა სავსე იყო სუპერვარსკვლავებით. რამდენი ვარსკვლავი იყო მარტო თვით ბრაზილიის ნაკრებში! სამწუხაროდ, დღეს საერთოდ გაგვიჭირდება ამდენი ვარსკვლავის ჩამოთვლა... როდესაც მსოფლიოში ცოტაა უმაღლესი კლასის ვარსკვლავი, მაშინ ხომ არ გამოდის წინა პლანზე რაციონალური ფეხბურთი, რომლის დროსაც მოედანზე მძლავრი მოტორის რიტმული გუგუნი გვესმის. ხოლო მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი თითქმის მაქსიმალურია?

მაგრამ, ხომ არ დაირღვევა ამ მოტორის მუშაობის რიტმი, როცა მოწინააღმდეგე გუნდში ორი ან სამი სუპერვარსკვლავი ითამაშებს?

ვფიქრობ, ამ ეჭვს აქვს რეალური საფუძველი.

ვნახოთ, არც ისე შორსაა არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატი" (წერილი მთლიანად იხილეთ ნარკვევის ბოლოს).

და აი, ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ გავიდა ორწელიწად-ნახევარი და დადგა წუთი, როცა უკანასკნელ შერკინებას უნდა გაერკვია, რომელი მიმართულების ფეხბურთი იზეიმებდა გამარჯვებას.

* * *

როდესაც არგენტინიდან სამშობლოში დავბრუნდი, საფუძვლიანად გავეცანი ჩვენს პრესას. ბუნებრივია, მაინტერესებდა, როგორ გააშუქეს არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატი ჟურნალ-გაზეთებმა, რადიომ და ტელევიზიამ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ საფეხბურთო ბატალიების ირგვლივ გამოქვეყნებულმა ინფორმაციებმა და წერილებმა ძირითადად

სწორი შტრიხებით დახატეს მსოფლიო ჩემპიონატის რთული და მოულოდნელობებით აღსავსე პროცესი.

უნებურად ისეთ ინფორმაციებსაც წავაწყდი, რომლებიც ჟურნალისტიკის სენსაციურ სფეროს უფრო განეკუთვნება, ვიდრე ფეხბურთს, თანაც ერთ-ერთი ინფორმაცია ისეთ ავტორიტეტულ სააგენტოს ეკუთვნის, როგორიც როიტერია.

როდესაც არგენტინაში ვიყავით, პრესცენტრში ბევრი უცხოელი ჟურნალისტი სერიოზულად წუხდა, ჩემპიონატი ძალზე ორგანიზებულად და მშვიდობიანად მიმდინარეობს, არავინ მოუკლავთ, არავინ გაუტაციათ, ერთი ბომბიც კი არ აუფეთქებიათო. ერთი სიტყვით, ძალზე შეშფოთებულნი იყვნენ, რომ წმინდა სპორტულ ინფორმაციებსა და წერილებს გარდა თავიანთ ჟურნალ-გაზეთებსა და სააგენტოებს ვერავითარ სენსაციურ ამბებს ვერ გადასცემდნენ.

მაგრამ გამოსავალი ყოველთვის არსებობს. როცა სენსაციური არაფერი ხდება, თვითონ უნდა მოიგონო. ეტყობა, ამ ცდუნებას როიტერის სააგენტომაც ვერ გაუძლო და მთელ მსოფლიოს აუწყა, ბუენოს-აირესის პრესცენტრში ბომბი ააფეთქესო, რომელსაც თურმე შეუწირავს ერთი პოლიციელის სიცოცხლე, მეორე კი დაჭრილა. ასევე, ბრაზილია-პერუს მატჩის დროს ბრაზილიელ ფანატიკოს გულშემატკივრებს ტრიბუნებზე სროლა აუტეხავთ და „შემთხვევით" მოუკლავთ 21 წლის ჭაბუკი. გაავრცელეს ცნობაც, თითქოს ფინალური მატჩის მოგების შემდეგ ბუენოს-აირესის ცენტრში საგანგებოდ აგებულმა ტრიბუნამ ვერ გაუძლო მოზეიმე ხალხის სიმძიმეს – ჩაინგრა და 50 კაცი დაშავდაო.

სინამდვილეში, არც ბომბი აფეთქებულა დედაქალაქის პრესცენტრში, არც ბრაზილიელ ფანატიკოსებს აუტეხავთ სროლა და არც საზეიმო ტრიბუნა ჩანგრეულა, თუნდაც იმ უბრალო მიზეზით, რომ ასეთი ტრიბუნა საერთოდ არ აუგიათ ბუენოს-აირესში.

ეს ყველაფერი იაფფასიანი საგაზეთო ჭორები იყო, ალბათ ძალზე დაბალი რანგის მკითხველისათვის გამიზნული.

ერთი რამ კი უნდა ითქვას: ჰქონდა თუ არა საფუძველი ასეთი ჭორების გავრცელებას? რატომ ელოდნენ ჟურნალისტები ასე სასოებით რაიმე სენსაციურ მკვლელობას ან ვინმეს გატაცებას, პრესცენტრის ან სტადიონის ტრიბუნის აფეთქებას?

სამწუხაროდ, ყოველივე ამას ჰქონდა რეალური მიზეზები.

სამხედრო გადატრიალების შემდეგ არგენტინის მთავრობას სათავეში ჩაუდგა გენერალი ხორხე რაფაელ ვიდელა. მან დააპატიმრა ყოფილი პრეზიდენტის, ხუან პერონის მეუღლე, იმჟამად თვითონაც პრეზიდენტი, ქალბატონი ევა პერონი. მისი სასამართლო აგერ ორ წელზე მეტია, ჭიანურდება. ფრანგმა ფეხბურთელებმა ერთხანს უარიც კი განაცხადეს არგენტინაში გამგზავრებაზე. მოტივი ასეთი იყო – ადამიანის უფლებათა შებღალვა. თვით ქალბატონი პერონი პატიმრობას დიდებულ სასახლეში ატარებს და თავს არცთუ ურიგოდ გრძნობს. ყოველდღიურად საკმაოდ დიდ დროს უთმობს თავის ტუალეტს და კოსმეტიკას.

მაგრამ ქალბატონმა პერონმა ისიც კარგად იცის, რომ არგენტინაში ბევრნი არიან მისი გარდაცვლილი მეუღლის პოლიტიკის მომხრენი. მართალია, ასეულობით პერონისტმა დატოვა სამშობლოს საზღვრები, მაგრამ მათ ფარ-ხმალი არ დაუყრიათ. საზღვარგარეთ, განსაკუთრებით ესპანეთში, საკმაოდ ძლიერი ორგანიზაციები ჩამოაყალიბეს და აშკარად განაგრძობენ ბრძოლას ხელისუფლებისათვის.

ჩემპიონატის დაწყებამდე ერთ-ერთმა ასეთმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა პირველივე დღეს, მატჩის მსვლელობის დროს აეფეთქებინა სტადიონის რომელიმე ტრიბუნა, რათა დაერწმუნებინა მთელი მსოფლიო ახალი მთავრობის, სამხედრო ხუნტის უსუსურობაში. ისინი ადამიანთა მსხვერპლსაც

არ ერიდებოდნენ, ოღონდ სახელი გაეტეხათ ვიდელას სამხედრო რეჟიმისთვის.

საბედნიეროდ, არგენტინის კონტრდაზვერვამ წინასწარ შეიტყო მათი განზრახვა და შეთქმულნი პორტშივე დააპატიმრა.

ვერც ჩვენ, საბჭოთა დელეგაციის წევრები, თვითმფრინავის სხვა – 350 მგზავრთან ერთად – ვერ გადავურჩით ამ მოვლენებთან დაკავშირებულ უსიამოვნებას. მოსკოვიდან მადრიდში ჩავფრინდით. შემდგომ მადრიდიდან ბუენოს-აირესში და უკან, მოსკოვამდე, ესპანეთის ავიაკომპანია „იბერია“ გვემსახურებოდა. დიდი ხანი არაა, რაც „იბერიამ“ და „აეროფლოტმა“ დადეს ხელშეკრულება მადრიდსა და მოსკოვს შორის რეგულარული ავიახაზის გახსნის თაობაზე. ჩვენ ვიყავით ერთ-ერთი პირველი საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც „იბერია“ მასპინძლობდა. ჩინებული პატივი გვცეს. სამი დღე იქ ჩასვლისას დაგვტოვეს მადრიდში, სამი დღეც არგენტინიდან დაბრუნების შემდეგ. მოგვიწყვეს ექსკურსიები და სანიმუშოდ დაგვათვალიერებინეს ესპანეთის დედაქალაქი. მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს ამბავს: დადგა ბუენოს-აირესში გაფრენის დღეც. საღამოს ყველანი აეროპორტში ვიყავით. ყოველგვარი საბაჟო პროცედურა გავიარეთ და უკვე თვითმფრინავში ჩასასხდომად ვემზადებოდით, რომ მოულოდნელად გამოაცხადეს, ფრენა სამი საათით გადაიდოო. გვეწყინა, მაგრამ თავს ზევით ძალა არ იყო. ეს სამი საათი მადრიდის აეროპორტის დარბაზებში სეირნობით უნდა მოგვეკლა. გავიდა სამი საათი და ფრენა კიდევ სამი საათით გადადეს. მიზეზი? – ვიკითხეთ ჩვენ. პასუხი საკმაოდ არადამაჯერებლად ჟღერდა: ბუენოს-აირესში წასვლის მსურველები გაცილებით მეტნი არიან, ვიდრე ჩვენს სარეისო თვითმფრინავ „დს-10“-ში ეტევაო (ოთხასზე მეტი კაცი) და იგი „ბოინგ 747“-ით უნდა შევცვალოთო.

აეროპორტის ფანჯრებიდან სინანულით გავაყოლეთ თვალი ჩვენს თვითმფრინავს, რომელიც შენობიდან მოშორებით გადააყენეს. გავიდა სამი საათიც და ფრენა ამჯერად ოთხი საათით გადადეს. მიზეზი? ისევ უცნაური და დაუჯერებელი: ავიაკომპანია „იბერიის“ პრეზიდენტმა მოულოდნელად გადაწყვიტა არგენტინაში გამგზავრება და მას ველოდებითო. მკითხველებს წვრილმანებით თავს აღარ შევაწყენ. 12-საათიანი ლოდინის შემდეგ აეროპორტის მოსაცდელი დარბაზიდან გარეთ გაგვიყვანეს. ჩვენ წინ გადაიშალა უცნაური სანახაობა. შენობისპირა მოედანი 400-ზე მეტი მგზავრის ჩემოდნებით და ჩანთებით იყო სავსე. ყველას გვთხოვეს ჩვენი ბარგი ამოგვეცნო და სატვირთო ვაგონეტებთან მიგვეტანა. ამ პროცედურას კიდევ ერთი საათი დასჭირდა.

შემდეგ გრძელი გზა: მადრიდი – რიო-დე ჟანეირო – სან პაულუ – ასუნსიონი – ბუენოს-აირესი.

და მხოლოდ მაშინ, როცა ბუენოს-აირესში მშვიდობიანად დავფრინდით და კომფორტულ ავტობუსებში მოვკალათდით, გაგვიმხილეს საიდუმლო: თვითმფრინავში ჩასხდომამდე ნახევარი საათით ადრე ვიღაცას დაურეკავს, პერონისტებმა თვითმფრინავში ბომბი აიტანესო.

თვითმფრინავიდან თურმე ბარგი სასწრაფოდ გადმოტვირთეს, მაგრამ ბომბი ვერსად აღმოაჩინეს. გაფრენა მაინც ვერ გაბედეს. იქნებ ბომბი რომელიმე ჩემოდანში იყო, ან სადმე თვითმფრინავის უხილავ კუნჭულში მიამაგრეს? ამიტომ ფრენა 12 საათით გადადეს, ზუსტად იმდენ ხანს, რამდენიც რიო-დე ჟანეირომდე საფრენად იყო საკმარისი. თუ თვითმფრინავში ან რომელიმე ჩემოდანში საათის მექანიზმიანი ბომბი მართლა იდო, იგი ამ დროის მანძილზე უნდა აფეთქებულიყო.

ბუენოს-აირესში პატარა, მყუდრო, მაგრამ არცთუ კომფორტაბელურ სასტუმრო „მილანოში“ მოგვათავსეს. სამაგიე-

როდ, ამ სასტუმროს დიდი უპირატესობა ის იყო, რომ პრესცენტრიდან მხოლოდ ასიოდე ნაბიჯით ვიყავით დაშორებული. როგორც პრესცენტრს, ასევე ჩვენს სასტუმროს უამრავი პოლიციელი სდარაჯობდა. არგენტინის მთავრობა შიშობდა, რაიმე გაუთვალისწინებელი ამბავი არ მომხდარიყო, რასაც დროშასავით აიტაცებდნენ პერონისტები. განსაკუთრებული სიფრთხილით მაინც ფეხბურთელებს სდარაჯობდნენ. თვითონ შევესწარი, ბუენოს-აირესში როგორ ჩამოიყვანეს ჰოლანდიელი ფეხბურთელები. ავტობუსს პოლიციელების ექვსი მანქანა წინ მიუძღოდა, ექვსიც უკან მიჰყვებოდა. ამ დიდებულმა ესკორტმა სირენების საშინელი წივილით განვლო არგენტინის დედაქალაქის ქუჩები.

ფეხბურთელებს საგანგებოდ იცავდა არგენტინის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი გენერალი აარბიერი. მხოლოდ გენერლის მიერ გამოწერილი სპეციალური საშვით შეიძლებოდა რომელიმე ფეხბურთელთან შეხვედრა და საუბარი.

წარმოიდგინეთ, სენსაციის მოყვარული პრესა რა ამბავს ატეხავდა, რომელიმე ფეხბურთელი რომ გაეტაცებინათ. ჩვენც, პრესლოჟის მუდმივ წევრებსაც კი, გულზე რომ საკუთარი პორტრეტით დამშვენებული სპეციალური საშვი გვეკიდა, სტადიონზე შესვლისას საგანგებოდ გვჩხრეკდნენ, ხოლო ვისაც თან ფოტოაპარატურა ჰქონდა, მის შემოწმებას ხშირად 10-15 წუთს ანდომებდნენ. სტადიონის სარბენ ბილიკებზე ყოველ 30 მეტრში ძაღლებიანი პოლიციელები იდგნენ.

ფრთხილობდა გენერალი ვიდელა. მართალია, მის პოლიტიკას არგენტინაში ბევრი მომხრე ჰყავს, მაგრამ არც მოწინააღმდეგენი არიან ცოტანი. ახალმა მთავრობამ არგენტინაში აკრძალა ყოველგვარი პორნოგრაფიული ლიტერატურა და სექსფილმები. მთვრალი კაცი ქუჩაში ვერ გაივლის. მეძავი ქალები მკაცრ აღრიცხვაზე არიან აყვანილი და პატიმრობა

ემუქრება მათთან გამვლელ მამაკაცებს. აღიკვეთა ტერორი. ებრძვიან კორუფციას. მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს დაცარიელებულ სალაროებს, წინა მთავრობისაგან რომ დარჩათ მემკვიდრეობად.

პერონისტები კი არ ცხრებიან. ქუჩებში ნახავთ წარწერებს – „პრეზიდენტი კვლავ ქალბატონი პერონია". რამდენიმე მატჩზე პერონელთა ჰიმნიც კი იმღერეს ტრიბუნებზე. ხმა გაავრცელეს, ჩემპიონატის სიმბოლოზე პერონისა და მისი მეუღლის ხელებია გამოხატული, ბურთი რომ უჭირავთო. დამეთანხმებით, ღიმილის მომგვრელია იმის გაფიქრებაც კი, რომ ხელების ეს ორი პირობითი მონახაზი ვინმე კონკრეტული ადამიანის ხელებს გამოსახავდეს.

გენერალი ვიდელა ჩემპიონატის დღეებში ყოველთვის იმ ქალაქში იმყოფებოდა, სადაც არგენტინის ნაკრები თამაშობდა. მან შესანიშნავად იცის, რას ნიშნავს ფეხბურთი არგენტინელებისთვის და მათი გულის მოსანადირებლად პირველ გულშემატკივარს თამაშობდა. თუმცა ამას, დარწმუნებული ვარ, გულწრფელადაც აკეთებდა. არგენტინელი ერისათვის (ამას ხაზს ვუსვამ: იტალიელები, რომლებიც მოსახლეობის 40 პროცენტს შეადგენენ და ესპანელები, რომლებიც, თავის მხრივ, მოსახლეობის 57 პროცენტი არიან, განსაკუთრებული სიამაყით ამბობენ, არგენტინელები ვართო) ბევრს ნიშნავს, ვისი პრეზიდენტობის დროს გახდა მათი გუნდი მსოფლიო ჩემპიონი. გარდა ამისა, გენერალ ვიდელას სხვა გეგმებიც ჰქონდა. უფრო დიდი, უფრო სერიოზული. ქვეყნის ეკონომიკას ახლა 10 მილიარდი დოლარი სესხის მიშველება სჭირდება სასწრაფოდ. მთავრობამ, რადაც უნდა დაუჯდეს, ეს ფული უნდა იშოვოს. მაგრამ როგორ? ვინ ანდობს ფულს ქვეყანას, სადაც ეს-ესაა სამხედრო გადატრიალება მოხდა? რისკს არც სახელმწიფოები გასწევენ და არც ფირმები. ამიტომ გენერალმა ვიდელამ უნდა დაამტკიცოს, რომ არგენტინაში სიმშვიდე

სუფევს. რომ ქვეყანაში აბსოლუტური წესრიგი დამყარდა, რომ ძალაუფლება მტკიცე მთავრობის ხელშია. ამიტომაც არ დაიშურა მან ორი თუ სამი ათეული მილიონი დოლარი, რომ სტადიონები მოეწესრიგებინა და ყველაფრისათვის საზეიმო იერი მიეცა.

მართლაც დიდებულად იყო მოწყობილი „რივერ პლეიტის" შესანიშნავი სტადიონი. პრესლოჟა, თუ არ ვცდები, შვიდი ათასი კაცისთვის იყო განკუთვნილი. ყველას ჩვენ-ჩვენი სავარძელი და პატარა მაგიდა გვქონდა ნათურით ისე ოსტატურად განათებული, რომ ხელი არ შეგვშლოდა მატჩის ცქერაში. ყოველ 15 წუთში გვეძლეოდა სხვადასხვა სახის ინფორმაცია ესპანურ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და პორტუგალიურ ენებზე. იქვე იყო მოწყობილი სპეციალური ოთახები, სადაც ორი ათასზე მეტი საბეჭდი მანქანა იდგა ასევე ხუთ ენაზე. რამდენიმე ათეული ტელეფონი მზად იყო მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანასთან უმალვე დასაკავშირებლად. საგანგებოდ მოწყობილ რამდენიმე ათეულ ფოტოლაბორატორიაში შეგეძლოთ გაგემჟღავნებინათ ფოტოფირები და იქვე დაგებეჭდათ სურათები. ასევე დიდებულად იყო მოწყობილი პრესცენტრიც, სადაც ყოველგვარი პირობა გვქონდა შექმნილი მუშაობისა და დასვენებისათვის.

ერთი სიტყვით, ჩემპიონატი მართლაც დიდებულად იყო ორგანიზებული.

მარტო არგენტინის მთავრობა როდი ცდილობდა, ხელი მოეთბო ამ ჩემპიონატით. ერთგვარი ჭიდილი იყო გამართული ფირმებს შორის, რათა ეს ასპარეზობა გადაექციათ თავიანთი საქონლის სარეკლამო ტრიბუნად. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, ბრძოლა „კოკა-კოლის" ფირმამ მოიგო. სტადიონზე გამოფენილი 28 რეკლამიდან სამი „კოკა-კოლას" ეკუთვნოდა. „კოკა-კოლა" შეფობდა პრესცენტრსაც. ფირმამ მრავალი საჩუქარი გაიღო ჟურნალისტებისათვის, მათი რიცხვი კი მთე-

ლი ჩემპიონატის განმავლობაში ორ ათეულ ათასს შეადგენდა. როცა სტადიონზე პრესლოჟაში შევდიოდით, „კოკა-კოლის“ საფირმო ტანსაცმელში გამოწყობილი ულამაზესი გოგონები სამახსოვრო სამკერდე ნიშნებს გვაბნევდნენ გულზე. ამ სამკერდე ნიშნებზე და სამახსოვრო საჩუქრებზე თავისი „მოკრძალებული“ ადგილი ეჭირა წარწერას – „კოკა-კოლა“.

ტაიმსა და ტაიმს შუა, შესვენების დროს, მოედანზე გამოდიოდნენ „კოკა-კოლის“ საფირმო ნახატებით და წარწერებით დამშვენებულ ტანსაცმელში გამოწყობილი პატარა ფეხბურთელები. ისინი ბურთით ჟონგლიორობის საოცარი ტექნიკით ხიბლავდნენ მაყურებლებს. ძნელია აღწერო მათი ურთულესი, თითქმის წარმოუდგენელი ტრიუკები, რაც მაყურებელთა მქუხარე ტაშს იმსახურებდა.

დიდი რეკლამა ჰქონდა ბრაზილიურ ყავასაც. მეორე ტაიმის დაწყებამდე საკარნავალო ფორმაში ჩაცმული ჭაბუკები მოედანზე გამოდიოდნენ და მსაჯს ხელს ართმევდნენ. ამ დროს ისმოდა დიქტორის ხმა. იგი მოუწოდებდა მსაჯსაც და მაყურებლებსაც, ესვათ ბრაზილიური ყავა.

განსაკუთრებით აქტიურობდნენ დასავლეთ გერმანიის ფირმები. ყველგან ბატონობდა „ადიდასის“ სპორტული ტანსაცმელი. „მერსედესის“ ფირმამ 160 ავტობუსი უფასოდ გამოგზავნა ჩემპიონატის მოსამსახურებლად. ლათინური ამერიკის ავტობაზარზე ამაზე უკეთეს რეკლამას „მერსედესის“ ავტობუსებს ვერაფერი გაუკეთებდა!

დასავლეთგერმანულმა ფირმებმა ჩამოიტანეს ფერადი ტელეგადაცემებისათვის საჭირო ყოველგვარი დანადგარი და ჩემპიონატის წინ აამუშავეს ფერადი გადაცემების სტუდია. ფერადი ტელევიზია ჩემპიონატამდე არ ჰქონდა არგენტინას.

მათვე მოაწყვეს სპეციალური არხი, რომლითაც მატჩების გადაცემა-ჩვენება ხდებოდა არგენტინის ქალაქების რამდენიმე ათეულ კინოთეატრში. ბილეთები 10 დოლარი ღირდა.

ასეთივე დარბაზი სპეციალურად ჩვენთვისაც იყო მოწყობილი პრესცენტრში, სადაც მართლაც ჩინებულად გვიჩვენებდნენ სხვა ქალაქებში მიმდინარე მატჩებს.

ერთი სიტყვით, ჩემპიონატის კულისებშიც და ფართო არენაზეც დიდი ეკონომიკური ვნებანი ბობოქრობდა.

* * *

ბუენოს-აირესში არის ერთი ქუჩა – ლავაჟე. ის დიდი სავაჭრო ქუჩის, კორიენტესის პარალელურად მდებარეობს და ხშირად მას კინოთეატრების ქუჩასაც ეძახიან. მაგრამ ბაირესში (ბუენოს-აირესს შემოკლებით ბაირესს ეძახიან. თავის მხრივ, ბუენოს-აირესი შემოკლებული ვარიანტია ქალაქის თავდაპირველი, ძალიან გრძელი სახელისა – სიუდად დე ლა სანტისიმა ტრინიდად უ პუერტო დე ნუესტრა სენიორა ლა ვიგრე მარია ვე ლოს ბუენოს აირეს) ეს ქუჩა უფრო სხვა რამით არის ცნობილი. აქ თავს იყრიან ფეხბურთის ფანატიკოსი გულშემატკივრები. დაინტერესებული კაცი, როგორც ბაირესში გვითხრეს, თუ ყურს დაუგდებს მათ ტემპერამენტიან კამათს, პელეს, გარინჩას, დი სტეფანოს, ონეგასა და ფეხბურთის სხვა კორიფეების სახელებთან ერთად აუცილებლად გაიგონებს მესხისა და მეტრეველის გვარებს. მათ თამაშს არგენტინელებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია. უფრო მეტიც, პრესლოჟაში გავიცანი არგენტინის რადიოს სპორტული მიმომხილველი უმბერტო ბისი. მან თქვა, იაშინსა და მეტრეველს არგენტინაში სუპერვარსკვლავებად მიიჩნევენო, ხოლო პირადად მე ამ სტადიონზე მიხეილ მესხის თამაშის მსგავსი ჯერ არაფერი მინახავსო. ვკითხე, თუ შეიძლება თქვენი აზრი პრესაში გამოვაქვეყნო-მეთქი. სიამოვნებითო, თქვა და თავისი აზრი ქართველ ფეხბურთელებზე იქვე გადამიბეჭდა, ხელი მოაწერა და გადმომცა.

პრესლოჟაში საშუალება გვქონდა გვესაუბრა ფეხბურთის გამოჩენილ ვარსკვლავებთან. ისინი ამჯერად ახალ ამპლუაში – ტელეკომენტატორებად მოგვევლინენ. აქ იყვნენ დი სტეფანო, ბობი და ჯეკი ჩარლტონები, „მსოფლიოში ყველაზე განათლებული და კულტურული ფეხბურთელი“ – გიუნტერ ნეცერი, რივა, ფონტენი, კუბილა, ჟერსონი...

ერთხელ დი სტეფანოს ვთხოვე, მასთან ერთად სურათი გადამეღო. სიამოვნებით დამთანხმდა და თან მკითხა, რა ეროვნების ბრძანდებითო. როცა ვუთხარი ქართველი ვარმეთქი, გაიღიმა და თქვა: „მე ვიცნობ ქართველებს... სტალინი, მესხი, მეტრეველი...“ აქ დი სტეფანო დაფიქრდა, მეტი ვეღარავინ გაიხსენა.

არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატი ყველაზე ძვირი იყო დღემდე ჩატარებულ ჩემპიონატებს შორის. ბილეთები ღირდა 30-დან 70 დოლარამდე. შედარებისათვის ვიტყვი, რომ ინგლისსა და მექსიკაში ბილეთის ღირებულება შვიდ დოლარს არ ასცილებია. არგენტინის ჩემპიონატმა თავისებური რეკორდი დაამყარა შავ ბაზარზეც: ბილეთის ღირებულებამ 1000 დოლარს მიაღწია. განსაკუთრებით ძვირი ღირდა ბილეთები როსარიოში, არგენტინა-ბრაზილიის მატჩზე. ფანატიკოსი გულშემატკივრები ავტომობილებს ცვლიდნენ ბილეთებში.

ეს გასაგებიც იყო, არგენტინელებს ყველაზე საშიშ მეტოქედ მაინც ბრაზილიელები მიაჩნდათ. არგენტინელთა მწვრთნელმა მენოტიმ მატჩის შემდეგ ოფიციალურად განაცხადა, ბრაზილიელები ჩვენი ყველაზე მრისხანე მოწინააღმდეგენი იყვნენო.

არც ბრაზილიელებს მიაჩნდათ იოლ მეტოქედ არგენტინელი ფეხბურთელები. ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე განაცხადა ბრაზილიელთა მწვრთნელმა კლაუდიო კოუტინიომ, ჩემპიონატს ჩვენ მოვიგებთ, თუკი ფინალში არგენტინა არ შეგვხვდაო.

ამასაც რომ თავი დავანებოთ, არგენტინელებს ძველი ანგარიშები აქვთ ბრაზილიელებთან. მართალია, მათი შეხვედრების საერთო შედეგი ჯერჯერობით არგენტინელთა სასარგებლოდაა, მაგრამ 1970 წლიდან მოყოლებული არგენტინას აღარ მოუგია ბრაზილიისათვის. თანაც ბრაზილიამ უკვე მოასწრო, სამჯერ მოეპოვებინა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული და სამუდამოდ დაესაკუთრებინა ოქროს ქალღმერთი, ჟიულ რიმეს თასი.

ლათინური ამერიკის ამ ორ დიდ საფეხბურთო სახელმწიფოს შორის არსებული „შინაური შუღლი“ აშკარად იგრძნობოდა როგორც სტადიონის ტრიბუნებზე, ისე პრესაში.

საერთოდ, არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატი ძალზე მოულოდნელი შედეგებით წარიმართა. როგორც მსოფლიოს სამი წინა ჩემპიონატი, ისიც უღიმღამოდ დაიწყო და ტრადიციული ანგარიშით (0:0) დამთავრდა.

ასეთ უფერულ დასაწყისს გულგატეხილი გამოეხმაურა პრესა. „ჩემპიონატი დაიწყო, მაგრამ როდის დაიწყება ფეხბურთის თამაში?“ – წერდა ერთი გაზეთი.

ჩემპიონატის დაწყებამდე უმრავლესობას ფავორიტებად მიაჩნდა არგენტინა, ბრაზილია, დასავლეთ გერმანია და ჰოლანდია. იყო ლაპარაკი იტალიაზეც. პირველივე ტურების შემდეგ ხალხი გააოცა გერმანელთა, ბრაზილიელთა და არგენტინელთა დუნე თამაშმა. ისინი უმალვე ჩამოწერეს ფავორიტთა რიგებიდან, ხოლო მათი ადგილები იტალიამ და პერუმ დაიკავეს.

იშვიათად თუ შეხვდებოდით არგენტინელს, რომელსაც თავისი გუნდის წარმატებისა სჯეროდა, ხოლო ბრაზილიელ სპეციალისტთა და გულშემატკივართა რისხვა მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი.

სამხრეთ ამერიკიდან მხოლოდ პერუს დარჩა ჩემპიონობის შანსიო, ამბობდნენ არგენტინელები, თან მიაჩნდათ,

რომ პერუელთა ლიდერი ტეოფილო კუბილასი ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი გახდებოდა...

მაგრამ... სიტუაციები ძალზე მოულოდნელად იცვლებოდა. იტალიელები უკვე №1 კანდიდატებად ითვლებოდნენ ჩემპიონობისა. ასახელებდნენ ფინალურ წყვილსაც: ჰოლანდია – იტალია.

– როგორ აფასებთ ბრაზილიელთა და არგენტინელთა შანსებს? – ვკითხე პრესლოჟაში ცნობილ ბრაზილიელ ფეხბურთელს ჟერსონს.

– არგენტინა და ბრაზილია ფინალამდე ვერ მიაღწევენ ერთი მიზეზით: გოლის გატანა არ იციან. – მიპასუხა ჟერსონმა.

მოვლენები და განწყობილებანი კვლავ ელვისებურად იცვლებოდა. არგენტინამ საგრძნობლად უმატა თამაშს. ბრაზილიელებმაც უჩვენეს თავიანთი ძალა. გამართლდა ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტის, ელენიო ერერას სიტყვები, ბრაზილიას ასე მალე ნუ ჩამოწერთ, იგი კიდევ გვიჩვენებს, რა შეუძლიაო. ჟერსონის წინასწარმეტყველების საწინააღმდეგოდ, ორივე გუნდმა დაამტკიცა, რომ შესწევს გოლის გატანის უნარი.

ბევრს ეგონა, გერმანელთა უღიმღამო თამაშს უკან რაღაც ღრმად ჩაფიქრებული მანევრი იმალებაო. დადგება წუთი და ისინი მთელ თავიანთ შესაძლებლობებს გამოამჟღავნებენო. მაგრამ ასეთი წუთი არ დადგა. ავსტრიელებმა დაამტკიცეს, რომ მსოფლიო ჩემპიონი ვეღარ ჩემპიონობდა.

თანდათან უკლო თამაშს პერუს ნაკრებმა, ხოლო მისი ლიდერი კუბილასი ლამის რიგითი ფეხბურთელის დონემდე დავიდა. არგენტინელებმა კი კალდერონის გუნდი თვინიერი ძროხასავით „გამოწველეს“.

იყო შემთხვევები, როცა განწყობილება ტაიმსა და ტაიმს შუაც კი იცვლებოდა. იტალია-ჰოლანდიის მატჩი იტალიელთა

აშკარა უპირატესობით წარიმართა. შესვენებაზე ბობი ჩარლტონს ვკითხე, ვინ მიგაჩნიათ ჩემპიონობის უმთავრეს პრეტენდენტად-მეთქი.

– ძალზე გამიცრუეს იმედი ჰოლანდიელებმა, – თქვა მან. – ახლა მჯერა, რომ ჩემპიონობის ყველაზე მეტი შანსი მაინც იტალიელებს აქვთ.

მაგრამ აი, დაიწყო მეორე ტაიმი და ყველაფერი შეტრიალდა. ჰოლანდიელებმა სავსებით შეცვალეს სურათი, მატჩიც მოიგეს და ჩემპიონობაზეც სერიოზული განაცხადი გააკეთეს.

მატჩის შემდეგ ბობი ჩარლტონმა მხრები აიჩეჩა და ამით გამოხატა თავისი სათქმელი.

ბრაზილიელები შეხვედრიდან შეხვედრამდე აუმჯობესებდნენ თამაშს, მაგრამ მაშინ ათამაშდნენ მთელი ძალით, მაშინ „გახურდნენ", როცა ყველაფერი დამთავრებული იყო.

პოლონელებთან ლამაზი გამარჯვების შემდეგ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები ოთხი ბურთის მარაგით მიუსხდნენ ტელევიზორს, რათა ენახათ მათი მთავარი კონკურენტის, არგენტინის ორთაბრძოლა პერუს ნაკრებთან. როდესაც არგენტინელებმა მეოთხე ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში, გულჩაწყვეტილმა ბრაზილიელებმა ტელევიზორი გამოთიშეს. მათთვის ყველაფერი ნათელი იყო.

გამართლდა ბრაზილიელთა მთავარი მწვრთნელის, კლაუდიო კოუტინიოს სიტყვები: პერუელებთან თამაშის წინ მათ უკვე ეცოდინებათ პოლონელებთან ჩვენი შეხვედრის შედეგი და პერუელებთან თამაშსაც ამის შესაბამისად ააწყობენო.

პირადად მე დარწმუნებული ვარ (და ეს მარტო ჩემი აზრი არ არის): უფრო სამართლიანი იქნებოდა, ეს ორი მატჩი ერთდროულად დანიშნულიყო. არგენტინა კი, როგორც მასპინძელი, სარგებლობდა ამ უპირატესობით – მატჩებს ყველაზე გვიან თამაშობდა.

და, აი, მოედანზე, ისევე როგორც მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში, კვლავ წარდგნენ ერთმანეთის პირისპირ ბრა-

ზილიისა და იტალიის გუნდები. თუმცა მეხიკოში ისინი გაცილებით უფრო კეთილშობილი ლითონისათვის ეპაექრებოდნენ ერთმანეთს.

ყველაზე მეტი გულშემატკივარი არგენტინაში ბრაზილიელებს ჩამოჰყვა: თუ არ ვცდები, 25 ათასი კაცი. მათი რიცხვი თავიდანვე შემცირდა, ბრაზილიელთა უღიმღამო სტარტმა ბევრი ქომაგი გააბრუნა სამშობლოში. ბუენოს-აირესში კი მხოლოდ ასამდე ბრაზილიელი ახლდა გუნდს. „მესამე ადგილი შეიძლება დიდი წარმატებაა სხვისთვის, მაგრამ არაფერს ნიშნავს ჩვენთვის", – განაცხადა იტალიელებთან გამარჯვების შემდეგ კოუტინიომ, რომელსაც იმავე დღეს უპირებდნენ ნაკრებიდან გაგდებას.

„ჩვენ არგენტინის ჩემპიონატის მორალური ჩემპიონები ვართ, – განაცხადა იქვე მან. – არ ნაგვიგია არცერთი მატჩი. ხოლო შეხვედრიდან შეხვედრამდე ვაუმჯობესებდით თამაშს. მართალია, ვერ მოვუგეთ არგენტინას, მაგრამ მიუხედავად თანაბარი ანგარიშისა, სათამაშო უპირატესობა ჩვენი იყო".

პასუხად არგენტინელთა მწვრთნელმა სესარ ლუის მენოტიმ განაცხადა: „მართალია, ბრაზილიელები ჩემპიონატის მორალური ჩემპიონები არიან, მაგრამ იმედი მაქვს, ხვალ ისინი მოგვილოცავენ რეალურ ჩემპიონობას".

დიახ, მოულოდნელობებით დაიწყო არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატი. ტურიდან ტურამდე იცვლებოდა პროგნოზები, ვარაუდები, შესაძლებლობანი. მაგრამ საბოლოოდ მაინც ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მოსალოდნელი იყო. ფინალურ ოთხეულში ის გუნდები მოხვდნენ, რომლებსაც ვარაუდობდნენ: არგენტინა, ჰოლანდია, ბრაზილია, იტალია. მხოლოდ დასავლეთ გერმანიამ ჩაალაგა დროზე ადრე ჩემოდნები. მისი ადგილი დაიჭირა იტალიამ, რომელსაც ასევე ასახელებდნენ ჩემპიონობის პრეტენდენტად, თუმცა ამ ხუთეულში ყველაზე უფრო ნაკლებად.

გერმანელთა მწვრთნელმა ჰელმუტ შიონმაც დატოვა თავისი პოსტი.

– ბურთით თამაში მაინც ბურთით თამაშია და იგი ომის წაგებას არ ნიშნავს, – განუცხადა მან პრესის მუშაკებს. – მე მსაყვედურობენ, კარგი შემადგენლობა არ გამოგყავდა და ფეხბურთელთა შეცვლაშიც შეცდომებს უშვებდიო. მოგეხსენებათ, გზა მაშინ გამოჩნდება ხოლმე, როცა ურემი გადაბრუნდება. საყვედურების გამოთქმა ადვილია. მე ჩემი პრინციპები მაქვს. ჩემმა პრინციპებმა კი გერმანიის ნაკრებს დიდი გამარჯვებები მოუტანა... ჩემი საფეხბურთო კარიერა დასრულდა, აწი ჩემს მეუღლესთან ერთად ხშირად ვივლი ოპერაში და ვიმოგზაურებ მთელ მსოფლიოში.

* * *

ჩემპიონატი კარგა ხანია დამთავრდა.

გულშემატკივრებმა თითქმის ყველა მატჩი ნახეს.

ბევრი იმსჯელეს, იკამათეს, ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინეს.

არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატმა ბევრს წინა ჩემპიონატზე ნატკენი გული მოფხანა, ბევრი კი პირიქით, გააღიზიანა და გაანაწყენა.

ამ წერილში არ ვაპირებ დაწვრილებით ან თუნდაც ფრაგმენტულად ვილაპარაკო ჩემპიონატის მსვლელობაზე. მინდა მხოლოდ ვთქვა, რომ არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატმა წარსული ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ წამოჭრილ ბევრ კითხვას გასცა პასუხი. მაგრამ თავის მხრივაც ბევრი საკითხი წამოჭრა. ფეხბურთში საკამათოს და თავსატეხს რა გამოლევს. ფეხბურთს უყვარს პარადოქსები და იმიტომაა ასე მიმზიდველი სპორტის ეს სახეობა.

ფეხბურთში ისე მკაფიოდ და გარკვევით ვერ დადგინდება ჭეშმარიტება, როგორც, ვთქვათ, სიმძიმეების აწევაში, სადაც ყველაფერს კილოგრამები განსაზღვრავს.

ფეხბურთი არც სიმაღლეზე ხტომაა, სანტიმეტრი მოვიმარჯვოთ ხელში.

ოცდახუთდღიანი ბრძოლის შემდეგ უძლიერესი ოთხეული ასე დალაგდა:

1. არგენტინა
2. ჰოლანდია
3. ბრაზილია
4. იტალია

ხომ შეიძლება სხვანაირადაც ყოფილიყო?

ბევრს არგენტინა ღირსეულ მსოფლიო ჩემპიონად მიაჩნია, თვლიან, რომ მან დამსახურებულად მოიპოვა მსოფლიოში უძლიერესის სახელი.

ბევრი ჰოლანდიას მიიჩნევს უფრო ძლიერ გუნდად.

ბევრი ბრაზილიელთა უპირატესობას აღიარებს.

ალბათ, არანაკლები სიმპათიებით სარგებლობენ იტალიელებიც.

ვინ არის მართალი?

აქ არ გამოგვადგება არც კილოგრამები, არც წამმზომი, არც სანტიმეტრი, რომ ჭეშმარიტება დავადგინოთ.

ფეხბურთი ხელოვნებასთან ნაზიარები სპორტია. ხოლო იქ, სადაც ხელოვნებაა, შეფასების ერთგანზომილებიანი სისტემები და მეთოდები არ გამოგვადგება.

იმ მრავალ კითხვას შორის, რაც ამ ჩემპიონატმა დასვა, სამი ძალზე რელიეფურად გამოიკვეთა.

პირველი – არის თუ არა არგენტინა ღირსეული ჩემპიონი?

მეორე – ჩემპიონატში ხომ არ იგრძნობოდა ვარსკვლავების სიმცირე?

მესამე – მოგვცა კი რაიმე ტექნიკური ან ტაქტიკური სიახლე არგენტინის ჩემპიონატმა?

დავიწყოთ პირველი შეკითხვით. არის თუ არა არგენტინა ღირსეული ჩემპიონი?

ჩემი აზრით, თუ დავივიწყებთ გარკვეული გუნდების მიმართ ჩვენს სიმპათიებს და საკითხს ობიექტურად მივუდგებით, არგენტინა მართლაც ღირსეული ჩემპიონია და არ შეიძლება მისი გამარჯვება არ გაუხარდეს ფეხბურთის ჭეშმარიტ მოყვარულს.

პირადად მე რამდენიმე ჩემპიონატის დამსწრე ვარ და უნდა გითხრათ, ასეთი დაძაბული, ასეთი ლამაზი, ვაჟკაცური, ინდივიდუალური ელვარებით და კომბინაციური მრავალფეროვნებით აღსავსე ფინალი ჯერ არ მინახავს.

დიდებული იყო ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისი და გფრ, მაგრამ ამ ორთაბრძოლას აკლდა ის ტემპერამენტი, ტექნიკური ელვარება და არტისტიზმი, რაც „რივერ პლეიტის“ მოედანზე ვიხილეთ.

დიდებული იყო მეხიკოს ფინალი, მაგრამ იქ პირველივე წუთებიდან ყველაფერი ნათელი გახლდათ – იტალია ვერ აჯობებდა ბრაზილიას.

დიდებული იყო წინა ჩემპიონატის ფინალი, მაგრამ გერმანიისა და ჰოლანდიის თამაში ჭადრაკის ფრთხილ პარტიას უფრო ჰგავდა, სადაც ორივე მხარე მოწინააღმდეგის შეცდომას უცდიდა. მთელი თამაშის განმავლობაში მოედანზე არ გაჩენილა ქარიშხლის მაუწყებელი კერები, როგორც ეს იყო ბუენოს-აირესის ფინალურ ორთაბრძოლაში, განსაკუთრებით დამატებით დროში, როცა „რივერ პლეიტის“ მწვანე მოედანზე ნამდვილი გრიგალი მძვინვარებდა. სიტუაციები ელვისებურად იცვლებოდა, ფეხბურთელებს, განსაკუთრებით არგენტინელებს, დაღლა კი არა, საოცარი აღმაფრენა

ეტყობოდათ. სწორედ ამ გრიგალში მთელი შემართებით იჩინა თავი არგენტინელთა ლიდერის, მარიო კემპესის ელვარე ნიჭმა. მისმა თამაშმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ არ არსებობს ფეხბურთი ვარსკვლავების, პიროვნებების გარეშე, მხოლოდ ისინი აძლევენ ფეხბურთს იმ სიმაღლესა და სილამაზეს, რითაც სპორტის ეს უმშვენიერესი სახეობა ხელოვნების თვისებებს იძენს.

არგენტინა ერთ-ერთი უძლიერესი საფეხბურთო სახელმწიფოა. მან არა ერთი და ორი სუპერვარსკვლავი მისცა მსოფლიოს. ვფიქრობ, მარტო დი სტეფანოს, სივორისა და ანჯელილოს სახელების გახსენებაც კმარა. არგენტინელი ფეხბურთელებით იყო სავსე იტალიის, ესპანეთის, ევროპის სხვა ქვეყნების კლუბები.

ამ დროს არგენტინამ ვერცერთ მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ მოახერხა შეეკრიბა სხვადასხვა ქვეყანაში გაბნეული თანამემამულენი, ვერცერთხელ ვერ გამოიყვანა თავისი გუნდი ისე ორგანიზებულად, რომ სერიოზული პრეტენდენტი ყოფილიყო მსოფლიო ჩემპიონობისა.

ახლა კი, როცა მსოფლიო საფეხბურთო ფორუმის მასპინძლები თვითონ იყვნენ, არგენტინელებმა მტკიცედ გადაწყვიტეს, გამოეყენებინათ საკუთარი „კედლების“ უპირატესობა და მთელი სერიოზულობით შეუდგნენ ჩემპიონატისათვის მზადებას.

არგენტინელთა მთავარი მწვრთნელი მენოტი, რომელსაც პელე თავის დროზე „ელეგანტურ ფეხბურთელს“ ეძახდა, წარსულში საკმაოდ კარგი სპორტსმენი იყო. თამაშობდა არგენტინის კლუბებში: „როსარიოში“, „რესინგში“, „ბოკა ხუნიორსში“, შემდეგ კი ბრაზილიის „სანტოსში“ გადავიდა და პელესთან ერთად იცავდა ბრაზილიური კლუბის ღირსებას.

მენოტიმ, როცა არგენტინის ნაკრები ჩაიბარა, ძალზე რისკიანი გზა აირჩია. ის გუნდს 1974 წელს ჩაუდგა სათავეში.

პირველი, რაც გააკეთა – არცერთი ფეხბურთელი არ აიყვანა არგენტინის უძლიერესი გუნდიდან, „ბოკა ხუნიორსიდან“ (ტარანტინი მხოლოდ მას შემდეგ შეიყვანა ნაკრებში, რაც ის „ბოკადან“ სხვა გუნდში გადავიდა). ეს არ იყო მენოტის ჭირვეულობის შედეგი. მისი პირველი მოწინააღმდეგე არგენტინაში იყო ფრიად ავტორიტეტული პიროვნება, არგენტინის ნაკრების მწვრთნელი 1962 და 1966 წლების ჩემპიონატებში, ამჟამად ბუენოს-აირესის და მთელი ქვეყნის უპირველესი გუნდის, „ბოკა ხუნიორსის“ მწვრთნელი ხუან კარლოს ლორენსო.

ლორენსო თავგამოდებული ესხმოდა თავს მენოტის და ქადაგებდა დაცვით, კონტრშეტევებზე აგებულ ძალისმიერ ფეხბურთს.

„თუ ჩვენ უარს არ ვიტყვით რბილ და ტექნიკურ ფეხბურთზე, რასაც ლირიკოსი მაყურებელი რომანტიკულ ფეხბურთს უწოდებს, ვერაფრით ვერ აღვუდგებით წინ ევროპელთა ათლეტურ და რეალისტურ სტილს“, – ამტკიცებდა ლორენსო.

არგენტინელთა ბუნებას არ შეესაბამება ასეთი ფეხბურთი. წესით ლორენსოს ბევრი მოწინააღმდეგე უნდა ჰყოლოდა, მაგრამ „ბოკა ხუნიორსის“ წარმატება (მან წელს საკონტინენტთაშორისო თასიც მოიპოვა არგენტინის მსოფლიო ჩემპიონობის კვალდაკვალ) ოპოზიციონერებს ხელ-ფეხის განძრევის საშუალებას არ აძლევდა.

მენოტი მტკიცედ და ოსტატურად იბრძოდა. სადაც საჭირო იყო, უკანაც იხევდა, ხალხს და სპეციალისტებს არ აღიზიანებდა, მაგრამ თავის პრინციპებს არ ღალატობდა.

ჩემპიონატის წინ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე მენოტის უცერემონიოდ დაუსვეს საკითხი – კონკრეტულად მოგვახსენეთ, გახდება თუ არა არგენტინა ჩემპიონიო; მით უმეტეს,

რაც გსურდათ, ყველაფერი გააკეთეთ, გაქვთ თუ არა თქვენი პრინციპებისა და გუნდის გამარჯვების იმედიო.

„მართალი ბრძანდებით, მე ძირითადად გავაკეთე, რაც მსურდა, – განაცხადა მენოტიმ, – არდილესი ბურთს დიდხანს ატარებდა მოედნის შუაგულში. მე იგი ვაიძულე, გადასჩვეოდა ბურთის გაუთავებელ თრევას. გუნდში დარღვეული იყო ბალანსი დაცვასა და თავდასხმას შორის. ვფიქრობ, ეს ბალანსიც აღვადგინე და გუნდს ვასწავლე დაცვიდან თავდასხმის ორგანიზება და თავდასხმა. ვფიქრობ, საკმაოდ გარდავქმენი ფეხბურთელების ფსიქიკა, გავუღვივე მათ თავდასხმის სიყვარული. იგივე შეიძლება ითქვას მაყურებელზეც, რომელსაც დავუბრუნე ლამაზი ფეხბურთის სიყვარული. მე ჯადოქარი როდი ვარ, დანარჩენი ფეხბურთელებმა უნდა გააკეთონ. მწვრთნელისა და ფეხბურთელების ურთიერთობაში ისეთი დღეებიც დგება, როცა პირველ პლანზე უკვე ფეხბურთელები გამოდიან. გუნდი მზად არის ყველაზე საპასუხისმგებლო გამოცდისათვის. ოღონდ მათ ვაჟკაცობაც უნდა ეყოთ. თქვენს შეკითხვას ახლა პასარელამ და მისმა თანამებრძოლებმა უნდა გასცენ პასუხი“.

მენოტიმ მართლაც ტიტანური და ნერვულად დაძაბული შრომა გასწია. ნაკრები მან 150 ფეხბურთელიდან შეარჩია და დევიზად დაისახა, მთავარია შევინარჩუნო გუნდის სტაბილური შემადგენლობაო. მიუხედავად ამ დევიზისა, ბოლო მომენტში არგენტინელთა მწვრთნელი ცუდ დღეში ჩავარდა. ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი თქვეს გუნდის კაპიტანმა კარასკოსამ და ძირითადმა მეკარემ გატიმ. ამას მეორე უბედურებაც დაემატა: მადრიდის „რეალმა“ არ გამოუშვა ვოლფი, ასევე არ ჩამოვიდა პიაცაც (საფრანგეთის „სენტ-ეტიენი“). ევროპის კლუბებში გაბნეული ფეხბურთელებიდან მხოლოდ მარიო კემპესს არ უთქვამს უარი და ჩამოფრინდა არგენტინაში.

მიუხედავად ბოლო დღეებში შექმნილი ასეთი კრიზისული მდგომარეობისა, მენოტი მაინც არ დაიბნა და თავის პრინციპებს არ უღალატა.

არავინ იცის, როგორ წავიდოდა მისი საქმე, არგენტინა მსოფლიო ჩემპიონი რომ არ გამხდარიყო. ახლა კი მთელი მსოფლიოს ცნობილმა კლუბებმა ნადირობა დაიწყეს მენოტის ხელში ჩასაგდებად.

ფინალური მატჩის შემდეგ ყოველ წუთს რეკავდა მისი ტელეფონი, ხაზზე ხან ერთი კლუბის პრეზიდენტი იყო, ხან მეორე კლუბის ემისარი.

თვითონ მენოტიმ განაცხადა, არ ვიცი, რა გადაწყვეტილებას მივიღებ, ნერვიულობისაგან ისე ვარ გადაღლილი, ჯერჯერობით განსჯის უნარი არა მაქვსო.

მართლაც, მენოტი ყველაზე ნერვიული მწვრთნელი აღმოჩნდა არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე გუნდების მწვრთნელებს შორის. პოლონელებთან შეხვედრის დროს მან 70 სიგარეტი მოსწია. ეს რეკორდი ალბათ ბრაზილიასთან მატჩის დროს დაეცემაო, – წერდნენ ამის თაობაზე გაზეთები.

კიოლნიდან მენოტის წელიწადში 200 ათასი დოლარი შესთავაზეს. მაგრამ ამბობენ, მენოტის გული „ვალენსიისკენ" მიუწევს, სადაც მარიო კემპესი თამაშობსო. არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის მდივანმა და მენოტის დიდმა მეგობარმა რუდოლფო კრალმა გათქვა საიდუმლო და პრესის მუშაკებს განუცხადა, მენოტი მართლა მიდის კიოლნში და მეც თან მივყვები თანაშემწედო. მხოლოდ ჯერ არ იციან, კიოლნის რომელმა კლუბმა დაიყოლია არგენტინელთა მწვრთნელი. მან დაადასტურა თანხა – 200 ათასი დოლარი წლიური გასამრჯელო. ასეთი ჰონორარი მსოფლიოში ჯერ არცერთი მწვრთნელისთვის არ შეუთავაზებიათ.

თვით ეს ფაქტიც მოწმობს, რომ საფეხბურთო სამყარომ აღიარა დღევანდელი მსოფლიო ჩემპიონი – არგენტინის ნაკრები და მისი მწვრთნელი სესარ ლუის მენოტი.

ბევრი ქომაგი ჰყავს ჰოლანდიის ნაკრებს. მათ მიაჩნიათ, რომ ჩემპიონობა ჰოლანდიელებს უფრო ეკუთვნოდათ, ვიდრე არგენტინელებს. ძნელია, ედავო მათ. განსხვავება ამ გუნდებს შორის ისეთი არ ყოფილა, რომ აშკარა და უდავო იყოს არგენტინელთა გამარჯვება. ვთქვათ ისე, როგორც ეს ხდებოდა ხოლმე მაშინ, როცა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ბრაზილია ადიოდა. ყველამ ერთხმად აღიარა ჰოლანდიელთა ძალა. ხუმრობა ხომ არ არის, ზედიზედ ორ ჩემპიონატში მოიპოვო ვერცხლის მედლები და თან ორჯერვე შეიძინო მილიონობით მომხრე, რომლებსაც მსოფლიო ჩემპიონობის უფრო ღირსეულ კანდიდატად მიაჩნიხარ.

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჰოლანდიელთა გუნდის თამაში მძლავრი აგრეგატის მუშაობას ჰგავდა და აკლდა სილამაზე, რაც ასე აშკარად გამოჩნდა არგენტინელებთან მატჩის დროს, ხოლო განსაკუთრებით ნათელი გახდა დამატებით დროში, როცა არგენტინელებმა უპირატესობა მთლიანად იგდეს ხელთ, როცა მოედანზე მეფობდა არა წინასწარ გამიზნული გეგმა, არამედ სქემებს გარეთ გასული, სიტუაციებით ნაკარნახევი იდეები, რისკი, მოულოდნელი გაგრძელებები, ერთი შეხედვით, წამოჭრილი ამოცანის გადაჭრის უჩვეულო, საფეხბურთო ლოგიკას მოკლებული მოქმედება, რომელთა განხორციელების უნარი მხოლოდ ვარსკვლავებს შესწევთ.

რაოდენ მიმზიდველი, ამაღელვებელი და სუნთქვაშემკვრელია ორთაბრძოლა, როცა მოედანზე იდეების ქარიშხალი ტრიალებს, როცა ციე, პრაქტიკულ ანგარიშიანობას – გამოიყენოს მოწინააღმდეგის შეცდომა ან თანმიმდევრულად, ბოლომდე მიიყვანოს თავისი მცირე უპირატესობა – ცელის თავგანწირვა, რისკი, მოულოდნელობა...

ერთი შეხედვით, საფეხბურთო ტაქტიკის თვალსაზრისით, შეიძლება ულოგიკო იყო ბერტონის მოქმედება, როცა იგი ვერ „ამჩნევდა“ გვერდით თავისუფალ პარტნიორს და

თვითონ, დაძგერებული ხარივით, ბურთიანად მიისწრაფოდა ორი მცველისაკენ, მაგრამ რაოდენ ლოგიკური იყო ყველაფერი, როცა ეს ორი მცველი უკან რჩებოდა მოტოვებული. აღარაფერს ვამბობ იმ სილამაზეზე, ამ გარღვევას რომ ახლდა თან. ყოველივე ამის გამო არგენტინელთა გამარჯვება უფრო სამართლიანად მიმაჩნია ამ ჩემპიონატში.

მე, უპირველეს ყოვლისა, ქართული ფეხბურთის გულშემატკივარს, არგენტინელთა გამარჯვება იმიტომაც მახარებს, რომ ის თვისებები, რაც ახასიათებს არგენტინულ ფეხბურთს, უფრო ახლოა ქართველი კაცის ბუნებასთან და, აქედან გამომდინარე, ქართულ ფეხბურთთან.

ჩემი პოზიციის გასამტკიცებლად მინდა ერთი დიდი ავტორიტეტის სიტყვები მოვიშველიო. პელემ თქვა: „ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა არგენტინელთა ახალმა სტილმა. როცა ამას ბრაზილიელი აღიარებს, ეს უკვე ბევრს ნიშნავს. მენოტიმ ინდივიდუალისტებისაგან მტკიცედ და საიმედოდ მოქმედი, თანამედროვე ფეხბურთის ბრწყინვალედ მოთამაშე ანსამბლი შეკრა. მართალია, მათაც ახასიათებთ ნაკლოვანებანი, მაგრამ თამაშის არგენტინული სტილისთვის წინააღმდეგობის გაწევა დღეს ძალზე ძნელია. მისი სიძლიერე და სილამაზე ნათლად გამოვლინდა“.

* * *

ხშირად ამბობენ, „ინგლისური ფეხბურთი“, „იტალიური ფეხბურთი“, თუნდაც „ქართული ფეხბურთი“. შეიძლება ეს ცნებები უფრო დავამსხვილოთ საერთო თვისებების მიხედვით: „ჩრდილოეთის ფეხბურთი“, „სამხრეთის ფეხბურთი“ ან „ევროპული ფეხბურთი“, „სამხრეთამერიკული ფეხბურთი“.

ბუნებრივია, ამ გამოთქმებს აქვთ ლოგიკური აზრი. რასაკვირველია, არსებობს განსხვავება სხვადასხვა საფეხბურ-

თო სკოლას შორის, მაგრამ მათ შორის საერთო მაინც უფრო მეტია, ვიდრე განმასხვავებელი.

ერთადერთი ქვეყანა, რომლის ფეხბურთიც მკვეთრად განსხვავდება სხვა ქვეყნების ფეხბურთისაგან, არის ბრაზილია. აქ მარტო ვირტუოზულ ტექნიკას როდი ვგულისხმობთ, ასე მომადლებული რომ აქვთ ბრაზილიელ ფეხბურთელებს. განსხვავებულია თვით მათი ტექნიკაც, ბურთის ფლობის მანერაც, პასიც, დარტყმაც. განსხვავებულია მათი მოძრაობა და სირბილი მოედანზე. ისინი თითქოს დასიცხული პანტერებივით დაიზლაზნებიან, მაგრამ როგორი გაფიცხება, აფეთქება და კამარის შეკვრა იციან, როცა „მსხვერპლი" ნიშანში ჰყავთ ამოღებული. გავიხსენოთ მათი ორთაბრძოლა პოლონელებთან. რა ქარიშხალი დაატრიალეს მოედანზე, როცა ბურთი ზედიზედ სამჯერ მოახვედრეს ძელს, ხოლო შემდეგ უძლიერესი დარტყმით გაახვიეს მოწინააღმდეგის კარის ბადეში. ტემპერამენტიანი, მაგრამ ობიექტური არგენტინელი მაყურებელი ყველაზე „მტრულად" ბრაზილიის ნაკრებს შეხვდა, მაგრამ ტრიბუნებზე ყოველთვის ქუხდა ტაში, როცა ბრაზილიელები ბურთს ლამის აამღერებდნენ ხოლმე.

საოცარი იმპროვიზაცია, გამომგონებლობა, იდეათა მოულოდნელობა და გამბედაობა, რიტმის ცვალებადობის დიდი უნარი... დაბოლოს, უბრწყინვალესი დარტყმები!

აქამდე ვიცოდით, რომ „ხმელი ფოთოლი" შეიძლება მხოლოდ მაშინ დაარტყა, როცა ბურთი გაჩერებულია. მაგრამ იტლიელებთან ორთაბრძოლაში ჯერ გარღვევაზე გასულმა ნელინიომ უნაკლოდ შეასრულა ეს დარტყმა, შემდეგ კი დირსეუმ ასევე სირბილისას დაატრიალა „ხმელი ფოთოლი". ორივე შემთხვევაში ძოფი უმწეო აღმოჩნდა, მაყურებელი კი ააღელვა და აღაფრთოვანა ამ ორმა ულამაზესმა გოლმა.

მაგრამ... ბრაზილიის გუნდი ისეთი აღარ იყო, როგორიც იგი გვინახავს შვედეთის, ჩილეს და მექსიკის მსოფლიო

ჩემპიონატებში. დიდ წარმატებებს ხომ თვითონ მიგვაჩვიეს ბრაზილიელებმა. აბა, გავიხსენოთ, რამდენი კამათი იყო შვეიცარიაში ჩემპიონის თაობაზე – უმრავლესობას მიაჩნდა, რომ ოქროს ქალღმერთი უნგრეთს უფრო ეკუთვნოდა, ვიდრე გერმანიას; გავიხსენოთ ინგლისის ჩემპიონატი. თუ უმრავლესობას არა, გულშემატკივართა ნახევარს მაინც მიაჩნდა, რომ ამჯერად გერმანელებს უფრო ეკუთვნოდათ ჩემპიონის ტიტული. გავიხსენოთ გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატიც – აქაც უმრავლესობა თვლიდა, რომ ჰოლანდია უფრო ღირსი იყო ასულიყო საფეხბურთო ოლიმპზე და თვით არგენტინის ჩემპიონატი – რომლის ვნებათაღელვაზე უკვე გვქონდა საუბარი.

არასდროს არაფერი არ ყოფილა საკამათო, როცა ჩემპიონები ბრაზილიელები ხდებოდნენ ხოლმე.

ჩემპიონატის წინ ევროპაში შესანიშნავად ითამაშეს ბრაზილიელებმა. კიდევ უფრო შთამბეჭდავად ჟღერდა მათი მწვრთნელის, კლაუდიო კოუტინიოს სიტყვები: ევროპაში ჩემმა ბიჭებმა თავიანთი შესაძლებლობების მხოლოდ 70 პროცენტი აჩვენესო. მაგრამ ჩემპიონატის დასაწყისში ბრაზილიელებმა ცივი წყალი გადაასხეს თავიანთ ქომაგებს.

გაზეთები წერდნენ, ბრაზილიელები ძალზე უკმაყოფილონი არიან ჰონორარით და ასე უხალისოდ იმიტომ თამაშობენო. არ ვიცი, ეს მორიგი საგაზეთო ჭორი იყო თუ სინამდვილე. ფაქტი ერთია: ჩემპიონატის დასაწყისში ბრაზილია არ ჰგავდა გუნდს, რომელსაც შორეული მიზნები ჰქონდა დასახული.

მაგრამ ბრაზილიელები თანდათან აუმჯობესებდნენ თამაშს და მაშინ, როცა სხვა გუნდები უკვე ენერგიის უკანასკნელ მარაგს ხარჯავდნენ მოედანზე, თავისუფლად შეეძლოთ კიდევ ერთი მსოფლიო ჩემპიონატი ჩაეტარებინათ. სამწუხაროდ, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, ისინი მაშინ „გახურდნენ“, როცა ყველაფერი დამთავრებული იყო.

და მაინც, ბრაზილიის გუნდს ჰქონდა სუსტი წერტილები. მას აშკარად აკლდა ისეთი რანგის ლიდერები, როგორებიც იყვნენ ტოსტაო, ჟაირზინიო და... თვით რიველინო – ისეთი რიველინო, მექსიკის ჩემპიონატიდან რომ გვახსოვს. აღარაფერს ვამბობ პელესა და გარინჩაზე. ისინი არათუ ბრაზილიის ნაკრებს, მთელ ჩემპიონატს აკლდნენ.

მიუხედავად ამისა, ბრაზილიელები მაინც მიაღწევდნენ მიზანს, თავდასხმაში რომ ჰყოლოდათ ორი (ან თუნდაც ერთი) კარზე დაგეშილი ფეხბურთელი, თუნდაც ისეთი, როგორიც ვავა იყო. „თეთრ პელედ" მონათლულმა ზიკომ იმედები გაგვიცრუა. მე, პირადად, ადრე მისი თამაში არ მინახავს და არ შემიძლია ავხსნა ბრაზილიელთა იმედის სუსტი თამაშის მიზეზები.

და თუ ბრაზილია თამაშს მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებდა, იტალიელებმა, პირიქით, ფინალურ თამაშებამდე ისე მოხიბლეს მაყურებელი, რომ „სკუადრა აძურა" ჩემპიონობის უმთავრეს კანდიდატად მიიჩნიეს. მაგრამ ჩემპიონატის მეორე ნახევარში გამოუცდელი თვალიც შეამჩნევდა, რომ ისინი ენერგიას ვერ ანაწილებდნენ და შეხვედრის მეორე ტაიმში ძველებურად ვეღარ თამაშობდნენ.

იტალიელები არგენტინაში თავს ისე გრძნობდნენ, როგორც შინ. გავიხსენოთ, რომ არგენტინის მოსახლეობის 40 პროცენტს იტალიელები შეადგენენ. მიუხედავად ამისა, მათ აღარც ენერგია ეყოთ, აღარც ფსიქოლოგიური მომზადება. იტალიელ ფეხბურთელებს სასოწარკვეთა იპყრობდა, როცა ბურთი მათ კარში გადიოდა. გავიხსენოთ თუნდაც მატჩი ჰოლანდიელებთან.

მიუხედავად ამისა, იტალიის ნაკრების წარუმატებლობამ მილიონობით გულშემატკივარს დაწყვიტა გული. ამის უპირველესი მიზეზი იყო არა მარტო მათი სიძლიერე, არამედ ის სილამაზეც, რითაც ასე ხიბლავდა მაყურებელს ბეტეგასა და როსის გუნდი.

* * *

„იგრძნობოდა თუ არა ვარსკვლავების სიმცირე?"

„რა ტაქტიკური სიახლეებით გაამდიდრა ფეხბურთი არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატმა?"

მოდით, ეს ორი კითხვა გავაერთიანოთ, რადგან ისინი ერთმანეთს ერწყმიან. თანაც, გულშემატკივართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ არგენტინის ჩემპიონატი არც ვარსკვლავებით ბრწყინავდა და მას არც ტაქტიკური სიახლეებით გავუოცებივართ.

მე ვერ დავეთანხმები ამ შეხედულებების ავტორებს და აი, რატომ:

ერთი კია, აქ საფეხბურთო აზროვნებასა და ტაქტიკაში ისეთი „რევოლუცია" არ მომხდარა, როგორიც შვედეთის ჩემპიონატზე მოხდა, ბრაზილიელთა ახალი სისტემა 4-2-4 ნამდვილი აღმოჩენა იყო. მას შემდეგ ფეხბურთი ძალზე წინ წავიდა. ახლა ძნელია, ყოველმა ჩემპიონატმა ამ რანგისა და მასშტაბის რეფორმები გამოიწვიოს ფეხბურთში. გულუბრყვილობაა, ყოველ მომდევნო ჩემპიონატში ტექნიკურ თუ ტაქტიკურ რევოლუციას ელოდო.

არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატზე საფეხბურთო აზროვნებაში გადატრიალება არ მომხდარა, მაგრამ სიახლეები იყო, თანაც მნიშვნელოვანი სიახლეები.

უპირველეს სიახლედ, პირადად მე, ის მიმაჩნია, რომ თავისი პრინციპით, ფეხბურთისადმი დამოკიდებულებით ის დაუპირისპირდა წინა, გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატს.

თითქოს სიმბოლურიც იყო: არგენტინისა და ჰოლანდიის ორთაბრძოლა ფინალში ამ ორი ჩემპიონატის პრინციპული პაექრობაც გახლდათ.

რენსენბრინკის ბურთი რომ ძელს არ მოხვედროდა, მაშინ ვნახავდით, ვინ იქნებოდა მსოფლიო ჩემპიონიო. მაშინ

ვნახავდით, ვინ გაიმარჯვებდა ამ ორი ჩემპიონატის პაექრობაშიო, ამბობენ ტოტალური ფეხბურთის მომხრენი.

ასე მსჯელობა არ შეიძლება და თუ საქმეს მაინც ასე მივუდგებით და საკითხების გარკვევას ამ მეთოდებით დავიწყებთ, მაშინ კეთილი ვინებოთ და მთელი ჩემპიონატის განმავლობაში მომხდარი ყველა ის მომენტი გავიხსენოთ, როცა კარი ძელმა იხსნა. ვინ იცის, მაშინ როგორ დატრიალდებოდა ბედის ბორბალი.

მეორეც, რაკი მაინცდამაინც ვებღაუჭებით რენსენბრინკის ამ უიღბლო დარტყმას, თუ ამ მომენტს ობიექტურად აღვადგენთ გონებაში, ჰოლანდიელმა ძალზე უხერხული მდგომარეობიდან გარედან მოარტყა ბურთი ძელს. ეს იყო მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც რენსენბრინკს შეეძლო. ასეთ დროს არ იტყვიან ხოლმე, ძელმა იხსნა მოწინააღმდეგის კარიო.

მაგრამ, ვთქვათ, გასულიყო ეს გოლი. რა მოხდებოდა მაშინ? არგენტინელები დარჩენილი დროის სიმცირის გამო ვეღარ მოასწრებდნენ ბურთის გაქვითვას. აღარ იქნებოდა ის ულამაზესი დამატებითი ტაიმი, რომელმაც მთელი პლანეტის ასეული მილიონობით ადამიანი მოხიბლა და ააღელვა.

ამ გოლით არგენტინის ჩემპიონატი დამთავრდებოდა ძალზე უფერულად, ვნებათაღელვის გარეშე, ხოლო ფეხბურთი კიდევ ოთხ წელიწადს ივლიდა ძველი გზით, ტოტალური ფეხბურთის გზით. კიდევ ოთხი წელი მოხდებოდა ფეხბურთში პიროვნებების, ლიდერების, ბელადების ნიველირება, კიდევ ოთხი წელი საფეხბურთო რომანტიკულ იდეებს მოგუდავდა მკაცრი პრაქტიციზმი და მკაცრი ანგარიში.

და თუ ამ ჩემპიონატში არ იგრძნობოდა ვარსკვლავების სიუხვე, არ მიგაჩნიათ, რომ ეს ტოტალური იდეების ოთხწლიანი ბატონობის შედეგიც არის?

სჯობს შევეშვათ თეორიულ მსჯელობას და დავუბრუნდეთ რეალობას. პრინციპულ პაექრობას გერმანიისა და არ-

გენტინის მსოფლიო ჩემპიონატებს შორის პასუხი გასცა მესამე – დამატებითმა ტაიმმა. აქ შემტევმა ფეხბურთმა თავისი სიტყვა თქვა. არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატი საერთოდ გამოირჩეოდა თავდამსხმელთა სიმრავლით, გუნდებმა ისევ გაიხსენეს ფლანგებიდან იერიში. შემტევი ფეხბურთის ტონის მიმცემად თვით არგენტინელები მოგვევლინენ.

და კიდევ ერთი სიახლე – ძალზე ძლიერი პასები მაშინაც კი, როცა ფეხბურთელი თავის პარტნიორს თუნდაც სულ ახლო მანძილზე აწვდიდა ბურთს. ამაზე ავთანდილ ჭკუასელმა მიგვანიშნა პირველივე მატჩისას. ასეთი ძლიერი გადაცემები ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ ახლა ძალზე გაიზარდა ფეხბურთელების ფიზიკური მომზადება და სისწრაფე. ამიტომ, ბუნებრივია, შეიზღუდა ფეხბურთელის სამოქმედო არე. რბილად გადაწოდებული ბურთების უმრავლესობა მოწინააღმდეგის ლუკმა ხდება. თავის მხრივ, ასეთი ძალით ჩაჭრილი ან გადაწოდებული ბურთის მიღება და შეზღუდულ არეში დამუშავება ფეხბურთელისგან დიდ ოსტატობას მოითხოვს.

სკეპტიკოსთა საწინააღმდეგოდ მე მაინც ვფიქრობ, რომ არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატზე საკმაოდ იყვნენ ვარსკვლავები. თუნდაც ლუკე და ბერტონი, რენსენბრინკი და ნეესკენსი, დირსეუ და ტონინიო, ბეტეგა და როსი, ტრეზორი და არდილესი... (სამწუხარო იყო, რომ არგენტინელმა ლუკემ ბოლომდე ვერ გვიჩვენა თავისი ძალა. საფრანგეთის ნაკრებთან შეხვედრის წინ მან ხელი მოიტეხა. მაგრამ უფრო დიდი ტრაგედია დაატყდა თავს, რომელიც მატჩის დროს არ იცოდა: იმ დღეს მისი ძმა ქალაქგარეთ იმყოფებოდა და მატჩზე დასასწრებად მიისწრაფოდა, გზაში ავტოავარიაში მოჰყვა და დაიღუპა. შემდგომში ამან დიდი დაღი დაამჩნია ლუკეს თამაშს).

კიდევ შეიძლებოდა რამდენიმე ფეხბურთელის ჩამოთვლა, მათ თავში კი მინდა მარიო კემპესი დავაყენო; ან, როგორც

მას ეძახიან, არგენტინელებისა და ესპანელების „საყვარელი ბიჭუნა“.

იქნებ ეს ვარსკვლავები ისე არ კაშკაშებდნენ, როგორც პელე, გარინჩა, ეუსებიო ან ბობი ჩარლტონი, მაგრამ მარიო კემპესი არცერთ სხვა ვარსკვლავს არ ჩამოუვარდება არც თავისი ინდივიდუალური სიძლიერით, არც ტაქტიკური აზროვნებით, არც ბრძოლის წყურვილით, არც ლიდერის თვისებებით და არც არტისტიზმით, ასე რომ ხიბლავს მაყურებელს. ესპანეთში იტყვიან ხოლმე, ამ ტორეადორს ნამდვილი „აფისონი“ აქვსო. „აფისონის“ ცნება გამოხატავს ტორეადორის ნაღდ აღტყინებას, ნაღდ შინაგან ტემპერამენტს, უშუალო, ბუნებრივ არტისტიზმს და უპირისპირდება ყალბ თეატრალობას, ხელოვნურ ვნებათაღელვას. შეიძლება ითქვას, რომ ფინალურ მატჩში ამ „აფისონით“ ბრწყინავდა არგენტინის მთელი გუნდი და, რასაკვირველია, პირველ რიგში მისი ლიდერი – მარიო კემპესი.

კემპესის თამაშის მანერა პელემ დი სტეფანოსას შეადარა, თუმცა ისიც დასძინა, ეს არ ნიშნავს, რომ კემპესი უკვე დი სტეფანოსოდენა ფეხბურთელიაო.

კორესპონდენტი კომენტარს უკეთებს პელეს სიტყვებს და წერს: „მარიო კემპესის გრძელწამწამებიანი თვალებიდან სევდა იღვრება, დი სტეფანოს მაღალი შუბლის ქვეშ განლაგებული თვალები კი ნაპერწკლებს ყრიდაო. მოედანზე არ იგრძნობა ცხოვრებაში ძალზე კეთილი, ხათრიანი, თავდაჭერილი და სანიმუშო ყოფაქცევის ყმაწვილის ხასიათი; ის მთელი მატჩის განმავლობაში იბრძვის გააფთრებული“.

დღეს ვარსკვლავებსაც გაურთულდათ ცხოვრება. ამიტომაც ამბობდა პელე: სათამაშო სივრცეები ისე საგრძნობლად შეიზღუდა, ახლა თამაში თვით გარინჩას და ჟაირზინიოსაც კი გაუჭირდებოდათო.

ისე ამაღლდა ფეხბურთის კლასი, ისეთ კონდიციამდეა მიყვანილი ფეხბურთელთა შესაძლებლობანი, რომ აღარ კმარა, მატჩის განმავლობაში მხოლოდ ეპიზოდებში იყო ვარსკვლავი.

დღეს, უმაღლესი რანგის შეჯიბრებების დროს, ვარსკვლავის ტალანტი ფასდება იმით, თუ მატჩის განმავლობაში რამდენ დროს და მოედნის რა სივრცეზე ახდენს გავლენას მისი თამაში.

ის გუნდის ლიდერი და იერიშების სულისჩამდგმელი უნდა იყოს არა მარტო აღმაფრენის დროს, არამედ ყველაზე უიმედო წუთებშიც.

ამ საზომებით თუ მივუდგებით, მარიო კემპესი მართლაც პირველი ვარსკვლავი იყო არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატისა. კემპესი მოქმედებს მოედნის თითქმის სამ მეოთხედზე, თამაშზე ზეგავლენას ახდენს მთელი მატჩის მანძილზე. არ კარგავს მასშტაბურობას და ვარსკვლავად რჩება მაშინაც, როცა უკან იხევს. კემპესი დაცვაშიც იერიშს იწყებს. ის არა მარტო გრძნობს საგოლე სიტუაციებს, არამედ თვითონაც ქმნის მას.

კემპესმა და მისმა გუნდმა, ჩემი აზრით, სწორი ორიენტირი მისცეს მსოფლიო ფეხბურთს.

არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატში ათი ევროპული გუნდი გამოდიოდა, სამხრეთ ამერიკისა კი – ოთხი. მიუხედავად ამისა, ოფიციალური ანგარიშით ჯერჯერობით წინაა სამხრეთი ამერიკა – 6:5. მაგრამ ზემოთქმულ პროპორციებსაც თუ გავითვალისწინებთ, სამხრეთამერიკელთა უპირატესობა გაცილებით მეტია, ვიდრე ამას მშრალი სტატისტიკა გამოხატავს.

* * *

ბუენოს-აირესიდან მადრიდში 25 ივნისს მივფრინავდით ღამის 11 საათზე. მთელი ქალაქი უკვე დიდი ხანია ქუჩაში იყო გამოსული. რვა მილიონი ადამიანი ხტოდა, ცეკვავდა, მღეროდა, ყვიროდა, 9 ივლისის სახელობის ობელისკისაკენ მიისწრაფოდა, სადაც ბუენოს-აირესში პირველად აღიმართა ეროვნული ალამი.

– კემპესი ხარ? – ვკითხე ფეხბურთის მაისურში გამოწყობილ თორმეტიოდე წლის ბიჭუნას ავტობუსის ფანჯრიდან.

– ნოო, ბერტონი! კემპესი დიდი ფეხბურთელია, მაგრამ მან მიატოვა სამშობლო! – აღგზნებულად მიპასუხა ეროვნული სიამაყით აღსავსე ბიჭუნამ.

ჩვენი ავტობუსი პოლიციის მოტოციკლების ესკორტის თანხლებით მისრიალებდა ბაირესის აეროპორტისაკენ.

მივდიოდით და თან მიგვყვებოდა მუსიკის რიტმები და შეძახილი „არგენტინა, არგენტინა!“

მივდიოდით და მიგვაცილებდა მოფრიალე დროშების მდინარე.

უკან დარჩა მომქანცველი ფრენა ოკეანის თავზე.

და აი, ჩვენ მადრიდში ვართ, ესპანეთის დიდებულ დედაქალაქში; დავსეირნობთ მის ქუჩებსა და პარკებში. ერთმანეთს ენაცვლება პრადო და თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ხოსე ანტონიოს ავენიუ და პლასა მაიორი, ველასკესის ქუჩა და ჰემინგუეის საყვარელი რესტორანი „კასა პაკო“. მაგრამ იმ დღეებში, არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის ცხელ კვალზე, როცა ჯერ კიდევ გვესმოდა დიდი საფეხბურთო ასპარეზობის სუნთქვა, მადრიდის ყველაზე დიდ ღირსშესანიშნაობად, ამავე დროს სიმბოლურ დამთხვევად, მაინც „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონი მივიჩნიეთ.

ყველანი მღელვარებაშეპყრობილნი ვიდექით ამ დიდებული სტადიონის ტრიბუნებზე. აი აქ, ზუსტად ოთხი წლის შემდეგ, ამ ფლაგშტოკზე, საზეიმოდ აფრიალდება მსოფლიოს მეთორმეტე საფეხბურთო ჩემპიონატის ალამი.

* * *

P.S.: როდესაც არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატი დასრულდა და უკანასკნელად შევავლე თვალი „რივერ პლეიტის" დიდებულ ტრიბუნებს, გულდაწყვეტილმა ჩავულაპარაკე კოტე მახარაძეს – „როდის გავა კიდევ ოთხი წელიწადი?"

მართლაცდა, რაოდენ მიმზიდველია სპორტის ეს ულამაზესი სახეობა, რომ ასე გეჩქარება წლების გასვლა.

ჯერ თითქოს გუშინ იყო გერმანიის ჩემპიონატი, რომელმაც ამდენი თავსატეხი პრობლემის წინაშე დააყენა ფეხბურთის მოყვარულებიც და სპეციალისტებიც. ამ პრობლემების გადაჭრას ახლა ველოდით – არგენტინის ჩემპიონატზე. ვფიქრობ (ეს ზემოთ უკვე აღვნიშნე), მსოფლიოს მეთერთმეტე ჩემპიონატმა წინა ასპარეზობის ბევრ შეკითხვას გასცა პასუხი.

ამ ნარკვევში ერთი პატარა ნაწყვეტი მოვიტანე ჩემივე წერილიდან, რომელიც ჟურნალ „განთიადში" გამოვაქვეყნე 1976 წლის მარტში სათაურით „ტოტალური ფეხბურთი?"

არგენტინის ჩემპიონატამდე თითქმის ორწლინახევრით ადრე აშკარად გამოვთქვი სკეპტიკური დამოკიდებულება ტოტალური ფეხბურთის მიმართ. იქვე გამოვთქვი იმედი, რომ არგენტინის ჩემპიონატი და თვითონ არგენტინელები პრინციპულად დაუპირისპირდებოდნენ ძალზე მძლავრ, რაციონალურ, მაგრამ უემოციო და მკაცრი ლოგიკის ჩარჩოებში მოქცეულ ფეხბურთს. მჯეროდა, ისინი დაამტკიცებდნენ, რომ ფეხბურთი ხელოვნებასთან ნაზიარები სპორტის სახეობაა,

ხოლო სადაც ხელოვნებაა, იქ ყოველთვის იმარჯვებს აღმაფრენა, რომანტიზმი, სქემებიდან ამოვარდნილი იდეები... იმარჯვებენ პიროვნებები, ვარსკვლავები, შემოქმედებითი იმპულსებით დამუხტული ადამიანები. თან ამ წერილში მომყავდა არგენტინელი ჟურნალისტის ჩანაწერები, რომელიც ნათლად გვაგრძნობინებს არგენტინელთა დამოკიდებულებას ფეხბურთისა და ფეხბურთელების მიმართ.

ამიტომაც ჩავთვალე მიზანშეწონილად ჩემი წერილის წიგნში შეტანა. თუ რამდენად გამართლდა ჩემი მოსაზრებანი, ამის შეფასება მკითხველისათვის მიმინდვია.

აი ეს წერილიც:

ტოტალური ფეხბურთი?

დღეს მოდაშია დასავლეთგერმანული და ჰოლანდიური ფეხბურთი. თუ რატომ, ვფიქრობ, ამას არ სჭირდება განმარტება. უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატში დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელებმა პირველი ადგილი მოიპოვეს, ჰოლანდიელებმა კი – მეორე. სულ თავისუფლად შეიძლებოდა, პირიქით მომხდარიყო და ამიტომაც, ჰოლანდიურ ფეხბურთს ნაკლები გულშემატკივარი როდი ჰყავს, ვიდრე დღევანდელ მსოფლიო ჩემპიონს. ძალები თითქმის თანაბარი იყო, ტაქტიკაც, თამაშის სტილიც – თითქმის ერთნაირი. ეს უკვე საკმარისი გახდა, რომ მაშინვე „ჩამოეწერათ“ ბრაზილიური და, საერთოდ, სამხრეთამერიკული ფეხბურთი. „მსოფლიო ჩემპიონები დამარცხდნენ“, „მათი ტაქტიკა მოძველდა“ – მსგავს ფრაზებს ხშირად წააწყდებოდით მსოფლიოს სპორტულ პრესაში ბოლო ჩემპიონატის შემდეგ. ოღონდ ამ წერილების, ამ შეფასებების ავტორებს ერთი რამ ავიწყდებოდათ და ახლაც ავიწყდებათ: ბრაზილიელები, მაშინდელი მსოფლიო ჩემპიონები,

გერმანიაში არ დამარცხებულან. დამარცხდა ბრაზილიის სრულიად ახალი გუნდი, რომელშიც მხოლოდ ორი ჩემპიონი თამაშობდა. ე. ი. დამარცხდა სულ სხვა გუნდი, ხოლო პრესა მათი სახელით აკრიტიკებდა „მსოფლიო ჩემპიონებს“, იმ ფეხბურთელებს, რომლებმაც მექსიკაში ასე დაატკბეს გულშემატკივრები და სამუდამოდ მოიპოვეს ოქროს ქალღმერთი. მაშინ მათ სიძლიერეში ეჭვი არავის შეჰპარვია. საერთოდ, როდესაც ბრაზილიელები იმარჯვებენ, მათ უძლეველობაზე ორი აზრი არ არსებობს ხოლმე. ასე იყო შვედეთში, ასე იყო ჩილეში, ასე იყო მექსიკაში.

ფეხბურთს უყვარს პარადოქსები. ამიტომაც არის იგი მომხიბვლელი, საკამათო სპორტი, სადაც არასდროს არაფერი არ არის ხოლმე საბოლოოდ გარკვეული და დაკანონებული. ინგლისის ჩემპიონატში გაიმარჯვეს მასპინძლებმა, ხოლო ბრაზილიელები ქვეჯგუფებიდანაც ვერ გავიდნენ. მაშინვე დაიწყო ანალოგიური კამპანია ბრაზილიური ფეხბურთის წინააღმდეგ. მაშინაც წერდნენ, რომ ბრაზილიურმა ტაქტიკამ, საერთოდ, ბრაზილიურმა ფეხბურთმა ჭირი მოჭამაო. საფეხბურთო მოდის კანონმდებლები გამარჯვების პირველი დღიდანვე გახდნენ ინგლისელები.

მაგრამ... დაიწყო მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატი. ინგლისელები იქ ისევ ძველებური, ჩემპიონური შემადგენლობით და იმავე ტაქტიკით ჩავიდნენ, რითაც ინგლისში ფარ-ხმალი დააყრევინეს ყველას. თავის მხრივ, ბრაზილიელებიც თითქმის ინგლისური შემადგენლობით და ინგლისის ჩემპიონატის შემდეგ „გაკოტრებული“ ტაქტიკური სქემებით ჩაებნენ ბრძოლაში. ჩაებნენ და ტრიუმფით ავიდნენ გამარჯვებულის კვარცხლბეკზე.

რა მოხდა?

მოდა უკან დაბრუნდა?

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დასავლეთ გერმანიის გუნდი მექსიკაში გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე ოთხი წლის შემდეგ, როცა სამშობლოში მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა.

ახლა, როგორც უკვე ვთქვით, მოდაშია დასავლეთგერმანული და ჰოლანდიური ფეხბურთი, რომელსაც ტოტალური ფეხბურთი შეარქვეს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ტოტალური ფეხბურთის პრიორიტეტი მაინც კიევის დინამოელებს ეკუთვნით, რომლებმაც დღეს უკვე მსოფლიო აღიარება მოიპოვეს. კიეველების გამარჯვებათა სერია დააბოლოვა სუპერთასის მოპოვებამ.

ასე რომ, ამჟამად მათ უძლეველობაში ცოტას ეპარება ეჭვი. მაგრამ არგენტინის ნაკრების გამარჯვებამ საბჭოთა ნაკრებთან, ჩემი აზრით, უნდა დააფიქროს გუნდის ხელმძღვანელები. ხომ არ გამოაჩინეს არგენტინელებმა ტოტალური ფეხბურთის სუსტი მხარეები?

რასაკვირველია, არც ეს მარცხი და არც კიევის „დინამოს“ მარცხი საფრანგეთში არ გვაძლევს განზოგადების უფლებას, მაგრამ პირადად ჩემთვის ერთი რამ ხდება ნათელი: ტოტალური ფეხბურთი ზღუდავს ინდივიდუალურ ნიჭს. ტოტალური ფეხბურთი ძალიან მალე ფიტავს ფეხბურთელს. ტოტალური ფეხბურთი მოედანზე ზღუდავს ფანტაზიას, გარკვეულად ზღუდავს პიროვნებასაც.

პიროვნების, ლიდერის, წინამძღოლის გარეშე კი ფეხბურთი კარგავს მომხიბვლელობას. რასაკვირველია, ლიდერები არიან კრუიფი და ბეკენბაუერი, ბლოხინი და ლატო, მაგრამ მათ მაინც აკლიათ რაღაც ელვარება, რაღაც ემოცია, რაც ასე უხვად ჰქონდათ პელეს და ეუსებიოს. მე ინდივიდუალურ სიძლიერეს კი არ ვგულისხმობ, არამედ საკუთარ პლასტებს, რომელსაც ფეხბურთი ხელოვნების სიმაღლეზე აჰყავს. ფეხბურთი მაშინ შეგძრავს სულით ხორცამდე, როცა მოედანზე

ხედავ არა უფანტაზიო, მაგრამ დამჯერ შემსრულებლებს, არამედ რომანტიკოსებს, რომელთა ყოველი მოძრაობა გაგრძნობინებს როგორც მათ ინდივიდუალურ თვისებებს, ისე მათ შინაგან ბუნებასაც.

შეიძლება დღევანდელი ფეხბურთის ტენდენციების ბრალია, რომ საფეხბურთო რეცენზიებში დაიკარგა ფეხბურთელის პიროვნება. ამას წინათ ჩემს ჩანაწერებში წავაწყდი ცალკეული ფეხბურთელების დახასიათებას. ის 1967 წელს გამოქვეყნდა არგენტინის რომელიღაც სპორტულ ჟურნალში. ავტორი წერილს უძღვნის პელეს და ერთმანეთს ადარებს პელეს, ეუსებიოს, ონეგას, ალბერტს, ჩარლტონს, ზეელერს და ბეკენბაუერს.

აი, ეს შედარებანიც:

ეუსებიო და პელე

ეუსებიო ვერაა ისეთი ათლეტი, როგორიც პელეა, თუმცა მოქნილი მოძრაობით კი ჩამოჰგავს მას. უნაკლოა პელეს სირბილიც, დახვეწილი და სრულყოფილი. დროდადრო თითქოს მიცურავს, ხან კი გეგონება – მიიპარებაო, ხან ქარივით დაქრის. თითქოს ფეხებიც საგანგებოდ ფეხბურთის სათამაშოდ აქვს ჩამოქნილი. ეუსებიოზე ამას ვერ ვიტყვით, სირბილის დროს მიწას მთლიანი ტერფით აბიჯებს, რაც გარკვეულად უზღუდავს სისწრაფეს. ... ეუსებიოს აქვს ორიენტაციის უტყუარი გრძნობა ყველაზე ელვისებურ მომენტებში. ამ დროს ის პელეს მოგვაგონებს.

მაგრამ თუ ვილაპარაკებთ მათ როლზე მატჩის წარმართვის საქმეში, პარალელი აღარ გამოგვივა, რადგან ეუსებიო ძალზე ინდივიდუალური ფეხბურთელია. მას არ შესწევს დაცვაში თამაშის უნარი, ვერ მოქმედებს კოლექტიურად და არც თავის გაწირვა შეუძლია თამაშის გადასარჩენად. ეუსე-

ბიო ეპილოგის მოთამაშეა. პელესგან იმით განსხვავდება, რომ მხოლოდ იერიშის დასასრულის დროსაა საშიში. ეუსებიო, პელეს მსგავსად, ყნოსვით გრძნობს საგოლე სიტუაციებს, მაგრამ, ფეხბურთის მეფისგან განსხვავებით, თვითონ ვერ ფლობს მისი შექმნის ხელოვნებას.

...ეუსებიოსთვის გაუგებარია ტაქტიკური გართულებანი, ვერ ქმნის მომენტებს, ცუდი ორგანიზატორია, მაგრამ საოცარი ინსტინქტის წყალობით ძალზე სახიფათო ფეხბურთელად გვევლინება. მისი მოქმედებაც წმინდა ინტუიციურია, კომბინაციების დიდებული დამაგვირგვინებელია და ამ სტადიაში ის პელეს დარია.

...ეუსებიო ძალზე დიდი ფეხბურთელია, მაგრამ პელეს საგრძნობლად ჩამოუვარდება".

ალბერტი და პელე

ფლორიან ალბერტი სიზუსტეში არათუ არ ჩამოუვარდება პელეს, არამედ კიდეც სჭარბობს მას. ალბერტი აღმაფრენის მოთამაშეა, ძალზე ტექნიკური და საშიში, აქვს უძლიერესი დარტყმა და უზუსტესი პასები. კომბინაციებსაც თვითონ იწყებს და თვითონვე აგვირგვინებს. თუ მეგობრები მხარს აუბამენ, პელეზე უკეთესი თამაშიც კი შეუძლია ალბათ. მაგრამ ის ვერ უძლებს ხანგრძლივ ბრძოლას; როცა მისი პარტნიორები ვერ თამაშობენ, ალბერტი კარგავს ბრძოლის უნარს.

ალბერტი და პელე მოედანზე ამინდის შემქმნელები არიან. მაგრამ პელეს გავლენა გაცილებით მეტია, ვინაიდან მეგობრებს გაცილებით უკეთეს მაგალითს აძლევს. პელე გააფთრებული იბრძვის უკანასკნელ წუთამდე, როგორიც უნდა იყოს მატჩის ანგარიში. გასაჭირის დროს უკან ჩადის და თამაშობს, როგორც მცველი. ალბერტი კი მხოლოდ იმიტომ თუ ჩავა უკან, რომ ბურთი მიიღოს. ალბერტის კომბი-

ნაციები უფრო ლამაზია, ვიდრე შავი მარგალიტისა, მანერაც უფრო დახვეწილი. ის ბრაზილიელს შეედრება ნიჭით, სწრაფი აზროვნებით. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ალბერტის ძალას და დინამიკას, მის ზემოქმედებას პარტნიორებზე და არასტაბილური ბრძოლის უნარს, მასშტაბურობას კარგავს.

რომელიღაც ჟურნალისტმა ალბერტს „ფაიფურის მოთამაშე" შეარქვა, ალბათ, მისი ფიზიკური სისუსტის გამო, მაგრამ ის სულიერადაც ვერ არის ძლიერი. ფეხბურთის ნამდვილ მეფეს კი რკინის ხასიათი უნდა ჰქონდეს.

ონეგა და პელე

...ონეგა ბრწყინვალე დრიბლიორია, ის თვით პელესაც გაუწევს მეტოქეობას. მაგრამ პელეს ვერ შეედრება მოძრაობისას ბურთის დაფარვაში.

...თუ ტემპერამენტს გავითვალისწინებთ, პელე გოლიათად მოგვეჩვენება, ონეგა კი – ჯუჯად. პელე რომ ამხელა ფეხბურთელია, მისი ტემპერამენტის დამსახურებაა, იგი ყოველთვის საომრადაა შემართული, მეგობრებს თავგანწირვის საუკეთესო მაგალითს აძლევს და არწივივით მიუძღვის საიერიშოდ. ყველაზე უიმედო წუთებშიც არ ჩაუქნევია ხელი და არ შეჰგუებია დამარცხების სიმწარეს, იბრძვის უკანასკნელ წამამდე.

ონეგა მხოლოდ აღმაფრენის დროსაა დიდი ფეხბურთელი, ხოლო პელეს სიდიადეს მაშინაც იგრძნობ, როცა არ თამაშობს მთელი ძალით. პელე ყოველთვის პელეა, მაშინაც, როცა თამაში არ გამოსდის. ონეგას კი მერყევი ხასიათი არ აძლევს საშუალებას, გახდეს მაღალი კლასის ფეხბურთელი; დიდი წინააღმდეგობის დროს კარგავს ბრძოლის ხალისსა და უნარს. ონეგა ნამდვილი არგენტინელი ფეხბურთელია, ტექნიკური და ნიჭიერი. მის აღმაფრენას შეუძლია გუნდს მოუტანოს გა-

მარჯვება ერთხელ, ორჯერ... მაგრამ ეს იქნება ეპიზოდი მის კარიერაში. ამიტომაც ვერ გახდება ფეხბურთის მეფე.

ზეელერი და პელე

...ზეელერს აქვს უდიდესი ფიზიკური ძალა და უნარიც შესწევს მისი გამოყენებისა. ის იბრძვის მთელ მოედანზე, მაგრამ როდი წვრილმანდება, როდი კარგავს ღირსების გრძნობას. მიუხედავად ფიზიკური სიძლიერისა, არასდროს უხეშობს, ხოლო დაღლილობა სრულებითაც ვერ ამჩნევს დაღს მის თამაშს. პელესთან ზეელერის შედარება მაშინ შეიძლება, როცა ყველაფერი ორთაბრძოლამ უნდა გადაწყვიტოს. ერთი შეხედვით, თითქოს მოედანზე დაუხვეწავად მოძრაობს, მაგრამ დიდებულად თამაშობს უბურთოდ.

...ის გუნდის მესაჭეა, უდიდეს გავლენას ახდენს მოთამაშეების სულიერ მხნეობაზე, მისი საბრძოლო განწყობა გადამდებად მოქმედებს როგორც ფეხბურთელებზე, ისე მაყურებლებზე. ამ დროს ზეელერი პელეს თითქმის არ უდებს ტოლს, ნამდვილი ვარსკვლავია, თუმცა უზადო როდია მისი ტექნიკა. მთლიანობაში კი თამაშის შემქმნელი იქნება ის, შემსრულებელი თუ დამაგვირგვინებელი, პელე ნამდვილი პოეტია, ზეელერი კი უფრო მექანიკური ძალის გამოსახულებაა.

ჩარლტონი და პელე

ბობი ჩარლტონი, მსგავსად თავისი ბრაზილიელი კოლეგისა, პირველი წუთიდან უკანასკნელამდე იბრძვის მოედანზე, ინარჩუნებს საწყის ტემპს და პელეზე მეტ ფიზიკურ ძალასაც ხარჯავს.

ჩარლტონს უნაკლო ტექნიკა აქვს, ორივე ფეხს დიდებულად ხმარობს, რაც საშუალებას აძლევს, მოულოდნელად შეცვალოს შეტევის მიმართულება. გაცილებით უკეთ თამა-

შობს დაცვაში, ვიდრე პელე. თქვენ წარმოიდგინეთ, დაცვით სიტუაციაში ჩარლტონი უფრო საიმედო დასაყრდენია თანაგუნდელებისთვის, ვიდრე პელე. ეს ბუნებრივიცაა, ჩარლტონი უფრო მცველია, პელეს კი თავდამსხმელის სული აქვს. თუ ავიღებთ მთელ მოედანზე მათ გავლენას, ამ მხრივ ჩარლტონი ჩამორჩება ბრაზილიელს. მოედნის სამ მეოთხედზე პელეს გავლენა გაცილებით დიდია, ვიდრე ჩარლტონისა.

...ჩარლტონი დიდებული ფეხბურთელია, მაგრამ არ არის ლიდერი. ლიდერობა ინგლისის ნაკრებში ბობი მურს უფრო ეკუთვნის.

ჩარლტონი მხოლოდ დიდებული მოთამაშეა, რადგან მაინც გარკვეული სქემების ჩარჩოებშია მოქცეული. პელე კი მაღლა დგას ყოველგვარ სქემაზე. ბობი ჩარლტონის ტალანტი დიდია, მაგრამ შეიძლება მისი გაზომვა, პელეს ტალანტი კი განუზომელია.

ბეკენბაუერი და პელე

ფრანც ბეკენბაუერი კატასავით რბილად და ნელა დარბის, მაგრამ ელვისებური ნახტომები აქვს. სწორედ ამ დროს გაიელვებს ხოლმე მისი შესაშური ოსტატობა. მისი სიძლიერე უფრო ტალანტსა და სწორ მოძრაობაზეა დაფუძნებული, ვიდრე ფიზიკურ ძალაზე. ის კარგი ათლეტია, მაგრამ მაინც გაურბის საჰაერო ბრძოლას. ბეკენბაუერი მოედნის შუაგულის მოთამაშეა, სწორედ აქედან იწყება ხოლმე მისი გადასვლა იერიშზე და ამ დროს ისეა რწმენით აღსავსე, როგორც პელე. მისი დიდებული დარტყმები არ გამოირჩევა სიძლიერით, მაგრამ გვხიბლავს სიზუსტით. ოსტატურად არეგულირებს რიტმს, ინტუიციით გრძნობს იერიშის დაწყების მომენტს და მოულოდნელად მოქმედების საოცარი უნარი შესწევს. თუმცა, ასეთი ჩართვა იერიშში, როცა ის შეიძლება პელეს შევადაროთ,

თამაშის განმავლობაში მხოლოდ ოთხჯერ ან ხუთჯერ ხდება. მაგრამ, როცა ბეკენბაუერი უკან იხევს, კარგავს ელვარებას და ჩვეულებრივ ფეხბურთელს ემსგავსება.

...ბეკენბაუერი რაციონალისტი უფროა, ტემპერამენტითა და ინსტინქტით ის გაცილებით ჩამოუვარდება პელეს. ბრდღვინავს მაშინ, როცა გუნდი შეტევაზე მისი ხელმძღვანელობით გადადის, მაგრამ ამ დროსაც არ ჰგავს წინამძღოლს. მისი გავლენაც პარტნიორებზე შედარებით შეზღუდულია, ვინაიდან, როგორც ვთქვით, თამაშის განმავლობაში ოთხ-ხუთჯერ თუ მოგვევლინება ლიდერის როლში. შეტევას ყოველთვის ვერ უდგება სათავეში, რადგან ბუნებით არ არის ლიდერი, ამიტომაც ვერ ახორციელებს თავის სქემას.

შესაძლოა გვითხრან, ბეკენბაუერი ახლა მხოლოდ 20 წლისააო. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 18 წლის პელე უკვე ლიდერი იყო თავისი გუნდისა...

ეს პატარა ნაწყვეტები, რომლებიც აქ მოვიტანე არგენტინელი ჟურნალისტის საკმაოდ ვრცელი წერილიდან, შესანიშნავად ახასიათებს როგორც ცალკეულ ფეხბურთელებს, ისე პელეს. თუმცა პელეზე ცალკე არც კი არის ლაპარაკი. ამ ნაწყვეტებმა კვლავ გამახსენა, რომ მაშინ, როცა მსოფლიოში ბრაზილიური ფეხბურთი ბატონობდა, პლანეტა სავსე იყო სუპერვარსკვლავებით. რამდენი ვარსკვლავი იყო ჯერ მარტო ბრაზილიის ნაკრებში?! პელე, გარინჩა, დიდი, ვავა, ჯალმა და ნილტონ სანტოსები, ბელინი, ზიტო, ამარილდო...

სამწუხაროდ, დღეს საერთოდ გაგვიჭირდება ამდენი ვარსკვლავის ჩამოთვლა.

ბუნებრივად იბადება კითხვა, ყოველივე ამან ხომ არ გამოიწვია, რომ დღეს ასე აყვავდა ტოტალური ფეხბურთი? როდესაც მსოფლიოში ცოტაა უმაღლესი კლასის ვარსკვლავი, მაშინ ხომ არ გამოდის წინა პლანზე რაციონალური

ფეხბურთი, რომლის დროსაც მოედანზე მძლავრი მოტორის რიტმული გუგუნი გვესმის, ხოლო მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი თითქმის მაქსიმალურია?

მაგრამ, ხომ არ დაირღვევა ამ მოტორის მუშაობის რიტმი, როცა მოწინააღმდეგე გუნდში სამი ან მეტი სუპერვარსკვლავი ითამაშებს?

ვფიქრობ, ამ ეჭვს აქვს რეალური საფუძველი.

ვნახოთ... არც ისე შორსაა არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატი.

ასე მთავრდება ჩემი წერილი, რომელიც 1976 წელს გამოვაქვეყნე.

ალბათ დამეთანხმება მკითხველი, რომ სავსებით გამართლდა ჩემი ვარაუდი, გამოთქმული არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატამდე ორწლინახევრით ადრე, მაშინ, როცა ტოტალური ფეხბურთი დიდების ზენიტში იყო.

1978

ფორცა, იჭალია!

ოთხი წლის შემდეგ

ჩემი ესპანური შთაბეჭდილებანი მინდა დავიწყო სიტყვებით, ოთხი წლის უკან რომ დავწერე არგენტინის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის შემდეგ:

მივდიოდით და თან მიგვყვებოდა მუსიკის რიტმები და შეძახილი „არგენტინა, არგენტინა!“

მივდიოდით და მიგვაცილებდა მოფრიალე დროშების მდინარე.

უკან დარჩა მომქანცველი ფრენა ოკეანის თავზე.

და აი, ჩვენ მადრიდში ვართ, ესპანეთის დიდებულ დედაქალაქში; დავსეირნობთ მის ქუჩებსა და პარკებში. ერთმანეთს ენაცვლება პრადო და თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ხოსე ანტონიოს ავენიუ და პლასა მაიორი, ველასკესის ქუჩა და ჰემინგუეის საყვარელი რესტორანი „კასა პაკო“. მაგრამ იმ დღეებში, არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის ცხელ კვალზე, როცა ჯერ კიდევ გვესმოდა დიდი საფეხბურთო ასპარეზობის სუნთქვა, მადრიდის ყველაზე დიდ ღირსშესანიშნაობად, ამავე დროს სიმბოლურ დამთხვევად, მაინც „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონი მივიჩნიეთ.

ყველანი მღელვარებაშეპყრობილნი ვიდექით ამ დიდებული სტადიონის ტრიბუნებზე. აი აქ, ზუსტად ოთხი წლის შემდეგ, ამ ფლაგშტოკზე, საზეიმოდ აფრიალდება მსოფლიოს მეთორმეტე საფეხბურთო ჩემპიონატის ალამი“.

ისიც მაგონდება, ბუენოს აირესის „რივერ პლეიტზე“ ფინალური მატჩის შემდეგ კოტე მახარაძეს რომ გადავულაპარაკე, როდის გავა კიდევ ოთხი წელიწადი-მეთქი.

და, აი, გავიდა ეს ოთხი წელიწადიც. გავიდა ძალზე სწრაფად. უფრო სწრაფად, ვიდრე მანამდე, ახალგაზრდობის დროს რომ გადიოდა. მაგონდება ჩვენგან უდროოდ წასული მეგობარი მწერლის, ედიშერ ყიფიანის სიტყვები: „ცხოვრება იცი, რასა ჰგავს? დაჰკვირვებიხარ, ტაქსიში რომ ჩაჯდები და ერთადერთი მანეთიანი რომ გაქვს? სანამ ორმოცდაათ კაპიკს დაწერს, მრიცხველს არც უყურებ. მერე შეგიმჩნევია, რა სწრაფად ყრის ათკაპიკიანებს?" (როცა ეს სიტყვები ითქვა, გაცილებით იაფი გახლდათ ტაქსით მგზავრობა.)

სამწუხაროდ, მართლაც ასეა, ჩვენი თაობისთვის ახლა უფრო სწრაფად, დაუჯერებლად სწრაფად გარბის წლები. თითქოს გუშინ იყო არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატი. ახლა თვით ესპანეთის ჩემპიონატიც ისტორიის კუთვნილებად იქცა...

* * *

აეროპორტიდან მადრიდისაკენ ნაცნობი ტრასით გავემგზავრეთ. მე საბჭოთა ჟურნალისტებთან და სპეციალისტებთან ერთად ესპანეთში ჩემპიონატის მეორე ნახევარში ჩავედი, მაშინ, როცა, ფაქტობრივად, ნამდვილი ჩემპიონატი იწყებოდა. თუმცა, პირველმა ნახევარმა ისე როდი ჩაიარა, ფეხბურთის სპეციალისტები და გულშემატკივრები რომ ფიქრობდნენ.

ჩემპიონატის დაწყების დღიდან სენსაცია სენსაციას მოსდევდა.

პირველი მატჩი, პირველი სენსაცია: მსოფლიო ჩემპიონმა არგენტინის ნაკრებმა წააგო ბელგიასთან! თუმცა ზოგიერთი შემდგომი მატჩი ისეთი ანგარიშით დამთავრდა, რომ არგენტინელთა პირველი მარცხით გამოწვეული გაოცება გაფერმკრთალდა. გავიხსენოთ მატჩები:

პერუ – კამერუნი 0:0;

ალჟირი – გფრ 2:1;
ესპანეთი – ჰონდურასი 1:1;
ჩეხოსლოვაკია – კუვეიტი 1:1;
პოლონეთი – კამერუნი 0:0;
ჰონდურასი – ჩრდ. ირლანდია 1:1;
იტალია – კამერუნი 1:1.

მსოფლიოს არცერთი ჩემპიონატი არ დაწყებულა ასეთი მოულოდნელი, თითქმის წარმოუდგენელი შედეგებით და... არცერთი ჩემპიონატი არ დამთავრებულა ასეთი მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი გამარჯვებულის გამოვლენით. ჟურნალისტთა, სპეციალისტთა და გულშემატკივართა უმრავლესობას საფინალო ოთხეული ასე ჰყავდა წარმოდგენილი: ბრაზილია, არგენტინა, გფრ და ესპანეთი. იტალია თავიდან არავის გახსენებია. არც თავიდან და არც ქვეჯგუფიდან გასვლის შემდეგ, იმდენად უფერული იყო მათი თამაშიც და შედეგიც: სამი თამაში, სამი ფრე. კამერუნის გუნდს მხოლოდ გატანილი ბურთების რაოდენობით გაუსწრეს – 2:2 (კამერუნელების ბურთების შეფარდება იყო 1:1). ხოლო ბრაზილიის ეროვნული ნაკრები, თანდათან ლაღად რომ შლიდა ფრთებს, უკვე ითვლებოდა ჩემპიონობის პირველ პრეტენდენტად.

მოხდა კი ისე, რომ მიუხედავად საყოველთაო აღიარებისა და სიმპათიისა, ბრაზილია მეორე ქვეჯგუფიდან ვერ გავიდა, ხოლო მასპინძლებმა ისე სამარცხვინოდ დაამთავრეს ჩემპიონატი, რომ ესპანელთა საყვარელი სპორტული კომენტატორი ექტორ დელ მარი, მგონი, სამუდამოდ დაამუნჯეს.

გერმანელთა მარცხმა ალჟირელებთან ჯერ გააოცა მაყურებელი, შემდეგ კი ყველას გაახსენდა, რომ ალჟირელებმა 1964 წელს ერთხელ უკვე დაამარცხეს დასავლეთ გერმანიის ნაკრები, ხოლო არგენტინის ჩემპიონატზე გერმანელებმა ვერც ტუნისელებს მოუხერხეს ვერაფერი. თამაში ფრედ დამთავრდა – 0:0. კანონზომიერია თუ არა დასავლეთგერმანელ-

თა შედეგები აფრიკის გუნდებთან, ამას მომავალი გვიჩვენებს. ფაქტია, რომ მათ საერთოდ გაუჭირდათ ტექნიკური გუნდების წინააღმდეგ თამაში. გავიხსენოთ პენალტებით მოგებული მატჩი ფრანგებთან, როცა ფრანგების უპირატესობა აშკარა იყო.

ერთი სიტყვით, ესპანეთში რომ ჩავედით, ყველაფერი ბურუსით იყო მოცული. მხოლოდ ბრაზილიელთა გამარჯვება არ იწვევდა არავითარ ეჭვს. თუმცა ამ რწმენას რამდენიმე დღეში გულსატკენი გაქარწყლება ელოდა...

* * *

მადრიდიდან ბარსელონაში ავტობუსით გავემგზავრეთ. ექვსასი კილომეტრის გავლას ათი საათი დასჭირდა. ბუნებრივია, ამ დროში ის ერთი საათიც შედის, სადილობას რომ მოვანდომეთ სარაგოსის მახლობლად მდებარე პატარა სოფელში.

დაგვაბინავეს საზღვაო კურორტ კალელაში, ბარსელონიდან ორმოცდათხუთმეტი კილომეტრის მანძილზე.

სასტუმრო „დელამარი“, სადაც ჩვენ მოგვათავსეს, ხმელთაშუა ზღვის პირას მდებარეობს. ერთი სიტყვით, იდეალური პირობები გვქონდა. შუადღემდე პლაჟზე ვისვენებდით, შუადღიდან კი ავტობუსით ბარსელონაში მატჩებზე ან ექსკურსიებზე მივემგზავრებოდით.

სტადიონის ბილეთები პირველსავე დღეს ჩაგვაბარეს, თითოეულს ცხრა-ცხრა ბილეთი. უნდა დავსწრებოდით შემდეგ მატჩებს: პოლონეთი – ბელგია, სსრკ – ბელგია, სსრკ – პოლონეთი, არგენტინა – იტალია, ბრაზილია – არგენტინა, ბრაზილია – იტალია, იტალია – პოლონეთი.

ეს შვიდივე მატჩი ბარსელონის ორ სტადიონზე ჩატარდა, ახალ „ნოუ კამპზე“ და ძველ „ესპანიოლზე“. მატჩი მესამე ადგილისათვის უნდა გვენახა ქალაქ ალიკანტეში, ხოლო

ფინალი, რიგით მეცხრე მატჩი, მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუს“ სახელგანთქმულ სტადიონზე. დანარჩენი მატჩები ტელევიზიით ვნახეთ. თავშივე უნდა ვთქვა, რომ ესპანეთის ტელევიზია შესანიშნავად მოემსახურა ფეხბურთის გულშემატკივრებს. რამდენჯერმე მეორდებოდა თითოეული მატჩის შეკუმშული ვარიანტი. შემდეგ იყო თემატური გადაცემები, ვთქვათ, ჩემპიონატის ყველა გოლი და ჩვენ სულ რაღაც ნახევარი საათის განმავლობაში საშუალება გვეძლეოდა, გვენახა ესპანეთის სტადიონებზე გატანილი ყველა გოლი. იხსენებდნენ ისტორიასაც, მოწინააღმდეგე გუნდების ადრინდელი შეხვედრების ვიდეოფირებიც უხვად ჰქონდათ მომარაგებული. ერთი სიტყვით, მთელი ესპანეთი ფეხბურთით სუნთქავდა და ცხოვრობდა.

ჩემი შთაბეჭდილებანი ძირითადად იმ თამაშებს მოიცავს, რომლის უშუალო მოწმე და მნახველიც ვიყავი. დასკვნებს, რასაკვირველია, მთლიანი შთაბეჭდილებიდან გამოვიტან. ეს შთაბეჭდილებანი ნაწილობრივ უშუალოა, უმეტესწილად კი ტელევიზიით ნანახი მატჩებითაა შევსებული.

ერთს კი დავძენ: ბუნებრივია, ცხრა მატჩი ძალზე ცოტაა ორმოცდათორმეტ მატჩთან შედარებით, ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე რომ ჩატარდა, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ვნახეთ ჩემპიონატის ყველა, თუ შეიძლება ასე ითქვას, საკვანძო და დამამშვენებელი ორთაბრძოლა (გარდა ერთისა, საფრანგეთი – გფრ), რომლებმაც განსაზღვრა ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის დონე, სახე და ძირითადი ტენდენციები.

ბუნებრივია, უშუალოდ სტადიონზე ყოფნა, საფეხბურთო ციებ-ცხელებით შეპყრობილ ქვეყანაში გატარებული დღეები, სპეციალისტებთან, ჟურნალისტებთან და ძველ, მსოფლიოში სახელგანთქმულ ფეხბურთელებთან ტრიალი, ათასგვარი ინტერვიუები, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ათიათასობით

გულშემატკივართან კონტაქტი, ტრიბუნებზე გაჩაღებული „სამბა“ და გულშემატკივართა შეჯიბრი, გამარჯვებულთა დღესასწაულები, სტადიონის ტრიბუნებიდან ქუჩაში რომ გადაინაცვლებდა ხოლმე, მსოფლიოს სახელგანთქმული ფირმების ათასგვარი სარეკლამო ხერხების ფოიერვერკი, ჩემპიონატისადმი მიძღვნილი სუვენირებით გამოტენილი ქუჩები, ცხენოსანი პოლიციით, საგზაო პოლიციით და არმიით ალყაშემორტყმული სტადიონები (იჩხრიკებოდა ყველა ჩანთა, რომ იარაღი არავის გაეპარებინა), სტადიონების თავზე სარეკლამო დირიჟაბლებისა და ტრანსპარანტგამობმული თვითმფრინავების ტრიალი ქმნიდა რაღაც საოცარ, ენით აუწერელ საზეიმო განწყობილებას.

ეს დიდებული, ემოციითა და დაუვიწყარი აღმაფრენით აღსავსე დღეები ქმნიან ერთ მთლიან, ამაღლებულ განწყობილებას და მთელ ჩემპიონატსაც ისე აღიქვამ, როგორც ერთ დიდ, ვნებათა ღელვით, მძაფრი დრამატიზმით აღსავსე მუსიკალურ ნაწარმოებს.

ამიტომაც გეუფლება ისეთი განწყობილება, თითქოს მთელი შენი არსებით შეიგრძენი ჩემპიონატი, თითქოს უშუალო მონაწილე იყავი ყოველი მატჩისა, ყოველი საფეხბურთო ბატალიისა და ამ ორთაბრძოლებთან დაკავშირებული ყოველგვარი მოვლენისა.

წელან ჩემპიონატი მძაფრი ვნებათა ღელვით და დაძაბული დრამატიზმით აღსავსე მუსიკალურ ნაწარმოებს შევადარე. არ ვიცი, რამდენად სწორია ან გასაგები ჩემი შედარება. ერთი კია, ყველა ჩემპიონატი, რომელიც მე ვნახე, ასე დამოუკიდებელ მთლიანობად, ერთ შეკრულ ნაწარმოებად დარჩა ჩემს ცნობიერებაში.

* * *

ესპანურ შთაბეჭდილებებს რომ ვწერდი, ირაკლი აბაშიძემ ლექსი გამოაქვეყნა ჟურნალ „მნათობში“. ლექსის სათაურია „ქართული ლექსი კოლუმბის ძეგლს ბარსელონაში“. აი, რამდენიმე სტრიქონი ამ ლექსიდან:

მთელ მსოფლიოში
ყველა ძეგლზე
შენ ხარ მაღალი, –
შენ ხარ მონბლანი,
შენ ხარ უშბა,
შენ ხარ ყაზბეგი!
ქვემოთ გუგუნებს ნოემბრული
ზღვა, რქანაყარი,
შენ კი მეშვიდე ცაში გტყორცნის
შენი კვარცხლბეკი.

ირაკლი აბაშიძის ლექსი შემთხვევით არ გამხსენებია. ქრისტეფორე კოლუმბის შესანიშნავი, მრგვალი, მაღალი კვარცხლბეკით ცაში ატყორცნილი ძეგლი ამშვენებს ბარსელონის პორტს. იქვე ტალღებზე ირწევა ქრისტეფორე კოლუმბის მემორიალური კარაველა „სანტა მარია“.

არ ვიცი, რამდენად სწორია ირაკლი აბაშიძე, იქნებ ქრისტეფორე კოლუმბის ძეგლი მართლაც ყველაზე მაღალია მსოფლიოში.

ერთი კია, ბარსელონას შუაზე კვეთს ძალზე გრძელი პროსპექტი, მისი სახელობის დიაგონალი (ქრისტეფორე კოლუმბის ძეგლიდან ბულვარ რამბლას გავლით პირდაპირ აღმოჩნდებით დიაგონალის შუა წელზე. რამბლა ისეთივე ადგილია ბარსელონაში, როგორც, ვთქვათ, პიგალი პარიზში ან სოჰო ლონდონში).

მთელი ორმოცი წლის განმავლობაში დიაგონალს გადარქმეული ჰქონდა სახელი. მის ფირნიშებზე საგანგებოდ იყო ამოტვიფრული „გენერალისიმუს ფრანკოს პროსპექტი".

ფრანკო მოკვდა, პროსპექტს კვლავ ძველი სახელი დაუბრუნეს – დიაგონალი. მაგრამ ცხენზე ამხედრებული გენერალისიმუსის ქანდაკება ისევ დგას დიაგონალის ბოლოს, ქალაქის ამაღლებულ ნაწილში. თურმე დიქტატორს სურდა, თვითონ უფრო ახლოს ყოფილიყო ცასთან და ღმერთთან, ვიდრე ქრისტეფორე კოლუმბი.

ოთხი წლის წინ მადრიდში ვკითხე საბჭოთა საელჩოს წარმომადგენელს იგორ ივანოვს, ფრანკოს სიკვდილის შემდეგ ხალხი რას ამბობს-მეთქი. – ხალხმა იგი ისე სწრაფად დაივიწყა, თითქოს არც ეარსებოსო, მომიგო მან.

ფრანკო დაივიწყეს, მაგრამ გარკვეულმა წრეებმა როდი დაივიწყეს მისი საქმეები. დიქტატორის დაკრძალვის დღეს ორასათასიანმა ბრბომ ფრანკოს იდეებისადმი ერთგულების ფიცი დადო.

პიკასოს „გერნიკა", მხატვრის სურვილის თანახმად, ესპანეთში ჩაიტანეს და სახელგანთქმულ პრადოში გამოფინეს. დიდმა მხატვარმა ანდერძში ასე დაიბარა (ისედაც არაერთხელ ჰქონდა იგივე აზრი გამოთქმული): „გერნიკა" ესპანეთში მხოლოდ მაშინ ჩაიტანეთ, როცა ფრანკო მოკვდება და ჩემს სამშობლოში ნამდვილი დემოკრატია აღდგებაო.

მისი სურვილი შესრულდა. „გერნიკა" უკვე პრადოშია.

სანამ ურემი გადაბრუნდებოდა...

ესპანეთში მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ადრე საქართველოს ტელევიზიის სპორტულმა რედაქციამ ინტერვიუ ჩამომართვა. მკითხეს, რა აზრისა

ვიყავი საბჭოთა კავშირის ნაკრების შესაძლებლობაზე, მივიჩნევდი თუ არა მას საპრიზო ადგილების პრეტენდენტად.

მაშინ კატეგორიულად განვაცხადე, საბჭოთა კავშირის ნაკრები ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოხვდება პირველ ოთხეულში-მეთქი. თან, ხანმოკლე ინტერვიუში შევეცადე დამესაბუთებინა ჩემი მოსაზრება.

„საბჭოთა კავშირის ნაკრები, – ვთქვი მე, – არის მექანიკური ნაკრები. ხაზს ვუსვამ, – მექანიკური ნაკრები, ვინაიდან ნაკრების მწვრთნელი კონსტანტინ ბესკოვი გუნდისათვის ფეხბურთელებს არჩევდა და არჩევს მხოლოდ ერთი პრინციპით: ვინ თამაშობდა წინა სეზონში ან მიმდინარე სეზონში სხვებზე უკეთ.

მთავარი მწვრთნელის პოზიცია და დამოკიდებულება ფეხბურთისადმი არასდროს არ იგრძნობოდა, ვერ გავიგეთ, როგორი ფეხბურთის მომხრეა იგი, რა მიაჩნია დღევანდელი ფეხბურთის უმთავრეს პრინციპებად. არც ის იგრძნობოდა, რა ტიპის ფეხბურთელები მიაჩნდა ეტალონად, ან ამ ეტალონთან მიახლოებულად. ერთი სიტყვით, ყოველთვის გაუგებარი იყო მისი კონცეფცია. ამიტომ ფეხბურთელების შერჩევა არ ეყრდნობოდა რაიმე გარკვეულ პრინციპს, პოზიციას და ფეხბურთისადმი დამოკიდებულებას.

ვთქვათ, შარშან ანდრეევმა (ან ვინმე სხვამ) ბევრი გოლი გაიტანა, ესე იგი, უნდა თამაშობდეს ნაკრების შემადგენლობაში. მაგრამ რამდენად ემორჩილება ის მწვრთნელის პრინციპებს? არის თუ არა იმ სტილის ფეხბურთელი, რომელიც შეესატყვისება მწვრთნელის კონცეფციას? ან შეესატყვისება თუ არა მისი თამაში პარტნიორების თამაშის მანერას?

როდესაც სესარ ლუის მენოტიმ შეადგინა არგენტინის ნაკრები, სპეციალისტების წინაშე წარდგა თავისი საფეხბურთო კონცეფციით. მან ნაკრებში არ შეიყვანა ბეუნოს-აირესის უძლიერესი საფეხბურთო კლუბის „ბოკა ხუნიორსის“ არცერ-

თი ფეხბურთელი, რადგან მიაჩნდა, რომ მისი საფეხბურთო პოზიცია აშკარად არ ეთანხმებოდა „ბოკა ხუნიორსის“ მთავარი მწვრთნელის, ხუან კარლოს ლორენსოს აღზრდილთა თამაშის მანერას.

ლორენსო პრინციპულად წინააღმდეგი იყო მენოტის შემტევი სტილისა. ის კვლავ ერთგული რჩებოდა დაცვითი, კონტრშეტევებზე აგებული ძალისმიერი ფეხბურთისა. „თუ ჩვენ უარს არ ვიტყვით რბილ და ტექნიკურ ფეხბურთზე, – ამბობდა იგი, – რასაც ლირიკოსი მაყურებელი რომანტიკულ ფეხბურთს უწოდებს, ვერაფრით ვერ აღვუდგებით წინ ევროპელთა ათლეტურ და რეალისტურ ფეხბურთს“.

დიახ, ამ ორ მწვრთნელს შორის და, საერთოდ, ორ ბანაკად გაყოფილ სპეციალისტთა პოზიციებს შორის ცხარე ბრძოლა მიმდინარეობდა, ორივე ბანაკს თავისი ჩამოყალიბებული და ნათელი პოზიცია ჰქონდა, ერთს შეიძლება მცდარი, მეორეს – სწორი, მაგრამ მაინც ნათელი და ჩამოყალიბებული პოზიცია.

აი, ასეთი გამოკვეთილი პოზიცია აკლდა ბესკოვს. პირადად ჩემთვის დღესაც გაუგებარია მისი საფეხბურთო კრედო. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ბესკოვი განსაკუთრებულ პრინციპულობას იჩენდა ისეთი ფეხბურთელების წინააღმდეგ, როგორებიც არიან მიხეილ მესხი, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი.

ერთიც უნდა ვთქვათ: ბესკოვს არ ჰქონია მაინცდამაინც დიდი არჩევანი, მაგრამ რაც ჰქონდა, ვფიქრობ, ისიც ვერ გამოიყენა.

ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, მჯერა, საბჭოთა ნაკრები ვერ გავა საპრიზო ოთხეულში“.

აი, ეს განვაცხადე ჩემპიონატის დაწყებამდე ორწუთიან ინტერვიუში.

ტელევიზიის ხელმძღვანელობამ მაშინ მიზანშეუწონლად ჩათვალა ინტერვიუს ეთერში გაშვება. მეც დავეთანხმე მის სამართლიან გადაწყვეტილებას. არ შეიძლება ჩემპიონატის წინ ფეხბურთელებს გზა დაუნავსო. რედაქციამ ჩანაწერი შეინახა და მითხრა, თუ შენი პროგნოზი გამართლდა, ჩემპიონატის შემდეგ გადავცემთო.

სამწუხაროდ, გამართლდა ჩემი სიტყვები. ხოლო ახლა, ჩემს მაშინდელ ნათქვამს კიდევ ერთს დავუმატებდი. კამერუნის, კუვეიტისა და ჰონდურასის გუნდებმა, აღარაფერს ვამბობ ალჟირელებზე, მიუხედავად იმისა, რომ არ ეყოთ არც ფიზიკური მომზადება და არც სატურნირო გამოცდილება, მაინც მოიპოვეს მაყურებლის სიმპათია ტექნიკური და ლამაზი თამაშის გამო.

საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, სამწუხაროდ, ვერც ასეთი სიმპათია დაიმსახურა.

სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ ბრაზილიელებთან თამაშის შემდეგ საბჭოთა გუნდმა მოიპოვა საკმაო აღიარება. ეს ბუნებრივიც იყო. ბრაზილია ჩემპიონატის აღიარებული ფავორიტი გახლდათ და მასთან კარგი თამაში უკვე დიდ რამეს ნიშნავდა.

მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ უცხოელები, რომლებიც კარგად არ იცნობდნენ საბჭოთა ნაკრებს, ბრაზილიელებთან მშვენივრად წარმართულ თამაშს შეიძლებოდა შეეცდინა.

ჩვენ რაღა დაგვემართა?

ბრაზილიელებთან მატჩის შემდეგ ჩვენი პრესა, სპეციალისტებიც, ჟურნალისტებიც და სპორტული კომენტატორებიც ერთბაშად განეწყვნენ ძალზე ოპტიმისტურად. თუმცა, ოპტიმიზმის ნაკლებობას ვერც ბრაზილიელებთან თამაშამდე ვუსაყვედურებდით.

რამ დაბადა ეს უსაფუძვლო ოპტიმიზმი?

შევეცდები მოკლედ ავხსნა მისი მექანიზმი.

ბრაზილიელებთან ჩვენმა ფეხბურთელებმა მართლაც შესანიშნავად ითამაშეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს, უპირველეს ყოვლისა, თვით ბრაზილიელების „დამსახურება“ იყო. ბრაზილიელთა თამაშის მანერას ადრეც ვიცნობდით და ესპანეთის ჩემპიონატის შემდგომ მატჩებში ხომ კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ისინი მოწინააღმდეგეს ხელს არ უშლიან თამაშში, აცლიან ბურთის მიღებას (მკითხველო, გთხოვთ, კარგად დაიმახსოვროთ – ბურთის მიღებას, რაც ასე უჭირდათ ჩვენს თავდამსხმელებს შემდგომ მატჩებში).

შემდეგ გავიხსენოთ რამაზ შენგელიას სწრაფი გასვლა და ნაღდი პენალტი, როცა ესპანელი მსაჯის, კასტილიოს სასტვენი უსამართლოდ დუმდა. გავიხსენოთ აგრეთვე ოდნავ უფრო საყოყმანო პენალტი მეორე ტაიმში. პირველი პენალტის მიუცემლობის შემდეგ მსაჯის მიერ თეთრმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმის დანიშვნა ეჭვს აღარ იწვევდა. მსაჯის სასტვენი კვლავ დუმდა.

ბუნებრივია, ამ სიტუაციებმა შექმნა ილუზია, რომ ჩვენ შეგვეძლო დაგვემარცხებინა ბრაზილიის უძლიერესი ნაკრები. მაგრამ ეს ილუზია არ უნდა დაუფლებოდა სპეციალისტებს, სპორტულ ჟურნალისტებს, კომენტატორებს.

რატომ ვერ გავითვალისწინეთ, როგორი ბურთი გაუვარდა ხელიდან ბრაზილიელთა მეკარე პერესს, რითაც მან პენალტის სამაგიერო საჩუქარი მიართვა საბჭოთა ნაკრებს.

რატომ ვერ გავითვალისწინეთ მათი უბრწყინვალესი, თითქმის ზღვრამდის მისული ტექნიკა, გადაცემათა საოცარი სიზუსტე და შეუდარებელი დარტყმები? გავიხსენოთ სოკრატესის მიერ ულამაზესი და უძლიერესი, მოჭრილი დარტყმით გატანილი გოლი მარცხენა ცხრიანში, შემდეგ ედერის „ხმელი ფოთოლი“... უწინ დიდის ცნობილ „ხმელ ფოთოლს“ ურტყამდნენ მხოლოდ გაჩერებული ბურთით. არგენტინაში

ნელინიომ და დირსეუმ იტალიელთა კარგი ბურთები კვლავ „ხმელი ფოთლით“ გაიტანეს, ოღონდ დაარტყეს მოძრავ ბურთს გარღვევაზე შეჭრილებმა. ამჯერად ედერმა „ხმელი ფოთოლი“ დაარტყა მაშინ, როცა ბურთი ჰაერში იყო. თვითონ საბჭოთა მეკარე რინატ დასაევი წერს: „ედერმა ჩვენს მცველებს შორის ისე მარჯვედ, ტყვიასავით „ისროლა“ ბურთი, რომ მან ჩემ თვალწინ სფეროსებური ელვასავით გაკვესა და წამის რაღაც მეასედში ძელის გვერდით გაეხვია ბადეში“.

სამართლიანად წერს „კომსომოლსკაია პრავდაში“ ს. სერგეევი: „შენგელიას მოცელვისათვის პენალტი რომ მიეცათ, ბრაზილიელები უფრო ადრე გამოცოცხლდებოდნენ და გადმოვიდოდნენ შეტევაზე. ვიმეორებ, დაცვაში გმირული თამაშისა და თავგანწირვის მიუხედავად, სრულიად დამსახურებულად წავაგეთ. თუმცა ეპიზოდური მომენტები ილუზორულ შთაბეჭდილებასაც შეუქმნიდა მაყურებელთა გარკვეულ ნაწილს...“

დიახ, ილუზია შეიქმნეს იმით, თუ რა გააკეთეს ჩვენებმა, მაგრამ არ გაითვალისწინეს ის, თუ როგორი ფეხბურთი გვიჩვენეს ბრაზილიელებმა.

არ შეადარეს ჩვენი ტექნიკა მათ ტექნიკას, ჩვენი თამაშის ორგანიზაცია – მათ ორგანიზაციას, ჩვენი დარტყმები – მათ დარტყმებს, ჩვენი ბურთის მიღება – მათ მიღებას, ჩვენი პასი – მათ პასს.

ბურთის მიღება-დამუშავებისათვის საბჭოთა ფეხბურთელებს ხშირად სამჯერ (თუ მეტჯერ არა) მაინც სჭირდებოდათ ბურთთან შეხება და აქედან გამომდინარე, იკარგებოდა შეტევისათვის მნიშვნელოვანი წამები.

თუ წამების ასეთი დაკარგვა კიდევ ასატანია ჩვეულებრივ ჩემპიონატებზე და ნაკლებ მნიშვნელოვან მატჩებში, მსოფლიო პირველობაზე ყოვლად შეუწყნარებელია და საბედისწერო.

ესპანეთის ჩემპიონატზე განსაკუთრებით იგრძნობოდა გადაცემის, პასის მიზანდასახულობა. რასაკვირველია, ვგულისხმობ მაღალი კლასის გუნდების მატჩებს. თითქმის ყოველ გადაცემას თან ახლდა იდეა, იერიშის გაგრძელების კარგად დანახული შესაძლებლობა, სახიფათო მომენტის შექმნის პერსპექტივა.

სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით საბჭოთა ფეხბურთელების გადაცემებზე. მათ თითქოს საერთოდ დაივიწყეს გრძელი, დიაგონალური გადაცემები. ბურთს ძირითადად აწოდებდნენ უახლოეს პარტნიორს. იშვიათი იყო პასი, რომელიც შეიძლებოდა ჩაგვეთვალა „დამანგრეველი მიწისძვრის“ ეპიცენტრად. განა სასაცილო არაა, რომ ჩვენი მწვრთნელები (ეს საერთო სენია საბჭოთა ფეხბურთში) ითვლიან, რამდენი ზუსტი პასი გამოუვიდა ფეხბურთელს და ამის მიხედვით აფასებენ მისი გადაცემების ხარისხს?! ამიტომაცაა, რომ ფეხბურთელები თავს არიდებენ გრძელ პასებს, ბურთს ძირითადად აწოდებენ გვერდით მდგომ პარტნიორს, ან გზავნიან უკან, სადაც თანაგუნდელი ყოველთვის თავისუფალი ეგულებათ.

კი, ბატონო, ვთქვათ, ფეხბურთელის ყველა გადაცემა ზუსტი აღმოჩნდა, მაგრამ კმარა ეს?

ამ „ზუსტმა“ გადაცემებმა გაამძაფრა თამაში? სიტუაცია?

ჰქონდა მათ იდეა? ჰქონდა სიმწვავე?

და საბოლოოდ, მოჰყვა რაიმე შედეგი?

ილუზია, რომელიც ნაწილობრივ ესპანეთის ჩემპიონატის დაწყებამდე (გავიხსენოთ ბესკოვის სიტყვები, ჩვენი ნაკრები შვიდ თამაშს ითამაშებსო) და, განსაკუთრებით, ბრაზილიის ნაკრებთან თამაშის შემდეგ შეიქმნა, თითქმის მთლიანად დაიმსხვრა შოტლანდიელებთან შეხვედრისას (უფრო ადრე – ახალზელანდიელებთან). მართალია, მატჩი 2:2 დამთავრდა, რამაც საბჭოთა ნაკრები ქვეჯგუფიდან გაიყვანა, მაგრამ მოედანზე არ იყო ის გუნდი, ნახევარფინალურ ჯგუფში

მოხვედრას რომ იმსახურებდა. ამას მოჰყვა ძალზე უფერული თამაში ბელგიელებთან, მართალია, თამაში 1:0 მოვიგეთ, მაგრამ ბელგიელებმა თითქმის ყველა რგოლში დაგვჯაბნეს. დაბოლოს, ყოვლად უფერული თამაში პოლონელებთან...

ნაკრები, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა შვიდი თამაშის, ე. ი. ფინალურ ჯგუფში მოხვედრისა, მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ არ უნდა ურტყამდეს კარში, თანაც უხეიროდ და უშედეგოდ.

ურემი გადაბრუნდა...

გზაც გამოჩნდა...

გამოჩნდა ცხადად, გარკვევით, ნათლად.

აღარ დაგვიტოვა მიზეზი ეჭვისათვის, მხრების აჩეჩვისათვის.

გზაც გამოჩნდა და კრიტიკაც აგორდა, აზვირთდა.

ვ. პონედელნიკის, ე. მალოფეევის, ვ. ემეცის, ვ. ივანოვის, ხ. ოგანესიანის, გ. კაჩალინისა, სხვათა და სხვათა სამართლიანმა კრიტიკულმა მოსაზრებებმა სამწუხარო სურათი ნათლად და მკაფიოდ დაგვიხატა.

მაგრამ მე მინდა ერთი შეკითხვა დავუსვა ყველას: სად იყვნენ აქამდე? რატომ ელოდნენ ურმის გადაბრუნებას? გზა ხომ მაშინაც კარგად ჩანდა, სანამ ურემი გადაბრუნდებოდა?

აი, რა გაცხარებული წერენ „ნედელიაში" ვასილი ხომუსკოვი და ედუარდ ცერკოვერი: „სხვათა შორის, ძალიან ბევრი ხომ არაა სამი მწვრთნელი? იქნებ ტრიუმვირატშიც (იგულისხმებიან კ. ბესკოვი, ვ. ლობანოვსკი და ნ. ახალკაცი – გ. ფ.) არ იყო თანხმობა, ვინაიდან ყოველი მათგანი „თავის ფეხბურთს" ქადაგებდა?

და კიდევ რამდენიმე შეკითხვაც: აუცილებელია, რომ გუნდს თან ახლდნენ და ართობდნენ კინოს და ესტრადის ოსტატები? უკეთესი არ იქნებოდა, მათ მაგივრად ჰყოლოდათ ფსიქოლოგი და ნევროპათოლოგი? ერთ-ერთ ანგარიშში

ამაღელვებლად იყო აღწერილი სევილიაში ჩვენი ფეხბურთელების მეუღლეების ჩასვლა. მაგრამ იქნებ უფრო სასარგებლო ყოფილიყო ფეხბურთელებისათვის შინაურული კი არა, საქმიანი ატმოსფერო შეგვექმნა?"

შეიძლება ავტორთა ხსენებულ წერილში და, კერძოდ, მოტანილ ციტატაში ბევრი რამ სწორი იყოს, მაგრამ გაცხარებული ისეთ ამბებზეც დავობენ, რაშიაც ვერ დავეთანხმებით.

მე ბევრჯერ ვყოფილვარ ფეხბურთელებთან ერთად საპასუხისმგებლო მატჩების წინ ჩვენშიაც და საზღვარგარეთაც და კარგად ვიცი, სწორედ ძალზე საქმიანი ატმოსფერო როგორ ძაბავს და ანერვიულებს თითოეულ ფეხბურთელს. როცა ესპანეთიდან უკან ვბრუნდებოდით, თვითმფრინავში ვ. კოლოსკოვმა თქვა, ჩვენი სპეციალისტების მიერ 30 დისერტაციაა დაწერილი ფეხბურთელთა ფსიქოლოგიური მომზადების თაობაზეო. სამწუხაროდ, ამ დისერტაციებიდან ვერაფერი გამოიყენეს სულაქველიძის, ბალტაჩას, შენგელიას და ბალის დასამშვიდებლად, რომლებსაც მთელი ღამეები არ ეძინათ.

დიახ, ახლა ყველა აკრიტიკებს საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებს. ძირითადად, სამართლიანად, შიგადაშიგ უსამართლოდაც.

მაგრამ ავიწყდებათ, რა ოპტიმისტურად იყვნენ ისინი განწყობილნი ჩემპიონატის წინ და, განსაკუთრებით, ბრაზილიელებთან შეხვედრის შემდეგ.

მთელი ამ ოთხი წლის განმავლობაში კრიტიკოს ავტორთა წერილებში გახსენდებათ მოსალოდნელი წარუმატებლობის სიგნალები? მანამდე არ იცოდნენ, რომ უცხოეთის უძლიერეს გუნდებს თუ ცალკეულ კლუბებს ჩამოვრჩებოდით ტექნიკაშიც, ტაქტიკაშიც და ფიზიკურ მომზადებაშიც?

ახლა რომ მისტირიან დავით ყიფიანსა და ვლადიმერ გუცაევს, მანამდე გამოექომაგა მათ ვინმე, როცა კონსტანტინ ბესკოვი პრინციპულად არ ცნობდა არცერთის თამაშს?

საბჭოთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა არგენტინაში ამხანაგურ მატჩებში გამოსვლის დროს ისეთი შეურაცხყოფა, ისეთი სულიერი ტრავმა მიაყენა დავით ყიფიანს, რომ თბილისელმა ფეხბურთელმა საერთოდ დაანება თამაშს თავი. სად იყვნენ მაშინ? გამოექომაგა ვინმე? განა ვიქტორ პონედელნიკი მაშინაც არ განაგებდა „სოვეტსკი სპორტის“ ფეხბურთის განყოფილებას?

კიდევ კარგი, თბილისისა და მინსკის დინამოელების მატჩის გადმოცემის დროს კომენტატორმა და ჟურნალისტმა ვლადიმირ პერეტურინმა აღიარა, ბრალი ყველა ჟურნალისტსა და პირადად მეც მიმიძღვის, რომ დავით ყიფიანს თავის დროზე ვერ გამოვექომაგეთ, საკითხი პრინციპულად არ წამოვჭერით და მხარში ვერ ამოვუდექით, თორემ იგი ახლაც მწვანე მინდორზე იქნებოდაო.

ასე რომ, ერთ რამეზე უნდა შევთანხმდეთ: საბჭოთა ნაკრების წარუმატებლობაში ბრალი ბევრ ვინმეს მიუძღვის და მათ შორის იმ ჟურნალისტებსა და კომენტატორებსაც, დღეს რომ ხელებდაკაპიწებულნი იბრძვიან ნაკრების ხელმძღვანელებისა და ცალკეული ფეხბურთელების წინააღმდეგ.

კიდევ კარგი (გთხოვთ, სწორად გამიგოთ ეს სიტყვები), ჩვენი ნაკრები ვერ გავიდა ფინალურ ჯგუფში, რაც შეიძლებოდა სულ იოლად მომხდარიყო – საბჭოთა ფეხბურთელებისათვის პოლონელი ფეხბურთელები გადაულახავ ძალას არ წარმოადგენდნენ.

რა მოხდებოდა მაშინ? ფინალურ ჯგუფში ბოლო, ე. ი. მეოთხე ადგილზე გასვლაც კი დიდ წარმატებად იქნებოდა მიჩნეული, აღარ დაიბეჭდებოდა კრიტიკული წერილები და აღარ გამოჩნდებოდა ის მიზეზები, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს საბჭოთა ფეხბურთის წინსვლას.

გნებავთ მაგალითი?

ინებეთ.

გავიხსენოთ ინგლისის 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატი. მაშინ საბჭოთა ნაკრებმა მეოთხე ადგილი მოიპოვა. მოვიტან ერთ ნაწყვეტს ჩემი წიგნიდან „ფეხბურთის სამშობლოში“, რომელიც ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატისადმია მიძღვნილი (იგი ამ წიგნში ცალკეა დაბეჭდილი, მაგრამ თვალსაჩინოებისათვის გადავწყვიტე ნაწყვეტი მთლიანად ამოვწერო). ჯერ გავიხსენოთ, რომ მეოთხედფინალში უნგრეთის ნაკრებს ვხვდებოდით. მანამდე დავამარცხეთ კორეის, იტალიისა და ჩილეს ნაკრები გუნდები, შემდეგ კი წავაგეთ გფრ-ისა და პორტუგალიის გუნდებთან.

აი, რას ვწერდი მაშინ: „უნგრელები რატომღაც თავიდანვე შეშინებულები გამოვიდნენ მოედანზე. ჯერ კიდევ თამაშის წინ ინტერვიუში განაცხადეს, გვირჩევნია, ისევ ბრაზილიას ვხვდებოდეთ, ვიდრე საბჭოთა კავშირსო.

მართლაც, თუ გადავხედავთ მათ ორთაბრძოლებს წარსულში, იქ საბჭოთა ფეხბურთელებს დამაჯერებელი უპირატესობა აქვთ: სამი მოგება, ორი ფრე და ერთი წაგება. ბურთების სხვაობა – 9:6.

უნგრელები აშკარად ღელავდნენ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მათ მატჩი ჯერ კიდევ დაწყებამდე წააგეს.

...როგორც იტყვიან, გამარჯვებულს არ ასამართლებენ. საბჭოთა ნაკრებმა დიდ წარმატებას მიაღწია საერთაშორისო ასპარეზზე. მეოთხე ადგილი ბევრი გუნდის ოცნება იყო.

მახსოვს, იტალიის ნაკრებთან თამაშის შემდეგ, როცა კოტე მახარაძემ, ჩვეულებისამებრ, სპეციალისტებს ნიშნებით შეაფასებინა საბჭოთა კავშირის ფეხბურთელების თამაში, მარტინ მერჟანოვმა ვორონინს ხუთიანი დაუწერა, თუმცა ვორონინს იმ დღეს მაინცდამაინც კარგად არ უთამაშია.

– კი მაგრამ, – ვკითხეთ ჩვენ, – ვორონინს ერგებოდა დღევანდელი თამაშისათვის ხუთიანი?

– იცით რა, მეგობრებო? ვორონინმა დღეს ვერ ითამაშა ხუთიანზე, მაგრამ, როცა მას ვუყურებდი, მიხაროდა, რომ მოედანზე იყო ერთი მაღალი კლასის ფეხბურთელი. სლავა მეტრეველი რომ გამოეყვანათ, მაშინ იქნებოდა ორი მაღალი კლასის ფეხბურთელი, თუ მათ მიხეილ მესხიც დაემატებოდა, მაშინ უკვე სამი მაღალი კლასის ფეხბურთელი და, თქვენ იცით, რას ნიშნავს, როცა მოედანზე სამი მაღალი კლასის ფეხბურთელია?

...ცნობილმა მსაჯმა ნიკოლაი ლატიშევმა თვითმფრინავში თქვა და, მგონი, შემდეგ ოფიციალურადაც განაცხადა: ჩვენს გუნდს, მიუხედავად კარგი შეფასებისა, ინგლისში აშკარად აკლდა გულშემატკივართა სიმპათია (ფეხბურთის სანახაობრივი მხარისა და თამაშის კლასის თვალსაზრისით). შეიძლება მოედანზე მიხეილ მესხის გამოყვანას ბევრი არაფერი შეემატებინა ჩვენი ნაკრების შედეგისათვის, მაგრამ მისი ფინტები და საოცრად ლამაზი თამაში სწორედ იმ სიმპათიას შეგვმატებდა, რომელიც ასე სჭირდებოდა ჩვენს გუნდსო“.

დიახ, ეს ნაწყვეტი 1966 წელსაა დაწერილი. განა იგივე არ შეიძლება ითქვას ჩვენი გუნდის თაობაზე დღეს, ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ?

ხედავთ, როგორა ჰგავს სიტუაციები ერთმანეთს?

განა იმ წლებში გამოიტანეს რაიმე დასკვნები და სათანადო ორგანიზაციებმა სწორად წარმართეს მუშაობა?

მოდით, ახლა გავიხსენოთ 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატი მექსიკაში. გავიხსენოთ მეოთხედფინალური მატჩი ურუგვაელებთან. ერთადერთი გატანილი ბურთით ურუგვაელებმა გზა გაიკაფეს ნახევარფინალისაკენ. მატჩის შემდეგ დიდი კამათი ატყდა, ამ ერთადერთმა გატანილმა ბურთმა გადაკვეთა თუ არა საბჭოთა ნაკრების კარის ხაზიო.

აი, რას ვწერდი 1970 წელს ამ გოლის და, საერთოდ, ჩვენი ნაკრების თაობაზე ვრცელ ნარკვევში „მექსიკა ბურთით და

უბურთოდ“ (ეს ნარკვევიცაა შესული წინამდებარე წიგნში, მაგრამ კვლავ თვალსაჩინოებისათვის ვაძლევ თავს ნებას, ამოვიწერო პატარა ნაწყვეტი):

„ამ მატჩის შემდეგ ერთი რამ კი თქვა სწორი საბჭოთა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვალენტინ გრანატკინმა: სამწუხაროა, რომ ასეთი ბურთი გავიდა ჩვენს კარში, ახლა მხოლოდ ამ ბურთს დააბრალებენ ჩვენს წარუმატებლობას და არ გაირკვევა ის ნამდვილი მიზეზები, რომელმაც დამარცხებამდე მიგვიყვანაო.

მართლაცდა, ვთქვათ, მწვრთნელებს არ მოსვლოდათ ეს შეცდომები, ვთქვათ, ყველაფერი ისე წასულიყო, როგორც საჭირო იყო, უნდა გვქონოდა თუ არა წარმატების იმედი?

არავითარ შემთხვევაში!

...მექსიკაში საბჭოთა გუნდი ვერ გამოვიდა ისე, როგორც საჭირო იყო. მას შეეძლო გაცილებით უკეთ ეთამაშა. მაგრამ ესეც არ იკმარებდა დიდი წარმატების მისაღწევად. საქმე ისაა, რომ საბჭოთა ნაკრები მსოფლიოს უძლიერეს გუნდებს საგრძნობლად ჩამორჩება როგორც ტექნიკურად, ისე ტაქტიკურად“.

ეს სიტყვები კი, როგორც უკვე ვთქვით, 1970 წელს დაიწერა!

შეცვლილა რამე ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის შემდგომ ოთხ წელიწადში?

საბჭოთა ფეხბურთის მესვეურებს გადაუდგამთ რაიმე პრაქტიკული ნაბიჯი ფეხბურთის ასაღორძინებლად?

რომ გადაედგათ, ხომ არ ჩაივლიდა უჩვენოდ ჯერ გერმანიისა და შემდეგ არგენტინის ჩემპიონატები?

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ 12 წელი ველოდით, რომ საბჭოთა ნაკრები კვლავ გამხდარიყო დიდი საფეხბურთო ზეიმის მონაწილე.

დამთავრდა ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატიც და ზუსტად იმავე სიტუაციაში აღმოვჩნდით, როგორშიც ინგლისისა და მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატების შემდეგ ვიყავით.

ახლაც ისევე წერენ ჩვენი ფეხბურთელების ტაქტიკურ ერთფეროვნებაზე და სიღარიბეზე, როგორც მაშინ.

ახლაც ისევე კილავენ მათ დაბალი ტექნიკისათვის, როგორც მაშინდელი ნაკრების წევრებს.

ახლაც უჩივიან ესპანეთის სიცხეს, ისევე, როგორც მაშინ უჩიოდნენ მექსიკის სიცხეს, უჩივიან მეტეოროლოგიურ პირობებს, შორ მანძილებს...

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ვწერდი: „ამ სტატიების ავტორები (იგულისხმებიან ისინი, ვინც განსაკუთრებულად ამახვილებდა ყურადღებას სიცხეზე, მანძილზე და ა. შ.) რატომ მაშინ არ არიან ასეთი მგრძნობიარენი მეტეოროლოგიური, გეოგრაფიული თუ კლიმატური პირობების მიმართ, როცა სხვა პირველობა, თუნდაც საბჭოთა კავშირის პირველობა ტარდება? რატომ მაშინ არ აგონდებათ, რომ საბჭოთა ფეხბურთელები ყოველი მატჩის წინ არათუ ექვსას, ორი ათას და უფრო მეტ კილომეტრს ფრენენ? რატომ მაშინ არ ითვალისწინებენ კლიმატურ და გეოგრაფიულ პირობებს, როცა სამხრეთელი ფეხბურთელები ჩრდილოეთში, ყინვასა და ქარბუქში თამაშობენ მოყინულ მოედნებზე?“

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, არავითარი განსაკუთრებულად შემაწუხებელი სიცხე არ ყოფილა ესპანეთში. იქაური მშრალი, 38-გრადუსიანი სიცხე გაცილებით უფრო იოლი ასატანია, ვიდრე 30 გრადუსი თბილისში.

დიახ, ახლა კვლავ წერენ საბჭოთა ფეხბურთელების დაბალ ტექნიკაზე. თითქოს ახლა აღმოაჩინეს ამერიკა, თითქოს მხოლოდ ახლა დარწმუნდნენ, რომ ჩვენი ფეხბურთელები როგორც ტექნიკურად, ისე ტაქტიკურად საგრძნობლად ჩამორჩებიან ცნობილ უცხოელ ფეხბურთელებს. ძალზე საგუ-

ლისხმო წერილების სერია გამოაქვეყნა „სოვეტსკი სპორტში" ვიქტორ პონედელნიკმა. იქვე გამოქვეყნდა ვლადიმირ ემეცის სტატია სათაურით „არ არსებობს ტაქტიკა ტექნიკის გარეშე". ამ სტატიის ავტორიც აბსოლუტურად სწორ მოსაზრებებს გვთავაზობს, მაგრამ ისევ იბადება კითხვა: სად იყავით, ბატონებო, აქამდე? განა თქვენს ხელში არ არის პრესაცა და ფეხბურთის სადაველებიც?

მინდა ვუსაყვედურო ჩვენს მეგობარს, წარსულში შესანიშნავ ფეხბურთელს და ახლა მშვენიერ ჟურნალისტს, ვიქტორ პონედელნიკს. მან, როგორც სპორტულმა ჟურნალისტმა და „სოვეტსკი სპორტის" ფეხბურთის განყოფილების გამგემ რამდენჯერ წამოჭრა საკითხი ტექნიკური ფეხბურთისა და ტექნიკური ფეხბურთელების მხარდასაჭერად და დასაცავად?

ვთქვათ, რაღაც მიზეზებით და მოსაზრებებით, ნაკრების ხელმძღვანელების საქმიანობასა და ცალკეულ ფეხბურთელებს ვერ ვაკრიტიკებდით. რამდენჯერ გამოვექომაგეთ საკლუბო გუნდების ცალკეულ მაღალტექნიკურ ფეხბურთელებს, როცა მათზე მწვანე მოედანზე ნამდვილი ნადირობაა გამართული?

ერთხელ მაინც თუ იანგარიშეს, ყოველი სეზონის განმავლობაში რამდენი თვე ვერ თამაშობენ ვლადიმერ გუცაევი ან თამაზ კოსტავა? ერთხელ მაინც თუ ავტეხეთ განგაში, რატომ ეთამაშებიან უხეშად ყიფიანს, ბესონოვს, ბურიაკსა თუ სხვა მაღალი კლასის ფეხბურთელებს?

ერთხელ მაინც თუ დავაყენეთ პრესის ფურცლებზე მსაჯობის საკითხი? როცა მსოფლიო ჩემპიონატზე მაყურებელი ასე ხშირად ხედავს არა მარტო ყვითელ, არამედ წითელ ბარათებსაც კი, რატომ უჭირთ ჩვენს მსაჯებს ჯიბეში ხელის ჩაყოფა? ძალიან დავალებულნი ხომ არ არიან მასპინძლებისაგან? როცა დანაშაულისათვის მასპინძელს ვერ სჯი, მსგავს სიტუაციაში სტუმრის დასჯაც გიჭირს და მიდის მოედანზე ნადირობა...

მხოლოდ ერთხელ დაიბეჭდა „სოვეტსკი სპორტში“ ვლადიმირ პერეტურინის ძალზე სამართლიანი სტატია მსაჯების უსამართლო გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. აღმოჩნდა, რომ შარშან ყველაზე მეტი ყვითელი ბარათი მიუღია თბილისის „დინამოს“, თანაც თბილისელები უმთავრესად მსაჯთან შეკამათებისათვის დასჯილან. რატომ ეკამათებოდნენ მსაჯს თბილისელები? სამართლიანად წერს პერეტურინი: მსაჯი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, როგორი მეთოდებით უმასპინძლდებოდნენ მოწინააღმდეგენი გუცაევს და ბოლოს, როცა გუცაევმა უხეში თამაშისათვის პროტესტი გამოთქვა, მსაჯმა შეკამათებისათვის ყვითელი ბარათი ამოუღოო!

რას მივაწეროთ მსგავსი სიტუაციები, მსაჯის მიკერძოებას, უძლურებას თუ სათანადო სიტუაციებში გაურკვევლობას?

ამიტომ მეჩვენება მე დღეს ყველა კრიტიკული წერილი დაგვიანებულად.

ვლადიმირ ემეცი წერს: „მდინარე ნაკადულიდან იწყება, ხოლო ფეხბურთელის ტექნიკური მომზადება – ადრეული ბავშვობიდან. თუ ვინმეს სურვილი დაებადება, გაეცნოს საფეხბურთო სკოლების სამოსწავლო-საწვრთნელ რეჟიმს, მალე დარწმუნდება, რომ იქ ოსტატების მაგალითზე აგებენ საწვრთნელ გაკვეთილებს. გაუმართლებლად მცირე დროა გამოყოფილი ნასწავლი ილეთების გასამეორებლად და ახალი, უფრო რთული ილეთების ასათვისებლად.

მომავალი ფეხბურთელებისათვის ყოველდღიური ტექნიკური მეცადინეობა ბავშვობიდანვე ისევე აუცილებელი კომპონენტი უნდა გახდეს ცხოვრებისა, როგორც პირის დაბანა ან ჭამაა“.

სწორს ბრძანებს ამხანაგი ემეცი, მაგრამ რატომ ავიწყდება, რომ ამ ჩვევას გამომუშავება სჭირდება, ხოლო მარტო ჩიჩინით ბავშვს ვერაფერს შევაგნებინებთ?

ბავშვებს, მომავალ ფეხბურთელებს, პრესაში ან ტელევიზიაში შევუქმენით კერპები? მივეცით მიმართულება – დღევანდელ ფეხბურთში რა არის მთავარი?

სამწუხაროდ, არათუ ვერ შევძელით, ცდაც კი არ ყოფილა ამისა.

ბავშვები, მომავალი ფეხბურთელები, მოედანზე თუ ტელევიზიის ეკრანებზე კარგად ხედავენ, როგორ ეთამაშებიან ტექნიკურ ფეხბურთელებს, კარგად ხედავენ, ანტიფეხბურთელთა უხეშობაზე რა რეაქცია აქვთ მსაჯებს, ხოლო შემდეგ იმასაც მშვენივრად კითხულობენ, როგორ ფასდება პრესაში მატჩები, რა ტენდენციებს ამჟღავნებენ სტატიის ავტორები.

ბავშვებს მარტო ჩიჩინით ვერაფერს ჩავაგონებთ, ვერ დავაჯერებთ, ვერ დავარწმუნებთ. მომავალმა ფეხბურთელმა მოედანზე თუ ტელევიზიის ეკრანზე უნდა დაინახოს, მსაჯები როგორ უფრთხილდებიან მაღალტექნიკურ ფეხბურთელებს, როგორი სიმკაცრით სჯიან ანტიფეხბურთელებს, მხოლოდ უხეშობით რომ უნდათ გაანეიტრალონ მოწინააღმდეგის ტექნიკური უპირატესობა.

მომავალი ფეხბურთელები უნდა დარწმუნდნენ, ჩვენი სპორტული ჟურნალისტები როგორ იბრძვიან ტექნიკური ფეხბურთის დასაცავად და დასამკვიდრებლად.

ერთი სიტყვით, ბავშვებისათვის თავიდანვე ნათელი უნდა იყოს, როგორ ფეხბურთელს და, აქედან გამომდინარე, როგორ ფეხბურთს უჭერენ მხარს სპეციალისტები, მსაჯები, სპორტული ჟურნალისტიკა.

* * *

საბჭოთა ფეხბურთელები ვერ იტყვიან, ესპანეთში ბედმა გვიმუხთლაო, არ გაგვიმართლაო. პირიქით, ფორტუნა მათ მხარეს იყო. ჯერ კიდევ დასაწყისში ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ გათამაშების მეორე ეტაპზე ბრაზილიისა და საბჭოთა ნაკრების გუნდები გავიდოდნენ. ასეც მოხდა. ხოლო შემდგომ ეტაპზე „ა" ქვეჯგუფში საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად მოხვდნენ ბელგიისა და პოლონეთის გუნდები. ეს ჯგუფი სამ დანარჩენ ჯგუფთან შედარებით ყველაზე სუსტი იყო. ბელგიელები წამყვანი ფეხბურთელების მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ აღარ წარმოადგენდნენ სერიოზულ ძალას, ხოლო პოლონელები ტრადიციულად არ არიან ჩვენთვის ძლიერი მეტოქეები.

აბა რაღა უნდა ვთქვათ „ც" ჯგუფის შემადგენლობაზე? განა საცოდაობა არ იყო ერთ ჯგუფში მოხვედრილიყვნენ არგენტინის, ბრაზილიისა და იტალიის ნაკრები გუნდები, თითოეული ღირსი იმისა, რომ ჩემპიონის გვირგვინი მოეპოვებინა? ამ სამი გუნდიდან ორი ხომ ვერასგზით ვერ გავიდოდა გათამაშების შემდგომ ეტაპზე?

ან გავიხსენოთ, როგორი გუნდები მოხვდნენ „ბ" და „დ" ქვეჯგუფებში: პირველში გფრ-ის, ინგლისისა და ესპანეთის, ხოლო მეორეში – საფრანგეთის, ავსტრიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები გუნდები! ხომ სულ ადვილი შესაძლებელი იყო, დაგვემარცხებინა პოლონელები? ეს გამარჯვება ხომ მინიმუმ მეოთხე ადგილს მოგვიტანდა?

და ეს მოხდებოდა მაშინ, როცა ბრაზილიის, არგენტინის, ინგლისის და მასპინძლების ეროვნული გუნდები უკვე გამოთიშულნი იქნებოდნენ მსოფლიო ჩემპიონატიდან.

ერთი სიტყვით, საბჭოთა ნაკრებმა იმედი ვერ გაგვიმართლა.

პირველ რიგში, ვინ უნდა დავადანაშაულოთ მის წარუმატებლობაში?

მწვრთნელები?

თვითონ ფეხბურთელები?

რასაკვირველია, ერთნიც და მეორენიც.

დიახ, შეგვიძლია დავადანაშაულოთ მწვრთნელებიც და ფეხბურთელებიც. მაგრამ შეგვიძლია დავადანაშაულოთ მხოლოდ ერთ რამეში – მათ შეეძლოთ უკეთ ეთამაშათ, გაცილებით უკეთ. თუნდაც ისე, შარშან რომ თამაშობდნენ. ბრაზილიელებთან ძლიერად ჩატარებული მატჩის შემდეგ მოპოვებული სიმპათიები შეეძლოთ წყალში არ გადაეყარათ ახალზელანდიელებთან, შოტლანდიელებთან, ბელგიელებთან და პოლონელებთან უფერულად, უღიმღამოდ ჩატარებულ ორთაბრძოლებში.

კიდევ ვიმეორებ, შეიძლებოდა საბჭოთა ნაკრები ოთხეულშიც მოხვედრილიყო, მაგრამ ეს იქნებოდა არა მათი კარგი თამაშის, არამედ ჩემპიონატის გათამაშების უხეირო სისტემის შედეგი.

აბა, სხვა რა უნდა დაარქვა ამ სისტემას, როცა ერთ ჯგუფში ახვედრებ ბრაზილიას, არგენტინას, იტალიას – რომელთაგან ორი უკვე განწირულია ჩემპიონატის შემდგომი ეტაპიდან გამოსათიშად?

ძნელი აღსაწერია, რა ხდებოდა ტრიბუნებზე, როცა იტალიის ნაკრებმა დაამარცხა ბრაზილია, სიხარულისაგან ბღაოდა 23 ათასი იტალიელი, ტიროდა 18 ათასი ბრაზილიელი. მათ თანაუგრძნობდნენ თითქმის ყველა სხვა ქვეყნის წარმომადგენლები. მოხდა საოცარი რამ, ჩემპიონატი თითქოს დამთავრდა. შემდგომი მატჩებისადმი ინტერესი თითქოს მთლიანად დაიკარგა.

ბრაზილიელები გააცილეს, როგორც მსოფლიო ჩემპიონები, შინ დაბრუნებისას ასევე შეხვდნენ საყვარელ ფეხბურთელებს იმედგაცრუებული ბრაზილიელი გულშემატკივრები. ნაგებამ ვერაფერი დააკლო მათ ღირსებას, ზღაპრულ ტე-

ქნიკას, შემტევ, ლამაზ ფეხბურთს, ასე რომ მოხიბლა მთელი პლანეტის მაყურებელი.

ერთი სიტყვით, წაგება არც ისე საშიში ყოფილა, თუ გუნდი ჭეშმარიტი საფეხბურთო გუნდია.

ბრაზილიელებმა დაკარგეს ჩემპიონის ოქროს მედლები, მაგრამ არ დაუკარგავთ ნამდვილი გულშემატკივრის სიმპათია და სიყვარული მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში. წაგებამ ჩრდილი ვერ მიაყენა მათ სიძლიერეს.

იტალია ფრედ დამთავრებული სამი მატჩით მივიდა ფინალამდე და მაინც გახდა მსოფლიო ჩემპიონი. გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ერთი მატჩი წააგო, ერთიც ფრედ დაამთავრა (აღარაფერს ვამბობ ყოვლად სამარცხვინო მატჩზე ავსტრიასთან) და მეორე ადგილზე გავიდა. პოლონეთიც სამი ფრით მივიდა ფინალურ ჯგუფამდე, მესამე ადგილი კი დაიკავა.

ბრაზილია, ტრიუმფით რომ მიიწევდა წინ, ოთხი დიდებული გამარჯვების შემდეგ მხოლოდ ერთი წაგებით გამოეთიშა ჩემპიონატს.

ვფიქრობ, საეჭვო აღარ უნდა იყოს, რა უხეიროა მსოფლიო ჩემპიონატის გათამაშების სისტემა.

თუ მათემატიკას მოვიშველიებთ, მგონი, საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი მეხუთე ადგილზე (!) აღმოჩნდება. მაგრამ ფეხბურთის გულშემატკივრებს მათემატიკა კი არა, ლამაზი, შემტევი, ძლიერი და ტექნიკური ფეხბურთი უნდათ.

კიდევ ვიმეორებ: საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელებიც და ფეხბურთელებიც შეგვიძლია მხოლოდ ერთ რამეში დავადანაშაულოთ – ნაკრებს შეეძლო უკეთ ეთამაშა.

ისიც ვთქვათ, უკეთ თამაში მაინც არ იქნებოდა საკმარისი უფრო მაღალი შედეგების და, რაც მთავარია, საყოველთაო სიმპათიის მოსაპოვებლად.

საბჭოთა ფეხბურთის წარუმატებლობის მიზეზები სხვა სიღრმეებში უფრო უნდა ვეძიოთ.

მახვილგონივრულად წერს ვიქტორ პონედელნიკი, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრები არის იმ დიდი პირამიდის წვერი, რომელსაც საბჭოთა ფეხბურთი ჰქვიაო.

ყველაფერი ფუნდამენტიდან იწყება, ამ დიდი, გრანდიოზული პირამიდის ფუნდამენტიდან.

ფუნდამენტს კი ბავშვები წარმოადგენენ, როგორც ჩვეულებრივი სკოლების, ისე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების მოსწავლენი. რამდენად სწორად მიმდინარეობს მუშაობა ბავშვებთან? რამდენად დახვეწილია მათი პროგრამა და რამდენად შეესაბამება იგი დღევანდელ დონეს?

ვინ არიან ის ადამიანები, ვინც ბავშვთა საფეხბურთო სკოლებს ხელმძღვანელობს?

რა კრიტერიუმებით ფასდება მათი მუშაობა?

ეტყობა, მხოლოდ საკავშირო შეჯიბრებებზე წარმატებით.

ტარდება კი ეს შეჯიბრებები სათანადო დონეზე? რაკი ამ შეჯიბრებებზე წარმატება ქცეულა ერთ-ერთ და, ალბათ, უმთავრეს კრიტერიუმად, ბავშვთა მეტრიკული ამონაწერების გადაკეთება, ჩვეულებრივი, ყოველდღიური ამბავი გამხდარა. ხშირად ბავშვის მეტრიკული ამონაწერი იმდენჯერაა გადაკეთებული, რომ ზოგჯერ აღარც თვით ბავშვმა და მისმა მშობლებმა იციან, სინამდვილეში როდისაა ბავშვი დაბადებული. ამას ვინ დაეძებს, პატარა ფეხბურთელი უკვე თავიდანვე ეჩვევა სპორტულ მაქინაციებს.

როგორია სპორტული ინვენტარი, სადაც მომავალი ფეხბურთელები უნდა აღიზარდონ?

აქვთ თუ არა ბავშვებს სათამაშო მოედნები? რას აკეთებენ ამ მხრივ ჩვენი არქიტექტორები და ქალაქთმშენებლები?

ჰყავთ თუ არა კლუბებს თავიანთი სელექციონერები, რომლებიც დადიან ქალაქიდან ქალაქში, სკოლიდან სკოლაში ნიჭიერი ფეხბურთელების შესარჩევად?

ან რა პრინციპით ხდება მათი ჩარიცხვა პირველი და უმაღლესი ლიგის კლუბებში?

აი, რას წერს დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ მწვრთნელი ვლადიმირ ემეცი: „დღევანდელ დღემდე არავის განუსაზღვრავს, როგორ ტექნიკურ ილეთებს უნდა ფლობდეს ფეხბურთელი უმაღლეს, პირველ ან მეორე ლიგაში. ოსტატთა კოლექტივებში არ არსებობს ასეთი ნორმატივები. სამაგიეროდ, ადგილიდან ხტომებია შეტანილი საკონტროლო ნორმატივებში. და ხტუნაობენ ჩვენი ფეხბურთელები წელიწადში ორჯერ. საკითხავია, რაში სჭირდება ფეხბურთელს ეს ხტომები, თუ მას არ შეუძლია უშეცდომოდ გააჩეროს ბურთი, ან არ შეუძლია დროზე გადააწოდოს იგი პარტნიორს ან გაგზავნოს მიზანში?“

საოცარია, რომ დღეს, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, ასეთ საკითხებზე გვიხდება მსჯელობა საკავშირო პრესის ფურცლებზე.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ არა გვაქვს ისეთი ბაზები (იგულისხმება მთელი კავშირის მასშტაბით), როგორიც აქვთ უცხოეთის მოწინავე საფეხბურთო ქვეყნებს. არ გვაქვს არც მათი მსგავსი საფეხბურთო ორგანიზაცია. უფრო ახლოს უნდა გავეცნოთ საფეხბურთო კლუბების სტრუქტურას, ალბათ, ბევრი რამ შეგვეძლება გადმოვიღოთ მათი მუშაობის პრაქტიკიდან.

სხვათა შორის, საკლუბო სისტემის დროს მწვრთნელსა და კლუბის ხელმძღვანელობას, ფეხბურთელებსა და კლუბის ხელმძღვანელებს შორის ორმხრივი ხელშეკრულება იდება.

ასევე ორმხრივია ხელშეკრულებაც ეროვნული ნაკრების დონეზე. მაგალითად, ტელე სანტანას თუ გაათავისუფლებენ ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან, იგი ოთხი წლის განმავლობაში გარანტირებულია იმავე ხელფასით, რაც მანამდე ეძლეოდა. ასეთი ორმხრივი ხელშეკრულე-

ბა მწვრთნელს უფრო ათამამებს, უფრო გაბედულს ხდის. გაბედულების გარეშე კი მსოფლიო ჩემპიონატზე ძნელია მიაღწიო მნიშვნელოვან შედეგს.

ბარსელონაში, შეიძლება ითქვას, კულტია მათი საკლუბო გუნდისა. ეს გუნდია „ბარსელონა“, ანდა, როგორც ადგილობრივი გულშემატკივრები ეძახიან, „ბარსა“. ახალგაზრდებს აცვიათ კლუბის მაისურები, რომლებიც ყველა მაღაზიაში იყიდება. ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით „ბარსელონის“ საკლუბო გერბსა და ათასგვარ სუვენირს. დიდებულია ბარსელონის ახალი სტადიონი „ნოუ კამპი“, დიდებულია იქვე, ქუჩის გადაღმა, მისი სავარჯიშო სტადიონი, სადაც ოცი ათასი მაყურებელი ეტევა. საყვარელი ფეხბურთელების ვარჯიშს ყოველთვის ადევნებენ თვალყურს გულშემატკივრები. ერთ მთლიან კომპლექსშია მოქცეული შესანიშნავი საცურაო აუზი და კლუბი, სადაც ქალაქის მკვიდრნი ხვდებიან ფეხბურთელებს. აქვე ეწყობა ათასგვარი ღონისძიება თუ საზეიმო ცერემონია.

აუცილებლად უნდა დავეთანხმოთ ვიქტორ პონედელნიკს, რომელიც პირდაპირ აყენებს ჩვენში მსგავსი კლუბების შექმნის საკითხს.

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრების წაგების შემდეგ ვალენტინ ივანოვმა მითხრა, ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთი მანამდე არ განვითარდება, სანამ პირველ ლიგაში ფეხბურთელებს უფრო მეტს უხდიან, ვიდრე უმაღლეს ლიგაშიო.

მართლაცდა, რა მანქანებით ახერხებენ პირველი ლიგის გუნდების ხელმძღვანელები, უფრო დიდი გასამრჯელო გაიღონ ფეხბურთელებისათვის, ვიდრე უმაღლესი ლიგის ტარიფებითაა გათვალისწინებული?

ნამდვილი პროფესიული და პირუთვნელი მსაჯობისათვის უმაღლეს ლიგაშიც კი ვერ მიგვიღწევია, მაგრამ იციან

კი სპორტზე პასუხისმგებლებმა, რა დონეზე მიდის მსაჯობა პირველ ლიგაში? უფრო ქვემოთ აღარაფერს მოგახსენებთ!

სტატისტიკა ულმობელია. უმაღლეს ლიგაშიც კი პენალტების 75 პროცენტი მასპინძლების სასარგებლოდ ინიშნება. რასაკვირველია, ამ მოვლენას აქვს ახსნა – მასპინძლები ყოველთვის უტევენ, მოგებაზე თამაშობენ, აქედან გამომდინარე, მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზეც უფრო ხშირად არიან, მაგრამ არც ისეა საქმე, ზემოთ მოყვანილ პროცენტს რომ გამართლება მოვუნახოთ.

როგორ ვუშვებთ ვეტერან ფეხბურთელებს გუნდიდან, როგორ ვზრუნავთ მათი შემდგომი ცხოვრებისათვის? ამ საკითხის მოგვარება აუცილებელია, თორემ როცა ახალგაზრდა ფეხბურთელი ხედავს, როგორ ივიწყებენ სახელგანთქმულ, მაგრამ უკვე „ჩამოწერილ" კოლეგებს, ძნელია მას პატრიოტიზმზე, ქვეყნისა და ერის წინაშე მოვალეობაზე ელაპარაკო. ის დასაწყისიდანვე იმსჭვალება ერთი აზრით – სანამ ვარ, მანამდე უნდა ამოვქაჩო მაქსიმუმი. ასეთ ფეხბურთელს ვეღარ მოსთხოვ პატრიოტიზმს, თავდადებას, რისკს, მაღალ იდეალებს.

ფეხბურთი თანდათანობით იპყრობს მთელ პლანეტას. ჩემპიონატის დღეებში 13 ივნისიდან 11 ივლისამდე მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა ფეხბურთით ცხოვრობდა, ოფიციალური სტატისტიკით მილიარდ შვიდასი მილიონი მაყურებელი უცქერდა საფეხბურთო ტელეგადაცემებს.

ფეხბურთი დღეს მარტო სანახაობა როდია, იგი დიდ სოციალურ მოვლენადაც იქცა. ამიტომაც ჩატარდა მადრიდში სიმპოზიუმი თუ თათბირი, რომელიც სწორედ დღევანდელი ფეხბურთის სოციალურ არსს მიეძღვნა.

და თუ ჩვენ ნამდვილად გვინდა გვქონდეს დიდი ფეხბურთი, სტადიონებზე ვიხილოთ არა უღირსი ბრძოლა ქულების დატაცებისათვის, არამედ დიდი საფეხბურთო დღესასწაულე-

ბი, რამდენიმე კაცს ნუ დავაბრალებთ ესპანეთში საბჭოთა ნაკრების წარუმატებლობას. გაიხსენეთ წარუმატებლობათა მთელი კრიალოსანი წინა ჩემპიონატებში.

თუ დღესვე არ ჩავდიეთ ყველაფერს ბოლომდე, დღესვე არ გავაანალიზეთ წარუმატებლობის მიზეზები და დღესვე არ მივიღეთ სათანადო ზომები, 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ (რასაკვირველია, თუკი მოვიპოვეთ იქ გასამგზავრებელი საგზური) ზუსტად ასეთსავე დღეში აღმოვჩნდებით, როგორშიც დღეს ვართ, ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, და როგორც ადრე ვიყავით შვედეთის, ჩილეს, ინგლისისა და მექსიკის ჩემპიონატების შემდეგ. სამწუხაროდ, უკვე მივეჩვიეთ, რომ მოვლენები საოცარი მსგავსებით მეორდება.

დრო მიდის, მაგრამ მდგომარეობა არ იცვლება.

დადგა კი დრო, რომ შეიცვალოს!

მიმქრალი ვარსკვლავები

იტალიის ფეხბურთელთა ნაკრებთან წაგების შემდეგ არგენტინელთა მწვრთნელმა სესარ ლუის მენოტიმ ჟურნალისტთა მრავალ შეკითხვას მხოლოდ ერთი ფრაზით უპასუხა – ადამიანები საოცრად მალე ივიწყებენ წარსულის დამსახურებასო.

არგენტინელთა დიდება კი მართლაც ჩაბარდა წარსულს ბრაზილიელებთან მარცხის შემდეგ.

პრესკონფერენციაზე პირველი შეკითხვები გამარჯვებულთა მწვრთნელს ტელე სანტანას ეკუთვნოდა. მაგრამ მენოტიმ მოკრძალებით ითხოვა, ძალზე დაღლილი ვარ და ჟურნალისტებს იქნებ პირველი მე წარვუდგეო.

სანტანამ თავაზიანად დაუთმო პირველობა.

მენოტიმ გულახდილად თქვა: „ბრაზილიელები ჩვენზე ძლიერნი არიან. ამიტომაც შემთხვევითობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, ჩვენ არ შეგვეძლო მათი დამარცხება.

ფეხბურთში ყოველთვის უნდა იფიქრო მომავალზე და არა წარსულზე, ბევრმა მიზეზმა შეგვიშალა ხელი 1978 წლის ჩემპიონატთან შედარებით ნაბიჯი რომ წინ გადაგვედგა. ალბათ შეცდომა ის იყო, რომ ვერ შევძელით განგვესაზღვრა სათანადო შეფარდება ახალგაზრდებსა და იმ ფეხბურთელებს შორის, რომლებმაც გასული ჩემპიონატი მოიგეს. ერთი სიტყვით, ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე მეგონა, რომ გადაჭრილი მქონდა ყველა პრობლემა“.

რა მოხდა?

განა ჩემპიონატის დაწყებამდე არ მივიჩნევდით არგენტინის ნაკრებს ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად?

უბრალოდ, მოხდა ერთი რამ: არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გუნდი ოთხი წლით „დაბერდა“. შეიძლება ისინი კვლავ ახალგაზრდები არიან, მაგრამ მეორე ჩემპიონატში გასამარჯვებლად ძალა აღარ ეყო არგენტინელთა ძირითად ბირთვს, რომელიც 1978 წლის შემდეგ გუნდში უცვლელი დარჩა.

არგენტინის ჩემპიონატის უპირველესი ვარსკვლავები, კემპესი და ბერტონი ესპანეთში მხოლოდ მიმქრალი ვარსკვლავებივითღა ბუუტავდნენ.

კემპესის თამაში ისეთივე ძველმოდური აღმოჩნდა, როგორც მისი გრძელი თმა.

იყო მეორე მიზეზიც მათი მარცხისა (არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არგენტინელებმა ესპანეთში სამი თამაში წააგეს: ბელგიელებთან 0:1, იტალიელებთან 1:2 და ბრაზილიელებთან 1:3). უკანასკნელ ჩემპიონატში არგენტინელები ამოხსნილ მათემატიკურ ამოცანას ჰგავდნენ, მენოტიმ ხომ ძირითადად

იგივე ფეხბურთელები ჩამოიყვანა ესპანეთში, რომლებითაც წინა ჩემპიონატი მოიგო.

ვინ იცის, რამდენჯერ დაატრიალეს მოწინააღმდეგეებმა არგენტინელთა წინა ჩემპიონატში ჩატარებული მატჩების ვიდეოჩანაწერები.

ერთი სიტყვით, არგენტინელი ფეხბურთელებისგან მოულოდნელს არაფერს ელოდნენ.

– კი მაგრამ, მარადონა? – ალბათ უმალვე შემახსენებს მკითხველი.

დიახ, მარადონა გახლდათ ის ახალი და მრისხანე იარაღი, ის მთავარი კოზირი, რომელსაც არგენტინელებისათვის გამარჯვება უნდა მოეტანა.

მარადონა იყო ის ფეხბურთელი, რომელსაც, თვითონ პირველი სიდიდის ვარსკვლავს, ერთგვარად უნდა განესაზღვრა ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის ვარსკვლავების სიდიდე და, საერთოდ, დღევანდელი ფეხბურთის დონე.

ამ აზრს როდი იზიარებდა თვით არგენტინელთა მწვრთნელი მენოტი. ერთხელ ჟურნალისტებმა მას ჰკითხეს, არის თუ არა მარადონა ახალი პელეო.

მარადონა რომ ახალი პელე გახდეს, ჯერ 1000 ბურთი უნდა გაიტანოსო, მოკლედ მოუჭრა ჟურნალისტებს არგენტინელთა მწვრთნელმა.

მენოტის არც კი უნდოდა მარადონას ნაკრებში შეყვანა. არ უნდოდა განა იმიტომ, რომ მისი ტალანტისა არ სჯეროდა, არამედ იმიტომ, რომ შესანიშნავად იცოდა ამ ახალგაზრდა ფეხბურთელის ხარბი ბუნება. თურმე ჯერ კიდევ 17 წლისაც არ ყოფილა მარადონა, როცა მრავალი ფინანსური ოპერაცია წამოუწყია მსოფლიოს ცნობილ ფირმებთან.

მე თვითონ ვნახე ესპანეთის ტელეეკრანებზე მარადონასა და „კოკა-კოლის“ ორწუთიანი სარეკლამო ფილმი. ფილმის სიუჟეტი ასეთია: მარადონა თავით კენწლავს ბურთს, შემდეგ

ავტოგრაფებს ურიგებს გულშემატკივრებს და თან საოცარი ნეტარებით სვამს ჩაციებულ „კოკა-კოლას“.

მის ასაკში პელეს ბურთის გარდა არაფერი ახსოვდა. ის ბურთით ცოცხლობდა, ბურთით სუნთქავდა, ბურთით აღამებდა და ათენებდა. მოედანზე ფირმების ჯილდოს კი არა, მხოლოდ მოწინააღმდეგის კარს ხედავდა.

18 წლის მარადონამ უკვე მიატოვა თავისი სამშობლო არგენტინა და ესპანეთის „ბარსელონაში“ გადაბარგდა. 8 მილიონი დოლარი, რომელიც „ბარსელონამ“ გადაიხადა მარადონას შესაძენად, ფანტასტიკურ რიცხვად ჟღერს თუნდაც დოლარის დევალვაციის პერიოდში. „როგორ აპირებთ ამოდენა თანხის გადახდას?“ – ეკითხებიან „ბარსელონის“ მესვეურებს. ეკითხებიან ჟურნალისტებიც და, რაც მთავარია, სხვა ცნობილი საფეხბურთო კლუბების მენეჯერებიც. ეშინიათ ფეხბურთის საქმოსნებს. ეშინიათ სამართლიანად. ერთ ფეხბურთელში, თუნდაც დღევანდელი დღის ყველაზე გამორჩეულ ვარსკვლავში ამოდენა თანხის გადახდა ძალზე აამაღლებს ფეხბურთელთა ფასს მსოფლიო ბაზარზე.

„ბარსელონის“ ხელმძღვანელები ინიღბებიან, ათასგვარ ფინანსურ ოპერაციას იშველიებენ, რათა დაარწმუნონ საფეხბურთო სამყარო, რომ ამ თანხის გადახდა მოხდება რამდენიმე წლის განმავლობაში, თანდათანობით, კლუბებს შორის ერთობლივი შეთანხმებით და პირადად ჩემთვის გაუგებარი ფინანსური ოპერაციებით.

პელეს კი სანამ შეეძლო გუნდს გამოსდგომოდა, არასდროს მიუტოვებია არათუ სამშობლო, თვით მშობლიური კლუბი „სანტოსიც“ კი. ერთხელ მასთან ჟურნალისტი მივიდა და ჰკითხა, რამდენ დოლარს ისურვებდით, იტალიაში რომ გადმოხვიდეთო. პელე წერს: „განგებ დავასახელე გაუგონარი თანხა – სამასი ათასი დოლარი (1960 წელს ეს მართლაც სარეკორდო თანხა იყო. – გ. ფ.). მეგონა, უარს იტყოდნენ.

როცა თანხმობა განმიცხადეს, პირში მივახალე, სამშობლოს მიტოვებას არ ვაპირებ-მეთქი".

პელემ მხოლოდ მაშინ დატოვა „სანტოსი", როცა ჩათვალა, რომ მეტი სარგებლობის მოტანა აღარ შეეძლო მშობლიური კლუბისათვის.

მარადონა სიმაღლით პელეს ოდენაა, მაგრამ უფრო ჩაკუნთული და ძლიერი. მოწინააღმდეგის მცველს კარგად უდგამს მხარს, თამაშობს ორივე ფეხით, აქვს კარგი გარღვევა, უბადლო დრიბლიორია, შესანიშნავად ურტყამს კარში თამაშის პროცესში, ასევე ბრწყინვალედ ასრულებს საჯარიმო დარტყმებს. გაიხსენეთ, როგორ მოხვდა იტალიელთა კარის ძელს მის მიერ დატრიალებული ბურთი. შეტევის დროს მარადონა მარჯვენა ფრთისკენ გადის და ცდილობს, ბურთი იქ მიიღოს. წინასწარ ბოდიში მინდა მოვუხადო მკითხველს, თუ ჩემი დახასიათება სწორი არ იქნება. მე მხოლოდ ორი თამაში ვნახე არგენტინელი ფორვარდისა იტალიისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდების წინააღმდეგ. ტელევიზიის ეკრანებზე ნანახი თამაშებიდან ძნელია სწორი დასკვნები გამოიტანო. ამ ორი მატჩის განმავლობაში მარადონა არ ყოფილა იერიშის ორგანიზატორი, თამაშის კონსტრუქტორი. ის უფრო ეპილოგის მოთამაშეა. მარადონას თამაში დიდადაა დამოკიდებული პარტნიორებზე. ის, ფაქტობრივად, ელოდება როდის ათამაშებენ, ბურთს როდის მიაწვდიან, სიტუაციას როდის შეუქმნიან. თუ პარტნიორებმა ეს ვერ შეძლეს (და ვერც შეძლეს ესპანეთში), არგენტინელი ფორვარდი ბრძოლას ეთიშება. მას არცერთხელ არ გამოუჩენია სურვილი, გამხდარიყო ლიდერი, გამხდარიყო გუნდის წინამძღოლი.

პელე მოქმედებდა მოედნის სამ მეოთხედზე ორივე ტაიმის განმავლობაში. იგი იერიშების დამაგვირგვინებელიც იყო და ორგანიზატორიც (როგორც მარადონაზე, ასევე პელეზე ვმსჯელობ იმ თამაშებით, რაც ჩემი თვალით მინახავს ჯერ

ინგლისის ჩემპიონატში, შემდეგ კი – მოსკოვსა და მექსიკაში). ის თანაბრად ძლიერი იყო ეპიზოდის პროლოგშიც და ეპილოგშიც. უკეთ თამაშობდა თავით. მრავალფეროვანი იყო მისი შეტევა. ორივე ტაიმის განმავლობაში ეძებდა სუსტ ადგილებს, საიდანაც დალაშქრავდა მოწინააღმდეგის კარს, მაშინ როცა მარადონას იერიშები მარჯვენა ფრთიდან სიჯიუტის ელფერს უფრო ატარებდა. პელე იყო არა მარტო დიდებული ფეხბურთელი, არამედ გუნდის ნამდვილი ლიდერი.

პელეს თამაში სულ ხუთჯერ ვნახე სხვადასხვა დროს, მარადონასი კი, როგორც ზემოთ ვთქვი, ორჯერ. ბუნებრივია, ჩემი შთაბეჭდილებანი ტელევიზიით ნანახი (განსაკუთრებით პელესი) მატჩებითაც შევავსე. ამიტომაც ვერ დავიჩემებ, რამდენად სწორია ჩემი მოსაზრებანი. მკითხველს ჩემს უშუალო შთაბეჭდილებას ვთავაზობ და მისი ნებაა, დამეთანხმება თუ არა.

ერთი კი უნდა ვთქვა: მიუხედავად მარადონას უფერული თამაშისა, მტკიცედ მჯერა, რომ ის მაინც ყველაზე დიდი ფეხბურთელი იყო ესპანეთის ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელებს შორის.

მარადონას ჯერ ყველაფერი წინა აქვს.

მარადონა იტყვის თავის სათქმელს.

დარწმუნებული ვარ, ის ერთ-ერთი უპირველესი ვარსკვლავი იქნება მსოფლიო ფეხბურთისა.

მარადონას უფერულ თამაშს იტალიელთა მცველმა ჯენტილემაც „შეუწყო ხელი".

გავიხსენოთ, რომ მარადონა ესპანეთში ტრავმირებული ჩავიდა. ისიც კი საეჭვო იყო, პირველ მატჩებში გამოვიდოდა მოედანზე თუ არა. პირველი თამაში ძალზე უფერულად ჩაატარა, მაგრამ გავიხსენოთ, როგორ ბრწყინავდა უნგრელებთან ორთაბრძოლისას. ის გასვლები, დრიბლინგი თუ დარტყმები, მან რომ შეასრულა, მხოლოდ ფეხბურთის ჭეშმარიტ ვარსკვლავს ძალუძს.

იტალიელებმა მარადონას მეურვეობა ჯენტილეს დაავალეს. ეს ის ჯენტილეა, რომელიც იაპონელმა საქმოსანმა 1 300 000 მარკად შეაფასა არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ. შედარებისათვის: მის მიერ შედგენილ სიმბოლურ ნაკრებში ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელი იყო მარიო კემპესი (2 500 000 მარკა).

ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც ჩემზე უსიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა იტალიის ნაკრებიდან, სწორედ ჯენტილე იყო. მარადონას წინააღმდეგ უხეში, ხულიგნობამდე მისული თამაშის შემდეგ მას ტრიბუნებზე ყასაბი და ანტიფეხბურთელი შეარქვეს. მარადონა, მგონი, თითქმის იმდენჯერ მოცელეს მანაც და სხვებმაც, რამდენჯერაც კი არგენტინელმა ფორვარდმა ბურთი მიიღო.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ მარადონა შეისყიდა „ბარსელონამ", ხოლო მეოთხედფინალური მატჩები იტალიისა და ბრაზილიის წინააღმდეგ სწორედ ბარსელონაში ტარდებოდა კლუბის დირექტორატის თვალწინ. როგორ ფიქრობთ, არ შეახსენებდნენ ისინი მარადონას, ფეხებს გაუფრთხილდი, თითოეულ მათგანში ოთხ-ოთხი მილიონი დოლარია გადახდილიო?

რაკი საუბარმა ამ თემამდეც მიგვიყვანა, ერთი რამეც მინდა დავძინო. ვფიქრობ, არგენტინელთა თამაშზე გარკვეული გავლენა მოახდინა იმ ფაქტორმაც, რომ თითქმის ყველა ფეხბურთელმა ევროპის სხვადასხვა კლუბთან დადო ხელშეკრულება და ორი კაცის გარდა არგენტინაში არცერთი აღარ ბრუნდებოდა. ევროპაში რჩება მენოტიც, მას ხომ დიდი ხანია ესპანეთის „ვალენსიაზე" უჭირავს თვალი.

ბუნებრივია, ყველას სურდა ახალ კლუბში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულით მისულიყო, ამისთვის არაფერს არ იშურებდნენ, მაგრამ გარკვეულ ფარგლებს იქით რისკს, რასაკვირველია, ერიდებოდნენ.

ძველებურად ბრწყინავდნენ პასარელა და არდილესი. კარგად ითამაშა ტარანტინიმაც, მაგრამ ბრაზილიელებთან 1:3-ზე წაგებული მატჩის შემდეგ აშკარა იყო, რომ ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე არგენტინელებს არ შესწევდათ ძალა, მეორედ მოეპოვებინათ მსოფლიოში უძლიერესის წოდება.

12 ათასი არგენტინელი უნდა ჩასულიყო ესპანეთში. ფოლკლენდის კუნძულებისათვის ომმა ძალზე ბევრ გულშემატკივარს დაუკარგა მსოფლიო ჩემპიონატზე წასვლის ხალისი. საოცარი სევდა ჩამოწვა სტადიონის ტრიბუნებზე, როცა იტალიელებთან მატჩის წინ ფეხზე წამოდგომით და წუთიერი დუმილით პატივი ვეცით არდილესის ამ ომში დაღუპული ძმის ხსოვნას.

ბრაზილიელებთან მატჩის შემდეგ არგენტინელმა გულშემატკივრებმა ფრთებჩამოყრილებმა დატოვეს მოედანი. ბევრს ტირილისაგან თვალები ჰქონდა დასივებული. ძველებურად აღარ აფრიალებდნენ ეროვნულ ლურჯ-თეთრ ზოლიან დროშებს. იღლიაში საცოდავად ამოეჩარათ დაკეცილი ტრანსპარანტები და ტარზე დახვეული დროშები.

ფოლკლენდის კუნძულების დაკარგვაზე მეტად ისინი, მგონი, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაკარგვას განიცდიდნენ.

ვენდეტა

1970 წელს, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე, ფიფას დღევანდელი პრეზიდენტი, ჟოაო აველანჟი ჩავიდა, როგორც ბრაზილიის ფეხბურთის ასოციაციის თავკაცი.

მან გუნდისათვის ყველაფერი გააკეთა, რაც საჭირო იყო და ჩემპიონატის გახსნის წინა დღეს ბრაზილიაში დაბრუნდა. გამგზავრების წინ მეხიკოს აეროპორტში შეკრებილ ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა: „ვიცი, გაოცებული ხართ, რომ

სამშობლოში მივემგზავრები საფეხბურთო ფიესტის დაწყებამდე. მაგრამ რას იზამ. სამწუხაროდ, თარსი ფეხი მაქვს. მე ჩვენი ქვეყნის ნაკრებს ვახლდი ინგლისში და ვერ მოვიპოვეთ ჩემპიონის გვირგვინი. ახლა წავალ და ბრაზილიაში ტელევიზორის ეკრანით ვადევნებ თვალყურს ჩვენი ბიჭების გამარჯვებას".

მართლაც, მთელი მსოფლიო მოხიბლა მექსიკაში ბრაზილიელთა ვირტუოზულმა თამაშმა. სამშობლოში ტრიუმფით დაბრუნებულ მსოფლიო ჩემპიონებს პირველი მიეგება ჟოაო აველანჟი.

შემდგომ მსოფლიო ჩემპიონატებში კი აველანჟი, ამჯერად უკვე ფიფას პრეზიდენტის როლში, იძულებული იყო, ფეხი არსად მოეცვალა. ვერც გერმანიაში და ვერც არგენტინაში ბრაზილიელებმა წარსული დიდება ვეღარ დაიბრუნეს.

იქნებ ესპანეთში გატეხილიყო ნავსი?

ფიფას პრეზიდენტი ბარსელონაში არ ჩამოსულა, როცა ბრაზილიის ნაკრები ჯერ არგენტინას ხვდებოდა, შემდეგ კი იტალიას, მადრიდის თამაშებზე დარჩენა ამჯობინა, თანამემამულენი არ დავთარსოო.

მაგრამ ამაო გამოდგა მისი ზრუნვა და სიფრთხილე!

5 ივნისს „ესპანიოლის" სტადიონის მწვანე მოედანზე ერთმანეთის წინაშე წარდგნენ იტალიისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდები.

აი, რა შემადგენლობით გამოიყვანეს გუნდები ტელე სანტანამ და ენცო ბეარზოტმა:

ბრაზილია: პერესი, ლეანდრო, ოსკარი, ლუიზინიო, ჟუნიორი, ფალკაო, სერეზო, სრკრატესი, ზიკო, სერჟინიო (ისიდორო, 69), ედერი.

იტალია: ძოფი, ჯენტილე, კოლოვატი (ბერგომი, 33), შირეა, კაბრინი, ორიალი, ტარდელი (მარინი, 76) ანტონიონი, კონტი, გრაციანი, როსი.

როგორ მოვიდნენ ამ მატჩამდე ბრაზილიელები?

ნამდვილი ტრიუმფით! მათ არა მარტო დაამარცხეს მოწინააღმდეგენი (სსრკ – 2:1, შოტლანდია – 4:1, ახალი ზელანდია – 4:0, არგენტინა – 3:1), არამედ მაყურებელი მოხიბლეს ჭეშმარიტად ლამაზი ფეხბურთით. არგენტინასთან მათი ლაღი გამარჯვების შემდეგ ათიდან, ალბათ, ერთს თუ შეეპარებოდა ეჭვი, რომ ჩემპიონი ბრაზილია გახდებოდა.

თვალწინ გვიდგას, მაგრამ მაინც გავიხსენოთ ედერის უზადო „ხმელი ფოთოლი“, როცა ბურთი ძელს მოხვდა. უკან დაბრუნებულ ბურთს სამნი მივარდნენ: არგენტინელთა მეკარე ფილოლი, ბრაზილიელები – სერჟინიო და ზიკო. ყველას ზიკომ დაასწრო – 1:0.

შემდეგ ულამაზესი კომბინაცია – ზიკო-ფალკაო-სერჟინიო. ამ უკანასკნელმა თავური დარტყმით გაახვია ბურთი არგენტინელთა კარის ბადეში. დაბოლოს მესამე კომბინაცია – ზიკო-ჟუნიორი. მაინც, სად დაინახა ზიკომ ის დერეფანი, საიდანაც ბურთი გაუძვრინა სიღრმეში მდგომ ჟუნიორს? ან საიდან იგრძნო ჟუნიორმა, რომ ზიკო სწორედ ასე გაუჭრიდა ბურთს წინ?

ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს კომბინაცია ფეხბურთელთა ტელეპათიით იყო განპირობებული.

ულამაზესი მესამე გოლი მოედანზე ცეკვით დააგვირგვინა ჟუნიორმა.

არგენტინელებს იტალიელებთან მომქანცველი მატჩის შემდეგ მხოლოდ ორი დღე ჰქონდათ დასასვენებლად, მაგრამ დროდადრო მსოფლიო ჩემპიონები მაინც თამაშობდნენ ისე, ამ ტიტულის მფლობელებს რომ ეკადრებოდათ. პრესტიჟის გოლი გაიტანა დიასმა, რომელმაც მეორე ტაიმში კემპესი შეცვალა. ამ ლამაზმა გოლმა კიდევ უფრო დაამშვენა ისედაც წარმტაცი მატჩი (ერთი უსიამოვნო ეპიზოდი მაინც დაგვამახსოვრდა ამ დიდებული მატჩიდან: მარადონას ნერ-

ვებმა უმტყუნა და ბატისტას უხეშად ეცა... ვფიქრობ, მაინც შეიძლებოდა მსაჯს წითელი ბარათი არ ამოეღო).

შედარებით მოკრძალებული შედეგით წარდგნენ მრისხანე მოწინააღმდეგის წინაშე იტალიელები – სამი ფრე და ერთი გამარჯვება, მაგრამ ძალზე შთამბეჭდავი გამარჯვება მსოფლიო ჩემპიონებთან, არგენტინელებთან.

უფერული სტარტის შემდეგ იტალიელთა ეს გამარჯვება ზოგმა შემთხვევითობით ახსნა, ზოგმა არგენტინელთა უიღბლობით, ზოგმა კი – მსოფლიო ჩემპიონის სუსტი თამაშით.

ყოველ შემთხვევაში, ვერც სპეციალისტები და ვერც მაყურებლები იტალიის ნაკრებში ჯერ კიდევ ვერ ხედავდნენ არამცთუ მომავალ ჩემპიონს, არამედ ფინალისტსაც კი. გულშემატკივრები (რასაკვირველია, არ ვგულისხმობ იტალიელ გულშემატკივრებს, თუმცა უფერული სტარტის შემდეგ მათ უმრავლესობასაც სჯეროდა, რომ ბრაზილია წერტილს დაუსვამდა ცისფერი გუნდის წინსვლას) მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ მხოლოდ რაიმე გაუგებრობა თუ გადაუღობავდა ბრაზილიელებს გზას ოქროს მედლებისაკენ.

მართლაცდა, ბრაზილიელები ამ მატჩამდე მივიდნენ ტრიუმფით, გაიტანეს 13 გოლი. საკუთარ კარში, მიუხედავად იმისა, რომ მას იცავდა ჩემპიონატის მონაწილე მეკარეებს შორის უსუსტესი პერესი, გაუშვეს მხოლოდ სამი ბურთი.

ბრაზილიელებმა, ჯერ კიდევ ესპანეთში ჩამოსვლამდე, ევროპის ქვეყნებში ტურნეს დროს დაიმკვიდრეს უძლიერესის სახელი. შემდეგ ლაღად, თითქმის დაუძაბავად მოგებული სამი მატჩი და ბოლოს ნამდვილი საფეხბურთო ფიესტა, როცა მსოფლიო ჩემპიონები, არგენტინელები, ლამის ერთთავად გააცამტვერეს. ბრაზილიელებმა მრისხანე მოწინააღმდეგენი დაამარცხეს ყველა რგოლში. მათი აუღელვებელი, საოცრად მშვიდი თამაში, მოედნის ფენომენალური ხედვა,

უნაკლო, რთული გადაცემები, აჟურული, მაგრამ არა თვით-მიზნური ტექნიკა, უძლიერესი მოჭრილი დარტყმები და ულამაზესი გოლები ეჭვს აღარავის უტოვებდა, რომ ჩემპიონის გვირგვინს ბრაზილიელები არავის დაანებებდნენ.

საცოდაობა კი იყო ამ სამი გუნდის ერთ ჯგუფში მოხვედრა.

სამი ეროვნული ნაკრები, სამივე მსოფლიო ჩემპიონი, ხოლო მათგან ორი, იტალია და ბრაზილია, მსოფლიოს ორგზის და სამგზის ჩემპიონები! ცალ-ცალკე ალბათ ყველა მიაღწევდა ფინალს და ჩემპიონობისათვის საბრძოლველად მეტ-ნაკლებად ყველას ექნებოდა გზა გახსნილი. გათამაშების სისტემის ულმობელმა სქემამ სამიდან ორს ხომ წინასწარ გადაუკეტა გზა ფინალისაკენ.

ყველას გვჯეროდა, რომ ჩემპიონი სწორედ ბარსელონის ჯგუფში თამაშობდა და გვეგონა, რომ იგი ბრაზილია იქნებოდა.

როდესაც სტადიონისაკენ მივემართებოდით, ანგარიშები ჩამოვწერეთ. თითქმის 99 პროცენტი ფიქრობდა, რომ ბრაზილია, სულ ცოტა, სამ ბურთს გაიტანდა, თავისთავად ცხადია, ყველას გვჯეროდა, რომ გამარჯვებაც მას დარჩებოდა.

მით უმეტეს, რომ ბრაზილიელებს ფრეც აძლევდათ ხელს.

ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი თვითონ ბრაზილიელები. ჯერ კიდევ არგენტინასთან მოგებული მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ტელე სანტანას ჰკითხეს, როგორ უცქერით ჯენტილეს უხეშ თამაშს მარადონას წინააღმდეგ, იგივე ხომ არ განმეორდება იტალიელი მცველის, ზიკოსთან ორთაბრძოლის დროსო.

სანტანამ უპასუხა, ასეთი თამაშისათვის იტალიელები ჯერ არ დასჯილან, მაგრამ იმედი მაქვს, ჩვენთან დაისჯებიანო.

უშუალოდ მატჩის წინ სანტანას განცხადება გაცილებით ფრთხილი იყო: „იტალიელებთან რთული მატჩი გველის.

იტალიელებს უნარი შესწევთ, ძალისმიერი თამაშით გაუვალი დაცვა შექმნან. ძალზე სახიფათოა მათი სწრაფი კონტრიერიშები და საოცარი თვისება აქვთ განეწყონ წარმატებისათვის".

შემდგომში, დამეთანხმებით, მთლიანად ახდა ტელე სანტანას მოსაზრებანი.

ესპანელთა ყოფილმა მწვრთნელმა ლუის კუბალამ ასე შეაფასა ბრაზილიელთა ნაკრები: „ბრაზილიელები ფანტასტიკურად ფლობენ ბურთს, ყველაფერს ხედავენ მინდორზე, ნამდვილად ბრძნულ თამაშს გვიჩვენებენ. მართლაც რომ შეუდარებელი გუნდია!"

ელენიო ერერამ კი განაცხადა: „არგენტინელთა კარში ბრაზილიელების მიერ გატანილი გოლები აუცილებლად შევა ფეხბურთის ისტორიაში".

მანამდე როდის შეხვდნენ ბრაზილიელები და იტალიელები ერთმანეთს უმაღლეს დონეზე?

მე ბედნიერება მქონდა, მეხიკოში მენახა ულამაზესი ფინალი ბრაზილიელებსა და იტალიელებს შორის. მაშინ ბრაზილიელთა უპირატესობა აშკარა იყო. მიუხედავად იმისა, რომ პირველი გოლი იტალიელებმა გაიტანეს, ბრაზილიელებმა სულ იოლად, ყოველგვარი დაძაბულობისა და ნერვიულობის გარეშე გაიტანეს ოთხი საპასუხო გოლი და მესამედ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლები.

მეორედ მათი შეხვედრის უშუალო მოწმე ბუენოს-აირესში ვიყავი. ამჯერად ისინი ბრინჯაოს მედლებს და ჩემპიონატის მესამე ადგილს ეცილებოდნენ ერთმანეთს.

პირველი გოლი კვლავ იტალიელებმა გაიტანეს (კაუზიო), მაგრამ ბრაზილიელებმა შემდგომ ორჯერ აიღეს მოწინააღმდეგის კარი (ნელინიო, დირსეუ).

და აი, ისინი მსოფლიო ჩემპიონატის დონეზე მესამედ წარდგნენ ერთმანეთის პირისპირ. მართალია, ეს არ იყო ფი-

ნალი, არც მატჩი მესამე ადგილისათვის, მაგრამ ყველას ქვეშეცნეულად სჯეროდა, რომ ბარსელონის „ესპანიოლის“ სტადიონზე იტალიელებისა და ბრაზილიელების შეხვედრა იყო არაოფიციალური ფინალი. ვინც გაიმარჯვებდა, მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინსაც ის დაიდგამდა.

მაინც მინდა გავიმეორო: ალბათ ყველას, თვით იტალიელი გულშემატკივრების უმრავლესობასაც კი სჯეროდა, რომ გამარჯვებული ბრაზილია იქნებოდა.

და, აი, მოედანზე გამოსულ ბრაზილიელებს მქუხარე ოვაციებით და „სამბის“ გამაყრუებელი რიტმით მიესალმა 18 ათასი ბრაზილიელი ტორსედორი.

ესპანეთის ჩემპიონატის სამი ცენტრალური, სამი დამამშვენებელი მატჩი (არგენტინა – იტალია, ბრაზილია – არგენტინა, და ბრაზილია – იტალია) რატომღაც ბარსელონის ძველ სტადიონზე ტარდებოდა, რომელიც 40 ათასზე ცოტა მეტ მაყურებელს იტევს. და ეს მაშინ, როცა იქვე, გვერდით იყო ბარსელონის ახალი სტადიონი „ნოუ კამპი“. დარწმუნებული ვარ, სამივე ამ მატჩზე უკლებლივ მივიდოდა 120 ათასი კაცი და გაუყიდავი არ დარჩებოდა არცერთი ბილეთი.

ბრაზილია – იტალიის ორთაბრძოლის წინ ჟოაო აველანჟმა დასვა კიდეც საკითხი, მატჩი დიდ სტადიონზე გადაეტანათ, მაგრამ ამ პრობლემის გადაჭრა იმდენ სირთულესთან აღმოჩნდა დაკავშირებული, რომ ჩემპიონატის ორგანიზატორები უძლურები აღმოჩნდნენ, გამოესწორებინათ შეცდომა.

სტადიონს იმდენი ხალხი აწყდებოდა, ისე ძნელი იყო იქ შესვლა, რომ იძულებული ვიყავით, მთელი ორი საათით ადრე დაგვეკავებინა ადგილები ტრიბუნებზე. ორი საათის განმავლობაში პაპანაქებაში ჯდომას გვიადვილებდნენ ბრაზილიელი გულშემატკივრები, ბრაზილიის ეროვნული დროშისფერ მომწვანო-მოყვითალო მაისურებში გამოწყობილი

ტორსედორები. თამაშიც ყველაზე ლამაზი იციან ბრაზილიელებმა (პრესაში მათ ტყუილად როდი უწოდებდნენ სხვა გალაქტიკიდან ჩამოსულ ფეხბურთელებს) და გულშემატკივრობაც. დროშები, ტრანსპარანტები... ბევრი მათგანი საგანგებოდ დაფრახტულ გემზე იყო დაბინავებული, სადაც სტამბაც მოეწყოთ და პატარა გაზეთსაც უშვებდნენ თანამემამულე გულშემატკივრებისათვის.

ყველაზე მომხიბვლელი მაინც იყო სამბა, სამბა – პირდაპირ ტრიბუნებზე! დიდი დაფდაფებით და ათასგვარი მცირე თუ საშუალო ზომის დასარტყამი ინსტრუმენტებით აღჭურვილი რამდენიმე ჯგუფი განლაგებულიყო სტადიონის ოთხივე ტრიბუნაზე. ქუხდა სამბისა თუ სხვა ცეკვების რიტმები. ცეკვავდა ყველა, დიდიც და პატარაც, ქალიც და კაციც, ცეკვავდნენ ადგილზე. მათ შორის ბევრნი იყვნენ ისეთნი, თავიანთი პლასტიკური, შინაგანი ემოციით დამუხტული როკვით ჭეშმარიტ სიამოვნებას რომ გვანიჭებდნენ.

არგენტინელებთან გამარჯვების შემდეგ მთელი საათი არ გავსულვართ სტადიონიდან. ვიდექით და აღტაცებულნი ვუყურებდით, როგორ ზეიმობდნენ ბავშვებივით გახარებული და აცუნდრუკებული ბრაზილიელები. საგანგებოდ მომზადებული არგენტინული სიმღერით გააცილეს თავჩაქინდრული, დაღვრემილი არგენტინელები, მაგრამ ყველაფერი ისე ზრდილობიანად კეთდებოდა, ერთი შემთხვევაც არ ყოფილა გაუგებრობისა. იტალიასთან მატჩის შემდეგ კი ათასობით ბრაზილიელმა და იტალიელმა გულშემატკივარმა მეგობრულად გაცვალა მაისურები. ცოტა უცნაური სანახავი კი იყო ქუჩაში მოზეიმე ათასობით იტალიელი, გულზე და ზურგზე „ბრაზილია“ რომ ეწერათ და „ფორცა, იტალიას“ გაჰყვიროდნენ.

„ესპანიოლის“ ტრიბუნებზე 18 ათას ბრაზილიელს 23 ათასი იტალიელი „დაუპირისპირდა“. ფრიალებდა უთვალავი

სამფეროვანი დროშა იტალიისა. სიმრავლისა და იტალიური ტემპერამენტის მიუხედავად, მათ გულშემატკივრობაში არ იგრძნობოდა ის ორგანიზაცია და ხელოვნება, ბრაზილიელ გულშემატკივრებს რომ ჰქონდათ.

ისრაელელმა მსაჯმა კლაინმა თამაშის დაწყების ნიშანი მისცა. სტადიონი ერთ წამს გაირინდა და კიდევ უფრო გამოიკვეთა სამბის რიტმი, რომელიც, ჩვეულებისამებრ, მატჩის ბოლო წუთამდე არ შეწყვეტილა.

მინდა გავიხსენო სესარ ლუის მენოტის სიტყვები, ბრაზილიელებთან დამარცხების შემდეგ რომ თქვა პრესკონფერენციაზე: „თუ ბრაზილიელები იმოქმედებენ უფრო სწრაფად, მათ დამარცხებას ვერავინ შეძლებს“.

მატჩის შემდეგ ყველასათვის ნათელი გახდა, რა სწორი შეფასება მისცა ბრაზილიელთა გუნდს ლუის მენოტიმ.

მატჩის დაწვრილებით აღწერას არ შევუდგები. უბრალოდ, აზრი არა აქვს. იგი ყველა გულშემატკივარმა ნახა. ზოგმა ორჯერაც. ცალკეული ფრაგმენტები, ალბათ, კიდევ უფრო მეტჯერ. ინფორმაციაც, ანგარიშიც და გამოძახილიც მრავალი გამოქვეყნდა. ვისაც მატჩი არ უნახავს, მას, თუნდაც დაწვრილებითი აღწერით, ძალზე გაუჭირდება წარმოიდგინოს, „დაინახოს“ ამ ორთაბრძოლის ულამაზესი და დრამატული ეპიზოდები.

მაინც გავიხსენოთ, როგორ გავიდა გოლები.

მეხუთე წუთზე პაოლო როსიმ მიიღო კაბრინის გადაცემა და გახსნა ანგარიში – 1:0;

მე-12 წუთზე ზიკომ მარჯვენა ფრთაზე კარგად გაიყვანა სოკრატესი. იგი ფრთიდან შევიდა კარის სიახლოვეს და საპასუხო ბურთი დაბალ კუთხეში გაახვია – 1:1;

25-ე წუთზე სერეზომ ბურთი დუნედ გადააწოდა თანაგუნდელს. არ ეგონა, თუ როსი იქვე იდგა. იტალიელმა ფორვარდმა გადაჭრა გადაცემა და მეორე გოლი გაიტანა – 2:1;

68-ე წუთზე ფალკაომ წონასწორობა აღადგინა – 2:2;

75-ე წუთზე კი პაოლო როსიმ (თავისი მესამე) გამარჯვების გოლი გაიტანა.

ბრაზილია დამარცხდა!

მოხდა ის, რასაც თითქმის არავინ ელოდა!

რამ გამოიწვია ბრაზილიელთა მარცხი? უბედობამ? დაუდევრობამ?

იქნებ იტალიელები უფრო ძლიერნი იყვნენ და ბრაზილიელთა დამარცხება კანონზომიერი მოვლენა იყო?

მოდით, ვიმსჯელოთ.

ბრაზილიელებმა ოთხი ისეთი თამაში მოიგეს, თითქმის ყველანი, სპეციალისტებიც და არასპეციალისტებიც შეაგუეს აზრს, რომ ჩემპიონის გვირგვინი მხოლოდ და მხოლოდ მათი კუთვნილება იქნებოდა.

ტოტალურ-ტექნიკური ფეხბურთი, შესანიშნავი ფიზიკური მომზადება, ბურთის ვირტუოზული ფლობა, ერთმანეთის ჩანაფიქრის ტელეპათიური შეგრძნება, უზუსტესი და ტექნიკურად რთული გადაცემები (თვით ბუცის ქაცვებითაც კი), კარში უძლიერესი და მოჭრილი დარტყმები, თამაშის რიტმის რეგულირება, საჭირო „სიჩქარეების ჩართვა“, დრიბლინგი და მრავალფეროვანი ფინტები, იერიშისა და დაცვის შესანიშნავი ორგანიზაცია, თამაშის კაუჩუკივით მოქნილი სტილი, გამარჯვების რწმენა, სიმშვიდე და სიდარბაისლე...

კიდევ რაღა დარჩა?

მგონი, აღარაფერი.

იყო ყველა რგოლი ბრაზილიის ნაკრებში თანაბარი? – ვფიქრობ, ლოგიკური იქნება ასეთი შეკითხვა.

არ იყო!

ბრაზილიელთა კარს იცავდა ჩემპიონატის ყველაზე სუსტი მეკარე. პერესმა გაუშვა თითქმის ყველა ბურთი, რომელიც მის კარში დაარტყეს. ის იტალიელებს გოლის გატანაში

„დაეხმარა“ მაშინაც, როცა სულ არ იყო საგოლე მომენტი და, საერთოდ არ ემუქრებოდა საფრთხე ბრაზილიელთა კარს. თანაც რომელი გოლის, მესამე, იტალიელთა საბოლოო გამარჯვების მაუწყებელი გოლის გატანაში!

სრულიად მშვიდ სიტუაციაში ლუიზინომ კუთხურის ხაზისაკენ მეკარეს უკან მიაწოდა ბურთი. პერესი ჯერ უძრავად იდგა კარში, მერე თითქოს ერთბაშად მიხვდა, რომ ბურთი თუ ხაზს გადაკვეთდა, კუთხური იქნებოდა. გამოფხიზლებული სწრაფად გადახტა, მაგრამ უკვე გვიან იყო, ბურთი ხაზს იქით დაიჭირა. სწორედ ამ კუთხურს მოჰყვა პაოლო როსის მესამე გოლი.

ერთი შეხედვით, მეორე და მესამე გოლები ბრაზილიელთა შეცდომების შედეგად გავიდა, მაგრამ ისიც ნუ დაგვავიწყდება, გოლის გატანის რა რეალური შესაძლებლობები დაკარგეს იტალიელებმა.

მეორე სუსტი ადგილი, ჩემი აზრით, ბრაზილიის ნაკრებში იყო ცენტრალური თავდამსხმელი სერჟინიო. ეს ათლეტური და ეგზოტიკური ფეხბურთელი სრულიად ამოვარდნილი მეჩვენა ბრაზილიური ფეხბურთის სტილიდან.

სერჟინიოს ყველა როდი უცქერდა ჩემი თვალით. მაგალითად, ედუარდ სტრელცოვი წერს: „სხვებისა არ ვიცი, და მე ძალიან მესიმპათიურება ბრაზილიელთა ცენტრფორვარდი სერჟინიო. მას, უბრალოდ, ფენომენალური მონაცემები აქვს ცენტრფორვარდის ამპლუისათვის: სერჟინიო მაღალია, ჩაკუნთული, ფეხმაგარი, აქვს ბუნებით მომადლებული სისწრაფე, შესანიშნავად თამაშობს თავით.

ეს მასიური ცენტრალური თავდამსხმელი სხვა ბრაზილიელი ფეხბურთელებისაგან განსხვავებით (მე, რასაკვირველია, მხედველობაში არ მყავს ზიკო და ედერი), კარგად გრძნობს საგოლე სიტუაციებს. რაც მას აკლია, მგონი, ესაა პაოლო როსის აზარტი“.

ვერ დავეთანხმები სტრელცოვს. შეიძლება ბრაზილიელი ფორვარდი კარგად გრძნობს საგოლე სიტუაციებს, მაგრამ სერჟინიომ ვერ გამოიყენა ვერც თავისი მძლავრი და მაღალი ტანი და ვერც სისწრაფე. იგი მოშვებული სიმივით იყო კარგად აწყობილ გიტარაზე. როდესაც ცრუ მოძრაობით მოწინააღმდეგეს წონასწორობიდან გამოიყვანდა, მძიმე სხეულს ვეღარ იმორჩილებდა და საბოლოოდ ბურთს მაინც კარგავდა.

სხვა სუსტი ადგილი გუნდს არ ჰქონია, ოღონდ, თავისთავად ცხადია, განსხვავება მაინც იგრძნობოდა ფეხბურთელთა შორის, ბრაზილიელთა უპირველესი ვარსკვლავები მაინც იყვნენ ზიკო, ფალკაო, სოკრატესი, ედერი, ჟუნიორი, სერეზო.

ექვსი ვარსკვლავი, ექვსი უბრწყინვალესი ფეხბურთელი, რომლებმაც დაამშვენეს მთელი ჩემპიონატი.

მაინც, რა იყო ბრაზილიელთა მარცხის უმთავრესი მიზეზი?

ვფიქრობ, ზედმეტი თავდაჯერებულობა, ზედმეტი რწმენა.

არცერთხელ წარბი არ შეუხრიათ, როცა მათ კარში პირველი ბურთი გადიოდა.

ისინი დინჯად, მეთოდურად ავითარებდნენ შეტევებს. მაყურებელიც მიეჩვია, რომ პირველი გაშვებული ბურთი ბრაზილიელებისათვის არაფერს არ ნიშნავდა. თვით იტალიასთანაც კი, სულ ბოლო მომენტამდე, სანამ მსაჯის საფინალო სასტვენის ხმა არ გაისმა, რჩებოდა იმედი, რომ ბრაზილიელები ანგარიშს გაათანაბრებდნენ და გათამაშების შემდგომ ეტაპზე გავიდოდნენ.

როცა ფალკაომ მეორე ბურთი გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა, ყველა დარწმუნდა, რომ ბრაზილიამ გადაჭრა „იტალიის პრობლემა“.

თამაშის დამთავრებამდე 15 წუთი რჩებოდა. ბრაზილიელებს შეეძლოთ ამ მომენტში კონტრშეტევებით ეთამაშათ და საკუთარი კარი მეტი ძალებით დაეცვათ. ფრე ხომ მათ

გამარჯვებას ნიშნავდა, მაგრამ არა, ისინი მაინც უტევდნენ, მაინც ბოლომდე ერთგული დარჩნენ ლამაზი და შემტევი ფეხბურთისა. ისინი მხოლოდ მოგებისათვის იბრძოდნენ და... დაისაჯნენ.

მაგონდება სოკრატესის სიტყვები, ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე რომ თქვა: „ჩვენი საიდუმლო სრულიად უბრალოა – შეგვიძლია გავიტანოთ მოწინააღმდეგეზე ერთი ბურთით მეტი. ესაა და ეს!“

ვფიქრობ, ამ ერთ ბურთს რომ არ გამოჰკიდებოდნენ, ბრაზილიელებს შეეძლოთ იოლად შეენარჩუნებინათ გამარჯვების ტოლფასი ფრე.

ვფიქრობ, სწორი იყო ბრაზილიური „ჟურნალ დე ტარდეს“ სპორტული მიმომხილველი სერჟიო ბალკანოსი, როცა თქვა: სანტანას უნდა ჰქონოდა მარაგში თავდაცვითი ვარიანტიც, რომელიც ბრაზილიელებს საშუალებას მისცემდა, შეენარჩუნებინათ საყაიმო ანგარიშიო. მანვე თქვა, ჩემპიონატის დაწყებამდე ბრაზილიის სპორტული პრესა და სპეციალისტები ძალზე აკრიტიკებდნენ ნაკრების მწვრთნელს შემტევი და მეტისმეტად ღია თამაშისთვისო.

სწორია ბრაზილიელი სპეციალისტი. როცა საქმე საქმეზე მიდგა და მიზნის მიღწევამდე მხოლოდ წუთებიღა რჩებოდა, ალბათ, უფრო ფრთხილი თამაში იყო საჭირო.

მთელი ჩემპიონატის განმავლობაში მხოლოდ იტალიელებთან დარჩენილი 15 წუთი იყო, როცა ბრაზილიელებმა დამარცხების საშიშროება იგრძნეს და მეტოქის კარს სტიქიურად შეუტიეს. აღარ გვაოცებდა ფორვარდთა „გამომგონებლობა“, აღარ იყო მახვილგონივრული პასები და კომბინაციები. ბურთს ძირითადად შორიდან ჰკიდებდნენ იტალიელთა საჯარიმო მოედანზე. სოკრატესმა წინ გადაინაცვლა, ამით დაპატარავდა და დავიწროვდა მისი სამოქმედო დიაპაზონი,

აღარც ედერს გამოსდიოდა „ხმელი ფოთოლი“, თუმცა მაინც ჯიუტად ურტყამდა საჯარიმოებს.

სულ ბოლო წამებში მაინც იყო გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობა, მაგრამ პაპა დინომ, როგორც მეკარე ძოფს ეძახიან იტალიელები, შეძლო შეუძლებელი, ზედ ხაზზე გააქვავა ბურთი!

ბრაზილიელთა ნაკლი იყო ისიც, რომ კონტრშეტევაზე ძალზე ნელა გადადიოდნენ. არ ცდილობდნენ გამოეყენებინათ რაოდენობრივი უპირატესობა, როცა იტალიელთა შეტევას ჩაშლიდნენ ხოლმე. ბრაზილიელები ბურთს მოედნის ცენტრში აგორავებდნენ და ისე უახლოვდებოდნენ მოწინააღმდეგის კარს. იტალიელები თავისუფლად ასწრებდნენ უკან ჩასვლას და კარის მისადგომების გამაგრებას.

რატომ?

ალბათ, ბრაზილიელებს ზედმეტად სჯეროდათ თავიანთი ტექნიკური უპირატესობისა. სჯეროდათ, რომ მათთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, კარისაკენ იერიშზე მიმავალთ რამდენი მცველი გადაეღობებოდათ წინ.

იტალიელებმა კი პირიქით, სწრაფ კონტრშეტევებზე ააგეს თამაში. ამ სისწრაფისა და მოწინააღმდეგის კარზე ელვისებური იერიშის მიტანის წყალობით შეტევის დროს თითქმის ყოველთვის შეინარჩუნეს რიცხობრივი უპირატესობა.

და კიდევ ერთი, ჩემი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორი: ბრაზილიელ ფეხბურთელებს თითქოს არ ეტყობოდათ ჟინი, გამარჯვებისაკენ თავგანწირული ლტოლვა, რაც ასე უხვად ჰქონდათ იტალიელებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღევანდელ ფეხბურთში აღმაფრენა ისეთივე კომპონენტი გახდა ფეხბურთისა, როგორც, ვთქვათ, ტექნიკა ან თამაშის ორგანიზაცია.

დავუშვათ, სამი დღის შემდეგ ისევ შეხვდნენ ბრაზილიელები იტალიელებს, – ვფიქრობდი ავტობუსში შინისაკენ

მიმავალი. – როგორ დამთავრდება მათი მეორე შეხვედრა? რა დასკვნებს გააკეთებდნენ და როგორ წარმართავდნენ შეტევებს? გამოგიტყდებით და, გულში უპირატესობას ბრაზილიელებს ვანიჭებდი. მაგრამ ფეხბურთში ასეთი რამ არ ხდება, მათი „მეორე შეხვედრა“ მხოლოდ ფანტაზიისა და ჩემი საოცარი სურვილის შედეგი იყო, კარგად გავრკვეულიყავი, მართლაც სჯობდა თუ არა იტალიის ნაკრები ბრაზილიისას.

მალე დავრწმუნდი, ასეთი სურვილი მარტო მე არ დამბადებია. პრესკონფერენციაზე ჟურნალისტები და სპეციალისტები მქუხარე ტაშით შეხვდნენ ტელე სანტანას. მქუხარე ტაშითვე გააცილეს ბრაზილიელთა მწვრთნელი პრესკონფერენციის დამთავრების შემდეგაც. ამით მადლობა გადაუხადეს მას ლამაზი, შემტევი, მთელი ჩემპიონატის დამამშვენებელი მატჩებისათვის, დიდი, ჭეშმარიტი ხელოვნებისათვის, რომელსაც ამდენი სიხარული მოაქვს მილიარდობით ადამიანისათვის.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ იტალია – ბრაზილიის მატჩის შემდეგ თითქოს დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი. უმრავლესობა აღარც კი ელოდა დიდი ინტერესით შემდგომ მატჩებს და ფინალურ ორთაბრძოლას.

ხალხი ხელახლა მოეგო გონს და მსოფლიო ჩემპიონი კვლავ გაახსენდათ საფრანგეთისა და გფრ-ის ნაკრები გუნდების ულამაზესი და საფრანგეთისათვის ტრაგიკული მატჩის შემდეგ.

არ დამავიწყდება ბრაზილიისა და იტალიის მატჩის დასასრული. გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა. 23 ათასმა იტალიელმა გამარჯვების ყიჟინა დასცა. ტრიბუნებზე გაქვავებული იდგა 18 ათასი ბრაზილიელი. ჩემ ირგვლივ ვინც იდგა, ყველას ცრემლი უბრწყინავდა თვალებში. ბევრი ხმამაღლა ტიროდა.

პაოლო როსის მესამე გოლმა შეაჩერა მათი ძლევამოსილი წინსვლა. იტალიელთა გამარჯვებამ გაანაწყენა სხვადასხვა ქვეყნის მილიონობით გულშემატკივარი. იმიტომ კი არა, რომ იტალიელები ძლიერ ფეხბურთელებად არ მიაჩნდათ,

იმიტომ, რომ შინაგანად ყველას სჯეროდა ბრაზილიელთა გამარჯვებისა და რაღაც საოცარი ნეტარებით ელოდნენ კიდევ ორ მატჩს, განსაკუთრებით კი ფინალს, ტყავის ბურთის ჯადოქრების მონაწილეობით.

მსაჯის საფინალო სასტვენისთანავე სოკრატესმა ტაშით მიულოცა იტალიელებს გამარჯვება. სოკრატესთან ერთად სხვა ბრაზილიელებმაც შეძლეს შეეკავებინათ თვალზე მომდგარი ცრემლი და ვნებათა ღელვა. როგორც ჭეშმარიტ ფეხბურთელებს შეშვენით, ისე ღირსეულად მიესალმნენ გამარჯვებულ იტალიელებს და ნაღვლიანად დატოვეს მწვანე მოედანი.

ადვილი წარმოსადგენია, რა ცეცხლი ტრიალებდა მათ გულში.

თუ არ ვცდები, მეორე დღესვე გაემგზავრნენ სამშობლოში. გაემგზავრნენ და თან გაიყოლეს მილიონობით გულშემატკივრის სინანული, წავიდნენ ღირსეულად და ვაჟკაცურად. წაგებამ ვერაფერი დააკლო მათი თამაშის სილამაზეს, მათ სიძლიერეს.

შედეგმა ვერ აჯობა ხელოვნებას.

შედეგი ხშირად შეიძლება შემთხვევითი იყოს, განპირობებული უიღბლობით, გათამაშების სისტემის უვარგისობით, ცუდი მსაჯობით, მიკერძოებით და სხვა ათასგვარი მიზეზით.

შემთხვევითი ხელოვნება კი არ არსებობს.

ჩემპიონატის დაწყებიდან სულ რამდენიმე თვე გავიდა, მაგრამ შეიძლება ზოგიერთი მატჩის ცალკეული ეპიზოდებიც ვეღარ აღვადგინოთ გონებაში.

ბრაზილიელთა თამაში კი ისე გვახსოვს, როგორც კინოფილმები, კაცობრიობამ რომ შედევრებად აღიარა.

ეტყობა, ასეთ წაგებასაც ჰქონია თავისი სილამაზე.

სინანულით აღავსო მილიარდობით ადამიანი, ეს უკვე დიდი გამარჯვებაა.

დიდი გამარჯვება და თან მშვენიერი დასტური იმისა, თუ როგორი ფეხბურთი ჰყვარებიათ გულშემატკივრებს!

გაუხუნარი პელე

ყოველ ჩემპიონატს თან ახლავს მსოფლიოში ცნობილი ფირმების სარეკლამო ორთაბრძოლები. ამის თაობაზე სხვა, უფრო ადრე დაწერილ ნარკვევებში მაქვს მოთხრობილი და აქ თავს აღარ შეგაწყენთ.

მხოლოდ ერთი საგულისხმო ამბავი მინდა გიამბოთ. ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებს ყველაზე დიდი შემოსავალი მაინც ფირმების სარეკლამო აღლუმმა შემოუტანა – მთელი თანხის 60 პროცენტი.

საფეხბურთო მოედნის მიღმა, სატელევიზიო კამერების პირდაპირ რეკლამების განლაგების უფლება მოიპოვეს „კოკა-კოლამ", „ჯილეტმა", „კენონმა" (ფოტოაპარატურა), „ელესმა" (სპორტსაქონელი), „მეტაქსამ" (ალკოჰოლური სასმელები), „რეინოლდსმა" (თამბაქო). მაგრამ, როგორც მოედნის ირგვლივ ყველაზე თვალსაჩინო ადგილები, ასევე ცაც დირიჟაბლებით ძირითადად დაიპყრო „უესტ-ნელიმ", მონაკოში არსებულმა ძალიან მოკრძალებულმა ფირმამ, რომელიც 1977 წლის 8 თებერვლიდან აღიარა კანონიერად მონაკოს კომერციულმა სასამართლომ. ფირმას ძალზე ცოტა, მსოფლიო ასპარეზზე გასასვლელად სასაცილოდ ცოტა თანხა ჰქონია ბრუნვაში – სულ რაღაც ნახევარი მილიონი ფრანკი. ფირმის მფლობელები არიან ინგლისის გაზეთ „ტაიმსის" ყოფილი კორესპონდენტი პიტერ უესტი და რეკლამის სპეციალისტი პატრიკ ნელი.

მაშ, როგორ შეძლო ამ ფირმამ გამხდარიყო ესპანეთის ჩემპიონატის „ჩემპიონი" ფირმებს შორის?

როგორც შემდგომ გაირკვა, ფირმის უკან იდგნენ „ადიდასი“ და „კოკა-კოლა“.

ესპანეთის გზებზე და ქალაქებში ბევრ ადგილას ჰქონდათ აგებული სპეციალური გიგანტური (10X5 მ) სტენდები, სადაც გამოეკრათ უმშვენიერეს პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი პლაკატები, როგორ თამაშობენ ესპანელი ფეხბურთელები ფეხბურთს... რომელიღაც ფირმის კოსტიუმებსა და ფეხსაცმელებში გამოწყობილნი!

ასევე, როგორ სვამენ ისინი „კოკა-კოლას“ ან ლუდს.

ერთი სიტყვით, ამ გიგანტური სარეკლამო პლაკატების გამოფენის უფლება მოიპოვეს ტანსაცმლის, „კოკა-კოლის“ და ლუდის მეწარმეთა ფირმებმა. მაგრამ რაკი ესპანეთში იმხანად ესპანელ ფეხბურთელებზე პოპულარულნი არავინ ეგულებოდათ, პლაკატებზე მხოლოდ ესპანეთის ნაკრების მოთამაშეები იყვნენ გამოსახულნი.

იყო კიდევ ერთი დიდი პლაკატი ესპანეთის ავტოსტრადებზე და ქალაქებში, იმავე ზომის გიგანტური სარეკლამო პლაკატი. მასზე გამოსახული იყო ლეგენდარული პელე ყავის პატარა ფინჯნით ხელში. მხოლოდ ბრაზილიელებმა შეძლეს, ესპანური ფირმების დარად გაეწიათ რეკლამა ბრაზილიური ყავისათვის.

ერთ მშვენიერ დღესაც ესპანელები „სანტიაგო ბერნაბეუს“ დიდებულ სტადიონზე გამოეთიშნენ მსოფლიო პირველობას. ვერ წარმოიდგენთ, რა დღეში ჩავარდნენ ესპანელი გულშემატკივრები. იმ დღეს ადრე დაიკეტა რესტორნები, ბარები. ადრე ჩაკვდა სიცოცხლე ღამის ცხოვრებით სახელგანთქმულ ქუჩებსა და კვარტლებში. ესპანეთი გლოვობდა საკუთარ სახლში გამარჯვების ხელიდან გაშვებულ შანსს. ამიტომაც იყო, რომ ფინალური მატჩის ბილეთების ფასი შავ ბაზარზე 150 დოლარამდე დაეცა, ოთხი წლით ადრე კი, ბუე-

ნოს-აირესში, ფინალური მატჩის ბილეთი შავ ბაზარზე 1000 დოლარი ღირდა.

მეორე დილა, ჩვეულებრივ, კალელას დიდებულ პლაჟზე გავატარეთ, ნაშუადღევს კი ბარსელონაში გავემგზავრეთ მორიგ ექსკურსიაზე.

შევნიშნე, რომ გზაში აღარსად იყო ესპანელი ფეხბურთელების სარეკლამო პლაკატები. პირველად ვიფიქრე, ხომ არ მეჩვენება-მეთქი, 55-კილომეტრიან ტრასაზე და თვით ბარსელონაშიც კარგად მახსოვდა ამ სარეკლამო პლაკატების ადგილმდებარეობა.

არ მოვტყუებულვარ. ყველგან ცარიელი სტენდების რკინის ჩონჩხებიღა იდგა. სარეკლამო პლაკატები თურმე შუაღამისას ჩამოეხსნათ. ჩამოეხსნათ სრულიად გასაგები მიზეზით: ესპანელები ისე იყვნენ გაცოფებულნი თავიანთ ფეხბურთელებზე, გუშინდელი რეკლამა უმალვე იქცა ანტირეკლამად.

მხოლოდ ბრაზილიური ყავის რეკლამები იდგა ხელუხლებლად, საიდანაც იცქირებოდა მოღიმარი პელე, მარად გაუხუნარი პელე ყავის ფინჯნით ხელში...

ფორცა, იტალია!

1982 წლის 11 ივლისი.
მადრიდი, „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონი.

მსოფლიოს XII საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალი.

100 ათასი მაყურებლის თანდასწრებით ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ მსოფლიოს ორ-ორ გზის ჩემპიონები: იტალიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელები.

იტალია ასეთი შემადგენლობით გამოვიდა მწვანე მოედანზე: ძოფი, ბერგომი, კაბრინი, კოლოვატი, ჯენტილე, ში-

რეა, ორიალი, ტარდელი, კონტი, გრაციანი (ალტობელი, კაუზიო), როსი.

გერმანელები: შუმახერი, კალცი, შტილიკე, ბრიგელი, ბრაიტნერი, კ.-ჰ. ფიორსტერი, ბ. ფიორსტერი, დრემლერი (ჰრუბეში), ლიტბარსკი, ფიშერი, რუმენიგე (მიულერი).

ესპანეთის პრესამ ფინალის წინ საგანგებოდ გამოაქვეყნა ადრინდელი, ფინალური თამაშის წინ გამოთქმული პროგნოზები. აღმოჩნდა, რომ ნახევარფინალისტთა შორის არ დაუსახელებიათ არც იტალიელები, არც ფრანგები და პოლონელები. მხოლოდ გფრ-ის ფეხბურთელებს მიიჩნევდნენ ოქროს მედლების მოპოვების შესაძლო პრეტენდენტებად.

საერთოდ, მომავალი ჩემპიონატის პროგნოზებს წინა ჩემპიონატის შედეგები განსაზღვრავს ხოლმე. ამიტომაც იხსენიებდნენ ფავორიტებს შორის არგენტინას, ბრაზილიას, გფრ-ს, იტალიას. მაგრამ იტალია თავიდანვე ჩამოწერეს... მოდი და ნუ ჩამოწერდი: „სკუადრა აძურა" საოცრად უფერულად გამოვიდა ქვეჯგუფში. გავიხსენოთ ანგარიშები: პოლონეთთან – 0:0, პერუსთან – 1:1, კამერუნთან – 1:1.

იტალიელებმა ქვეჯგუფში მეორე ადგილი მხოლოდ გატანილი ბურთების წყალობით დაიკავეს (2:2) და გაუსწრეს კამერუნელებს, რომელთა ბურთების შეფარდებაც 1:1 იყო.

გავიხსენოთ იტალიელთა გამოსვლა წინა, არგენტინის ჩემპიონატზე. იტალიელებმა თავიდანვე მოხიბლეს მაყურებელიც და სპეციალისტებიც ტექნიკური, სწრაფი, შემტევი და ლამაზი ფეხბურთით. მათ ერთბაშად გადაავიწყეს ხალხს აღიარებული ფავორიტები: მასპინძლები – არგენტინელები, ბრაზილიელები, გერმანელები და ჰოლანდიელები. იტალიელები გახდნენ ჩემპიონობის № 1 პრეტენდენტები.

მაგრამ შუა ჩემპიონატში, განსაკუთრებით ჰოლანდიელებთან მატჩის მეორე ტაიმში (პირველი ტაიმი ისე ბრწყინვალედ ითამაშეს, შესვენების დროს ბობი ჩარლტონმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, იტალიელები მარტო ამ მატჩს კი

არა, მთელ ჩემპიონატს მოიგებენო) უკვე იგრძნობოდა, რომ გუნდი გადაიღალა, ვერ გაუძლო დაძაბულ რიტმს. პირველი სამი დიდებულად მოგებული თამაშის შემდეგ მან ვერ მოუგო გერმანელებს (0:0); წააგო ჰოლანდიელებთან (1:2) და ბოლოს ბრაზილიელებთან პირველი ტაიმის მოგების შემდეგ (1:0) ფარ-ხმალი დაყარა მეორე ტაიმში – 1:2.

ესპანეთში ყველაფერი პირიქით მოხდა. ქვეჯგუფში უღიმღამოდ ჩატარებული სამი მატჩის შემდეგ დაიწყო გამარჯვებათა ბრწყინვალე სერია: იტალია – არგენტინა – 2:1, იტალია – ბრაზილია 3:2, იტალია – პოლონეთი 2:0. და ბოლოს – ფინალი.

იყო კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც სპეციალისტებს და გულშემატკივრებს არ მიაჩნდათ იტალია ჩემპიონატის ფავორიტად. ორი წლის წინ იტალიელებმა ევროპის თასის გათამაშების დროს საკუთარ სახლში არამცთუ ჩემპიონობა ვერ მოიპოვეს, მხოლოდ მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

ამიტომაც იყო, რომ არგენტინელთა და გერმანელთა შემდეგ იტალიელებს იხსენიებდნენ ინგლისთან, საფრანგეთთან, საბჭოთა კავშირთან და შოტლანდიასთან ერთად.

სანამ ახალი ჩემპიონების ღირსებებზე ვილაპარაკებდეთ, ჯერ გავიხსენოთ ფინალური მატჩის საკვანძო ეპიზოდები.

თამაშის დაწყებამდე იტალიელთა მწვრთნელმა ენცო ბეარზოტმა იცოდა, რომ ანტონიონი ვერ ითამაშებდა. ეს დიდი დანაკლისი იყო ცისფერი გუნდისათვის. ბუნებრივია, ბეარზოტმა მატჩის წინ არ იცოდა, რომ პირველსავე წუთებში გრაციანი დაიმტვრეოდა.

ბეარზოტმა ისიც იცოდა, რომ იუპ დერვალი არ აპირებდა ტრავმირებული რუმენიგეს გამოყვანას. მაგრამ იტალიელთა მთავარსარდალი არ ენდობოდა დერვალის განცხადებას და გერმანელებთან ბრძოლის ორ სტრატეგიულ მოდელს აგებდა, ერთს იმ შემთხვევისათვის, თუ მოედანზე რუმენიგე გამოვიდოდა, მეორეს კი – თუ მოწინააღმდეგე რუმენიგეს სათადა-

რიგოთა სკამზე დასვამდა. ბეარზოტმა განაცხადა, მტკიცედ მჯეროდა, რომ რუმენიგე მოედანზე პირველი წუთებიდანვე გამოვიდოდაო.

მისი ვარაუდი გამართლდა. თავის მხრივ, დერვალმა მას შემდეგ გადაწყვიტა მოედანზე ტრავმირებული რუმენიგეს გამოყვანა, რაც გაიგო, ანტონიონი ვერ ითამაშებსო.

იყო ერთი მოულოდნელობაც, ყველას ეგონა, რუმენიგეს ჯენტილე დაიჭერდა, სინამდვილეში ჯენტილე ლიტბარსკის მიუჩინეს, ხოლო რუმენიგეს ბერგომი დასდევდა აჩრდილივით.

კიდევ ერთი სიურპრიზი: ათლეტურ და ძალისმიერ ბრიგელს მომცრო ტანის დრიბლიორი კონტი მიუჩინეს. ამიტომაც იყო, პირველ ტაიმში კონტი ძირითადად დაცვაში ტრიალებდა. მიუხედავად ამისა, ბრიგელი პირველ ტაიმშივე გახდა იძულებული, აკრძალული ხერხით წაექცია საჯარიმო მოედანზე შეჭრილი კონტი (შეგახსენებთ: პენალტი ვერ გამოიყენა იტალიელმა კაბრინიმ). ბრიგელი ცდილობდა, გრძელი გარღვევებით დაეღალა კონტი. მოხდა პირიქით; მეორე ტაიმში უკვე გერმანელი მცველების წინაშე დადგა კონტის იერიშების მოგერიების პრობლემა.

ერთი სიტყვით, იტალიელთა მიერ ჩატარებულ წინა მატჩებთან შედარებით, თამაში გარკვეული სტრატეგიული სიახლეებით დაიწყო.

პირველი ტაიმი თითქოს არ გვიქადდა ლამაზ და ემოციურ ფეხბურთს. ფეხბურთელები, განსაკუთრებით გერმანელები, არც უხეშობას თაკილობდნენ. მსაჯს მატჩის განმავლობაში ხუთჯერ დასჭირდა ყვითელი ბარათის ამოღება (კონტი, ორიალი, დრემლერი, შტილიკე, ლიტბარსკი).

მატჩის დასაწყისში დაშავებული გრაციანის ნაცვლად მოედანზე გამოვიდა ალტობელი. ის პირველივე წუთებიდან „ჩაჯდა" კოლექტივში და უბრწყინვალესი გოლიც (რიგით მესამე) გაიტანა გერმანელთა კარში.

როცა 24-ე წუთზე ბრიგელმა მოცელა საჯარიმო მოედანზე შეჭრილი კონტი (მან გადაცემა ალტობელისაგან მიიღო), მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

იტალიელი ტიფოზები წინასწარ ზეიმობდნენ გოლს; მაგრამ კაბრინიმ ყველას ცივი წყალი გადაასხა.

როცა ბურთი კარს ასცდა, არცერთ იტალიელ ფეხბურთელს უბრალო ჟესტითაც კი არ გამოუხატავს უკმაყოფილება. თამაში ისე გააგრძელეს, ვითომ არაფერი მომხდარიყოს.

ზოგიერთმა ღიმილით გაამხნევა კიდეც გულდაწყვეტილი მეგობარი.

არადა, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში თანაბარი ანგარიშის დროს პენალტის გაფუჭება თითქმის წაგებას უდრიდა.

პირველი ტაიმი უგოლოდ დამთავრდა.

მეორე ნახევარში იტალიელებმა თავიდანვე შეუტიეს და თანდათანობით გამოიკვეთა კიდეც მათი ტექნიკური უპირატესობა.

მე-6 წუთზე ჯენტილეს გადაცემის შემდეგ როსის თავით გააქვს გოლი.

23-ე წუთზე უკვე შირეას გადაცემის შემდეგ ტარდელიმ მეორედ გაახვია ბურთი გერმანელთა კარის ბადეში, 36-ე წუთზე ალტობელიმ მოატყუა რამდენიმე მცველი, მეკარე შუმახერი და ულამაზესი გოლი გაიტანა.

მხოლოდ 38-ე წუთზე შეძლო ბრაიტნერმა ერთადერთი ბურთის გაქვითვა. ეს იყო და ეს.

იტალიამ მესამედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

არის თუ არა იტალია ღირსეული მსოფლიო ჩემპიონი?

იქნებ სხვა რომელიმე გუნდი, თუნდაც ბრაზილია, უფრო იმსახურებდა უძლიერესის გვირგვინს?

იტალიელი ფეხბურთელები ინდივიდუალურად მართლა ასე ძლიერები არიან დანარჩენ ფავორიტებზე?

აი, რა კითხვები წამოიჭრა ჩემპიონატის დამთავრებისთანავე.

ვფიქრობ, ამ შეკითხვების დაბადებას აქვს ობიექტური მიზეზები.

მე ჩემს აზრს მოგახსენებთ: იტალია ნამდვილად ღირსეული ჩემპიონია! თუმცა, გამოგიტყდებით, ჩემი სიმპათიები ბრაზილიის ნაკრების მხარესაა.

იტალიელებმა შეძლეს დაემარცხებინათ მსოფლიოს სამი უძლიერესი გუნდი: მსოფლიოს ჩემპიონი არგენტინის ნაკრები, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ბრაზილიის ნაკრები, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და 1980 წლის ევროპის ჩემპიონი გფრ-ის ნაკრები.

შემთხვევით, იღბლით თუ ძალების მაქსიმალური დაძაბვით შეიძლება მოიგო ერთი თამაში, მაგრამ გამარჯვებათა ასეთ სერიას მიკერძოებული კაციც კი ვერ მიაწერს იღბალს და შემთხვევითობას.

იყვნენ თუ არა იტალიელი ფეხბურთელები უფრო ძლიერნი, ვთქვათ, ვიდრე მარადონა, ზიკო, ფალკაო, პლატინი და სხვანი და სხვანი?

პაოლო როსი ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, ბომბარდირის პრიზიც მას მიენიჭა, ბოლო სამ თამაშში იტალიელმა თავდამსხმელმა ყველაზე მეტი – ექვსი ბურთი გაიტანა.

როსი მართლაც დიდებული ფეხბურთელია, მებრძოლი, მოქნილი, ტექნიკური, მამაცი, ალღოიანი...

მაგრამ მე მაინც ვფიქრობ (მკითხველმა მომიტევოს ჩემი საკუთარი აზრი, რომელსაც არავის არ ვახვევ თავს), ის ვერ გაასწრებს მარადონასა და ზიკოს.

პაოლო როსის საყოველთაო აღიარებაში, რასაკვირველია, დიდი როლი ითამაშა იტალიის ნაკრების გამარჯვებამაც და ყველაზე მეტმა გატანილმა გოლმაც.

და, საერთოდ (შეიძლება ასეც დავაყენოთ საკითხი), იტალიის ნაკრების ვარსკვლავები უფრო კაშკაშებენ, ვიდრე ვთქვათ, პლატინი, რუმენიგე, ტრეზორი, შტილიკე, ბრაიტნერი, როშტო, ამორო, ბონიეკი, არდილესი, პასარელა, ფალკაო, სოკრატესი, ედერი, ჟუნიორი, სერეზო?

ვფიქრობ, არცერთი აქ ჩამოთვლილი მოთამაშე ტოლს არაფერში დაუდებს იტალიელ ფეხბურთელებს.

მაგრამ, ეტყობა, გამარჯვებას სხვა ფაქტორებიც სჭირდება.

გავიხსენოთ ენცო ბეარზოტის სიტყვები: „რა თავში ვიხლი 22 სუპერვარსკვლავს, თუ ისინი ერთი მიზნის მისაღწევად არ იქნებიან გაერთიანებულნი?“

როდესაც მოედანზე თანაბარი ძალის გუნდები თამაშობენ, ბევრი რამ არის დამოკიდებული ფეხბურთელთა აღმაფრენაზე, ერთსულოვნებაზე, ნერვებზე, რწმენაზე... ბევრი რამ იყო აგრეთვე დამოკიდებული, ბეარზოტის გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, „ენერგიის განაწილების კანონზე“...

იტალიამ ტექნიკური, მოქნილი, მძლავრი და სწრაფი ფეხბურთი ითამაშა, სხვანაირად ვერც იოცნებებდა ჩემპიონობაზე, ვერ დადგებოდა სხვა ძლიერი გუნდების გვერდით.

და თუ „სკუადრა აძურამ“ საბოლოო გამარჯვებას მიაღწია, და თანაც როგორ გამარჯვებას – უშეღავათო ბრძოლებში დააჩოქა მრისხანე მეტოქეები! – მიაღწია იმიტომ, რომ გუნდმა და მისმა სტრატეგმა ენცო ბეარზოტმა ყველაზე უკეთ გადაჭრეს ენერგიის განაწილების კანონი, ჩემპიონატის ბოლო წუთებამდე შეინარჩუნეს მოგების დაუოკებელი ჟინი და აღმაფრენა, ყველაზე უკეთ დაიმორჩილეს ნერვები, შეინარჩუნეს ურთიერთშორის კეთილი, მეგობრული განწყობილება და ყველაზე საბედისწერო ეპიზოდების დროსაც კი არ დაკარგეს გამარჯვების რწმენა.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილმა განაპირობა, რომ თავიანთი დაცვითი სტილით ცნობილ იტალიელებს ეთამაშათ

სწრაფი, შემტევი ფეხბურთი, მოეხიბლათ მაყურებელი ელვისებური გადაცემებით, კარში ბრწყინვალე დარტყმებით, ტექნიკური ილეთების უსწრაფესი შესრულებით.

იტალიელებმა შეასრულეს ზეამოცანა! სხვებისგან განსხვავებით, (იგულისხმებიან ჩემპიონატში მონაწილე უძლიერესი გუნდები) საკუთარი შესაძლებლობებიდან ამოქაჩეს მაქსიმუმი.

წარმოვიდგინოთ თანაბარი სიმძიმეებით გაწონასწორებული სასწორის პინები. ერთი მეასედი მილიგრამიც საკმარისია დაემატოს რომელიმე პინას, რომ იმავე წამში დაირღვეს წონასწორობა.

როცა მოედანზე ორი თანაბარი გუნდი იბრძვის და მათ შესაძლებლობებს შორის ბალანსი მყარდება, მრავალი საფეხბურთო კომპონენტიდან ერთში უპირატესობის მიღწევაც კმარა ამ ბალანსის დასარღვევად.

არის კიდევ ორი დიდი ფაქტორი, ურომლისოდაც, ეტყობა, არ შეიძლება მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინზე იოცნებო. ესაა რწმენა და რისკი.

რასაკვირველია, ლაპარაკია რეალურ საფუძველზე დაყრდნობილ რწმენასა და რისკზე.

ამიტომაცაა უსაზღვროდ ბევრი რამ დამოკიდებული მწვრთნელზე, მის ალღოზე, შემართებაზე, რწმენასა და გამბედაობაზე.

გავიხსენოთ იმავე იტალიის მაგალითი ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატზე. „სკუადრა აძურას“ სათავეში ედგა ცნობილი სპეციალისტი ედმონდო ფაბრი. გუნდის შემადგენლობაში კი იყვნენ მაშინდელი ფეხბურთის ვარსკვლავები: ფაკეტი და რივერა, მაცოლა და ბულგარელი, ბურგნიჩი და პასკუტი...

სამი თამაშიდან იტალიელებმა წააგეს ორი, მათ შორის ერთი კორეის ნაკრებთან!

„რა მოხდა, რა დაემართათ იტალიელებს?“ – გაოცებას ვერ მალავდა სპორტული პრესა.

შემდგომ გაირკვა, რომ მატჩების წინ. იტალიელთა მწვრთნელი შიშმა შეიპყრო, დაიბნა. აღარ იცოდა, მოედანზე ვინ გამოეყვანა. თურმე უკანასკნელ წუთებამდე ვერ ასახელებდა შემადგენლობას. ფაბრის მღელვარება ფეხბურთელებსაც გადაედოთ და შედეგმაც არ დააყოვნა... მსოფლიო ჩემპიონობის აღიარებული ფავორიტი ქვეჯგუფიდანაც ვერ გავიდა.

ესპანეთში მოპოვებულ გამარჯვებაში კი უსაზღვროდ დიდია იტალიელთა მწვრთნელის, ენცო ბეარზოტის დამსახურება. იგი 1977 წლიდანაა „სკუადრა აძურას“ მთავარი მწვრთნელი. მანამდეც დიდხანს მუშაობდა გუნდში ბერნარდინის თანაშემწედ.

ალბათ, არცერთ მწვრთნელს არ დასტეხია თავს იმდენი კრიტიკა, რამდენიც დაატყდა ბეარზოტს. ბევრი მის გადაყენებასაც მოითხოვდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, საკუთარ სახლში რომ ევროპის ჩემპიონობა ვერ მოიპოვა. ჩემპიონობას ვინ დაეძებდა, მხოლოდ მეოთხე ადგილი ერგო წილად.

მტრებიც და მოყვრებიც ურჩევდნენ იტალიელთა მწვრთნელს, პაოლო როსის ნუ წაიყვან, ეგ უკვე ჩამოწერილი ფეხბურთელია, აღარ გამოგადგებაო. ბეარზოტი უფრო შორს იყურებოდა. რასაკვირველია, ხედავდა, რომ როსი კარგად ვერ თამაშობდა. სპორტულ მაქინაციებში მონაწილეობისათვის მას ხომ ორი წლით ჰქონდა აკრძალული მწვანე მოედანზე გამოსვლა. ამ ორმა წელმა, ბუნებრივია, თავისი დაღი დაამჩნია იტალიელი ფორვარდის თამაშს. როსი სუსტად გამოვიდა ქვეჯგუფში, ხოლო იტალიელები რის ვაი-ვაგლახით გავიდნენ ფინალში, ამაზე უკვე ვთქვით ზემოთ.

კვლავ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს ბეარზოტი, კვლავ მოითხოვეს, პაოლო როსი აღარ გამოეყვანა მოედანზე. ბეარზოტს წარბიც არ შეუხრია, ერთი წუთითაც არ შეყოყმანებულა. ის კვლავ ერთგული რჩებოდა თავისი ერთი თვის წინანდელი წინასწარმეტყველებისა, ქვეჯგუფიდან აუცილებ-

ლად გავალთ, ხოლო შემდგომი ეტაპისათვის პაოლო როსი თავის საუკეთესო თამაშს გვიჩვენებსო.

საოცარი სიზუსტით ახდა ბეარზოტის წინასწარმეტყველება, როსი გახდა ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და პირველი გოლეადორი!

მაგრამ განა იოლი იყო ასეთ რისკზე წასვლა? ვთქვათ, არ გაემართლებინა როსის, ვთქვათ, იტალიას ვერ მოეპოვებინა ჩემპიონობა, ანდა რომელიმე საპრიზო ადგილი?

რა მოხდებოდა მაშინ?

გაბედავდა ენცო ბეარზოტი იტალიაში დაბრუნებას?

ჩემი აზრით, იტალიელი მწვრთნელის ინტუიცია დიდ პროფესიონალიზმად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო მისი რწმენა, რისკი და წარბშეუხრელობა – გმირობად!

წელან ენერგიის განაწილების კანონი ვახსენეთ. ენცო ბეარზოტმა შესანიშნავად გაითვალისწინა არგენტინის ჩემპიონატის მწარე გაკვეთილები და შეძლო, გუნდს ძალა შეანარჩუნებინა გადამწყვეტი მატჩებისათვის.

ერთი სიტყვით, 55 წლის მწვრთნელმა გადალახა ყველა ფსიქოლოგიური ბარიერი, გაუძლო ყველაზე მძლავრ კრიტიკას, რომლის მსგავსიც ჩემპიონატის დაწყებამდე და ჩემპიონატის დროს თავს არ დასტეხია არცერთ მწვრთნელს, შექმნა მონოლითური, მეგობრული კოლექტივი და გუნდი აიყვანა დიდების ოლიმპზე.

იტალიამ მესამედ მოიგო მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი (პირველად 1934 წელს, მეორედ – 1938-ში). 1982 წლის ჩემპიონატის ოქროს თასი იტალიელებს საზეიმოდ გადასცა ესპანეთის მეფემ, ხუან კარლოსმა.

ოქროს მედლების გადაცემის ცერემონია კი დაევალა ფიფას პრეზიდენტს, ჟოაო აველანჟს.

შორიდან მოწყენილი ჩანდა ფიფას მესვეური, სევდანარევი ღიმილით ულოცავდა გამარჯვებას იტალიელებს.

არ იქნა და არ გატყდა ნავსი, კიდევ ერთხელ ჩაეფუშა ოცნება, თავისი თანამემამულეებისათვის მიელოცა დიდი გამარჯვება.

ინტერვიუ ჩემპიონატის შემდეგ

გურამ ფანჯიკიძე: კანონზომიერი იყო თუ არა საბჭოთა ფეხბურთელების უღიმღამო თამაში ესპანეთში?

ალექსანდრე ჩივაძე: სამწუხაროდ, სავსებით კანონზომიერი მოვლენა გახლდათ.

– მიზეზებს ხომ ვერ დაგვისახელებთ?

– წარუმატებლობის მთავარი მიზეზი, მე მაინც მგონია, მომზადების დროს დაშვებული შეცდომები იყო. არ იყო საჭირო არგენტინაში გამგზავრება. არც ორჯერ ჩასვლა ესპანეთში ორ-ორი კვირით. ფეხბურთელები საკუთარ კლუბებში გაცილებით უკეთ ემზადებიან. შარშან ჩვენი ნაკრები ცალკე არ მომზადებულა და გაცილებით უკეთ ვთამაშობდით.

ყველა იტალიელი ფეხბურთელი თავის კლუბში მოემზადა, ვფიქრობ, ბევრისმეტყველი ფაქტია.

არც მწვრთნელთა ტრიუმვირატი იყო საჭირო, თურქეთის ნაკრებთან თამაშის შემდეგ რომ შეიქმნა. არ ვიცი, რა მოსაზრებით გააკეთეს ეს. ფაქტია, რომ გუნდზე სამმა მწვრთნელმა მხოლოდ უარყოფითად იმოქმედა. ისიც უნდა ვთქვა, ნოდარ ახალკაცი მაინცდამაინც არ ერეოდა საქმეებში.

– ვთქვათ, თქვენ მიერ ჩამოთვლილი შეცდომები არ ყოფილიყო, მიაღწევდით უკეთეს შედეგს?

– არა მგონია. უცხოეთში ახლა ნამდვილი პროფესიონალები არიან, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. მათ ჩვენსავით არ სჭირდებათ კრებები, ჩიჩინი, ყოველ წუთს ჭკუის დარიგება... ისინი ბიზნესმენებიც არიან, ამიტომ კარგად იციან, როდის

ჭამონ, როდის დაიძინონ, რამდენი ივარჯიშონ. ეგრეთ წოდებული აღმზრდელობითი მუშაობა მათთან საჭირო არ არის. მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ საბჭოთა ფეხბურთელები ბიზნესმენები უნდა გახდნენ, მაგრამ თუ გვინდა მივაღწიოთ მათ დონეს, გარკვეული პროფესიონალიზმი ჩვენშიც უნდა დაინერგოს. მათ მსგავსად საბჭოთა კავშირშიც უნდა შეიქმნას კლუბები.

– კიდევ რა უშლის ხელს ჩვენი ფეხბურთის განვითარებას?

– ყველაფერი ის, რაც თქვენ გამოაქვეყნეთ გაზეთ „კომუნისტში". მხოლოდ დავუმატებ, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ჩვენი ჩემპიონატის სატურნირო კალენდარი. ხშირად ყოველი სამი დღის შემდეგ ვთამაშობთ, ხშირად ათდღიანი შესვენებებიცა გვაქვს.

იტალიელი, ინგლისელი თუ გერმანელი ფეხბურთელები, აღარაფერს ვამბობ პატარა ქვეყნების ფეხბურთელებზე, მატჩის დამთავრებისთანავე შინ ბრუნდებიან ავტობუსებით. ჩვენ კი ორი ათასკილომეტრიანი საჰაერო ტრასებით უნდა ვიფრინოთ ქალაქიდან ქალაქში. სასტუმროები, აეროპორტებში ლოდინი, დროში განსხვავება და აქედან გამომდინარე, არარიტმული კვება, კიდევ ბევრი სხვა მიზეზი გვთრგუნავს, ხარისხს გვიკარგავს. დგება მომენტი, როცა მოედანზე გასვლაც კი გზარავს, ისე გენატრება შინ დაბრუნება, ოჯახური ატმოსფერო, სითბო...

– თქვენი აზრით, როგორი უნდა ყოფილიყო პირველი ოთხეული?

– იტალია, საფრანგეთი, ბრაზილია, გფრ.

– საფრანგეთსაც უფრო მაღლა აყენებთ, ვიდრე ბრაზილიას?

– ბრაზილიელები დაღუპა თვითდაჯერებამ. ისინი მხოლოდ უტევდნენ, ძალიან ცოტას ფიქრობდნენ დაცვაზე. ჩემი აზრით, უნაკლოდ ითამაშეს სოკრატესმა, ფალკაომ, სერეზომ

და ზიკომ, აგრეთვე ედერმა. ჟუნიორი ეფექტურია თავდასხმაში, დაცვაში კი ვერაა ისეთი, როგორიც უნდა იყოს.

– იტალიაზე რას იტყვით?

– ღირსეული ჩემპიონია. საერთოდ, იტალიას ძლიერი კლუბები ჰყავს და მათი ტურნირი ძალზე მაღალ დონეზე მიმდინარეობს. იტალიელებმა კარგად ითამაშეს კონტრშეტევაზე, ჰქონდათ კარგი ორგანიზაცია და შესაბამისი ტექნიკა. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვეს კონტიმ, ტარდელიმ, ანტონიონიმ, კაბრინიმ, კოლოვატიმ და შირეამ.

– პაოლო როსიზე რას გვეტყვით?

– ეპილოგის მოთამაშეა. ძალზე ძლიერია, დიდი ინტუიცია აქვს და, რაც მთავარია, იცის გოლის გატანა.

– პირადად ჩემზე ზიკომ უფრო დიდი შთაბეჭდილება დატოვა. მან ოთხი გოლი გაიტანა, მაგრამ, არ დაგვავიწყდეს, ორი თამაშით ნაკლები ითამაშა როსიზე. ბრაზილია რომ ფინალამდე მისულიყო, ვინ იცის, ზიკო კიდევ რამდენ გოლს გაიტანდა. თან იგი მრავალმხრივი ფეხბურთელია, შესანიშნავი დრიბლიორი და კონსტრუქტორი. გავიხსენოთ, რამდენი გოლი გავიდა მისი ბრწყინვალე და მახვილგონივრული გადაცემის შემდეგ.

– მეც, ალბათ, ზიკოს ვამჯობინებდი. ერთს კი დავძენ, ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე არცერთ ფეხბურთელს არ შეუსრულებია ისეთი დიდი სამუშაო, როგორიც კემპესმა შეასრულა არგენტინის ჩემპიონატზე. თანაც რა დიდებული ტექნიკით!

– რაკი სიტყვა კემპესზე ჩამოვარდა, რას იტყვით არგენტინის ნაკრებზე?

– ზუსტად იმასვე, რასაც თქვენ ამბობთ, გამეორება არ ღირს.

– უმთავრეს ტენდენციას როგორ განსაზღვრავდით ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატისას?

– გაიმარჯვა შემოქმედებითმა ფეხბურთმა. უფრო გამიზნული გახდა გადაცემები. არ იყო ისეთი მტვრევა და ჭუჭყიანი თამაში, როგორიც სხვა ჩემპიონატებზე. გამონაკლისი მარტო იტალიელი ჯენტილე გახლდათ, რომელიც გმირად სწორედ უხეში თამაშისათვის აღიარეს.

– ტრიბუნებზე ჯენტილეს „ყასაბი" შეარქვეს.

– ყასბობასაც, ეტყობა, ოსტატობა სჭირდება. მან „კარგად" გაართვა თავი საქმეს.

– ვალენტინ ივანოვი „სოვეტსკი სპორტში" წერდა: „ამჟამად ჩვენთან უნივერსალურ ფეხბურთელებზე იღებენ ორიენტაციას. ერთ კრამოლურ აზრს მოგახსენებთ, აუცილებელი კია ეს? არ ჯობია, ორი საშუალო უნივერსალის მაგივრად გყავდეს ერთი ნამდვილი მცველი, რომელსაც შეეძლება კარგად ითამაშოს თავის საჯარიმო მოედანზე და ერთი თავდამსხმელი, რომელსაც შეეძლება მწვავე იერიში მიიტანოს მოწინააღმდეგის კარზე?"

ვფიქრობ, ივანოვი რაღაცაში მართალია. უნივერსალიზმის დროშის ქვეშ ხომ არ დაირაზმნენ ფსევდოუნივერსალები?

– თუკი ლაპარაკია ფსევდოუნივერსალიზმზე, რასაკვირველია, ვალენტინ ივანოვი მართალია. მაგრამ თუკი ნამდვილი უნივერსალები გვეყოლება, მაშინ, როგორ გგონიათ, არ შეიცვლება სურათი?

– დიდი თავდამსხმელები, ნახევარმცველები ან მცველები თითზე ჩამოსათვლელები არიან. მით უფრო იშვიათი იქნება ისეთი ფეხბურთელი, ნამდვილ უნივერსალად რომ მოგვევლინება, ის, ასე ვთქვათ, ერთდროულად უნდა იყოს დიდი თავდამსხმელიც და დიდი ნახევარმცველიც. ამიტომაც მეჩვენება, რომ ნამდვილი უნივერსალი ძალზე იშვიათი მოვლენაა. ყოველ შემთხვევაში, მე ბობი ჩარლტონისა და თითო-ოროლას გარდა არავინ მაგონდება. სამაგიეროდ, ბევრნი არიან ნახევრად უნივერსალები, ან ფსევდოუნივერსალები, რაც იგივეა.

ჩემი აზრით, ამ ნახევრად უნივერსალებს სჯობია გამოკვეთილი მცველები, ნახევარმცველები და თავდამსხმელები. ყოველ შემთხვევაში, საფეხბურთო სტრატეგიის უნივერსალურ ფეხბურთელებზე აგება არ გამოგვადგება იოლად გასაგები მიზეზების გამო. უბრალოდ, ნამდვილ უნივერსალებს ვერ მოვნახავთ, ან თუ თითო-ოროლას ვიპოვით, ამით ამინდი არ შეიცვლება.

– მართალი ბრძანდებით, ფეხბურთელი ძირითადად თავის ადგილზე უნდა იყოს ძლიერი. თუმცა, ვფიქრობ, მისი ღირსებები კიდევ უფრო გაიზრდება, თუ შირეასავით, ტარდელივით ან კაბრინივით ეფექტურად ჩაერთვებიან თავდასხმაში.

– ან თუნდაც ისე, როგორც თქვენ უტევთ ხოლმე მოწინააღმდეგის კარს. მაგრამ მე ვფიქრობ, ეს მაინც უნდა იყოს სიტუაციით ნაკარნახევი ეპიზოდები და არა მთავარი სტრატეგიული ხაზი.

– რასაკვირველია, ფეხბურთელთა უნივერსალიზმი, ამ სიტყვის სრული გაგებით, ალბათ, მხოლოდ თეორიული ცნებაა.

– ფეხბურთში დატვირთვები ძალიან გაიზარდა. სრულიადაც არ მეჩვენება გადაჭარბებულად, თუ ვიტყვი, რომ არაადამიანურ საზღვრებს მიაღწია. გაიზარდა ვარჯიშის დრო და, რაც მთავარია, ინტენსივობა. დღევანდელი ერთი საათის დატვირთვა ათი წლის წინანდელი სამი საათის დატვირთვის ტოლფასია. მართალია, შესაბამისად წინ წავიდა სპორტული მედიცინა, გაუმჯობესდა პირობები, შეიქმნა სარეაბილიტაციო ცენტრები, მაგრამ ასეთმა დიდმა გადატვირთვამ თავისი უარყოფითი შედეგებიც გამოიღო. მარტო ტრავმებს და ნერვულ გადაღლას არ ვგულისხმობ. ფეხბურთელებს ძალზე გადაეტვირთათ გული. გაუდიდდათ ღვიძლი. თითქმის ყველას ღვიძლი დაბლა აქვს დაწეული.

როცა ესპანეთში ავთანდილ ჭკუასელს ამის თაობაზე საუბარი ჩამოვუგდე, მან მითხრა, ყოფილა შემთხვევა, სტადიონზე სათამაშოდ პირდაპირ რესტორნიდან წავსულვარო.

რასაკვირველია, ასეთი გადაჭარბება იმის ხაზგასასმელად დასჭირდა. თვალნათლივ დამენახა, ამ ოცდაათი წლის განმავლობაში როგორ გაიზარდა საწვრთნელი დატვირთვები, როგორ გამკაცრდა რეჟიმი.

ავთანდილ ჭკუასელი მაინც ფიქრობს, რომ ჯერ ზღვარისათვის არ მიგვიღწევია და რომ მომავალი 10-15 წლის განმავლობაში კიდევ უფრო გაიზრდება ფეხბურთელების დატვირთვა. იზიარებთ თუ არა ჩვენი ვეტერანის მოსაზრებებს?

– ვიზიარებ. ფეხბურთში დატვირთვები კვლავ გაიზრდება. რასაკვირველია, მედიცინა და უფრო სრულყოფილი სარეაბილიტაციო ცენტრები მომავალში ფეხბურთელებს უკეთ შეუწყობენ ხელს ენერგიის აღდგენაში. მატჩების დროს კი ფეხბურთელებმა სრულყოფილი ტექნიკის ხარჯზე უნდა შეძლონ ენერგიის განაწილება და დაზოგვა.

– რაკი ტექნიკა ახსენეთ, ვფიქრობ, დღეს ეჭვი არავის ეპარება, რომ მომავალიც ტექნიკური ფეხბურთისაა. თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე?

– მართალი ბრძანდებით, რაც დრო გავა, ტექნიკური ფეხბურთის უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა იქნება, სრულიად ვიზიარებ თქვენს აზრს. არ უნდა დავივიწყოთ – აფრიკამ სერიოზულად დაიწყო ფეხბურთის თამაში!

მცირეოდენი დასკვნები

ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატი ისტორიის კუთვნილებად იქცა. ჩემპიონატის ირგვლივ საუბარი და ცხარე პროფესიული თუ არაპროფესიული ლაპარაკი ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა პრესაში, ტელევიზიაში, სპეციალისტებსა თუ ფეხბურთის გულშემატკივრებს შორის.

მწვრთნელები და ფეხბურთელები ისევ ატრიალებენ ჩემპიონატის მატჩების ვიდეოჩანაწერებს, ისევ „იმეორებენ“ ესპანეთის გაკვეთილებს.

თავს ნებას მივცემ, ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის ირგვლივ მცირეოდენი დასკვნები მეც გავაკეთო.

არის თუ არა იტალია ღირსეული ჩემპიონი? – ბევრჯერ უკითხავთ ჩემთვის ნაცნობებსაც და უცნობებსაც.

ჩემი აზრით, იტალია ღირსეული ჩემპიონია. უფერული სტარტის მიუხედავად, შემდეგ მატჩებში მან დაამარცხა არგენტინა, ბრაზილია, პოლონეთი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. ყოველი მათგანი დაამარცხა უკომპრომისო, დაძაბულ ბრძოლაში. იტალიელებმა მოხიბლეს ფეხბურთის გულშემატკივრები შესანიშნავი ტექნიკით, სისწრაფით, კომბინაციური თამაშით, უბადლო გადაცემებით, აღმაფრენით, გამარჯვების დაუოკებელი ჟინით.

მსოფლიოს ნამდვილად ღირსეული ჩემპიონი ჰყავს.

დანარჩენი გუნდებიდან ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მსოფლიო ჩემპიონი? ვინ მიგვაჩნია იტალიის ტოლფას გუნდად?

ბუნებრივი მეჩვენება ასეთი შეკითხვაც.

პირადად მე ასეთი გუნდი მგონია ბრაზილია და მხოლოდ და მხოლოდ ბრაზილია!

ეს ორი გუნდი აშკარად ძლიერი იყო არგენტინის, საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, პოლონეთისა და ინგლისის ნაკრებ გუნდებზე.

მესამე ადგილის ღირსეული პრეტენდენტები იყვნენ არგენტინა და საფრანგეთი.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას და პოლონეთს, ალბათ, თანმიმდევრულად ერგებოდათ მომდევნო ადგილები.

მოვიშველიებ რუმენიგეს გამონათქვამს, რომელიც ნაწილობრივ ამართლებს ჩემს მოსაზრებას.

გერმანელთა კაპიტანს ინტერვიუ ჩამოართვა იტალიის „გაძეტა დელო სპორტმა“. კორესპონდენტთან საუბარში რუმენიგემ განაცხადა: „ჩვენი სტილი საკმაოდ ცნობილი გახდა

მოწინააღმდეგეთათვის. თან ახლა ძალზე მძიმედ ვთამაშობთ. თითქოს სისწრაფე დავკარგეთ. ესპანეთში ჩვენ, უბრალოდ, გაგვიმართლა. წესით მეოთხე ადგილზე უნდა გავსულიყავით. პირველი სამეული კი უნდა შეედგინათ ბრაზილიას, იტალიას და საფრანგეთს".

გავიხსენოთ, ფრანგებმა ყველა რგოლში აჯობეს გერმანელებს. მათმა ლამაზმა თამაშმა ხომ კვლავ გამოაცოცხლა ჩემპიონატი, ბრაზილიელთა მარცხის შემდეგ ერთგვარად რომ დაეკარგა ინტერესი.

უპირატესობა ერთხანს ანგარიშშიც გამოიხატა – 3:1. და, რაც უნდა პარადოქსულად მოგვეჩვენოს, ამ ანგარიშმა გაანაპირობა ფრანგების დამარცხებაც. დარწმუნებული ვარ, მათ მესამე ბურთი რომ არ გაეტანათ, მატჩის უკანასკნელ წუთამდე არ შეწყვეტდნენ ბრძოლას. მესამე გოლმა ისინი დაამშვიდა და, გამარჯვებაში ღრმად დარწმუნებულნი, ელოდნენ დარჩენილი წუთების გასვლას. სწორედ ამ მომენტში გამოვიდა მოედანზე რუმენიგე და მისი მეთაურობით გერმანელებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება.

ძვირად დაუჯდათ ფრანგებს ნაადრევი დამშვიდება.

პენალტების სერიის შესრულებისას ფორტუნამ გერმანელებს გაუღიმა.

ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატმა მაინც მოგვიტანა გარკვეული სიახლეები.

დავიწყოთ თუნდაც ფეხბურთისადმი დამოკიდებულებით. არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატი შემობრუნების პერიოდი იყო ძალისმიერი ფეხბურთიდან ტექნიკური ფეხბურთისაკენ.

მაშინ მაინც ბევრი დარჩა სადავო. ბევრს მიაჩნდა, რომ ჰოლანდიამ შემთხვევით წააგო არგენტინასთან. რენსენბრინკის დარტყმული ბურთი ძელს რომ არ მოხვედროდა და კარში გასულიყო (ავიწყდებათ მეორე შესაძლებლობაც, რენსენბრინკის ბურთი ძელს რომ არ მოხვედროდა და კარს ასცილებოდა...), მაშინ ვნახავდით, ვინ იქნებოდა მსოფლიო ჩემპიონიო.

ასეთ მსჯელობას, ბუნებრივია, ცალმხრივობისა და გულუბრყვილობის ბეჭედი აზის.

ჩემპიონატზე არავინ ითვლის, რამდენჯერ მოხვდა ბურთი ძელს და რა მოჰყვებოდა ამ ბურთის კარში გასვლას.

ჩემპიონატზე ითვლიან, რამდენი ბურთი გავიდა მოწინააღმდეგეთა კარში.

რასაკვირველია, უილბლობას არავინ გამორიცხავს, მაგრამ ის, მთლიანობაში, არასდროს ყოფილა გადამწყვეტი ფაქტორი.

ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ფეხბურთი მარტო ბრძოლა როდია. ფეხბურთი სანახაობაცაა და სწორედ ამიტომ ხიბლავს მილიონობით გულშემატკივარს.

ვინ მოიპოვა მსოფლიოში ყველაზე დიდი სიყვარული?

იტალიამ, ბრაზილიამ, საფრანგეთმა, არგენტინამ – გუნდებმა, რომლებმაც ყველაზე ტექნიკური და ლამაზი ფეხბურთი ითამაშეს.

დიდი სიმპათიები დაიმსახურეს თვით აუტსაიდერებმაც კი (ალჟირმა, კამერუნმა, ჰონდურასმა, კუვეიტმა), რომლებმაც, მიუხედავად დაბალი სპორტული მაჩვენებლებისა და სატურნირო ბრძოლებში გამოუცდელობისა, ლამაზი, ტექნიკური ფეხბურთით მოხიბლეს მაყურებელი. ამ აზრს იზიარებენ მენოტი, იდალგო, სანტანა და თითქმის ყველა სხვა მწვრთნელი.

აღარაფერს ვამბობთ ჟურნალისტებსა და გულშემატკივრებზე.

დაბოლოს, სტატისტიკაც ხომ ამაგრებს ჩვენს მოსაზრებას. ტექნიკური საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლებმა ცხრაჯერ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული (ბრაზილია – 3, იტალია – 3, ურუგვაი – 2, არგენტინა – 1), ხოლო ძალისმიერი ფეხბურთის მამამთავრებმა მხოლოდ სამჯერ (გფრ – 2, ინგლისი – 1).

ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის მეორე სიახლედ მიმაჩნია პასის, გადაცემის მიზანდასახულობა.

მკითხველი შეიძლება შემომედავოს, ეს სიახლე კი არ არის, არამედ, უბრალოდ, ფეხბურთის კლასის ამაღლებაო.

არ ვდაობ, შეიძლება ასეც იყოს. მაგრამ ფაქტი ერთია: არცერთ ჩემპიონატზე არ ყოფილა ისეთი გააზრებული და იდეის მატარებელი გადაცემები, როგორიც ამ უკანასკნელ, ესპანეთის ჩემპიონატზე.

კიდევ ერთ სიახლეზე მინდა ვილაპარაკო, თუმცა იგი საფეხბურთო სტრატეგიას და ტაქტიკას პირდაპირ არ ეხება.

ესაა მსაჯობა.

თამამად შემიძლია ვთქვა, დღეს მსაჯობის დონის ზრდის ტემპი საგრძნობლად ჩამორჩება ფეხბურთის განვითარების ტემპს.

მიკერძოებას არ ვგულისხმობ. მიკერძოება მორალის, სინდისის საქმეა და არა პროფესიონალიზმისა.

მსაჯები დღეს აშკარად ვერ ერკვევიან თანამედროვე ფეხბურთის რთულ სიტუაციებში; უმთავრესად, მოვლენების ფიქსატორები არიან და სულაც არ ცდილობენ, ან უნარი არ შესწევთ, გაერკვნენ ამ მოვლენების გამომწვევ მიზეზებში.

მაგალითების მოყვანაც მრავლად შეიძლება. უბრალოდ, მკითხველს არ დავღლი იმ ფაქტებით, რაც თვითონაც მშვენივრად იცის.

დღეს მსაჯი უნდა იყოს არა მარტო ტექნიკური ფიქსატორი სამატჩო მოვლენებისა, არამედ მატჩის წარმმართველიც.

დიახ, წარმმართველი!

ორიგინალობას ვერ დავიჩემებ. ეს მოსაზრება ჩემპიონატის დღეებში სხვადასხვა ფორმით გამოითქვა კიდეც მსოფლიოს სპორტულ პრესაში.

დღეს იმდენად სწრაფი გახდა ფეხბურთი, იმდენად რთული სიტუაცია იქმნება მოედანზე, რომ ზოგიერთებმა, მათ

შორის პელემაც, წინადადება წამოაყენეს, ხომ არ აჯობებდა მოედანზე ორი მთავარი მსაჯი გამოვიყვანოთო.

ზოგიერთები გარკვეული ცვლილების მომხრენიც არიან საფეხბურთო წესებისა.

ძალზე შთამბეჭდავია და, ჩემის აზრით, სამართლიანიც აველანჟის პასუხი: ფეხბურთი დაბადებიდანვე ისეთი ჯანმრთელი ბიჭუნაა, წესების არავითარ შეცვლას არ საჭიროებსო.

სულ სხვაა უკანასკნელი ჩემპიონატის გათამაშების სისტემა. თავში ვთქვი და კიდევ ვიმეორებ, იგი სერიოზულ კორექტივს საჭიროებს. განა მომავალში დაზღვეულნი ვართ, რომ ერთ ქვეჯგუფში კვლავ არ მოხვდებიან იტალიის, ბრაზილიისა და არგენტინის მსგავსი ძლიერი გუნდები? სამი უძლიერესი ნაკრებიდან წინასწარ რატომ უნდა იყოს განწირული ორი გუნდი, როცა ზოგიერთ ქვეჯგუფში სუსტ გუნდს თითქმის მწვანე გზა ეხსნება ფინალური მატჩებისაკენ?

და კიდევ ერთი რამ: ალჟირელებისა და კამერუნელების თამაშები ჩემპიონატზე გაისმა როგორც გაფრთხილება: „ყურადღება, აფრიკა!“

დარწმუნებული ვარ, თუ მომდევნო ჩემპიონატზე არა, შემდგომ ჩემპიონატზე აფრიკელები აუცილებლად იტყვიან თავიანთ სიტყვას.

* * *

ფინალური მატჩის შემდეგ „ფლამენკოზე“ მიგვიწვიეს ესპანელი ბოშების რესტორანში. ღამის პირველ საათზე კი ინტერნაციონალურ შოუზე მადრიდის თანამედროვე, უბრწყინვალეს სასახლე „სკალაში“.

ჩვენი ავტობუსი ძლივს მიიკვლევდა გზას მოზეიმე მადრიდის ქუჩებში.

– ფორცა, იტალია! – ძლივსღა ბღაოდნენ ხმაჩახლეჩილი იტალიელები.

დილის ხუთ საათზე, ინტერნაციონალური შოუს დამთავრებისთანავე, ავტობუსში ჩაგვსხეს და გეზი აეროპორტისაკენ ავიღეთ. დრო კიდევ გვქონდა, ორი საათი. ფირმის წარმომადგენელმა შემოგვთავაზა, ღამით მადრიდი დაგვეთვალიერებინა. ბუნებრივია, დიდი სიხარულით დავთანხმდით.

მადრიდის დიდებულ ქუჩებში ძეხორციელი აღარ ჭაჭანებდა. უჩვეულოდ გვეჩვენებოდა ასეთი სიჩუმე წუხანდელი ვნებათა ღელვის შემდეგ. თითქოს აღელვებული, აბობოქრებული ოკეანე ერთბაშად დაცხრა და გაირინდა.

ამ საოცარმა სიჩუმემ თვალნათლივ გვაგრძნობინა, რომ ისტორიის კუთვნილებად იქცა მსოფლიოს მეთორმეტე საფეხბურთო ჩემპიონატი.

დიახ, ახლა უკვე ისტორიაა ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატი და მისი ბატალიები, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მორიგ მსოფლიო ჩემპიონატამდე, ე. ი. ოთხი წლის განმავლობაში, საფეხბურთო მსოფლიოს თავზე იფრიალებს იტალიის სამფეროვანი დროშა!

ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახლეს იტალიელი პაოლო როსი და გადასცეს პრიზი „ოქროს ბურთი“. მასვე მიეკუთვნა „ოქროს ბუცი“ ჩემპიონატში ყველაზე მეტი (6) გოლის გატანისათვის. აქამდე ერთდროულად ეს ორი პრიზი მოპოვებული ჰქონდა მხოლოდ მარიო კემპესს. იგი იყო არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელიც და საუკეთესო ბომბარდირიც.

1982

მარადონა რეი

ეს იყო თექვსმეტი წლის წინათ:
1970 წლის 21 ივნისს მეხიკოში, „აცტეკას“ დიდებულ სტადიონზე დამთავრდა ოქროს ქალღმერთის ისტორია. მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატი რიგით მე-9 იყო, ჟიულ რიმეს თასის დასასრული. ბრაზილიელებმა იგი მესამედ და საბოლოოდ დაისაკუთრეს.

ფიფამ მეორე დღესვე გასცა განკარგულება მომავალი მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატებისათვის შეეკვეთათ ახალი თასი.

ვიდექი მსოფლიოს საუკეთესო სტადიონის ტრიბუნაზე დიდი საფეხბურთო ფიესტით აღტაცებული და გადავცქეროდი მოზეიმე ბრაზილიელებს.

სტადიონი უზარმაზარი ვულკანის კრატერს ჰგავდა, ოღონდ იქიდან ლავის ნაცვლად მუსიკის გრიალი და 115 ათასი კაცის შეძახილების, სროლისა და ტაშის ხმა იფრქვეოდა.

რას წარმოვიდგენდი მაშინ, თუ გაივლიდა კიდევ თექვსმეტი წელი და კვლავ აღმოვჩნდებოდი დიდებულ „აცტეკაზე“, კვლავ ვიქნებოდი დიდი საფეხბურთო ფიესტის დამსწრე.

ბუნებრივია, მღელვარებამ შემიპყრო, როცა თექვსმეტი წლის შემდეგ კვლავ დავაბიჯე ფეხი მექსიკის მიწას.

აეროპორტ „ბენიტო ხუარესის“ ნაცნობი კონტური მსოფლიოს მე-13 ჩემპიონატის ემბლემებით იყო დამშვენებული.

თექვსმეტი წელი...

მაინც, რამდენი რამ მომხდარა ახალი ამ თექვსმეტი წლის განმავლობაში მეხიკოს ცხოვრებაში.

მაშინ იგი რვამილიონიანი ქალაქი იყო, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი.

ახლა მისი ჩილანგოსი (მოსახლეობა) შეადგენს... 18 მილიონს! და იგი გახდა მსოფლიოში ყველაზე დიდი ქალაქი!

თექვსმეტი წლის განმავლობაში ქალაქის მოსახლეობა 10 მილიონით გაიზარდა! მსოფლიოს არ ახსოვს ასეთი რამ!

ვარაუდობენ, რომ საუკუნის ბოლოს, ესე იგი, თოთხმეტ წელიწადში მეხიკო გახდება 30-მილიონიანი ქალაქი!

ძნელია თქმა, ქალაქის ასეთი ზრდა აღტაცებას უფრო იწვევს თუ კოშმარულ განცდებს.

16 წლის წინ მეხიკოს უდიდესი ურთიერთგადამკვეთი პროსპექტების – რეფორმისა და ინსურხენტესის სიგრძე შესაბამისად იყო 30 და 27 კილომეტრი. დღეს მათი სიგრძე 47 და 40 კილომეტრია!

გუშინდელმა ღარიბმა ქვეყანამ ნავთობის საბადოების აღმოჩენის შემდეგ ენერგიულად გაშალა ფრთები.

მეხიკოს ცენტრში აღმართულია ლათინურ ამერიკაში ყველაზე მაღალი (ამას განსაკუთრებით უსვამენ ხაზს მექსიკელები), 52-სართულიანი შენობა, რომელიც ეკუთვნის კომპანია „პემექსს“, სახელმწიფო სანავთობო მონოპოლია „პეტროლეოს მეხიკანოსს“.

ამ კომპანიის შენობის სიმაღლეს სიმბოლური მნიშვნელობაც ენიჭება. მექსიკის ინდუსტრიული ბუმი სწორედ „პემექსთანაა“ დაკავშირებული.

მაგრამ... 1970 წელს ერთი დოლარის ეკვივალენტი იყო 12 პესო. დღეს კი ერთი დოლარი 625-დან 636 პესომდე მერყეობს. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში.

მექსიკური პესოს დევალვაცია, ვფიქრობ, ბევრის მეტყველია.

და კიდევ ერთი პარადოქსი.

მიუხედავად ასეთი სანავთობო ბუმისა, უკანასკნელ რამდენიმე წელიწადში მექსიკის საგარეო ვალმა 100 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

აი, როგორ განმარტავს ამ შეუსაბამო მოვლენას მექსიკის ეროვნული ავტონომიური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომისტი ფერნანდო კარმონა: „სხვა ქვეყნების ვალები ძველი ავადმყოფობაა, მაგრამ ბოლო წლებში იგი მეტისმეტად გამწვავდა. ქვეყნის განვითარების მიზნით მექსიკის მთავრობამ გადაწყვიტა ნაირ-ნაირი პროექტი და სოციალური პროგრამა უცხოეთის ძალებით დაეფინანსებინა, იმიტომ, რომ აშკარად არ ჰყოფნიდათ ეროვნული შემოსავალი, რაც ძირითადად ნავთობის სახელმწიფო კომპანია „პემექსს“ შემოაქვს.

80-იანი წლების დასაწყისში კაპიტალიზმის სამყარომ იწვნია მორიგი კრიზისის დარტყმები, რომელიც კიდევ უფრო გააღრმავა ენერგეტიკული და ფინანსური ხასიათის სიძნელეებმა. მექსიკაში ნავთობის ბუმი იდგა და ქვეყანა კაპიტალდაბანდების სტაბილური ბაზარი გახდა.

უზარმაზარი ვალი დღეს ჩვენი ქვეყნიდან კაპიტალის ამოქაჩვის ძირითად საშუალებად, უფრო სწორად, ჩვენი სიმდიდრის ყველაზე მტაცებლური ექსპლუატაციის ფორმად იქცა. ამერიკის შეერთებული შტატებისათვის დღეს უფრო ადვილია შეავიწროოს მექსიკა, რადგან მექსიკა ამჟამად უფრო მეტად არის დამოკიდებული საერთაშორისო სავალუტო ფონდზე, რაც მშრომელთა ხარჯზე მკაცრი პოლიტიკის გატარებას მოითხოვს“.

16 წლის წინ მექსიკა სავსე იყო უცხოეთის ქვეყნების, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ნაწარმით. ახლა ყოველმხრივ უღობავენ გზას უცხოეთის ფირმებს, განსაკუთრებით, ამერიკისა და იაპონიის კომპანიებს. ცდილობენ, მხოლოდ საკუთარი ნაწარმით ივაჭრონ, რომ როგორმე გადაფარონ ამოდენა საგარეო ვალი.

მაშინ მეხიკოში ექვსი სატელევიზიო არხი მუშაობდა.

ამჟამად ტელეპროგრამათა რაოდენობა რვამდე გაიზარდა, თუმცა შინაარსობრივად და თვისობრივად არაფერი შეცვლილა, გადაცემათა დროის თითქმის ორმოცი პროცენტი რეკლამას მიაქვს.

წელან ვთქვი, მთავრობამ მტკიცედ გადაწყვიტა, ქვეყანაში უცხოეთის ფირმების ნაწარმის შემოტანა აეკრძალა-მეთქი. იაპონელებს ფარ-ხმალი მაინც არ დაუყრიათ. ჩემპიონატის დღეებში მთელი მექსიკა სავსე იყო „ჯეი-ვი-სის" სარეკლამო პლაკატებით და რეკლამებით. პრესცენტრის მოწყობაც ტელეტექნიკითა და ვიდეოაპარატურით მთლიანად ამ ფირმამ იკისრა. ყოველ სტადიონზე „ჯეი-ვი-სის" წარწერა, თუ არ ვცდები, „კოკა-კოლის" მსგავსად, ოთხ გამორჩეულ ადგილზე გვხვდებოდა თვალში.

ყველაზე მეტად კი მაინც იაპონიის საავტომობილო ფირმა „ნისანის" რეკლამამ გამაოცა. მექსიკის ტელევიზიასაც აქვს ისეთი სოლიდური გადაცემა, როგორიცაა „ვრემია" და ჩვენი „მოამბე". მთელი ორმოცწუთიანი გადაცემის განმავლობაში ორი დიქტორის წინ, ჩარჩოში მოჩანს წარწერა „ნისანი". შედარებისათვის მინდა შეგახსენოთ, რომ წუთნახევრიანი სარეკლამო ფილმის ჩართვა პირველი პროგრამის გადაცემებში ღირს 200 ათასი დოლარი.

გაუძლებს მექსიკა უცხოეთის კაპიტალის ასეთ შემოტევას?

ძნელი სათქმელია.

გამოკვეთილად არ ამბობენ, მაგრამ ჩანს, რომ მექსიკას სურს, მოიპოვოს ლიდერობა ლათინურ ამერიკაში. ამ ქვეყნის წარმომადგენლების გამოსვლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კრიტიკულია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოლიტიკისა და პოზიციის მიმართ. საინტერესო ფაქტია, რომ გაეროში მექსიკის წარმომადგენელთა

პროტესტი და უარყოფითი ხმები ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წამოყენებულ წინადადებებზე პროცენტებში გამოსახული შეადგენს 83,15-ს.

არც ისაა შემთხვევითი, რომ მექსიკა ერთ-ერთი აქტიური წევრია „დელის ექვსეულისა", რომელიც იბრძვის „ვარსკვლავთა ომისა" და თერმობირთვული იარაღის აკრძალვისათვის.

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ „დელის ექვსეული" მექსიკის ქალაქ სიუატანეხოში შეიკრიბა. ქალაქის ერთ-ერთ მოედანს ექვსი სახელმწიფოს შეხვედრის (მექსიკა, ინდოეთი, შვედეთი, ტანზანია, არგენტინა, საბერძნეთი) წინა დღეს დაერქვა ამ ექვსეულის აქტიური წევრის, „დელის ექვსეულის" შექმნის ერთ-ერთი ინიციატორის, ვერაგულად მოკლული შვედეთის პრემიერ-მინისტრის ულოფ პალმეს სახელი.

ამერიკელებს არ მოეწონათ მათ მეზობელ ქვეყანაში ჩატარებული სამშვიდობო თავყრილობა.

შესანიშნავმა კოლუმბიელმა მწერალმა გაბრიელ გარსია მარკესმა ამის თაობაზე თქვა: „ვაშინგტონი ძალიან შეაშფოთა ამ შეხვედრამ. მართალია, იქ კონკრეტულად არ გაუკრიტიკებიათ ამერიკის პრეზიდენტი და მის მიერ ამოჩემებული „ვარსკვლავთა ომიც". მაგრამ ვაშინგტონის შეშფოთება გამოიწვია თვით ფაქტმა, რომ ამერიკის ყურისძირში ჩატარდა ასეთი შეხვედრა".

მეხიკოში მიწისძვრიდან რამდენიმე დღის შემდეგ საგანგებოდ ჩამოფრინდა პრეზიდენტ რონალდ რეიგანის მეუღლე ნენსი რეიგანი და მექსიკის მთავრობას საჩუქრად გადასცა ერთი მილიონი დოლარის ჩეკი მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად. ეს იყო საკუთარი თანხა, რომელიც პრეზიდენტმა საჩუქრად გაიღო. ამერიკის შეერთებულ შტატებს აშფოთებს მექსიკელების მხარდამჭერი პოზიცია ნიკარაგუისა და, საერთოდ, ლათინური ამერიკის საჭირბოროტო პრობლემების მიმართ. ამიტომაც ცდილობენ მათი გულის მოგებას.

* * *

აი, ჩვენი ავტობუსი აეროპორტიდან ცენტრისაკენ მიემართება, სადაც უნდა დაგვაბინაონ სასტუმრო „რომან დიანაში“. ფანჯრიდან გატაცებით ვათვალიერებ ქუჩებს, ვეძებ ნაცნობ შენობებს. და აშკარად ვგრძნობ რაღაც ცვლილებას. ოღონდ ვერ მივმხვდარვარ, რა შეიცვალა ქალაქის ცხოვრებაში. უცებ გონება გამინათდა, მივხვდი, მეხიკოსათვის უჩვეულოდ მეჩვენებოდა, რომ ყურს აღარ მჭრიდა მანქანების მუსიკალური სიგნალები. ადგილობრივ ხელისუფლებას დედაქალაქში აუკრძალავს ხმოვანი საყვირები. უწინ ყველა მანქანას მუსიკალური სიგნალი ჰქონდა დაყენებული. ქუჩებში ყურთასმენა აღარ იყო, ერთმანეთში ირეოდა ათასგვარი მელოდია. მანქანებით გადატენილი ქუჩები უზარმაზარ ორკესტრს ჰგავდა, რეპეტიციის წინ ყოველი მუსიკოსი თავისთვის რომ ამუშავებს მუსიკალური ნაწარმოების რომელიღაც პასაჟს.

„რომან დიანას“ მე-12 სართულიდან, სადაც ჩვენი ნომერი იყო მოთავსებული, დიდხანს გადავჩერებოდი ქალაქს.

მინდოდა კარგად დამემახსოვრებინა ცაში აჭრილი მაღალი შენობების კონტურები, რომლებითაც ორიენტაცია უნდა ამეღო ვაკეზე გაშენებულ ქალაქში. ვცდილობდი, მეხსიერებაში აღმედგინა ნაცნობი ქუჩები და ცალკეული შენობებიც კი.

თვალი უმალვე მომტაცა „პეტროლეოს მეხიკანოსის“ უზარმაზარმა შენობამ, ხოლო უფრო შორს და ხელმარცხნივ, სადაც მეხიკოს სახელგანთქმული ჩაპულტეპეკის პარკი იწყებოდა, ჩვენი მასპინძელი ფირმის წარმომადგენელმა დამანახვა ნისლში გახვეული მაღალი შენობა, ოტელი „პრეზიდენტე ჩაპულტეპეკი“, რომლის გვერდითაც მდებარეობდა ჩემპიონატის პრესცენტრი.

2

ფეხბურთის გულშემატკივრებმა კარგად იციან, რომ მსოფლიოს მე-13 საფეხბურთო ჩემპიონატი კოლუმბიაში უნდა ჩატარებულიყო. რაც დრო გადის, ჩემპიონატის ორგანიზაციისადმი მოთხოვნები უფრო და უფრო იზრდება. მაგალითად, შემდგომი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა ვალებულია 14 სტადიონი იქონიოს ფიფას განკარგულებაში. მათი ტევადობა 40-იდან 100 ათასამდე უნდა იყოს. ფინალი, როგორც წესი, უნდა გაიმართოს სტადიონზე, რომლის ტრიბუნებიც, სულ ცოტა, 100 ათას მაყურებელს დაიტევს. სტადიონის პრესლოჟა, ტელე- და რადიოკომენტატორთა ლოჟა-კაბინეტები უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე მოთხოვნებს. სტადიონის პრესლოჟიდან და ფიფას პრესცენტრიდან თავისუფლად, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე უნდა დაუკავშირდე ტელეფონით მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას. ჩემპიონატში მონაწილე გუნდებისათვის უნდა არსებობდეს უსაფრთხო ბაზები. სახელმწიფომ გარანტია უნდა მისცეს ფიფას, რომ ტელეგადაცემათა ხარისხი იქნება უმაღლესი დონისა.

მკითხველს მინდა შევახსენო, რომ არგენტინაში მსოფლიო ჩემპიონატამდე არ იყო ფერადი ტელევიზია. ფიფას დაჟინებული მოთხოვნით არგენტინამ კონტრაქტი დადო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, რომელმაც ბუენოს-აირესში სულ მალე დაამონტაჟა ფერადი გადაცემისათვის საჭირო სტუდიები და რეკლამის მიზნით სიმბოლურ ფასად, თითქმის უსასყიდლოდ დაუთმო მასპინძლებს სათანადო ტელეაპარატურა.

მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყანას უნდა ჰქონდეს საუკეთესო საერთაშორისო აეროპორტი, შიდა აეროპორტები, საუკეთესო საავტომობილო გზატკეცილები, დღევანდელი დღისათვის შესაფერისი ტურისტული ინდუსტრია, სას-

ტუმროები, დიდი ტურნირების ორგანიზაციის პრაქტიკა და, რაც მთავარია, უნდა შეეძლოს დაიცვას ფეხბურთელები, ჩემპიონატის ორგანიზატორები, პრესის, ტელევიზიის მუშაკები და ტურისტები ყოველგვარი გაუგებრობისაგან.

და კიდევ ერთი, ცოტა არ იყოს, უცნაური პირობა: გარანტირებული უნდა იყოს კარგი ამინდი. თუმცა, ეს პირობა უცნაურია მხოლოდ ერთი შეხედვით. ფინალური თამაშები თითქმის ყოველთვის ივნისის თვეში ტარდება. ამიტომ ნებისმიერ ქვეყანას წლების განმავლობაში ელემენტარული მეტეოროლოგიური მონაცემების ანალიზით შეუძლია თითქმის ზუსტი პროგნოზი გააკეთოს მოსალოდნელი ამინდისა.

საოცარია, მეხიკოში, ყოველდღე, ზუსტად ოთხ საათზე, ისეთი სიზუსტით, რომ საათსაც კი გაასწორებდით, იწყებოდა წვიმა, უფრო სწორად, თავსხმა, ღვართქაფი. თამაშები ყოველთვის 12 საათზე იყო დანიშნული. რასაკვირველია, 12 საათზე თამაშები მარტო მოსალოდნელი წვიმის გამო არ ინიშნებოდა, თუმცა უამინდობა მაინც ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახლდათ მატჩების ასე ნაადრევად დაწყებისა. ითვალისწინებდნენ, რომ თუ თამაში გვიან დაიწყებოდა, ევროპის ქვეყნები მხოლოდ მეორე დღეს ნახავდნენ გადაცემულ მატჩებს, თანაც მაშინ, როცა პრესიდან და რადიოდან შედეგები უკვე ეცოდინებოდათ. თან, როგორც ტელეკომპანია ამტკიცებდა, 12 საათზე მატჩის დაწყება გარანტია იყო უმაღლესი ხარისხის ტელეგადაცემისა.

და აი, ერთხელ, კერძოდ 25 ივნისს, როცა ერთმანეთს ხვდებოდნენ არგენტინა და ბელგია, თამაში საღამოს 6 საათისთვის დაინიშნა. წინასწარ მოგვეწამლა გუნება – ბუნებრივია, წვიმა თამაშს გააფუჭებდა. მაგრამ არ ვიცი, მთელი თვე-ნახევრის წინ, როცა ამ მატჩის დაწყების დრო განსაზღვრეს, იცოდნენ, რომ 25 ივნისს წვიმა ჩვეულებისამებრ 4 საათზე კი არა, მატჩის დამთავრებიდან ზუსტად ერთი საა-

თის შემდეგ წამოვიდოდა? ფაქტია, რომ იმ დღეს, როგორც გამონაკლისი, წვიმა საღამოს ცხრა საათზე წამოვიდა, როცა ჩვენ უკვე უმშვენიერეს პრესცენტრში ვიყავით და მარადონას მიერ გატანილ გოლებს ვიდეოზე წაღმა-უკუღმა ვატრიალებდით.

ერთი სიტყვით, როგორც ვხედავთ, ჩემპიონატის მოწყობა და მსოფლიო საფეხბურთო ორომტრიალის მასპინძლობა არ ყოფილა იოლი საქმე.

ეტყობა, ეს დროულად იგრძნო კოლუმბიის მთავრობამ და ფიფასათვის სრულიად მოულოდნელად, მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებაზე უარი განაცხადა.

ასპარეზობის მასპინძლობის სურვილი უმალვე გამოთქვეს ბრაზილიამ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მექსიკამ. მალე ბრაზილიამ უარი განაცხადა – ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა საშუალებას არ გვაძლევს, დარჩენილ დროში ჩემპიონატისათვის მოვემზადოთო.

ვითომ გულწრფელები იყვნენ ბრაზილიის მესვეურები? იქნებ ზედმეტად სჯეროდათ თავისი გუნდისა, სწამდათ, რომ ბრაზილიის ეროვნული ნაკრები მეხიკოში გაიმეორებდა 1970 წლის ჩემპიონატის ნარმატებას?

იქნებ შინ გამარჯვების შანსი მომავლისათვის შემოინახეს?

ძნელია რაიმეს თქმა.

ასე იყო თუ ისე, დარჩა ორი კანდიდატურა, ორი ქვეყანა: ამერიკის შეერთებული შტატები და მექსიკა.

საფეხბურთო სამყარო დარწმუნებული იყო, რომ მსოფლიოს მე-13 ჩემპიონატი ამერიკაში ჩატარდებოდა. იქ ყველა პირობა ჰქონდათ ჩემპიონატის სამასპინძლოდ. თანაც ერთი რამ არ უნდა დაგვავიწყდეს: ამერიკის შეერთებულ შტატებში მსოფლიო ჩემპიონატი იქნებოდა ფეხბურთის პოპულარიზაციის მართლაც მასშტაბური ღონისძიება. ასეთ ღონისძიე-

ბას კი ითვალისწინებს ფიფას პროგრამა. ამიტომაცაა, რომ ფიფას პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა მეხიკოში ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე განაცხადა, დროა, ევროპისა და ამერიკის კონტინენტების გარდა შეჯიბრება აზიისა და აფრიკის ქვეყნებშიც ჩატარდესო.

ბუნებრივია, ამ ორ სახელმწიფოს შორის თუნდაც თანაბარი პირობების დროს, ისიც უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ მექსიკაში ერთხელ უკვე ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი.

ფიფას არჩევანი მაინც მექსიკაზე შეჩერდა.

ჟურნალისტები და სპეციალისტები უნდობლად შეხვდნენ ამ გადაწყვეტილებას. დაიბადა ეჭვი, და იქნებ არცთუ უსაფუძვლო, რომ აველანჟს ძალიან სურდა ჩემპიონატი მექსიკაში ჩატარებულიყო.

ჩემპიონატის დღეებში ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ფიფას პრეზიდენტს უცერემონიოდ ჰკითხეს, მართალია თუ არა, რომ მექსიკა ჩემპიონატის მასპინძლად თქვენი მიზნებისა და პირადი გეგმებისათვის აირჩიეთო.

აველანჟმა მხრები აიჩეჩა, ვერ მივხვდი, რას მეკითხებითო. მაშინ შეკითხვა უფრო დაუკონკრეტეს, თქვენ თურმე მჭიდრო, საქმიანი კავშირი გქონიათ მექსიკის კერძო სატელევიზიო კომპანიებთან და მათი თხოვნა გაითვალისწინეთო, თანაც პრესაში, კერძოდ, გერმანიის „შპიგელში" გამოაქვეყნეს, რომ მატჩების გადაცემის დროს რეკლამების ჩართვის უფლებისათვის მექსიკის ფირმებიდან მილიონი დოლარი მიიღეთო. მინდა მკითხველს ვუთხრა, რომ თვით მექსიკაში, მატჩების გადაცემის დროს ყველაზე დრამატულ მომენტებში ეკრანზე რეკლამას უწევდნენ „კოკა-კოლის", „ჯეი-ვი-სის", „ჯილეტის", „კემელისა" და სხვა ფირმების ნაწარმს.

ჟოაო აველანჟმა ჟურნალისტებს უპასუხა, არავითარი ინტერესი არ მაკავშირებს მექსიკის ტელევიზიასთან, არც ბრაზილიაში მაქვს რაიმე ინტერესი, თუმცა, მე, როგორც ბიზნესმენს და ბრაზილიაში საავტობუსო კომპანიის მფლო-

ბელს, სულაც არ მიმაჩნია საძრახისად და დანაშაულად საქმიანი კავშირების გაბმაო. შეკითხვის მეორე ნაწილზე კი, სადაც მატჩების დროს ტელევიზიით რეკლამის გადაცემის უფლებაში ერთი მილიონი დოლარის აღებას აბრალებდნენ, აველანჟმა თქვა, ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემაც არ მსურს, იგი მხოლოდ ღიმილს იმსახურებსო.

შეიძლება აველანჟი გულწრფელი იყო და უნდა გვჯეროდეს კიდეც მისი სიმართლე, მაგრამ ფაქტი ერთია, მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი აღარ არის სუფთა სპორტული სანახაობა.

ტურნირის მასპინძელი ქვეყანა ცდილობს ოთხი წლის და, განსაკუთრებით, ბოლო ერთი თვის განმავლობაში მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცეს. ამ ყურადღებას განაპირობებს თვით ფეხბურთის პოპულარობაც.

ჩემპიონატის დღეებში სახელმწიფოების უმსხვილესი კომპანიები ცდილობენ გლობალური რეკლამა გაუწიონ საკუთარ პროდუქციას, მილიონობით ადამიანის გონებაში მტკიცედ და საბოლოოდ ჩაბეჭდონ თავიანთი ფირმების სახელები, რომ მყიდველებმა მაღაზიებში სხვა ფირმის ნაწარმისაკენ არც კი გაიხედონ. ამავე დროს, მასპინძელმა ქვეყანამ მსოფლიოს თვალში უნდა დაიმკვიდროს ორგანიზებული, ძლიერი, საიმედო პარტნიორის სახელი. ყველა ფირმას როდი შესწევს უნარი, იყიდოს ჩემპიონატის დღეებში სტადიონებზე რეკლამის გამოფენის უფლება. ამჯერად ეს უფლება მოიპოვეს „კოლა-კოლამ", „ჯეი-ვი-სიმ", „კემელმა", „ფილიპსმა", „კენონმა", „ფუჯიმ", „სეიკომ", „ჯილეტმა", „ბატამ", „ოპელმა" და „ჩინზანომ". რატომღაც ჩემპიონატის მეორე ნახევრიდან „ჩინზანოს" რეკლამა ყველა სტადიონზე მოხსნეს.

პრესცენტრი მთლიანად „კოლა-კოლისა" და „ჯეი-ვი-სის" ხელში იყო. თუმცა აქვე ჰქონდა გახსნილი თავისი წარმომადგენლობა ყველა ჩამოთვლილ ფირმას.

თვით „აცტეკას" სტადიონზე პრესლოჟას „კოკა-კოლა" და „კემელი" მეურვეობდნენ. მატჩის განმავლობაში საგანგებოდ შერჩეულ ულამაზეს გოგონებს ჩვენთვის მოჰქონდათ ჩაციებული სასმელები, ყავა, სიგარეტი „კემელი".

ფეხბურთელებს ძირითადად „ადიდასის" ნაწარმი ეცვათ, თუმცა ამ ფირმის რეკლამა არ ყოფილა გამოფენილი სტადიონებზე. რატომ? იქნებ თავისთავად ესაა რეკლამა, რეკლამას არ ვსაჭიროებო? არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით. ერთი კია, „ადიდასმა" საგანგებოდ მიგვიწვია თავის რეზიდენციაში და ძალზე გულუხვად გაგვიმასპინძლდა.

ოტელ „პრეზიდენტე ჩაპულტეპეკის" ვარდისფერ დარბაზში (ამ ოტელს კიდევ რამდენიმე დიდი დარბაზი აქვს) სამას ჟურნალისტზე მეტი მიგვიწვია ბარსელონის მერმა. მოგეხსენებათ, 1992 წელს ბარსელონა უმასპინძლებს ოლიმპიურ თამაშებს. ოლიმპიადის რეკლამაზე კი დღესვე ზრუნავენ ქალაქის მერი და თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის წევრები. მასპინძლებმა ესპანეთიდან საგანგებოდ ჩამოიტანეს საუკეთესო ღვინოები. ერთი სიტყვით, მშვენიერი პურმარილი გაგვიშალეს. წვეულების მშვენება იყო კატალონიური ცეკვები და, რაც მთავარია, ცეცხლოვანი ესპანური ფლამენკო.

თვით მსოფლიოს სახელგანთქმულ საფეხბურთო კლუბთა ემისრებიც როდი იყვნენ გულხელდაკრეფილნი. მატჩებიდან მატჩებამდე პერიოდებში ჩუმად დაძვრებოდნენ ფეხბურთელებთან და მომავალი წლიდან მათ გადაბირებას ცდილობდნენ თავიანთ კლუბებში. მექსიკელ მანუელ მეგრეტეს, მაგალითად, მადრიდის „ატლეტიკომ" შესთავაზა ესპანეთში გადასვლა. გერი ლინეკერი სათამაშოდ მიიწვია ესპანეთის ერთბაშად ორმა კლუბმა, მადრიდის „რეალმა" და „ბარსელონამ". ბელგიელი ენცო შიფო იტალიელებმაც მიიწვიეს და ესპანელებმაც. ურუგვაელმა რუბენ პასმა იქვე მოაწერა ხელი ხელშეკრულებას მილანის „ინტერთან". მეორე ურუგვაელი

ენცო ფრანჩესკოლი კი პარიზის „რასინგთან" გააფორმებს კონტრაქტს. ფრანგ ჟან-პიერ პაპენს იქვე, მარსელის „ოლიმპიკმა" შესთავაზა ხელშეკრულება, თუმცა თვითონ მას არ დასცდენია არცერთი კლუბის სახელი. ევროპაში გადაბარგებულ არგენტინელებზე კი ქვემოთ ვილაპარაკებთ.

ერთი სიტყვით, მექსიკაში, სტადიონებსა თუ კულისებში, კომპანიებსა თუ საქმიან წრეებში მასშტაბური, სერიოზული მოლაპარაკებები მიდიოდა.

მძიმე, დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ ჩემპიონატის მონაწილე ქვეყნებმა, პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ უმალვე საეჭვოდ მიიჩნიეს მექსიკაში ჩემპიონატის ჩატარება.

იმდენად დიდი იყო მექსიკელთა სურვილი, ყოფილიყვნენ ჩემპიონატის მასპინძლები, იმდენ საქმიან გარიგებაზე ამყარებდნენ იმედს, ფეხბურთის წყალობით რომ უნდა მოეგვარებინათ, მექსიკის მთავრობამ და პირადად მისმა პრეზიდენტმა მიგელ დე ლა მადრიდმა მიწისძვრიდან რამდენიმე საათში გააკეთეს განცხადება, ვერავითარი მსხვერპლი და მიწისძვრა ხელს ვერ შეგვიშლის ჩემპიონატის ორგანიზებულად ჩატარებაშიო.

ვინც მაშინ საკუთარი თვალით ნახა მეხიკოს დანგრეული ცენტრი, ეჭვი ეპარებოდა, რომ დედაქალაქი იოლად მოიშუშებდა ჭრილობებს და, მიუხედავად თავს დატეხილი უბედურებისა, შეძლებდა მსოფლიო ჩემპიონატის საკადრის მასპინძლობას.

მაშინ კი არა, ახლაც, ჩემპიონატის დღეებშიც შემაძრწუნებელ განცდას იწვევდა ჩამონგრეული, ჩონჩხად ქცეული შენობები. მიწისძვრის ეპიცენტრი, თითქოს საგანგებოდ, მეხიკოს ცენტრში მდებარეობდა. განსაკუთრებით დანგრეულა ის შენობები, რომლებიც მიწის ტალღური მოძრაობის დროს უშუალოდ ტალღის ქედებზე მოხვედრილა. ერთი სასტუმრო, რომელიც ოპერის თეატრის მახლობლად მდებარეობ-

და, მთლიანად ჩამოქცეულა, ვერცერთი ადამიანი ცოცხალი ვერ გადარჩენილა. იმ სასტუმროს ადგილზე ახლა მხოლოდ აგურის წითელი ფხვნილით მოქანდაკებული ადგილი ჩანდა. პირველ რიგში ცენტრი და მთავარი პროსპექტები მოუწესრიგებიათ მექსიკელებს, როგორც კი ცენტრიდან გვერდით ქუჩებში გადაუხვევდი, თვალწინ საშინელი სანახაობა იშლებოდა: ჩამონგრეული, ზოგან ამობრუნებული შენობები, ბეტონის გაშიშვლებული საყრდენები და რკინის ამოყრილი არმატურა გულსაკლავ სურათს ქმნიდა. არანაკლებ უსიამოვნო შეგრძნებას იწვევდა დატალღული და დამსკდარი ნიადაგი.

ოფიციალური ცნობით, მეხიკოში 40 ათასი კაცი დაღუპულა, თუმცა ამბობენ, მსხვერპლთა რაოდენობა გაცილებით დიდი იყო, ნახევარ მილიონამდეო. თითქოს ის უსახლკარო მექსიკელები, მეხიკოში რომ ყოველდღიურად ჩამოდიან ლუკმაპურის საშოვნელად, დაღუპვის შემდეგ არც არავის გახსენებია და არც არავის დაუთვლიაო.

ჩემი აზრით, დაღუპულთა რაოდენობის ასეთი გაზვიადება ბოროტ ადამიანთა ფანტაზიის ნაყოფია.

ჯერ ერთი, მექსიკის გაზეთები თუ არა, სხვა გაზეთები მაინც გამოაქვეყნებდნენ ზუსტ ცნობებს. მეორე და უმთავრესი ისაა, რომ მიწისძვრა ცენტრში მოხდა, სადაც ხალხი (მით უმეტეს, დედაქალაქში ჩამოსახლებული გლეხები) მასიურად არ ცხოვრობს. ძირითადად დაინგრა ადმინისტრაციული შენობები და სასტუმროები.

მიწა დილის 7 საათზე იძრა, როცა ადმინისტრაციულ შენობებში მუშაობა არ იყო დაწყებული, თორემ მსხვერპლი ორჯერ და შეიძლება სამჯერაც მეტი ყოფილიყოო, ამბობენ მექსიკელები.

* * *

ჩემპიონატი მართლაც ჩინებულად იყო ორგანიზებული. მექსიკელებმა ამ უდიდეს ასპარეზობასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა წარმატებით გადაჭრეს. არ მომხდარა არცერთი ინციდენტი. მხოლოდ ერთხელ, არგენტინა-ინგლისის მატჩზე, ინგლისელმა გულშემატკივრებმა არგენტინელებთან მუშტი-კრივი გააჩაღეს, ისიც დროულად აღკვეთა პოლიციამ. ეს იყო და ეს.

თვითონ ჩვენც კი, პრესის აკრედიტებულ წარმომადგენლებს, ჟურნალისტთა ლოჟებში საკუთარი შესასვლელით რომ შევდიოდით, სამჯერ გვჩხრეკდნენ, ორჯერ კი, როგორც აეროპორტში, სპეციალური აპარატურის ქვეშ გვატარებდნენ.

ცალკე მოხსენიების ღირსია საგანგებოდ აშენებული პრესცენტრი. ოთხსართულიანი ულამაზესი და მოხერხებული შენობა მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩასულ 5 ათას ჟურნალისტს ემსახურებოდა. ემსახურებოდა მართლაც სანიმუშოდ. პრესცენტრის შენობა სპეციალურად შეუერთეს სასტუმრო „პრეზიდენტე ჩაპულტეპეკს“ და, ფაქტობრივად, მომავლისათვის მის ორგანულ ნაწილად აქციეს. პრესცენტრის ქვეშ ოთხი ავტოსადგომი იყო მანქანებისათვის – ყველა ოთახში რვა-რვა ტელევიზორი ისე ჰქონდათ ჭერზე ჩამოკიდებული, რომ ნებისმიერი წერტილიდან მოხერხებული ყოფილიყო მათი ცქერა. ცალკე ოთახში 15 ვიდეოაპარატურა იდგა, სადაც შეგეძლოთ სტადიონიდან დაბრუნებისთანავე გენახათ იგივე მატჩი, და, საერთოდ, ნებისმიერი ჩემპიონატისა თუ ცალკეული კლუბების მატჩები, რომლებიც კი თავის დროზე აღუბეჭდავთ კინოფირებზე, ხოლო შემდეგ გადაუწერიათ ვიდეოფირებზე.

ხოლო იმ მატჩებსა და ჩემპიონატებზე, რომლებიც ვერ შემოგვინახა კინოფირებმა (მოგეხსენებათ, ვიდეოჩანაწერის ტექნიკას არა აქვს დიდი ხნის ისტორია), იმ ცალკეულ ფეხ-

ბურთელებზე, რომელთა ირგვლივაც რაიმე გვაინტერესებდა (თუნდაც წონა და სიმაღლე), პასუხს იძლეოდნენ კომპიუტერები. სხვათა შორის, ვიდეოკასეტებთან ერთად გვაძლევდნენ სქემასაც, რომელზეც მეტრაჟის მიხედვით იყო მითითებული ყველა საინტერესო ეპიზოდი.

მეორე სართულზე განლაგებულ ოთახებში ჟურნალისტებს შეეძლოთ მყუდროდ და მოხერხებულად ემუშავათ. მათ ემსახურებოდა 30 ტელექსი, თუ არ ვცდები, 120 საერთაშორისო ტელეფონი, რომლებითაც ორიოდე წუთში პლანეტის ნებისმიერ ქვეყანაში შეგეძლოთ დარეკვა, 350 თუ 400 საბეჭდი მანქანა (ძირითადად ესპანურ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე). აქვე იყო ფურცლების გასამრავლებელი და ასაკინძი აპარატურა.

პრესცენტრში მუშაობდა მექსიკის ეროვნული ბანკის „ბანკა მეხიკანას" განყოფილება, ტურისტული ბიურო, ავტომანქანების გაქირავების ბიურო და ვინ მოთვლის კიდევ რა.

იარუსების სისტემით გადაწყვეტილი ოთხსართულიანი შენობა, რომლის საერთო ფართობიც 17 ათასი კვადრატული მეტრი ყოფილა, მექსიკელი დიზაინერების მიერ მართლაც რომ დიდი გემოვნებით იყო მოწყობილი და მორთული. საერთო კომპოზიციაში სრულიად შეგნებულად აცტეკური მოტივები ჭარბობდა.

აი, აქ კი ოდნავ გადავუხვევ თემას და ერთ საყურადღებო მოვლენაზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას.

მექსიკაში ჯერ კორტესმა და შემდეგ ესპანეთის ინკვიზიციამ თითქმის მთლიანად გაანადგურეს ადგილობრივი მკვიდრნი – აცტეკები. ვინც გადარჩა, ისინიც ესპანელებში აითქვიფნენ. მხოლოდ მიუვალ სოფლებშია შემორჩენილი აცტეკების რეზერვაციები. მექსიკელ ინდიელთა ცხოვრება დღესაც სავალალო და უნუგეშოა.

მეხიკოს ცენტრშია შესანიშნავი არქიტექტურული ანსამბლში სოკალო, სადაც განლაგებულია პრეზიდენტის სასახლე,

ქალაქის მუნიციპალიტეტი და კათედრალური ტაძარი. ეს უნიკალური მოედანიც და მიმდებარე ქუჩებიც წარმოადგენენ კოლონიური არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშებს.

ამჟამად კი რაც შენდება, მექსიკელი არქიტექტორები ცდილობენ ყველაფერს აცტეკური იერი მისცენ და, საერთოდ, ყოველგვარი აცტეკური წინა პლანზე წამოსწიონ.

ჩემპიონატის დღეებში სოკალეზე ააშენეს მზისა და მთვარის ბუტაფორიული პირამიდები, იმ პირამიდების ასლები, რომლებიც მეხიკოდან 35 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ფერადი პროჟექტორების შუქით გაჩირაღდნებულ მოედანზე წარმოადგინეს აცტეკთა ცხოვრების ამსახველი სურათები – მოსავლის ზეიმით დაწყებული და ადამიანის მსხვერპლად შეწირვის ცერემონიით დამთავრებული. აცტეკებისათვის დამახასიათებელი სტილითაა აშენებული მეხიკოს მხარეთმცოდნეობის დიდებული მუზეუმი, სადაც, ფაქტობრივად, მხოლოდ აცტეკების ისტორიაა გადმოცემული.

რა არის ეს?

იქნებ ნაგვიანევი ბოდიში წარსულ საუკუნეებში ესპანელთა მიერ აცტეკების მასობრივი ხოცვა-ჟლეტისათვის?

არა მგონია, ამ მოვლენების ირგვლივ ჩემს ვარაუდებს და მოსაზრებებს რაიმე პოლიტიკური ან მეცნიერული ღირებულება გააჩნდეს, ამიტომაც ისევ ფეხბურთს დავუბრუნდები.

მინდა კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი გავიხსენო და ამით დავამთავრო ლაპარაკი ჩემპიონატის მართლაც ჩინებულ ორგანიზაციაზე.

ყველაზე კორექტული გუნდისათვის დაწესებული პრიზი მიიღო... მექსიკელმა ხალხმა! ასეთი რამ პირველად მოხდა მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში და ვფიქრობ, ქება-დიდების ღირსია ის ადამიანი, ვისაც პირველად მოუვიდა თავში ეს მართლაც შესანიშნავი აზრი.

ამ პრიზით ჩემპიონატის მონაწილე გუნდებმა, მათმა ხელმძღვანელებმა, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ჟურნალისტებმა, რადიო- და ტელეკომენტატორებმა, თვით ფიფამ და მისმა მესვეურებმა მადლობა გადაუხადეს მექსიკელ ხალხს მართლაც სანიმუშო სტუმართმოყვარეობისათვის, მუდამ მოღიმარი სახეებისათვის, იმ დიდი სითბოსა და ყურადღებისათვის, რასაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გრძნობდნენ მექსიკის სტუმრები.

3

„რატომ ჩაატარეს ჩემპიონატი მექსიკაში, სხვა უფრო ნორმალური ქვეყანა ვერ იპოვეს?" – ამ სიტყვებს ხშირად გაიგონებდით გულშემატკივართა შორის ჩემპიონატის დაწყების წინ და ჩემპიონატის დღეებშიც.

რით იყვნენ უკმაყოფილონი?

ბუნებრივია, პირველ რიგში მექსიკურ სიცხესა და მაღალ მდებარეობას გულისხმობდნენ.

გაზეთებში ბევრს წერდნენ და ტელევიზიაში ბევრს ლაპარაკობდნენ მექსიკის გაიშვიათებულ ჰაერზე, ჟანგბადის უკმარისობაზე, საშინელ სიცხეზე.

გამოჩნდნენ „თეორეტიკოსებიც", სამწუხაროდ, სპეციალისტებს შორისაც, რომლებიც კურიოზამდე მისულ თეორიებს გვთავაზობდნენ.

ჩემპიონატის დაწყებამდე ორი თუ სამი თვით ადრე მსოფლიო ჩემპიონის, იტალიის ნაკრების მწვრთნელმა, ენცო ბეარზოტმა მთელი ტრაქტატი ჩამოაყალიბა მექსიკის გაიშვიათებულ ჰაერზე, ბურთის ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად მოძრაობაზე და, აქედან გამომდინარე, გრძელი პასების უაზრობაზე.

სულო ცოდვილო და მაშინვე მივხვდი, რომ იტალიის ნაკრების საქმე ვერ იყო კარგად.

...მინდა კვლავ გავიმეორო, არავითარი სულთამხუთავი სიცხე მექსიკაში არ ყოფილა. მართალია, მე თამაშები ძირითადად მეხიკოსა და პუებლაში ვნახე, სადაც ტემპერატურა 27 გრადუსზე მაღლა არ ასულა, მაგრამ არცერთ ზღვისპირა ქალაქში უფრო მეტი სიცხე არ ყოფილა, ვიდრე ჩვენთან, მშობლიურ თბილისშია ხოლმე ივლისსა და აგვისტოში.

ჩემი პოზიციის გასამაგრებლად რინატ დასაევისა და არგენტინელთა ყოფილი მწვრთნელის, სესარ ლუის მენოტის სიტყვები მინდა მოვიტანო.

„როგორ შეეგუეთ მექსიკის კლიმატურ პირობებს?“ – ჰკითხა საბჭოთა კავშირის ნაკრების მეკარეს კორესპონდენტმა.

„უნდა მოგახსენოთ, რომ შეგუება არ გამჭირვებია“, – უპასუხა დასაევმა.

ახლა მენოტის მოვუსმინოთ:

„მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ბევრს ლაპარაკობდნენ მექსიკის რთულ კლიმატურ პირობებზე. ჩემი აზრით, სიცხე იმას უშლის ხელს, ვინც ნამდვილ ფეხბურთს ვერ თამაშობს. ეს გამოგონილი პრობლემა ყველამ უნდა უარყოს, ვინაიდან იგი ფიზიკურად კი არა, ფსიქოლოგიურად თრგუნავს მოთამაშეს. კარგად მახსოვს, დიდ სიმაღლეზე თამაში არავითარ ზეგავლენას არ ახდენდა პელეს, ბეკენბაუერისა და ბობი ჩარლტონის გამოსვლებზე“.

მეხიკოში მოწყობილ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებმა ბევრი საყვედური წარმოთქვეს მატჩების დაწყების დროზე (12 საათზე), ტემპერატურაზე და ზოგიერთი ქალაქის უჩვეულო სიმაღლეზე.

ფიფას გენერალურმა მდივანმა სწორი პასუხი გასცა ამ შეკითხვებს. კერძოდ, მან თქვა, რომ ჩემპიონატში მონაწილე ქვეყნებისათვის ყველაფერი ადრევე იყო ცნობილიო.

მართლაც და, განა პირველად ჩატარდა მექსიკაში ჩემპიონატი?! განა 1970 წელსაც ივნისის თვეში არ გათამაშდა ფინალური მატჩები?! განა მაშინაც იმავე დროს არ იწყებოდა ორთაბრძოლები?!

და თუ ამ პრეტენზიების ავტორების ვინაობას გავითვალისწინებთ, აღმოჩნდება, რომ ისინი იმ ქვეყნების წარმომადგენლები ან იმ გუნდების წევრები და ხელმძღვანელები არიან, ვინც მოსალოდნელზე გაცილებით უარეს შედეგს მიაღწია.

ბუნებრივიცაა. ჩემპიონატის შემდეგ ხომ ყველანი შინ უნდა დაბრუნდნენ. ასპარეზობის შედეგებზე კი ბევრად არის დამოკიდებული მათი შემდგომი კარიერა. აბა, გადავხედოთ, რა ბედი ეწიათ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში ხელმოცარული გუნდების მწვრთნელებს. 15 ივლისისათვის დაახლოებით ასეთი სურათის მოწმენი გავხდით:

მწვრთნელის პოსტი დათმეს (ან დაათმობინეს) ალჟირელმა საადანმა, პოლონელმა პეხნიჩეკმა, უნგრელმა მესეიმ, ბულგარელმა ვუცოვმა, პორტუგალიელმა ტორესმა, კანადელმა უეიტერსმა, შოტლანდიელმა ფერგიუსონმა.

ბრაზილიელი ტელე სანტანასათვის უნდობლობა არ გამოუცხადებიათ, დადებითადაც კი შეაფასეს მისი მუშაობა, მაგრამ თვითონ აპირებს მიატოვოს ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელის პოსტი. რას იზამ, ძალზე ძნელია იყო მწვრთნელი იმ ქვეყანაში, სადაც ყველას სჯერა, რომ არავისზე ნაკლებად არ ესმის ფეხბურთი.

გაცილებით ეშმაკურად მოიქცა ფრანც ბეკენბაუერი. მას ინტერვიუებში თუ პირად საუბრებში არაერთხელ უთქვამს, რომ მექსიკის ჩემპიონატის შემდეგ სამუდამოდ აპირებდა ნაკრებთან გამოთხოვებას. ახლა კი დუმს და გუნდიდან წასვლაზე კრინტსაც არ ძრავს. ბეკენბაუერი გერმანელ ფეხბურთის მესვეურებს და გულშემატკივრებს დაჰპირდა, რომ გუნდს აუცილებლად მოახვედრებდა ოთხეულში. ჩვენი, ფაქტობრი-

ვად, განახლებული ნაკრებისათვის ოთხეულში მოხვედრაც დიდი წარმატება იქნებაო, – ამბობდა ის და ამ აზრს ენერგიულად ახვევდა თავს საზოგადოებას. ეტყობოდა, შინაგანი შიში მაინც ჰქონდა, ვაითუ ოთხეულში ვერ მოვხვდეო. იცოდა, უარეს შედეგს არ აპატიებდნენ და ამიტომაც იზღვევდა წინასწარ თავს.

ახლა კი, როცა გერმანელებმა მეორე ადგილი დაიკავეს, რატომ უნდა წავიდეს გუნდიდან? კაიზერმა, როგორც ბეკენბაუერს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ეძახიან, კიდევ ოთხი წლით გაინაღდა იმპერატორობა! მომდევნო ჩემპიონატზე კი ვინ იცის, რა მოხდება. ადამიანი იმედით ცოცხლობს.

პრესკონფერენციებზეც და პრესაშიც ბევრმა მწვრთნელმა, ჟურნალისტმა და ფეხბურთელმა გაილაშქრა ფრედ დამთავრებული მატჩის ბედის პენალტების სერიით გადაწყვეტის წინააღმდეგ. გალაშქრებით კი გაილაშქრეს, მაგრამ სამაგიერო წინადადება ვერ წამოაყენეს. კენჭისყრას კი, რომელიც მხოლოდ ბრმა შემთხვევითობაზეა დამყარებული, ისევ პენალტები სჯობია. აქ ნერვების ჭიდილი და კარგი დარტყმის ოსტატობა მაინც შეიძლება დაუპირისპირდეს ერთმანეთს. თუმცა, მეც ვუერთდები საყოველთაო აზრს, რომ პენალტებით მატჩის ბედის გადაწყვეტა უსამართლობაა. შეჯიბრების ჩატარების რეგლამენტი კი საშუალებას არ იძლევა მატჩები გადაითამაშონ.

პენალტების თაობაზე ყველაზე რეალური წინადადება მაინც ბრაზილიელებმა წამოაყენეს. ბურთი უნდა დაიდოს კარიდან 40 ან 50 მეტრზე. სასტვენის ხმის შემდეგ ფეხბურთელი დრიბლინგით მიემართება საჯარიმო მოედნისაკენ. თავის მხრივ, მეკარეს უფლება აქვს იმოძრაოს მთელ საჯარიმო მოედანზე.

თუ ფიფა დაამტკიცებს ასეთ წესს, ფეხბურთელს საშუალება ექნება, კარის დალაშქვრის უამრავი ვარიანტი გამო-

ნახოს: მოჭრილი დარტყმა, ოსტატური დრიბლინგი, ფინტი, ბურთის თავზე გადაგდება, მეკარის გამოტყუება და სისწრაფის ხარჯზე გარღვევაზე გასვლა.

ერთი სიტყვით, ბრაზილიელები ამტკიცებენ, რომ ასეთი საჯარიმოების შესრულების დროს უფრო გამოჩნდება ფეხბურთელების და, ამგვარად, მთელი გუნდის შესაძლებლობები. მაყურებელი კი გაცილებით კმაყოფილი დარჩებაო.

სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ბრაზილიელთა წინადადება ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას. თუმცა მთავარი ისაა, ამ წინადადებაზე რა აზრისაა თვით ბატონი აველანჟი.

პრესკონფერენციაზე, სამწუხაროდ, მრავალ წვრილმანზე იყო საუბარი. ძირითადზე კი, მაინცდამაინც, ხმა არავის ამოუღია. არავის უთქვამს, მაგალითად, რომ თვით გათამაშების სისტემაა უსამართლო და უვარგისი.

ბრაზილიის ნაკრებმა ხუთი თამაშიდან ოთხი მოიგო და ერთი ფრედ დაამთავრა (წააგო პენალტებით), ათი ბურთი გაიტანა, ერთი გაუშვა და... ტურნირს გამოეთიშა.

გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ შვიდი თამაშიდან ორი წააგო, ერთი ფრედ დაამთავრა, რვა ბურთი გაიტანა, შვიდი გაუშვა და... მეორე ადგილზე გავიდა.

ბელგიის ნაკრებმა შვიდი თამაშიდან სამი წააგო, ერთი ფრედ დაამთავრა და... მეოთხე ადგილზე გავიდა.

ისიც უნდა დავძინო, რომ არ ჩაგვითვლია პენალტებით მოგებული მატჩები, რომლებიც, ფაქტობრივად, ფრედ დამთავრდა. მათი გათვალისწინება კიდევ უფრო გააუარესებდა გფრ-ის, საფრანგეთისა და ბელგიის ეროვნული გუნდების მაჩვენებლებს.

ვფიქრობ, სურათი ნათელია. სამწუხარო კი ისაა, რომ მომავალ ორ ჩემპიონატზე ალბათ არაფერი შეიცვლება.

ერთადერთი, რაც შეიძლება შეიცვალოს, ტურნირის რეგლამენტია. როგორც ფიფას გენერალურმა მდივანმა, ზეპ

ბლატერმა განაცხადა, იტალიის მსოფლიო ჩემპიონატისთვის შეიძლება რეგლამენტის შემცირებაზე ვიფიქროთო.

ერთი სიტყვით, არც მომდევნო ჩემპიონატები არის დაზღვეული შემთხვევითობებისაგან, როცა, ბრაზილიის მსგავსად, კარგი გუნდები ნაადრევად გაემგზავრებიან შინისაკენ.

4

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე საქართველოს რადიოს სპორტული რედაქციიდან ჩემთან კორესპონდენტი გოგონა მოვიდა და ინტერვიუ მთხოვა, უფრო სწორად, მითხრა, გვინდა ჩვენს მსმენელებს თქვენი პროგნოზები გავაცნოთო.

სხვათა შორის, ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის წინაც საქართველოს ტელევიზიის სპორტულმა რედაქციამ ჩამომართვა ინტერვიუ. მაშინაც ჩემი პროგნოზები აინტერესებდათ.

პირადად მე მიმაჩნია, რომ პროგნოზების გამოთქმა ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. ამიტომ არაპროფესიონალიზმად, უფრო მეტიც, არასერიოზულობადაც კი მიმაჩნია იმ სპეციალისტთა თუ ჟურნალისტთა კატეგორიული, ხაზს ვუსვამ, კატეგორიული პროგნოზები, რომლებსაც საჯაროდ გამოთქვამენ ხოლმე და პრესაშიც აქვეყნებენ.

რას ეყრდნობა მათი პროგნოზები?

პირველ რიგში, რასაკვირველია, საკუთარ სიმპათიებს და სურვილებს. ზოგჯერ კოლეგების ჯიბრიც თამაშობს ხოლმე გარკვეულ როლს პროგნოზების გამოთქმისას.

უმთავრესად კი სპეციალისტთა და ჟურნალისტთა უმრავლესობა ითვალისწინებს ეროვნული გუნდების სახელოვან წარსულს და მათ ავტორიტეტს. მაგალითად, ვინც კი დაასახელა ჩემპიონობის მომავალი კანდიდატები, თითქმის

არავის არ გამოუტოვებია ბრაზილიის ნაკრები. სენსაციური კანდიდატი არავის არ დაუსახელებია. სპეციალისტებისა და ჟურნალისტების წინასწარმეტყველური ფანტაზია ბრაზილიას, არგენტინას, საფრანგეთს, იტალიასა და გფრ-ს აუცილებლად წარმოსახავდა ჩემპიონობის კანდიდატებად. ამ ეროვნულ ნაკრებებთან ერთად მეტნაკლებად ასახელებდნენ ინგლისს, ურუგვაის და მასპინძელი ქვეყნის, მექსიკის ეროვნულ ნაკრებს. ჩემპიონატის მოახლოებისას სულ უფრო ხშირად ახსენებდნენ უნგრელებსაც, რომლებმაც ამხანაგურ შეხვედრაში ბრაზილიისათვის უჩვეულო, გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხეს ტელე სანტანას გუნდი – 3:0.

სამწუხაროდ, ბევრი სპეციალისტის, სპორტული ჟურნალისტის და, პირველ რიგში, თვით უნგრეთის ფეხბურთის მესვეურთა პროფესიონალიზმში მაშინ შემეპარა ეჭვი, როცა გულწრფელად დაიჯერეს, რომ ბრაზილიელებთან მოგებული მატჩი ამ გუნდების ძალთა თანაფარდობასაც შეესაბამებოდა.

რას უნდა ემყარებოდეს პროგნოზი?

რასაკვირველია, არა გუნდის წარსულ დიდებას, არა თუნდაც ჩემპიონატის წინა წლის წარმატებებს!

ხომ ვიცით, როგორი ეფემერულია გუნდის სიძლიერე.

მშვენივრად ითამაშა იტალიის ნაკრებმა ესპანეთში, დაამარცხა ბრაზილიის, არგენტინის, გფრ-ის უძლიერესი გუნდები და მსოფლიო ჩემპიონის სახელიც მოიპოვა. მომდევნო წელს კი ძლივსღა იცნობდით.

მსოფლიო ჩემპიონატში ოცდაოთხი გუნდი მონაწილეობს. სუსტი გუნდები თითქმის აღარ არიან. ყოველ შემთხვევაში, ყოველგვარ მოულოდნელობას უნდა ელოდე ნებისმიერი გუნდისაგან. მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტები კი მაინც ის გუნდები არიან, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ. ზუსტი პროგნოზი რომ გააკეთო და პირველი ოთხი გუნდი გამოიცნო, მით უფრო, იწინასწარმეტყველო ფინალის მონაწილე ორი

გუნდი და ამ ორ გუნდს შორის გამარჯვებული – მსოფლიოს ახალი ჩემპიონი, საფუძვლიანად უნდა იცნობდე ყველა გუნდის შესაძლებლობებს კონკრეტული, წინასაჩემპიონატო დღეებისათვის.

კიდევ უფრო დიდ უაზრობად, მკითხაობად მიმაჩნია მატჩების ანგარიშების გამოცნობა. გავოცდი, როცა გაზეთებმა გამოაქვეყნეს მენოტის ძალზე დაკონკრეტებული პროგნოზები. კერძოდ, მეოთხედფინალური მატჩების თაობაზე რა იწინასწარმეტყველა არგენტინის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა, ხოლო მექსიკაში არგენტინის რადიოს, ბრაზილიისა და გფრ-ის სპორტული ჟურნალ-გაზეთების კომენტატორმა სესარ ლუის მენოტიმ: ბრაზილია – საფრანგეთი 2:1, მექსიკა – გფრ 1:1, არგენტინა – ინგლისი 1:0, ესპანეთი – ბელგია 3:1.

როგორც ვხედავთ, არცერთი მისი პროგნოზი არ გამართლდა: მენოტიმ ანგარიშები კი არა, ზოგიერთი გამარჯვებულიც ვერ გამოიცნო. იქნებ იხუმრა, ან ამ ანგარიშებით სიმბოლურად გამოხატა მეტოქეებს შორის ძალთა თანაფარდობა?

არ ვიცი.

ის კი ვიცი, რომ ისეთ სპეციალისტს, როგორიც მენოტია, მეტი სიფრთხილე მართებს. მით უმეტეს, რომ მისი შემდგომი პროგნოზები საოცარი სიზუსტით ახდა. მან კატეგორიულად განაცხადა, რომ გფრ აუცილებლად დაამარცხებდა ფრანგებს, ხოლო ჩემპიონები გახდებოდნენ არგენტინელები.

ამოდენა შესავალი იმიტომ გავაკეთე, რომ მე საქართველოს რადიოს კორესპონდენტთან საუბრის დროს თავი შევიკავე პროგნოზებისაგან. შევიკავე იმიტომ, რომ ჩემპიონატის მონაწილე გუნდებზე მეც ზუსტად ის ცნობები გამაჩნდა, რაც საქართველოს რადიოს ყველა მსმენელს ჰქონდა. ოღონდ ძალზე ვრცლად და კატეგორიულად გამოვთქვი ჩემი აზრი საბჭოთა კავშირის ნაკრების თაობაზე, რადგან ვთვლიდი, რომ კარგად ვიცნობდი საბჭოთა ფეხბურთელებს და მათ შესაძლებლობებს.

ზემოთ ვთქვი, ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის წინაც ჩამომართვეს-მეთქი ინტერვიუ. მაშინაც მხოლოდ საბჭოთა გუნდის მოსალოდნელ წარმატებებზე, უფრო სწორად, მოსალოდნელ წარუმატებლობაზე ვილაპარაკე. ჩემი წინასწარმეტყველება (დარწმუნებული ვარ, რომ ჩემგან დამოუკიდებლად უამრავ ადამიანს ექნებოდა იგივე აზრი) საოცარი სიზუსტით ახდა.

სამწუხაროდ, ასე მოხდა ამჯერადაც. მე შევეცადე დამესაბუთებინა, მექსიკაში რატომ ვერ გაიმარჯვებდა სსრკ-ის გუნდი. თან ჩემი გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დავამთავრე: დარწმუნებული ვარ, მე და საბჭოთა კავშირის ნაკრები გზაში შევხვდებით ერთმანეთს-მეთქი. მე, როგორც მექსიკის ჩემპიონატის მეორე ნახევარზე მიმავალი, ისინი – როგორც ჩემპიონატს გამოთიშულნი და უკან მომავალნი.

კიდევ ვიმეორებ, ზუსტად ახდა ჩემი წინასწარმეტყველება. როდესაც მეხიკოში, „ბენიტო ხუარესის“ აეროპორტის საბაჟო განყოფილებიდან საზეიმოდ მორთულ უზარმაზარ დარბაზში გავედი, პირველივე წუთზე ალექსანდრე ჩივაძეს მოვკარი თვალი. საბჭოთა ფეხბურთელები იმ თვითმფრინავით მოემგზავრებოდნენ მოსკოვში, რომლითაც ჩვენ ჩავფრინდით მეხიკოში.

მაინც, რატომ ვიყავი ასე დაჯერებული მათ წარუმატებლობაში?

დავიწყოთ თანმიმდევრულად:

1. საბჭოთა კავშირის ნაკრები არ იყო... ნაკრები. ის გახლდათ რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერებული კიევის „დინამო“.

2. ვალერი ლობანოვსკი არ იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელი. ის მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე იყო კვლავ კიევის „დინამოს“ მწვრთნელი, რომელმაც თავისი გემოვნებით და შეხედულებებით რამდენიმე ფეხბურთელით გააძლიერა საკუთარი გუნდი.

3. ტყუილია, რომ ვალერი ლობანოვსკი იყო მსოფლიო ჩემპიონატზე ყველაზე მცირესტაჟიანი მწვრთნელი, რომ მისი სტაჟი მხოლოდ ერთი თვით განისაზღვრებოდა. დიახ, ტყუილია, რადგან საბჭოთა კავშირის იმ ნაკრებთან, რომელიც ლობანოვსკიმ მექსიკაში ჩაიყვანა, ანუ რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერებულ კიევის „დინამოსთან", ის საკმაოდ დიდხანს მუშაობდა. ამიტომაც ვერ დავეთანხმებით იური როსტის მიერ ლობანოვსკის ერთთვიანი მწვრთნელობის თაობაზე გამოთქმულ მოსაზრებას, რომელიც მან „ლიტერატურნაია გაზეტაში" გამოთქვა.

მისი საეჭვო, ჩემი აზრით, მცდარი მოსაზრება ერთ-ერთმა ჩვენმა გაზეთმა უმალვე გადმობეჭდა რუბრიკით „ციტატა". არა მგონია, როსტის გამონათქვამში იმდენი სიბრძნე იყოს, რომ ასე, ციტატის სახით იმსახურებდეს გადმობეჭდვას. უკეთესი იქნებოდა, პასუხი გაეცათ იმ დაუმსახურებელი და უსამართლო შეურაცხყოფისათვის, იმავე წერილში როსტმა კოტე მახარაძეს რომ მიაყენა. ვფიქრობ, აჯობებდა შეეხსენებინათ მოსკოველი კოლეგისათვის, რომ ასეთი გამოხდომა ყოველგვარი ეთიკური და ჟურნალისტური ნორმების მიღმა დგას.

4. გუნდის მწვრთნელი, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატზე ნაკრების მარკით თავისი გუნდი მიჰყავს, ფსიქოლოგიურად, მაინც გუნდის მწვრთნელად რჩება. ჩემპიონატის სრულიად განსხვავებული სტრატეგიული ბრძოლის დროს მაინც საკუთარი გუნდის ალფასა და ომეგას შორის ტრიალებს და ფსიქოლოგიურად ვერ მაღლდება ნაკრების მწვრთნელის მასშტაბებამდე. ამიტომაც რთულ სიტუაციებში ის იაზროვნებდა არა როგორც ნაკრების, არამედ როგორც კიევის „დინამოს" მწვრთნელი, ე. ი. იაზროვნებდა ერთი რანგით დაბლა.

5. გუნდი, რომელიც ნაკრების მარკით თამაშობს, მაინც ვერ გამოდის საკლუბო მატჩების შედარებით დაბალი მასშტაბის ფსიქოლოგიური თავისებურებებიდან და ვერ გრძნობს

მსოფლიო ჩემპიონატის დონეზე ნაკრების ფსიქოლოგიური დატვირთვის მასშტაბებსა და ძალზე განსხვავებულ თავისებურებებს. ერთი სიტყვით, ნაცნობმა გუნდურმა სიტუაციებმა ფეხბურთელებს მთელი სიცხადით ვერ შეაგრძნობინა ქვეყნის ნაკრების ფსიქოლოგიურად აბსოლუტურად განსხვავებული გარემო.

ყველა ეს მიზეზი მოსალოდნელი წარუმატებლობისა, მაინც განეკუთვნებოდა ნაკრების მომზადების ორგანიზაციულ სფეროს. მაგრამ იყო ერთი მთავარი, ხაზს ვუსვამ, მთავარი მიზეზი, რამაც ყველაზე უფრო განმაწყო სკეპტიკურად. მაშინაც მჯეროდა და მით უმეტეს ახლა, ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ მჯერა, რომ საბჭოთა ფეხბურთის საერთო დონე ჯერ კიდევ ჩამოუვარდება მსოფლიოს მოწინავე საფეხბურთო ქვეყნების დონეს. ჩამორჩება იმდენად, რომ თვით მსოფლიო ჩემპიონატის უხეირო სისტემის პირობებშიც კი, როცა მრავალი გაუგებრობა შეიძლება მოხდეს, და ამ გაუგებრობათა შორის ბელგიასავით ისე გაიპარო მაღლა, რომ ქვემოთ მოიტოვო ბრაზილიისა და დანიის მაგვარი გუნდები, მაინც არ უნდა გვქონოდა წარმატების იმედი.

მაინც, როგორი სიზუსტით მეორდება მოვლენები! 1970 წლის მექსიკის ჩემპიონატის შემდეგ ვწერდი: „მართლაც და, ვთქვათ საბჭოთა მწვრთნელებს არ მოსვლოდათ შეცდომები, ვთქვათ, ყველაფერი ისე წასულიყო, როგორც საჭიროდ მიგვაჩნდა, უნდა გვქონოდა თუ არა წარმატების იმედი?

არავითარ შემთხვევაში!

საბჭოთა ნაკრებს შეეძლო გაცილებით უკეთ ეთამაშა, მაგრამ ესეც არ იკმარებდა დიდი წარმატების მისაღწევად. საქმე ისაა, რომ ეს ნაკრები მსოფლიოს უძლიერეს გუნდებს ჩამორჩება როგორც ტექნიკურად, ისე ტაქტიკურად“.

ამ ჩამორჩენას თავისი საფუძვლიანი და არცთუ იოლად დასაძლევი მიზეზები აქვს, რომელზეც არა ერთხელ და ორჯერ გვილაპარაკია და დაგვიწერია. არა ერთი და ორი წერი-

ლი წაგვიკითხავს აგრეთვე ცნობილი საბჭოთა სპეციალისტების მიერ დაწერილი. გავიხსენოთ თუნდაც თვითონ ვალერი ლობანოვსკის მშვენიერი ინტერვიუ, რომელიც ჩემპიონატის წინა დღეებში გამოქვეყნდა „პრავდაში". მან, უკვე საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელმა, რამდენი სწორი მოსაზრება გამოთქვა საბჭოთა ფეხბურთის მომავალი თაობის აღზრდის საჭირბოროტო საკითხებზე!

მოდით, ახლა ყველა წვრილმანი გონებაში აღვიდგინოთ და თვალი გავადევნოთ საბჭოთა კავშირის ნაკრების თამაშს.

პირველი მატჩი უნგრელებთან გვქონდა. ბრაზილიის ნაკრების დამაჯერებელი დამარცხების შემდეგ უნგრელები დიდი იმედებით და ზარ-ზეიმით ჩავიდნენ მექსიკაში. ეტყობა, ამ მატჩმა ბევრ სპეციალისტზე და ჟურნალისტზე მოახდინა შთაბეჭდილება. რომელიღაც ქვეყანაში კომპიუტერი ისეთი მონაცემებით დააპროგრამეს, რომ მანქანამ ფინალში ერთმანეთს ინგლისი და უნგრეთი შეახვედრა, ხოლო ჩემპიონის ტიტული უნგრელებს მოაპოვებინა.

მე იმ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნოდი, რომლებსაც არ სჯეროდათ უნგრელების ბრაზილიელებთან გამარჯვების კანონზომიერების. ამიტომაც უნგრეთი არ ჩამითვლია სავარაუდო ჩემპიონების სიაში. ერთი კი მჯეროდა, მათთან აუცილებლად გავიმარჯვებდით, გავიმარჯვებდით... ტრადიციულად. ასეთ ანგარიშს კი ნამდვილად არ ველოდი. არ ველოდი თუნდაც იმიტომ, რომ ანგარიშით 6:0 მოგება თითქმის თანაბარ გუნდთან, ისიც ჩემპიონატის პირველ ტურში, სულ რბილად რომ ვთქვათ, სატურნირო ბრძოლაში გამოუცდელობად მიმაჩნია, უფრო მკაცრი სიტყვა „არაპროფესიონალიზმი" რომ არ ვიხმარო.

უნგრელებთან მატჩს ჩვენმა ფეხბურთელებმა იმდენი ენერგია შეალიეს, მეორე ტაიმში ბელანოვი რომ შეცვალეს, ფეხის კუნთებშეკრულმა ძლივს დატოვა მოედანი.

3:0-ის შემდეგ აუცილებელი იყო თავის მოკვლა?

ასე იყო თუ ისე, მართლაც სწრაფი და ლამაზი თამაშით დიდი შთაბეჭდილება მოვახდინეთ.

უცებ გაჩნდა ილუზიები, რომ არამცთუ ოთხეულში მოხვედრა, იქნებ ჩემპიონობის მოპოვებაც არ გაგვჭირვებოდა...

შემდეგ აქა-იქ თავი იჩინა ყოველგვარ ლოგიკურობას მოკლებულმა „ლოგიკურმა“ მსჯელობამ: უნგრეთმა მოუგო ჩემპიონატის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტს, ბრაზილიას – 3:0, ჩვენ კი უნგრეთს მოვუგეთ 6:0, ე. ი...

არ გაითვალისწინეს ისიც, რომ მე-2 და მე-4 წუთზე გაშვებული ორი გოლის შემდეგ უნგრელები შოკში ჩავარდნენ და გამანადგურებელი ანგარიში 6:0-იც სწორედ ამან განაპირობა.

არც ის გაითვალისწინეს, რომ თუ მსოფლიო ჩემპიონატზე შვიდივე მატჩი გინდა ითამაშო, და თუ თან გულში ჩემპიონობის იმედიც გიჭიატებს, შვიდი თამაშიდან ხუთი აუცილებლად უნდა მოიგო, თანაც ბოლო ოთხი მატჩი ზედიზედ!

ამდენი მატჩის ზედიზედ მოგება კიევის „დინამოს“, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, საბჭოთა კავშირის ნაკრების სახელით გამოდიოდა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზეც კი უჭირს, სადაც გაცილებით ნაკლები სიძლიერის გუნდები ხვდებიან, ვიდრე საფრანგეთის, ბრაზილიის, გფრ-ისა თუ არგენტინის ნაკრები გუნდები არიან.

დაღლილობის ნიშნებმა უკვე საფრანგეთთან იჩინა თავი, თუმცა საბჭოთა გუნდმა თამაში კვლავ ენერგიულად დაიწყო. ერთ-ერთ მექსიკურ გაზეთს თუ დავუჯერებთ, მაშინ უთქვამს პლატინის ჟირესისათვის, გაუშვი, რაკი ასე უნდათ სირბილი, ირბინონო. ფრანგები (იმავე პლატინის სიტყვებიდან გამომდინარე, საბჭოთა ნაკრები ჩვენ თუ არ შევაჩერეთ, შემდგომ ვინ შეაჩერებსო) საკმაოდ შეფიქრიანებულები გამოვიდნენ მოედანზე. პირველმა თამაშმა, თანაც მსოფლიო ჩემპიონატისათვის საკმაოდ უჩვეულო ანგარიშმა 6:0, პრესის მაღალმა შეფასებამ ფრანგებს რისკზე ხელი ააღებინა. თავი-

დანვე ჩანდა, ისინი ფრეზეც თანახმა იქნებოდნენ. ნამდვილმა პროფესიონალებმა მატჩისადმი ნამდვილი პროფესიული მიდგომა გამოამჟღავნეს და დასახული ამოცანაც წარმატებით გადაჭრეს.

ფრანგებთან თამაშისას უკვე იგრძნობოდა, რომ ჩვენი გუნდის მოტორი იმავე სიმძლავრით აღარ მუშაობდა, როგორითაც უნგრელების წინააღმდეგ. დაკვირვებულ თვალს არ გამოეპარებოდა, რომ დაღლილობის გამო გუნდმა შესამჩნევად დაკარგა მოქნილობა და ის სილაღე, რომლითაც უნგრელებთან თამაშისას ყველას მოწონება დაიმსახურა.

და აი, დადგა მესამე მატჩის დღეც. მოედანზე გუნდი სრულიად ახალი შემადგენლობით გამოვიდა. ვალერი ლობანოვსკიმ გადაწყვიტა ძირითადი შემადგენლობა დაესვენებინა. დასვენება კი საკმაოდ ხანგრძლივი გამოსდიოდათ – 10 დღე.

კარგი იყო ეს თუ ცუდი?

რასაკვირველია, ამოდენა შესვენებას გუნდისათვის მხოლოდ ვნების მოტანა შეეძლო.

მაშინ, როცა გუნდი აჩვენებს თავის ოპტიმალურ შესაძლებლობებს, მაშინ, როცა საჭიროა ფორმის არა მარტო შენარჩუნება, არამედ გაუმჯობესება, მაშინ, როცა საჭიროა რიტმულობის, პერიოდულობის შეგუება, ათდღიანმა ინტერვალმა შეიძლება ყველაფერი წყალში ჩაყაროს.

განა თვითონ ლობანოვსკიმ არ იცოდა, რომ ამოდენა შესვენებას ვნების მოტანის გარდა არაფერი მოჰყვებოდა?

იცოდა მშვენივრად, ჩვენზე უკეთაც იცოდა, მაგრამ რა უნდა ექნა, ბიჭები ისე იყვნენ გამოფიტულნი, შესვენების გარეშე, მეოთხე თამაშზე ალბათ სასტიკი კრახი ელოდათ.

მოსახდენი მაინც მოხდა. ბელგიამ 4:3 მოგვიგო. მე მოსკოვიდან მეორე დილით გადავფრინდი მეხიკოში. თვითმფრინავში დიდხანს ვფიქრობდი ამ წაგებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გუნდი ბელგიასთან ტრადიციულად თითქმის ყო-

ველთვის გამარჯვებული გამოდიოდა, მაინც მჯეროდა, რომ საბჭოთა ფეხბურთელები ბელგიის კი არა, მეოთხე მატჩის მომგები აღარ იყვნენ, ვინც უნდა ყოფილიყო მათი მოწინააღმდეგე.

საბჭოთა ნაკრებს, ე. ი. ფაქტობრივად, კიევის „დინამოს", დაღლილობა საბჭოთა კავშირშიც ჩამოჰყვა. გავიხსენოთ მათი მატჩები მოსკოვის გუნდებთან, „სპარტაკთან" და „ტორპედოსთან". აი, რას წერდა იგორ ნეტო „სოვეტსკი სპორტში" (6. VIII. 86):

„ახლა ორიოდე სიტყვა ვთქვათ კიევის „დინამოზე". ამ სეზონს იგი გასაგები მიზეზების გამო უჩვეულო რეჟიმით ატარებს. ძნელია გამოვიცნოთ, როგორები იქნებიან კიეველები შემოდგომაზე, როცა ქვეყნის ნაკრები ევროპის ტურნირის შესარჩევი მატჩების თამაშს დაიწყებს, როცა განახლდება თამაშები ევროპის თასზე. ივლისში, ჩემპიონატზე რომ გამოდიოდნენ, დინამოელებს დაღლილობა ეტყობოდათ. გუნდი აშკარად ველარ თამაშობს ისე ცოცხლად და გამოკვეთილად, როგორც უწინ თამაშობდა. ფეხბურთელები ჩვეული სისწრაფით ველარ დაქრიან. კიეველები ჯერ კიდევ ვერ ამოძრავდნენ ისე, რომ ძველებურად მიანგრ-მოანგრიონ მეტოქე, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, კიეველები ქვეყნის ჩემპიონატში საქმეს წარმატებით დააგვირგვინებენ. ჩემი რწმენა კი უპირველეს ყოვლისა იმას ეფუძნება, რომ წლევანდელ სეზონში კიეველებს არა ჰყავთ სერიოზული კონკურენტები".

ვფიქრობ, უნდა დავეთანხმოთ იგორ ნეტოს მოსაზრებას.

მსაჯს თამაშგარე პოზიციიდან გატანილი ორი გოლი რომ არ ჩაეთვალა... ვკითხულობდი შემდგომ პრესაში. იგივე ფრაზა მესმოდა და დღესაც მესმის მოკამათეთა შორის.

ჯერ ერთი, თამაშგარე პოზიციიდან მხოლოდ პირველი გოლი გაიტანეს ბელგიელებმა.

მეორე გოლის თამაშგარე მდგომარეობიდან გატანის ილუზია ტელევიზიამ შექმნა (ამას, სხვათა შორის, არც ლობანოვსკი უარყოფს). შორიდან დარტყმულ ბურთს ტელეოპერატორმა კამერის ობიექტივი ჰაერში დაადევნა და როცა იგი ბურთთან ერთად დაბლა დაეშვა, ბელგიელი თავდამსხმელი უკვე წინ იყო. ბურთის დარტყმის მომენტში ის თამაშგარე პოზიციაში არ იმყოფებოდა.

კიდევ კარგი, პრესაში აღიარეს, რომ ბელგიელებმა თანდათან დაგვჯაბნეს, ხოლო დამატებით დროში მთლიანად ჩაიგდეს ხელში თამაშის სადავეები. არც ის უხეში შეცდომები იყო შემთხვევითი, საბჭოთა ნაკრების მცველებს რომ მოსდიოდათ. სწორი აღმოჩნდა ბელგიელთა მწვრთნელი გი ტისი, რომელმაც წინასწარ განაცხადა, მე ვხედავ ნაპრალებს საბჭოთა გუნდის დაცვაშიო.

ობიექტურად შეაფასეს ნაკრების გამოსვლა ბორის ფედოსოვმა და ლევ ფილატოვმა თავიანთ დიალოგში „იზვესტიის“ ფურცლებზე. მოვიტან ამ სიტყვებს მთლიანად:

„ბ. ფედოსოვი: ჩვენმა ნაკრებმა მხოლოდ ოთხი მატჩი ჩაატარა. სიმართლე თუ გნებავთ, მზად არ აღმოჩნდა უფრო ხანგრძლივი ბრძოლისათვის. ტყუილად კი არ შედრკა მისი დაცვა ბელგიელებთან მატჩში, განსაკუთრებით დამატებით დროში. მთავარი ჭკუის სასწავლებელი ალბათ ისაა, რომ მას გამოზომილი დრო ჰქონდა, არ ეყო დრო, ფუნდამენტურად მომზადებულიყო.

ლ. ფილატოვი: იქნებ ამას რომ მიხვდნენ, იმიტომაც თავიდანვე ფიცხლად მოეკიდნენ საქმეს, მაშინ როცა უფრო გამოცდილი და გულმოდგინედ მომზადებული გუნდები არ ჩქარობდნენ თავის გამოჩენას, თანდათანობით შედიოდნენ ფორმაში“.

დამეთანხმებით, აბსოლუტურად სწორი მოსაზრება გამოთქვეს ბ. ფედოსოვმა და ლ. ფილატოვმა.

და საერთოდ, არ მიმაჩნია სწორად ასეთი მსჯელობა: აი, გვერდით მსაჯს თამაშგარე პოზიციიდან გატანილი გოლი რომ არ ჩაეთვალა, ზიკოს ფრანგებთან თავის ცხოვრებაში პირველად რომ არ გაეფუჭებინა პენალტი, ნაპოლეონს ვატერლოოს ველზე დროულად რომ მიშველებოდა არმია, ლერმონტოვი ოცდაშვიდი წლისა რომ არ მოეკლათ... ისტორიას ფაქტები ქმნიან და არა მოსალოდნელი ვარიანტები.

რასაკვირველია, უიღბლობა იყო, არის და იქნება, მაგრამ უიღბლობას არ უნდა დავაბრალოთ ის, რაც კანონზომიერია და მოსალოდნელი.

საქმისათვის ჯობია, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და ვაღიაროთ, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრები აშკარად ჩამოუვარდებოდა იმ გუნდებს, რომლებმაც განსაზღვრეს მექსიკის ჩემპიონატის სახე. ესენი იყვნენ პირველ რიგში არგენტინა, ბრაზილია, საფრანგეთი, გფრ, დანია, ესპანეთი. ვარსკვლავებზე არაფერს ვამბობ. ჩვენი ფეხბურთელები ამ ქვეყნის წარმომადგენლებს ჩამორჩებოდნენ როგორც ტექნიკით და საშემსრულებლო ხელოვნებით, ასევე სატურნირო ბრძოლის გამოცდილებით.

აქვე მინდა გავიხსენო ცნობილი ბრაზილიელი საფეხბურთო მიმომხილველისა და ერთ დროს ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელის ჟოაო სალდანიას სიტყვები, რომელსაც შემდეგ უფრო ფართოდ მივუბრუნდები.

ჩემპიონატიდან ბრაზილიის ნაკრების გამოთიშვის შემდეგ მან თქვა: ბრაზილიელთა მარცხს ტელე სანტანას ნუ დავაბრალებთ, მწვრთნელი არაფერ შუაშია. ბრაზილიურ ფეხბურთს უფრო სერიოზული და ღრმა სენი შეეპარაო.

დიახ, მარტო ვ. ლობანოვსკი, კიევის „დინამო" და საბჭოთა კავშირის ნაკრები არაფერ შუაშია. საერთო წარუმატებლობის მიზეზები სხვაგან უფრო უნდა ვეძებოთ. თუმცა მოსაძებნი არაფერია.

ჩვენი ფეხბურთის ჩამორჩენის თაობაზე ბევრჯერ გამოუთქვამთ აზრი სპეციალისტებსაც და ჟურნალისტებსაც. მათ შორის, თუ კადნიერებად არ ჩამომართმევთ, მეც, თუნდაც ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ.

სამწუხაროდ, დღესაც ზუსტად შეიძლება გავიმეოროთ ის, რაც ოთხი წლის წინ და, სხვათა შორის, 16 წლის წინაც, მაშინაც მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ დავწერე მსოფლიო ჩემპიონატის შედეგების შეჯამებისას.

ამ ოთხი წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა საერთოდ და, კერძოდ, ფეხბურთში. შეიცვალა მსოფლიო ჩემპიონიც. ოღონდ არაფერი არ შეცვლილა საბჭოთა ფეხბურთის სტრუქტურაში.

განა თვითონ ვალერი ლობანოვსკი არ ამბობდა ჩემპიონატის წინ „პრავდის" კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში: ჰოლანდიის „აიაქსთან" პატარა ბიჭუნებს ავარჯიშებენ. ამ ბიჭუნებიდან კი კრუიფი და ფუხბურთის სხვა დიდოსტატები გამოზარდესო. ჩვენ კი კიევსა და უკრაინაში მრავალი საფეხბურთო სკოლა გვაქვს, სადაც უამრავი ბავშვი სწავლობს, მაგრამ მათგან ერთი ჭაბუკიც ვერ შემირჩევია თუნდაც სათადარიგო შემადგენლობისთვისო.

დამაფიქრებელი მდგომარეობაა. მაშ, რისთვის არსებობს ეს სკოლები, ან როგორ არჩევენ ბავშვებს იქ მისაღებად?

დასასრულს მინდა კვლავ დავუბრუნდე ერთ ჩემს ადრეულ მოსაზრებას, რომელიც რამდენჯერმე წამიშალეს სტატიებში. მაგრამ ვინაიდან ვ. პონედელნიკმა უკვე გამოთქვა იგივე აზრი, ხოლო ვ. ლობანოვსკიმ იგივე მოსაზრება გაზეთ „პრავდის" ფურცლებზე განავრცო, ამჯერად მაინც გაგიზიარებთ ჩემს შეხედულებას. უკვე დროა და აუცილებელი ჩვენში შეიქმნას დამოუკიდებელი საფეხბურთო კლუბები. საბჭოთა ფეხბურთელები ორჭოფულ მდგომარეობაში არიან: ისინი პროფესიონალები გახლავან, ვინაიდან თავს ფეხბურ-

თით ირჩენენ, ამავე დროს პროფესიონალებიც არ არიან, რადგან არც ფსიქოლოგიით, არც გონებით შეგუებულნი არ არიან ამ აზრს. არ გრძნობენ საქმისადმი პროფესიულ დამოკიდებულებას. საჭირო კია, რომ ერთხელ და სამუდამოდ ყველაფერს დაერქვას თავისი სახელი. ამით საქმე მხოლოდ მოიგებს და წარმატებაც არ დაახანებს. ამ მხრივ ძალზე საგულისხმოა ბულგარელების მაგალითი, რომლებმაც მოახდინეს საფეხბურთო სისტემის ძირეული რეორგანიზაცია და ჩამოაყალიბეს კლუბები.

ჩემი შეხედულების გასამაგრებლად მინდა მოვიშველიო ისეთი საფეხბურთო ავტორიტეტის მოსაზრება, როგორიც ნიკოლაი სტაროსტინია. თავისი წერილის დასაწყისში („ოგონიოკი", № 27, 1986 წ.) ის სამართლიანად აღნიშნავს, რომ საბჭოთა ფეხბურთს ყოველთვის ჰყავდა უმაღლესი კლასის მოთამაშეები, მაგრამ მნიშვნელოვან წარმატებებს ვერა და ვერ მიაღწია. ამიტომ წარუმატებლობის საიდუმლო სხვაგან უნდა ვეძიოთო.

კერძოდ, ნ. სტაროსტინი წერს:

„აბა, რატომღა არა გვაქვს მნიშვნელოვანი და მუდმივი წარმატებები საერთაშორისო ასპარეზზე? ჩემპიონატის წინ „ოგონიოკის" ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში „ჩემი საფეხბურთო წლები" შევეცადე დამეხატა ჩვენში საქმის ვითარება. ახლა, ჩემპიონატის შემდეგ (იგულისხმება ბოლო ჩემპიონატი. – გ. ფ.), კიდევ უფრო განმიმტკიცდა აზრი, რომ ხელს გვიშლის არაორგანიზებულობა, რის გამოც საგუნდო კლუბებს არა აქვთ საშუალება გეგმაზომიერად იმუშაონ, ითამაშონ და მიაღწიონ სრულყოფას. ჩვენ კალენდრით ვცხოვრობთ, ის კი თავგზას გვიბნევს. ფეხბურთის ამბებში საკმაოდ კარგად ვერკვევით, გვყავს ნიჭიერი მოთამაშეები, მაგრამ ეს ყველაფერი ითქვიფება ორგანიზებულ ამორფულ-

ობასა და არეულ-დარეულობაში. ყოველივე ამის გამო ჩვენი წარმატებები შემთხვევითია, და არა მუშაობის შედეგი".

ძნელია არ დავეთანხმოთ ნ. სტაროსტინს.

დაახლოებით იგივე აზრი გამოთქვა „კომსომოლსკაია პრავდის" საფეხბურთო მიმომხილველმა ა. ჩურკინმა ჯერ კიდევ მექსიკაში, სადაც ერთად ვიყავით, ხოლო შემდეგ თავისი მოსაზრება დამაჯერებლად ჩამოაყალიბა თავისი გაზეთის ფურცლებზე (12. VIII. 1986):

„ყველაფრის მიმტევებლობა ჩვენს ფეხბურთს უზარმაზარ ზიანს აყენებს, ფეხბურთელები გადაეჩვივნენ თავდაუზოგავ ბრძოლას გამარჯვებისთვის. სულაც არ არის შემთხვევითი, საბჭოთა გუნდები გადამწყვეტ მატჩებს რომ ვერ იგებენ. ბიჭები მოგებას არ არიან მიჩვეულნი. იქნებ ვინმე შემოგვედავოს, კიეველებმა ხომ გაიმარჯვეს თასების თასის გათამაშებაშიო? კი, ჩინებულად თამაშობდნენ, მაგრამ მათი წარმატება სულაც არ მოწმობს დანარჩენი გუნდების ძალას, ჩვენი საკლუბო ფეხბურთის აყვავებას. ჩვენ ევროპის თასების ტურნირებში 1965 წლიდან ვმონაწილეობთ. ამ ოცი წლის განმავლობაში საბჭოთა ფეხბურთელებმა მხოლოდ სამჯერ გაიმარჯვეს ფინალურ მატჩებში. სამივე გამარჯვება თასების თასზე, შემადგენლობით ყველაზე არათანაბარ ტურნირშია მოპოვებული. ჩვენი ფეხბურთელები არასდროს არ გასულან ჩემპიონთა თასის ფინალში, ან უეფას თასის ნახევარფინალში. შედარებისთვის გეტყვით: ინგლისის კლუბებმა დროის ამავე მონაკვეთში 20-ჯერ დაისაკუთრეს ამ სამიდან ერთ-ერთი საპატიო ნადავლი, დასავლეთგერმანელებმა 10-ჯერ, ესპანელებმა – 7-ჯერ, იტალიელებმა, ჰოლანდიელებმა – 6-6-ჯერ. აი, როგორია სტატისტიკა.

„ძლიერი კლუბები ძლიერ ნაკრებს იძლევა". ამ საფეხბურთო ჭეშმარიტების უარყოფას არავინ ცდილობს. აი, რატომაა შემაშფოთებელი ის სიტუაცია, როცა ქვეყნის ჩემპიონი ლამის

ჩემპიონატის ეკვატორზე ვლინდება, ისევე როგორც ის ამბავი, მექსიკაში ძირითადი დატვირთვა ერთი კლუბის ფეხბურთელებზე რომ მოდიოდა. გვეგონა, ამ საკითხზე გაიმართებოდა პრინციპული საუბარი საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმზე. ვაგლახ, რომ ჩვენი ფეხბურთის ხელმძღვანელები კვლავ უპრინციპოდ მიუდგნენ თავიანთ საქმიანობას. მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებული მეათე ადგილი მათ „დამაკმაყოფილებლად" შეაფასეს. გამოდის, რომ იგივე შეფასება დაიმსახურა მთელმა ჩვენმა ფეხბურთმა. ისე, რომ იცოდეთ, ფეხბურთის ფედერაცია ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავს თავის გადაწყვეტილებას. ალბათ იცდიან, სანამ არ დაცხრება მექსიკური ვნებათაღელვანი".

რა გაეწყობა, დე ფედერაციამ შეინახოს ჯერჯერობით თავისი საიდუმლო გადაწყვეტილებანი. ალბათ, როდისმე გავიგებთ ამ გადაწყვეტილებებს და მექსიკის ჩემპიონატიდან გამოტანილ დასკვნებს.

ვიქონიოთ იმედი, რომ საბჭოთა ფეხბურთის მესვეურებმა სწორი დასკვნები გააკეთეს და, აქედან გამომდინარე, ჩვენი ფეხბურთის საკეთილდღეოდ რადიკალურ და არსებით ნაბიჯებს გადადგამენ.

ნათქვამია, ერთი ცხვრისკენ და ერთი მგლისკენო. ისე არ გამომივიდეს, თითქოს საბჭოთა ნაკრებზე მხოლოდ კრიტიკული შენიშვნები გამოვთქვი. რას იზამ, სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ. ილუზიები ახლავე უნდა მოვიშოროთ. მექსიკაში სულ ოთხი თამაში ვითამაშეთ. აქედან ორი მოვიგეთ, ერთი „ჩემპიონატის ყველაზე სუსტ გუნდთან" – უნგრეთთან. სამწუხაროდ, ასეთი შეფასება მისცეს იქ უნგრელთა გამოსვლას. მეორე მოვიგეთ კანადის ეროვნულ ნაკრებთან, გუნდთან, რომლის სამშობლოში არავითარი საფეხბურთო ჩემპიონატები არ ტარდება, ჩემპიონატის მონაწილე ერთადერთ გუნდთან, რომელსაც არცერთი ბურთი არ გაუტანია.

ფრანგებთან თამაში ფრედ დავამთავრეთ, ბელგიელებთან კი წავაგეთ. სამწუხარო უფრო ის იყო, რომ ჩვენი ნაკრების თამაში მატჩიდან მატჩამდე კი არ უმჯობესდებოდა, უარესდებოდა.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა ნაკრებმა მექსიკაში დიდი მოწონება დაიმსახურა, უფრო დიდი, ვიდრე მსოფლიოს რომელიმე ჩემპიონატზე და, კერძოდ, ინგლისში, სადაც მეოთხე საპრიზო ადგილი მოიპოვა. გაზეთებმა გამოაქვეყნეს საქებარი სიტყვები. მარტო ერთი ფრაზა რად ღირს, უნგრეთთან მოგებული მატჩის შემდეგ რომ გამოქვეყნდა – რუსებმა ოცდამეერთე საუკუნის ფეხბურთი ითამაშესო. ბელანოვი და იაკოვენკო მსოფლიოს სიმბოლური ნაკრების ერთ-ერთ ვარიანტში შეიყვანეს. ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ მატჩზე „ამერიკა – დანარჩენი მსოფლიო“, მრავალი ქვეყნის გამოჩენილ ფეხბურთელებთან ერთად რინატ დასაევი და იგორ ბელანოვიც მიიწვიეს.

რასაკვირველია, შექება სასიამოვნო მოსასმენი იყო. გვიხარია, რომ საბჭოთა ფეხბურთმა მოიპოვა დიდი სიმპათია სპეციალისტებს, ჟურნალისტებსა და მაყურებლებს შორის, მაგრამ არც ის გვაწყენდა, სასურველი შედეგისათვის რომ მიეღწიათ.

გულწრფელად რომ გითხრათ, გაოცება ვერ დავმალე, როცა „სოვეტსკი სპორტში“, შესანიშნავი ფეხბურთელის იგორ ბელანოვის ინტერვიუში, ასეთი სიტყვები ამოვიკითხე:

„გულახდილად რომ ვთქვა, მექსიკის ჩემპიონატისაგან მეტს მოველოდი. მარადონას, ცხადია, არ ვგულისხმობ, ის ყველაზე მაღლა დგას. დანარჩენები კი, ჩემი აზრით, დაახლოებით თანაბარნი არიან. მაგრამ იმას კი ვისურვებდი მენახა, ერთი როგორ ითამაშებდა მარადონა კიევის „დინამოში“. მშვენივრად მესმის, რომ შეიძლება სასაცილოდ არ ვეყო ვინმეს, მაგრამ იმ მოთხოვნებს რომ გავიხსენებ, რა-

საც ჩვენ გვიყენებენ, ვფიქრობ, რომ დალხენილი ვერ იქნებოდა. პლატინისაც ძალიან გაუჭირდებოდა. ის ხომ სუფთა ბურთებზე თამაშობს, თავისუფალ ადგილზე და თან მინიმალურად მოძრაობს. რა თქმა უნდა, ჩანს, დიდი ოსტატი რომაა. მაგრამ ამ ჩემპიონატზე მაინც, მას ვერც იაკოვენკოს და ვერც ზავაროვს ვერ შევადარებდი. მე, მაგალითად, მექსიკაში უფრო მიადვილდებოდა თამაში, ვიდრე ქვეყნის ჩემპიონატში. ჩვენთან მცველები ბურთს მშვიდად არ მიგაღებინებენ, იქ კი, ინებე, გინდა მიიღე, გინდა არა. მეტი რა უნდა თავდამსხმელს?" („სოვეტსკი სპორტი", 27. VIII. 1986.).

ბოდიშს ვიხდი ისეთი საფეხბურთო ავტორიტეტის წინაშე, როგორიც იგორ ბელანოვია, მაგრამ გულწრფელად მეგონა, რომ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის ირგვლივ უფრო ღრმა დასკვნებს გააკეთებდა. როგორც წაიკითხეთ, თვითონვე წერს, მსოფლიო პირველობაზე რა ადვილი ყოფილა ბურთის მიღება, აბა, ჩვენთან ასე თავისუფლად ბურთთან ვინ მიგიშვებსო. ბელანოვს ბრაზილიის წინააღმდეგ რომ ეთამაშა, კიდევ უფრო დიდი იქნებოდა მისი გაოცება, რადგან კიდევ უფრო თავისუფლად მიიღებდა ბურთს. უბედურება ისაა, და ამას რატომღაც ვერ ხვდება სახელოვანი ფეხბურთელი, რომ სწორედ ჩვენთან არ განებებენ თამაშს. დიახ, არ განებებენ! ნებადართულ ხერხებს ვინ დაეძებს, ნებისმიერი აკრძალული ხერხით ცდილობენ, როგორმე ბურთთან არ მიგიშვან, ნერვებზე მოგშალონ, თამაში არ დაგანებონ.

ერთი სიტყვით, სამწუხაროა, რომ ბელანოვმა ვერ გაუგო გემო ნამდვილ ფეხბურთს. მისი სიტყვების წამკითხველს უნებურად ბერნარდ შოუს ნათქვამი გამახსენდა: „ისტორიის გაკვეთილები პირველ რიგში ისაა, რომ ადამიანები ვერ იღებენ ისტორიიდან გაკვეთილებს".

5

ზემოთ საუბარი მსაჯობაზე ჩამოვარდა. ეს თემა იმსახურებს ცალკე მსჯელობას და მეც მინდა გამოვთქვა ორიოდე მოსაზრება.

როდესაც ფიფას მსაჯთა კომისიამ ყველა პრეტენზია და საჩივარი გააანალიზა, მივიდა დასკვნამდე, რომ მთელი ჩემპიონატის განმავლობაში მსაჯებმა 17 უხეში შეცდომა დაუშვეს. ამ უხეში შეცდომებიდან კი უმთავრესი მაინც სამი იყო: ესპანელთა მიერ გატანილი გოლი ბრაზილიელთა კარში, რომელიც მსაჯებმა ვერ შენიშნეს და, ბუნებრივია, არ ჩათვალეს (ეს მათ დანაშაულისაგან არ ათავისუფლებს. გვერდით მსაჯს მაინც უნდა შეენიშნა, როგორ დაეშვა ბურთი ხაზს იქით), ბელგიელთა მიერ ჩვენს კარში თამაშგარე პოზიციიდან გატანილი პირველი ბურთი (რომლისთვისაც შეჯიბრებიდან მოიხსნა გვერდითი მსაჯი ვიქტორიო სანჩესი) და მარადონას ხელით გატანილი გოლი ინგლისელებთან მატჩში.

საოცარია, მაგრამ მაყურებელთაგან თითქმის ვერავინ შენიშნა, რომ მარადონამ ბურთი ხელით გაიტანა. პრესცენტრში დაბრუნებულებმა ლამის ასჯერ დავატრიალეთ ვიდეოფირი. ორი პოზიციიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ მარადონამ აწეული ხელით გზა გადაუღობა ინგლისელთა მეკარე შილტონს და ბურთს კეფა დაარტყა. მესამე პოზიციიდან კი აშკარაა, რომ ბურთს ხელს ურტყამს. მეორე დღეს თითქმის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა მარადონას უკვე მთელ მსოფლიოში გახმაურებული მომენტის ბევრი ვარიანტი. ფოტოებშიც მარადონა ბევრგან აშკარად თავს ურტყამს ბურთს, ბევრგან კი – აშკარად ხელს.

რომელია რეალობა და რომელი – ვიზუალური ეფექტი?

პირადად მე მიჭირს აზრის გამოთქმა. და თუ მაინც ვიტყვი, რომ მან ბურთი ხელით გაიტანა, უბრალოდ ვუჯერებ უმრავლესობას.

სინამდვილეში კი მხოლოდ ღმერთმა და მარადონამ იციან, როგორ გავიდა გოლი. აკი თვითონ მარადონამ თქვა, მე ბურთისთვის ხელი არ გამირტყამს, მაგრამ იმ ბურთის გატანაში ღმერთის ხელი ნამდვილად ერიაო.

სულ ახლახან პრესამ გვაცნობა, მარადონამ აღიარა, ბურთი ხელით გავიტანეო.

დავუბრუნდეთ ჩვენს თემას.

ჩვიდმეტი უხეში შეცდომა მთელ ჩემპიონატში!

ცოტაა თუ ბევრი?

ვფიქრობ, ამ რანგის ჩემპიონატისათვის, სადაც საგანგებოდ იწვევენ მსოფლიოში საუკეთესო მსაჯებს, ბევრია.

თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უხეშმა შეცდომამ შეიძლება მატჩის ბედიც გადაწყვიტოს.

ცუდი მსაჯობა შეიძლება ორმა მიზეზმა განაპირობოს.

პირველია, ყველაზე საშინელი და დასაგმობი – მიკერძოება და ანგარება, მეორე – არაკვალიფიციურობა.

პირველი მიზეზი ისეთ ავტორიტეტულ ჩემპიონატებში, როგორებიცაა მსოფლიოს ან ევროპის პირველობა, უნდა გამოვრიცხოთ.

მსაჯთა პროფესიონალიზმი კი აშკარად იმსახურებს მეტ ყურადღებას.

ფეხბურთი სწრაფად ვითარდება. სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ მსაჯთა პროფესიონალიზმიც შესაფერისი ტემპით ვითარდებოდეს.

მსაჯების უმრავლესობა ძირითადად მოვლენათა ფიქსატორები არიან. თვით მოვლენებში კი ვერ ერკვევიან. ამიტომ ისინი აღარ არიან მატჩის წარმმართველი ამ სიტყვის ფართო გაგებით.

ყვითელ ბარათთა უმრავლესობას ამბიციის სუნი უფრო ასდიოდა, მსაჯები დაუსჯელად არ ტოვებდნენ მათთან შეპასუხებას. იყო შემთხვევები, როცა ფეხბურთელს უხეშად ეთამაშებოდა მცველი. წააქციეს ერთხელ, მეორედ, მესამედ...

მსაჯი კი მხოლოდ საჯარიმოს დანიშვნით კმაყოფილდებოდა. როცა ფეხბურთელი მეოთხედაც მოცელეს და გაგულისებულმა მსაჯს მიმართა, დამნაშავეს რატომ არაფერს ეუბნებიო, პასუხად ყვითელი ბარათი დაიმსახურა.

რა უნდა დავარქვათ მსაჯის ასეთ გადაწყვეტილებას; რასაკვირველია, სიტუაციაში სრული გაურკვევლობა!

როგორც წესი, მსაჯთა უმრავლესობა ვერ არეგულირებს მატჩს. ორიოდე წუთის დამატების გარდა ვერაფრით ვერ იბრძვის დროის გაყვანის ყოვლად გაუმართლებელი საშუალებების წინააღმდეგ.

ხშირად ისინი ვერ აფასებენ სიტუაციას და ნაადრევად აძლევენ თამაშის შეჩერების სიგნალს. გავიხსენოთ, როგორ შეიჭრა მარადონა გფრ-ის საჯარიმო მოედანზე. ტრიბუნებზე ხალხი უკვე გუგუნებდა მოსალოდნელი გოლის მოლოდინში. ზედ საჯარიმოს ხაზთან მცველმა, მეტი რომ ვეღარაფერი მოახერხა, ფეხი დაუდო. მარადონა წაბარბაცდა, მაგრამ არ წაქცეულა და ბურთს კვლავ დაეწია. მას ფეხებში ჩაუვარდნენ შუმახერი და მეორე მცველი. არგენტინელი თავდამსხმელი მაინც რომ ვერ შეაჩერეს, შუმახერმა ხელით, ხოლო მცველმა ფეხით მოცელეს.

პენალტის მოლოდინში ფეხზე წამომდგარი ბღაოდა 130 ათასი კაცი.

თურმე სულ ამაო ყოფილა ჩვენი ვნებათაღელვა. მსაჯს ჯერ კიდევ მაშინ მიუცია სიგნალი, როგორც კი საჯარიმოს ხაზთან ფეხი დაუდეს არგენტინელს, მაგრამ ღრიანცელში არც ფეხბურთელებს და არც მაყურებლებს არ გაუგონიათ სასტვენის ხმა.

რატომ იჩქარა მსაჯმა? ხომ იცოდა, რომ არც ისე იოლია დაკუნთული და ძლიერი მარადონას წაქცევა?

ვის დაეხმარა მსაჯი: არგენტინელებს თუ წესრიგის დამრღვევ გერმანელებს?

ამ საქციელისათვის მსაჯს ოფიციალურად ვერაფერს ეტყვი. მცველმა თავდამსხმელს ფეხი დაუდო, ეს კი ჯარიმით ისჯება! არბიტრი მოიქცა ისე, როგორც საფეხბურთო წესების მიხედვით უნდა მოქცეულიყო.

დიახ, ამ შემთხვევაში მსაჯს ოფიციალურად ვერ დაადანაშაულებ, მაგრამ არაპროფესიონალიზმს, სიტუაციაში გაურკვეველობას კი აუცილებლად უსაყვედურებ.

უხეში შეცდომები ყველა რანგის ჩემპიონატზე იყო და იქნება, მაგრამ, ეტყობა, იმდენი საყვედურისა და პრეტენზიის შემდეგ, რაც ფიფას მსაჯთა კომისიის მიმართ გამოითქვა, აუცილებლად გატარდება გადამწყვეტი ღონისძიებანი.

უკვე მერამდენედ დაისვა საკითხი მსაჯობის დროს ვიდეოჩანაწერის გამოყენების თაობაზე. მართლაც, ეს რომ წესებით ყოფილიყო გათვალისწინებული და მსაჯებს იქვე ჰქონოდათ საშუალება ტელეეკრანზე ყურადღებით შეემოწმებინათ, ესპანელთა მიერ დარტყმული და ძელზე არეკლილი ბურთი დაეშვა თუ არა ხაზს იქით, კარში, ყველაფერი ნათელი გახდებოდა და სამართლიანობაც იზეიმებდა. ამ ერთი ეპიზოდისათვის იქნებ გამართლებულიც ყოფილიყო ასეთი პრაქტიკა, მაგრამ მეც, სხვებთან ერთად, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია მსაჯობის დროს ვიდეოჩანაწერის გამოყენება. ვფიქრობ, სრულიად სამართლიანი იყო ჟოაო აველანჟის კატეგორიული განცხადება, როგორც კი ამ გადაწყვეტილებას მივიღებთ, ფეხბურთი იმავე დღეს მოკვდებაო.

მსაჯობის დროს ვიდეოჩანაწერის გამოყენება გამოიწვევს გაუთავებელ დავას და, ვინ იცის, მატჩის განმავლობაში თამაშის რამდენჯერ შეჩერებას. ყოველი შეჩერება კი როგორ იმოქმედებს მატჩის ხარისხზე, ყველას კარგად მოეხსენება.

დიახ, მსაჯთა შეცდომები მართლაც იყო მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში. ამ შეცდომათა შორის კომისიის წევრებმა (ზემოთ უკვე ვთქვით), 17 უხეში შეცდომა გამოარ-

ჩიეს. ამ 17 შეცდომიდან კი სამი მართლაც მეტისმეტად უხეში იყო: ერთის მიზეზით ნამდვილი გოლი არ ჩაითვალა, ხოლო ორ შეცდომას ორი უსამართლო გოლი მოჰყვა.

ეს ყველაფერი მართალია. მაგრამ გაოცებული დავრჩი, როცა ამის თაობაზე „სოვეტსკი სპორტში" ოლეგ კუჩერენკოს წერილი წავიკითხე. ის სრულიად სამართლიანად ლაპარაკობს მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის მსაჯთა უხეშ შეცდომებზე.

აბა, რაღამ გაგაოცაო, იკითხავენ ფეხბურთის გულშემატკივრები. ახლავე მოგახსენებთ. გამაოცა კუჩერენკოს გაკვირვებულმა და აღშფოთებულმა კილომ, თითქოს ჩვენში არ ხდებოდეს მსგავსი შეცდომები. აღარაფერს ვლაპარაკობ პირველ და სხვა ლიგებზე. თვით ისეთი ავტორიტეტული შეჯიბრებების დროსაც კი, როგორიც ქვეყნის უმაღლესი ლიგის პირველობა და საბჭოთა კავშირის თასია, ჩვენს მსაჯებსაც არანაკლები შეცდომები მოსდით და თანაც... ზოგჯერ ამ შეცდომებს ანგარების სუნიც ასდის ხოლმე.

და აი, კიდევ ერთი მაგალითი არაობიექტური მსჯელობისა.

რეიკიავიკში საბჭოთა კავშირისა და ისლანდიის ნაკრები გუნდების შეხვედრის შემდეგ „ფუტბოლ-ხოკეიმ" თავის 39-ე ნომერში (28. IX. 1986) გამოაქვეყნა ა. ვოდიაგინის წერილი, სადაც ავტორი ერთგან წერს:

„არ შემიძლია არ გამოვთქვა გულწრფელი გაოცება უეფას მიერ მსაჯების შერჩევის თაობაზე. ეს პირველად რომ ხდებოდეს, კიდევ ჰო, მაგრამ მარტო სექტემბერში უკვე მეორედ გვიწევს გასაოცარ ფაქტებთან შეჯახება. ჩამოდის უეფას თასის გათამაშებაზე „სპარტაკთან" შვეიცარიის კლუბი „ლუცერნი", რომელსაც სათავეში უდგას დასავლეთგერმანელი მწვრთნელი, მისი წამყვანი მოთამაშეც გფრ-დანაა და მატჩს მსაჯობს... დასავლეთგერმანელი არბიტრი. როგორ მსაჯობს, ამას ნუღარ გავიხსენებთ, მაგრამ სტუმრებს რომ მასზე გული

არ სწყდებათ, ეს ფაქტია. რეიკიავიკში იგივე ამბავი მეორდება. ისლანდიის ნაკრებს წვრთნის ისევ და ისევ დასავლეთგერმანელი მწვრთნელი, გფრ-ის კლუბებში თამაშობს ნაკრების ორი წამყვანი ფეხბურთელი და თქვენ წარმოიდგინეთ, ამჯერადაც მატჩის მსაჯად დასავლეთგერმანელი არბიტრი ინიშნება. თავს ნებას მივცემ, დავსვა რიტორიკული კითხვა: რას აკეთებს უეფაში ჩვენი ოფიციალური წარმომადგენელი, იმის საშუალება თუ მაინც აქვს, რომ გააპროტესტოს ასეთი ორაზროვანი დანიშვნები?“

გულწრფელად რომ გითხრათ, გაოცება ვერ დავმალე, როცა ეს სიტყვები წავიკითხე. მაინც, რამ აღაშფოთა ა. ვოდიაგინი? მოდით, ერთ რამეზე შევთანხმდეთ. მის აღშფოთებას აქვს რეალური საფუძველი. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ წარსულში ცნობილი ფეხბურთელი მაშინ რატომ არ არის აღშფოთებული, როცა ტაშკენტის „ფახთაქორისა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ შეხვედრას ლენინგრადელ მსაჯთა ბრიგადა სჯის? ან მაშინ რატომ არ გამოთქვამს პროტესტს, როცა ქუთაისის „ტორპედოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ მატჩის მსაჯობას არავინ ანდობს თბილისელ არბიტრებს?

თუკი ნამდვილად გვინდა ვიზრუნოთ ჩვენი ფეხბურთის აღმავლობისათვის, ეტყობა, უფრო კვალიფიციურად და ობიექტურად უნდა ვიმსჯელოთ.

კარგი იქნება, თუ საბჭოთა მსაჯების მიმართაც გამოვთქვამთ კრიტიკულ მოსაზრებებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფეხბურთის განვითარებას მაღალკვალიფიციური და სამართლიანი მსაჯობაც უწყობს ხელს.

6

თუ მექსიკის მდიდართა კასტის წარმომადგენელი ხარ, აუცილებლად უნდა გქონდეს ორი რამ: საკუთარი ლოჟა „აცტეკაზე" და აგარაკი აკაპულკოში.

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ აკაპულკოში გავემგზავრეთ და სამი დღე დავისვენეთ. დიდი ვერაფერი სიამოვნებაა ლამის ადუღებულ ოკეანეში ცურვა, მაგრამ თვითონ კურორტი მართლაც დიდებული რამ გახლავთ. წყნარი ოკეანის ყურე შეჭრილია უზარმაზარ ამფითეატრში, რომლის კალთებზე შეფენილია უმშვენიერესი სახლები. სანაპიროზე აგებული მრავალსართულიანი თეთრი ვერტიკალები ნახევარწრედ შემოჯარულან ყურის ირგვლივ. ვიწრო ყელში, სადაც ყურე ოკეანეს უერთდება, დაუსახლებელი პატარა მწვანე კუნძული ამოზრდილა, კიდევ უფრო რომ ალამაზებს და ამყუდროებს იქაურობას.

აი, პატარა საექსკურსიო გემით ნელ-ნელა მივუყვებით აკაპულკოს კლდოვან სანაპიროს. აგარაკები, უფრო სწორად, სასახლეები, საკმაოდ მაღლაა აშენებული. ოკეანის სანაპიროზე ჩამოსვლა, ისიც ისეთ სიცხეში, აკაპულკოში და, საერთოდ, სამხრეთ მექსიკაში რომ იცის, დიდი ვერაფერი სიამოვნებაა. ამიტომაც ბევრს ესტაკადებით საკუთარი საავტომობილო გზა აქვს პლაჟამდე ჩამოყვანილი, ბევრს საკუთარი ფუნიკულიორი ან საბაგირო გზაც კი აუგია. თუმცა, ისინი არც კი ჩამოდიან პლაჟზე. ყველანი ოკეანიდან ქაჩავენ საკუთარ აუზებში წყალს და თავიანთ ეზოებში ნებივრობენ.

გემის ექსკურსიამძღოლმა საგანგებოდ დაგვანახვა ვილა, სადაც ჯონ და ჟაკლინ კენედებმა თაფლობის თვე გაატარეს. საგანგებოდ დაგვანახვეს ჯონი ვაისმიულერის, ფრენკ სინატრას, ო'ნილისა და სხვათა ვილები. ვილაო, ვამბობ და გულში მეღიმება. განა შეიძლება ვილა უწოდო ფრენკ სინატრას დიდებულ სასახლეს, რომელიც, თუ ვიზუალური შეგრძნება

არ მღალატობს, თითქმის ჩვენი ფილარმონიისხელაა?! ან შეიძლება ვილა უწოდო მექსიკის გაზეთების ერთ-ერთი მეპატრონის სასახლეს, რომელიც სანაპიროს ყველაზე მაღალ კონცხზეა აგებული?! არქიტექტურული ჩანაფიქრით, გრანდიოზულობით და საკუთარი საავტომობილო ესტაკადებით ის „აცტეკას“ სტადიონს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ვილას.

შესჩერებიხარ ამ დიდებულ სასახლეებს, აღტაცებული ხარ მათი ხუროთმოძღვრული ღირსებებით, მაგრამ მთავრდება ექსკურსია და უმალვე სევდა გიპყრობს:

განა ამის შემყურე კიდევ დაიჯერებ ქვეყნად ადამიანთა თანასწორობას?!

უმალვე მახსენდება მეხიკო, რომლის ისედაც თვრამეტმილიონიან მოსახლეობას ყოველდღე ემატება ათას ხუთასი უმუშევარი გლეხის ოჯახი სხვადასხვა პროვინციიდან. ისინი გაჭირვების გამო ტოვებენ მშობლიურ კუთხეს და მიისწრაფიან ამ უზარმაზარი ქალაქისაკენ, რომ იქ როგორმე იშოვონ სამუშაო.

არავითარ ძალას არ შეუძლია მათი შეჩერება. ჯიუტად მიდიან მეხიკოში და იკარგებიან გაჭირვებულთა უბნებში, ადგილობრივი მკვიდრნი „დაკარგულ ქალაქებს“ რომ უწოდებენ.

აკაპულკოდან მეხიკოში საღამოს ჩავფრინდით. ენით აუწერელი სილამაზე გადაიშალა ჩვენ ქვემოთ. უზარმაზარი გაჩირაღდნებული ქალაქი, კიდით კიდემდე გადაჭიმული პროსპექტები, პარკები, მოედნები... შუბლით ლამის მივესრისეთ თვითმფრინავის ილუმინატორებს. მე ადრეც გადამიფრენია ღამით მეხიკოს თავზე, მაგრამ მაშინდელი უზარმაზარი რვამილიონიანი მეხიკოც კი პატარა ქალაქად გამოჩნდებოდა დღევანდელ მეხიკოსთან შედარებით.

ილუმინატორებს აკრული მგზავრები აღტაცებას ხმამაღლა, თითქმის ყვირილით გამოხატავდნენ.

რამდენი ძნელად გადასაჭრელი, უფრო მეტიც, თითქმის გადაუჭრელი პრობლემა იმალება ამ სილამაზის საბურველში. მეხიკოს მოსახლეობა ყოველწლიურად ერთი მილიონი ადამიანით იზრდება (ქალაქში ყოველწლიურად 360 ათასი ბავშვი იბადება. გავიხსენოთ ისიც, რომ, როგორც აღვნიშნე, ქალაქს ყოველდღიურად ათას ხუთასი გლეხის ოჯახი ემატება. ოჯახები კი მექსიკაში მრავალშვილიანია). ერთი სიტყვით, მოსახლეობის ასეთი გაუგონარი, არნახული ზრდა ქალაქის და, საერთოდ, სახელმწიფოს მესვეურებს უზარმაზარი და გადაუჭრელი პრობლემების წინაშე აყენებს.

„მეხიკოს მოსახლეობის ასეთი საშინელი ტემპით ზრდა გონიერების ყოველგვარ ჩარჩოს სცილდება“, – შეშფოთებული ამბობს მექსიკის პრეზიდენტი მიგელ დე ლა მადრიდი.

მექსიკის დედაქალაქის ყოფილი მერი კარლოს გონსალესი მეხიკოს მართვას ადარებს ჰაერში მყოფი დაზიანებული თვითმფრინავის რემონტს.

მეხიკოში 30 ათასი ქარხანა და ფაბრიკაა, რომელთა მიერ ყოველდღიურად გამოყოფილი 11 ათასი ტონა ტოქსიკური გაზები და შხამიანი ნარჩენები ნამლავს იქაურობას. გარემოს დანაგვიანების დიდი წილი (70 პროცენტი) მაინც ტრანსპორტზე მოდის. ყოველდღე სამი მილიონი მანქანა და ავტობუსი გადის მეხიკოს ქუჩებში.

თურმე ქალაქი 1986 წლამდე, რაც უნდა საკვირველად მოგვეჩვენოს, სტიქიურად შენდებოდა. ადვილი მისახვედრია, რა დამატებითი და თითქმის გადაუჭრელი პრობლემების წინაშე დგებოდა ქალაქის მუნიციპალიტეტი.

1980 წელს ქალაქის განვითარების სამმართველოს დირექტორის ხავიერ კარავეოს ხელმძღვანელობით შეიქმნა ახალგაზრდა არქიტექტორთა დიდი ჯგუფი, რომელიც ფინანსური და სხვა მრავალი გაჭირვების მიუხედავად, წარმატებით წყვეტს ქალაქის წინაშე მდგარ მრავალ პრობლემას.

ამ პრობლემათა შორის ერთ-ერთი უმთავრესია ქალაქის წყლით მომარაგება.

მეხიკო, მგონი, ერთადერთი დედაქალაქია მსოფლიოში, სადაც მდინარე არ ჩამოდის. იგი დამშრალი ტბის ფსკერზეა გაშენებული, საიდანაც ათეული წლების განმავლობაში ქაჩავდნენ გრუნტის წყლებს, რომელთა მარაგი, როგორც თვითონ ამბობენ, პრაქტიკულად თითქმის ამოწურეს. ამიტომაცაა, რომ ქალაქი ნელ-ნელა „ჯდება", ყოველწლიურად თითქმის 25 სანტიმეტრით „იძირება" მიწაში.

მეხიკოს მუნიციპალიტეტის დაკვეთით შემუშავდა დედაქალაქის სასმელი წყლით მომარაგების გეგმა „კუცამალა". მექსიკის დედაქალაქი წყლით უნდა მომარაგდეს დაახლოებით 300 კილომეტრით დაშორებული წყაროებიდან. პროექტი ითვალისწინებს აგრეთვე მეხიკოდან საკმაოდ დაშორებული მდინარის ტეკოლუკას გაწმენდა-გადამუშავებას. „კუცამალა" ძალზე ძვირად ღირებული პროექტია. მართალია, მეხიკო ზეგანზეა გაშენებული, მაგრამ თვით ეს ზეგანი 2 240 მეტრის სიმაღლეზეა. წყაროები და მდინარეები კი, საიდანაც მეხიკოში წყალსადენები უნდა გაიყვანონ, გაცილებით დაბლა მიედინებიან.

ქალაქის წყლით მომარაგებაზე დღესდღეობით იხარჯება რვა მილიარდი პესო. ამ თანხის 70 პროცენტს სახელმწიფო იხდის. დანარჩენი 30 პროცენტი კი ქალაქის მოსახლეობაზე ნაწილდება.

ქალაქის ცხოვრებაში თანდათანობით მნიშვნელოვან ადგილს იჭერს „ღარიბების ტრანსპორტი" – მეტრო. 1969 წელს მისი სიგრძე სულ რაღაც 12 კილომეტრი იყო. დღეს მეხიკოს მეტროს სიგრძე 104 კილომეტრია. ჩემპიონატის დღეებში კიდევ გაიხსნა ერთი ახალი სადგური მეხიკოს სტუდენტურ ქალაქამდე. მეტროთი მგზავრობის ფასი, შეიძლება ითქვას, სიმბოლურია. ბილეთი ერთი პესო ღირს. მანეთი კი უდრის

დაახლოებით შვიდას პესოს (ასევე იაფია ავტობუსის ბილეთიც, სულ რაღაც სამი პესო).

ერთი რამ მომეწონა მეხიკოს მეტროში. პიკის საათებში ქალებისა და ბავშვებისათვის ცალკე ვაგონებია გამოყოფილი, რომ მამაკაცებთან ერთად საერთო რიგში და ზედახორაში არ მოხვდნენ.

თუმცა, მარტო ერთი რამ როდი მომეწონა მეხიკოში და, საერთოდ, მექსიკაში. მსოფლიოს ყველა კონტინენტზე ვყოფილვარ, ზოგიერთ სახელმწიფოში ორჯერ და მეტჯერაც მიმოგზაურია, მაგრამ იშვიათად შემხვედრია ისეთი გულთბილი, ყურადღებიანი ხალხი, მექსიკელები რომ არიან.

ერთხელ მე და მოსკოველ ექიმს, ავთანდილ გოგოძეს ოტელ „პრეზიდენტე ჩაპულტეპეკში“ გვაგვიანდებოდა. მეხიკოს უცნობ რაიონში მოვხვდით და გზა აგვებნა. იქვე ბენზინის გასამართი პუნქტი იყო. გადავედით და ერთ ოცდაათიოდე წლის მექსიკელს ვკითხეთ, სასტუმრომდე როგორ მივიდეთო. მანქანაში მეუღლე ეჯდა. ალბათ სადღაც ეჩქარებოდა კიდეც. ჩვენი ლაპარაკი ჟესტიკულაციით და თითო-ოროლა სახელდახელოდ ნასწავლი ესპანური სიტყვით და ფრაზით მიდიოდა. მან მიგვახვედრა, „პრეზიდენტე ჩაპულტეპეკამდე“ შვიდი კილომეტრია, გზას ვერ იპოვით და მე წაგიყვანთო. როცა მიყვანის შემდეგ მადლობა გადავუხადეთ და გამოვემშვიდობეთ, უკან გაბრუნდა. შევწუხდით, მივხვდით, რომ მექსიკელმა გზა გაიმრუდა, დროც დაკარგა, მაგრამ მეხიკოს სტუმრებს მაინც სცა პატივი. და მათი ასეთი ყურადღება ერთეული შემთხვევები როდი იყო!

ერთხელ ქუჩაში არჩილ გოგელიას და დავით ქლიბაძეს დავენაძლევე, ამოდენა ქალაქში თუ გაბრაზებულ მექსიკელს დამანახვებთ, ვინმეს რომ გაგულისებული ელაპარაკებოდეს, რასაც გინდათ, ვიკისრებ-მეთქი. საოცარია მექსიკელების თავდაჭერილობა, სიმშვიდე, ყურადღება, გულისხმიერება. და

ეს თვისებები მით უფრო დასაფასებელია, თუ გავიხსენებთ, როგორი ემოციურნი და ტემპერამენტიანები არიან საერთოდ მექსიკელები.

კიდევ ერთი ნაძლევი დავდე მექსიკაში ჯახი ასათიანთან. სასმელების ერთ ფარდულს ან სასაუზმეს თუ აღმოაჩენ მთელ მექსიკაში, სადაც გეტყვიან, სასმელის კარგად გაციება ვერ მოვასწარითო, ასევე რასაც გინდა ვიკისრებ-მეთქი. ამოდენა ცხელ ქვეყანაში, თვით მივარდნილ სოფლებშიც კი გთავაზობენ ყინულში ჩაციებულ დახვითქულ ბოთლებს, სახელგანთქმულ მექსიკურ ლუდებს „კორონას“ და „სუპერ მეხიკანას“, „კოკა-კოლას“, ათასგვარ წვენებს...

გულწრფელად გეტყვით, შემშურდა კიდეც. სოფლებს ვინ დაეძებს, სულ მიკვირს მოსკოვსა და თბილისში (ასევე სხვა ქალაქებში) როგორ ახერხებენ, რომ ზამთარშიც ვერ ჩაუციებიათ სასმელები!

უზარმაზარი ქალაქებისათვის, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია ბანდიტიზმი, ქურდობა, ათასგვარი დანაშაული. მეხიკო ამ მხრივაც გამონაკლისია. წვრილმანი ქურდობა და მცირეოდენი უფრო დიდი მასშტაბის დანაშაულების პროცენტი სახსენებელიც კი არ არის ნიუ-იორკის, ტოკიოსა თუ მსოფლიოს სხვა დიდი ქალაქების დანაშაულებრივი სამყაროს ნამოქმედართან.

მექსიკელებს თითქმის თავისუფალი მიმოსვლა აქვთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ხოლო რვა მილიონი მექსიკელი ყოველ წელს გადადის საზღვარს სეზონურ სამუშაოზე მცირეოდენი ფულის მოსაგროვებლად.

წეღან ვთქვი, მეხიკოს დანაშაულებრივი სამყარო სახსენებელიც კი არ არის სხვა დიდი ქალაქების ორგანიზებული ბანდიტიზმის სინდიკატებთან-მეთქი. მით უმეტეს, რომ სხვა ქალაქებში თითქმის ვერ ნახავთ ისეთ სოციალურ სიჭრელეს, როგორიც მეხიკოშია. აქ უსახლკარო მექსიკელები

ცხოვრობენ მეხიკოს ირგვლივ კლდეებსა და გამოქვაბულებში. ამავე დროს მდიდრების უბან „ლომასში“ მილიონერები ეზოებში დააჯირითებენ საკუთარ წმინდა სისხლის ულაყებს, საგანგებო საჭმელს ურჩევენ ათასგვარი ჯიშის ძაღლებს, ნებივრობენ საკუთარ საცურაო აუზებში, დაქირავებული მოტოციკლისტების ესკორტით გამოდიან ქუჩაში უახლესი მარკის ძვირად ღირებული ლიმუზინებით. ასეთი სოციალური უთანასწორობა 18-მილიონიან ქალაქში ნოყიერ ნიადაგს უნდა უქმნიდეს დანაშაულებრივი სამყაროს ჩამოყალიბებას, ორგანიზებულ ბანდიტიზმს. და მაინც, მეხიკო კაპიტალისტური სამყაროს ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) ისეთი ქალაქია, სადაც შეგიძლია ღამით მშვიდად ისეირნო ქუჩებში.

ამ მოვლენას ორი გარემოებით ხსნიან მექსიკაში. პირველი და უმთავრესი ფაქტორია თვით მექსიკელთა კეთილი, კაცთმოყვარე ბუნება. მეორეა მექსიკის პოლიცია, რომელსაც დიდი ავტორიტეტი აქვს მოსახლეობაში. თან, საკითხის მეტი სიცხადისათვის დასძენენ ხოლმე, პოლიციაში საგზაო პოლიციას, ამ ნამდვილ გამომძალველებს არ ვგულისხმობთო.

ისეც ნუ წარმოვიდგენთ, თითქოს მეხიკოში სრული სიმშვიდე სუფევდეს. აქაც არიან ორგანიზებული ჯგუფები, ხდება ბანკების და მაღაზიების გატეხვა და ძარცვა, მაგრამ ამ ქვეყნად ყველაფერი შედარებითია, მექსიკის დედაქალაქი მართლაც ძალზე გამოირჩევა კაპიტალისტური სამყაროს სხვა დიდი ქალაქებისაგან.

მეხიკოს ქუჩებში იყიდება საპოლიციო ლატარიის ბილეთები. აქ მოგებული ფული უნაწილდება იმ პოლიციელთა ოჯახებს, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპნენ. ამ ფაქტიდან ერთი დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ: რაკი პოლიციელები სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას იხოცებიან, ესე იგი, არც მთლად

ისე ყოფილა საქმე, როგორც ერთი შეხედვით ან მექსიკელთა ნაამბობიდან ჩანს.

მთელ მსოფლიოში გაითქვეს სახელი მექსიკელმა არქიტექტორებმა და მშენებლებმა. ულამაზესია მეხიკო თავისი გიგანტური პროსპექტებით, ცათამბჯენებით, ოლიმპიური კომპლექსებით, საუნივერსიტეტო ქალაქით, პარკებითა და შადრევნებით, და ბოლოს მსოფლიოში სახელგანთქმული სტადიონით – „აცტეკათი".

7

მექსიკის წლევანდელ ჩემპიონატში ბრაზილიისა და საფრანგეთის გუნდებმა თავიდანვე მოიპოვეს მაყურებელთა სიმპათია და სიყვარული.

რაოდენ სამწუხარო იყო, რომ ეს გუნდები თითქმის დასაწყისშივე შეხვდნენ ერთმანეთს. ერთ-ერთი ხომ აუცილებლად უნდა გამოსთიშოდა ბრძოლას. საოცარი სიტუაცია შეიქმნა. გულშემატკივრები თითქმის არ გაყოფილან ორ ჯგუფად. ერთი გუნდიც ყველას ენანებოდა და მეორეც.

კიდევ ერთხელ დაიწყო სერიოზული მსჯელობა მსოფლიო ჩემპიონატის ამჟამად არსებული სისტემის ულოგიკობაზე, უფრო მეტიც, უვარგისობაზე.

აბა წარმოიდგინეთ, აქეთ ბრაზილია, რომლის ღირსებას იცავდნენ: სოკრატესი, ზიკო, ფალკაო, ჟუნიორი, და სულ ახალგაზრდა ვარსკვლავები: ჟოსიმარი, სეზარი, კარეკა... იქით – პლატინი, ტიგანა, ჟირესი, როშტო, ამორო, ფერნანდესი...

მართლაც საოცარი სიტუაცია შეიქმნა. ვუყურებდით მატჩს და... ორივე გუნდს ვგულშემატკივრობდით. ასეთი რამ იშვიათად ხდება ფეხბურთის მოყვარულთა შორის.

გამოტეხილად რომ ვთქვათ, ძალიან დიდი სიმპათიით ვიყავი განწყობილი პლატინისა და მისი თანამებრძოლების

მიმართ, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც ბრაზილიას ვგულშემატკივრობდი. უფრო რომ გავშიფრო სათქმელი, ვქომაგობდი არა ამ კონკრეტულ გუნდს, არამედ მთლიანობაში, ბრაზილიურ ფეხბურთს, რომელიც სრულიად განსხვავებულ და ყველაზე მაღალი რანგის ფეხბურთად მიმაჩნია.

ჯერ კიდევ 1970 წლის მექსიკის ჩემპიონატის დროს გაანაცხადა ბრაზილიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა, საფეხბურთო მიმომხილველმა ჟოაო სალდანიამ: „ყველას უნდა, რომ მეოთხედფინალში გავიდეს, მაგრამ ბრაზილიელთა გარდა არავინ ზრუნავს თამაშის ხარისხზე".

ეს სიტყვები ზუსტად მიესადაგება ბრაზილიის ნებისმიერი გუნდის თამაშს. ბრაზილიური ფეხბურთი სილამაზის, რომანტიკის, იმპროვიზაციის, ფეხბურთელის ინდივიდუალური თვისებების გამომჟღავნების და ტემპერამენტის სიმბოლოდ იქცა.

ამიტომ იყო, რომ ესპანეთში ბრაზილიელთა მარცხის შემდეგ ისეთი განცდა დაგვეუფლა, თითქოს დამთავრდა ჩემპიონატი.

ასევე მოხდა მექსიკაშიც, ოღონდ თავს იმით ვიმშვიდებდით, რომ ბრაზილიას არ გაუმართლა საფრანგეთთან. უსიამოვნო განცდა გაცილებით მეტი იქნებოდა, ბრაზილიელებს რომელიმე სხვა გუნდთან რომ წაეგოთ.

ბრაზილია-საფრანგეთის მატჩი ყველაზე დიდებული იყო ფინალური მატჩის შემდეგ. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თვით მატჩის მნიშვნელობა კიდევ უფრო შთამბეჭდავს ხდის ცალკეულ ეპიზოდებს და, აქედან გამომდინარე, მთლიანად მატჩს. ამიტომაც სურდა თითქმის ყველა გულშემატკივარს, ფეხბურთის სპეციალისტსა თუ ჟურნალისტს, ფინალში არგენტინელების წინააღმდეგ ეხილათ ან ბრაზილია, ან საფრანგეთი. ფინალის წინა დღეს ბრაზილიისა და საფრანგე-

თის გავარდნის ადრინდელ სინანულს პრესცენტრში კიდევ უფრო დიდი სინანულით გამოხატავდნენ ჟურნალისტები.

მაინც, რა დაემართა ბრაზილიას?

ვერ ვიტყვით, რომ ტელე სანტანამ სუსტი გუნდი ჩაიყვანა მექსიკაში ან თუნდაც, ოთხი წლის წინ ესპანეთში. ოღონდ ეს კია, ზიკოს გარდა (რომელიც მექსიკაში ტრავმის გამო მთელი ძალით ვერ თამაშობდა) ბრაზილიის ნაკრების თავდასხმაში აღარ არიან, პელეს და გარინჩას რომ თავი დავანებოთ, ვავას, ჟაირზინიოს, რიველინოსა და ტოსტაოს კლასის ფეხბურთელები.

მიუხედავად ამისა, ბრაზილიის გუნდი, ჩემი აზრით, მაინც უძლიერესი იყო ესპანეთშიც და მექსიკაშიც.

არც იქ გაუმართლა და არც აქ, მექსიკაში! გავიხსენოთ ორი ძელი ფრანგებთან და, რაც მთავარია, ზიკოს მიერ გამოუყენებელი 11-მეტრიანი დარტყმა. როგორც შემდგომ პრესცენტრში თქვეს, ეს იყო თურმე პირველი პენალტი, რომელიც ზიკომ ვერ გაიტანა (ასევე, ბრაზილიასთან პენალტების სერიის დროს პლატინიმ ვერ გაიტანა თავის ცხოვრებაში პირველი პენალტი).

– თამაშში ორი წუთის შემოსულმა რატომ დაარტყა პენალტი? განა ელემენტარული ჭეშმარიტება არ არის, რომ მატჩში ორგანულად ჩაურთველმა ფეხბურთელმა ასეთი საპასუხისმგებლო მისია არ უნდა იკისროს? – ლაპარაკობდნენ შემდგომ ყველანი.

– პენალტის დარტყმა არც კი მომსვლია აზრად, – განუცხადა მატჩის შემდგომ ჟურნალისტებს ზიკომ, – პენალტი წესით სოკრატესს უნდა დაერტყა, მაგრამ მან უცებ დამიძახა, შენ დაარტყიო.

პენალტების სერიის დროს პირველივე პენალტი სოკრატესმა გააფუჭა. ეს უკვე ბრაზილიელთა მეორე შეცდომა იყო. სოკრატესმა მსგავსი პენალტი გაიტანა პოლონელთა კარში;

სულ ორი ნაბიჯით მოშორდა ბურთს, ყოველგვარი გამორბენის გარეშე დასარტყმელად მოქნეული ფეხი ჰაერში გააჩერა, მეკარე წონასწორობიდან გამოიყვანა, მარცხნივ გადაახტუნა, ბურთი კი ნელა გაგზავნა მარჯვენა კუთხეში.

ძალზე ეფექტურად დარტყმულმა ბურთმა, რასაკვირველია, ყველას ყურადღება მიიქცია. მიშელ იდალგომ თავის მეკარესთან ერთად ბევრჯერ „დაატრიალა“ სოკრატესის პენალტი ვიდეოზე.

და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: როცა სოკრატესი მხოლოდ ორი ნაბიჯით დაშორდა ბურთს, ფრანგების მეკარემ უკვე იცოდა, რაც უნდა გაეკეთებინა.

სხვათა შორის, ჩემპიონატის დღეებში და ჩემპიონატის შემდეგაც, როცა ბრაზილიელებმა და სხვა ქვეყნებმაც პროტესტი განაცხადეს ფრედ დამთავრებული მატჩის ბედის პენალტების სერიით გადაწყვეტის თაობაზე, ფიფას პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა გაგულისებით თქვა: გუნდი, რომელიც სამ პენალტს გააფუჭებს, არც კი უნდა ოცნებობდეს ჩემპიონობაზეო. აველანჟი, რასაკვირველია, თავის თანამემამულეებს გულისხმობდა.

ფრანგებთან პენალტების სერიით მარცხის შემდეგ ბრაზილიაში ორი ათასზე მეტ გულშემატკივარს დასჭირდა საავადმყოფოში წაყვანა და მკურნალობა. შვიდ კაცს ნერვიულობისაგან გული გაუსკდა. მათ შორის იყო ტელე სანტანას 82 წლის მამა. მას პენალტების სერიის ჩათავებისთანავე დაარტყა ინფარქტმა და რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

სხვათა შორის, ბრაზილიელთა ასეთი ემოციები არავის გაჰკვირვებია, მაგრამ როცა მექსიკელებთან თამაშის წინ გფრ-ის საფეხბურთო დელეგაციის მეთაურს ეგიდიუს ბრაუნს ინფარქტი დაემართა, ხოლო ფრის შემდეგ პენალტების შესრულებისას გერმანელი ჟურნალისტი ვ. პოხონი ტრიბუნაზევე გარდაიცვალა, გაოცებას ვერავინ მალავდა.

ერთი სიტყვით, ბრაზილიამ მშვენიერი გუნდი ჩამოიყვანა მექსიკის ჩემპიონატზე. განსაკუთრებით ძლიერი იყო ბრაზილიელთა დაცვა, სადაც გამობრწყინდა ორი ახალი ვარსკვლავი – ჟოსიმარი და სეზარი. დიდი მომავალი აქვს კარეკას, თბილისელთათვის კარგად ნაცნობ ახალგაზრდებს სილასსა და მიულერს (ამ უკანასკნელს მიულერი ცნობილ გერმანელ ფეხბურთელთან, გერდ მიულერთან საოცარი ფიზიკური მსგავსების გამო შეარქვეს).

და მოხდა საოცრება, უფრო სწორად, უხეირო საჩემპიონატო სისტემაზე დაფუძნებული პარადოქსი: ხუთ მატჩში გუნდმა მხოლოდ ერთი შეხვედრა დაამთავრა ფრედ, მხოლოდ ერთი ბურთი გაუშვა და... ჩემპიონატს გამოეთიშა. ამაზე ზემოთ უკვე ვილაპარაკე და სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

შეიძლებოდა თუ არა, ბრაზილიელებს ჩემპიონატზე უკეთესი გუნდი ჩამოეყვანათ?

რასაკვირველია, შეიძლებოდა.

პირველი შეცდომა, რომელიც ბრაზილიელებმა დაუშვეს, იყო ტელე სანტანას გუნდში დაბრუნება (ამ საკითხზე მსჯელობისას, ცხადია, ვსარგებლობ ბრაზილიელ ჟურნალისტთა მიერ პრესცენტრში ან გაზეთების ფურცლებზე გამოთქმული მოსაზრებებით).

განა იმიტომ, რომ ტელე სანტანა სუსტი მწვრთნელია. ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ის ხომ ოთხი წლის განმავლობაში საუდის არაბეთში მუშაობდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ტელე სანტანა ოთხი წლით ჩამორჩა ბრაზილიურ ფეხბურთს. ჩემპიონატის დაწყებამდე სამი თუ ოთხი თვით ადრე, როცა იგი სამშობლოში დაბრუნდა და გუნდი ჩაიბარა, ბუნებრივია, ველარ მოასწრებდა „დასწეოდა" მოვლენებს, ვერ გაერკვეოდა ბრაზილიური ფეხბურთის წყალქვეშა დინებებში, საფუძვლიანად ვერ შეისწავლიდა ოთხი წლის განმავლობაში დაწინაურებული ახალგაზრდების თა-

მაშს, მათთვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ თვისებებს, რომლებსაც შემდეგ ნაკრებში ერთმანეთს „მოარგებდა".

ამიტომაც, ორიენტაცია ისევ ძველ ფეხბურთელებზე აიღო, რომელთა თამაშსაც და პიროვნულ თვისებებსაც კარგად იცნობდა.

ბრაზილიელთა მარცხის შემდეგ პელემ განაცხადა: ტელე სანტანამ ყველაფერი გააკეთა, რომ გუნდი მოემზადებინა, ოთხ თვეში კი, ეტყობა, მეტი არ შეეძლო. ამიტომაც ვადანაშაულებ არა ტელე სანტანას, არამედ ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციასო.

ჩემი აზრით, ტელე სანტანას გამართლება მაინც არ შეიძლება. ბუნებრივია, ის არ უნდა დათანხმებულიყო ჩაებარებინა ბრაზილიის ნაკრები ოთხწლიანი ვაკუუმის შემდეგ. გარდა ამისა, ეტყობა, ველარ დაამყარა სათანადო კონტაქტი ფეხბურთელებთან. წარმოიქმნა კონფლიქტური სიტუაციები. გუნდიდან იოლად გაყარა ფეხბურთელები, არ ეყო პედაგოგიური თუ დიპლომატიური ხერხები და მეთოდები მათ შემოსარიგებლად და შესანარჩუნებლად. მისი კატეგორიულობით გაცოფებულმა რამდენიმე მოთამაშემ საკუთარი ნებით დატოვა ნაკრები. აი, ვინ გაუშვა გუნდიდან ტელე სანტანამ ჩემპიონატის დაწყების წინ: ლეანდრო, ედერი, სერეზო, დირსეუ, რენატო. ეს ის ახალგაზრდა რენატოა, რომლის თამაშმაც, შესანიშნავმა ფინტებმა და გარღვევებმა ასე მოგვხიბლა ბრაზილია-უნგრეთის ამხანაგური მატჩის დროს. კიდევ უფრო შორს მიდის ჟოაო სალდანია. ის შეშფოთებას გამოთქვამს: ბრაზილიაში, ქვეყანაში, სადაც ყოველთვის უხვად იყვნენ ფეხბურთის აღიარებული დიდოსტატები, ახლა ვერცერთ ექსტრაკლასის ვარსკვლავს ვერ იპოვითო. ეს არ არის შემთხვევითი ამბავი, – განაგრძობს სალდანია, – დღეს ახალგაზრდებს ფეხბურთი აღარ აინტერესებთ, რიო-დე-ჟა-

ნეიროდან სან-პაულუმდე 20 ათასი საფეხბურთო მოედანი იყო, დღესდღეობით კი მხოლოდ ასიღა შემორჩაო.

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ უკვე გადაწყვიტა შეცვალოს ქვეყნის ჩემპიონატების ორგანიზაცია. მომავალი წლიდან ალბათ გუნდები ევროპელი კოლეგებივით კვირაში ერთხელ ითამაშებენ და არა სამჯერ, როგორც ეს დღემდე ხდებოდა. „თუ გვინდა, ისევ დავუბრუნოთ ბრაზილიურ ფეხბურთს ძველი დიდება, – განაცხადეს მათ, – არ შეიძლება საფეხბურთო ინტერესები ფინანსურ მოსაზრებებს დავუქვემდებაროთ. ბრაზილიელებს განზრახული აქვთ, შექმნან სამი მუდმივმოქმედი ნაკრები: დიდების, ჭაბუკებისა და იუნიორების. ამ გუნდებმა კი ორ, მაქსიმუმ სამ თვეში ერთხელ, ერთი საერთაშორისო მატჩი მაინც უნდა ჩაატარონ.

პესიმიზმთან ერთად ოპტიმისტური ხმებიც ძალზე შთამბეჭდავად გაისმის ბრაზილიაში. აი, რას ამბობს 20-ნლამდელთა 1984 წლის მსოფლიო ჩემპიონატით თბილისელებისთვის კარგად ნაცნობი სილასი, ხსენებული ტურნირის გამარჯვებული: „ზიკოს, სოკრატესის, ფალკაოს, ჟუნიორისა და ოსკარის წასვლა (რასაკვირველია, უნდა მივამატოთ ლეანდრო, სერეზო, ედერი, დირსეუ – **გ. ფ.**) ისე უნუგეშოდ როდი დაგვასუსტებს, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ და თუ კარგად მოვემზადებით, ეჭვიც არ მეპარება, რომ იტალიის მსოფლიო ჩემპიონატს უეჭველად მოვიგებთ. ბრაზილიური ფეხბურთი დღესაც საუკეთესოა მსოფლიოში. მექსიკის ჩემპიონატმა კი ახალგაზრდებს ბევრი გამოცდილება შეგვძინა და ბევრი რამ დაგვანახვა“.

გულწრფელად რომ გითხრათ, დარწმუნებული ვარ, ბრაზილიური ფეხბურთის მესვეურები მომავალი ჩემპიონატისათვის აუცილებლად გადაჭრიან ყველა პრობლემას და უფრო ძლიერი გუნდით ჩავლენ იტალიაში.

8

ჩემპიონატის დასაწყისში მექსიკელებს ფავორიტთა შორის ასახელებდნენ. ზოგიერთი სპეციალისტი კატეგორიულადაც კი ამბობდა, ჩემპიონობას მექსიკელები მოიპოვებენო.

რას ეყრდნობოდნენ ისინი, როცა ასეთ თვითდაჯერებულ განცხადებას აკეთებდნენ? ალბათ ორ რამეს. ჩემპიონატამდე მექსიკელებმა რამდენიმე კარგი თამაში ჩაატარეს. ერთ-ერთი, ალბათ, ყველას გახსოვთ, საბჭოთა ნაკრებსაც მოუგეს. კარგ თამაშთან ერთად, ბუნებრივია, ფიქრობდნენ, რომ საკუთარი კედლები, ტემპერამენტიანი მექსიკელი გულშემატკივრები, სხვებისათვის უჩვეულო, ხოლო მათთვის ბუნებრივი კლიმატიც იტყოდა თავის სათქმელს.

არგენტინაში, როდესაც მსოფლიო პირველობა მასპინძლებმა მოიპოვეს, ვიღაცამ იქვე, „რივერ პლეიტის“ პრესლოჟაში მითხრა, ფეხბურთი „შინაური, ოჯახური“ სპორტია, ყოველთვის მასპინძლები იმარჯვებენო.

ეს რომ მართალი არ არის, სრულიად იოლი დასამტკიცებელია. შვეიცარიამ, შვედეთმა, მექსიკამ, ესპანეთმა, ჩილემ და თვით ბრაზილიამაც კი ვერ მოიპოვეს საკუთარ მოედანზე გამარჯვება. ხოლო მექსიკამ ამჯერად მეორედ იწვნია მარცხი საკუთარ ქვეყანაში.

ვერ გაუმართლა მათ მექსიკური ფეხბურთის სიამაყემ, უგო სანჩესმა. ის იმდენად პოპულარულია მექსიკაში, რომ ესპანეთიდან ყოველთვის ყიდულობენ პირდაპირი გადაცემების უფლებას, როცა მატჩში უგო სანჩესი მონაწილეობს. მართალია, მადრიდიდან უგო სანჩესი ტრავმირებული ჩავიდა სამშობლოში და ნაკრებში თითქმის ჩემპიონატის დაწყების წინ გამოცხადდა, მაგრამ მადრიდის „რეალის“ ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელის ასეთ სუსტ თამაშს ნამდვილად არავინ ელოდა.

სამაგიეროდ, უგო სანჩესის სტილით („მაკრატელათი") მეორე მექსიკელმა – ნეგრეტემ გაიტანა გოლი. ამ გოლმა, შემგომში მარადონას მიერ ინგლისელთა კარში გატანილ გოლთან ერთად ჩემპიონატის ულამაზესი გოლის სახელი მოიპოვა და ორივე გოლის აღსანიშნავად „აცტეკას" სტადიონზე ჩემპიონატის დამთავრებისთანავე გაკეთდა ორი მემორიალური დაფა.

მექსიკის ფეხბურთის მესვეურების, პრესისა და ტელევიზიის მუშაკების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მოლოდინის გაცრუებისა, მათ რეალურად შეაფასეს საკუთარი გუნდის შესაძლებლობები სხვა ფავორიტების ფონზე და დამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს მათი მაჩვენებლები. მექსიკელ ფეხბურთელთათვის საგანგებო მიღებაც კი გამართეს, სადაც ჩვენც დაგვპატიჟეს.

ვინ იყვნენ ის სხვა გუნდები, რომელთა ფონზეც დამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს მექსიკელთა თამაში?

ვინ იყვნენ ის ეროვნული ნაკრებები, რომლებმაც განსაზღვრეს მექსიკის ჩემპიონატის სახე?

ვფიქრობ, დამეთანხმებით, თუ ამ გუნდებს შორის პირველ რიგში დავასახელებ არგენტინას, ბრაზილიასა და საფრანგეთს. მეორე რიგში კი მოდიან დანია, ესპანეთი, გფრ და ბელგია.

დიახ, მეორე ადგილზე გასული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და მეოთხე ადგილზე გასული ბელგია, მიუხედავად სიძლიერისა, არ იყვნენ ის გუნდები, რომელთა თამაშმა ყველაზე მეტყველი საღებავებით გაამდიდრა მსოფლიო ჩემპიონატის უზარმაზარი სურათი.

გაიხსენეთ წარსული ჩემპიონატები, უმალვე ის თამაშები მოგაგონდებათ, რომლებმაც თავის დროზე განსაზღვრა ნებისმიერი ჩემპიონატის სახე.

გავა დრო და, როცა გავიხსენებთ მექსიკის XIII ჩემპიონატს, ჩვენს გონებაში მაშინვე ამოტივტივდება ფინალური მატჩი არგენტინასა და გფრ-ს შორის, ბრაზილიისა და საფრანგეთის ნაკრებთა შეხვედრა... კიდევ რამდენიმე შესანიშნავი მატჩი და დაუვიწყარი ცალკეული ეპიზოდი, თუნდაც მარადონას მიერ გატანილი გოლი ინგლისის ეროვნული ნაკრების კარში.

იტალიური გაზეთი „კორიერე დელა სერა“ ბრაზილია-საფრანგეთის მატჩზე წერდა: „ორივე გუნდმა შეასრულა ჰიმნი თანამედროვე ფეხბურთის სადიდებლად“.

მე ჩემპიონატის მეორე ნახევარში ჩავედი მექსიკაში და, ბუნებრივია, თამაშების უმრავლესობა ტელევიზიით მაქვს ნანახი. მაგრამ დილიდან საღამომდე ვიდეოჩანაწერების ტრიალი, ჟურნალისტებთან და ფეხბურთის სპეციალისტებთან საუბარი, იქაური პრესისა და ტელევიზიის კომენტარი მაძლევს უფლებას აზრი გამოვთქვა იმ მატჩებზეც, რომლებიც მოედანზე არ მინახავს.

მაინც რამდენი უმშვენიერესი ცალკეული ეპიზოდი აღიბეჭდა ჩვენს გონებაში, რამდენიმე მატჩი კი თითქმის მთლიანადაც დაგვამახსოვრდა თავისი დრამატული სიუჟეტით თუ ელვარე ეპიზოდებით.

გავიხსენოთ თუნდაც ის მატჩები, რომლებიც დიდი ანგარიშებით დამთავრდა: სსრკ-უნგრეთი 6:0, დანია-ურუგვაი 6:1, ესპანეთი-დანია 5:1.

ერთი კანონზომიერებაც გავიხსენოთ: სამივე გამარჯვებულ გუნდს დიდ მსხვერპლად დაუჯდა ეს ტრიუმფი. საბჭოთა კავშირმა უნგრელებთან მატჩში თითქმის ამოწურა თავისი ენერგია, დანიამ ესპანეთთან გამანადგურებელი ანგარიშით წააგო, ესპანეთმა კი – გფრ-სთან.

გავიხსენოთ კიდევ ერთი, ფინალის ბადალი მატჩი ბრაზილიასა და საფრანგეთს შორის. მართალია, ამ ორთაბრძოლაში დიდი ანგარიში არ ყოფილა და თამაშის დამატებითი დროც

ფრედ დამთავრდა, მაგრამ ნერვული დაძაბულობა იმდენად დიდი იყო, რომ... მომდენო ეტაპზე საფრანგეთმა წააგო გერმანიასთან. წაგება წაგებაა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მოედანზე აღარ იყო ის საფრანგეთი, ბრაზილიის წინააღმდეგ რომ თამაშობდა.

ვფიქრობ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება მოვუთხრო, როგორი განწყობილება ჰქონდათ ფრანგებს გერმანელებთან თამაშის წინ.

ნერვული დაძაბულობა იმდენად დიდი იყო, პლატინიმ, როგორც თვითონ ამბობს, ბრაზილიელებთან პირველი პენალტი გააფუჭა თავის ცხოვრებაში. მიუხედავად ამისა, შეჯიბრების შემდგომ ეტაპზე გასვლის სიხარულმა ფრანგ ფეხბურთელებს დაღლილობა გადაავიწყა და ოპტიმიზმი და მხნეობა შემატა.

ბრაზილიასთან გამარჯვება პლატინის დაბადების დღეს დაემთხვა. მეორე დღეს კი თავისი დაბადების დღე ტიგანამ აღნიშნა.

გერმანული გაზეთი „კიკერი" წერდა: „როგორც ამბობენ, ამ ზეიმებზე ისეთი ზეაწეული განწყობილება სუფევდა, რომ ბოლოს ირგვლივ ნამცხვრის ნაჭრებს ისროდნენო. მაგრამ ეს მხოლოდ ჭორებია, რადგან გერმანელებთან მატჩის წინ ფრანგები სულ უფრო და უფრო გულჩახვეულნი ხდებიან!"

მართლაც, ფრანგების სიხარულმა მაშინვე გაიარა, როგორც კი გერმანელებთან შესახვედრად დაიწყეს მზადება.

პირველმა პატრიკ ბატისტონმა თქვა, გერმანელებთან ძალიან მძიმე მატჩი მოგველისო. შემდეგ თითქმის ყველანი ალაპარაკდნენ „სევილიის რევანშზე". ოღონდ, როგორც იგივე გაზეთი წერს, „რევანშის აღება გერმანიაზე კი არ უნდოდათ, არამედ ბედის უკუღმართობაზე, რომელიც ესპანეთის ჩემპიონატზე თან სდევდათ".

ერთადერთი, თურმე, პლატინი ირწმუნებოდა, სევილია აღარც კი მახსოვსო.

ლუი ფერნანდესმა პირდაპირ განაცხადა: „თუ გერმანელები მართლა ფიქრობენ, ფრანგებს ჩვენი ეშინიათო, ამაზე მხოლოდ მეცინება. ჩვენ ახლა უფრო ძლიერები ვართ, ვიდრე 1982 წელს ვიყავით. გერმანელები კი პირიქით. ჩემს სიმართლეში რომ დარწმუნდეთ, აქვე, მექსიკაში, ორივე გუნდის მიერ ჩატარებული თამაშების მანერა და ანგარიშები გააანალიზეთ. ჩვენ იტალია გამოვთიშეთ, ბრაზილიასაც ვძლიეთ, ჰოდა, გერმანელების რატომღა უნდა გვეშინოდეს?!“

ფრანგების მწვრთნელმა, მიშელ იდალგომ აზრი უფრო დიპლომატიურად ჩამოაყალიბა, თუმცა, ფაქტობრივად, იგივე თქვა: „გერმანიას ჰყავს ცალკეული ძლიერი ფეხბურთელები. ჩვენ კი მექსიკაში მხოლოდ იმიტომ ჩამოვედით, რომ მსოფლიო ჩემპიონები გავხდეთ. იტალიასა და ბრაზილიაზე ძლიერ გუნდებს აქ ვეღარ ვხედავ“.

მატჩის მოლოდინი დიდი იყო. როგორც პრესცენტრში გვითხრეს და შემდეგ იგივე ცნობა გაზეთში წავიკითხეთ, მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში საფრანგეთის ტელევიზია გაფიცული ყოფილა. ოღონდ, გაფიცვა თურმე არ ვრცელდებოდა მექსიკის ჩემპიონატის მატჩებზე, რომლებსაც ყოველგვარი შეფერხების გარეშე გადასცემდნენ.

ბრაზილიასთან თამაშმა თავისი მაინც თქვა. ფრანგები ამ დაძაბულ მატჩზე ძალიან დაიღალნენ, მაგრამ, შემდეგ, როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, დაღლილობა ყველაზე უფრო მაინც ვეტერანებს დაეტყოთ. მთელი ძალით ვეღარ ითამაშეს პლატინიმ, ტიგანამ, ჟირესმა.

ყველას გული დაგვწყვიტა მატჩის შემდეგ მიშელ იდალგოს მიერ წარმოთქმულმა სიტყვებმა: „ჩვენ ამ ჩემპიონატში ისეთი შანსი გავუშვით, ათ წელიწადში ერთხელ რომ მიეცემა გუნდს. ანი უკვე დიდხანს აღარ გვეყოლება ასეთი შეკრული, უმაღლესი კლასის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი“.

ბრძოლა მესამე ადგილისათვის პუებლაში გაიმართა. მოედანზე არ გამოსულან პლატინი და მისი ექვსი მეგობარი. ამით მათ განაცხადეს, რომ მექსიკაში მხოლოდ ჩემპიონობის მოსაპოვებლად ჩავიდნენ და არავითარი სხვა ადგილი სატურნირო ცხრილში არ აინტერესებდათ.

პლატინის კი არა, აღარც ჩვენ, გულშემატკივრებს, მიგვიწევდა გული პუებლასაკენ, სადაც მესამე ადგილის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო. სხვათა შორის, ზუსტად ასეთივე გრძნობა დაგვეუფლა ესპანეთშიც. ფინალის მოლოდინმა ისე დაგვძაბა ყველანი, რომ მესამე ადგილის მოსაპოვებელი მატჩისადმი ყოველგვარი ინტერესი დაგვეკარგა.

იქნებ მართალია ის ხალხი, ვინც მოითხოვა, მესამე ადგილისათვის ბრძოლას აზრი არა აქვს და გავაუქმოთო? ფიფამ ყურად იღო მათი წინადადება, თუმცა თავისი მოსაზრება ოფიციალურად არ გამოუთქვამს. მე ვინ მკითხავს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამ მატჩის გაუქმება გამართლებული არ იქნება. უბრალოდ, ესპანეთშიც და მექსიკაშიც მსგავს ფსიქოლოგიურ მოვლენებს შევეჯახეთ. ესპანეთშიც და მექსიკაშიც საფრანგეთი ბრაზილიასთან ერთად ჩემპიონობის უმთავრეს ფავორიტად გვესახებოდა. ამიტომაც, გფრ-სთან მათი მარცხით გულდაწყვეტილებს ფრანგებისათვის მესამე ადგილი ძალზე გვეცოტავებოდა. ვფიქრობ პუებლას მატჩისადმი ინტერესი ამ ფსიქოლოგიურმა მომენტმა გაანელა.

ოცნებას კაცი არ მოუკლავს და ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ოთხეულში არგენტინა, ბრაზილია, საფრანგეთი და დანია მოხვედრილიყვნენ, მაშინაც არ დაგვაინტერესებდა მესამე ადგილისათვის ბრძოლა? ვფიქრობ, ამ საკითხის ხელაღებით გადაწყვეტა არ შეიძლება.

ერთი კია, ფეხბურთის სპეციალისტებზე ფრანგების გაახალგაზრდავებულმა გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მიუხედავად იმისა, რომ მატჩი დამატებით დროში მოიგეს,

მათი უპირატესობა მთელი თამაშის განმავლობაში აშკარა იყო. გამოუყენებელი დარჩა უამრავი საგოლე მომენტი. მაყურებელი მოხიბლა ფრანგი ფეხბურთელების სწრაფმა კომბინაციებმა, მაღალმა ტექნიკამ. მართალია მათ თამაშს აკლდა ერთი მთლიანი დრამატურგია და ის ეპიზოდების გროვას უფრო წარმოადგენდა, მაგრამ ფრანგებმა ისეთ ძლიერ ფეხბურთელებთან, როგორიც ბელგიელები არიან, კიდევ ერთხელ დაამტკიცეს მაღალტექნიკური ფეხბურთის უპირატესობა.

ერთი სიტყვით, ფრანგების უმშვენიერესმა გუნდმა ფეხბურთის გულშემატკივართა ასეთი დიდი სიყვარული და სიმპათია მოიპოვა ჯერ კიდევ ესპანეთში, თუმცა ვერც იქ და ვერც მექსიკაში ვერ დაეუფლა ჩემპიონის გვირგვინს. და თითქოს ბედისწერა იყო, ამჯერადაც გერმანიამ გადაუღობა ფინალისაკენ მიმავალი გზა.

გულდაწყვეტილმა პლატინიმ თქვა, ვინ იცის, იქნებ კიდევ შევძლო მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში თამაშიო. პირადად მე ეჭვი მეპარება. კიდეც რომ შეძლოს, მიშელ იდალგოს პესიმისტური განაცხადი რომ გავიხსენოთ, ეყოლებათ კი მაშინ ფრანგებს ისეთი გუნდი, უმაღლესი ტიტული რომ მოიპოვოს?

ეტყობა, დიდ ფეხბურთელს იღბალიც უნდა დაჰყვეს. პელე სამჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ვფიქრობ, ფეხბურთის მეფეს იმანაც გაუმართლა, რომ ბრაზილიის დიდ გუნდში მოუწია თამაში. გავიხსენოთ, როგორი ფეხბურთელები გამოდიოდნენ მის გვერდით? დიდი, გარინჩა, ვავა, ჯალმა და ნილტონ სანტოსები, ზიტო, ბელინი, ჟაირზინიო, ტოსტაო, რიველინო, ჟერსონი... მე მგონი, კმარა!

რამდენმა დიდმა ფეხბურთელმა დატოვა სარბიელი ისე, რომ მსოფლიო ჩემპიონობაზე ოცნება ოცნებადვე დარჩა. თუნდაც დიდი, დი სტეფანო, სივორი, ანჯელილო, ეუსებიო, კუბილა, მაცოლა, რივერა, ფაკეტი, კოპა, საბჭოთა ფეხბურ-

თელებიდან – იაშინი, მესხი, მეტრეველი, ხურცილავა, ყიფიანი, ივანოვი, სტრელცოვი...

მექსიკის ჩემპიონატის შემდეგ ამ უიღბლოთა რიცხვს ჯერჯერობით მიემატნენ: პლატინი, ზიკო, სოკრატესი, ფალკაო, ჟუნიორი, რუმენიგე...

რას იზამ, კაცი, ეტყობა, ბედისწერას ვერ გაექცევი!

რა ხდებოდა ამ დროს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბანაკში?

ზეიმს ბოლო არ უჩანდა! ბეკენბაუერი მილოცვებს ვეღარ აუდიოდა.

გფრ-ის კანცლერი ჰელმუტ კოლი სპეციალურად ჩამოფრინდა ფინალურ მატჩზე დასასწრებად.

ამ მხრივ არგენტინელები გაცილებით მოკრძალებულად გამოიყურებოდნენ. მიუხედავად მიგელ დე ლა მადრიდის პირადი მიწვევისა, არგენტინიდან მხოლოდ კულტურის მინისტრი ჩამოფრინდა. მას ფეხდაფეხ მოჰყვა ხუთი ათასი არგენტინელი და ფინალურ მატჩზე მათმა საერთო რაოდენობამ 25 ათასს მიაღწია.

ფრანც ბეკენბაუერი ადრე უფრო მოკრძალებულ აზრებს გამოთქვამდა. ზემოთ უკვე ვთქვი, რომ მან შეაგუა გერმანელი გულშემატკივრები აზრს, მიზნად მხოლოდ ოთხეულში გასვლას ვისახავთო.

ფრანგებთან მატჩის შემდეგ კი უკვე მეორე ადგილი ჰქონდათ განაღდებული. მადა ჭამაში მოდისო, ნათქვამია. მაშ, რატომ არ უნდა გასჩენოდათ იმედი, რომ ჩემპიონობასაც მოიპოვებდნენ? ბოლოს და ბოლოს, არგენტინა ხომ არც საფრანგეთი იყო და არც ბრაზილია, პირველივე დღიდან გამოკვეთილ ფავორიტებად რომ ითვლებოდნენ!

„დიდებულია! – განაცხადა მატჩის შემდეგ ბეკენბაუერმა, – უბრალოდ, სიტყვები არ მყოფნის აღტაცების გამოსახატავად. საფეხბურთო გერმანიას შეუძლია იამაყოს თავისი გუნ-

დით. თავი არავის დაუზოგავს. მხოლოდ თავგანწირული თამაშით შეიძლებოდა ფინალში გავსულიყავით. მეორე ტაიმში რომ უფრო ავმოძრავდით და ლამის უკანასკნელ წუთებში გავამძაფრეთ შეტევა, ჩვენი ტაქტიკა იყო. როლფმა აშკარად დაჯაბნა პლატინი".

ცნობილმა გერმანელმა მწვრთნელმა, ჰანეს ლიორმა კმაყოფილებით აღნიშნა: „ორი აზრი არ არსებობს, გამარჯვება დამსახურებული იყო. ჩვენ უკეთესები იმიტომ ვიყავით, რომ ფრანგებს თამაში არ დავანებეთ".

მინდა მკითხველმა ყურადღებით წაიკითხოს ბუნდესლიგის ერთ-ერთი მწვრთნელის, ჰანეს ბონგარცის სიტყვები: „ქებათა ქება ჩვენს გუნდს. პირველ ტაიმში ჩვენმა ბიჭებმა ისეთი ფეხბურთი ითამაშეს, ბრაზილიელები და ფრანგები რომ თამაშობდნენ ხოლმე. ახლა ჩვენ ფინალის მოგება შეგვიძლია".

ვფიქრობ, საგულისხმო და ბევრის მთქმელი ფრაზაა: „ბიჭებმა ისეთი ფეხბურთი ითამაშეს, ბრაზილიელები და ფრანგები რომ თამაშობენ ხოლმე".

ადრე ვთქვი, „ადიდასმა" დაგვპატიჟა-მეთქი. იქ, წვეულებაზე, შესანიშნავი გერმანელი ფეხბურთელი, ნაკრების ყოფილი წევრი პაულ ბრაიტნერი ვნახეთ. გულღია ახალგაზრდა კაცმა ჩვენთან სურათებიც გადაიღო და არც საუბარს დაგვზარდა.

– თქვენ მაინც რას ფიქრობთ, ფინალში ვინ გაიმარჯვებს? – ვკითხეთ ჩვენ.

– ძნელია რაიმეს თქმა. ფსიქოლოგიური უპირატესობა კი მაინც გერმანელების მხარეს არის. – გვითხრა ბრაიტნერმა, – ჩემპიონატის წინ ბეკენბაუერისა და მისი ბიჭების ამოცანა იყო, ოთხეულში მოხვედრილიყვნენ. პრობლემა წარმატებით გადაჭრეს, ფინალში გავიდნენ. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ჩვენს გუნდს შუმახერის გარდა არ ჰყავს მსოფლიო კლასის მოთამაშე. რუმენიგე, ფიოლერი და ლიტბარსკი, მო-

გეხსენებათ, არ არიან ფორმაში. ამიტომ ისინი უფრო თავისუფლად და აუღელვებლად ითამაშებენ. არგენტინელები კი წინასწარ ზეიმობენ გამარჯვებას. მარადონამ უნდა დაამტკიცოს, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდი ფეხბურთელია. თანაც უნდა დაამტკიცოს ფინალში, თორემ წყალში გადაიყრება მისი მართლაცდა გენიალური თამაში.

– რა აზრისა ხართ მარადონაზე? – ვკითხეთ ჩვენ, – შეიძლება თუ არა იგი პელეს შევადაროთ?

– მარადონა თითქმის მთელი გუნდია. პელეს გვერდით ჰყავდა დიდებული ფეხბურთელები. ამიტომაც მარადონა გუნდისათვის უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე პელე. თუმცა, პელე და ჯანი რივერა ჩემთვის სანიმუშო ფეხბურთელები არიან. ისინი ხომ ბურთს სრულყოფილად ფლობდნენ.

ოპტიმიზმი გამარჯვებას მოაქვს. რაღა სახსენებელი იყო, პირველსავე წუთებში ფრანგების მეკარეს როგორ გაუვარდა ბურთი ხელიდან და როგორ გავიდა პირველი გოლი.

ბუნებრივია, ბეკენბაუერიც კითხულობდა იმ გაზეთებს, საიდანაც ჩვენ ვეცნობოდით სპეციალისტებისა და ჟურნალისტების პროგნოზებს.

ბელგიელთა მწვრთნელმა გი ტისმა ჯერ კიდევ ადრე თქვა: „მომეცით მარადონა და მსოფლიო ჩემპიონი ჩვენ ვიქნებით“.

ფინალური მატჩის წინ კი ტისმა კატეგორიულად განაცხადა: „იოტისოდენადაც არ მეეჭვება, რომ გაიმარჯვებს არგენტინა. როგორი ძლიერიც უნდა იყოს გერმანიის გუნდი, მარადონა და მისი პარტნიორები აუცილებლად მიაღწევენ მიზანს“.

მარადონას პრობლემა მართლაც გადასაჭრელი ჰქონდა „კაიზერს“. იგი დუმდა, საიდუმლოს არ ამხელდა. მხოლოდ ერთხელ განუცხადა ჟურნალისტებს, მარადონას საწინააღმდეგო საშუალებასაც გამოვნახავთო. მაგრამ საიდუმლო ბო-

ლომდე მაინც ვერ დაიცვა. „მარადონას პერსონალურ მეურვეობას გაუწევს მათეუსი," – განაცხადა ბოლოს მან.

მაშ, ვინ იქნება დირიჟორი? – ბუნებრივად დაისვა ასეთი შეკითხვა.

„ალბათ, გუნდის ვეტერანი ფელიქს მაგატი, რომელმაც კარგად ითამაშა ფრანგებთან," – გვითხრა პრესცენტრში ცნობილი გერმანული ჟურნალის „კიკერის" რედაქტორმა კარლ-ჰაინც ჰაიმანმა.

„მარადონამ, – თქვა პელემ, – მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელობაზე რომ ოცნებობს, მეეჭვება გერმანელების წინააღმდეგაც ისე თავისუფლად იმოქმედოს, ბელგიელებთან რომ თამაშობდა".

ცოტა გაღიზიანებული გამონათქვამი ხომ არ გამოუვიდა ფეხბურთის მეფეს? მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ერთი სიტყვით, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ მთელი მსოფლიო დაძაბული ელოდა 29 ივნისს, ფინალური მატჩის დღეს.

არგენტინა ისეთი სიმპათიებით არ მისულა ფინალამდე, როგორითაც ბრაზილიისა და საფრანგეთის გუნდები სარგებლობდნენ. ძირითადი კაპიტალი მან, თანაც მარადონას წყალობით, ინგლისისა და ბელგიის ნაკრებებთან მოგებული მატჩებით დააგროვა.

გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ კი თავისი „ბრჭყალები" მხოლოდ საფრანგეთის ნაკრებთან გამოაჩინა.

თუმცა, ფინალის წინ გერმანიას ძალზე ბევრი გულშემატკივარი გამოუჩნდა. ისინი, რასაკვირველია, ძირითადად ევროპელები იყვნენ, მაგრამ მარტო ევროპელობით არ განისაზღვრებოდა ეს სიმპათიები.

საოცარია, მაგრამ მეოცე საუკუნის მიწურულშიც თურმე ძალზე ბევრს ნიშნავს ადამიანის ფიზიკური სილამაზე.

ამერიკაში მიმტკიცებდნენ, თავის დროზე პრეზიდენტად ჯონ კენედის არჩევა დიდწილად განაპირობა ჟაკლინ კენედის სილამაზემო.

თუ მაშინ ამ მტკიცებას დუმილით და ღიმილით ვხვდებოდი, ბეკენბაუერის მაგალითის შემდეგ კი ნამდვილად ვიწამე.

ბუნებრივია, ფინალის წინ საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები ვეკითხებოდით ერთმანეთს, თუ ვისი გულშემატკივრები ვიყავით.

მე მტკიცედ ვაცხადებდი, არგენტინელებს ვუჭერ მხარსმეთქი.

– მერე, ბეკენბაუერი არ გეცოდება? – მპასუხობდნენ მოწინააღმდეგენი.

ხედავთ, გფრ-ის გუნდი კი არა, ბეკენბაუერი არ გეცოდებაო?!

თანდათან უფრო მაღიზიანებდა მოწინააღმდეგეთა ზემოთ მოტანილი სტერეოფრაზა.

– მე აქ ლამაზი ფეხბურთის სანახავად ჩამოვედი და არა ბეკენბაუერის მხარდასაჭერად. მიმაჩნია, რომ არგენტინული ფეხბურთი უფრო მრავალმხრივია, შემოქმედებითია, თუ გნებავთ, უფრო რომანტიკულიცაა. მასში მეტია ფანტაზია, მახვილგონიერება, ვირტუოზული ტექნიკა და, საერთოდ, ხელოვნების სიმაღლემდე ასული თვისებები, რასაც ვერ ვხედავთ გერმანიის რაციონალურ, ანგარიშიან ფეხბურთში! – ვუთხარი, სხვათა შორის, „კიკერის" რედაქტორ ჰაიმანს.

„კაიზერმა" ალბათ იცოდა თავისი თავის ფასი და ყოველთვის გამორჩეულ ადგილზე ჯდებოდა, რომ, რაც შეიძლება შთამბეჭდავად გამოჩენილიყო ტელევიზორების ეკრანებზე.

ერთი სიტყვით, ფინალის წინა დღეს ვნებათაღელვამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია.

ვერც დაძინება შევძელი დიდხანს.

მაინც, ვინ გაიმარჯვებს, ვინ გახდება მსოფლიო ჩემპიონი?

რასაკვირველია, არგენტინა, მხოლოდ არგენტინა! – ვამბობდი მტკიცედ.

უცებ ერთი ეპიზოდი გამახსენდა.

ბელგიასთან თამაშის შემდეგ სტადიონიდან ერთად გამოვედით მე და „პრავდის" კორესპონდენტი ლევ ლებედევი. სტადიონის გარშემო ტერიტორია მთლიანად სუვენირების ბაზრად იყო ქცეული.

უნებურად იმ გამყიდველთან მივედით, არგენტინის ეროვნული ნაკრების ლურჯზოლებიან თეთრ მაისურს რომ აფრიალებდა.

– რა ღირს? – ჰკითხა ლებედევმა.

– სამი ათასი პესო (ექვს დოლარზე მეტი)! – გვითხრა გამყიდველმა და მაისური ხელში მოგვაჩეჩა.

გვეძვირა, წასვლა დავაპირეთ.

– იყიდეთ სინიორებო, არ ინანებთ. ფინალის შემდეგ არგენტინის მაისურები სულ ცოტა ორჯერ მაინც გაძვირდება!

– სწორს ამბობს ეს კაცი! – ვუთხარი კოლეგას, – თუ მყიდველები ვართ, ბარემ ახლავე ვიყიდოთ-მეთქი.

მაისურები შევიძინეთ და პრესცენტრისაკენ მიმავალ სპეციალურ ავტობუსში ავედით. ყველამ ჩვენ შემოგვხედა. საკითხავი და გასარკვევი არაფერი იყო. ახლად შეძენილ მაისურებზე მიხვდნენ, ვისი გულშემატკივრებიც ვიყავით.

9

– დღეს თქვენ უკვე მეორე პელე ხართ! – უთხრა ერთმა ჟურნალისტმა დიეგო მარადონას ინგლისელებთან მატჩის შემდეგ.

– თქვენ უკვე ფეხბურთის მეფე ხართ! – დაამატა მეორემ.

– მე არც მეორე პელე ვარ და არც ფეხბურთის მეფე. მე ვარ დიეგო არმანდო მარადონა!

პრესკონფერენციის მასალები, სადაც არგენტინელთა კაპიტნის ეს პასუხი იყო მოთავსებული, იმავე დღეს წავიკითხე პრესცენტრში.

ფურცელზე დაბეჭდილი სიტყვები ყოველთვის სრულფასოვნად როდი გადმოგვცემს ამ სიტყვებში ჩადებულ შინაარსს. საინტერესო იყო, მარადონამ როგორი ინტონაციით წარმოთქვა ზემოთ მოტანილი ფრაზა. პირადად ჩემთვის დღესაც გაუგებარია, ეს იყო თავმდაბალი კაცის მოკრძალებული გამონათქვამი თუ პირიქით, განცხადება ამაყი კაცისა, რომელსაც მტკიცედ სჯერა თავისი დიდი ფეხბურთელობა და უნდა, მსოფლიო ფეხბურთში სიდიდის გამომხატველი ახალი ერთეული დაამკვიდროს!

ბელგიასთან თამაშის შემდეგ ბევრმა გაზეთმა პირველი გვერდი მთლიანად დაუთმო მარადონას პორტრეტს, ქვეშ კი მოკლე და ძალზე ტევადი წარწერა გაუკეთეს: „მარადონა რეი“ („მეფე მარადონა“).

მაგრამ წინ იყო ფინალური შეხვედრა.

მარადონას სახელი უკვე ყველას პირზე ეკერა. მას, როგორც ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელს, კარგა ხანია ჩამოსცილდნენ და დიდებაში აღარ ეცილებოდნენ ნამდვილად უბრწყინვალესი ფეხბურთელები პლატინის მეთაურობით.

მაგრამ მარადონა ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის სახელის მოსაპოვებლად აღარ იბრძოდა (ეს სახელი მაშინ მოიპოვა, ინგლისელთა კარში მეორე გოლი რომ გაიტანა), ის უფრო მაღლა, ფეხბურთის მეფის ტახტისაკენ მიიწევდა. მიიწევდა მარტოდმარტო. შემცილებელი აღარავინ ჰყავდა.

მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, წინ ფინალი იყო.

გავიხსენოთ ბრაიტნერის სიტყვები: „მარადონამ უნდა დაამტკიცოს, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდი ფეხბურთელია; თანაც, უნდა დაამტკიცოს ფინალში, თორემ წყალში გადაიყრება მისი მართლაცდა გენიალური თამაში“.

უმშვენიერესი გამოსვლა, ნამდვილი ორატორული ნიმუში მოუქნელ ბოლო ფრაზას ბევრჯერ უქცევია ჩვეულებრივ სიტყვად, მხოლოდ უბრალო ტაშით შეუფასებია მსმენელს. ხშირად კი უხეირო, მაგრამ ბოლოში ეფექტური ფრაზებით დაგვირგვინებულ გამოსვლას მქუხარე ტაში მოჰყოლია.

ბუნებრივია, თვით მარადონამ მშვენივრად იცოდა, ბოლო აკორდი ელეგანტური და მძლავრი უნდა ყოფილიყო.

ისევ პელეს სიტყვები გავიხსენოთ: „მარადონამ, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელობაზე რომ ოცნებობს, მეეჭვება გერმანელების წინააღმდეგ ისე თავისუფლად იმოქმედოს, ბელგიელებთან რომ თამაშობდა".

არ ვიცი, პელეს მხრიდან რამდენად ტაქტიანი იყო ფინალის წინ პრესაში ასეთი აზრის გამოქვეყნება. და, საერთოდ, პელემ ახლა კი არა, ესპანეთის ჩემპიონატის პერიოდშიც რამდენჯერმე უდიერად მოიხსენია მარადონა. გაცოფებულმა არგენტინელმა ჟურნალისტებს განუცხადა, რა უნდა ამ კაცს ჩემგან, რას გადამეკიდა! ეტყობა, განიცდის, თვითონ რომ აღარ თამაშობს ფეხბურთს და სახელი ჩემი ლანძღვით უნდა მოიპოვოსო.

იქნებ მართალიც იყო მარადონა?

პელე ჭკვიანი კაცია და იქნებ თავიდანვე იგრძნო, რომ ფეხბურთის მეფის ტახტს ღირსეული პრეტენდენტი გამოუჩნდა?

ვინ იცის, ფინალური მატის წინა ღამეს როგორ ღელავდა მარადონა. 29 ივნისს „აცტეკას" სტადიონზე მას არა მარტო თვითონ უნდა ეთამაშა კარგად, არამედ გუნდს წინ უნდა გასძღოლოდა, როგორც ღირსეული კაპიტანი. მარადონამ იცოდა, რომ კარგი თამაში, რასაკვირველია, კარგ თამაშად დარჩებოდა, მაგრამ მისი ტალანტის ელვარებას ბევრი რამ დააკლდებოდა, თუ არგენტინა მსოფლიო ჩემპიონობას ვერ მოიპოვებდა.

მეშინია, ისე არ გამომივიდეს, თითქოს მსოფლიო ჩემპიონობა მარადონას მხოლოდ თავისი დიდებისათვის სჭირდებოდა. უბრალოდ, მინდოდა მკითხველისათვის მეგრძნობინებინა, დაახლოებით როგორი განცდებით იქნებოდა აღსავსე ფინალის წინა ღამე არგენტინელთა კაპიტნისათვის. მარადონამ ხომ არაფერი დაიშურა თავისი გუნდისათვის. „ნაპოლის“ ხელმძღვანელებმა მარადონას აუკრძალეს არგენტინაში გამგზავრება და თან უზარმაზარი ფულადი ჯარიმით დაემუქრნენ. მან კი, როგორც თავისი ქვეყნის ჭეშმარიტმა პატრიოტმა, თანხმობა განაცხადა უზარმაზარი ჯარიმის გადახდაზე და არგენტინაში გაემგზავრა. არგენტინელთა კაპიტნის ასეთი მოქმედება უკვე მის პიროვნულ და მოქალაქეობრივ თვისებებს წარმოაჩენს. სულ მთლად პატარა ბიჭი, რომელიც თავიდანვე დიდ სარეკლამო და ფინანსურ საქმიანობაში ჩაეფლო, განვლილ ოთხ წელიწადში მარტო დიდ ფეხბურთელად კი არა, ჩინებულ მოქალაქედაც ჩამოყალიბებულა.

მარადონას რა გაემტყუნება, მღელვარებისაგან მეც გამიტყდა ძილი. თუმცა, ეჭვი არ მეპარებოდა, რომ არგენტინა მოიგებდა.

ბეკენბაუერის გუნდის უფერულმა თამაშმა თვით გერმანელ გულშემატკივრებსაც გაუცრუა იმედები. მაროკოსთან თამაშის დროს, როგორც გაზეთი „ბილდი“ წერდა, სამ მილიონ ოჯახში გამოურთავთ ტელევიზორი. თანაც სტატისტიკამ ვერ აღრიცხა იმ ტელევიზორების რაოდენობა, რომელთა პატრონებსაც მატჩის გადაცემის დროს ჩაეძინათ და ტელევიზორი ამიტომ ვერ გამორთესო, – დასძენდა ირონიულად გაზეთი.

ასე იყო თუ ისე, გერმანია ფინალში გავიდა. მისმა წარმატებამ ისევ აალაპარაკა საფეხბურთო სამყარო. გაიხსენეს გერმანელთა ძველი დიდება და ბეკენბაუერის გუნდის უფერულ გამოსვლებს გამართლებაც მოუნახეს. თითქოს ეს

იყო გერმანელთა გაანგარიშებული, კარგად გაზომილი და კიდევ უკეთ აწონილი მოქმედება. თითქოს ისინი განგებ ცდილობდნენ თავიდანვე არ მიექციათ ჩემპიონობისათვის მებრძოლ გუნდთა ყურადღება, თითქოს ჩრდილში იდგნენ და „სანგრიდან" მხოლოდ ფინალის წინ, ფრანგებთან თამაშის დროს ამოვიდნენ.

მე არა მარტო მჯეროდა არგენტინელთა გამარჯვება, არამედ მინდოდა მსოფლიო ჩემპიონობა მარადონას გუნდს მოეპოვებინა. მინდოდა იმიტომ, რომ თუ კაცს ფეხბურთი ნამდვილად გიყვარს, მაშინ ნამდვილი ფეხბურთი ისაა, რასაც ბრაზილიელები, არგენტინელები, ფრანგები და იტალიელები (ან ოდესღაც ურუგვაელები) თამაშობენ. ყველა დებულებას აქვს თავისი მათემატიკური გამოხატულება. მსოფლიოს ცამეტი ჩემპიონიდან ათჯერ აქ ჩამოთვლილმა გუნდებმა (საფრანგეთის გარდა) მოიპოვეს მსოფლიოში უძლიერესის სახელი.

როცა გერმანიის გუნდის მიმართ ჩემს სიმპათია-ანტიპათიებს გამოვხატავ, მარტო მათ დღევანდელ ნაკრებს ვგულისხმობ. განა არ ვგულშემატკივრობდით იმ გუნდს, რომელშიც ბეკენბაუერი თამაშობდა?!

ჩემი აზრით, მიუღებელია ის ტენდენციები, რაც დღეს გერმანულ ფეხბურთში ვითარდება. აი, რა განაცხადა ჩემპიონატის დაწყებამდე გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა და ფიფას ვიცე-პრეზიდენტმა ჰერმან ნოიბერგერმა (მინდა შეგახსენოთ ისიც, რომ სწორედ ნოიბერგერი გახლდათ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე): „ვერ ვიტყვი, რომ ფეხბურთის თამაშის საერთო დონემ დაბლა დაიწია და ხარისხი გაუარესდა, მაგრამ, ვფიქრობ, რომ რომანტიკული ფეხბურთის დრო ისტორიის კუთვნილება გახდა. ინდივიდუალური თამაში და მოთამაშეებიც შედარებით იშვიათად გვხვდება. დღესდღეო-

ბით ფეხბურთელთა მოქმედება ზუსტ ტაქტიკურ სქემებს დაექვემდებარა. ლათინური ამერიკის ქვეყნებში ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელები დიდად ფასობენ, მაგრამ ლათინური ამერიკის გუნდებმაც ბოლო წლებში ევროპელებს წაბაძეს. აქედან გამომდინარე, ინდივიდუალისტ ფეხბურთელთა „პირადი" კონტაქტები ბურთთან მინიმუმამდე შემცირდა. სახე იცვალა ლათინური ქვეყნების გუნდების თამაშის სტილმაც. რასაკვირველია, მთლად ევროპული არ გამხდარა, მაგრამ ლათინურამერიკულსა და ევროპულს შორის ისინი სადღაც შუაში შეჩერდნენ".

არ ვიცი, ვინ როგორ, მაგრამ მე პირადად ვერასოდეს ვერ გავიზიარებ ბატონი ნოიბერგერის ამ მოსაზრებებს.

ის რომ სპორტული ჟურნალისტი ან საფეხბურთო მიმომხილველი იყოს, ან თუნდაც საშუალო რანგის სპეციალისტი, მის სიტყვებს და დებულებებს არც მიაქცევდა კაცი ყურადღებას. მაგრამ ნოიბერგერი ხომ მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფეხბურთო სახელმწიფოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და ფიფას ვიცე-პრეზიდენტია!

მადლობა ღმერთს, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატმა სრულიად საწინააღმდეგო დაამტკიცა.

მადლობა ღმერთს, რომ სწორედ გერმანიასა და არგენტინას შორის გადაწყდა თეორიული დავა ტექნიკური, რომანტიკული ფეხბურთის სასარგებლოდ.

ბარემ აქვე მოვიტან ნაწყვეტს ნიკოლაი სტაროსტინის სტატიიდან, რომელიც, სხვათა შორის, ბოლოსათვის მქონდა შემონახული:

„ჩემი გაგებით, ფეხბურთმა დიდად მოიგო, არგენტინისნაირი ჩემპიონი რომ შეიძინა... ამ გუნდში იგრძნობა შემოქმედებითი საწყისი, რწმენა ვირტუოზობისა და ყოველი მოთამაშის თვითგამოვლენისა, ტექნიკური ილეთებისა და მოწინააღმდეგის მოტყუების მეშვეობით. გუნდს აქვს ვარს-

კვლავების კულტი, ის, თუ გნებავთ, რომანტიკული გუნდია. იმასაც დავძენ, რომ ასეთი ფეხბურთი სასიამოვნო საყურებელია, ამიტომაც მოსწონს იგი მაყურებელს, ამიტომაც უფრო ახლოა მის გულთან.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ჩემპიონი გფრ-ის ნაკრები გამხდარიყო. მაშინ ჩვენ მსოფლიოს პირველ გუნდს დამსახურებად ჩავუთვლიდით გეგმაზომიერებას, სქემისა და სტანდარტის ერთგულებას, მწვრთნელისადმი უსიტყვო მორჩილებას და სიმკაცრეს. სხვათა შორის, ფეხბურთში სიმკაცრიდან სისასტიკემდე სულ ნახევარი მეტრია“.

ვფიქრობ, ნიკოლაი სტაროსტინმა შესანიშნავად გამოთქვა ფეხბურთის ყველა ჭეშმარიტი ქომაგის სათქმელი.

ჩემი მექსიკური შთაბეჭდილებები დეტექტიური ნაწარმოები როდია, რომ დახლართული კვანძი ფინალში გაიხსნას. ეს კვანძი მარადონამ და მისმა გუნდმა უკვე გახსნეს 1986 წლის 29 ივნისს და ანგარიშიც სამხრეთ ამერიკასა და ევროპას შორის 7:6 გახდა.

10

როგორც იქნა, გათენდა 29 ივნისიც. 9 საათზე უკვე სტადიონისაკენ გავემგზავრეთ. საათ-ნახევარს მოვუნდით „აცტეკას“ მისადგომებთან მისვლას. შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერებული, საგულდაგულო ჩხრეკა და ბოლოს, როგორც იქნა, მივაღწიეთ პრესლოჟას. ჩვენ წინ, სხვა მატჩებთან შედარებით კიდევ უფრო დიდებული სანახაობა გადაიშალა. სტადიონის ტრიბუნები კვლავ ახალი ნახატებით და ფიგურებით იყო მოხატული და მორთული. ვერცერთი გაოცებას ვერ ვმალავდით, მატჩიდან მატჩამდე რამდენიმედღიან შუალედში როგორ ასწრებდნენ ამოდენა სტადიონის ტრიბუნების ხელახლა მოხატვას.

ბოლოს დადგა ის ნანატრი წუთიც, ოთხ წელიწადში ერთხელ რომ დგება ხოლმე. გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა.

მოგახსენებთ გუნდების შემადგენლობებს.

არგენტინა: პუმპიდო, კუსიუფო, ბრაუნი, რუჯერი, ოლარტიკოეჩეა, ჯუსტი, ბატისტა, ენრიკე, მარადონა, ბურუჩაგა (ტრობიანი, 89), ვალდანო.

გერმანია: შუმახერი, ბერთოლდი, იაკობსი, ფიორსტერი, ბრიგელი, მათეუსი, ბრემე, მაგატი (ჰიონესი, 62), ედერი, რუმენიგე, ალოფსი (ფიოლერი, 46).

მსაჯი: რომუალდო არპი ფილიო (ბრაზილია).

თავიდანვე ნათელი გახდა, არგენტინელები იმავე ტაქტიკით თამაშობდნენ, ინგლისელებისა და ბელგიელების წინააღმდეგ რომ ითამაშეს. კერძოდ, რუჯერი და კუსიუფო მჭიდროდ ეთამაშებიან თავდამსხმელებს, ბრაუნმა კი ისევ თავისუფალი მცველის („მწმენდავის“) ადგილი დაიჭირა. დანარჩენებისათვის არგენტინელთა მწვრთნელს კარლოს ბილარდოს კონკრეტული დავალება არ მიუცია. ფეხბურთელებს მოედანზე თვითონ უნდა შეეფასებინათ სიტუაცია და ისე ემოქმედათ, როგორც გუნდის ინტერესები მოითხოვდა.

მაგრამ „ისე უნდა ემოქმედათ“ არ ნიშნავს, რომ გარკვეული სიტუაციებისათვის მწვრთნელს არ ჰქონდა დამუშავებული სხვადასხვა ტაქტიკური სქემები. მაგალითად, არგენტინელებს საგანგებოდ ჰქონდათ შემუშავებული სქემა, თუ რა უნდა მოემოქმედათ ბურთის დაკარგვის შემთხვევაში. თავდამსხმელები, მათ შორის მარადონაც და ვალდანოც, უმალ იხევდნენ უკან თავისუფალი პოზიციების გადასაკეტად. ბურთის ხელში ჩაგდების შემთხვევაში კი დიდი სისწრაფით იწყებდნენ შეტევითი პოზიციების დაკავებას. მარადონას და მის თანამებრძოლებს შეეძლოთ ეწარმოებინათ სწრაფი, ელვისებრი კონტრშეტევები, მაგრამ თუ გადაცემას გაგრძელება არ ჰქონდა და უპერსპექტივო იყო, ისიც შესანიშნავად

შეეძლოთ, ბურთი დიდხანს ეგორებინათ, სანამ მწვავე გაგრძელებას არ მონახავდნენ.

ბეკენბაუერმა მარადონას წინააღმდეგ ბრძოლა მართლაც მათეუსს დაავალა. მათეუსი, სხვათა შორის, კარგი დისპეჩერიცაა, მაგრამ სრულიად ობიექტური მიზეზების გამო ის დისპეჩერობისათვის ვეღარ მოიცლიდა. ამიტომაც გამთამაშებლის, დირიჟორის ფუნქციები გამოცდილ ვეტერანს, ფელიქს მაგატს დაეკისრა.

მათეუსმა ერთი შეხედვით თითქოს შეასრულა დავალება. მარადონას შესაჩერებლად უხეშობასაც არ თაკილობდა, მაგრამ მაინც ძვირად დაუჯდათ გერმანელებს მარადონას დაჭერა.

არგენტინელთა კაპიტანმა უკან დაიხია. მას თან მიჰყვა მათეუსი და რიგრიგობით რამდენიმე მოთამაშე: გერმანელები მარადონას მაინც ვერ ტოვებდნენ მხოლოდ მათეუსის ანაბარა. მარადონას უკან დახევამ და მისი ოპონენტების ცენტრში შეტყუებამ ფლანგებზე ხელ-ფეხი გაუხსნა ვალდანოსა და ბურუჩაგას. არგენტინელთა გოლები ლოგიკური შედეგი იყო მათი სწორი სტრატეგიისა.

პირველი გოლი გერმანელთა კარში მცველმა ბრაუნმა თავით გაიტანა. გაზეთები წერდნენ, შუმახერმა შეცდომა დაუშვა, წინ დაუფიქრებლად გამოვიდა და ბურთს იმიტომ ვერ მისწვდაო.

არ არის მართალი.

ბურთი იმდენად ოსტატურად იყო ჩაკიდებული საჯარიმო მოედანზე და მან მოკლე მანძილზე ტრაექტორიის ისეთი მაღალი მრუდი მოხაზა, რომ გოლი სწორედ ვირტუოზულად ჩაწოდებული პასის შედეგი იყო და არა შუმახერის შეცდომისა. პრესცენტრში, ვიდეოზე, ბევრჯერ დავატრიალეთ ეს ეპიზოდი. ჩაწოდების ადგილიდან ბრაუნის თავამდე თუმცა

საკმაო მანძილი იყო, მაინც წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა ამ მონაკვეთზე ბურთის ასეთი მკვეთრი მრუდით ჩაკიდება.

მეორე ტაიმის მე-6 წუთზე მარადონამ სამსვლიანი კომბინაცია წამოიწყო და ვალდანომ მართლაც დიდოსტატური გოლი გაიტანა კარის მარცხენა კუთხეში.

62-ე წუთზე ბეკენბაუერმა მაგატი შეცვალა. მიხვდა, ვეტერანმა ვერ გაართვა თავი დირიჟორის ფუნქციებს. მის ნაცვლად მოედანზე ჰიონესი გამოუშვა. მათეუსმა მარადონას მეურვეობა ფიორსტერს გადააბარა და მაგატის სადისპეტჩერო ფუნქციები თვითონ იკისრა.

ასე იყო თუ ისე, გერმანელების შეტევები გამწვავდა და გახშირდა.

ვფიქრობ, არგენტინელებმა ნაადრევად ჩათვალეს თამაში მოგებულად და იერიშები საგრძნობლად შეანელეს. სხვათა შორის, მათ ანალოგიური შეცდომა მოუვიდათ ინგლისელებთან, რისთვისაც დაისაჯნენ კიდეც. გერი ლინეკერმა გაქვითა ერთი ბურთი, რითაც ჩემპიონატის ბომბარდირის წოდებაც მოიპოვა.

და აი, ბრემეს მიერ ჩამოწოდებული ორი კუთხური. ჯერ რუმენიგემ გაიტანა თავით (74-ე წუთზე), შემდეგ ფიოლერმა (83-ე წუთზე).

აქ დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. გერმანელებს რეალური იმედი გაუჩნდათ თამაშის მოგებისა, მაგრამ მარადონამ უმალვე დააცხრო მათი ვნებანი. მოულოდნელად ბურუჩაგას ისეთი პასი მიაწოდა, 130 ათას კაცს აღტაცების შეძახილი აღმოხდა.

ბურუჩაგა გერმანელთა საჯარიმო მოედანზე შეიჭრა და ბურთი შუმახერისაგან მარჯვენა დაბალ კუთხეში გაიტანა. ვალდანოსა და ბურუჩაგას ბურთები ტყუპისცალივით ჰგავდნენ ერთმანეთს, ოღონდ ისეთი ტყუპებივით, ერთი რომ დედას ჰგავს და მეორე მამას. ორივემ გარედან შემოატარა

ოსტატურად დარტყმული მოჭრილი ბურთი შუმახერს, ორივემ შორეულ (ერთმა მარჯვენა, მეორემ მარცხენა) კუთხეში გაახვია იგი.

ბოლო წუთებში იყო კიდევ ერთი რეალური საგოლე მომენტი, როცა მარადონა გერმანელთა საჯარიმო მოედანზე შეიჭრა. ის შუმახერმა და ერთ-ერთმა მცველმა მოცელეს. მსაჯმა კი პენალტი არ დანიშნა, რადგან თურმე ადრე აღუნიშნავს მარადონას წინააღმდეგ უხეში თამაში.

სხვათა შორის, გერმანელების მიერ არგენტინელთა კარში გატანილ ბურთებზე არაფერი დაწერილა. მე მინდა მკითხველს ჩემი აზრი მოვახსენო ამ გოლებზე. სანამ გერმანელები გოლებს გაიტანდნენ, არგენტინელთა ცენტრალურ მცველს, ბრაუნს ლავიწის ძვალი გაუტეხეს. პირველი სამედიცინო დახმარების შემდეგ მან სთხოვა ბილარდოს, დაუყოვნებლივ გაეყვანათ მინდვრიდან. ბილარდომ არ შეცვალა თავისი ცენტრალური მცველი, თუმცა აშკარა იყო, რომ ბრაუნს თამაში აღარ შეეძლო. მას მარცხენა მოკეცილი ხელი მჭიდროდ ჰქონდა მუცელზე მიბჯენილი, ჩვეულებისამებრ ველარც დარბოდა და მაღლა ხომ ვერა და ვერ ხტებოდა. მოედნიდან ორჯერ-სამჯერ კიდევ ანიშნა მწვრთნელს, შემცვალეო. ბილარდო გაჯიუტდა და დაშავებული ბრაუნი მაინც არ გამოცვალა. ჩემი აზრით, ეს აშკარა შეცდომა იყო. ბრაუნი თვითონ ხომ ველარ თამაშობდა, თანაგუნდელებსაც აბნევდა, ორიენტაციას აკარგვინებდა. პოზიციას, ფაქტობრივად, ტყუილად იჭერდა. ბრაუნის ტრავმის შემდეგ არგენტინელთა დაცვამ საჯარიმო მოედანზე მეორე სართული გერმანელებს დაუთმო. შედეგმაც არ დააყოვნა: კუთხურიდან ორი მოწოდება და ორი გოლი! არადა, ხანდახან ისე გავა ხუთი და ათი თამაშიც კი, რომ თავდამსხმელები ერთხელაც ვერ გზავნიან კარში კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს.

განა შეიძლება იმის აღწერა, რა ხდებოდა ტრიბუნებზე და მოედანზე საფინალო სასტვენის შემდეგ?! მწვანე მინდორზე გადაიჭრა ალბათ ხუთი ათასი კაცი მაინც. სტადიონის სახურავზე ჩამოკიდებული უცნაური, რაღაც რაკეტისმაგვარი ფიგურებიდან ვერცხლის ქაღალდები გადმოიფრქვა და მზის სხივებზე ზღაპრულად აელვარდა. მოედანი ოქრო-ვერცხლით მოფენილ თვალის მომჭრელად მბრჭყვინავ ხალიჩას დაემსგავსა.

ამაოდ ცდილობდნენ არგენტინელი ფეხბურთელები, თავი დაეხსნათ აღფრთოვანებული გულშემატკივრებისაგან.

მსოფლიოს XIII ჩემპიონატის ფლაგშტოკზე კვლავ აფრიალდა ოთხი წლის წინ დაშვებული არგენტინის ეროვნული თეთრლურჯი ალამი.

ყველას ყურადღება მიიპყრო ერთმა უზარმაზარმა ტრანსპარანტმა: „ბოდიში, ბილარდო, და გმადლობთ!“

დიახ, როგორც იქნა, ამოისუნთქა კარლოს ბილარდომ. როგორც იქნა, მიუზღეს საკადრისი მწვრთნელს, რომელსაც ოთხი წლის განმავლობაში ეკამათებოდნენ, ლანძღავდნენ, მოსვენებას არ აძლევდნენ.

ბილარდომ გაუძლო ყველა შეტევას, ფარ-ხმალი არ დაუყრია და ბოლომდე იბრძოდა დასახული მიზნის მისაღწევად.

რატომღაც ყოველთვის ხაზს უსვამდნენ, რომ ბილარდო ექიმი-გინეკოლოგია. პრესაში იმდენჯერ ატრიალეს ბილარდოს პროფესია, რომ ხალხს შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს მანამდე ბილარდოს არავითარი კავშირი არ ჰქონოდეს ფეხბურთთან.

გულშემატკივრებმა კი კარგად იციან, რომ თვითონ ბილარდო იყო კარგი ფეხბურთელი, თავის დროზე თამაშობდა ცნობილ კლუბ „ესტუდიანტესში“. იგი სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის სამგზის მფლობელია, ხოლო ერთხელ (1968 წელს) საკონტინენტთაშორისო თასიც მოიპოვა. ფეხბურთს რომ თავი დაანება, ამავე გუნდის მწვრთნელად დაინიშნა.

შემდეგ კვლავ მწვრთნელად მუშაობდა არგენტინასა და კოლუმბიაში.

არგენტინის ეროვნული ნაკრები რომ ჩაიბარა, პირველ რიგში, გუნდში მარადონას მოწვევა გადაწყვიტა. ბევრმა როდი გაიზიარა მისი აზრი. ამიტომაც ამბობდა არგენტინელთა ახალი მწვრთნელი: სამი წელი მოვუნდი მტკიცებას, რომ მარადონა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია. მე მგონი, ახლა მაინც დაიჯერეს ჩემი სიმართლე. მარადონამ მართლაც დიდებულად ჩაატარა ჩემპიონატი და, რაც მთავარია, ითამაშა სხვანაირად, ვიდრე აქამდე თამაშობდა. მან შეძლო თამაშებში ეკისრა ლიდერის როლი და თან ყველა თავისი ჩანაფიქრი დაემორჩილებინა გუნდის ინტერესებისათვის. ინდივიდუალური რეიდებისა და კარში დარტყმის უფლებას მაშინ აძლევდა თავს, როცა თანამებრძოლები არ იყვნენ უკეთეს პოზიციაში. გყავდეს ასეთ ფეხბურთელი გუნდში, ეს ხომ ბედნიერებაა".

და თუ მარადონამ ყველა თავისი შესაძლებლობა გუნდის ინტერესებს დაუქვემდებარა, ეს ნამდვილად ბილარდოს დამსახურებაა. მარადონას ძალიან გაუხარდა, კაპიტნად რომ მიიწვიეს, სულ სხვა პასუხისმგებლობა იგრძნო, სულ სხვანაირად მოეკიდა მსოფლიო ჩემპიონატს.

ბილარდოს დამსახურება იყო სწორედ მარადონას ფსიქოლოგიური დამუშავება, რამაც დიდი ნაყოფი გამოიღო.

მაგრამ იოლი როდი იყო გუნდის კაპიტნად დაგენიშნა მარადონა, როცა არგენტინის ნაკრებს ჰყავდა შესანიშნავი კაპიტანი – გულშემატკივრების კერპი და ამ ჩემპიონატამდე ნომერი პირველი ფეხბურთელი დანიელ პასარელა.

ბილარდომ გაბედა სახიფათო ნაბიჯის გადადგმა და პასარელას ყველაფერი აუხსნა. თავის მხრივ, პასარელამ დაამტკიცა, რომ არა მარტო კარგი სპორტსმენი, არამედ კარგი ადამიანიცაა და ნაკრები გუნდის ჭეშმარიტი პატრიოტიც. ის ღირსეულად შეხვდა ბილარდოს გადაწყვეტილებას, არც სკანდალი აუტეხავს და არც გუნდიდან წასულა. პირიქით,

როგორც გამოცდილი და ავტორიტეტული ფეხბურთელი, მხარში ამოუდგა ბილარდოს. სამწუხაროდ, ამ შესანიშნავ ფეხბურთელს ავადმყოფობამ არ მისცა საშუალება, მექსიკაშიც მოეხიბლა ხალხი თავისი დიდებული თამაშით.

„ფინალში – გფრ და მარადონა!" – ასეთი სათაურებით იბეჭდებოდა გაზეთებში წერილები.

ისეთი აზრიც კი შეიქმნა, თითქოს არგენტინელთა გამარჯვება მხოლოდ მარადონას დამსახურება იყო.

მიუხედავად მარადონაზე ჩემი ძალიან მაღალი შეხედულებისა, რაშიც მკითხველი ქვემოთაც დარწმუნდება, ამ აზრს ვერ გავიზიარებ. არგენტინის გუნდი არცერთ გუნდს არ ჩამოუვარდებოდა სიძლიერით. ხოლო ამ ძლიერ გუნდს მარადონაც რომ დაემატა, იმიტომ გახდა უძლიერესი. განა ვარსკვლავები არ იყვნენ პუმპიდო, ბრაუნი, ბატისტა, განსაკუთრებით კი ვალდანო, ენრიკე და ბურუჩაგა? სხვათა შორის, ბრაუნი და ბრაზილიელი ჟულიო სეზარი უკვე გადაიბირა საფრანგეთის „ბრესტმა", ხოლო მშვენიერი არგენტინელი მცველი ოლარტიკოეჩეა შეიძინა საფრანგეთის „ნანტმა", სადაც ჯერ კიდევ მექსიკის ჩემპიონატამდე თამაშობდა ბურუჩაგა.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ პასარელა დიდი დანაკლისი იყო არგენტინის ნაკრებისათვის. პირველსავე მატჩში დაიმტვრა პასარელას შემდეგ ყველაზე კარგი მცველი კლაუსენიც, რომელიც პირდაპირ სამშობლოში გაგზავნეს. საბედნიეროდ, არგენტინელებს აღმოაჩნდათ მათი ღირსეული შემცვლელები.

ერთმა ისიც მითხრა, ფინალში ძირითადი დრო 2:2 რომ დამთავრებულიყო, დამატებით დროში გერმანელები გაიმარჯვებდნენო.

ყოველთვის მაოცებდა და მაოცებს ასეთი ადამიანების ლოგიკა. არგენტინა იმიტომ არის ღირსეული მსოფლიო ჩემპიონი და იმიტომ არის ძლიერი გუნდი, რომ თამაშის მოსაგე-

ბად სავსებით „ეტეოდა“ ორ ტაიმში, თავისუფლად ჰყოფნიდა 90 წუთი.

შვიდი თამაშიდან არგენტინამ ექვსი მოიგო, ერთი ფრედ დაამთავრა, გაიტანა ყველაზე მეტი – 14 ბურთი. გამარჯვებისათვის არცერთ მატჩში არ დასჭირვებია დამატებითი დრო. და, მით უმეტეს, პენალტების სერია.

ვფიქრობ, საინტერესოა თვით მარადონას აზრი თავის თანაგუნდელებზე: „ჩვენ ძალზე ძლიერი შემადგენლობა გვყავს. ფეხბურთელებს ერთმანეთისა კარგად ესმით. ამიტომაც ინდივიდუალურ თამაშს ზიანი არ მოაქვს. ეს, მგონი, უკვე დავამტკიცეთ, როცა ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავეთ“.

დიახ, არგენტინის ნაკრებს ნამდვილად არ აკლდა ვარსკვლავები, მაგრამ როცა ცაზე მზე ამოდის, ვარსკვლავები აღარ ჩანან ხოლმე.

მართლაც იმოდენა მომნუსხველი ძალა აქვს მარადონას, რომ მოედანზე სხვათა თამაშს თითქმის ვეღარ ხედავ.

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატი იყო მარადონას ჩემპიონატი. კარგი ფეხბურთელი ბევრია, მაგრამ მარადონა სულ სხვაა. ისე, როგორც თავის დროზე სულ სხვანი იყვნენ დი სტეფანო და პელე.

ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე ორჯერ ვნახე მარადონას თამაში, იტალიისა და ბრაზილიის წინააღმდეგ. მექსიკაში კი სამჯერ მქონდა ბედნიერება, მარადონა მეხილა მწვანე მოედანზე, თანაც როგორ თამაშებში!

მარადონა არა მარტო ამ ჩემპიონატის, არა მარტო დღევანდელი ფეხბურთის, არამედ ყველა დროის ფეხბურთის ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავი გახდა.

იმითაც კი, რაც უკვე გააკეთა, მის სახელს მხოლოდ დი სტეფანოსა და პელეს სახელების გვერდით მოიხსენიებენ.

თუმცა ფეხბურთის ამ კორიფეებთან მარადონას ერთი უპირატესობა აშკარაა. ის ჯერ მხოლოდ 26 წლისაა, და თუ

რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი.

მექსიკაში სულ სხვა მარადონა ვნახეთ. აქ ის მხოლოდ ვარსკვლავი კი არ იყო, რომელიც პარტნიორებისგან ხელშეწყობას ითხოვდა, კარგად მათამაშეთო, მექსიკაში მარადონამ ლიდერის როლი იკისრა. მთელი მატჩის განმავლობაში თამაშობდა, როგორც კაპიტანი, თუმცა ისიც არ ავიწყდებოდა, რომ დიეგო მარადონა იყო.

მახსოვს, როცა მარადონას პლატინის ადარებდნენ, თითქმის ყველამ ერთხმად აღიარა პლატინის ტაქტიკური და სტრატეგიული ნიჭის უპირატესობა. თუმცა, ამავე დროს, ყველამ აღიარა მარადონას ინდივიდუალური სიძლიერე. ამიტომაც იყო მოულოდნელი და სასიხარულო, რომ მარადონამ, ამ მართლაც ჯადოქარმა ფეხბურთელმა, არანაკლები ნიჭი გამოამჟღავნა, როგორც ტაქტიკოსმა და გამთამაშებელმა. მაინც, რა ზუსტი, დროული და მწვავე იყო მისი გადაცემები, მაინც, სად ხედავდა იმ კომბინაციების დასაწყისს, რომლებსაც მოედანზე ფეხბურთელები და ტრიბუნებზე გულშემატკივრები მხოლოდ მის მიერ გაჭრილი პასის შემდეგ ვხვდებოდით! არ დამავიწყდება, ბელგიელებთან კუთხურის ხაზთან როგორ მოიგდო ბურთი ფეხებში, მოულოდნელად შემობრუნდა და შენიშნა თუ არა ვალდანო ხელსაყრელ პოზიციაში, დროულად და გასაოცარი სიზუსტით მისცა პასი. სამწუხაროდ, ვალდანომ ბურთი ცარიელ კარს აცილა.

რამდენი ასეთი პასი მისცა თანაგუნდელებს მარადონამ. როგორ ხედავდა მოედანს, როგორი სისწრაფით აფასებდა სიტუაციას და რა მახვილგონივრულად ირჩევდა საუკეთესო ვარიანტს შეტევის გასაგრძელებელ ვარიანტებს შორის.

გავიხსენოთ თუნდაც ფინალი. კომბინაცია, რომელსაც მეორე გოლი მოჰყვა გერმანელთა კარში, მარადონამ წა-

მოიწყო. მესამე გოლი ხომ დაგვირგვინება იყო მისივე ენით აუწერელი, გენიალური პასისა.

არც ესაა მთავარი. მარადონას დაჭერამ გერმანელთა ძალების ისეთი დაძაბვა მოითხოვა, ფაქტობრივად დაირღვა გუნდის ერთობლიობა, თამაშის ჩვეული სქემა და რიტმი.

მოედანზე გაიზარდა მარადონას გავლენის გეოგრაფია, ძალზე გაიზარდა მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი. ახლა ის თამაშზე ზეგავლენას ახდენს მოედნის სამ მეოთხედზე. თანაც, ვარსკვლავია არა ეპიზოდებში, არამედ მთელი ორი ტაიმის განმავლობაში. მისი ყოველი მოძრაობა, მანევრირება, მოედნის ხედვა, გრძელი თუ მოკლე პასი, საჯარიმოს დარტყმა და, რაც მთავარია, განუმეორებელი დრიბლინგი ისეთი მომხიბვლელია, ისეთი ემოციებით ავსებს მაყურებელს, რომ სადაც კი ბურთს დაეუფლებოდნენ არგენტინელები, საშინელი სურვილი გვიპყრობდა, იმავე წამში მარადონასთვის მიეწოდებინათ.

ერთი სიტყვით, ყოველი მისი მოძრაობა, თუნდაც ელემენტარული პასი დიდი ფეხბურთელის მოძრაობაა, განსხვავებულია, სხვანაირია. აი, ამიტომ ვერ უყურებენ თვით მოწინააღმდეგეებიც კი მის თამაშს აუღელვებლად.

არგენტინელებთან მატჩის შემდეგ ინგლისელების მწვრთნელმა ბობი რობსონმა განაცხადა: „კარგად მოგეხსენებათ, რა „სიხარულს“ მომიტანდა მარადონას მიერ ჩვენს კარში გატანილი მეორე გოლი, მაგრამ ის მართლაც ისეთი მშვენიერი იყო, რომ სუნთქვა შემეკრა“.

ბელგიელთა მეკარე პფაფი, რომელმაც სპეციალისტებისა და გულშემატკივრების აღიარება მოიპოვა, არგენტინელებთან მატჩის შემდეგ მოედანზე თითქმის ოც წუთს ელოდებოდა ტელე-, რადიო- და ფოტორეპორტიორებით გარშემორტყმულ მარადონას, რომ მასთან მისულიყო, ხელი ჩამოერთმია და გამარჯვება მიელოცა.

ინგლისელებთან მატჩის შემდეგ საშინლად მტკიოდა ხელის თითები. ბელგიელებთან მატჩზე მივხვდი, რომ ყველაფერი მარადონას „ბრალი" ყოფილა: როგორც კი არგენტინელთა კაპიტანი ბურთს მიიღებდა, თურმე სკამის სახელურს მთელი ძალით ვუჭერდი ხელებს!

პელე თუ მარადონა? – მექსიკის ჩემპიონატის შემდეგ სულ უფრო ხშირად გაისმის ასეთი შეკითხვა.

ძნელი სათქმელია!

ერთსაც ჰყავს თავისი მომხრეები და მეორესაც.

ერთ მხარესაც აქვს თავისი საფუძვლიანი არგუმენტები და მეორესაც.

განა პელეს ნაკლები სილამაზის ბურთები აქვს გატანილი? თანაც შეუდარებლად მეტი, ვიდრე მარადონას! – ამბობენ ერთნი.

პელეს თამაშს უადვილებდნენ პარტნიორები, ფეხბურთის ნამდვილი ვარსკვლავები, ის მხოლოდ თავისი ოსტატობის გამოჩენისათვის ზრუნავდა, მაშინ, როცა მარადონამ, პირველ რიგში, გუნდის წარმატებისათვის უნდა იზრუნოს! თანაც აცალეთ, მარადონას ხომ ჯერ ყველაფერი წინა აქვს. ყოველ შემთხვევაში, ხუთი წელი მაინც! – ამბობენ მეორენი.

პირადად მე არ მინდა ავყვე ემოციებს და ისე გამოვთქვა მოსაზრება. თამაშების რაოდენობა კი, როცა მოედანზე პელე ან მარადონა მინახავს, ძალზე მცირეა კატეგორიული დასკვნების გასაკეთებლად. თუმცა, ამავე დროს, მინდა გავიხსენო არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის დროს პელეს ნათქვამი სიტყვები: დღეისათვის სათამაშო სივრცეები ისე საგრძნობლად შეიზღუდა, ახლა თამაში თვით გარინჩას და ჟაირზინიოსაც კი გაუჭირდებოდათო.

მას შემდეგ რვა წელი გავიდა. ფეხბურთი კიდევ უფრო წინ წავიდა. ვარსკვლავების რაოდენობას კი არა, თვით ფეხბურთის საერთო დონეს ვგულისხმობ. გაიზარდა სისწრაფე,

გაიზარდა ფეხბურთელთა ფიზიკური მომზადების დონე. დღევანდელი ფეხბურთი წარმოუდგენელია პირველი წუთიდან უკანასკნელ წუთამდე დაძაბული ბრძოლის, ენერგიის მაქსიმალური ხარჯვის და დიდი სისწრაფის გარეშე. დაცვითმა ფეხბურთმა (რომელსაც ალბათ პელე გულისხმობდა) მართლაც შეზღუდა სათამაშო სივრცეები.

აქედან გამომდინარე, გაცილებით ძნელი გახდა თანამედროვე ფეხბურთის დონეზე ისე გამოიკვეთო, როგორც მარადონა გამოიკვეთა.

მაინც, რომელია უკეთესი ამ ორ ფეხბურთელს შორის?

ჯობია, ღიად დავტოვოთ ეს საკითხი.

ერთი კი უნდა ვთქვათ თამამად: მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ პელე უკვე აღარ ბრწყინავს ეულად, „ვით მარგალიტი ობოლი...“

* * *

1986 წლის 29 ივნისს „აცტეკას“ დიდებული სტადიონის ფლაგშტოკიდან საზეიმოდ დაეშვა მსოფლიოს XIII საფეხბურთო ჩემპიონატის ალამი.

ოთხი წლის შემდეგ იგი კვლავ აფრიალდება იტალიაში.

ახლა კი ყველა გზა მართლაც რომში მიდის!

1986

გამომცემლობა არტანუჯი
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 5
2-25-05-22, 2-91-22-83, 5(93) 25-05-22
www.artanuji.ge info@artanuji.ge
გამომცემლობა არტანუჯი / Artanuji Publishing